114
1974 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

8

1974

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე № 8 აგვისტო, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ლექსი . . . . . 3
იოსებ ნონეშვილი — ჩემი სოფლის სურათები. ლექსი . . . . . 4
ალიო ადამია — დიდი და პატარა ეკატერინე. რომანი. დასასრული . . . . . 6
ტარიელ ჭანტურია — ლექსები . . . . . 28
შალვა ამისულაშვილი — მძინარე კვირტი. მოთხრობა . . . . . 33
მედეა კახიძე — ლექსები . . . . . 38
რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. დასასრული . . . . . 41
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . . . 98
ალექსანდრე ებანოიძე — ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი
რომანი. დასასრული . . . . . 102
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები . . . . . 120
ილია რურუა — ვითარცა ერთი წამი. მოთხრობა . . . . . 123
რევაზ მიშველაძე — ნოველები . . . . . 134
შალვა ჩირაძე — ელმავალი № 428. დოკუმენტური მოთხრობა . . . . . 143

*ცხოვრებისეულ პრობლემებზე*

ჯემალ მეხრიშვილი — სოფელი და ბაზარი . . . . . 147

*ჩვენი იუბილარი*

გიორგი ნატროშვილი — შემოქმედების დიდ გზაზე . . . . . 158
გურამ ასათიანი — შუადღე . . . . . 171
ბესიკ ხარანაული — ჩემს მაგივრადაც, სხვების მაგივრადაც . . . . . 173

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჯანსულ ღვინჯილია — კრიტიკოსის ტვირთი და ვალი . . . . . . . 174
ლევან მენაბდე — რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა . . . 183

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

სოლომონ ხუციშვილი — რუსული პრესა კავკასიაში . . . . . . . . . 189
რეზო ამაშუკელი — შორეული გზები . . . . . . . . . . . . 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13. განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 20/VI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII-74 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00122. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 2428
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## «...И ДРУГ СТЕПЕЙ КАЛМЫК»

დავით კუგულტინოვს

ნამდვილად გუშინ,
ყოველთვის გუშინ —
აბაის ველზე, ჩინგიზის მთებთან,
მზე რომ გადამდნარ თუჯივით ჩქეფდა —
შენ კითხულობდი კარავში პუშკინს.

კარავსაც უხმოდ
ეკიდა ცეცხლი,
გაპოხილს ოფლით,
არყით და დუმით;
ყაზახის ქალი გვისხამდა კუმისს
და მზეფში ჟღერდა ოქრო და ვერცხლი.

შენ კითხულობდი
კარავში პუშკინს
გაბმით და გაშლით,
დინჯად და ლაღად,

კარავში იდგა სურნელი, რაღაც
სიშორის, სივრცის, ამბრის და მუშკის.

შენ კითხულობდი
მის დარდს და კვნესას,
შენს დარდს და კვნესას,
ვით ლოცვას ხატში,
ჩვენც იმ შენს ხმაში,
იმ კარვის ხვატში
ვუსმენდით უკვდავ წინაპარს ჩვენსას.

ოცნება დიდი,
იმედი მწველი,
რწმენად, დიდ რწმენად
რომ ჩაჰყვა გულში:
შენ კითხულობდი ყალმუხი პუშკინს —
„ყალმუხი, ველთა ტრფიალი ძველი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იოსებ ნონეშვილი*

# ჩემი სოფლის სურათები

ჩემი სოფელი კარდენახი...
ყანები...
        ბაღები...
            ზვრები...
ზღვასავით მომდგარი კარს ვენახი,
ზვრებში ჩაკარგული გზები.

ატამი,
ვაშლი და ვაშლატამა...
ღოღნაშო,
ლეღვი და ნუში...
წარაფში ძვალ-რბილში გამატანა,
ცეცხლი ჩამიკეთა გულში

ნათლისმცემელი და საბაწმინდა,
მთებზე არწივების სრბოლა.
ციხეებს ნისლები ალაზნისა
ედება ტყვია-წამლის ბოლად.

ჭერამი...
ბროწეული...
ხომარდული...
გულაბით სავსეა ხონჩა.
წინ, როგორც ლურჯი სუფრა მოხატული,
ალაზნის მინდორი მოსჩანს.

მინდორზე კვიცები სახედნავი,
გზებზე მანქანების ჯარი...
მაგრად დატვირთული სახედარი,
ზედ პაპაც ამაყად მჯდარი.

მთებზე თვითმფრინავის ჩრდილი ცურავს,
ველს მატარებელი სერავს...
მინდვრად სოკო და სატაცური,
ასკილი
        სერიდან სერად.

ბალარჯიხევი და ბუხაური...
აქ მედგა პატარა სახლი...
ღამით ქუდურამდე მიხმაურობს
ზვირთები ალაზნის არხის

ისვრიმი მწვადებზე დაწურული,
ოდოში, მოშუშული ალზე...
აქ, გასათხოვარი ასულივით,
სართვლოდ ამზადებენ ვაზებს.

ბაღები თუთა-ბალს შესეული,
საზამთრო,
        კიტრი და ნესვი...
ამ მუხას,
        მაგარ ტოტფესვებიანს,
ჩემს ბავშვობაშიც აქვს ფესვი.

ქვიტკირის სახლები გზა-შარიდან
ისე ზურგშექცევით დგანან,
უცხო გაიფიქრებს:
      ეს რას ნიშნავს,
სტუმარი არ. უყვართ განა?...

მაგრამ თუ დაგლანდეს მასპინძლებმა,
შეიცან ოჯახის ფასი...
სახლი სიხარულით აივსება
და კარდენახულით თასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ნელინელ... ტაატით წინ მივდივარ,
მივყვები ქვიტკირის სახლებს...
— ჰე, ნონე!!..
    ვიღაცა აივნიდან
მეძახის ბავშვობის სახელს.

ძმაკაცი, საკინძეგაღეღილი,
ღობიდან გადმომიჭრის შარას...
ჰა, ცნობისმოყვარე ბალღებივით,
ღობეში გოგრებიც ჩანან.

ხილაბანდიანი დედაბრები
ცისფერ ეკრანებთან სხედან...
— ასწი, თამადას ნუ ედავები,
დალოცე ადგილის დედა!...

— ბიჭოდა, რა ღმერთი გაგწყრომია,
დალიე, რას ჰკოცნი ჭიქას...
ვიცი რომ ქალაქშიც არ გწყურია,
ღვინო გეშოვება იქაც...

ჭიქები შეავსეს ჩვენსოფლურად —
სატუჩე დამიტოვეს დიდი.
...ღამდება.. წითლად იფოფრება
არყის სახდელებზე ბინდი.

ქედებზე ღრუბლის ჯოგს მოაბღავლებს
ელია ელვარე შოლტით.
ბინდში თონეები მობრიალე,
    ნაზუქი...
        ლავაში...
            შოთი...

ღვინოში ჩაყარეს ცხელი პური,
მაწვდიან: თუ ინებებო...
დიდთავა,
    ქიშმიშით მოხატული,
ბასილაც ჩააკრა ბებომ.

ჩემი სოფელი კარდენახი...
აქ გული სხვარიგად ღელავს...
კარგად მოიარე...
    კარგად ნახე...
დაგხვდება, მოგეცეს ლხენა.

რთველში ახოები, წარაფები
წითლად დამკრახული ბრწყინავს.
აქ ზვრებში, თითქოსდა წარმართები,
თხას ჰკლავენ, ვით შესაწირავს.

ჩურჩხლები...
    გორგომიჭელები...
ნართვლევზე გონგორას ძებნა...
ლახტი,
ჭიდაობა,
კოჭაობა
წაიღეს წლებმა და გზებმა.

აქ, საღირაულზე, ლამაზ გორაკს
ზეცა რომ ელვრება ლურჯი,
ოთხასი ვაჟკაცის მოსაგონრად
შრიალებს ოთხასი ბუჩქი.

აქ ვარდი და იასამანია,
აქ თვალი ცრემლს ველარ მალავს...
აქ ჩემი წინაპრების სავანეა,
აქ სძინავს ჩემს ჭაბუკ მამას.

გომბორზე ადი თუ შეგიძლია,
ხევდახევ აჰყევი აღმართს...
გახედე: ლურჯ ქედებს შეხიზვნია
ყვარელი ალაზანგაღმა.

გახედე ენისელს, გრემს თუ გავაზს,
მთების კიბეებზე ადი...
წინ — კავკასიონზე —
    მოსჩანს მარად
ილიას ჯვარცმული ლანდი.

...ჩემი სოფელი კარდენახი,
ყანები...
    ბაღები...
        ზვრები...
ზღვასავით მომდგარი კარს ვენახი,
ზვრებში ჩაკარგული გზები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადამია

# დიდი და პატარა ეკატერინე

რომანი

V

სულ სამი დღეა, რაც შადიმან შარანგია ჩვენი სკოლის დირექტორად დანიშნეს და სოფელი ჭორებით აივსო.

და ყოველდღე კი არა, ყოველ საათობით ახალ-ახალი ჭორი იბადება.

გუშინ ლია გურგენიძე იყო ჩემთან და ჭორები დაავგვირისტა და მოქუბა: შადიმან შარანგი•. უკვე საბოლოოდ დადგინდაო, ისტორიკოსიც ბრძანებულა, ლიტერატორიც და ფილოსოფოსიც, ოღონდ ბარე ოცი წელიწადია სკოლას და წიგნს სათოფეზე არ გაჰკარებიაო, რესტორნებისა და სასადილოების დირექტორად მუშაობდაო თბილისში, ხაშურში, ფოთში, ზესტაფონში, ხოლო ბოლო ოთხი წელი ხერგას რესტორანის „უღელტეხილის“ დირექტორად ბრძანებულა. მთელი სკოლა შეშფოთებულა. ეს რა ვაიუშველებელი დაატრიალეს ჩვენს თავზე. შებღალეს ეკატერინე ხიდაშელის ხსოვნა, არა, ეკატერინეს სახელისათვის ეს არ უნდა ეკადრებიათო, მაგრამ ფულმა თავისი საქმე გააკეთაო, შარანგიას ჩეჩქივით აქვს ფული და უეჭველად კალისტრატე ტაბატაძე მოისყიდაო. იმასაც ამბობენო, თქვა ლია გურგენიძემ, თითქოს რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლის ხელიც ერიოს ამ საქმეში. რევაზის მეუღლის მშობლები და შადიმან შარანგიას ოჯახი თბილისში კარის მეზობლები ყოფილან და რევაზის მეუღლე ისეთი მტკიცე ხასიათისა ბრძანებულა, რასაც მოიწადინებს, აუცილებლად შეისრულებსო. ეს ვაჟბატონი შარანგია ითხვისელი ბრძანებულა, აელოთ და ითხვისში დაენიშნათ, ხოლო ჩვენი სოფლელი არჩილ ჯინორიძე, ითხვისის სკოლიდან ჩვენს სკოლაში გადმოეყვანათო, მაგრამ ეტყობა, ითხვისს ვერ შებედეს, ჩვენ კი იოლად დაგვჯაბნესო.

სკოლა შეძრულია. მასწავლებლების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, კონსტანტინე კაკუბერს ეახლოს და შადიმან შარანგია ჩვენი სკოლის დირექტორობიდან მოახსნევინოსო....

კიდევ ბევრი ჭორი თქვა შადიმანზე ლიამ, მაგრამ მე ესღა დავიმახსოვრე.

ვთხოვე ვახშმად დარჩენილიყო, მაგრამ იუარა, ეტყობოდა, გული ახალი ჭორების გასაგებად მიუწევდა.

ჭიშკრამდე მივაცილე. უკან რომ გამოვბრუნდი და აივანზე ამოვედი, ლიას ხმა შემომესმა, ეკაო, დამიძახა ღობეზე შემომდგარმა, კინაღამ დამავიწყდა, რისთვისაც მოვედიო, ხვალ დილით შადიმან შარანგიამ სკოლაში დაგიბარაო, აუცილებლად მოვიდესო, ხომ არ გამოგიაროთ?

დასასრული, იხ. „მნათობი“ № 7.

— არა, მე თვითონ მოვალ.

— ფიზკულტურის მასწავლებელიც დაგვინიშნეს, რევაზ ჩაფიჩაძის ცოლისძმა, — მომეჩვენა, თითქოს დამცინავად თქვა ლია გურგენიძემ.

შევცბი და გულში გამკრა.

შადიმან შარანგიას დანიშვნას უთუოდ რევაზს აბრალებენ, მაგრამ ლიამ რატომღაც დამიმალა. კონსტანტინე კაკუბერი თუ დაითანხმეს, მხოლოდ-და მხოლოდ რევაზის წყალობით, რა შუაშია რევაზის მეუღლე რუსუდანი? რუსუდანმა თვითონ არ მოდგა ფეხი ხემაღალში და აბა რაში ენაღვლება, ვინ იქნება ხემაღალის სკოლის დირექტორი? ვითომ ძმაც რუსუდანმა გამოგვიგზავნა ფიზკულტურის მასწავლებლად? — არა, ეგ არ უთქვამს ლია გურგენიძეს, მაგრამ რევაზის ცოლისძმა ფიზკულტურის მასწავლებლად დაგვინიშნესო, ხაზგასმულად თქვა და მე რაღაცაზე მიმანიშნა.

ეგებ მომეჩვენა, ა!

მთელი ღამე შფოთიანად გავატარე.

შუაღამემდე ბუხართან ვიჯექი, სულხან საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ვფურცლავდი, რამდენჯერ წაკითხულ იგავებს ვკითხულობდი და იგავის აზრს ვერ ვიგებდი, მერე კითხვას თავი გავანებე, ცეცხლი შევახვიე და დავწექი.

მაინც რა გაუთავებელია ზამთრის ღამეები? შუაღამეა და გათენებამდე ორჯერ გამოიძინებ.

...რაც ლია გურგენიძემ მიამბო, დანამდვილებით ვიცი, ყველაფერი ჭორია. ამის უტყუარი საბუთი დედაჩემის არქივში ინახება. ეს შადიმან შარანგიას წერილია რევაზ ჩაფიჩაძისადმი. ის წერილი დედაჩემს წაუკითხა რევაზმა, დედაჩემს ძალიან შეებრალა შარანგია და რევაზს პირობა მისცა. აუცილებლად დავნიშნავ ისტორიის მასწავლებლადო, ახალ შენობაში რომ გადავალთ, ჩემს გაკვეთილებსაც დავუთმობო. კარგად მახსოვს, ნამდვილად ასე უთხრა, — ახალ შენობაში ერთი-ორი თვე ვიმუშავებ, გულით მწადია, თორემ ძალა უკვე აღარა შემწევსო. მერე შარანგიას წერილი დედაჩემმა დაიტოვა, — ვინმემ რომ წაიკითხოს, კაცნი ვართ, ეგებ ტაბატაძეს და კაკუბერს მიაწვდინოს ამბავი და არც ჩაფიჩაძისათვის ივარგებს და არც შარანგიასათვისო. იმ დღიდან წელიწადნახევარი გავიდა და აი ახლა გამოჩნდა შადიმან შარანგია. კალისტრატე ტაბატაძემ ახლოსაც არ გაიკარა შარანგიას თხოვნა — რომელიმე სკოლაში, თუნდაც დაბალ კლასებში, დაენიშნა მასწავლებლად, არც კონსტანტინე კაკუბერმა შეიწყნარა მისი თხოვნა. რევაზმა უშუამდგომლა, რევაზმა დაითანხმა კაკუბერი და საბრალო შარანგია ჯერ მუშაობაც კი არ დაუწყია და ენის წვერზე შეიგდო სოფელმა: „უღელტეხილის“ დირექტორი ბრძანდებოდა ბარე ხუთი წელიწადი. ქონება დაიხვავა, ფული ჩეჩქივით აქვს, მოყირჭდა რესტორანში მუშაობა, მარტო კი არ მოყირჭდა, სამარცხვინოდაც მიიჩნია, ისტორიკოსი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი კაცი და რესტორანი სად გაგონილაო, უკვირს ახლა... როცა გამდიდრება მოიწადინა, სკოლას ზურგი შეაქცია და რესტორნებს მიაშურა, კარგადაც მოითბო ხელი და ახლა ისევ პატიოსანი ადამიანის გვირგვინი მოისურვა და აგერ ხემაღალის სკოლის დირექტორობა იყიდაო. რატომ ითხვისის სკოლაში მუშაობა არ მოისურვა? ითხვისელები კარგადაც იცნობენ, რა კაციც ბრძანდებაო და ასე და ისეო...

შადიმან შარანგიამ არ იცის, რომ რევაზ ჩაფიჩაძისადმი მიწერილი მისი ბარათი დედაჩემის არქივშია, რომ ის წერილი მე სამჯერ მაინც მაქვს წაკითხული, თორემ სხვანაირად მიმიღებდა. ახლა კი სკოლაში დისციპლინა შერყეულია, არათუ მოწაფეები, მასწავლებლებიც აცდენენ გაკვეთილებს, მე კიდევ, აგერ მეხუთე თვეა სკოლაში არ დავდივარ და მაინც მასწავლებლად ვირიცხები, მეცხრე-მეათე კი არა, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასის მოწაფეებიც ეწევიან თამბაქოს, უწმაწურ სიტყვებს გაიძახიან.. ჰო, არასასურველი,

მძიმე მდგომარეობაა სკოლაში და ამიტომაც ჩვენი ხვალინდელი შეხვედრა და საუბარი... ჯერ შარანგიას აღნაგობა წარმოვისახე: რახან ოცი წელიწადია რესტორნებსა და სასადილოებში მუშაობს, ზომაზე მეტად თუ არა, ზომიერად შესუქებული მაინც იქნება, ეს რესტორნებისა და სასადილოების მუშაკთა საერთო სენია; სახე — ალაქლაქებული, თვალები — მსხვილი, ჩაწითლებული, მკლავები — მსხვილი, თითები — მსუქანი და წკიპა ულვაშები.

აჰა, შადიმან შარანგიას პორტრეტი დავხატე. ეგებ სრულებითაც არაა ასეთი პატივცემული შადიმანი, მაგრამ ხვალ დილამდე ასეთნაირად დარჩეს, არაფერი დაშავდება.

ჩვენი საუბარი დაახლოებით ასე წარიმართება:

ეს-ესაა სკოლაში მეცადინეობა დაიწყო. დირექტორს პირველი გაკვეთილი თავისუფალი აქვს და კაბინეტში ზის.

მე კაბინეტის კარს შევაღებ. შარანგია ამხედ-დამხედავს.

— ეკატერინეს ქალიშვილი? — მკითხავს შარანგია.

— დიახ, — ცივად ვიტყვი მე და თვალს გავუსწორებ.

— გამარჯობათ, ამხანაგო ხიდაშელო, — დამარცვლით იტყვის შარანგია და ისევ ამხედ-დამხედავს.

— გაგიმარჯოთ, ბატონო დირექტორო, — არა, რაკი ვიცი შადიმანი ჰქვია, ბატონო დირექტოროს არ ვეტყვი, — გაგიმარჯოთ, ბატონო შადიმან, — მე მხოლოდ მის სახელს დავმარცვლავ და მეც ავხედ-დავხედავ.

— დაბრძანდით, — იტყვის შადიმანი და სავარძელს შემომთავაზებს.

მე დავჯდები და თავს დაბლა დავხრი.

პაუზა.

— ამხანაგო ეკატერინე, თქვენ, თუ არ ვცდები, უკვე მეხუთე თვეა სამსახურში არ დადიხართ, როგორ ფიქრობთ, ეს მოსათმენია? — მოჩვენებითი თავშეკავებით, დამცინავად იტყვის შარანგია და მაგიდის უჯრიდან დავთარს ამოიღებს.

— სიმართლეა, შემოწმებ[illegible]-როებს — დავუდასტურ[illegible]

— თან ვითომ მსახურობთ, არა? — ახლა უფრო მეტის დაცინვით იტყვის შარანგია და დავთარს ისევ მაგიდის უჯრაში ჩადებს.

— ასეა...

— ჰოდა, თუ ასეა, — შემაწყვეტინებს შარანგია, — ცოტა ულამაზოდ ჩანს, არ გეუხერხულებათ?

— ჩემი გაკვეთილები არ გაცდენილა...

— ვიცი, — ისევ შემაწყვეტინებს შარანგია, თქვენს ნაცვლად ლია გურგენიძე ასწავლის, ხელფასის უწყისზე ხელს თქვენ აწერთ და თქვენს ხელფასს კი ლია ღებულობს, ვითომ მარტო ფორმალური დარღვევაა? — გაიკვირვებს შარანგია.

მე უხერხულობას ვიგრძნობ და ვერაფერს ვუპასუხებ.

— კარგი, თვალი მოვუხუჭოთ ამ უხერხულობას, განა ერთ მასწავლებელს ოთხ კლასში, ისიც მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში, შეუძლია ასწავლოს მშობლიური ლიტერატურა და ენა? დაუჯერებელია! — დარწმუნებით იტყვის შადიმან შარანგია, — დიახაც, რომ დაუჯერებელია!

— ლია გურგენიძე გამოცდილი პედაგოგია...

— ეჭვი არ მეპარება! ცოტა ხმას აუწევს შარანგია, — იყვეს ნიჭიერიც და გამოცდილიც. — მაგრამ ოთხი კლასი, ისიც, — დამარცვლავს შარანგია, — მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე და ერთი მასწავლებელი? ისიც მშობლიურ ლიტერატურასა და ენაში? გასაგიჟებელი ამბავია, ყოვლად წარმოუდგენელი!

— ამიტომ დამიბარეთ? — ცივად ვიტყვი მე და ავდგები.

— მინდოდა გამეგო, როდის დაიწყებთ მუშაობას.

— მე სამსახურიდან განთავისუფლება ვთხოვე სასწავლო ნაწილის გამგეს, მაგრამ...

— კარგადაც მოქცეულა ქალბატონი

ქეთევანი, რომ არ გაუთავისუფლებიხართ, — შემაწყვეტინებს შადიმან შარანგია, — ადგება და თვალებში შემომხედავს, — მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ამხანაგო ეკატერინე, ასე გაგრძელება შეუძლებელია, გთხოვთ, ხვალიდანვე დაუბრუნდეთ სკოლას.

— ახლავე მოგართმევთ განცხადებას, გნებავთ გამათავისუფლეთ, გნებავთ მომხსენით. მე სკოლას ვერ დავუბრუნდები.

— რატომ? ჩემი დანიშვნა...

— სრულებითაც არა, — ახლა მე შევაწყვეტინებ შარანგიას სიტყვას, — სევდიანი გული მაქვს, ბატონო დირექტორო, სევდიანი გულით მოწაფეებთან შესვლა შეუძლებელია!

შარანგია მიმიხვდება საყვედურს. უცებ ვერაფერს მიპასუხებს, კაბინეტში გაივლ-გამოივლის.

„ერთხელაც არ ვკითხე, როგორ ცხოვრობს დედამისის გარდაცვალების შემდეგ, როგორ უძლებს მარტოობას, რითი შემიძლია დავეხმაროთ? სკოლა დედამისის სახელობისაა, პირველად მეწვია მისი ქალიშვილი; დამწუხრებული და დაღონებული, ისეთი სევდიანი სახე აქვს, თითქოს დედამისი, ეს-ესაა გარდაცვლილიყოს, მე კიდევ: თქვენ უკვე მეხუთე თვეა, ამხანაგო ხიდაშელო, სკოლაში არ დადიხართ, თან შტატში ირიცხებით, უწყისზე ხელს თქვენ აწერთ, თქვენს ხელფასს კი გურგენიძე ღებულობს, ვიცი, თქვენი გაკვეთილები არ გაცდენილა, მაგრამ ხარისხი? შეიძლება ოთხ კლასს. ისიც მეხუთეს, მეექვსეს, მეშვიდეს და მერვეს. ერთმა მასწავლებელმა ასწავლოს მშობლიური ლიტერატურა და ენა? შეუძლებელია, დიახაც, რომ შეუძლებელია... თქვენ ხვალვე უნდა დაუბრუნდეთ სკოლას“...

მაგრამ ახლა მობოდიშება გვიანაა, საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს. შარანგია მომიახლოვდება, შეეცდება თვალებში ჩამხედოს, მაგრამ მე სახეს ავარიდებ და შარანგია თვალებში ვერ შემხედავს.

— პროფესიას გამოიცვლით? — ცეტა შეშინებული ხმით მკითხავს შარანგია.

— ნამდვილად! — გადაჭრით ვიტყვი მე.

პაუზა.

— რა გაეწყობა! გნებავთ, სკოლის ბიბლიოთეკის გამგედ დაგნიშნავთ?

— არა!

— აბა, სხვა რა შეიძლება გამოვძებნოთ? — გაიკვირვებს შარანგია.

— რატომაც არა! კოოპერატივი, სასადილო... ნიშნისმოგებით ვიტყვი მე, თვალებში შევხედავ შარანგიას და ირონიულად გავუღიმებ.

— სასადილო? — დაბალი, ძალიან დაბალი ხმით მკითხავს შარანგია. ირგვლივ მიმოიხედავს და აღულღუნებული ლოყები კიდევ უფრო გაუწითლდება.

— ჩვენი სასადილო ისეთია, ხერგასას არ ჩამოუვარდება, — ღიმილით ვიტყვი მე: შარანგიას ის ღიმილი ხანჯალივით შეერჭობა გულში, შეტოკდება შარანგია, მე შევეზიზღები და ზურგს შემაქცევს.

„მაგრად გაღმომკრა! ჰგონია, ვერ მივუხვდი? თქვენი ამბავი ხელისგულზე მიწერია, ამხანაგო შარანგია, დიახ, ხელის გულზე მიწერია, ცოდვილიანი ბრძანდებით, თქვენ თუ სკოლიდან სასადილოებს მიაშურეთ, როგორ გგონიათ, მე ვერ შევძლებ ამას? არა, უფრო სხვა აზრითა თქვა: გუშინ რესტორანის დირექტორი იყავით, დღეს სკოლის დირექტორი ბრძანდებით და სკოლაში გუშინ მოსული კაცი დღეს მე ლექციას მიკითხავთ? გავიწყდებათ, რომ ოცი წელიწადია სკოლაში ფეხი არ შეგიდგამთ? ჩანს, დაგავიწყდათ და მე შეგახსენეთ. გეწყინათ? გულში მოგხვდათ? მაპატიეთ. მე ეკატერინე ხიდაშელის ქალიშვილი გახლავართ და პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს: მე დედაჩემის შემცვლელად ვერ გიგულვებთ, მე ვერ ვიმუშავებ თქვენთან!

— თქვენ აღელვებული ხართ, ამხანაგო ეკა, — ვითომ დამიყვავებს შარან-

გია, — კარგი, სხვა დროს მოვილაპარაკოთ.

— ჩვენი მოლაპარაკება დამთავრებულია, ბატონო შადიმან! შეგიძლიათ ხვალვე სხვა მოიწვიოთ ჩემს ადგილზე. განცხადებას კანცელარიაში დავტოვებ. ნახვამდის...

შარანგიას პასუხს არ დაველოდები და წამოვალ.

რატომღაც მჯერა, რომ ასეთია შარანგიას და ჩემი ხვალინდელი საუბარი.

ვერაფერს გავაწყობ, რაც მოსავალია ჩემს თავზე, მოვიდეს!

ახლა კი დავიძინებ.

მამლებმა უკვე მეორე ყივილი მოითავეს, ერთს კიდევ გამოიძინებენ, მესამედ დაიყივლებენ და ხემაღალს ცისკარი მოადგება და თანდათან, მაგრამ მალე გათენდება.

ჰოდა, ახლა დავიძინოთ, — ვუთხარი ჩემს თავს, საბანი თავზე წავიხურე, თვალები დავხუჭე, მარცხენა ხელი ბალიშის ქვეშ შევაცურე... და უმალვე მივხვდი, ფეხები რატომ მაქვს ცივი — წინდა აგერ ბალიშქვეშაა, ამიტომაც მცივა და ვერ დამიძინია...

ჩვენს უბანში ყველაზე ოსტატურად დედაჩემი ქსოვდა შალის წინდას და ყველა მეზობელი ემადლიერებოდა. ახლა მე შევცვალე დედაჩემი: ჩვენი ხერგას ბაზარში ვიყიდე მატყლი, დავჩეჩე, სწორედ ისე წმინდად დავჩეჩე, როგორც დედაჩემი ჩეჩავდა. ძაფის დართვაში კი ადრევე ვშველოდი მე დედაჩემს. თავდაპირველად ცოტას კი მსაყვედურობდა დედაჩემი, მსხვილ ძაფს ართავო, მაგრამ მე ვუმტკიცებდი, მსხვილი ძაფით მოქსოვილი წინდა უფრო თბილია-მეთქი, ალექსანდრე და გულასპირ ჩაფიჩაძეები, აბესალომ კიკნაველიძე და ქალბატონი კესარიაც მემოწმებოდნენ, მერე დედაჩემმაც ირწმუნა და ჩემ მიერ დართული მსხვილი ძაფით ხალისიანად ქსოვდა. ჰოდა, წელს მე მოვქსოვე რამდენიმე წყვილი შალის წინდა, სწორედ ისეთები, დედაჩემი რომ ქსოვდა და ვუსახსოვრე გულასპირს, ალექსანდრეს, აბესალომს, ქალბატონ კესარიას და დუდუხანას... გამოგიტყდებით, რევაზ ჩაფიჩაძისათვისაც მოვქსოვე, მაგრამ რევაზისათვის არ მისახსოვრებია, ჩემთვის მაქვს შენახული, სიცივეს რომ ვიგრძნობ, ჩავიცვამ და მიხარია, რევაზ ჩაფიჩაძის წინდა რომ მაცვია, ჩემთვის ცოტა სრული კია, მაგრამ ჩავიცვამ თუ არა, უმალვე გამათბობს და დამაძინებს.

ა, გამოვიღე ახლა ბალიშქვეშიდან რევაზ ჩაფიჩაძის წინდა, ჩავიცვი, უმალვე გავთბი და მეძინება...

ნახვამდის, თქვენც ძილი ნებისა...

სკოლის ჭიშკარი შევაღე და ზარიც დაირეკა. სწორედ დროზე მოვსულვარ, — გავიფიქრე გულში, სკოლის ეზო ნელი ნაბიჯებით გავიარე და შენობაში მხოლოდ მაშინ შევედი, როცა დერეფნები დაცარიელდა და ხმაური მიწყდა.

დირექტორის კაბინეტის კარი ოდნავ ღია იყო, კაბინეტში შევიხედე და კედლიდან დედაჩემის სახემ შემომანათა.

შევკრთი.

თვალები დავხუჭე, სიზმარში ხომ არა ვარ-მეთქი, — და როცა გავახილე, ისევ ცოცხალი დედაჩემი წარმომესახა.

სამუშაო მაგიდას თავდახრილი უზის შადიმან შარანგია, მის ზურგს უკან, კედელზე, დედაჩემის დიდი, ძალიან დიდი სურათი ჰკიდია.

კაბინეტში უხმაუროდ შევდგი ფეხი, კართანვე გავშეშდი და ისევ დედაჩემის სურათს შევაცქერდი.

შემართული დგას დედაჩემი.

მარცხენა ხელისგულზე — გადაშლილი წიგნი.

მარჯვენა ხელი — წინგაწვდილი.

ბაგეები — ღია, ოდნავ თითქოს ზედაკბილებიც კი მოუჩანს.

ცისფერი, თეთრკოპლებიანი კაბა.

შეჭაღარავებული თმა, ახალგაზრდა სახე.

წარმოვიდგინე — დედაჩემი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს.

ღიმილიანი თვალები.

ნამდვილად ასეთი ღიმილიანი თვალები ჰქონდა დედაჩემს, თვალების უპე-

ებთან პატარ-პატარა ნაოჭებს დაიყრიდა და ის ნაოჭებიც იღიმებოდნენ.

წარმოვიდგინე — დედაჩემი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს.

შარანგიამ იგრძნო, რომ მე დედაჩემის სურათმა მომნუსხა და ისევ თავდახრილი ზის, ვითომ ჩემი მოსვლა არც გაუგია. მაცალა, კარგა ხანსაც მაცალა, მერე თავი უცებ ასწია და ისე შემომხედა, თითქოს გაიოცა, რატომ ვერ გავიგე თქვენი მოსვლაო, ადგა, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი მაგრად ჩამომართვა, კაბინეტის კარი მიხურა და თავისი სავარძლის გვერდით რბილი სკამი შემომთავაზა.

დავსხედით.

პაუზა.

მე დედაჩემის სურათს გავუსწორე თვალი. ახლა სურათთან ახლოს ვარ და უფრო ხილულად ვხედავ. უფრო და უფრო რომ დავაკვირდი სურათს, შევნიშნე, რომ დედაჩემის მოღიმარ თვალებში, არა, თვალებში კი არა, თვალების უპეებთან სევდაა მიმალული... სევდას გულში ღრმად იმარხავდა დედაჩემი, ყველას უმალავდა, მეც მიმალავდა, მაგრამ ის სევდა გულიდან გამოპარულა და თვალის უპეებში მიმალულა და დედაჩემის ის სევდა მე ვარ. ვაკვირდები სურათს და თითქოს ახლა მიმალავს დედაჩემი თავის სევდას. თვალებით მიღიმის, ოდნავ გაღებული ბაგეებითაც მიღიმის, მაგრამ მე ვხედავ იმ პატარა სევდას, დედაჩემის გულის სიღრმიდან რომ გამოუყონავს, თვალების უპეებთან შეყუჟულა და დამალვას ცდილობს.

ვიცი, კარგადაც ვიცი, შენი ის სევდა მე ვარ, დედაჩემო!

— ჰგავს? — მკითხა შადიმან შარანგიამ.

პაუზა.

„რომ მეთქვა, არა მარტო პორტრეტული მსგავსებაა, ამ სურათში დედაჩემის სულია გამოსახული, დედაჩემმა, ბატონო შადიმან, ბევრი სიდუხჭირე გამოიარა, მაგრამ ყოველთვის შეღერებული და ამაყი იყო და სურათზეც ასეა აღბეჭდილი-მეთქი" მაღალფარდოვნად მომეჩვენა და უბრალოდ მივუგე:

— ძალიან ჰგავს, — და შადიმანს შევხედე.

ხმელხმელი, ფერმკრთალი, ზედმეტად ფერმკრთალი, მაგრამ ჯანმრთელი სახე. მაღალი შუბლი. ოდნავ შეჭაღარავებული გრუზა თმა. თეთრი პერანგი. შავი ჰალსტუხი. ნაცრისფერი პიჯაკი.

— ეგ იმიტომ, რომ რუსუდანი ახლოს იცნობდა ქალბატონ ეკატერინეს, — თბილი, ალერსიანი ხმით თქვა შადიმანმა და შემომხედა.

— ვინ რუსუდანი? — გავიკვირვე მე.

— რუსუდან დიასამიძე, ჩვენი რევაზ ჩაფიჩაძის მეუღლე, — განა თქვენ არ იცნობთ რუსუდანს?

— როგორ არა, ვიცნობ, — ვთქვი მე და თავი დაბლა დავხარე.

— სურათი გუშინ ჩამოიტანა რევაზმა თბილისიდან, ჩარჩოც რუსუდანის ნახელავია, — ისევ თბილი, ალერსიანი ხმით თქვა შადიმანმა.

შემრცხვა და გავწითლდი. ვიგრძენი, რომ სიწითლე მარტო სახეზე კი არ მომედო, მთელს სხეულზე, ლოყები მიხურს და მცხელა, და დედაჩემის პორტრეტიდან რუსუდან დიასამიძის თვალები შემომცქერის, თითქოს მიღიმის რუსუდანი, ოდნავ გაღებული ბაგეებით და სიხარულიანი თვალებით მიღიმის და რუსუდანის მოღიმარ თვალებშიც სევდა შეყუჟულა, გულის სიღრმიდან გამოუყონავს სევდას და ცდილობს თვალების უპეებში მიიმალოს.

— თქვენ ხვალ დაიწყებთ მუშაობას, ეკა, — შინაურული კილოთი თქვა შადიმანმა, — ჩემი პასუხისათვის არ დაუცდია, ადგა და ოთახიდან გავიდა.

სახტად დავრჩი.

ისეთი კილოთი მითხრა ხვალ დაიწყებთ მუშაობასო, უარს ვერ ვეტყვი...

და დედაჩემსაც უხარია ჩემი სკოლაში დაბრუნება, აბა, ერთი შეხედეთ და დაინახავთ, როგორადაც უხარია, ახლა უფრო ხალისიანად მეღიმილება, ბაგეებიც უფრო გაეხსნა და თითქოს თვა-

ლების უპეებში შემალული სევდაც სადღაც გამქრალა.

სულში სიმშვიდე ჩამისახლდა, ამიმსუბუქდა გული, მარტო გული კი არა, მთელი სხეული ამიმსუბუქდა, ლოყებიდან სიწითლე გამიქრა, თვალებზე თბილი, სიხარულის ძალიან თბილი ცრემლი მომადგა, მაგრამ ცრემლი თვალებშივე შევიკავე და არ ავტირდი. არა, არ ავტირდები, ხვალ დავუბრუნდები მე სკოლას, მე ეს მახარებს, დედაჩემსაც, ძალიან უხარია ეს, ამიტომაც მეღიმილება და მეც გავუღიმე დედაჩემს; — კი, დედი, ხვალ ყველაზე ადრე მე მოვალ სკოლაში, ყველას დავასწრებ სკოლაში მოსვლას, თუმცა შენ ვერა... ადრიანად მოსულსაც აქ დამხვდები, დედაჩემო.

— მაპატიეთ, მარტოდ რომ დაგტოვეთ, — თქვა კაბინეტში შემობრუნებულმა შადიმანმა და წინ ორი საკლასო ჟურნალი დამიდო.

— კლასები შეგშლიათ, ბატონო შადიმან, — მობოდიშებით ვთქვი მე და საკლასო ჟურნალები შადიმანისკენ გავწიე.

— ვითომ შემეშალა? — გაიკვირვა შადიმანმა, — ჟურნალებს დააცქერდა, მერე ოდნავ გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— მეცხრე და მეათე კლასის ჟურნალებია, ბატონო შადიმან, — ღიმილითვე მივუგე მე.

— სწორედაც ეგ გახლავთ.

— ამ კლასებს დედაჩემი....

— დიახაც ვიცი, — შემაწყვეტინა შადიმანმა, — ვიცი, როგორ არ ვიცი. მეცხრე-მეათე კლასებს დიდი ეკატერინე რომ ასწავლიდა! ჰოდა, დედათქვენს თქვენ შეცვლით...

— დედაჩემს მე შევცვლი? — ძალიან გავიკვირვე მე.

— დიახაც, თქვენ შეცვლით! სხვამ რატომ უნდა შეცვალოს? განა თქვენ არ შეგიძლიათ დედათქვენის შეცვლა? არაო, რომ მითხრათ, ვერ დაგერწმუნებით, — დაბეჯითებით თქვა შადიმანმა, საკლასო რვეულები ისევ წინ დამიდო და დაუმატა.

— შინ წაიღეთ და გადაათვალიერეთ, ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგექმნებათ კლასებზე... მეათე კლასის დამრიგებელიც თქვენ იქნებით.

მე ავდექი.

— ვიცი, რომ მძიმე კლასია, მე შეგეშველებით.

ისეთი ტონით მელაპარაკება შადიმან შარანგია, ვერაფერზე უარს ვერ ვეუბნები. ეს ტონი არც ვედრებითია და არც მბრძანებლური, ორივეს კი შეიცავს და უმალვე გარწმუნებს, ეს საქმე ასე უნდა გაკეთდეს. მე ეს ბევრჯერ ავწონდავწონე და საქმისათვის ასე აჯობებსო.

— არ დაგავიწყდეთ, ეკა, ხვალ პირველი გაკვეთილი მეათე კლასში გაქვთ, — თქვა შარანგიამ, კაბინეტის კარამდე მომაცილა და ხელი მაგრად ჩამომართვა.

სკოლის ეზოდან გამოვედი და ზარიც დაირეკა. ნაბიჯს ავუჩქარე, პალტოს საყელო შეხსნილი მაქვს, სანისლედან ცივი ნიავი ჰქრის და მაინც არ მცივა.

მთაზე აქა-იქ დევს თოვლი, წელს საერთოდ თბილი ზამთარია ხემაღალაში, ნოემბრის მიწურულში კი მოთოვა ხვავრიელად, ის იყო და ის, და აგერ ახლა, ნაახალწლევს კიდევ ჩამოთოვა ცოტა, ისე ცოტა, სახლების სახურავებზე ძლივს მოიკიდა ფეხი თოვლმა. ჰო, თოვლის ნაფლეთებს ვადგამ ფეხს და ჩემი ნაკვალევი არ აჩნდება, სკოლისკენ რომ მოვდიოდი, ვითომ მოყინულიც კი იყო ეს თოვლის ნაფლეთები და მაშინ კი აჩნდებოდა ჩემი ნაკვალევი, ეტყობა, ძალიან ამიმსუბუქდა სხეული.

ჩემს სახლამდე მოვედი და სრულიადაც არ ვარ დაღლილი.

ჭიშკართან ძელსკამზე შევდექი და მეურნეობის კანტორას გავხედე. კანტორას ეტყვიან, თორემ დიდი და ნათელი სამსართულიანი შენობაა და ვრცელი, ძალიან ვრცელი ეზო აქვს. შენობის მეორე სართულზე, აღმოსავლეთით, ჭანაპირა ოთახში, პირდაპირ ჩემსკენ რომ იხედება, გულასპირი ზის, საანგარიშოს აჩხაკუნებს, ეწევა „პრიმას“ და ხანდახან გამიხსენებს მე. —

„სახლში მარტოა პატარა ეკა, მარტოდ-მარტო ზის ბუხართან, ქსოვს წინდას და... ცოდოა, პატარა ეკა!“.

დიდი ოთახი, გულასპირის ოთახს გვერდით რომ აკრავს, დირექტორის კაბინეტი გახლავთ.

სამუშაო მაგიდას უზის რევაზ ჩაფიჩაძე, მაგიდაზე მეურნეობის დიდი დავთარი უდევს, ფურცლავს და უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავს... ჰოდა, ახლა გულასპირი შევა დირექტორთან, ერთმანეთს მიესალმებიან, რევაზი სიგარეტს შესთავაზებს გულასპირს, მაგრამ გულასპირი არ გამოართმევს, „პრიმა“ მირჩევნიაო, ეტყვის და რევაზის გვერდით დაჯდება.

— რა ამბავია თბილისში? — ჰკითხავს გულასპირი.

მე ვიცი, თბილისიდან ჩამოსულ რევაზს ყოველთვის ასე ეკითხება გულასპირი.

— ჩვეულებრივი...

— რუსუდანი? თათია?

— კარგად არიან. ჩვენთან რა არის ახალი?

— როგორც იქნა, სკოლას დირექტორი....

— ვიცი, — შეაწყვეტინებს რევაზი, — შადიმან შარანგია.

— იცნობ? — ჩაჰკითხავს გულასპირი და თვალებში შეაცქერდება.

— ვიცნობ, კარგახანია ვიცნობ, ჩვენთან სხვა არაფერი?

პაუზა.

— არაფერი. — იტყვის გულასპირი და ადგება.

გულასპირმა ისიც იცის, რომ რევაზის ცოლისძმა ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ ამას არ ეტყვის, ეგებ ეუხერხულოს რევაზ ჩაფიჩაძეს და ამის გამო არ ეტყვის.

სხვა რამეც მოხდა, მაგრამ გულასპირმა არ იცის და რევაზი კი არ უმხელს: გუშინ რევაზ ჩაფიჩაძემ თბილისიდან დედაჩემის სურათი ჩამოიტანა. ის სურათი რევაზის მეუღლემ ქალბატონმა რუსუდანმა დახატა. გუშინვე, საღამოს, რევაზ ჩაფიჩაძემ, შადიმან შარანგიამ და ზვიად დიასამიძემ დედაჩემის სურათი სკოლის დირექტორის კაბინეტში დაჰკიდეს.. მე კი გუშინ არ გამიმხილეს, ვერ ამიხსნია კი რატომ.

დღეს დილით რაც მოხდა, არც გულასპირმა იცის და არც რევაზმა. რომ იცოდნენ, დარწმუნებული ვარ, ახლავე მოვიდოდნენ ჩემთან, მომილოცავდნენ, მომიწონებდნენ და გამამხნევებდნენ — აბა, შენ იცი, ეკა, არ შეარცხვინო დიდი ეკატერინეს სახელიო. ჰო, გულასპირმა და რევაზმა ჩემი ამბავი არ იციან, სხედან ოთახში, სიგარეტს ეწევიან და უხალისოდ საუბრობენ.

...ეზოში შევედი, ოდა სახლი ხალისიანი მეჩვენა და კიბე ავირბინე. დედაჩემის ოთახში შევედი, ბუხარში ცეცხლი გავაღვივე და დედაჩემის სამუშაო მაგიდას მივუჯექი.

დედაჩემის საკლასო ჟურნალები...

ახლა ეს ჟურნალები ჩემს წინ დევს და ეს ჟურნალები ჩემია.

ვფურცლავ სათუთად, ძალიან მორიდებით ვფურცლავ.

მოსწავლეთა სახელი და გვარი რამდენჯერმე გადავიკითხე, უმრავლესობას მე კარგად ვიცნობ, მე მათ ვასწავლიდი მეხუთე-მეექვსე კლასებში.

ხვალ დილით მეათე კლასში პირველ გაკვეთილზე შადიმანი შემყვება და მოწაფეებს ჩემს თავს წარუდგენს...

უცებ დაღლა ვიგრძენი.

შუადღეც არ მეგონა და დაღამებულა, ბუხარში ცეცხლი მინავლულა.

ლოგინი გავშალე და დავწექი.

ხვალ ყველას მივასწრებ სკოლაში... არა, დედაჩემს ვერ მივასწრებ, ახალგათენებულზეც რომ მივიდე, დედაჩემს ვერ მივასწრებ. დედაჩემი სკოლაში დამხვდება.... ჰო, დედაჩემი მელოდება და მიტომაც სხვებზე ადრე მივალ სკოლაში და კლასში შესვლამდე დირექტორის კაბინეტში შევალ, შადიმან შარანგია კაბინეტში იქნება. მაგრამ ჩემს მისვლას არ გაიკვირვებს, მე დედაჩემის სურათს შევხედავ, დამინახავს დედაჩემი, ზავეებს უფრო გახსნის და თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულიანი თვალებით გამიღიმებს, მეც გავუღიმებ დედას და მეათე კლასში თამამად შევალ...

VI

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის რომ აუცილებელია სისტემატური ფიზიკური ვარჯიში, ეს ჯერ კიდევ ეპიკურემ და დემოკრიტემ დაამტკიცოსო, — ბრძანა ზვიად დიასამიძემ. ფიზიკური კულტურაო, ყველა მეცნიერების ფუძეთაფუძეც გახლავთო, პედაგოგიკაც და კოსმონავტიკაც დიახაც რომ ფიზიკურ კულტურას ეფუძნებაო, პედაგოგები ბრძანდებით და ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში რომ არისო, ვერც სოფლის მეურნეობა, ვერც მრეწველობა, მეცნიერების და ტექნიკის ვერც ერთი დარგი, უფიზკულტუროდ, ნაბიჯსაც ვერ წადგამს წინო, ასეო და ისეო, და რაღა ბევრი გავაგრძელო, იმდენი გვიქადაგა, ყველა მასწავლებელი აგვავარჯიშა.

კიდევ კარგი, მარტის მიწურულამდე, სპორტულ დარბაზში გვამეცადინებდა და ვერავინ ხედავდა ჩვენს სასაცილო ვარჯიშს.

პირველი გაკვეთილი არასოდეს დამავიწყდება.

სიმაღლის მიხედვით გაგვამწკრივა ორმოცდაორი ქალი და გვიბრძანა, რიგზე გაითვალეთო — გავითვალეთ. მერე სმენაზე დაგვაყენა, მოგვიახლოვდა და მთელი მწკრივი აიარ-ჩაიარა, მერე მოშორებით დადგა და ისევ საგულდაგულოდ გახედა მწკრივს.

— ქალბატონო მარიამ, აი თქვენ, მეთერთმეტე ნომერი, ცოტა მოშვებულად დგეხართ, მხრები გაშალეთ და გულმკერდი წინ წამოსწიეთ!

გეოგრაფიის მასწავლებელს, ქალბატონ მარიამს ცოტა არ იყოს, აღულუნებული გულმკერდი აქვს და ყოველთვის ცდილობს მამაკაცის თვალს მოარიდოს.

— კიდევ უფრო გაშალეთ მხრები, — ბრძანებასავით თქვა ზვიად დიასამიძემ, — არაფერი გვაქვს დასამალი. აქა-იქ ჩავიცინეთ.

— სასაცილო არაფერია! — ცივად თქვა დიასამიძემ, — თქვენ კი, ამხანაგო ეკა, — მომმართა მე და ამხედ-დამხედა, — ფეხები გაჩაჩხული გაქვთ, ფეხების ასე გადგმა უხერხულია, მით უფრო ქალისათვის.

გავწითლდი და ფეხები ერთმანეთს მივუახლოვე.

ზვიად დიასამიძემ ცოტახანს მიყურა, მერე მომიახლოვდა, დაიხარა, მუხლებს ქვემოთ მომკიდა ხელები და ჩემი ფეხები ერთმანეთს მიატყაპუნა. უკან დაიხია და ისევ შემომაცქერდა.

— ასე დგომა შეგიძლიათ?

— შემიძლია, — მორცხვად ვთქვი მე.

— თქვენ სწორი ფეხები გაქვთ, ისე კი იდექით, მეგონა, მოღუნული ფეხები გქონდათ... ქალი ყოველთვის უნდა ეცადოს, კოხტად დადგეს და სიარულის დროსაც მოკლე ნაბიჯებით იაროს, ჯერ კიდევ არისტოტელეს უბრძანებია, ქალის სიარული თავისებური ხელოვნებააო, ზოგიერთი თქვენგანი კი, მაპატიეთ და, მანდილოსანისათვის შეუფერებელი გრძელი ნაბიჯებით დაიარება. აბა, შემხედეთ, ლამაზია?

და ზვიად დიასამიძემ შარვლის ტოტები მუხლებამდე აიკაპიწა, კისერი მოიღერა, მკერდი წინ წამოსწია, ვითომ ქალივით გაიღიმა და გრძელი, ძალიან გრძელი ნაბიჯებით გაალაჯა.

მართლაც სასაცილო იყო და ჩვენ ავხარხარდით. ზვიად დიასამიძემაც ვერ შეიკავა თავი და გულიანად გაიცინა.

— ახლა ყველანი სწორად დგახართ, — თქვა და მწკრივი აათვალიერ-ჩაათვალიერა. — სხვათაშორის, უნდა გაგიმხილოთ, რომ ქალის ორგანიზმი დიდად ჩამორჩება მამაკაცის ორგანიზმს, ამის მიზეზი გამორკვეულია და დადგენილი: კუნთები ქალების სხეულის წონის ოცდასამ პროცენტსაც ვერ აღწევს, მამაკაცების სხეულში კი ორმოცდახუთ პროცენტსაც აჭარბებს, ამიტომაც ქალებს მეტი ვარჯიში გმართებთ... ჯერჯერობით მსუბუქად ვივარჯიშებთ: ადგილზე სიარული, განმკლავი, წინმკლა-

ვი, ზემკლავი, მერე სამჯერ შემოვუვლით დარბაზს ცოტა ჩქარი ნაბიჯებით და თუ შევძელით, წავიძუნძულებთ. ვივარჯიშებთ თხუთმეტ წუთს. ეს პირველ დღეებში, მერე თანდათან გავართულებთ ვარჯიშს. ახლა კი დავიწყოთ.

ავაბაკუნეთ ფეხები, მერე განზე გავაშლევინა მკლავები, მერე წინ, მერე ზევით, სამჯერ შემოვუარეთ დარბაზს ჩქარი ნაბიჯებით და ცოტა კიდევაც წავიძუნძულეთ.

კმაყოფილი, ძალიან კმაყოფილი დავრჩით.

— ერთი ათი დღის შემდეგ, ფეხების მეტი გავარჯიშება მოგვიწევს, აი ასე, შემომხედეთ, — და ზვიად დიასამიძემ ჯერ მარცხენა ფეხი გადადგა განზე, მერე მარჯვენა, მერე შეაერთა და მარცხენა ფეხი ასწია მაღლა, მერე მარჯვენა, მერე ფეხები ერთმანეთს მიატყუპა, დაიხარა და ხელის თითებით ფეხის წვერებს დასწვდა. ასეთი ვარჯიშისათვის კაბები არ გამოგვადგება, ყოველ შემთხვევაში ხელს ძალიან შეგვიშლის და გთხოვთ სპორტული კოსტუმები შეიკეროთ, თუ თქვენ ვერ მოახერხებთ შეკერვას და მოქსოვას, თქვენი ზომები მიბოძეთ და თბილისიდან ჩამოგიტანთ.

მეორე დღესვე ჩვენი კოსტიუმების ზომები ჩავაბარეთ ზვიად დიასამიძეს და ერთი კვირის შემდეგ ყველას თეთრკანტიანი იისფერი კოსტუმი გვეცვა ფეხზე, — თეთრი კედები.

თავდაპირველად გვეუხერხულა სპორტული კოსტუმები, ზოგს თეძოები ზედმეტად გამოსკვანჩული უჩანდა, ზოგს ბარძაყები, ზოგსაც გულმკერდი, მაგრამ მალე ისე შევეჩვიეთ, ვარჯიშის დროს კი არა, შინმობრუნებულნი უმალვე ვიხდიდით კაბებს და სპორტულ კოსტუმებს ვიცვამდით.

აპრილი დადგა და სკოლის ეზოში გაგვიყვანა სავარჯიშოდ. საგანგებოდ დილაადრიან მოსული მოწაფეები გვიცქეროდნენ და ხშირად სიცილი წასკდებოდათ ჩვენი მიერ უხეიროდ შესრულებულ ილეთებზე, მაგრამ მათ დაცინვას არ ვთაკილობდით, ჩვენც გულიანად ვიცინოდით და ვაგრძელებდით ვარჯიშს.

მერე ფრენბურთის თამაში შეგვასწავლა ზვიად დიასამიძემ. ასე თუ ისე, რომ ვისწავლეთ, შადიმან შარანგიაც შემოგვიერთდა, ერთ გუნდში შადიმანი თამაშობდა, მეორეში ზვიადი და ისე გაგვიტაცა ფრენბურთმა, ხშირად სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგაც ვრჩებოდით სათამაშოდ.

ასე აგვათამაშა და გაგვახალისა მასწავლებლები ზვიად დიასამიძემ. თუმცა მარტო მასწავლებლები რატომ?

სკოლაში: ფიზკულტურის გაკვეთილები, სხვა გაკვეთილებზე უფრო შეაყვარა მოწაფეებს, ეს სირბილი და სიმაღლეზე ხტომაო, ეს ტანვარჯიშიო, კალათბურთიო, ჩოგბურთიო, ფრენბურთიო, უმთავრესი კი, რასაკვირველია, ფეხბურთი გახლავთ. ბიჭები ხომ გიჟდებიან ფეხბურთზე და ზვიადმა ჩვენს სკოლაში ფეხბურთის ხუთი გუნდი შექმნა, მაგრამ არა თუ ოროსნები, სამოსნებიც კი სათოფეზე არ გააკარა ბურთს და შედეგმაც მალე იჩინა თავი.

სოფელში: ახლა ყველა მამაკაცი ბურთს თამაშობს ხემალალში, ეზოებში გზისპირა მინდვრებზე, საჯარისოზე, სტადიონზე ბურთს თამაშობენ ბავშვები, მოზარდები, ჭაბუკები, სიბერეს მიტანებულნი და... ქალიშვილებიც. დიახაც თამაშობენ ქალიშვილები, თეთრი ტრუსები და ნომრებიანი მაისურები აცვიათ და ნამდვილ ფეხბურთს თამაშობენ.

მეურნეობის დირექციის და ლაბორატორიის თანამშრომლებსაც ჩვენსავით ავარჯიშებს ზვიად დიასამიძე, საექიმო პუნქტის, ფოსტის, პურსაცხობის, სოფლმაგის თანამშრომლებსაც ავარჯიშებს და დიასახლისებს კიდევ ცალკე. მას ბევრი ასისტენტი და თანაშემწე ჰყავს. არა მგონია, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს ჰყავდეს ამდენი თანაშემწე. ზვიად დიასამიძის მთავარი საზრუნავი მაინც ჩვენი სოფლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდია — „სატეველა". „სატეველაში" ძირითადად მეურნეობის შოფრები და ტრაქტორისტები თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშობენ. ვარჯიში თებერვალში დაიწყო „სატეველამ“ და აპრილში პირველივე შეხვედრა მოუგო ითხვისის „ვაზს“, ისიც ითხვისის სტადიონზე. მატჩის საყურებლად მთელი ხემაღალი ჩავიდა ითხვისში. ორმოცდაოთხ საბარგო მანქანაზე შეჯდა ხემაღალი და ითხვისს ეწვია, გაიმარჯვა და სიმღერა-სიმღერით დაბრუნდა შინ. მომავალ კვირას ითხვისის „ვაზი“ გვეწვევა ხემაღალში და ზვიად დიასამიძე დიდ ფაციფუცშია.

ჯერჯერობით შორი გზით კი დავიარებით ერთმანეთთან ხემაღლელები და ითხვისელები, ისე კი სულ ექვსიოდე კილომეტრით ვართ დაშორებული. ჯერ მოტეხილამდე ჩავდივართ ხემაღლელები, მერე ხერგა-ითხვისის გზატკეცილით ავდივართ ითხვისში. ითხვისელებიც ასე ამოდიან ჩვენთან. ახლა ითხვისის და ხემაღალის გზას — უმოკლესი გზა გაჰყავს და ძალიანაც დაუახლოვდებით ერთმანეთს. ამ საქმას მოთავე კონსტანტინე კაკუბერი გახლავთ და ერთხელ ხუმრობით უთხრა რევაზ ჩაფიჩაძემ კაკუბერს, — ბატონო კონსტანტინე, ეს გზა იმიტომ გაგყავთ, რომ ითხვისის ღვინის ქარხანა უქმად არ იდგეს, დარწმუნებული ბრძანდებით, ხემაღალი იმდენ ყურძენს მოიწევს, ვერავინ მოახერხებს ითხვისში მისი ზურგით ჩამოზიდვასო. — კონსტანტინემ ბევრი იცინა და მერე გადმოჰკრა, — გულჩათხრობილი კაცი ხარ, რევაზ, ადამისდროინდელი ცოდვა შემახსენეო...

...იმ დღეს მთელი სოფელი სტადიონზე ვიყავით.

— მასწავლებლები აუცილებლად წამოიყვანე, — მთხოვა ზვიად დიასამიძემ — სიურპრიზს გიმზადებთო.

მე კი ზვიადის საიდუმლო კარგახანია ვიცი: ქალიშვილთა ფეხბურთის ორი გუნდი შექმნა ზვიადმა და ნამალევად სოფლის ბოლოში, სატეველასთან ახლოს, თვალისგან მოფარებულ მინდორზე-ავარჯიშებს. მე ამ გუნდების სახელებიც ვიცი: დირექციის და ლაბორატორიის თანამშრომელთა გუნდს „ოცნება“ ჰქვია, ხოლო ჩვენი სკოლის გოგონათა გუნდს — „მერცხალა“ და „ითხვისის „ვაზისა“ და ჩვენი „სატეველას“ მატჩის დაწყებამდე ზვიადი „ოცნებას“ და „მერცხალას“ შეაჯიბრებს ერთმანეთს.

ჰო, მთელი ხემაღალი სტადიონზე ვართ. არც ერთი შვილიშვილი, ბებია და ბაბუა არ დარჩენილა შინ. მე კესარიას და გულასპირის გვერდით ვზივარ. ხერგადანაც ჩამოვიდნენ ფეხბურთის მოყვარულნი, ითხვისელები ხომ ჩამოვიდნენ და ჩამოვიდნენ, აქაოდა, ხემაღალელებს რითი ჩამოუვარდებითო და ორმოცდაათი მანქანით გვეწვივნენ ითხვისელები.

ნამდვილი ზეიმი იყო სტადიონზე.

ჩართეს რადიო და რეპროდუქტორებში ზვიად დიასამიძის ბოხი ხმა გაისმა. ჯერ სტუმრებს მიესალმა ზვიადი, ცხადია, ხემაღალელთა სახელით. ძალიან კარგიაო, ბრძანა ზვიად დიასამიძემ, ჩვენს სოფლებში ასე რომ მოიკიდა ფეხი ფიზიკურმა კულტურამო, შექო ითხვისელები, ითხვისელი ფიზკულტურელები, ითხვისის სტადიონი და მაყურებელი.

ბოლოს სურპრიზი: ევროპის ქვეყნებშიო, — ბრძანა ზვიად დიასამიძემ, — ინგლისშიო, იტალიაშიო, საფრანგეთშიო, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაშიო, ლათინური ამერიკის ქვეყნებშიო და კიდევ სხვაგან და სხვაგანო დიდი ხანია ქალები თამაშობენ ფეხბურთსო. ლამაზადაც და ტექნიკურადაც თამაშობენო, ქვეყნის პირველობაზე და თასზედაც კი ეცილებიან ერთმანეთს და ღმერთო კი მომკალიო, როდის იყოო, რომ ქართველი ქალები და ქალიშვილები რომელიმე ქვეყნის ქალებს და ქალიშვილებს ჩამორჩებოდნენო, პირიქითო, ქართველი ქალები და ქალიშვილები ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ სხვა ქვეყნის ქალებისა და ქალიშვილებისათვისო. კდემამოსილებაო, გონიერებაო, რაინდობაო, სამშობლოსათვის თავგანწირვაო, ცხენით ჯირითიო, შვილდ-ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ტყორცნათ, ესათ და ისათ და... ჩვენ, ხემადლელებმა უკვე ჩამოვაყალიბეთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის გუნდები და შეჯიბრებაში ითხვისელებს ვიწვევთო და ეს რომ უკვე მომხდარი ფაქტია, ამას ახლავე დავადასტურებთო. „ვაზის“ და „სატეველას“ მატჩის დაწყებამდე ჩვენი ქალთა ორი გუნდი — „ოცნება“ და „მერცხალა“ საჩვენებელ თამაშს ჩაატარებენო.

რეპროდუქტორები ჩაჩუმდა, მსაჯის ფორმაში გამოწყობილმა ზვიად დიასამიძემ სტადიონის შუაგულს მიაშურა და დაუსტვინა. მაყურებელთა ტაშის ქუხილში შემოირბინეს „ოცნებასა“ და „მერცხალას“ მოთამაშეებმა სტადიონზე, მერე მსაჯის ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ გამწკრივდნენ, უყარეს კენჭი, სათამაშოდ განლაგდნენ, ისევ დაუსტვინა ზვიადმა და თამაშიც დაიწყო — და თამაშის დამთავრებამდე ტაშის ქუხილი და შეძახილები არ შეწყვეტილა...

...წისქვილში საფქვავი მქონდა დატოვებული და სტადიონიდან წისქვილში წავედი. უთუოდ, ძია როსტომიც სტადიონზე იყო, მაგრამ არ ამხელს, ახლა იფქვის ჩემი საფქვავი. ვიცი, ქალების ფეხბურთი არ მოეწონებოდა ძია როსტომს და გულმოსულია. მალე ჩამოიფქვა ჩემი საფქვავი, ნაკრაულა ამოვიღლიავე და ნელი ნაბიჯებით წამოვედი.

საჯარისოზე შევისვენე, ჩამავალ მზის სხივებში, როგორც ყოველთვის, ნაირფერად ელავდა სანისლეს ქედი.

თავსაბური მოლზე დავიფინე, დავჯექი და სანისლეს გავუსწორე თვალი.

ნაბიჯების ხმა შემომესმა. გავიხედე, რევაზ ჩაფიჩაძე მოდიოდა ჩემსკენ.

რატომღაც არ გამკვირვებია.

მომიახლოვდა და ჩემს გვერდით მინდორზე დაჯდა.

-- სტადიონზე იყავი, ეკა? — მცირე ხნის შემდეგ მკითხა რევაზმა.

მე არაფერი მივუგე.

— უცნაური სილამაზეა, — თქვა რევაზმა და მარცხენა ხელი სანისლეს ქედისკენ გაიშვირა.

— ეგ სიტყვები...

— შესაძლოა, — შემაწყვეტინა რევაზმა, — მე ყველას ვეუბნები ამას... თუ დრო მაქვს და ასეთი საღამოა, აქ მოვდივარ, ბალახებში ვჯდები და სანისლეს ქედს გავცქერი. დააკვირდი, ქედის ქიმი მოვერცხლილია, იქვე, ოდნავ ქვემოთ, უკვე სხვა ფერია, კიდევ ოდნავ უფრო დაბლა, უკვე მოლისფერი, უცნაურია მართლაც.

პაუზა.

— ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა! — ცივად ვთქვი მე, თვალი გავუსწორე რევაზს და არ გავწითლებულვარ.

— რა უნდა დამთავრებულიყო? — ვითომ გაიკვირვა რევაზმა, თვალებში ღრმად ჩამხედა და დამცინავად გაიღიმა.

პაუზა.

— მაინც რა? რა დამთავრდა? — ჩამკითხა რევაზმა.

სახეზე დავაკვირდი. უცხოდ მეჩვენა, პირველად მეჩვენა უცხოდ რევაზ ჩაფიჩაძე და შიში ჩამეჭრა გულში და გული შემეკუმშა. — მე ყოველთვის ცალკე ვიყავი, ეკა, და შენც ყოველთვის ცალკე იყავი, — მეუბნება რევაზ ჩაფიჩაძის სახე მე. მერე სახე შეეცვალა რევაზს, მოსიყვარულე, ალერსიანი და სევდიანი გაუხდა სახე, დამცინავი ღიმილიც გაეცალა ტუჩებს და სევდიანი ხმით მეუბნება მე:

— დაუქმებულ სოფელში ცხოვრობდი, ეკა, მარტოდმარტო იყავი შენ და აი, მე მოვედი, შენზე ხნიერი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა და შენმა გულმა იფეთქა. მე ეს მაშინვე ვიგრძენი, ეკა!

მე გულში: „ნამდვილს მეუბნება რევაზ ჩაფიჩაძის სახე. მე ხელახლა დავიბადე, მეოცნებე გავხდი, ოცნებას კი მსუბუქი და ძლიერი ფრთები აქვს, შორს გამაფრინა ოცნებამ“.

უთქმელად ვზივართ. ისევ ვაკვირდები რევაზის სახეს, ალერსიანს და მოსიყვარულეს და ეს სახე ისევ ნაღვლიანის ხმით მეუბნება მე:

— ვფიქრობდი, დრო გაივლის და ეს



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ...

გატაცება გაუნელდება ეკას, მაგრამ მე მოვტყუვდი, შენ უფრო მომენდე და შემიყვარე, მე შემეშინდა და განგერიდე...

მე გულში: „ეგეც ნამდვილია, თანდათან მივხვდი, ფუჭი იყო ჩემი ოცნება, მაგრამ მე მაინც მიყვარდი: გაკვეთილს ვუხსნიდი მოწაფეებს და შენი სახე მედგა თვალწინ, წისქვილში მიმქონდა საფქვავი და ჩემს გვერდით შენ მოაბიჯებდი, ლოგინში ჩაწვებოდი და დიდხანს, ძალიან დიდხანს გეჩურჩულებოდი... ახლა ეს წარსულს ეკუთვნის და ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია...“

სიტყვაუთქმელად ვისხედით ბალახებში, შევცქეროდით სანისლეს ქედს და ჩამავალ მზეს.

მზე რომ ამოეფარა სანისლეს, გრილმა ნიავმა დაჰქროლა, მე შემცივდა და ავდექი. რევაზიც ადგა.

— მშვიდობით, — ვთქვი მე, ნაკრაული ამოვიღლიავე და წამოვედი.

— ნახვამდის, — თქვა რევაზმა.

მსუბუქი, ძალიან მსუბუქი ნაბიჯებით გამოვეშურე შინ. გულიც ამიმსუბუქდა, თითქოს მძიმე ნაღველი მოეცალა ჩემს გულს.

გავხედე. მსუბუქი ნაბიჯებით მიდიოდა რევაზ ჩაფიჩაძე.

VI

დღეიდან საზაფხულო არდადეგები დაგვეწყო.

მე ხვალ თბილისში მივდივარ და ხვალვე მე დედა გავხდები, ვაჟიშვილის დედა.

თბილისში რომ მივდივარ, არავისთვის გამიმჟღლია, არ მინდოდა თქვენთვისაც გამემხილა, მაგრამ ეტყობა, ჩემს სიხარულს უკვე ვეღარ ვმალავ და ეგ არი.

პირველი რეისის ავტობუსს გავყვები და პირველი რეისის ავტობუსი დილის ექვს საათზე გადის, ხანდახან კი აგვიანებს წასვლას, მაგრამ ხვალ ზუსტად ექვს საათზე დაიძვრება და ისეთი სიჩქარით გაქანდება, მგზავრები იფიქრებენ, მიფრინავსო.

მე შოფერს არაფერს ვეტყვი, ის კი თვალებში ჩამხედავს და მიმიხვდება, რომ საშურ საქმეზე მივდივარ და სიხარულისგან გული მიფართქალებს და ფრენა-ფრენით გააქროლებს ავტობუსს, მგზავრებს კი შეეშინდებათ, მაგრამ ჩემის ხათრით არაფერს იტყვიან, პირიქით, თავს ისე დაიჭერენ, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყოს, თითქოს ყოველთვის ასე მიფრინავდეს ხემალალიდან ხერგაში მიმავალი ავტობუსი.

სატეველას ხეობა რომ მოთავდება, მოტეხილს რომ გავცდებით და სწორ გზაზე გავალთ, შოფერი ერთხელ კიდევ ჩამხედავს თვალებში და სისწრაფეს მოუმატებს.

დროზე ადრე ჩავალ ხერგაში, სადგურის ბაქანზე აწრიალებული ვივლი და, აჰა, შეხედეთ, ქუთაისიდან თბილისში მიმავალი მატარებელი დროზე ადრე ჩამოდგება ხერგას სადგურში, ჩავჯდები თუ არა მატარებელში, ელმავალი მიაკივლებს და უმალვე დაიძვრება. დაიძვრება რომელია, კისრისტეხით გაქანდება. უთუოდ მეელმავლემ დამინახა, როგორ ვწრიალებდი ბაქანზე, მიმიხვდა, ძალიან მიმეშურება და მატარებელი კი არ წაიყვანა გააფრინა.

მატარებელი გრაფიკს დაარღვევს და დროზე ადრე ჩამიყვანს თბილისში,

მე უკვე მანქანაში ვზივარ და მანქანა კოჯრის გზაზე მიმაქროლებს და ვუახლოვდები ჩემი ვაჟიშვილის სახლს. ვუახლოვდები კი არა, უკვე მივედი.

რკინის ღობით შემოღობილი ვრცელი ეზო.

ეზოს შუაგულში ორსართულიანი თეთრი სახლი.

ჭიშკართან სახლამდე ჭადრების ხეივანი.

მზე საშუადღეოზეა, მაგრამ ხეივანი მაინც ჩრდილშია, აქაურ ჭადრებს ძალიან ფართო ფოთლები ჰქონიათ.

მანქანას ჭიშკართან ვტოვებ და მე ხეივანში გავრბივარ, აჰა, ეს სახლიც!

ამ სახლში ჩემი ვაჟიშვილი ცხოვრობს, მას ელმასხანი ჰქვია და მისი გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი... ჰო, მისი გვარი ხიდაშელი გახლავთ!

...სკოლაში მუშაობის დაწყებამდე მე ერთი ღამეც არ დავრჩენილვარ მარტოდ. დუდუხანა, კოკი და ასმათი მორიგისად წვებოდნენ ჩემს სახლში და მათ ისე შევეჩვიე... ჰო, ისე შევეჩვიე, თითქოსდა ჩვენ ერთი ოჯახი ვიყავით და ნამდვილადაც ასე იყო: ერთად ვსაუზმობდით, ერთად ვახშმობდით და ერთად ვიძინებდით.

მე რომ სკოლას დავუბრუნდი, იმ საღამოს ასმათი გადმოვიდა ჩემსას, წუხელიც ასმათი „მორიგეობდა“ და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— დღეს დედაჩემი აპირებდა მოსვლას. მაგრამ კოკი ყელს იტკიებს და სიცხე აქვს, — ნაღვლიანად თქვა ასმათმა.

— კოკის სიცხე აქვს? ჰო, იმიტომაც არ იყო დღეს სკოლაში, — გავიხსენე მე და ასმათი დავითხოვე.

— დედას მიეშველე, მე უკვე საქმე გავიჩინე, — მაგიდაზე დახვავებულ რვეულებზე მივუთითე ასმათს, — ამაღამ ალბათ ვერც დავიძინებ...

შევატყვე, ასმათს გაუხარდა, კარგიო, თქვა და წავიდა. და ჭიშკრის კუტკარი ხმაურით რომ გაიკეტა, რატომღაც შევშინდი, ძალიან შევშინდი, უმალვე კარებს ურდულები გავუყარე, სინათლე ჩავაქრე და ლოგინში ჩავწექი.

თვალებდახუჭულმა კარგახანს ვიწრიალე ლოგინში, მაგრამ დაძინება ვერ შევძელი, ან როგორ შევძლებდი, როცა ახალი შელამებული იყო.

ავდექი, სინათლე ავანთე, ბუხარში ცეცხლი გავაღვივე, პატარა მაგიდა ბუხართან მივაჩოჩე, რვეულებში კოკის რვეული გამოვარჩიე და გადავშალე, უბრალოდ გადავშალე, წაკითხვის თავი აღარ მქონდა.

მომშივდა, ოდაში არაფერი მქონდა, სამზადში წასვლა კი ვერ გავბედე, პირიქით, კარების ურდულები საგულდაგულოდ შევამოწმე... ჰო, ფანჯრებიც და ფანჯრის დარაბებიც საიმედოდაა ჩაკეტილი. რისი უნდა მეშინოდეს? ვკითხე ჩემს თავს და ვითომ გავიცინე, მაგრამ სიცილი უმალვე მიმეყინა ტუჩზე და შემცივდა. წიფლის ნაპობები შევყარე ბუხარში, მაგიდას მივუჯექი და ისევ კოკის რვეული გადავშალე.

...შარშან, სწორედ იანვრის მიწურულში, ახალ შელამებულზე მე და დედაჩემი ასე ვუსხედით ბუხარს. დედაჩემი წიგნს კითხულობდა. მე ცეცხლს შევცქეროდი და ფიქრში ვიყავი წასული. რომ ვთქვა, ის ფიქრი მახსოვს-მეთქი, სიცრუე იქნება. შესაძლოა, რევაზ ჩაფიჩაძეზე ვფიქრობდი, შესაძლოა... არა, ის ფიქრი არ მახსოვს, დედაჩემის იმღამინდელი საუბარი კი არასოდეს დამავიწყდება.

დედაჩემმა წიგნი დახურა, ბუხრისკენ შემოტრიალდა და ხელი მსუბუქად დამადო მხარზე.

— იცი, რა ბედნიერი ვიქნებოდი ახლა, ეკა, შვილიშვილი რომ მყავდეს? შენც ბედნიერი იქნებოდი, ეკა და შენი შვილიც... გინდ ბიჭი იყოს, გინდ გოგო... ვთქვათ, ბიჭი. რატომ გაიკვირვე? (თუმცა მე არაფერი გამკვირვებია, ისევ ფიქრში ვიყავი წასული და ბუხარში ცეცხლს შევცქეროდი. მეგონა, დედაჩემი ზღაპარს კითხულობდა). ჰო, ერთი წლის ბიჭი.

დედაჩემმა აქანდაზით აშიშინებული წიფლის ნაპობი ჩააჩუმა.

— მაშ, ბიჭი! სახელი რა დავარქვათ? — სერიოზულად მკითხა დედაჩემმა.

— რაც შენ მოგესურვება, — უხალისოდ ვუპასუხე მე.

— მე რაც მომესურვება? — ვითომ გაიკვირვა დედაჩემმა, — მე დავარქმევ... ახლავე, ჰო, ახლავე... მე დავარქმევ სანდროს! კარგი სახელია ალექსანდრე!

მე გავწითლდი და თავი დავხარე.

— მაშ, ჩემს შვილიშვილს ჰქვია სანდრო, იგი უკვე ერთი წლისაა, აგერ კალთაში მიზის, ჭკვიანი ბიჭია სანდრო, გრძნობს, რომ უკვე დაღამდა და მისი დაძინების დრო ახლოვდება. ჰო, გონიერი ბიჭია სანდრიკელა, დაღამდა და

დაიძინებს. სანდრიკელამ იცის, რომ დაძინების წინ მას დავბანთ, მას უყვარს თბილ წყალში ჰყუმპალი და ღუღუნებს სანდრიკელა ღუ-ღუ, ღუ-ღუ...

ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, თითქოს ერთი წლის შვილიშვილი მართლა კალთაში ეწვა და ღუღუნებდა. თვალები ისე უღიმოდა დედაჩემს, აღგზნებული მომეჩვენა და შემეშინდა.

— სანდროს მამა ხომ ჰყავს? ცხადია, ჰყავს. ეკა, რა ჰქვია სანდროს მამას? — მკითხა დედაჩემმა და შვილიშვილი ვითომ ხელებში შეათამაშა, — ჰო, რა ჰქვია სანდროს მამას?

კინაღამ წამომცდა, რევაზი-მეთქი, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დავიჭირე.

პაუზა.

— ეკა, რა ჰქვია შენს მეუღლეს? — ისევ სერიოზულად მკითხა დედაჩემმა

— არ დავწვეთ, დედი? — ბანზე ავუგდე სიტყვა.

— რა დროს ჩვენი დაწოლაა? — შემომიტია, — ჯერ სანდრიკელა დავბანოთ, მერე შენ აკვანში ჩააწვენ სანდრიკელას, ძუძუს მოაწოვებ, იავნანას უმღერებ, დაიძინებს სანდრიკელა და ჩვენ მერე დავწვებით.. რა ჰქვია სანდროს მამას?

— რაც დედაჩემს მოესურვება! — ისევ უხალისოდ ვუპასუხე მე.

— რაც მე მომესურვება? — ჩამკითხა დედაჩემმა და თვალებში ჩამხედა.

მე ისევ გავწითლდი და თავი დავხარე.

— სანდროს მამას მე ვარქმევ...

პაუზა.

— ახლავე დავარქმევ სახელს სანდრიკელას მამას, დიახ, ახლავე! სანდროს მამას ჰქვია... ჰო, შენს მეუღლეს ჰქვია ალმასხანი! ჰო, ალმასხანი ჰქვია სანდრიკელას მამას, კარგი სახელია ალმასხანი, მე მომწონს, შენ?

— კარგი სახელია და მომწონს. — დავუმოწმე მე,

ჰოდა, ახლა ალმასხანი „მზადშია, — დარწმუნებით ამბობს დედაჩემი, — ნაჭაზე ქვაბი ჰკიდია, ქვაბი სავსეა წყლით, დიახაც, რომ სანდროსთვის წყალს აცხელებს ალმასხანი, შენ გამოაღებ კარს და გასძახებ:

— ალმასხან, მოიტა წყალი! — რომ გაიგონოს, შენ ხმამაღლა გასძახებ ალმასხანს, მაგრამ ალერსიანი ხმით.. მეუღლესთან ალერსიანად ილაპარაკებ, ეკა! — (თითი დამიქნია). ალმასხანი გამოგძახებს, ახლავეო, ისიც ხმამაღლა, მაგრამ ალერსიანად გამოგძახებს.

მცირე ხნით დაჩუმდა. მერე ოთახში მიმოიხედა.

— გახედე, ე, იმ კუთხეში (ხელით მიმითითა) ცაცხვის ღრმა გობი დგას, გობი კი არა, პატარა საწნახელი. ჰო, საწნახელისმაგვარი გობი, რად გიკვირს? ძალიანაც ჰგავს ის გობი საწნახელს. გულასპირმა არ მოართვა სანდრიკელას? მოიტა ის გობი და აგერ ბუხართან ახლოს დავდგათ, სულ ახლოს კი არა, აი აქ! — დედაჩემმა დაბალი მაგიდა გააჩოჩა, — კარგია, აი აქ დავდგათ გობი. ახლა ის წყლით სავსე კოკაც მომიტანე. ეგერ კართან დგას. შენ გეუბნები, ეკა, მომიტანე გობი და კოკა.

დედაჩემი წარმოდგენას დგამს, რომელში შევიდა და მეც ამიყოლია.

ავდექი. ჯერ ოთახის კუთხეში მივედი და ვითომ გობი მოვიტანე და იქ დავდგი. სადაც დედაჩემმა მიუჩინა ადგილი. მერე კართან მივედი, წყლით სავსე კოკას დავავლე ხელი, კოკა ვითომ მემძიმა და წვალებ-წვალებით გობს გვერდით ამოვუდგი.

— ალმასხანს კარი გაუღე, ეკა, გესმის მისი ნაბიჯები?

— მესმის, — მორჩილად ვთქვი მე.

— კართან მივედი, კარი გამოვაღე. ალმასხანი შემოვიდა, კარი ისევ მივხურე. ალმასხანმა ვითომ დიდი ქვაბით შემოიტანა წყალი, მე მივეშველე, გობში ჯერ ცხელი წყალი ჩავასხით, მერე ცივით გავანელეთ.. მერე მე ხელი ჩავყავი წყალში.

— ნელთბილია? — მკითხა დედაჩემმა.

— ისეთი ნელთბილი, როგორიც სანდრიკელას უყვარს, — თანდათან მეც შევედი როლში.

— ახლა მე სანდროს ფეხებს ჩავაყოფინებ წყალში, — თქვა და ვითომ სანდრიკელას ტანთ გახადა და ფრთხილად ჩააყოფინა ფეხები წყალში

— ჰო, სანდრიკელა ჭკვიანი ბავშვია, ფეხებით გასინჯავს, როგორია წყალი. როცა დარწმუნდება, ნელთბილია, ჩამომექაჩება, მეუბნება, ჩამსვიო, მე ხელებს შევუშვებ და სანდრიკელა ძუძუკებამდე ჩადგება წყალში და პატარა ხელებს ატყაპუნებს წყალზე, უხარია და ღუღუნებს.

— ნელა, ბიჭო. — შესძახებ შენ, — იატაკი არ დამისველო! სანდრიკელა კი ისევ ღუღუნებს, ხან შენ შემოგცინებს, ხან მამამისს, ხან მე და ხელებს ატყაპუნებს წყალში, იცინის, ჩვენ გვიხარია, შევცქერით სანდროს და ჩვენც ვიცინით.

და დედაჩემმა გულიანად გაიცინა. შემეშინდა, ძალიან შემეშინდა.

— შენ რატომ არ იცინი? — შემომიტია და მეც გავიცინე.

— სანდრიკელას მე დავბან, მე კი არა, შენ დაბან, ეკა! საპონს ხელებში აიქაფებ, საპნიანი ხელებით ჯერ გულმკერდს და ზურგს დაბან, მერე ქვევითქვევით... ჰო, იქაც გულდაგულ გამობან... სანდრო ატყაპუნებს და ატყაპუნებს ხელებს წყალში, საპნიანი წყლის შხეფებით გვასველებს მე, შენ და მამამისს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვწყინს პირიქით, გვიხარია და სანდროს ველიმილებით.

— ამოვიყვანოთ ახლა! — იტყვის ალმასხანი.

— ცოტახანს კიდევ იყვეს, — ვიტყვი მე, — ბანაობა უყვარს სანდრიკელას და თოთო სხეულისათვის მარგებელია ნელთბილ წყალში ბანაობა.

დამიჯერებს. ცოტა ხანს კიდევ იჭყუმპალავებს სანდრო საპნიან წყალში და მერე დედამისი ამოიყვანს, მე აგერ ქვაბში ნელთბილი წყალი მაქვს, გადავავლებ სანდრიკელას, კიდევ გადავავლებ და მორჩა, დაბანილია ჩვენი სანდრო.

დედაჩემი ოდნავ დაიხარა, ზეწარში შეახვია სანდრიკელა, მერე ვითომ ხელებზე დაიწვინა და ხელებით ფრთხილად გააქან-გამოაქანა:

— გესმის, ძუ-ძუ, — იძახის ბავშვი და მოაწოვე ძუძუ, — გეტყვი მე. შენ დამიჯერებ და სანდროს ძუძუს მოაწოვებ. გახალისდება სანდრო და ტიტინებს დე-და, ტატი, მა-მა... მერე მე ძილისპირულს ვუმღერებ სანდროს. არა! მე კი არა, შენ უმღერებ სანდროს იავნანას, დედის გალობა ადვილად აძინებს ბავშვს, ხომ გახსოვს, სანდრიკელას ხელა რომ იყავი...

— მახსოვს, — ვთქვი მე და შიშმა ამიტანა, — ასე არასოდეს დაცემულა დედაჩემი ქადაგად.

— არაფერიც არ გახსოვს, ცრუობ! — მაგრად შემომიტია, — გამომიხვედი ახლა შენ გენიოსი!... მერე უცებ დაუდაბლა ხმას, ჩურჩულზე გადავიდა, — დაბალი ხმით უმღერებ იავნანას, თანდათან უფროდაუფრო დაუდაბლებ ხმას და სანდრო დაიძინებს. მერე აკვანს ფრთხილად აილებ, შენს ოთახში შეიტან და ალმასხანის და შენს საწოლებს შუა დადგამ...

პაუზა.

— ასე მოიქცევი, ხომ?

— ჰო, ასე მოვიქცევი, დედი! — ალერსიანად ვთქვი მე და დედაჩემმა გამიღიმა.

— ჰოდა სანდროს რაკი სძინავს, ჩვენც დავწვეთ და დავიძინოთ... ხომ იცი, დილით ადრე გამოიღვიძებს სანდრიკელა, ატიტინდება და ძუძუს მოგთხოვს... ასეა, ბავშვი დროზე აძინებს და დროზე აღვიძებს ოჯახს, ასეა ეს...

— ვიცი, ღიმილით ვთქვი მე და დედაჩემმაც გამიღიმა. ორივენი მაგრად შევიჭერით როლში.

— ჰოდა, დილით შენ სკოლაში წახვალ. შენი მეუღლე... რა მოხელეა ალმასხანი? — სერიოზულად მკითხა დედაჩემმა.

— იყოს აგრონომი. — ვთქვი მე და ისევ გავუღიმე დედაჩემს.

— რატომ მაინცდამაინც აგრონომი? რატომ მასწავლებელი, არა? რატომ არ

შეიძლება ტრაქტორისტი იყოს შენი მეუღლე? — გაცხარდა დედაჩემი.

— იყოს ტრაქტორისტი! — დავყაბულდი მე.

— დაცინვით ნუ ამბობ, — შემომიტია დედაჩემმა, — იყოს ტრაქტორისტი! დიახაც ტრაქტორისტია შენი ალმასხანი! ჰოდა, შენ სკოლაში წახვალ დილით, ალმასხანი — მეურნეობაში, დავრჩებით სანდრო და მე შინ... ჰო, დამავიწყდა, — მომიბოდიშა, — სანდრიკელა რომ დაიბადა, მე სკოლას თავი დავუკარი და ვარ სახლში ჩემს შვილიშვილთან... დავბაჩუნობთ სანდრო და მე ხან ოდაში, ხან სამზადში, როცა კარგი დარი იქნება, ეზოში გავივლ-გამოვივლით, ბოსტანშიაც ჩავიყვან.. მზე რომ შემაღლდება, დავაპურებ და აკვანში ჩავაწვენ, ვუმღერებ იავნანას, დაბალის ხმით ვუმღერებ, მერე იმ დაბალ ხმასაც უფრო და უფრო დავადაბლებ, ვილილინებ და ჩემს ლილინიში ჩაეძინება სანდრიკელას.

და დედაჩემი დაჩუმდა. ვითომ სანდრიკელამ ნამდვილად დაიძინა, დედაჩემი ფრთხილობს, ბავშვი არ გამოვაღვიძოთ და დაჩუმდა. აქანდაზი აილო და ნაკვერჩხლები გაალვივა, ბუხრის შუაგულში მოაქუჩა მერე ისევ მიმოფანტა ნაკვერჩხლები და ნაცარი გადააყარა.

— ეჰ, სანდრო არ დაგვიბადნია, აკვანში არ სძინავს სანდრიკელას, სანდრიკელას ტიტინი არ გამოგვაღვიძებს დილაადრიან, მაგრამ მაინც დავწვეთ, ეკა, ხვალ სკოლა გველოდება, — სინანულით, ძალიან სევდიანი ხმით თქვა დედაჩემმა. აქანდაზი ბუხარს მიაყუდა და დაბალი მაგიდა გააჩოჩა.

მერე იმ კუთხეს გახედა, სადაც საწნახლისმაგვარი ცაცხვის გობი იდგა, მერე კარს შეავლო თვალი, რაღაც წაიჩურჩულა, თავის ოთახში შევიდა და კარი გაიკეტა...

წარმოდგენა დამთავრდა.

ფარდა დაეშვა.

დაცარიელდა დარბაზი.

ცაცხვის გობი არ დგას კუთხეში, არც წყლით სავსე კოკა, სამზადში ცეცხლი არ ანთია, ნაჭაზე არ ჰკიდია ქვაბი და ალმასხანი წყალს არ აცხელებს სანდრიკელასათვის.

მარტო მე შევრჩი ბუხარს, ვცდილობ ავხსნა, რატომ გაითამაშა ასეთი წარმოდგენა დედაჩემმა, მაგრამ ფიქრს თავი ვერ მოვაბი და საწოლს მივაშურე.

დედაჩემის ოთახში საათმა დარეკა, გამოვფხიზლდი და გონს მოვეგე. აქანდაზით ცეცხლი გავაღვივე და დაბალ მაგიდას მივუჯექი.

კარგახანია ვფიქრობდი ამ წერილის დაწერას, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა, ახლა კი დედაჩემის მიერ იმ ღამით გათამაშებული წარმოდგენა რომ გავიხსენე, უმალვე გადავწყვიტე და წერილიც დავწერე.

„...ვცხოვრობ ხემალალში. ვარ პედაგოგი. მარტოხელა. მაქვს ესა და ეს. ძალიან მინდა ვიშვილო ბავშვი. გთხოვთ პასუხი არ დამიგვიანოთ".

გადავიკითხე ჩემი მოკლე წერილი და შიში გამინელდა, გამინელდა კი არა, შიში გამიქრა და გული გამიხალისდა, ზალის კარს ურდული ავხსენი, კარი გავაღე და აივანზე გავედი.

თოვს.

ქათქათა თოვლს დაუფარავს ჩემი ეზო. სამზადს გავხედე, გადაფეთქილია სამზადის სახურავი, მე ხელი გავიწვდინე, თოვლის ფანტელები დამაცვივდა ხელისგულზე და თბილი, ძალიან თბილი მეჩვენა თოვლი.

პასუხი თვენახევარი დამიგვიანეს. იმედი გადავიწყვიტე და სწორედ მაშინ მივიღე ბავშვთა სახლის დირექტორის ქეთევან ჯანჩაველის ბარათი. რაც წერილში გიწერიათ, იმისი დამადასტურებელი ცნობები გამოგვიგზავნეთ. გოგო გინდათ იშვილოთ, თუ ბიჭი, რა ხნისა და როდის ჩამოხვალ ბავშვის წასაყვანადო.

წერილი და ცნობები მეორე დღესვე გავაგზავნე. მივწერე, აუცილებლად ვაჟი მინდა ვიშვილო, ერთი წლისა მაინც

და ბავშვის წამოსაყვანად ათი ივნისისათვის ჩამოვალ-მეთქი.

პასუხი მალე მივიღე. ერთი ისეთი ბიჭი გვყავსო, — მწერდა ქეთევან ყანჩაველი, — მე რომ ხუთი შვილის დედა არ ვიყო, უსიკვდილოდ ვიშვილებდიო, გოჩა ჰქვია და გოჩა სწორედ ათი დღის წინ გახდა ერთი წლისაო და ისეთი ბიჭია, ისეთიო... როცა ჩამოხვალთ, თვითონ ნახავთ, როგორიც არისო.

ქეთევან ყანჩაველის წერილი რომ მივიღე, იმავე დღეს ჩემი აკვანი საპნიანი წყლით გავრეცხე. აკვანი რომ გაშრა, ოდნავ ფერშეცვლილი და გამოხუნებული მეჩვენა, არ მომეწონა და აკვანი სხვენზე ავიტანე. საღამოხანს კესარიას და გულასპირს ვეწვიე. ძალიან გაუხარდათ ჩემი მისვლა კესარიას და გულასპირს და უვახშმოდ არ გამომიშვეს. ნავახშმევს გულასპირმა გამომაცილა და ჩემი სახლის ჭიშკართან რომ შევდექით, გულასპირმა სხვათაშორის მკითხა, რამე ხომ არ გჭირდებაო.

პაუზა.

— აკვანი მინდა, ძია გულასპირ — თამამად ვთქვი მე.

— აკვანი? — შეტოკდა გულასპირი და თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ჰო, აკვანი, ოღონდ ცაცხვისა, ჩემს აკვანზე ოდნავ განიერი. — ისევ თამამად ვთქვი მე.

— შენს აკვანზე განიერი აკვანი? შენი აკვანი ჩემი გამოთლილია, სწორედ რომ კარგი ზომისაა.

— ახლა უფრო განიერი აკვანი მჭირდება. — დარწმუნებით ვთქვი მე.

— ვისთვის გჭირდება? შეპირდი ვინმეს?

— ჩემთვის მჭირდება, — ისევ თამამად ვთქვი მე და არ გავწითლებულვარ. შემეძლო მეთქვა, სხვისთვის მჭირდება, ჰო, სხვას შევპირდი-მეთქი, მაგრამ ჩემს შვილს სიცრუეა ვერ ვაკადრე.

— სწორედ ცაცხვის ხმელი ფიცრები მაქვს, ეკა, — ხმადაბლა, ალერსიანად თქვა გულასპირმა, — მალე გჭირდება?

— რაც შეიძლება მალე.

გულასპირმა ისევ ამთვალიერ-ჩამათვალიერა, თქვენთან ბოდიში და, მუცელზე დამაკვირდა. ასანთიც კი გაჰკრა, ვითომ სიგარეტის მოსაკიდებლად, მაგრამ მე მივუხვდი.

— ჰო, ჩემთვის მჭირდება. ერთ თვეში გამიკეთებ?

— უფრო ადრეც. — თქვა გულასპირმა, — ხელი მაგრად ჩამომართვა და დამემშვიდობა.

ნელი, ფიქრიანი ნაბიჯებით წავიდა გულასპირი.

...და ცაცხვის მსუბუქი და ჩემს აკვანზე უფრო განიერი აკვანი ახლა აგერ, ჩემს ოთახშია. ისეთი აკვანია, რომ შეხედოთ, იცინისო, იფიქრებთ, მაგრამ ჩემი აკვანი მარტო კი არ იცინის, ბავშვს ელერსება და ეუბნება, აბა, ჩამიწექი, ნახე, როგორ საამოდ დაგარწიო და დაგაძინოო..

მე ჩემს ვაჟიშვილს ალმასხანი დავარქვი. სანდროც კარგი სახელია, რევაზიც, მაგრამ რევაზი, ან სანდრო რომ დამერქმია, ათასნაირ ჭორს გამოაბამდნენ.. და მე ალმასხანი დავარქვი. ხვალ ათი ივნისია და ხვალ ალმასხან ხიდაშელი ერთი წლის და სამი თვისა გახდება. ჯერ თბილისთან ახლოს, ბავშვთა სახლში ცხოვრობს ალმასხანი, მას ქეთევან ყანჩაველი ელერსება და ალმასხანს ბალიშის ქვეშ ჩემი სურათი, დედამისის სურათი უდევს. ჰო, დედის სურათი ბალიშის ქვეშ უდევს ალმასხანს და პატარა ალმასხანი დედას ელოდება.

— მალე ჩამოვა დედაშენი, ახლა კი დაიძინე, — თბილი, ძალიან თბილი ხმით ეუბნება ალმასხანს ქეთევან ყანჩაველი და ეფერება, — რაც მალე დაიძინებ, დედაშენიც უფრო მალე ჩამოვა, — არწმუნებს ქეთევან ყანჩაველი ალმასხანს, ალმასხანიც თვალებს ხუჭავს და იძინებს.

და მეც ხომ ასე ვარ!

ალმასხანის სურათი საპირველმისოდ გამომიგზავნა ქეთევან ყანჩაველმა. ვიცოდი ბარათში ალმასხანის სურათი

იდო და კონვერტი შიშით გავხსენი, ჯერ ცალი თვალით, ისიც მოჭუტული თვალით დავხედე სურათს, მერე ორივე თვალი ფართოდ გავალე და ხარბად დავაცქერდი სურათს და სიხარულისაგან გული შემიტოკდა სითბო ჩამეღვარა გულში. სწორედ ისეთია ალმასხანი, როგორსაც ვნატრობდი: ხორბლისფერი სახე, ოდნავ მოწკურული თვალები, სწორი ცხვირი, თუ ძალიან დააკვირდებით, მოგეჩვენებათ, რომ ცხვირი ოდნავ კეხიანია, მაგრამ ჯერ თოთო სახე აქვს და კეხი არ ემჩნევა, პატარა ყურები, მაღალი შუბლი და წაბლისფერი თმა დიდხანს, ძალიან დიდხანს ვატრიალე ალმასხანის სურათი, მერე აბრეშუმის ცხვირსახოცში შევახვიე და უბეში ჩავიდე და უბეში ჩავიდევი თუ არა სურათი, უმალვე სითბო მომედო გულმკერდზე, მერე მთელს სხეულში მომედო სითბო.

იმ დღეს ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ამოვიღე უბიდან ალმასხანის სურათი, დაძინებისას კი ბალიშის ქვეშ ამოვდე და მე და ალმასხანს ერთად ჩაგვეძინა. დილით უბეში ჩავიდევი და სკოლაში მიმქონდა, მაგრამ ჭიშკრიდან გამოვბრუნდი, შემეშინდა, ვაითუ ვერ მოვითმინო და სკოლაშიც უბიდან ამოვიღო-მეთქი და ისევ ბალიშის ქვეშ ამოვდე.

ჰოდა, დღისით ხომ წარამარა ვატრიალებ და დავცქერი ალმასხანის სურათს, საღამოთი, რვა საათზე (ვიცი, ამ დროს აძინებენ ალმასხანს) ბალიშიდან გამოვიღებ, ახლოს, სულ ახლოს მივიტან თვალებთან, გავუღიმებ, მერე ლოყას მივადებ ალმასხანის სურათს და ჩურჩულით ვეუბნები:

— ახლა დაიძინე, შვილო!

ალმასხანი კი ოდნავ მოწკურულ თვალებს აპარპალებს და არ იძინებს.

— რაო, დედას ელოდები და იმიტომ არ იძინებ? — აგერ არა ვარ, დედაშენი. ჰო, მე ვარ დედაშენი, გინდა გიმღერო? მიმღერეო, თვალებით მეუბნება ალმასხანი, მე ალმასხანის სურათს უბეში ჩავიდებ, თვალებს მივლულავ და დაბალი, ძალიან დაბალი ხმით იავნანას ვუმღერებ ალმასხანს, ალმასხანი გაიტრუნება, მკერდში ჩამეკვრება, თვალებს დახუჭავს და დაიძინებს, მეც დავიძინებ და ისე ღრმა ძილით გვძინავს, ვერც მამლების ყივილი გვაღვიძებს, ვერც ძაღლების ყეფა, მზე რომ შემაღლდება და ჩვენს ოთახში შემოანათებს, მხოლოდ მაშინ გაგვეღვიძება...

ეს დღე გათენდა.

დღეს დილით მამლებმა ადრე იყივლეს და განთიადიდან მზემ ჩვეულებრივზე ადრიანად ამოიწვერა.

ნამდვილად ადრე გათენდა დღეს.

და მე მივდივარ.

ალმასხანის ტანსაცმელი ნაკრაულაში მაქვს შეხვეული და ეს ნაკრაულა ერთობ მსუბუქია.

კალათი კი მძიმეა. გაჯექილია ჩემი კალათი. ხაჭაპურები, წიწილები, ჭყვინტი ყველი, სამი ბოთლი ლეღვის არაყი, ჩემი ბოსტნის მწვანილი, ლეღვის ჩირი და დარჩეული ნიგოზი.

ავტოსადგური ერთი ფეხის ნაბიჯზეა და ავტოსადგურამდე როგორმე მივიტან ამ მძიმე კალათს.

მე განთიადს ფეხზე ამდგარი შევხვდი. ზალის კარი გავაღე და აივანზე გამოვედი. ჩემი ეზოს მოლი, მსხლისა და ვაშლის ხეები ალერსიანად მომესალმნენ, მეც გავუღიმე მათ, ეზოში ჩავედი და ფეხქვეშ ბალახი გუშინდელზე უფრო რბილი მეჩვენა, სამზადში შევიჭერი, რძის ქოთანს დავავლე ხელი და ოქართეში ჩვეულებრივზე ადრე ვეწვიე გუტას. გუტა იწვა და იცოხნიდა, როგორც კი ოქართეში შევედი, თითქოს მიმიხვდა, რომ მეჩქარებოდა, ერთი დაიზმუილა და ადგა. გუტა მოწველე, ხბო მივუშვი, მერე ძროხა ეზოდან გავიყვანე. ამ საღამოს დუდუხანა მოწველის გუტას.

ნაკრაულა ამოვიღლიავე, კალათს ხელი დავავლე, ძალიან მემძიმა, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯებით გავიარე ეზო.

ჭიშკართან კოკი დამხვდა.

„უთუოდ დუდუხანამ უთხრა კოკის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერგაში რომ მივდივარ, უცნაური ქალია დუდუხანა“.

— ხერგაში? — მკითხა კოკიმ.

— ხერგაში! — შენ რამ აგაყენა ასე ადრიანად? დედამ გითხრა?

— სატეველაზე მივდივარ.

— სათევზაოდ?

— კი, სათევზაოდ.

— ასე ხელცარიელი? — გავიკვირვე მე.

პაუზა.

— ბადეს და ანკესებს სანდრო წამოიღებს. — იცრუა კოკიმ და სახე ამარიდა.

— ვიცი, სანდროს კარგი ბადე აქვს, — ვთქვი მე და გავიღიმე.

კოკი გაწითლდა. ჩემს კალათს დაავლო ხელი, ზურგზე მსუბუქად შეიგდო და გაბიჯა.

„უთუოდ დუდუხანამ წამოაგდო ასე დილაადრიანად. ეკა ხერგაში მიდის და მიეშველეო. ეგებ ისიც იცის დუდუხანამ, თბილისში რომ მივდივარ? ალმასხანის შარვალს რომ ვკერავდი, შემომისწრო, გაიკვირვა და მკითხა, ვის უკერავო, მე არაფერი ვუპასუხე და დუდუხანა გაწითლდა. ერთხელ კიდევ, საღამოხანზე, აივანზე რომ ვმღეროდი ხმადაბლა, მოულოდნელად დამადგა თავზე. გამიღიმა და მკითხა, ვის აძინებო. მე სიმღერა შევწყვიტე. კარგად მღერიხარ, ეკა, რატომ შეწყვიტე? მე თუ შეგიშალე, წავალო — და წასვლა დააპირა. მე არ გავუშვი და მთელი საღამო მდუმარენი ვისხედით აივანზე... უთუოდ რაღაც იცის დუდუხანამ“.

ჩემი სახლიდან ძალიან ახლოსაა ავტოსადგური და მალე მივედით.

ავტოსადგურში გულასპირი დაგვხვდა და ძალიან გამიკვირდა.

— ხერგაში? — მკითხა გულასპირმა.

— ხერგაში, — ვთქვი მე და გავწითლდი.

გულასპირმა ხალათის გულჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და გამომიწოდა.

— ნუ დაიზარებ, ეკა, მეორე ფაბრიკის „პრიმა“ მიყიდე. ამიტომ გამოვედი ასე ადრიანად, — ბოდიშივით თქვა გულასპირმა.

— აუცილებლად, — ვთქვი მე და ფული გამოვართვი.

გულასპირმა გამიღიმა და მეც გავუღიმე.

— შენც ხერგაში? — ახლა კოკის ჰკითხა გულასპირმა.

— არა. კოკი სატეველაზე მიდის სათევზაოდ, — კოკის მაგივრად ვუპასუხე მე და კოკი გაწითლდა.

— ასე ხელცარიელი? — გაიკვირვა გულასპირმა.

— ბადეს და ანკესებს სანდრო წამოიღებს, — ისევ კოკის მაგივრად ვთქვი მე და თანხმობის ნიშნად კოკიმ თავი დაუქნია.

— ჩემი მურწები არ დაიჭიროთ, — ვითომ დაცინივით თქვა გულასპირმა, — მეც მალე ჩამოვალ.

— ახლა კი წადი, კოკი, სანდრო გელოდება, — ალერსიანად ვუთხარი კოკის, ხელი ჩამოვართვი და ვაკოცე.

კოკი წავიდა.

— ბადეები ამათ აქვთ და ანკესები, დაგიტოვებენ რამეს? კიდევ კარგი, ლალუმებს არ ესვრიან სატეველას! — სინანულით თქვა გულასპირმა და ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ კოკის თვალი გააყოლა.

მგზავრები თანდათან მოგროვდნენ და ავტობუსიც მოვიდა.

ჩემი კალათი შოფერმა კაბინაში დაიდგა.

გულასპირს ვუთხარი, მე ეგებ ხვალამდე ვერ ამოვიდე და სიგარეტს შოფერს გამოვატან-მეთქი. გულასპირმა გაიღიმა, ისეთნაირად გაიღიმა, მაგრძნობინა, ვიცი, ხვალამდე რომ არ ამოხვალო.

„უთუოდ რაღაც იცის გულასპირმა. ვისთვის გინდა აკვანიო, მარტო იმ საღამოს კი არა, მერეც რამდენჯერმე შემეკითხა. რომ ვუპასუხებდი, ჩემთვის მინდა-მეთქი, ეშმაკურად გაიღიმებდა და თქვენთან ბოდიში, საგულდაგულოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერებდა და მერე მუცელზე დამაკვირდებოდა... რაღაცას

მიმხვდარია ძია გულასპირი, დანამდვილებით კი არაფერი იცის, მე არ გავუმხილე და აბა საიდან ეცოდინება? ირონიულად რომ მეღიმილება! ისე, სხვათაშორის, აქაოდა, ვიცი შენი ამბავი, მაგრამ შენ რადგანაც არ ამხელ, მეც საიდუმლოდ შეგინახავო..."

წამოვედით.

მგზავრები ჩუმად სხედან, ზოგი კიდევაც თვლემს.

ჩემს პირდაპირ ბავშვიანი ქალი ზის. ასე, ერთი წლის ბიჭი უწევს კალთაში, ბავშვს სძინავს და ეგებ მგზავრებიც ამიტომ არიან ჩუმად. ეგებ შოფერსაც ამიტომ მიჰყავს ასე ფრთხილად მანქანა.

— ვიცი, ეს ქალი მეურნეობის ლაბორატორიაში მუშაობს. მაგრამ მე მას ახლო არ ვიცნობ და მერიდება გამოსაუბრებისა, თვითონ კი გამიღიმა შეხვედრისას, ეს ჩვეულებრივი ამბავია, თავაზიანობის ნიშანი, მე მასზე უფროსი ვარ და...

ბავშვმა გამოიღვიძა, მოჭუტული თვალებით შემომხედა, მერე გამიღიმა, თვალები თანდათან გაახილა, პირი გაალო და დედაო, თქვა... ასე დამიძახებს ალმასხანი მე დედას, გავიფიქრე გულში და გული შემიტოკდა.

და მთელი ავტობუსი გამოფხიზლდა. აქა-იქ ჩაახველეს, მგზავრები ერთმანეთს გამოესაუბრნენ. ვიღაცა ისე გათამამდა, სიგარეტსაც კი მოუკიდა, მაგრამ გვერდით მჯდომმა მამაკაცმა შეუტია, ახლავე ჩააქრე, ხომ ხედავ მანქანაში ბავშვი ზისო, სიგარეტის მწეველი გაწითლდა, ავტობუსის სარკმელი ჩამოსწია და მოუწეველი სიგარეტი გადააგდო.

— ძუ-ძუ, — თქვა ბიჭმა, — მგზავრებმა ისეთი პოზა მიიღეს, თითქოს არ უყურებდნენ ბიჭის დედას, დედამ ძუძუ ამოიღო და ბიჭი წაეტანა ძუძუს.

ყველანი ჩუმად ვსხედვართ, ფრთხილად, უხმაუროდ მიჰყავს შოფერს ავტობუსი და ისეთი სიჩუმეა, გარკვეულად გვესმის, ტონტორა ბიჭი, როგორ წოვს ძუძუს.

სატევველაზე ჩავედით, ბიჭმა პირი უშვა ძუძუს და ღ-ღა, ლა-ლა, ლუ-ლუ, დაიღუღუნა, მგზავრები აჰყვნენ ბიჭს და თითქმის ერთხმად დავიღუღუნეთ, ლი-ლი, ლა-ლა, ლუ-ლუ,.. ბიჭი გახალისდა, დედის კალთაში წამოჯდა, სათითაოდ დააკვირდა მგზავრებს და ახლა უფრო ხმამაღლა დაიღუღუნა — დე-და, ჩი-ტი და გაიცინა, პირი ფართოდ დაალო და ორი წინა კბილი გამოაჩინა. მგზავრებმა გაუღიმეს ბიჭს და ახლაც ერთხმად აჰყვნენ, დე-და, ჩი-ტი... იცინის ბიჭი და მთელი ავტობუსი იცინის... და გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი — ბავშვი როცა იცინის, მაშინ მთელი სახლი იცინისო. ხვალ საღამოს, დაძინების წინ, სასეირნოდ ეზოში ჩამოვიყვან ალმასხანს, გავეთამაშები და ალმასხანი გაიცინებს და ჩვენი ეზოც გაიცინებს, ჩვენი ოდა-სახლიც გაიცინებს, ჩვენი სამზადიც... ჰო, ალმასხანი და მე ვიცინით, იღიმება და იცინის ჩვენი ეზო-კარი...

..მსუბუქად და ფრთხილად მიჰყავს შოფერს ავტობუსი, ტიკტიკებს პატარა ბიჭი და მთელი ავტობუსი ტიკტიკებს და ამ ტიკტიკში მე სიყვარულის სიმღერას ვისმენ, სატევველას ტალღები ხანდახან რომ გაიშხუილებენ, იმ შხუილშიაც სიყვარულის სიმღერა მესმის, გზატკეცილის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებული აკაციები რომ შრიალებენ, სიყვარულის სიმღერას მღერიან. ეს ავტობუსიც, ეს გზატკეცილიც სიყვარულის სიმღერას მღერის, ჰო, ჩემი გულიც დილიდანვე სიყვარულის სიმღერას მღერის და მე ყველა მიყვარს — დუდუხანა, კოკი და ასმათი, ქალბატონი კესარია და ძია გულასპირი, სანდრო, რევაზი, თათია და ქალბატონი რუსუდანი, ალექსანდრე ჩაფიჩაძე და აბესალომ კიკნაველიძე, შადიმან შარანგია და ზვიად დიასამიძე, მაგრამ ყველამ მომიტევოს, ყველაზე უფრო ალმასხანი მიყვარს მე. ხელახლა აამღერა მან ჩემს გულში სიყვარულის სიმღერა.

...მერე ალმასხანი დავაქკალცდება და დავაქორწინებ. მე შვილივით შევიყვარებ რძალს და რძალი დედასავით შე-

მიყვარებს მე... და ვიდრე მე მოვხუცდები, შვილიშვილები დამიმრავლდება, ექვსი შვილიშვილი მეყოლება მე, სამი გოგო და სამი ბიჭი. უფროსი გოგო იქნება, ასე სჯობია, უფროსი ქალიშვილი დედას შეეშველება უმცროსი და-ძმების აღზრდაში.

პირველი შვილიშვილი რომ შემეძინება, მე სკოლას თავს დავუკრავ, ჩემი შვილი და რძალი ივლიან სკოლაში, მე კი სახლში ვიფუსფუსებ ჩემს შვილიშვილთან. ჰო, პირველ შვილიშვილს ეკატერინეს დავარქმევ, ჩემი სახელის უკვდავსაყოფად კი არა, დედაჩემის ხსოვნისათვის. მერე დები და ძმები გაუჩნდება ჩემს უფროს შვილიშვილს, სახლი აივსება დოვლათით, და სიხარულით და არასოდეს არ მოიშლება დიდი ეკატერინე ხიდაშელის ფუძე.

ვიცი, თავი შეგაწყინეთ ჩემი მოთხრობებით. გთხოვთ მაპატიოთ, მეტს აღარ დავწერ.

მე უკვე ვაჟიშვილის დედა ვარ და მოთხრობების საწერად ვერ მოვიცლი.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

# წიგნიდან „წყნარი მზის წელიწადი“

## ავტობიოგრაფია

(ვარიანტი)

დედა — გაცრეცილ მკერდზე
დედის ნაჩუქარ ბროშით!
მამა — მედროშედ ყოფნის
დროს მიღებული დროშით! —
ორდენით წითელ დროშის!
თანაც — ჭრილობით ათით!
მე რა ვარ, მაგრამ რაც ვარ —
მხოლოდ და მხოლოდ მათით!

დები — მარცხნივ და მარჯვნივ —
ჩემი კეთილი დები!
დები — აქეთ და იქით!
ვგავარ შუაში დეფისს!
არ ვიცი, ბრუნვა სოფლის
ძირს სად ამომიფხვრის სადით!
ვიცი: ბოლო დღე ჩემი
გალამაზდები მათით!

არა ოქროთი,
ვერცხლით,
იაგუნდით და
სათით —
ვამაყობ ჩემი ხალხის
მკლავმოუღლელი ნადით!
რა მრჩება: ორი შვილი,
და ორიოდე — ლექსი!
და — თქვენი შემწეობით —
მინდა სულ ვიყო მათით...

გაზრდილი ობლის კვერით
და მეზობლების ჭადით,
მალე, სულ მალე ალბათ...
უუსასრულო ვადით...
ვხედავ სარეცელს მრუმეს,
და რამდენიმე კურცხალს:
„მგონი უკეთ ვარ ახლა...
ახლა დამტოვეთ... წადით...

ახლა დამტოვეთ...
წადით...“

## ფანჯრები, ფანჯრები...

მთელი ქვეყანა ნეტავ იყოს ურუბლო ისე —
შეიძლებოდეს ყველა ფანჯრის ერთად გაღება!
ფერად რაფებზე ჩამოსხდარნი ვიწვდიდეთ კისრებს —
ვსვამდეთ თვალებით ღვინობისთვის მწიფე საღებავს!

ხელს ასი სარკმლის სიშორეზე წვდებოდეს ხელი!
უცხო ღიმილზე გაღიმება იყოს ადვილი!
და საზრუნავი ერთი ქონდეს მაცქერალს ყველას:
ჯემპრი, მეხუთე სართულიდან გადავარდნილი...

## შემოდგომა

შეხსნია მკერდზე ათასი ღილი,
და მოაქვს სინი აკრძალულ ხილით.
გაყვითლებია მზისაგან ქოში,
გაყვითლებულა ჭალაში ჭილი.

სმენას სექტემბრის ხმები ათრობენ,
მზე კი თვალებში მაღვრის ატროპინს.
სანაპიროზე ქარი და ქარი
ვიღაც ქარებზე მასლაათობენ.

ოქროსფერ ზვარში ოქროსფერ ასულს
ხელში უჭირავს ოქროს ჯაგანი,
და თითქო ნანატრს ისმენდეს პასუხს —
გაღიმებული დუმს მაჭანკალი...

ზედიზედ იცვლის ღრუბელი კაბებს:
ნიავი ყვება ნიავის ამბებს.
...ღამდება მერე, და ბადრი მთვარე
დასაძინებელს არიგებს აბებს...

## კინოვარსკვლავი სოფლელი ბიჭების სუფრასთან

როგორც ხანძრის დროს მოსული წვიმა —
მოვიდა უცებ,
და გააჩინა
ხანძარი ოთხი ვაჟკაცის გულში.

მთელი სოფელი ნატრობდა წვიმას.

## საღამოს გადაცემები

მწერდი: გამილღო გული
და მარტოობის საღამო
ტელევიზორთან ჯდომამ —
„ფორსაიტების საგამო“.

მე მოწყენილი, დედა,
შენი მოწყენის გამო ვარ.
მე შენი ხათრით, დედა,
ტელევიზორშიც გამოვალ,

და მოგაგონებ წარსულს,
როგორც ვიდეო-ჩანაწერს.
— ნახე? — ღიმილით გეტყვის,
ვინც გნახავს იმ დღეს ჭალაზე.

მაგრამ... მე შორს ვარ მაინც...
ვახურავ შვილებს გადახდილს,
და ისე ვილებ საბანს,
როგორც დედის ვალს გადახდილს...

## ქალიკონი

ქარი — ხეების შეთქმულება
ადამიანთა წინააღმდეგ!

მათ წინააღმდეგ, ვისაც არ ესმის,
რომ ალვასაც ტკივა ქალივით,
და ჩიტის გული უცემს წიფელს,
ხოლო ნაძვი იგონებს და ვერ მოიგონა,
როდის აქციეს მწვანე სევდად და დაამუნჯეს...

ქარი —
ხეების შეთქმულება ჩვენს წინააღმდეგ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით აღმაშენებელი

(სპირიტის ფიქრი)

მოდი, მეფევ, დიდ წარსულში
გავაკეთოთ გრძელი როქი:
შენ აქ მოდი, მე იქ წავალ...
დრო კი, მბრძანებელო, დრო კი

საუკუნე იყოს ჩვენი —
ჩემთვის ჩემი, შენთვის შენი.
დამიჯერე, შენ აქ, მე იქ —
ერთნაირად შევიშლებით!..

შენ აქ — კრივი და კრიკეტი,
წყალბურთი და ბიატლონი,
და წუწუნი გარდასულზე:
,,დრონი, ჩემო კარგო, დრონი...“

მე — ჭრილობა... მე — ისრები
შაჰის და ბარქიაროკის,
და მარადი სინანული:
,,რატომ გავაკეთეთ როქი“.

შენ — კონსერვი; შენ — რობოტი;
შენ — ტრამვაი; შენ — კაპრონი,
და ტკივილი დაკარგულზე:
,,დრონი, საყვარელო, დრონი...“

მე —ნამდვილი თაფლი, ღვინო,
და ნამდვილი ცრემლი კოკით!
შეცდომაა, მეფეთ მეფევ,
დიდ წარსულში გრძელი როქი...

## ჭეშმარიტება

ჭეშმარიტება სიცოცხლისა
მდიდრის კარზე მიგდებული ბავშვივითაა:
არ იცის, დედა ვინ იყო მისი,
რა ერქვა მამას,
ან თუ და-ძმა ოდესმე ჰყავდა...
მაგრამ ამ ცოდნის უქონელიც იოლად ცხოვრობს,
რადგან იცის:
ეს მაღალი ოდა მისია,
ეს ბაღჩა-ბაღიც მშვენიერი,
და ეზოც, სავსე ცხოველ-ფრინველით;
აურაცხელი ჩასაცმელი, დასახურავი
მისია მხოლოდ, და არავინ არ ჰყავს მოცილე
მდიდარი ცოლ-ქმრის ლამაზ პირმშოს...

ჭეშმარიტება —
მდიდრის კარზე მიგდებული ბავშვი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყვავილობა

სასაფლაოზე ხე დგას ალუბლის.
იგი ვერასდროს ვერ იბამს ნაყოფს,
რადგან ყოველი ყვავილობის ჟამს
დამტვრეული აქვს საწყალს ტოტები!

სამაგიეროდ უფრო ცოცხალი
და მიმზიდველი ჩანან ლოდები...

## ახალი ოდა ანუ ოდა სიცოცხლეს

დურგალს ვალმოხდილს
გაურჭვია ყურთან ფანქრები —
შვიდფერიანი ცისარტყელა —
და ზვერავს სივრცეს თვალმოჭუტული:
სად ააშენოს ახალი ოდა!..

## ფიქრი უწონობის პირობებში

ვალენტინა ტერეშკოვას

მოწყდა ვარსკვლავი — ჩულქს ქალისას გაექცა თვალი.
ქალს გაქცეული თვალისაკენ გაექცა თვალი.
აევსო თვალი შეღამების უფერულ ფერით.
ძველი ცთომილით.
ძველი ცრემლით.
ახალი მთვარით.

ჩაჰკიდა ხელი, და მზისაკენ მისდევს დედალუსს.
ხედავს ფერს!
ისმენს ხმას უცნაურს!
ელის რაღაცას —
ღვთაებრივს. მიღმურს. შეუცნობელს ტრანსცენდენტალურს...
მოწყდა ვარსკვლავი — ცისკიდური ცისფრად გახაზა.

მარტო. სულ მარტო. ვინ — კარცერში. ვინ — ჭოჭინაში...
მარტო. სულ მარტო. ჩრდილდაკარგულ ნათლის წინაშე.

მარტო. სულ მარტო. მეგობრებით გარშემორტყმული.
მარტო. სულ მარტო. ახლობლებით სავსე ბინაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყდა ვარსკვლავი — ჩულქს ქალისას გაექცა თვალი.
ქალს გაქცეული თვალისაკენ გაექცა თვალი.
დაკარგა ხორცი, რადგან ხორცმა დაკარგა წონა...
და დარჩა სული... და აღარ აქვს სულს არვის ვალი...

გადახდილი აქვს უფლის ვალი.
აღარ აქვს ვალი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# მძინარა კვირტი

## მოთხრობა

ავტობუსმა, როგორც იყო, ბოლო სადგურსაც მიაღწია. შვებით ამოვისუნთქე და სწრაფად დავეშვი საფეხურებზე. მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ქვისლი უნდა დამხვედროდა თავისი მანქანით, მაგრამ არსად ჩანდა. გზა კი საკმაოდ დიდი იყო მის სოფლამდე.

იმედი მაინც არ დავკარგე. ფრთხილად ჩამოვჯექ სახელდახელო ლუდხანასავით მოხუხულავებულ ავტოსადგურთან დაწნეხილ სკამზე და მოპატიჟე ქვისლის მოლოდინში დიდხანს გავყურებდი დაბა-ქალაქის ძველისძველ ქავციხმეს, რომლის უზარმაზარ ეზოში, წლების მანძილზე, მოსავლის დღესასწაულები იმართებოდა ხოლმე.

კარიბჭის მარჯვენა ბურჯის წინ რკინის ბადურებიანი თეთრი ავტობუსი იდგა, მხოლოდ სახურავი მოუჩანდა ლურჯად შეღებილი. რაც იქ ვიჯექი, კაცი არ დამინახავს არც შიგნით შესული, არც გარეთ გამოსული. ის კი არა, ახლოსაც არავინ გაჰკარებია. ცხადია, იგი სამგზავრო ავტობუსი არ უნდა ყოფილიყო.

ცნობისმოყვარეობამ დაწნეხილი სკამი მიმატოვებინა და რამდენიმე წამში იმ უცნაურ ავტობუსთან მიმიყვანა. კარებზე ჟანგიანი ბოქლომი ედო. შემოვუარე გარშემო და მართლაც რომ უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. წინა მხრიდან მორგებული ჰქონდა სამკუთხა საბუქსირო რკინის მოწყობილობა, რომლის წვერიც ზღვისფერ ბალახში ჩაძირულიყო. ისე მკვიდრად, ისე მაგრად იდგა, მიწისძვრა თუ დასძრავდა ადგილიდან.

შუქფარების მსგავსად ამოკვეთილ წრეებზე თუნუქის წრისებურივე თეთრი ფურცლები აეკრათ და ორ ადგილას დიდრონი ასოებით საგულდაგულოდ გამოეყვანათ სიტყვა — „ტირი“. კაცი იტყოდა, დაბა-ქალაქის ახალგაზრდებს მიზანში სროლისათვის ეს რა კარგი სადგომი უშოვიათ, მაგრამ ასე უპატრონოდ რისთვის მიუტოვებიათო. აღარ ისმოდა მათი ჟრიამული, მათი ხმაური. სამაგიეროდ ხმაურობდნენ უწმაწური შინაარსის წარწერები ზოგი პროზად, ზოგიც ლექსად. ყველაფერი სამასხაროდ ექციათ.

ჩემთვის ყველაზე საწყენი აღმოჩნდა 1953 წლის 9 მაისით დათარიღებული წარწერა: „შეთე შათირიშვილი ნიშანში ველარ ისვრის, ამიერიდან სროლას ვიღა გვასწავლის, ბიჭებო?!“. მენიშნა ჩემი ფრონტელი მეგობარი და გულზე სევდა მომეძალა.

იყო ასეთი უთარიღო წარწერაც: „ახალი ფილმი (სათაური ვერ გავარჩიე), ფასი — ორი კვერცხი. მობრძანდით თქვენი სკამებით!“ მას მოსდევდა სხვა უთარიღო წარწერაც: „კვირას, საღამოს 7 საათზე საკუთარი ლექსების კითხვით გამოვა ცნობილი სახალხო მთქმელი იასონ ჭაჭიაშვილი. შეგიძლიათ ამჯერად სკამები არ მოიტანოთ!“.

როგორც წარწერებიდან ჩანდა, ეს ავტობუსი მარტო ტირისათვის არ იყო განკუთვნილი, ხანდახან კლუბის მაგიერობასაც ასრულებდა. გულმა ვერ გამიძლო და რკინის ბადურებიან ფანჯრიდან შიგნითაც შევიხედე. მოპირდაპირე კედლიდან სტალინის სურათმა შემომანათა, მოფამფალებული კიბე კინაღამ დამიყირავდა, თავი ძლივს შევიმაგრე.

ავტობუსის სიგრძის მეოთხედი დახლსა და ნიშანში ამოსაღებ საგნებს ეკავათ. დახლის აქეთა მხარე, ცხადია, მაყურებლებით იქნებოდა ხოლმე სავსე. წარმოვიდგინე შეთე შათირიშვილის „სამანევრო“ ადგილიც, რის შემდეგ დიდხანს აღარ გავჩერებულვარ მოფამფალებულ კიბეზე.

ბორბლებზე შემდგარ წარწერებიან სადგომს ერთხელ კიდევ შემოვუარე გარშემო. ბალახი მოსძალებოდა ოთხივე მხრიდან, თითქოს უნდოდა დავიწყებისათვის მიეცა ყოველივე, მაგრამ ბალახი მაინც ბალახია, იმაზე მეტად ვეღარ ამაღლდებოდა.

ავტოსადგურისაკენ შევტრიალდი. ამაოდ ვაცეცებდი თვალებს, ჩემი ქვისლი კიდევ არ ჩანდა. გავბრაზდი, როდემდის ველოდო-მეთქი, და ბედზე ტაქსიც გამოჩნდა. შოფერს ვიღაც მგზავრი ეჯდა, მაგრამ მაინც ჩამსვა.

გადავწყვიტე, ჯერ შათირიშვილებთან შემევლო, თუ საქმე სხვანაირად დატრიალდებოდა, ჰიკაანიდან ფეხითაც ავიდოდი ახალსოფლამდე. შოფერს ვუთხარი, ვინც ვიყავი და ვისთანაც მივდიოდი. მან და მის გვერდით მოკალათებულმა ახალგაზრდა მგზავრმა სხვანაირად გადაჰხედეს ერთმანეთს. არ მომეწონა მათი საქციელი. ნამდვილად გავაჩერებინებდი მანქანას, რომ შოფერს თავის დროზე არ ეთქვა: კეთილი, მივიყვანთო.

გზაზე სულ შეთეზე ვფიქრობდი. მე მას ამ ოცდაათიოდე წლის წინათ შევხვდი უკრაინის მეორე ფრონტზე. ისიც ჩემსავით რიგითი ჯარისკაცი იყო. გაიგო თუ არა, რომ იყალთოელი ვიყავი, მაშინვე ის მითხრა, თქვენებური ქალი მყავსო ცოლად.

ვინაა, ვისი გვარისაა-მეთქი. ალბათ გეცოდინება, კოტე კედელაურის ქალიშვილია. ქეთევანი ჰქვიაო... იმის გამო, რომ ბალღობიდანვე მეტწილად თითქმის თბილისში მიხდებოდა ყოფნა, ვერც ის კაცი გავიხსენე და ვერც მისი ქალიშვილი და მაინც ჩემებურად გავკენწლე: კოტე კედელაური ჰიკაანელ კაცს ქალს არ გაატანდა-მეთქი. აკი არც მატანდა, მაგრამ ხერხი ვიხმარე და მოვიტაცეო...

მე და შათირიშვილს ერთად არ გვიბრძოლია, ის სულ სხვა არმიის სხვა ნაწილში ირიცხებოდა, მე სულ სხვა არმიის სხვა ნაწილში. ჩვენი თანამებრძოლობა თუ თანამეგობრობა მხოლოდ ერთი დღით განისაზღვრა, როცა ორი ფრონტის ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ. გაგვიძნელდა განშორება ორად ორ ქართველს ერთმანეთისაგან, მაგრამ რას ვიზამდით. გული იმითღა დავიმშვიდეთ, რომ ავტომატები გავცვალეთ ნიშნად ფრონტული მეგობრობისა.

ასე იყო თუ ისე, დღეს მისი სტუმარი უნდა ვყოფილიყავი. ჩემი მოუსვენარი ქვისლიც მახსენდებოდა, რამე ხომ არ დაემართა, ავტოსადგურში რომ არ დამხვდა-მეთქი და გამახსენდა მისი სიმთვრალის ერთი ეპიზოდი.

საკუთარ სახლში დამთავრალიყო ერთხელ და ცოლისათვის ეთქვა: აბა, ახლა კი მშვიდობით, დროზე უნდა მივიდეო ოჯახში. რას ამბობ, კაცო, ოჯახში არა ხარ, მაშ სადა ხარ, მე ხომ შენი ცოლი ვარო... აბა, თუ ასეა, ჩვენი საბნებლო და ჩემი დაბულულებული თივე-

ზე მაჩვენეო. უჩვენებია და მხოლოდ მაშინ მოსულა გონზე ის საწყალი...

ვიგრძენი, ამ გახსენებამ სახის იერი მთლად შემიცვალა და მერე და მერე ვცდილობდი ცუდი რამ არაფერი მეფიქრა არც ქვისლზე და არც სხვა ვინმეზე...

ტაქსი ორსართულიან ქვიტკირის სახლთან გაჩერდა. შეგიძლიათ ჩამობრძანდეთო, ზრდილობიანად მომმართა შოფერმა. ჯიბეზე ხელი რომ გავიკარი, მის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა მგზავრმა მშვიდად გადმომძახა: ნუ წუხდებით, ფული გადახდილიაო. მისი ასეთი ქცევა თან გამიკვირდა, თან არც გამიკვირდა. მაგრამ მე რომ მანქანიდან გადმოვედი და ისიც გადმომყვა, ეს კი მართლაც გასაკვირი იყო. შოფერი ღიმილით დაგვემშვიდობა და გვისურვა: ტკბილი პური გეჭამოთო ერთად.

მე ველარ მოვითმინე და კითხვა მივახალე მაშინვე ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრს: შეთესი რა ხარ-მეთქი. შვილი გახლავართ, შანშეს მეძახიან, ვიცნობდეთო ერთმანეთს, მომიგო დინჯად და სადარბაზოს კარზე მორგებულ ელექტროღილაკს გრძელი თითი საბილიარდო ჯოხივით დაუმიზნა.

კარი მამამისმა გაგვიღო. მე ვერც მივხვდებოდი, ვინ იყო იგი, რომ თვალთა კილოებიდან საფეთქლებისაკენ ისრებად გაზიდულ ნაოჭებზე არ შემეხედნა თავდაპირველად. უჭირდა, ძლიერ უჭირდა მზერა. ხმა რომ არ ამომეღო, ალბათ ვერც ის მიცნობდა. თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რადგან ოცდაათი წლის მერე მხოლოდ პირველად ვხვდებოდი მას.

ნაადრევად მობერებულმა მასპინძელმა იხტიბარი არ გაიტეხა და ვაჟკაცურად აგვიძღვა მაღლა. იქნებ ჩემმა მოულოდნელმა სტუმრობამ დაუბრუნა ძველებური ძალღონე, ან იქნებ მე შევცდი და ის ისეთივე შეთე იყო, როგორც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ. მაგრამ არა, ის კოჭლობდა კიდეც. დავაკვირდი, ცალი ფეხი ხისა ჰქონდა.

ვიდრე ოთახში შეგვიყვანდა, ეზოში გადაგვახედა შუშაბანდიდან. სამოთხესავით შემომანათა დაბლიდან კარგად მოვლილმა საკარმიდამო ვენახმა. შანშეს ხმადაბლა ვუთხარი: შენი ვაჟკაცობის ამბავი იქნება-მეთქი. შანშემ ხმამაღლა მითხრა: არაო, მამაჩემის ვაჟკაცობის ამბავიაო, იმანაც შეიმშვენა შვილის ნათქვამი და ახლა კი ნამდვილად ისევ ის შეთე დამიდგა თვალწინ.

შარშან ამ პაწაწკინტელა ვენახიდან სამტონნანახევარი შუქიანი მტევანი ჩავაბარეო სახელმწიფოს, ისე ჩაილაპარაკა შეთემ, ვითომცდა არაფერიაო. მომეწონა ფრონტელი მეგობრის ასეთი გაუტეხელი და უჯიათი ხასიათი.

სულს მხოლოდ ისღა მიმღვრევდა: იქ, იმ უცნაური ავტობუსის უცნაურ წარწერებში გამკილავად რად იყო ნახსენები ამ კეთილშობილი კაცის სახელი. მერე რა არი, სინათლე რომ დააკლდა თვალში. ადამიანი მარტო თვალით ხომ არა, გულითაც და გუმანითაც ხედავს, მაგრამ არა უშავს რა, ნათქვამია, დრო ყველას თავისას მიუზღავსო.

— შვილო, შანშე, გუშინ ვენახში შესულხარ, ხომ არ შეგიმჩნევია, შტამბზე გადაჭრილმა ვაზებმა კვირტი გამოიტანეს თუ არა?! — გაისმა შეთეს თბილი, ხავერდოვანი ხმა.

— არ შემიმჩნევია. ჯერ ნაადრევია მაგაზე ლაპარაკი. ტყუილად კი არ ჰქვია იმ კვირტს მძინარა კვირტი, მამაჩემო!..

— მძინარა კი ჰქვია, მაგრამ ჩემი იმედი იმ კვირტზეა დანდობილი. უიმისოდ ის მოყინული ვაზები როგორღა აიყრიან, შვილო, სამამულე რქას. არ შემიმჩნევიაო. მე კი, ეს ნახევრად უსინათლო კაცი, აი აქედანაც კარგად ვხედავ იმ გამოტანილ კვირტს. ნუ გეწყინება და მძინარა კვირტი იმას კი არა, შენ უნდა გერქვას, რომ შუა აპრილშიც ბურანში წასულივით დადიხარ ცალუღლად დარჩენილი კაცი...

— მერე და, მაგითა მწუნობ, მამი?!

— ვიდრე ცხოვრება დაგიწუნებდეს, გერჩივნოს, მე დაგიწუნო. განა მარტო ვაზსა სჭირდება ახალი კვირტი, ახალი ყლორტი, ოჯახსაც უნდა, შვილო, განა-

ხლება და გამრავლება. ერთი შვილიშვილი ახლა ამ ნახევრად უსინათლო კაცს მეცხრე ცაში აიყვანდა ალბათ.

— ცოტახანს კიდევ დამაცადე, მამი, და რძალსაც მოესწრები და შვილიშვილსაც.

— მე კი დაგაცდი, მაგრამ ისიც გახსოვდეს, სანამ ხარი დახარდა, პატრონიც გათავდაო.

შანშე გაწითლდა. თონესავით აუბრიალდა სახე. შემეცოდა. ვცადე, საუბარი სხვა კალაპოტში გადამეგდო:

— შეთე ბატონო, მახსოვს, თვალებს არ უჩიოდით ადრე.

— სწორი ბრძანდებით, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით ფრონტზე, მაშინ მართლაც არ ვუჩიოდი, მერე მოხდა მოსახდენი... სინათლე კი სამ კვირაში დამიბრუნეს ჩვენმა ექიმებმა ბუდაპეშტის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, მაგრამ ფეხს, მარჯვენა ფეხს არაფერი ეშველა, მომკვეთეს და ბედმა ამ ტერფიანი ხის კონკილათი გამომისტუმრა სამშობლოში.

— სინათლე იქვე დაგბრუნებიათ, აქ რაღა დაგემართათ, მერე ისიც კარგახნის შემდეგ?...

— ომმა თავისი გამიხსენა ალბათ. ტირში ვმუშაობდი, სროლას ვასწავლიდი ჩვენებურ ბიჭებს. ერთმა ენაკვიმატიანმა ბოროტად მითხრა: ცალ თვალს რა შავი ეშმაკივით ჰუტავ, ხოლმეო. ამის თქმა იყო და ორთავ თვალის გუგაში ჰახანი გაიღო რაღაცამ და გონიც დავკარგე... მერე, გონზე კი მოვედი, მაგრამ სინათლე, ეს ოხერი სინათლე გამინახევრდა მას შემდეგ.

შევატყვე, ძალიან მტკივნეულად განიცდიდა თავის თავგადასავალს და ჩემა თანამემამულე ქალბატონი ქეთევანი ვიკითხე... კოლმეურნეობაშია, კომპლექსური ბრიგადა აბარია, ნამეტანი ბევრი სამუშაო აქვს დღენიადაგ, მოგვიანებით მოდის ხოლმეო სახლში, მითხრა შეთემ და სამივენი მისაღებ ოთახში შევედით...

ოთახი პატარა ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჰგავდა. ერთ კედელზე შეთეს ფრონტული სურათები ეკიდა, მეორე კედელზე ქეთევანისა, მხოლოდ არა ფრონტული, არამედ საკოლმეურნეო შრომის ამსახველი სურათები, განსაკუთრებით მევენახეობის დარგიდან.

შანშეს ვკითხე; რატომ შენ კი არა გაქვს ცალკე ადგილი გამოყოფილი შენი სურათებისათვის-მეთქი. რა ვიცი, მშობლები მეუბნებიან, არც გიბრძოლია, არც გიშრომია, სულ ქეიფობ და ქეიფობის სურათებს კიდევ აქ რა უნდაო...

— რა ვქნა, ღმერთმა ეს ნიჭი მომცა, რის გამოც რესტორანს მიმაჯაჭვა, მისი გამგებლობა ჩამაბარა. მოდი და, ამის შემდეგ აუჯანყდი საკუთარ თავს, გამოვა რამე? ბოლოს და ბოლოს იმხელა რესტორანს განვაგებ, ესეც შრომაა თუ არა?!

ყოველივე ამას შანშე ხუმრობის კილოზე ხლართავდა და მარტო მე კი არა, მგონი, მამამისსაც ეღიმებოდა თოვლივით თეთრ ულვაშებში.

ერთ კუთხეში მაჯის სიმსხოდ დაწნული გრძელი შოლტი შევნიშნე. შოლტსა ჰგავდა, თორემ მტერს იმისთანა შოლტის მოქნევა. შეთემ დაბნეულობა შემატყო და სიტყვა შემაშველა მაშინვე:

— ეგ ძველისძველი ჰაპანია. მეექვსე კლასის სახელმძღვანელოში მისთვის ასეთი განმარტება მიუციათ: ჰაპანი არი თოკი ან ჯაჭვიო... სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე. იგი არი ხარის ტყავისაგან თექვსმეტპირად დაწნული კევრის ან ურმის საწევი, რომელიც თოკზედაც მაგარია და ჯაჭვზედაც... ჰაპანწყვეტაო, რომ იტყოდნენ ძველად, ეს ნიშნავდა ყველაზე ძნელი საქმის შესრულებას. ჰოდა, ამ ოჯახში სწორედ ამიტომაც ჰკიდია ჩვენი სახელოვანი წინაპრების ეს ძვირფასი ნახელავი. შანშესსთანა ბიჭებს კი მის დანახვაზე ჟრუანტელი უვლით სხეულში...

— ააა, კიდევ გამკენწლა მამაჩემმაო, — წამოიძახა შანშემ და მარანში ჩაირბინა ღვინისა და პურის ამოსატანად.

ამასობაში ქეთევანიც მოვიდა. მოვიდა და თითქოს თან მოჰყვა ნახნავი მიწების სუნთქვა და სურნელი... მიუხედა-

ვამდე იმისა, რომ ბალღობის შემდეგ აღარ გვენახა ერთმანეთი, ადვილად მიცნო მაინც. ადვილად ვიცნი მეც. ოჯახს მეტი სინათლე მიეცა. შანშესაც მეტი სილაღე დაეტყო ქცევასა და სიტყვა-პასუხში.

შეთეც თითქოს მთლად გამოიცვალა, ალბათ ლოცვასავით იმიტომაც წაიდუდუნა: დიდება შენდა უფალო, ამ დროთა მოვიყარეო, არც ვისი შევსვი, შევჭამე, არც ვისი მოვიპარეო...

„ამ დროთა მოვიყარეო“ — ქმრის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები ახლა ქეთევანმა გაიმეორა, მხოლოდ პატარა საყვედურით:

— კაცო, რა დაგემართა ისეთი, სულ „დროსა და დროს“ რომ გაიძახი ამ ბოლო ხანებში?!..

— იმიტომ გავიძახი, რომ მინდა ჩვენი სიცოცხლეც დროსა ჰგავდეს, რათა ხან ზამთარივით ვბერდებოდეთ, ხან კიდევ გაზაფხულივით ვჭეილდებოდეთ...

— მაშინ ადამიანები კი არა, ვაზები ვიქნებოდით, მამაჩემო! ზამთარში ისინი ბერდებიან და გაზაფხულზედაც სწორედ ისინი ჭეილდებიან! — გაისმა შანშეს ხორხისმიერი ხმა.

— ბიჭო, მე ამას სიბერე მალაპარაკებს, შენ ხომ ჯერ ისევ ჭეილი ხარ?! — არ დააყოვნა პასუხი შეთემ.

— რა ვიცი, წამდაუწუმ „მძინარა კვირტს“ კი მეძახი და..

— წამდაუწუმო? სულ ერთხელ გითხარი და ისიც გწყენია... დამშვიდდი, შვილო, კვირტი მძინარაა თუ მღვიძარა, მაინც სიჭაბუკის პირველი ნიშანია...

— შანშე, ახლა ამ ოჯახში ერთი ცისკარივით პატარძალი რომ ტრიალებდეს, მაშინ მამაშენი „მძინარა კვირტს“ აღარც დაგიძახებდა ალბათ! — ვთქვი მეც ჩემი სათქმელი.

— ეგეც იქნება, ძია პეტრე, ეგეც იქნება! — გადმომძახა შანშემ და თან შოთი პური გამომიწოდა შუაზე გადასატეხად.

ქეთევანი მთლად გაიბადრა. შვილის ნათქვამში ოდნავი ეჭვიც არ შეუტანია. მერე ტუჩებზე თითი მიიდო და მე და შეთე ჩურჩულით გაგვაფრთხილა: ნუ გააჯავრებთ კაი ყმასაო...

ჩვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიჭუკჭუკებდით კიდევ, რომ ჩემი კაფანდარა ქვისლი არ გამოჩენილიყო უეცრად, ყაჩაღივით არ დაგვცემოდა თავზე. ტაქსის შოფერს ეთქვა ჩემზე: მავან და მავან კაცთან არისო სტუმრად. ცოტა ნასვამიც იყო. შარი აქეთკენ მომიდო, რას გარბოდი ავტოსადგურიდან პაი-პარად, ნახევარი საათი ველარ მოიცადეო. მერე ქარაგმებზედაც გადავიდა: ვაი საწყლის წერასაო, თავი უგავს ძერასაო, დიდი გულის მეგობარი ორგული ჰყავს ყველასაო...

დამშვიდობებისას ჩემ თავს შევატყვე, რომ ძალიან მიმძიმდა შეთეს, შანშესა და ქეთევანის დატოვება, მაგრამ ჩემი ქვისლი ახირებულ ხასიათზე იყო და უარის თქმაზე ნამდვილად რაღაც ხათაბალაში გამხვევდა...

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

წავედი, წავყევი დიდიხნის უნახავ ქვისლს თავის სოფელში. თან გამყვა შათირიშვილების ოჯახური სითბო და სიტკბო, თან გამყვა მათი ვაზების ახლად გამოტანილი კვირტების ცისკრული შუქი და პატარა ბიჭივით სულ იმას ვფიქრობდი: თბილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ მენახა დაბა-ქალაქის ქავციხესთან მდგარი უცნაური წარწერებით აჭრელებული ავტობუსი, რომ სამუდამოდ წამეშალა შეთე შათირიშვილის მისამართით „ამოტვიფრული“ რამდენიმე გამკილავი სიტყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მედეა კახიძე*

## მართალი საქმე

ღმერთმანი,
ჩუმად დავდივარ ჩემთვის,
სიყვარულისთვის
არ ვითხოვ ღალას,
გარჩევა ვიცი
შავი და თეთრის,
არ გაპატიებ
სიმართლის ღალატს.
ღმერთმანი, ზოგჯერ
ჩემში ეჭვს ბადებს,
ვინც მეტისმეტად
ლხინში რაინდობს,
ხან ისიც ვიცი
ვინ მიქსოვს ბადეს,
ან გასაჭირში
ვინ არ დამინდობს.
მაგრამ სალამზე
ვპასუხობ სალმით
და გასაკიცხს კაცს
ვერაფრით ვკიცხავ,
და მე მძულს თავი,
რადგან არ ძალმიძს
პირში ვახალო
მართალი სიტყვა.
ერთმანეთს ფუჭი
სიტყვებით ვაქებთ,
და ვერიდებით
პირისპირ შეხლას,
რადგან ყოველი
მართალი საქმე
თავის შეწირვას
თხოულობს მსხვერპლად.

## შენ კი გვიმეტებ ასე

კიდეც მღალატობ ურცხვად
კიდეც მეგობრად მრაცხავ,
იცი, ვერ დაგთმობ უცბად,
ვერ მოგექცევი მკაცრად.
შენ კი გვიმეტებ ასე
თანაშეზრდილებს სიყრმით,
ჩემთან ქილიკობ სხვაზე,
სხვასთან ჩემს აუგს იტყვი;
როდის მოგვიქნევ წკეპლას,
აწურული გვაქვს მხრები,
ვის არ გაწირავ მსხვერპლად
ოღონდ აცინო სხვები;
მაინც ვინ მატანს ძალას
გამცვალე ისევ გენდე,
შენს ცუდს ყველასთან ვმალავ
ვერ გაგიმეტე დღემდე;
მაინც უშენოდ „ძმები"
არ გადადგამენ ნაბიჯს,
ყველა გიხმობს და გძებნის,
ყველა გეძახის
კარგ ბიჭს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომ ტყეში გდია

შებინდებულზე
ხე დიდებული
დასცა მეტყევემ პირქვე,
მერე ფერდობზე
შეკიდებულმა
მიკაფ-მოკაფა იქვე.

გამოზაფხულზე
როცა მთაველი
წითელ-ყვითელ ფრთებს გაშლის,
ვინმე გამვლელი
უჯიათ მუხას
მოინაკლისებს თვალში.

ტყე კი არაფრად
არ აგდებს სიკვდილს,
მე კი ვწუხვარ და მიკვირს,
რომ ტყეში გდია
ხეების მეფე,
როგორც უბრალო ჯირკი.

## არ გამიმრუდებია

სიხარულის გაყოფა იოლია,
ტკივილების — ძნელი,
საკუთარ თავთან მიომია
არგასახსენებლად ძველის.
ბოლომდე მიერთგულებია,
ვინც იცის
ერთგულების ფასი,
მეგობრად თუ ვინმე
მგულებია,
არ გამიმრუდებია მრწამსი;
მე შენთან
თავს მაშინ დავიმდაბლებ,
თუ სხვას გავუხდები შემწედ,
მე კი ჩემთა თავად თავიდანვე
თხოვნისთვის
ძალა არ შემწევს.
თუ სიტყვა წამომცდა
საავგო,
პასუხს მე თვითონვე ვაგებ,
თუ მეცოდება,
საქმით თანავუგრძნობ,
ცრემლებს არ ჩამოვყრი განგებ;
ვერც ჩემს მეწლეულ ხეს
გავიმეტებ,
გულგრილად
ვერც სხვის ხეს მოვჭრი,
რადგან მეგულება ჩემდა საიმედოდ
ქართული მიწის
ყოველი გოჯი.
ბოლომდე მიერთგულებია,
ვინც იყო სიყვარულის ღირსი,
არც ნებით
არც თუ უნებლიედ.
არ გამიტეხია ფიცი.

* * *

უკან დაგვრჩა მტკვარი,
გზას არ უჩანს სიგრძე,
რაღაც საოცარი
მიწის ძალა ვიგრძნე.
გზა ოცნებებს ბადებს,
ძალას მმატებს დაღლილს,
რაღა სწორედ ამ დღეს
ჩაწვა მთებზე ჯანღი,
მთებს ბურუსი ბურავს
იფინება ჭავლად,
ვერ ვაჩვენებ სტუმარს
მიმოჰანგულ ჭალას.
რაღა სწორედ ახლა,
რაღა სტუმრის იღბლად,
მზე ჭიატა ჩაქრა
კავკასიის მიღმა;
ვერ დავატკბე ცქერით,
ვერ ავანთე გზნებით,
ვერ ვაჩვენე ჩემი
საყვარელი გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტოხელა

შენ მასზე ფიქრებში
ფლანგავდი წელიწადებს.
და იმ ერთს დაამყნე
მზიანი იმედები.
შენ დაგთმეს, მაგრამ შენ
გული ვერ შეიცვალე
და დასავიწყებლად
ძილშიც ვერ იმეტებდი.
მრავალი უძილო თვეები გაასესხე.
დღეები დღევანდელი
გუშინდელს მიაგვანან,
ჩუმად დაგიღვრია
ცრემლები არა ერთხელ,
რომ არ გიმღერია
აკვანთან იავნანა.
შენ მისთვის არცერთხელ
არ გითქვამს საყვედური,
არც მარტოობისთვის
არავის ემდურები,
რა მისი ბრალია,
თუ იყო წამხედური,
თუ ნიჭი არ ჰქონდა
ტრფობის და ერთგულების.

სხვათა სიყვარულში
ნელიად მიდის წლები,
ბევრჯერ სინანულის
ცრემლები მოგწოლია,
ოცნებებს დასწოლია
ჩრდილი მივიწყების,
გული რახანია
ჩამქრალი კოცონია.
თუმც ბევრი უძილო
დღეების მოწამე ხარ,
მრავალი გაქირდვა,
ქილიკი აიტანე,
თუმცა გაგიცია
გულუხვი მოწყალება,
შენ არ გითხოვია
შველა საიდანმე.
შენ იცი ცხოვრების
მრავალი სიავკარგე,
თუ როგორ აღწევენ
საწადელს გამოძალვით,
შენ არ დაგიკარგავს
ქალური სიამაყე
და დარჩი ამაყი,
ზვიადი ამორძალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ ჭობიძე

# გვიმრის ფოთლები

## რომანი

* * *

ფუნიკულიორის რესტორანში, მყუდრო ადგილას, რვა კაცზე ნავარაუდევი მაგიდა დაიკავეს. ნათია პირით დარბაზისაკენ დაჯდა, ჩანთა გვერდით სკამზე დაიდო და თანამეინახეები შეათვალიერა.

სულ ძველი ნაცნობები იყვნენ. ნათიას ყოველი მათგანი უკვე მრავალჯერ ენახა.

ნათიას პირდაპირ ტანმორჩილი, გამხდარი, მაგრამ სულ დაძარღვული, ერთავად შუბლქვეშიდან მაცქერალი და გაუღიმარი თაზო ბულესკირია იჯდა. ნათიას მასზე გაგონილი ჰქონდა, დაუნდობელია, ჩხუბში უბინძურეს ხერხებსაც არ ერიდება და ერთი-ორჯერ იარაღიც კი ამოიღოო. ბესარიონთან ბულესკირიას, — ისევე, როგორც სხვებს, — თავი მორიდებით, მორჩილად ეჭირა და მისი ხათრით ზოგჯერ ნათიასაც კი გაუღიმებდა ხოლმე. მაგრამ ეს ღიმილი მუდამ ნაძალადევი, ყურით მოთრეული იყო. და ბულესკირიას გამხდარ, მუდამ ავად ჩაფიქრებულ სახეს კიდევ უფრო ანტიპატიურს ხდიდა.

ბულესკირიას მხარმარჯვნივ მუდამ უფული, თანამეინახეებისაგან მუდამ აგდებული და გამასხარავებული ანზორ კუპატაძე იჯდა. ამას წითური თმები, ჭორფლისფერი სახე, რაღაცნაირი — მოწითალო-ყავისფერი თვალები და სველი, უფერული ტუჩები ჰქონდა. ნათიას ხშირად უფიქრია, ამ კომპანიაში ყველაზე უფრო უზრუნველი და გულკეთილი ეს კუპატაძეაო. მართლაც, ანზორს არავისგან არაფერი სწყინდა, ყველასგან ყველაფერს იტანდა და ქეიფის დამთავრების შემდეგ თვითონ სახლში ისე არ წავიდოდა, რომ ყველა ამხანაგი — თვითონ მასზე უფრო მთვრალებიც და მასზე ფხიზლებიც საკუთარ სახლებში არ ჩამოერიგებინა. იგი ღარიბი მშობლების შვილი იყო. თვითონ არსად სწავლობდა, არც მუშაობდა და ნათია ხშირად ჩაფიქრებულა, ნეტავი, ეს ბიჭი ან ახლა რითი ცხოვრობს და ან საერთოდ ცხოვრებაში რას აპირებსო.

დანარჩენი ორი — ლამაზ, თაფლისფერთვალებიანი, მხარბეჭიანი, მუდამ მშვიდად და თავაზიანად მომღიმარი მირზა ჭირაქაძე და ხითხითა ჩასუქებული, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი თენგიზ ჯაველიძე — სტუდენტები იყვნენ. ორივე სამედიცინოზე სწავლობდა. მართალია, ნათიას არასოდეს

* დასასრული. იხ. „მნათობი", № 7.

შეუმჩნევია, რომ რომელიმე მათგანს რაიმე საგნის ჩაბარებაზე ეზრუნოს, ან ხელში წიგნი მაინც სჭეროდეთ. ასაკითაც — სტუდენტობა კარგა ხნის მოთავებული უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ეს არც ერთს აღელვებდა და არც მეორეს. დღედაღამე ბესარიონთან ერთად დაეხეტებოდნენ (თუ კრიალა „ვოლგებით“ სრიალს ხეტიალად ჩავთვლით). და, კუპატაძისაგან განსხვავებით ჯიბეებში ტკიცინა თუმნიანები და ოცდახუთმანეთიანები არ ელეოდათ. წინათ, ამ ბიჭებთან ნაცნობობის პირველ ხანებში, ნათია ხშირად ჩაფიქრებულა და შეშინებულა კიდეც, ნეტავი, ამდენი ფული საიდანა აქვთო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამას არავინ ეტყოდა, და ხელი ჩაიქნია. ის კი იცოდა, რომ ის ფული პატიოსანი გზით ნაშოვნი არ იქნებოდა. ერთხელ ნათიას უსიამოდ შეაკრუოლა იმის წარმოდგენისას, რომ როდესმე ეს ბიჭები რესტორანში ჩხუბსა და აყალმაყალს ასტეხდნენ და, შეიძლება, მთელი კამპანია მილიციაში წაებრძანებინათ. მაშინ ნათიას თავი როგორ უნდა ემართლებინა? სხვა თუ არაფერი, იმას ხომ მაინც ჰკითხავდნენ, ასეთ ხალხთან რატომ ამხანაგობო? რა ეთქვა? ბესარიონის ამხანაგები არიან, ბესარიონი კი... რა — ბესარიონი? ბესარიონი ამათზე უკეთესია? ანდა, კარგი, ვთქვათ, ნათია იკადრებდა და იტყოდა, ბესარიონი დამდევსო. ვითომ, თავის გასამართლებლად ეს იკმარებდა?

მაგრამ ნათიამ მაშინ ეს აბეზარი ფიქრიც თავიდან მოიშორა.

ბესარიონის ამხანაგებს — ყველას — უცხოური ტანსაცმელი ეცვა: ჭრელჭრულა პერანგები, დაცვეთილი ჯინსები, სქელლანჩიანი, უხეში ფეხსაცმელები. ერთი, ნათრევი, შავ-წითელი პერანგი ვიღაცას კუპატაძისათვისაც კი გაემეტებინა. თვითონ ბესარიონს კი ჩვეულებრივი ნაცრისფერი შალის შარვალი, შავი კარგად გაწმენდილი ფეხსაცმელები და მოკლესახელოებიანი ცისფერი პერანგი ეცვა.

„ვითომდა, დამოუკიდებელი კაცი ვარ და მოდას არ ავყვებიო“, გესლიანად გაიფიქრა ნათიამ.

რესტორანი ხალხით იყო სავსე. ბესარიონსა და მის აფსონებს თითქმის ყოველი მაგიდიდან ესალმებოდნენ. სიამოვნებისა და სიამაყისაგან წამოწითლებული ბესარიონი (ამას კიდევ წამოწითლება უნდოდა?) ყოველი მხრივ ორივე ხელით კოცნას აგზავნიდა და თან დასაჯდომად ემზადებოდა. მაგრამ არ იქნა და დაჯდომა დიდხანს ვერ მოახერხა. როგორც კი მორიგ სალამს გააგზავნიდა და დაჯდომას დააპირებდა, სადღაც, რესტორნის მეორე ბოლოში მდგარ შორეულ მაგიდასთან ვიღაც წამოხტებოდა და ბესარიონს იქიდანვე დიდის ამბით, წელში მოხრით, მარჯვენა ხელის მკერდზე მიდებით, პირზე კოცნით და წელში კიდევ მრავალგზის მოხრით მიესალმებოდა. ბესარიონს სიამოვნებისაგან ისევ სახე ებადრებოდა და საპასუხო სალამსა და ჰაეროვან კოცნას აგზავნიდა. როცა, ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, მისალმებები ჩათავდა და ბესარიონი დაჯდა, სახე კიდეც გაოფლიანებოდა, დაჯდა, ჭრელი ცხვირსახოცით სახე და კისერი მოიწმინდა. მერე სკამზე ბატონკაცურად გასწორდა, მენიუ აიღო და ნათიას თავაზიანი წელში მოხრით მიართვა.

— ქალბატონო ნათია, გთხოვთ... ინებეთ...

ნათიამ მენიუ გადაშალა, თვალი ჩაავლო და გვერდზე გასწია:

— მე შემწვარი სულგუნი მინდა.

— ოჰ, — მსუქანი თენგიზ ჯაველიძე სიცილისაგან ჩაბჟირდა, — ეგ ძალიან ძვირი დაგვიჯდება.

თანამეინახეებმა გაიცინეს. მუდამ ბულასავით თავჩაღუნულმა თაზო ბულესკირიამ ნათიას შავი, ავად მომღიმარე თვალები შეანათა. მირზა ჭირაქაძე თავაზიანად ილიმებოდა. ანზორ კუპა-

ტაძე კი ისე უზრუნველად და გულიანად იცინოდა, თითქოს ჯაველიძეს მართლაც ძალიან მოსწრებული რამ ეთქვას.

ბესარიონმაც ჩაიროხროხა, მაგრამ იმავე წამში ჩანგალი მაგიდას მბრძანებლურად დაუკაკუნა.

— მოგართმევთ, ქალბატონო ნათია, ყველაფერს თქვენი სურვილით მოგართმევთ. — ბესარიონმა ნათიას ეს სიტყვები თავაზიანი წელში მოხრით უთხრა, მერე კი თავი არწივივით აიშვირა და სხვებს მბრძანებლურად გადახედა, — რაქვია... ამ ფუნიკულიორის რესტორანში კი ნამდვილად არ შემომესვლება. ქალბატონმა ნათიამ... (ისევ თავაზიანი თავის დაკვრა ნათიას მისამართით) ქალბატონმა ნათიამ ასე ისურვა, თორემ... გელაპარაკები, თაზო, რაც მე და მამაჩემს თბილისში ძმაკაცები გვყავს, საღამოობით — ყველა ამ რესტორანში ამოდის. ჰოდა... მე არ მახსოვს, რაქვია, აქედან ფხიზელი წავსულიყავი. არადა, მეც ადამიანი ვარ, მეც მინდა, ხანდახან ამოვიდე, დავჯდე, ჩემს მეგობრებს გავესაუბრო. რაქვია... არა, და არ გამომდის და ე, თუ არ გჯერათ, ე, ის ღვინო ახლა ჩვენთან მოდის.

დაბალ-დაბალი, სქელულვაშა, თვალებგადმოკაკლული ოფიციანტი ამათი სუფრისაკენ ძლივს მოიკვლევდა გზას და ლანგრით ოციოდე ბოთლი „გურჯაანი“ მოჰქონდა. როგორც იქნა, მოაწია, ლანგარი იქვე, კედელთან მდგარ პატარა მაგიდაზე ერთი ხვნეშით ჩამოდგა: გაოფლილი სახე ხელსახოცით მოიწმინდა და მაგიდასთან მსხდომთ თავი დაუკრა.

— კამპანიას გაუმარჯოს! ეს ოცი „გურჯაანი“ კოკინიამ მოგართვათ.

— მე რა გითხარით? — უთხრა ბესარიონმა თანამეინახეებს, მერე ოფიციანტს მიუბრუნდა და ხუთმანეთიანი გულის ჯიბეში ჩაუკუჭა, — იცოცხლე! ეს მაგიდა ვისია?

— ჩემი გახლავთ.

— აბა, მოგვხედე!

— ემ საათში!

ოფიციანტმა ბოთლი ზოგი მაგიდაზე გადმოდგა, ზოგი — იატაკზე და ლანგრის ქნევით წავიდა.

— ახლა უცადე! — თენგიზ ჯაველიძე ისევ ჩაბჟირდა.

ამფსონები ისევ ახარხარდნენ. ბესარიონმა მოკლედ, ნასწავლი სიცილით გაიცინა და იმ წამსვე ჩანგალი ისევ მბრძანებლურად დააკაკუნა.

— რაქვია... მაგისთანებს ეგ მე ვერ გამიბედავს. რა ავირჩიეთ?

— ჯერ გავიგოთ, რა აქვთ. — თავდაღუნულ თაზო ბულესკირიას შუბლზე ძარღვი დაებერა.

— ჩემთვის ყველაფერი ექნებათ. აბა!

— მე სუკი!

— სუკი და ტაბაკა!

— რაქვია... კარგია! შენ? — ბესარიონმა ანზორ კუპატაძე შეათვალიერა.

— რასაც სხვები მოითხოვენ... — კუპატაძემ მხრები აიჩეჩა.

— კარგი, ყველაფერი ნათქვამია, რაქვია... აბა, ახლა მე მაცალეთ, — ბესარიონმა შარვლის ჯიბიდან წითელი თუმნიანების დასტა ამოიღო და მაგიდაზე დასდო. მერე ჩანგალი აიღო და გრაფინს მაგრად მიუკაკუნა.

— ჰეი!

— ემ საათში! — თვალებგადმოკაკლული სქელულვაშა ოფიციანტი თითქოს მიწიდან ამოძვრაო. მაგიდას მიეჭრა. ქოშინებდა და ბლოკნოტსა და ფანქარს იმარჯვებდა.

— ეგ შეინახე. ახლა ამას შეხედე! — ბესარიონმა თუმნიანების დასტა დაანახა, — აქედან მე სახლში კაპიკის წამღები არა ვარ. ოღონდ — გესმის? ვახშამი უნდა გვაჭამო ისეთი, რომ... ერთი სიტყვით... გაიგე?

— გავიგე, ემ საათში! — ოფიციანტმა ფანქარი და ბლოკნოტი შეინახა, ბესარიონს თავი მდაბლად დაუკრა და გაიქცა.

— ეს სიმონაა... — საკუთარი თავით

ეროვნული

უზომოდ კმაყოფილი ბესარიონი დიდკაცურად გადაწვა სკამის ზურგზე. არ იცნობთ? ოო, დირექტორი, მზარეულები — ყველა მუშტში ჰყავს ნახეთ, რა ამბავი დაატრიალოს. ოღონდ, ...რაქვია... გესმის? — ბესარიონი ანზორ კუპატაძეს მიუბრუნდა, — ჩვენ თუ ღვინო მოგვეკიდოს, შენ გახვალ და მანქანას ჯიშიაშვილს ჩააბარებ. სადმე მანდ იქნება. აჰა! — ბესარიონმა ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და კუპატაძეს მიუგდო, — ასე უთხარი, ხვალ დილას თვითონ ბესარიონი ამოვა და წაიყვანს-თქვა.

— ეს ამ ხუთმანეთიანს ჯიბეში ჩაიდებს და მანქანას თვითონ უყარაულებს. — თენგიზ ჯაველიძე ისევ ახითხითდა.

სხვებიც ახარხარდნენ. კუპატაძე ოდნავ წამოწითლდა სახეზე და ნათიას სწრაფი მზერა შეავლო. მაგრამ მერე თვითონაც გაიცინა.

სიმონამ მართლაც დიდი ამბავი დაატრიალა. სანამ მარტო საუზმეს გააწყობდა, ბარე ერთი საათი ირბინა მაგიდას, ბუფეტსა და სამზარეულოს შუა. უსაშველოდ მონდომებულს — აქოშინებულსა და გაოფლიანებულს მოჰქონდა და მოჰქონდა წითელი და შავი ხიზილალა, მწვანილი, თევზეულის ასორტი, სულგუნი, ხაჭაპურები, მჟავეულობა, ხაშლამა, წითელი და მწვანე ლობიო, ნიგვზიანი ბადრიჯანი, ცივად მოხარშული დედლები, ღვინის, კონიაკის, ბორჯომისა და ლიმონათის ბოთლები, ეს ყველაფერი ლაზათიანად გაარიგა მაგიდაზე, ბროლის ჭიქები გაასწორა, განზე გადგა და ხელი მაღლა აიშვირა:

— ასე. მივდივარ სამზარეულოში. ხუთ წუთში ყველაფერი იქნება.

— აბა, რაქვია... შენ იცი... ჰა,-ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო-ჰო! — უზომოდ გაამაყებულმა ბესარიონმა „ენისელის“ ბოთლი აიღო და ნათიას კონიაკი დაუსხა:

— ეს ნამდვილად კარგი სასმელია, ქალბატონო ნათია!

— მართლა?

— ნამდვილად. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო!

სწორედ ამ დროს მეორე — მელოტმა, ჭრელთვალა, ნიკაპშეჭყლეტილმა ოფიციანტმა ბესარიონს ლანგრით თორმეტი ბოთლი ღვინო, შემწვარი წიწილები და ლამაზად დაჭრილი საზამთრო მოართვა, — კალისტრატ ერმოლაევიჩის ძმაკაცებმა მოგართვესო.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, იცოცხლე! — ბესარიონმა თანამეინახეებს სიამაყითა და კმაყოფილებით სავსე მზერა მოავლო, — იცოცხლე, რაქვია... ამ მამაჩემს აქაც ვერ უნდა დავემალო?! საშველი აღარ უნდა დამადგეს?!

— დაგლუპავს, შენ ეგ კაცი დაგლუპავს... — ახითხითდა თენგიზ ჯაველიძე.

ისევ ახარხარდნენ სხვებიც. ისევ დაებერა შუბლზე ძარღვი ბულესკირიას.

— აბა, მეგობრებო! — ბესარიონმა კონიაკიანი ჭიქა ასწია, — ჩვენს თავშეყრას, ჩვენს მეგობრობას, ჩვენს ურთიერთგატანას... არაა? გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ, სიმწარე გვაშოროს და სიტკბო მოგვცეს!

— ამინ!...

კონიაკი ყველამ გადაჰკრა. ნათიამაც კი მიიდო ტუჩებზე მაღალფეხიანი, ლამაზი ჭიქა. ბესარიონმა თავისი ჭიქა დადგა, წითურ ანზორ კუპატაძეს გახედა და ჭროლა თვალები დაცინვით აათამაშა.

— კუპატაძე, რაქვია... შენ თუ ასე ხუხე და ხუხე, იმ „ვოლგამ“ მოგჭამა მაშინ ჭირი. ა? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჰო-ჰო-ჰო-ჰო!

— არ დავთვრები, კალისტრატოვიჩ! — კუპატაძემ ორივე ხელი ზე აწია, — კაცურ სიტყვას გაძლევ, რომ არ დავთვრები.

— ჰო! აბა, შენ იცი!... ბესარიონი წელში გაიმართა, — აბა, მეგობრებო! ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ჩვენ, რასაკვირველია, სუფრას გვიმშვენებს ისეთი შესანიშნავი ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, მანდილოსანი პიროვნება, როგორიც არის ჩვენი ქალბატონი ნათია. რაკი ქალბატონმა ნათიამ ჩვენ გვიკადრა, ამ სიშორეზე ამოგვყვა და აი, ჩვენს გვერდითა ზის, ჩვენ მოვალენი ვართ, მას შესაფერად გავუმასპინძლდეთ. მაგრამ ახლა — რით? ესე იგი რით უნდა ვუმასპინძლოთ ჩვენ ქალბატონ ნათიას? ბოდიში სუფრასთან მომითხოვია, ხიზილალითა და ამისთანობით ქალბატონ ნათიას ვერ გააკვირვებ. რაქვია... მაგისი დიდებული ოჯახის ამბავი ჩვენ გვსმენია. დიახ, აბა, რა ვქნათ, რა პატივი ვცეთ ქალბატონ ნათიას? ქალბატონ ნათიას, მე ვიტყოდი, ჩვენ უნდა ვუმასპინძლოთ თავაზიანი და მოსწრებული სიტყვა-პასუხით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ძველქართული რაინდული ქცევით, და ასე შემდეგ. არაა? დიახ... მაშასადამე, ჩვენს სუფრას ესაჭიროება კარგი თამადა და ვინ შეიძლება დღეს იყოს ასეთი თამადა? მე ვიტყოდი, რომ ასეთი თამადა დღეს შეიძლება იყოს ჩვენი მირზა ჭირაქაძე. მე, დიახაც, ასე ვიტყოდი! ჰოდა, ჩემო მირზა, იცოცხლე, ჩემო ძმაო, გაგიმარჯოს! ახლავე ვიცი, რომ ამ სუფრას ვაჟკაცურად, ძველქართულად უხელმძღვანელებ და ბოლომდე ასევე გაიტან. ამაში ჩვენ ყველანი ღრმესად დარწმუნებულნი ვართ. მე კი, ჩემდა თავად ერთი ლუკმა პურის ნატეხი ნუ შემაჭამოს ღმერთმა და ზედ ერთი ჭიქა ღვინო ნუ დამაყოლებინოს, თუ კი შენ, ჩემო მირზა, ჩემო სათნო, თავაზიანო და ტკბილმოუბარო ადამიანო, თუკი შენ გვერდით არ მეყოლები. იცოცხლე და გაგიმარჯოს!

— ბესარიონ, შენი ჭირიმე... — მირზა ჭირაქაძემ ხელი გულზე ვედრებით მიიდო.

— ჰაჲ! არ გამაგონო, სადღეგრძელო დალეულია! — ბესარიონმა დაცლილი სამშამპანურე ფუჟერი ასწია, რომლითაც ის-ის იყო „გურჯაანი" დალია, და ჭირაქაძეს დაანახა, — აბა, მეგობრებო, ისმება თამადის სადღეგრძელო!

— მირზა, იცოცხლე!

— მირზა, გაგიმარჯოს!

— შენი თამადობა ნუ მოგვიშალოს, მირზა, მირზა... გესმის? შენი თამადობა ნუ მოგვიშალოს!

— იცოცხლე, მირზა, გაგიმარჯოს!

მირზა იჯდა და ამ მოკლე სადღეგრძელოებს ხმაამოუღებლივ, თავაზიანი, ყველასადმი ყურადღებიანი და ამავე დროს საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე კაცის გამომეტყველებით ისმენდა, შემდეგ „გურჯაანით" სავსე ფუჟერი წინ დაიდგა და შთაგონებული თვალები ჭერს გაუშტერა.

— მე არ ვიცი, მეგობრებო, — დაბალი ხმით დაიწყო მან და მზერა თანამეინახეებს მოავლო, — მე არ ვიცი, რით უნდა გადაგიხადოთ მადლობა ამ დიდი ნდობისათვის. ეს რომ დიდი ნდობაა, მე მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება. მარტო ის, რომ, როგორც ბესარიონ კალისტრატოვიჩმა აღნიშნა, ჩვენს სუფრას ქალბატონი ნათია უზის, მარტო ეს ჯიუტი ფაქტი მეც და ჩვენც ყველას უსათუოდ ბევრს გვავალებს. შეიძლება, დღეს თბილისში ბევრი ახალგაზრდა ოცნებობდეს ქალბატონ ნათიას გვერდით ყოფნაზე, მასთან ერთად სუფრასთან ჯდომაზე, მაგრამ, როგორც ხედავთ, ბედმა თუ განგებამ ეს ბედნიერება დღეს ჩვენ გვაღირსა. მაშ, ვიყოთ, მეგობრებო, ამ ბედნიერების ღირსნი და თუ ახლა ჩვენ ყველანი ქალბატონი ნათიას სახეზე რაღაც ერთგვარი მოწყენილობის, ერთგვარი დარდის ნიშნებს ვხედავთ, — მე არ ვიცი, რითია ეს მოწყენილობა და ეს ნაღველი გამოწვეული, — თუ ჩვენ ახლა ამას ვხედავთ, ამ სუფრის მსვლელობაში ჩვენ მიგვეღწიოს იმისათვის, რომ ქალბატონი ნათიას სახიდან — ამ ღვთაებრივი სახიდან, მე ვიტყოდი, — უკვალოდ წაშლილიყოს ყოველგვარი მოწყენილობისა, დაღლილობისა და დარდის, აი, იმ რაღაც ფარული დარ-

დის ნაკვალევი, და ქალბატონი ნათია ჩვენთან ერთად გამხიარულებულიყოს! მეგობრებო, გმადლობთ დიდი ნდობისათვის!...

ჭირაქაძემ ფუჟერი ამოუსუნთქავად გამოსცალა.

— ო-ჰო-ჰო-ჰო! — აროხროხდა მწვანილით პირგამოტენილი ბესარიონი, — ციცერონია ეს კაცი, აბა, რა არის! იცოცხლე, ჩემო მირზა! არ შევმცდარვარ, შენ რომ თამადად დაგაყენე. ასე დაიწყო და — აწი რაღა იქნება? ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— ნამდვილად!

— თამადაა — ნულარ იტყვი. ყოჩაღ, მირზა!...

—მართლაც ძალიან მჭევრმეტყველი ბრძანებულხართ, — ნათიამ ჭირაქაძეს ალერსიანად გაუღიმა და „გურჯაანით“ სავსე ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, — თქვენი სადღეგრძელო იყოს... მაგრამ მოწყენილობა და დარდი რაზე შემამჩნიეთ?

— რა მიბრძანეთ? — ჭირაქაძე ზეწამოიჭრა და ნათიასაკენ თავაზიანად დაიხარა. ამ წუთში ეს ახალგაზრდა რაინდული თავშეკავებულობისა და, ამავე დროს, გულთბილი, ძმური ყურადღების სრული განსახიერება იყო, თუმცა თაფლისფერი თვალები უკვე ზომაზე მეტად უბრწყინავდა, — რა მიბრძანეთ?

— დარდი და მოწყენილობა რაზე შემამჩნიეთ-მეთქი?

— ჰოო!... დიახ!... — ჭირ ქაძე დაიხარა და ნათიას ხელზე აკოცა, — რა მოგახსენოთ, ქალბატონო ნათია... არის ასეთი გამოთქმა, ვისაც დარდიანი ლამაზი ქალი არ უნახავს, იმას არც დარდი უნახავს და არც სილამაზეო.

— ო! ო!

— აბა, მირზა, ასევე განაგრძე! — ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო — ა-ჰა-ჰა-ჰა!...

* * *

ნათია ავალიშვილს მამა არ ახსოვდა. ერთხელ, ორი წლის არცკი იქნებოდა, ბებოს კალთიდან დაუძვრა, შუშაბანდში გავარდა და სამზარეულოსკენ გაქცა. ასე იცოდა ხოლმე: სამზარეულოში შეირბენდა, იქიდან უკან დერეფანში გაძვრებოდა, ძალალი, ყვითელი, ათასნაირი წიგნით გამოტენილი კარადის გვერდს ამოეფარებოდა და ზევიდან ჩამოკიდებულ, სქელ ლურჯ ფარდაში გაეხვეოდა: ეკა ბებოს ასე დაემალებოდა ხოლმე. მერე ეკა ბებო ყველგან — ოთახებში, სამზარეულოში, შუშაბანდში, დერეფნებში დადიოდა და გაიძახოდა:

— ნათია, სადა ხარ, გოგონი? ქა, ნეტავი, სად დაიკარგა ის ბავშვი? სად არი, ქა, რომ აღარა ჩანს? აღარც ოთახებში, აღარც სამზარეულოშია, არც დერეფანშია, არც მეორე დერეფანშია... ჰა? ნათო, გოგონი, სად დაიმალე? გამოდი, ბებო გენაცვალოს! გამოდი, დამენახვე და გამახარე!

ნათია კი გასუსული იდგა, ფარდას გულზე იხუტებდა და ხმას არ იღებდა. თან უხმოდ, სულ უხმოდ, ხმაამოუღებლად ხითხითებდა, მერე, სულ გვიან, ბებო რომ დერეფანში ისევ გამოვიდოდა და ლურჯ ფარდასთან ახლოს, სულ ახლოს ჩაივლიდა, ნათია უცბათ გამოვარდებოდა ხოლმე და ზარიანი შეძახილით ბებიას უკანიდან წელზე მოეხვეოდა.

— ოჰ! — გაოცდებოდა ხოლმე ბებო, — ეს ვინ არის?! უი, ნათიკო, ეს შენა ხარ?! ოჰ, შე საძაგელო, შენა! ბებო ეგრე უნდა შეაშინო? ბებო ეგრე უნდა დააღონო? ბებო ეგრე უნდა დაადარდიანო? ჰეი, შენი დარდი და სატკივარი მისცა შენს ბებერ ბებოს, შენსას!

ბებო ნათიას აიტაცებდა, იქვე ტახტზე დააკოტრიალებდა და თავით ფეხებამდე ჩაკოცნიდა ხოლმე.

ნათიამ იმ დღესაც დამალობანა წამოიწყო, მაგრამ როგორც კი დერეფანში გავარდა, უცბათ მარცხნივ ეზოდან ამომავალი კიბეზე რამდენიმე კაცი დაინახა. დამწკრივებულიყვნენ, ერთმა-

ნეთს ზურგებს უკან ამოდგომოდნენ, მხრებზე რაღაც დიდი შავი ყუთი გაედოთ და კიბეზე დიდი წვალებით ამოჰქონდათ. იმავ წამს ოთახიდან ეკა ბებოც გამოვარდა, ნათია აიტაცა, გულზე მაგრად მიიხუტა და წინა, ქუჩისკენ მიმავალ ოთახში სულ ქოშინით შეარბენინა.

— ის რა არის, ბებო? ისინი ვინ არიან?

— არაფერი, შვილო... შენ აქ იყავი... მე და შენ აქ ვიყოთ...

ვინ იცის, ნათიამ რამდენი ხნის შემდეგ გაიგო, რომ იმ დიდ შავ ყუთში მამამისის ნეშტი ესვენა: მივლინებით ტყიბულში მყოფ სამთო ინჟინერს ჯამბაკურ ავალიშვილს შახტში შემთხვევით კაფსულა აუფეთქდა და ველარაფერი უშველეს.

სანამ ის შავი ყუთი სახლში იდგა, ნათიას დიდ ოთახში არ უშვებდნენ. დედა სულ იმ ყუთთან იჯდა და ტიროდა. იმ დღეებში დედასთან ძალიან ბევრი ხალხი დადიოდა, მესამე დღეს სულ უთვალავი ხალხი მოვიდა, მუსიკა უკრავდა, ქუჩაც ხალხით აივსო. ნათია ერთავათ ნატუსია დეიდას ჰყავდა ატატებული და ხელიდან არ უშვებდა. ნათიამ დაინახა, დედა როგორ ტიროდა და ნატუსია დეიდას აუტყდა, დედამ აკი მითხრა, აღარ ვიტირებ და მაშ, რატომღა-ტირისო... მერე ის შავი ყუთი ვიღაცა კაცებმა ქუჩაში გაიტანეს. ნათიას ახსოვს, ყველანი ქუჩაში როგორ მიდიოდნენ და ის შავი ყუთი ძალიან შორს მოჩანდა. საღამოს ნათია ისევ ადრე დააძინეს.

მამას ტყიბულიდან ჩამოსვლა ძალიან დააგვიანდა. წინათ რომ წავიდოდა, ძალიან მალე ჩამობრუნდებოდა ხოლმე. ნათიასთვის უამრავი საჩუქრები ჩამოჰქონდა — ხილი, ნახატებიანი წიგნები, ფეხსაცმელები... კოცნიდა, აბურთავებდა და ოთახებს ხმამაღალი ხარხარით ავსებდა, ახლა კი წავიდა და წავიდა. თითქოს გაქრაო, ნათია ერთ საღამოს დედას კალთაზე აუფორთხდა. ნინომ ქალიშვილს ხელები მაგრად მოხვია და თმებზე აკოცა.

—დედიკო,... მამიკო რატომ აღარ მოდის?

— როგორ არ მოდის?

— აბა, სად არის, თუ მოდის?!

— მოვა, შვილო, საქმეები აქვს, გააკეთებს და მოვა.

ნათიას მამის სიკვდილის ამბავი რამდენიმე წლის შემდეგ-ღა უთხრეს, როცა შეეშინდათ, ვაი, თუ სხვებმა უხეშად მიახალონ და დაგვიზაფრონო. ნათიას თვალები გაუფართოვდა.

— დედიკო!

— ბატონო!

— რატომ აქამდე არ მითხარი?!

— რა ვიცი, შვილო... გიფრთხილდებოდი.

— მე რომ ყველას ვეუბნებოდი, ჩემი მამიკო მივლინებაშიაო: ახლა რაღა ვუთხრა.

— ახლა უთხარი, მამა აღარა მყავსთქო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შემთხვევით დაიღუპათქო... — ნინოს ნიკაპი აუთრთოლდა, მაგრამ თავს არაადამიანური ძალა დაატანა, ცრემლები გადაყლაპა. და ნათია მკერდზე მიიკრა, — რას იზამ, შვილო... ქვეყანაზე რამდენი ბავშვია, რომ მამა არა ჰყავს. სამაგიეროდ, შენ, აი, მე გყავარ, ბებო, ამდენი ნათესავები... ჩვენ ხომ სულ ერთად ვიქნებით, შენ გაიზარდე, ისწავლე, კარგი გოგო გამოდი და... რა ვუყოთ!...

ნათია დედას მაგრად მიეხუტა მკერდზე და მოპირდაპირე კედელზე დაკიდულ მომღიმარე მამის სურათს მიაჩერდა. ან აქამდე როგორ ვერ მიხვდა, რომ მამა ცოცხალი აღარ იყო? პატარა ხომ აღარ არის!...

იმავე საღამოს ნათია ერთხელაც მივიდა დედასთან. ნინო უკვე ლოგინში იწვა, ხელები თავქვეშ ამოეწყო და ცრემლიანი თვალებით ჭერს მისჩერებოდა. ნათია საბანქვეშ შეუძვრა და მაგრად ჩაეხუტა.

— დედიკო!

— ბატონო!

— მე ვიცოდი, რომ მამიკო ცოცხალი აღარ იყო.

— საიდან იცოდი?

— იჰ! მაშ, ის შავი ყუთი რა იყო? კუბო არ იყო?

— დაწყნარდი, შვილო.

— ახლა მამა მიწაშია?

— მიწაშია, შვილო.

— მერე?

— არაფერი.

— მიამბე.

— რა გიამბო?

— მამაზე მიამბე.

ნინო გვერდზე გადმობრუნდა, ნათიას ხელები მოხვია და თბილი, რბილი ლოყა მხარზე დაადო. ერთხანს დუმდა. მერე დაბალი, კაეშნიანი ხმით ალაპარაკდა. უამბობდა, როგორ გაიცნეს მან და ახალგაზრდა, მოხდენილმა ჯამბაკურ ავალიშვილმა ერთმანეთი, როგორ აცილებდა ხოლმე სახლამდე, როგორ... ნათია სულგანაბული უსმენდა, აღარც კი ახსოვს, როდის დაიძინა. არა, ეს კი ახსოვს როცა ნათიამ დაიძინა, დედა და მამა უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ.

* * *

თავის ბავშვობაზე ნათიას სამდურავი მაინც არ ეთქმოდა. დღეები უზრუნველად და მშვიდად მიჰქროდნენ, ვრცელ, მდიდრულად და გემოვნებით მოწყობილ ბინაში. ნათია სკოლასაც და ტოლამხანაგებსაც კარგად შეეთვისა. ილლად და კარგად სწავლობდა. მხიარული, გამტანი და უშურველი იყო. როგორც ცნობილი და პატივცემული ოჯახის შვილს, მასწავლებლებიც უფრთხილდებოდნენ, ამხანაგების მშობლებიც და საკუთარი მეზობლებიც, ეკა ბებო ხომ აღმერთებდა თავის შვილიშვილს და მისთვის-ღა ცოცხლობდა, დედა რბილი, დამყოლი და თავდაჭერილი ქალი იყო. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხოლო მამის გახსენებით მოგვრილ კაეშანს ნათია საკუთარი [illegible] ძალებითაც კარგად [illegible] ხოლმე.

მაგრამ ერთ დღეს სკოლიდან მოსულ ნათიას კარი არავინ გაუღო, დედა ამ დროს სამსახურში იყო ხოლმე, მაგრამ ბებო? ბებო რაღა იქნა? ნათიამ ბევრი უბრახუნა სადარბაზო კარებსაც, ეზოდან შუშაბანდის ფანჯრებსაც, მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა. ეზო შეშფოთებული მეზობლებით გაივსო. რაღაც უბედურების სუნი დატრიალდა, ნინოს მოსვლას აღარ დაელოდნენ. ბებერმა ძია პეტრემ შუშაბანდის მინა ჩაამტვრია და რის ვაივაგლახით გადაძვრა. ერთი წუთის შემდეგ აქოშინებული და გაფითრებული უკანვე, კარებთან მოვარდა, გააღო და თავი მწარედ გადააქნია.

ბებო გარდაცვლილიყო. შუა ოთახში, ხელებგაშლილი ეგდო და ღიად დარჩენილი, უძრავი თვალებით ჭაღს მისჩერებოდა.

ნათიამ ახლა უკვე კარგად იცოდა, რომ ის შავი ყუთი კუბო იყო და შიგ მისი ბებო ესვენა. ბებოს გრძელი შავი კაბა ეცვა, ყვითელ გაქვავებულ ხელებში თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა, თავზე კი, ჭაღარა თმებზე, ჩიხტიკოპი ეკეთა. პანაშვიდებზე ისევ უამრავი ხალხი მოდიოდა. ოთახებში ვერ ეტეოდნენ და ქუჩაში იდგნენ ხოლმე. მოდიოდნენ, ნათიასა და დედამისს ხელს ართმევდნენ. კოცნიდნენ, სამძიმარის სიტყვებს ეუბნებოდნენ და გადიოდნენ. მუსიკა უკრავდა. მწუხარე ჰანგებს სამძიმარზე მოსულთა ფეხების ბაკაბუკი, კაბების შრიალი, ამოხვნეშა, ხვნეშა და მოკლე წამოტირება ერთვოდა. ქუჩის მხარეს გაღებული კარებიდან საშინელი სიცივე შემოდიოდა.

ბებოს გასვენების შემდეგ ნათიას შიში დასჩემდა და ოთახებში მარტო ველარ რჩებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სკოლის შემდეგ ან ვინმე თავის ამხანაგთან შევიდოდა და ნინოს მოსვლამდე იქ იყო, ან დიდმართს ჩა-

ირბენდა, ტრამვაიში ჩაჯდებოდა, დედასთან მივიდოდა სამსახურში, წინ დაუჯდებოდა და მოთმინებით ელოდა. სანამ ნინო საქმეებს მოათავებდა, მერე დედაშვილი სახლში ერთად მოდიოდნენ, ერთად სადილობდნენ და დასაძინებლადაც ერთად წვებოდნენ. დაძინების წინ ნათია უთუოდ მომღიმარე მამის სურათს გაჰხედავდა და დედას ერთი წამით თვალებში სერიოზულად ჩააჩერდებოდა ხოლმე.

ასე გავიდა სამი თუ ოთხი წელიწადი. ერთ საღამოს ვიღაც კარგად ჩაცმული, სათვალეებიანი, საფეთქლებშეჭაღარავებული კაცი ესტუმრათ. ნათიას მოეჩვენა, თითქოს იმ კაცის დანახვაზე ნინომ პირველად უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა წარბები. მაგრამ სტუმრისათვის არაფერი უგრძნობინებია, ნინო მეტად თავაზიანი ქალი იყო. შუბლი გაშალა, იმ კაცს ხელი გაუწოდა და ნათიას მიუბრუნდა, — გაიცანი, შვილო, ეს ბატონი ანდროა, ჩვენი ოჯახის ძველი ნაცნობი და მამაშენის ახლო მეგობარი, სანამ შენ გაჩნდებოდი, ეს ძია ჩვენსას ძალიან ხშირად დადიოდაო. თერთმეტი წლის ნათიამ ბატონ ანდროს ხელი ისე გაუწოდა, რომ არ წამომდგარა. დედამ ასე ასწავლა, — როცა კაცი გესალმება, ქალი ფეხზე არ უნდა წამოდგე, ხელი კი პირველმა უნდა გაუწოდოო. ბატონი ანდრო ღიმილით დაიხარა, ნათიას შუბლზე აკოცა და უთხრა, ყველაფერზე გეტყობა, რომ სულ მალე დედაშენივით მომხიბლავი და ნატიფი ქალი დადგებიო. ნათიას ეს სიტყვები ძალიან ესიამოვნა და დედას მხიარულად შეხედა.

იმ საღამოდან დაიწყო. ბატონი ანდრო თითქმის ყოველდღე მოდიოდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ უიმისოდ სადილადაც კი აღარ სხდებოდნენ. ნინო იტყოდა ხოლმე, უთუოდ მოვა და ბარემ დაველოდოთო. მართლაც, ბატონი ანდრო უთუოდ მოდიოდა. თან უამრავი ხილი, ნამცხვრები, ხიზილალა, ღვინო მოჰქონდა... უამრავ ამბებს ჰყვებოდა. მხიარულად სადილობდნენ ხოლმე. ნათია სამჯერ ცირკში წაიყვანა, ერთხელ, კვირა დღეს ოპერაში, დილის წარმოდგენაზე. მერე, როცა გაიგო, რომ ნათია და დედამისი ოპერაში საღამოსაც დადიოდნენ, ორჯერ საღამოსაც წაიყვანა. ნათიას ბატონი ანდრო ძალიან შეუყვარდა და გვიან საღამოს, გაცილებისას, აუცილებლად ეტყოდა ხოლმე, ბატონო ანდრო იცოდეთ, ხვალაც გელოდებითო. ანდრო ნათიას ლოყაზე აკოცებდა ხოლმე, ნინოს ხელზე და — მეორე დღესაც მოდიოდა.

ძნელი სათქმელია; თუ როდის თავდება უმანკო ბავშვობა, როდის და როგორ გადააბიჯებს ხოლმე ბავშვი აკრძალულ საზღვარს. ყოველ შემთხვევაში, ნინოს ეს გამოეპარა. ორმაგი თამაშით გატანჯული ქალი ხშირად ფიქრობდა იმაზე, თუ რა საბედისწერო შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ნაბიჯს. მაგრამ ყველაფერი მაინც ძალიან მოულოდნელად მოხდა. როცა ანდროს მკლავებში გათანგულმა ნინომ მოულოდნელად გაღებულ კარებში ნათიას გაფითრებული სახე და უძრავი, გაფართოებული თვალები დაინახა, თავზარი დაეცა, შეჰკივლა, ზეწამოიჭრა და მეორე ოთახში გავარდა. ანდრომ შეშინებით მოიხედა, გაფითრდა, ძლივს წამოდგა, მოღეღილი საყელო გაისწორა და თორმეტიოდე წლის გოგონას წინაშე ქედი დამნაშავესავით მოიდრიკა.

ნათია ძლივს მივიდა ტახტამდე. ზედ დაეშვა, გულხელი დაიკრიფა და უაზრო თვალებით ერთ წერტილს გაუშტერა. აკი, ბატონი ანდრო მამიკოს დიდი მეგობარი იყოო?

ნათია დედას აღარ ელაპარაკებოდა. საჭმელსაც ცალკ-ცალკე ჭამდნენ. ნინო სუფრას გაშლიდა ხოლმე, თვითონ კი უკანა ოთახებში, ან სულაც სამზარეულოში გავიდოდა. ერთხელ სკოლაში ნათიას რაღაცისათვის სამი მანეთის მიტანა სთხოვეს. ნათია დაუკითხავად

მივიდა კამოდთან, უჯრა გამოსწია, ნინოს ხელჩანთიდან სამმანეთიანი ამოიღო და ხელჩანთა ისევ უჯრაში ჩააგდო. ხმა არც კი ამოუღია და დედისთვის არაფერი უკითხავს, თუმცა ნინო იქვე სავარძელში იჯდა და ნათიას გაუნძრევლად მისჩერებოდა.

ასე სანამ უნდა გაგრძელებულიყო?

ნინო და ანდრო ერთმანეთს ახლა სახლგარეთ ხვდებოდნენ. არა, ნინოს სიყვარულის თავი აღარ ჰქონდა. დაუბრებულებივით დაეხეტებოდნენ კიროვის პარკისა თუ ფუნიკულიორის ხეივნებში. ბოლოს, ორი თუ სამი თვის შემდეგ, ნინომ ანდროს უთხრა, ამ მდგომარეობიდან ყველაზე უკეთესი გამოსავალი, ალბათ, ის იქნება, თუ კანონიერად შევუღლდებითო. ანდრო თვითონაც ამას ფიქრობდა, მაგრამ თქმა ვერ გაებედა და ახლა სიხარულით ცას ეწია.

სანამ ანდრო პირველ ცოლს გაეყრებოდა, კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა. ნინოს იღბლად, თუ საუბედუროდ (ეს თვითონაც არ იცოდა) ის ქალი უშვილო იყო და სასამართლოს საქმე აღარ გაუჭიანურებია. ამის შემდეგ ნინო და ანდრო პირველსავე შაბათს „მმ.ჩში“ წავიდნენ, ხელი მოაწერეს, „ინტურისტში“ ისადილეს და საღამოს ნათიას შამპანურით და ყვავილებით ხელდამშვენებულნი გამოეცხადნენ. გარეგნულად ნათიამ ეს ამბავი სრული გულგრილობით მიიღო.

დედას ნათია პირველი თვითონ გამოელაპარაკა რაღაც, სულ უმნიშვნელო საქმეზე უბრალოდ, აგრძნობინა, დედა-შვილი ვართ და დაუბრება არ შეგვშვენისო. მეტი არაფერი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ნინომ თვითონაც ჰკითხა რაღაც ნათიას და პასუხი ვერ მიიღო. ანდროს ნათია დილაობით ცივად, მაგრამ თავაზიანად ესალმებოდა. ნინოს სწორედ ეს გარეგნულად მშვიდი, აუღელვებელი თავაზიანობა უქლავდა გულს: გრძნობდა, თუ რა ღრმად ჩამარხულიყო ნათიას გულში ის მაშინდელი გულისტკივილი და რამდენ ენერგიას ხარჯავდა ცამეტიოდე წლის გოგონა, რომ ეს გულისტკივილი არ გაემჟღავნებინა.

თუ ნათია ზოგჯერ მაინც იფეთქებდა ხოლმე, ეს უხეშ მოქცევაში ან მკვახე სიტყვაში კი არ მჟღავნდებოდა, არამედ გარეგნულად მაინც მშვიდ, მაგრამ აზრითა და შინაარსით გამომწვევ საქციელში. დედის დასანახავად ნათია სწორედ იმას გააკეთებდა ხოლმე, და გააკეთებდა მშვიდად, აუღელვებლად, რაც — გოგონამ ეს კარგად იცოდა, ნინოს გულს მოუკლავდა.

ბავშვის გაჩენაზე ნინომ ანდროს გადაჭრილი უარი უთხრა და არა იმიტომ, რომ გვიან იყო. სულ სხვა მიზეზით. თუმცა ეს მიზეზი არ დაუსახელებია. ანდრო ყველაფერს მიხვდა და ბედს შეურიგდა, ოღონდ ნინოს თხოვა, ყოველ წელიწადს ჩვენი შეუღლების დღეს „ინტურისტის“ რესტორანში ვისადილოთ ხოლმეო. სათხოვარი მცირე იყო და ნინო დათანხმდა.

იმ დღემ რომ მოაწია, ნინომ ნათია დაიმარტოხელა და უთხრა, ამ კაცს ეს პატარა, სათხოვარი უსათუოდ უნდა შევუსრულოთო.

— ჩემგან რა გინდა, დედა?

— ბევრი არაფერი. მე შენ გთხოვ, მაგ ადამიანს ანგარიში გაუწიო და დღეს ექვს საათზე „ინტურისტში“ მოხვიდე. ახლა ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ეს გუშინ არ მომხდარა.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი. თუმცა...

— თუმცა რა?

— თუ მოახერხებ, თუ საკუთარ თავს მოერევი და მაგ ადამიანს ცოტა მეტი გულთბილობით მოექცევი, ეს ძალიან კარგი იქნება.

— მე მაგას ცუდად არ ვექცევი.

— ნათია!

— „ინტურისტში“ მე დღეს გეახლებით.

და გავიდა.

„ინტურისტში“ ნათია მართლაც მოვიდა — სწორედ ექვს საათზე. შევიდა

არც თუ ისე ვრცელ, ჰალებით გაბრდღვიალებულ დარბაზში, ანდროს ცა გაეხსნა სიხარულისაგან. წამოვარდა, მიეგება, მაგიდასთან მიიყვანა და სავარძელში ჩასვა. ნინოც ბედნიერად იღიმებოდა. მაგრამ არა, გარეშე თვალი ვერაფერს შეამჩნევდა. ნათიას თავი უნაკლო თავაზიანობით ეჭირა. ანდროს ქალაქის რაღაც ახალი ჭორიც კი უამბო; ანდროს მიერ ნაამბობი ანეკდოტიც თითქოს კეთილგანწყობილად მოისმინა და ბოლოში გაიცინა კიდეც, მაგრამ ნინოს არაფერი გამოპარვია. გარეგნული სიმშვიდისა და მოჩვენებითი კეთილგანწყობის მიუხედავად, ნათია შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ უფროსებისათვის არ ეგრძნობინებინა, აქ მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ თავაზიანი და კარგად აღზრდილი ადამიანი ვარ, ჩემი გრძნობებისა და განწყობილებების გამომჟღავნება არ მჩვევია, თქვენთან საერთო კი, მგონი, ბევრი არაფერი უნდა მქონდეს და, საერთოდ, ვერც კი გამიგია, ამ სამუშაო დღეს რა გეზეიმებათ და რა გედღესასწაულებათ. პირი თითქმის არაფრისთვის დაუკარებია. როცა ანდრომ ოფიციანტი ანგარიშის გასასწორებლად იხმო, ნათია წამოდგა, უკიდურესი თავაზიანობით მოიბოდიშა, — ამხანაგები მიმელიანო, და გავიდა. ამაყად მიმავალ მაღალ გოგონას მთელმა რესტორანმა თვალი გააყოლა.

— და ეგ ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისაა. — ნაღვლიანად უთხრა ნინომ დაბნეულ, საქციელწამხდარ ანდროს, — მერე რაღა იქნება?

— დამშვიდდი, ნინო, დამშვიდდი. გაივლის...

— არა, მე უკვე ვიცი, ნათია მე არასდიდებით არასოდეს მაპატიებს.

ნათიამ საშუალო სკოლა ძალიან კარგად დაამთავრა — არა, მედლისათვის არც კი უბრძოლია, მაგრამ ატესტატში სულ ორი თუ სამი „ოთხიანი“ ჰქონდა. საერთოდ, მეტად ნიჭიერი იყო და სწავლა ძალიან ეადვილებოდა, მასწავლებლები ლაპარაკობდნენ, ნათია [illegible] სწრაფად ხვდება ყველაფერს, თითქოს წინდაწინვე ისწავლაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ წიგნი ასე რიგად არ უყვარს და წინდაწინ კი არა, გაკვეთილებს როცა თხოვენ, მაშინაც უხალისოდ ამზადებსო.

დადგა დრო, როცა უნდა გადაეწყვიტათ, თუ ნათია რომელ ფაკულტეტზე უნდა შესულიყო. ნინოს ძველი მეგობარი, ყოფილი მომღერალი ნატუსია ფავლენიშვილი პირდაპირ თავს იკლავდა, — ბავშვს გაუგონარი, იშვიათი, ზღაპრული კონტრალტო აქვს და ეს რომ კონსერვატორიაში არ შევიდეს, იცოდეთ, მე მტკვარში გადავვარდები და თავს დავიხრჩობო.

— შვილო, მომღერლობა არ გინდა? — ნინოს თვითონაც ძალიან უნდოდა, რომ ნათიას ცხოვრებაში გზა ადვილად გაეკაფა.

— მომღერლობა? რატომაც არა?

— ხალხო, ხალხო, ნუ გამაგიჟეთ — ნატუსიას ორივე ხელი ტუჩებთან მიჰქონდა, — ეს რა მესმის? ეს რა მესმის? ასეთი ხმის პატრონს კიდევ ეკითხებიან, მომღერლობა თუ გინდაო. ნინო, შენ მე გამაგიჟებ! ეს იმასა ჰგავს, რომ რა ვიცი... ეს იმასა ჰგავს, რომ ზღვასა ჰკითხო, თუ გინდა ცისფერი რომ იყოო? ღმერთმანი! ნათია, შენ სხვა გზა არა გაქვს და არაფერი გამაგონოთ, მე უკვე ველაპარაკე დიმიტრის. ან რა ლაპარაკი უნდა. ასეთ განძს თითონვე სანთლით დაეძებენ. გაჩუმდით ერთი, თუ ღმერთი გწამთ! გადაწყვეტილია! სიტყვას გაძლევთ, ათი წლის შემდეგ შენი სახელი მთელ ქვეყანას ეცოდინება. მორჩა. ხვალ თორმეტ საათზე კონსერვატორიის შესასვლელთან გელოდები. თუმცა, არა... ქუჩაში როგორ გავჩერდე? შენ შიგნით შემოდი და თორმეტ საათზე იქვე კარებთან ვიქნები.

სად იყო ნათია მეორე დღეს თორმეტ საათზე, ეს არავინ იცის, კონსერვატორიასთან არც კი გაუვლია. ნატუსიამ კინაღამ სახე ჩამოიკაწრა. ნათია კი ხუთ საათზე სახლში მოვიდა და დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას გულგრილად აცნობა, საბუთები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიტანე, მამაჩემი სამთო ინჟინერი იყო და მეც სამთო ინჟინერი უნდა გამოვიდეო.

— ჩემთვის ტყუილად მაინც გეკითხა, ნათი! — უსაყვედურა დედამ.

— რატომ უნდა მეკითხა?

— მამაშენს არ გაუხარდება, ეს ამბავი რომ გაიგოს.

— რას იზამ!... ესე იგი, მე მამას ვერ ვასიამოვნე. ყველა ხომ... თუმცა... — ნათიამ ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში შევიდა.

ნათიამ მისაღები გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა და პირველ რიგში ჩარიცხეს.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის ნათია ავალიშვილი თავიდანვე ამოცანა გახდა. ცნობილი სამთო ინჟინერი ჯამბაკურ ავალიშვილი ბევრს ახსოვდა და არავის გაჰკვირვებია, რომ მისი ქალიშვილი სამთო ფაკულტეტზე შევიდა. მართალია, ქალისათვის ეს სპეციალობა ცოტა მძიმეა, — ზოგს სულაც შეუფერებლად მიაჩნია, — მაგრამ ოჯახური ტრადიციების დაცვა და გაგრძელება მაინც უთუოდ მისასალმებელი საქმეა. პროფესორ-მასწავლებლებივარაუდობდნენ, რომ ჯამბაკურ ავალიშვილის ქალი, რომელმაც თავი ასე ბრწყინვალედ გამოიჩინა მისაღებ გამოცდებზე, პირველი სემესტრიდანვე სულ „ფრიადებზე" ისწავლიდა, წარჩინებით დაამთავრებდა, ასპირანტურაში დატოვებდნენ და სამეცნიერო მუშაობის გზას გაჰყვებოდა, მაგრამ ნათიამ პირველსავე სესიაზე ორი „სამიანი" მიიღო.

— ეს როგორ მოხდა, ქრისტიანო?! — გაოცებით ჰკითხა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ჩარექიშვილმა დოცენტ ოთარ კახაბრიშვილს, როცა მის საგანში ნათია ავალიშვილის გვარის გასწვრივ „სამიანი" დაინახა.

— რა ვქნა, ბატონო არჩილ?! — ტანმორჩილი, მკერდჩავარდნილი დოცენტი ისე გაწითლდა, თითქოს „სამიანი" ნათიას კი არა, მას მიეღოს.

— როგორ, რა უნდა გექნა?! ამიხსენი, ქრისტიანო!

— ბატონი ჯამბაკურის ხსოვნას, — კახაბრიშვილმა მხრები სასოწარკვეთით აიჩეჩა, — ბატონი ჯამბაკურის ხსოვნას მე გულწრფელ პატივსა ვცემ, მაგრამ ...მაგრამ უცოდინარ სტუდენტს მე ვერ დავუწერ მაღალ ნიშანს მხოლოდ იმის გამო, რომ მამამისი პატივცემული პიროვნება იყო და ვერც იმისათვის, რომ ამ სტუდენტმა შემოსასვლელი გამოცდები კარგად ჩააბარა. მაგ ქალიშვილს, ჩემი ღრმა რწმენით, სწავლა არ უნდა.

— კი, მაგრამ... ოთარ ბატონო, — იქნებ, გადაგეტანათ?

— რა გადამეტანა?

— გამოცდა.

— ეგეც ვცადე! — კახაბრიშვილმა უსაზღვრო გაოცებით გაშალა ხელები, — ვცადე, ბატონო! ბატონი ჯამბაკურის ქალიშვილი... როგორ... მე... რა... ვცადე, შევთავაზე, იქნებ, ავადა ხართ, ან, უბრალოდ, იქნებ უხასიათოდ ბრძანდებით და მერე მობრძანდით-მეთქი. არა! ყურიც არ დამიგდო. და არც ერთ — არც ერთ საკითხზე არ მიპასუხა. ეგ სამიანიც არ ეკუთვნოდა, მე მგონია, ეგ ქალიშვილი უკვე ნანობს, ამ ფაკულტეტზე რატომ შემოვედიო.

— კი, მაგრამ ძალას ვინ ატანდა?

— ეგ აღარ ვიცი.

ასეთი უცნაური, უსიამოვნო და მოულოდნელი ამბები ნათიას ყოველ სესიაზე ემართებოდა. ერთ საგანში რომ „ხუთიანს" მიიღებდა და გამომცდელებს ღრმა, მრავალმხრივი ცოდნით, უზადო მეტყველებით, თავდაჯერილობით, თავაზიანობითა და სისადავით გააკვირვებდა, მეორე დღეს, ზოგჯერ გაცილებით უფრო ადვილ საგანში გამოცდისას, პასუხს უმარტივეს კითხვებზეც კი ვერ იძლეოდა, გამომცდელებს მოწყენილი მისჩერებოდა და მთელი თავისი საქციელითა და გამომეტყველებით, თითქოს ეუბნებოდა, — თუ ღმერთი გწამთ, თავი დამა-

ნებით და გამიშვით, არც თქვენ მაინტერესებთ და არც თქვენი საგანიო.

არადა, ნათია მაინც პატივცემულ სტუდენტად ითვლებოდა. უფროსებსაც და ამხანაგებსაც — ყველას მიაჩნდა, რომ სილამაზით, აღზრდით, ნიჭითა და ზოგადი კულტურით ნათიას მთელს ინსტიტუტში ვერავინ შეედრებოდა. ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული კომიტეტების თავკაცებმა რამდენჯერმე სცადეს ნათიასთან გამოლაპარაკება, რაიმე საერთო საქმეებში ჩათრევა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს. ნათია ერთ საქმეს რომ ხალისითა და მონდომებით შეებმებოდა, მთელ კურსს აიყოლიებდა და ბოლომდე მიიყვანდა, მეორეჯერ კომკავშირის კომიტეტის მდივანს ისე ცივად შეავლებდა თვალს, და გვერდს ისე გულგრილად აუვლიდა, თითქოს პირველად ხედავსო.

რაღას იზამდნენ? ნათია ავალიშვილზე ხელი ჩაიქნიეს და თავის ნებაზე მიუშვეს.

ნათიამ ინსტიტუტი ისე დაამთავრა, რომ ერთხელაც კი არ უფიქრია იმაზე, თუ მერე რა უნდა ეკეთებინა. ასპირანტურაში მას ჯერჯერობით ვერ მიიღებდნენ — ფრიადოსანი არ იყო და ორი წლის მუშაობის სტაჟი უნდა ჰქონოდა. სხვა? რაღა დარჩა? შახტში მუშაობა კი, ბატონო, თუ ქალბატონ ნათიას ასე უნდა, მისი ნებაა. დაძალებით კი არავინ არაფერს დაადალებს. არა, უკეთესი იქნებოდა, ნათიას თავის დროზე უფრო მეტი რომ ეფიქრა თავის მომავალზე და სადმე სხვაგან შესულიყო, მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ლაპარაკია? სხვას ადგილი ტყუილად წაართვა.

ნათიას დიპლომი მისცეს და — რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ჯამბაკურ ავალიშვილის ქალიშვილი იყო, — თავაზიანად დაემშვიდობნენ.

• • •

დაღლილი, ხმაურისაგან ოდნავ გაბრუებული ნათია ხმაამოუღებლივ იჯდა და ხალხით სავსე, მოზიმზიმე დარბაზს მოწყენილი გასცქეროდა. უკვე გამოუთქმელად მობეზრდა მირზა [illegible]ძის მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველებაც და შემაწუხებელი თავაზიანობაც, თაზო ბულესკირიას მაღალ შუბლზე დაჭიმული ძარღვიცა და შავი თვალების ავი ბრიალიც, თენგიზ ჯაველიძის ხითხითიცა და წითური, სველტუჩა ანზორ კუპატაძის უნაპირო, ქალაჩუნური სულგრძელობაც. ბესარიონ მაგრაქველიძის არწივისებური მზერა და გაზეპირებული როხროხი ხომ პირდაპირ სულს უწვრილებდა!... მაგრამ რა უნდა ექნა? ამ კამპანიას ფუნიკულიორზე საკუთარი ნებით ამოჰყვა და ახლა ბოლომდე უნდა მოეთმინა.

თვალებგადმოკაკლულმა ოფიციანტმა ერთხელაც მოარბენინა ღვინის ბოთლებით სავსე ლანგარი — ეს თორმეტი „თეთრა“ ქალბატონს „საქრძეფრინველკვერცხის“ სახელით მიერთვასო. ბესარიონმა ამაყად დააბრიალა ჰროლა თვალები, — ალბათ, „საქრძეფრინველკვერცხიც“ კალისტრატე მაგრაქველიძის ძმაკაცებით იყო დაკომპლექტებული.

ნათიამ კარგად იცოდა, რომ „თეთრა“ — ტკბილი, ქალების ღვინო იყო, ესე იგი, ეს თორმეტივე ბოთლი მხოლოდ მას გამოუგზავნეს? იფ, რაც გინდათ, თქვით და — საქართველოში რძის, ფრინველისა და კვერცხის წარმოება ძალიან... ორიგინალური ხალხის ხელში ჩავარდნილი. არა, ნეტავი რას ფიქრობენ? თორმეტი ბოთლი ღვინო ერთ ქალს რად უნდა?! აქაოდა, ფული უთვალავი გვაქვს და გიგზავნითო, შენ კი, თუ არ გინდა, შეგიძლია გააჩუქო, ან სულაც გადაღვარო. ამ საქციელიდან სხვა რა დასკვნა უნდა გამოიტანო? ნათიამ კედელთან ჩამწკრივებული ბოთლები ერთხელაც შეათვალიერა და გესლიანად გაიღიმა.

— ქალბატონ ნათიას, მგონი, რაღაც არ მოეწონა — ყაყაჩოსავით გაწითლებული, შეთვალიერებული ბესარიონი ნათიასკენ თეატრალურად დაიხარა, —

თუ, პირიქით, მოგეწონათ? ქალბატონო ნათია, ეს თქვენი მომაჯადოებელი ღიმილი როგორ გავიგოთ, ა?

ნათია მშვენივრად ამჩნევდა, რომ სხვებთან შედარებით ბესარიონი მაინც ნაკლებად მთვრალი იყო. თაზო ბულესკირია ისე აბრიალებდა თვალებს და სხვა მაგიდებისკენ ისეთი გამომწვევი, გესლიანი ღიმილით იცქირებოდა, რომ ნათიას ეშინოდა კიდეც, არ წამოხტეს და ვინმეს რამე არ ესროლოსო. ხითხითა თენგიზ ჯაველიძეს არაქათი გამოცლოდა, ორივე ხელი სკამის ზურგისათვის მოეხვია, თავი კი მკერდზე ჩამოეგდო — სიფხიზლეში ალბათ, ასე არ დაჯდებოდა. თამადა მირზა ჰირაქაძე წამდაუწუმ დგებოდა. ფეხარეული მიდიოდა ნათიასთან, თავაზიანად იხრებოდა, ქალიშვილს ხელებს უკოცნიდა და ეკითხებოდა, ხომ არაფერი გენატრებათ, მიბრძანეთ და ახლავე გავაჩენინებო. და ყველაზე უკეთ ისევ ბესარიონი გამოიყურებოდა. არა, ესეც საკმაოდ შეზარხოშებული იყო, მაგრამ გარეშე თვალი სიმთვრალეს ვერასგზით ვერ შეატყობდა.

ნათიამ არ იცოდა, რომ ბესარიონი სხვებზე გაცილებით ნაკლებს სვამდა. ამაში ამფსონებიც ხელს უწყობდნენ. ბესარიონის ჭიქიდან ღვინოს ნათიასაგან ნამალევად იატაკზე ღვრიდნენ. მათ იცოდნენ, რომ ბესარიონს გადაწყვეტილი ჰქონდა, ნათიას ამ საღამოს გადაჭრით მოლაპარაკებოდა და საბოლოო პასუხი მიეღო.

— ა?... ქალბატონო ნათია! — ბესარიონი ნათიასაკენ დაიხარა და თვალებში ალერსიანად ჩახედა, — მაინც როგორ, ეგ თქვენი ჯოკონდისებური ღიმილი როგორ გავიგოთ? ა?

ნათიამ მხრები აიჩეჩა.

— ბატონო? ბატონო? — ბესარიონი კიდევ უფრო დაიხარა ნათიასაკენ და გახურებული, შეოფლილი სახე ზედ ყურთან მიუტანა.

— დიდად მოსაწონი, მე მგონია, ამაში არაფერია, — გულგრილად უთხრა ნათიამ.

ბიბლიოთეკა

— ა? დიდად მოსაწონი? ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!. ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! არა, ეგ რა თქმა უნდა... ზოგს, რაქვია... მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლი. ა? ადამიანები ბევრნაირი ვართ. ა? ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო!

ამ დროს უეცრად მოკლე ლაწანი მოისმა. ნათიას გული შეუხტა. წითურმა ანზორ კუპატაძემ ლოყაზე იტაცა ხელი, თვალები ისე დაახამხამა, თითქოს ტირილს აპირებსო და ნათიას დაბნეული, მავედრებელი მზერა შეავლო. მას თავზე თაზო ბულესკირია ადგა და კბილებს აკრაჭუნებდა, ყბებზე კუნთები საზარლად უთამაშებდნენ.

კუპატაძეს სილა თაზო ბულესკირიამ გააწნა.

— რა მოხდა? — ბატონკაცური კილოთი იკითხა ბესარიონმა და წელში გაიმართა.

— არაფერი! — მოკლედ მიუგდო მას ბულესკირიამ, კუპატაძე ერთხელაც გაბურღა ბრიალა თვალებით და თავის სკამზე დაეშვა. მაგრამ იმ წამსვე ისევ ლოყააწითლებულ, მარცხენა თვალზე ცრემლმოდენილ კუპატაძეს მიუბრუნდა და თითი გაფთრებით დაუქნია, — შენ... შენ კიდევ აი, ქალბატონ ნათიას უმადლოდე, თორემ... მე კიდევ ქალბატონ ნათიას ხათრს ვინახავ, თორემ... ვიცი, რისი ღირსიცა ხარ... მაგრამ... არ მინდა... ჰო! აი, ქალბატონ ნათიას უმადლოდე...

„იჰ, რა თავდაჭერილი და თავაზიანია! — გესლიანად გაიფიქრა ნათიამ, — ნეტავი, ამაზე უარესს რაღას უზამდა? ახალგაზრდა კაცს საჯაროდ, ქალის თანდასწრებით სილა გააწნა. სჯობდა, რევოლვერი ამოეღო და ესროლა, არამზადა!“.

— ქალბატონ ნათიას ფეხები უკოცნე! — ბულესკირიამ თითი მაგიდას დაუკაკუნა, — ჰო! მე შენ გეუბნები.

„ნეტავი, რა მინდა ამათთან? — ამათთან რა საქმე მაქვს?!...“

— სიწყნარე, ხდება, ყველაფერი ხდება!... — ბესარიონმა გრაფინს ჩანგალი მიუკაკუნა, — აბა, ნუღარ გავამწვავებთ... მორჩა... ბატონო თამადა, გთხოვთ!.

გამწვავებას აღარც ვინმე აპირებდა. კუპატაძე უხმოდ წამოდგა და სადღაც, ალბათ, საპირფარეშოში წავიდა. ჯაველიძეს თავი მაგიდაზე დაეგდო და ხვრინავდა. ბულესკერია ისევ თავისებური სიავით აბრიალებდა თვალებს, მაგრამ ჩხუბს აშკარად აღარ აპირებდა. გული მოიოხა და მოისვენა.

მირზა ჰირაქაძე წამოდგა, ამღვრეული მზერა ნათიას შეავლო და ღვინით სავსე ფუჟერი აიღო:

— მეგობრებო, ნება მომეცით, შემოგთავაზოთ... შემოგთავაზოთ ქალის, ქართველი ქალის სადღეგრძელო. დიახ! ჩვენ ახლა აგერ უნებლიე მოწმენი გავხდით პატარა ინციდენტისა... შეიძლებოდა... დიახ, შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, დიახ, შეიძლებოდა, ის ინციდენტი არ მომხდარიყო, მაგრამ... ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და თუ ეს ინციდენტი არ გაღვივდა და უფრო დიდ მასშტაბებში არ გადაიზარდა, ამაში, მე ვიტყოდი, მთავარი დამსახურება ისევ ქართველ ქალს, აი ამ ჩვენს სუფრასთან მჯდომარე ქალბატონ ნათიას მიუძღვის. ეს ,მეგობრებო, მე მგონი, დღესავით ნათელია, ჩვენ ყველამ დავინახეთ, თუ როგორ აღელვებული იყო, როგორ დაჰკარგა წონასწორობა ჩვენმა თაზომ, ცნობილმა ქართველმა ვაჟკაცმა. მე არ ვიცი, ამის მიზეზი რა იყო, მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ თაზო ბულესკირიამ ასევე ვაჟკაცურად შეიკავა თავი და თავის თავს, ასევე ვაჟკაცურად, უფლება არ მისცა, ეს პატარა ,კონფლიქტი გაეღრმავებინა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თვითონ თაზოს დამსახურებაა. ეს დამსახურება, თაზოს ვაჟკაცობის, მისი ქართველობის, მისი სულგრძელობის, ადამიანობის... დიახ! მაგრამ აქ კიდევ უფრო დიდია დამსახურება ქალბატონი ნათიასი. მან, ქალბატონმა ნათიამ, მთელი თავისი პიროვნული არსით მოუწოდა, მოუხმო თაზოს თავშეკავებისაკენ, სულგრძელობისაკენ და ჩვენმა თაზომ გაიგონა მომხიბლავი ქართველი ქალის ეს უხმო მოწოდება. დიახ! გაიგონა და, როგორც იტყვიან, ხმალი ქარქაშში ჩააგო. გაგიმარჯოს, თაზო, შენ! გაუმარჯოს შენს ქართველობას და ვაჟკაცობას, მაგრამ კიდევ უფრო გაუმარჯოს ქალბატონ ნათიას ქართველ ქალობას, მის კდემამოსილებას, მის სათნოებას, მის, მე ვიტყოდი, ქალურ ქალობას! ქალბატონო ნათია, იცოცხლე და გაგიმარჯოთ!

ამ სადღეგრძელოს დასასრულს თაზო ბულესკერია რატომღაც ფეხზე წამომდგარი და თავაზიანად თავდახრილი ისმენდა, თან თითებს მაგიდაზე ათამაშებდა. როგორც კი ჰირაქაძემ ლაპარაკი დაამთავრა, ბულესკერია ადგილიდან მოწყდა, ნათიას მივარდა, დაიხარა და ხელზე დაეკონა.

ნათიას ზიზღით გააჟრჟოლა.

„ახლა კი კმარა, — გაიფიქრა მან, — წასვლის დროა“.

მაგრამ ახლა, დაუყონებლივ წამოდგომა პროტესტს დაემსგავსებოდა. ნათიას კი ეს ხალხი იმის ღირსადაც არ მიაჩნდა, რომ მათთვის პროტესტი განეცხადებინა. ამიტომ ცოტა ხნით ისევ მოცდა გადაწყვიტა.

— ის ბიჭი სად წავიდა? — იკითხა ბესარიონმა, — მაგ უბედურს, ძალიან კი მოხვდა. მწარე ხელი გაქვს, შე დალოცვილო!

— ტუალეტში იქნება... — მსუქანმა თენგიზ ჯაველიძემ თვალები უხალისოდ გაახილა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას პოზა არ შეუცვლია. არ განძრეულა: სკამის ზურგზე ხელებმოხვეული და თავჩამოგდებული იჯდა. მაგრამ, თურმე, ყველაფერი ესმოდა და, იქნებ, კიდეც, ხედავდა, —მაგან ეგრე იცის... წავა, იტირებს, მერე პირს დაიბანს და მოვა...

— არა, ანზორ კუპატაძე ცუდი ბიჭი

არ არის, — ბესარიონი მოწყალე ხასიათზე იყო.

— ვინ ამბობს, ცუდიაო?! — ახმაურდნენ თანამეინახენი.

— ცუდი რომ იყოს, ეგრე გადამირჩებოდა? ხომ ეგრევე დავლეჭავდი! — ბულესკირიამ თვალები მართლა გადარეულივით დააბრიალა.

— ეგრე იოლად იმიტომაც გადარჩა, რომ გული კარგი აქვს.

— კარგია, კარგი... გული ცუდი არა აქვს.

— თანაც ღარიბია... ხომ ვიცი არა? გაუშვით, გაიხაროს!...

— აი მოდის კიდეც.

ანზორ კუპატაძე მართლაც მოდიოდა. იგი შორიდანვე უღიმოდა თანამეინახეებს და მაგიდებს შორის გზას აუჩქარებლად მოიკვლევდა. მოვიდა, თაზო ბულესკირიას მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა და თავის სკამზე დაეშვა. მარცხენა ლოყა კი ნაკვერჩხალივით ულვივოდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაიროხროხა ბესარიონმა.

— გაუმარჯოს! — შესძახეს დანარჩენებმა და კუპატაძეს ბეჭზე ხელები დაუშინეს. ბულესკერიამ გაიღიმა და კუპატაძეს ცხვირზე ორი თითი მოუჭირა, თან თავისი ავი ღიმილი ნათიას შეანათა.

ნათიას მრისხანებისა და ზიზღისაგან თვალთ უბნელდებოდა.

— ბატონ თამადას ვთხოვთ... ა?.

მირზა ჰირაქაძე ისევ ფეხზე წამობარბაცდა. მაგრამ წამოდგა ნათიაც.

— ნათია! — წამოიჭრა ბესარიონი.

— ქალბატონო ნათია!

— როგორ გეკადრებათ!

თაზო ბულესკირიას ხმა არ ამოუღია, შუბლზე ძარღვი დაეჭიმა, ნათიას ხმაამოუღებლად, შუბლქვეშიდან მიაჩერდა.

ნათიამ საათზე დაიხედა:

— უკვე გვიანია.

— საზოგადოებაში საათზე დახედვა არ შეიძლება. — მირზა ჰირაქაძე ნათიასთან მიბარბაცდა და ხელზე აკოცა.

— ნება მომეცით, — თაზო ბულესკირიამ ჭიქა შეივსო და ნათიას თავისებურად შუბლქვეშიდან გამოხედა, — თუ შეიძლება, ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთ.

ნათიამ მხრები უხმოდ აიჩეჩა.

— ბრძანოს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— გვიბრძანე, თაზო.

— აბა!...

— დაბრძანდით, ქალბატონო ნათია, ერთი წუთით, გთხოვთ!

ნათია გულგრილი გამომეტყველებით დაჯდა. დასხდნენ სხვებიც. ფეხზე მარტო ბულესკირია დარჩა. მან ჭიქა ოდნავ გვერდზე გადადგა და ფიქრმოსილი მზერა აბრიალებულ ჭაღებს გაუსწორა.

— მე მინდა, — კარგა გრძელი პაუზის შემდეგ დაიწყო მან, — მე მინდა, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. მე მოვალე ვარ, ეს სიტყვები გითხრათ, და გეტყვით კიდეც. თქვენ, იმედია, ყურს დამიგდებთ. დიახ, ცხოვრებაში საერთოდ ყველაფერი ხდება და აი, ამ მაგიდაზეც ახლა, რაღაცა მოხდა, რაც მოხდა, მე იმაზე აღარ ვილაპარაკებ. ის ყველამ კარგად იცით. მაგრამ აქ მთავარი სხვა არის. მთავარია — როგორ ვიქცეოდით ჩვენ ყველანი იმ ინციდენტის დროს. აი, მთავარი რა არის. მე გთხოვთ, კარგად გამიგოთ. ჩვენ ყველანი ისე ვიქცეოდით როგორც უნდა მოვქცეულიყავით. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე უსათუოდ უნდა გამეკეთებინა ის, რაც გავაკეთე. სხვა გზა არ იყო. ნამდვილად, ქალბატონმა ნათიამაც თავისი გააკეთა. მან ქართველი ქალის დანიშნულება შეასრულა და როგორ შეასრულა, თქვენ ყველამ დაინახეთ, მაგრამ მე ვიტყვი და ნურავის გაგიკვირდებათ: ყველაზე უკეთ მაინც აი, ეს ჩვენი ანზორი მოიქცა. ეს ჩვენი ანზორ კუპატაძე მართლაც ყველაზე კარგად მოიქცა, დიახ!

ანზორ კუპატაძე წამოდგა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და თავი მოკრძალებით დახარა.

— გმადლობთ, ანზორ! — გრძნობამორევით უთხრა მას ბულესკირიამ და ჰიქა ისევ ოდნავ გვერდზე გადადგა, — გმადლობთ! მაგრამ, მეგობრებო, რატომ ვამბობ მე, რომ ანზორი ყველაზე კარგად მოიქცა? მე არავისი დამცირება არ მინდა, არც ჩემი თავის და არც ღმერთმა დამიფაროს, — ქალბატონი ნათიასი. მაგრამ — სულგრძელობა, — აი, რა არის ყველაზე მთავარი. სულგრძელობა.. და თქვენ ყველამ დაინახეთ თუ როგორი სულგრძელი ბიჭია ჩვენი ანზორი. ანზორ, გმადლობთ, ძმაო! — ბულესკირია ანზორთან მივიდა, მოეხვია და ზედ ტუჩებზე ისე თავდავიწყებით დაეკონა, იფიქრებდით, ვეღარ ააგლეჯთო, — გმადლობთ, ძმაო! შენს კაცობას და შენს სულგრძელობას გაუმარჯოს!

ბულესკირია თავის ადგილზე მიბრუნდა, ჰიქა აილო და სულმოუთქმელად დაცალა.

„აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ დანაშაული გამოისყიდა“ — გაიფიქრა ნათიამ.

— გაგიმარჯოს, ანზორ! — გულგრილად ახმაურდნენ სხვები.

— იცოცხლე, ეგრე სულგრძელად გევლოს და გეცოცხლოს!

ანზორ კუპატაძემ სავსე ჰიქა აილო და სამადლობელო სიტყვა წარმოთქვა.

— მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი მესმის... დიახ!... მე... მესმის, რასაკვირველია... და უნდა ვთქვა, რომ ეს ინციდენტი ვერ დაჩრდილავს ჩვენ... ჩვენს მეგობრობას ეს ინციდენტი ვერაფერს დააკლებს. ჩვენი მეგობრობა შეურყეველი და წმინდათაწმინდა დარჩება. მე ასე მწამს...

— იცოცხლე და გაგიმარჯოს!

• • •

ნათიას მარტო წამოდგომა და წასვლა აღარ უცდია. იფიქრა, ბარემ ბოლომდე დავრჩებიო. თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა უკვე უგონოდ მთვრალმა ჰირაქაძემ „საყოვლაწმინდო“ წამოიწყო. თენგიზ ჯაველიძეს, სუფრის დასაწყისში ყველაზე უფრო მეტად რომ აქტიურობდა და ხითხითებდა, უკვე დიდი ხანი იყო, რაც მაგიდაზე ეძინა. კუპატაძე აღარსად ჩანდა, ალბათ, „ვოლგის“ მისახედად წავიდა. ბესარიონი ნათიასკენ დაიხარა და გაცილება შესთავაზა.

გარეთ გრილოდა. იქნებ, ამიტომაც იყო, რომ ნათია არ დაეთანხმა ბესარიონის თხოვნას, ფეხით ჩავიდეთ, მთაწმინდაზე შევიაროთ, ჩვენი დიდებული პოეტების საფლავებს დავხედოთ, ჯერ მაინც ადრეაო. ნათიამ საბაგირო გზა აირჩია. ათი წუთის შემდეგ რუსთაველის მოედანზე იყვნენ და ელბაქიძის დაღმართს ფეხით დაჰყვნენ.

ახლა უნდა ითქვას, რომ იმ საღამოს ნათიამ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა. ბესარიონი და მისი ამფსონები ფუნიკულიორზე იმიტომ წაიყვანა, რომ ფიქრობდა, ბესარიონს როგორმე დავიმარტოხელებ, ოქროყანისკენ გავივლით, სწორედ იმ ადგილზე მივიყვან და დავსვამ, სადაც თეიმურაზმა მაკოცა, ცოტა ხანს ვაყურყუტებ, — რაც უნდა, ჩემზე ის იფიქროს, — მერე კი პირში ჩალაგამოვლებულს უკანვე წამოვიყვანო. თვითონაც არ იცოდა, თუ ეს რატომ უნდა გაეკეთებინა. იქნებ, იმიტომაც, რომ ამ დღეს თეიმურაზი წარმოუდგენლად მოენატრა, ბესარიონის მიმართ რაღაც მტრული გრძნობა ჰქონდა, — ეს აქ დაქეიფობს, ის კი, ვინ იცის, სად ჩაიკარგა და ახლა როგორ დღეშიაო. ნათიამ ამ ერთ დღეს თეიმურაზზე უფრო მეტი იფიქრა, ვიდრე მთელი მათი ნაცნობობის მანძილზე უფიქრია, და ვერაფრით ის გულისტკივილი ვერ დაიყუჩა, — რატომ გუშინ არ გავაცილეო.

მერე, რესტორანში ჯდომისას, ნათიამ მოისაზრა, ბესარიონის ოქროყანაში აყვან-ჩამოყვანა დიდი ვერაფერიშვილი გონებამახვილობააო, და ამ განზრახვის შესრულება გულიდან თვითონ ამოიგდო. ახლა ნათია გულგრილად

გამომეტყველებით მიაბიჯებდა ბესარიონის გვერდით; უკვირდა, ამდენი ღვინო დალია და თითქოს სულაც არ მოჰკიდებია, ამაში მართლა ვარგებულაო, — და ელოდა, ეს ყველაფერი რითი გათავდებოდა.

„შეიძლება, ახლავე მთხოვოს, ცოლად გამომყევიო? ასე მალე? საინტერესოა“.

— ცოტა გრილი საღამოა, — ბესარიონმა ნათიას თვალებში ჩახედა.

— კი, ცოტა გრილა.

— გაციების ხომ არ გეშინია?

— არა.

— მაშინ... რაქვია... სადმე ხომ არ ჩამოვმჯდარიყავით?

— მაინც სად?

— აგერ, ავტობუსების სადგურის უკან, ბაღში სკამებია.

— შევიდეთ, — ნათიას ბესარიონისა არასოდეს შინებია.

ბაღში მართლაც ორი გრძელი სკამი იდგა. ერთზე ვიღაცა გულგაღეღილს ეძინა და, თუ ნათიას ამ საქმეებში რამე გაეგებოდა, ის კაცი მთვრალი არ უნდა ყოფილიყო, ნათურების შორეულ შუქზე მძინარეს ძალიან მშვიდი სახე ჰქონდა. მეორე სკამი ცარიელი იყო. ნათია და ბესარიონი ჩამოსხდნენ.

— ამ საღამოს... ცოტა მაინც თუ ისიამოვნეთ, ქალბატონო ნათია.

— რატომ — ცოტა? ძალიან ბევრი ვისიამოვნე.

— მართლა?

— ნამდვილად. თქვენ?

— მე? ა? ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა1

— სასაცილოა?

— თქვენ რას გულისხმობთ.

— თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ.

— ჰოო, რა მოგახსენოთ... საერთოდ, ქართველი კაცი ამაყია, ერთი ციცქნა შეურაცხყოფას ვერ მოითმენს.

— ეგ ყველას ეხება?

— ა? ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ო-ჰო-ჰო-ჰო!

— კუპატაძეს ბულესკირიასათვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

— ვითომ?

— ნამდვილად.

— ვინ იცის. აბა, რაქვია... ტყუილად ხომ არ გაარტყამდა.

— რატომ — ტყუილად? მე ეგ არ მითქვამს. ტყუილად კი არა, ქვეყანას დაანახა, აი, როგორი ვაჟკაცი ვარო. საკმარისი მიზეზია.

— თაზოს ნუ გამილანძღავთ. ღმერთმანი, ქალბატონო ნათია, თაზო ბულესკირიას თქვენ არ იცნობთ. მაგისთანა ბაჯაღლო ოქრო...

— კარგი, — შეაწყვეტინა ნათიამ,

— კუპატაძე?

— რა კუპატაძე?

— როგორი ბიჭია?

— არა უშავს... კარგია.. რა უჭირს.

— კუპატაძეს თქვენ არ ჩაგრავთ?

— რას ბრძანებთ?... ქალბატონო ნათია... როგორ გეკადრებათ?... მე პირადად ღვიძლ ძმაში არ გამომერჩევა... პატიოსნებას გეფიცებით!

— ძმა გყავთ კი, ბესარიონ?

— არა, აქ... ღმერთმა დამსაჯა ძმა არა მყავს. მაგრამ კუპატაძე...

— კარგი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— თქვენი ნებაა.

ცოტა ხანს იყუჩეს. ნათია ინსტიქტურად გრძნობდა, რომ ბესარიონი გადამწყვეტი ნაბიჯისათვის ემზადებოდა და ვერ კი გაებედა, ყოყმანობდა. პაპიროსს მოუკიდა, ერთი-ორჯერ მოქაჩა და ბუჩქებში მოისროლა.

ისევ იყუჩეს.

ბესარიონმა მეორე სიგარეტი ამოიღო, მაგრამ არ მოუკიდებია. თითებით დაარბილა.

„და ასეთი საქმეები — ასე უბრალოდ ხდება?!“

— მე თქვენთან... — ბესარიონმა სადღაც გვერდზე გაიხედა.

— ბატონო?

— მე თქვენთან... სალაპარაკო მაქვს.

— ბრძანეთ.

— არც ისე... არც ისე ადვილი სათქმელია.

— ისეთი რა არის?!

— ისეთი, რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ...

— გისმენთ, ბესარიონ.

— საერთოდ...

— დიახ?

— საერთოდ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ურთიერთობა... რაქვია... ქალ-ვაჟის ურთიერთობაში დგება მომენტი, როდესაც ერთი სიტყვით, როცა... უკან დასახევი გზა აღარ არის, დიახ...

— თქვენ რას გულისხმობთ?

— არა, ისეთს არაფერს... — ბესარიონმა ისევ იყუჩა. მოუკიდებელი სიგარეტი ბუჩქებში გადააგდო, — მე... ისეთს არაფერს ვგულისხმობ, მაგრამ... ისა... საკუთარი თავის წინაშე, ერთდაგვარად... და ოჯახის წინაშეც... მე...

— არაფერი მესმის.

— ვითომ?

— ნამდვილად.

— კარგი. მაშინ... ერთი სიტყვით... ნათია, შენს მეტი ცოლად მე არავინ მინდა.

— ოჰ!

— აი... გითხარი.

— სასიამოვნო მოსასმენია.

— დამცინი?

— არა, სულაც არა. მართლა სასიამოვნოა, როცა კაცს შენს მეტი არავინ უნდა.

— ასეა.

— მეცოდინება.

— მეტი არაფერი?

— მეტი რაღა გინდათ?

— არა... მე...

— წავიდეთ, ბესარიონ!

ბესარიონი მყისვე ზეწამოიჭრა და თავი დახარა, წელანდელი დარცხვენილი ჭაბუკი სადღაც გაჰქრა და ნათიას წინაშე ახლა ისევ პროვინციელი დარდიმანდი — ისევ ის ბესარიონ მაგრაქველიძე იდგა.

— პასუხი ძალიან გეჩქარებათ? — ნათიამ ჩანთა აიღო და კაბა გაისწორა.

— არა, რა თქმა უნდა... ბოდიში! და ეს იცოდეთ, თქვენ აბსოლუტურად თავისუფალი ბრძანდებით. ჩემგან არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ექნება.

— გმადლობთ!

ბესარიონმა ნაბიჯი უკან გადადგა და ნათიას გზა დაუთმო.

„ეს ყველაფერი კარგი, — გაიფიქრა ნათიამ, როცა ქუჩაზე გამოვიდნენ, — მაგრამ დამშვიდობებისას კოცნა რომ დამიპიროს? ან ხელი რომ მომხვიოს? მაშინ რაღა ვქნა?!“

მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. სანამ სახლამდე მივიდოდნენ, ბესარიონს ხმაც არ ამოუღია. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. მარტო ეს იყო, მოსახვევებსა და ჩაბნელებულ ადგილებში ბესარიონი ნათიას ხელს შეაშველებდა ხოლმე. მერე კი, სინათლეზე რომ გავიდოდნენ, იმ წამსვე გაუშვებდა. ნათია არაფერს იმჩნევდა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

სადარბაზო კარებთან გაჩერდნენ. ბესარიონმა ჩაბნელებულ, უკაცრიელ ქუჩას გახედა. ნათიამ დაბალი კიბის საფეხურები აიარა, კარებთან შეჩერდა, ბესარიონს ხელი გამოუწოდა. და აი, აქ კი მოულოდნელი ამბავი მოხდა.

ბესარიონმა ნათიას ხელი ჩამოართვა და აღარ გაუშვა, იმავე საფეხურებს აჰყვა და ნათიას გვერდით დადგა.

— ახლა შენ... ყველაფერი იცი, — უეცრად ბესარიონის ჭროლა თვალებმა მტრულად გაიელვეს, — და ესეც იცოდე: ბესარიონ მაგრაქველიძის მასხრად აგდებას ტყუილად ნურავინ შეეცდება. გაიგე?

— ხელი გამიშვი.

— გაიგე?

— გავიგე.

— ასე! — ბესარიონმა ხელი გაუშვა. კიბეზე ჩავიდა, მოტრიალდა და ჩვეული თეატრალური ჟესტით მარჯვენა ხელი მკერდთან მიიტანა, — ახლა ნახვამდის, ქალბატონო ნათია!

XII

ამ საღამოს ნათიას მოლოდინში ნინოსა და ანდროს გვიანობამდე არ დაუ-

ძინიათ. დედა და შამინაცვალი მარტო იმან კი არააფორიაქა, რომ ბოლო ხანებში ნათიამ დაგვიანებას უხშირა, სახლის გზას ზოგჯერ ხაშუაღამევსაც ძლივს იხსენებდა და ნინოს აქეთ-იქიდან ბევრი ნაცნობი ეუბნებოდა, ქალო, შენს ქალიშვილს აშკარად საეჭვო და უსიამო ხალხში ხედავენ და მიხედეო. მაინცდამაინც დიდი მიხედვა, ნინოს ღრმა რწმენით, ნათიას არც კი უნდა დაჭირვებოდა. ნინოს იმისი გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რომ მის ქალიშვილს — მის ამაყ და უკმეხ ნათიას, ვინმე — რა სალახანაც არ უნდა ყოფილიყო — უკადრისს შეუბედავდა. მაგრამ ნათია ჯერჯერობით ხომ მაინც ბავშვი, გამოუცდელი ბავშვი იყო. მან ერთი რამ ნამდვილად არ იცოდა, — ის, რომ უბიწო სახელს ისევე უნდა გაუფრთხილდე, როგორც თვითონ უბიწოებას; სახელის გატეხაზე ადვილი კი ამ ქვეყნად არაფერია. არა, ერთი მოფიქრებული, დინჯი, გულისხმიერი დარიგება ნათიას ახლა ნამდვილად არ აწყენდა. ეს ერთი. მეორე კიდევ ისა, რომ დრო იყო, მომავალზეც ეზრუნათ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნათიამ საკმაოდ ბევრი ისეირნა... ჩვენს დროში კი ქალს ისევე მოეთხოვება დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი, როგორც კაცს. რა იცი, ცხოვრება რას გიმზადებს?

ყველამ იცოდა, რომ ინსტიტუტი ნათიამ უხეიროდ დაამთავრა. სადიპლომო ნაშრომში „ოთხიანი" დიდი ვაივაგლახით, ძლივსძლივობით დაუწერეს. ასპირანტურაში წელს ადგილი არც იყო, მაგრამ კიდეც რომ ყოფილიყო, ნათიას არავინ მიიღებდა. ამიტომ ისევ რაიმე შესაფერი სამსახურის მოძებნას უნდა ცდილიყვნენ. ნათიას ორი-სამი წელიწადი მაინც უნდა ემსახურა. ეს მარტო სტაჟის მოსაგროვებლად კი არ იყო საჭირო, ამასობაში ნათია დადინჯდებოდა, გამოცდილებას შეიძენდა, ხალხსა და ცხოვრებას უფრო ახლოს გაიცნობდა და თან ასპირანტურაში შესასვლელად მოემზადებოდა. ცოტა მონდომება, და ნათია შესასვლელ გამოცდებს ბრწყინვალედ, მთელი ინსტიტუტის სალაპარაკოდ ჩააბარებდა. ამაში ეჭვი არც ნინოს ეპარებოდა და არც ანდროს. მაშინ ნინო ისევ გაახსენებდა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომ ნათია ჯამბაკურ ავალიშვილის — სახელოვანი და უდროოდ დაღუპული სამთო ინჟინერის შვილი იყო. და ვისღა მოუბრუნდებოდა ენა იმის სათქმელად, ასპირანტურაში ნათიას ნუ მიიღებთ, სხვა ვინმე მივიღოთო. არა, ნათიას მეტოქეობა არავის ხეირს არ დააყრიდა. ჰოდა, აი უზრუნველყოფილი მომავალიც.

გეგმა დროული და ყოველმხრივ კარგად მოფიქრებული იყო. წინა დღეებში ანდრო უკვე ელაპარაკა ვიღაცებს — მეტად სერიოზულ ხალხს, და უყოყმანოდ დაჰპირდნენ, ნათიას შესაფერის სამსახურს უთუოდ ვუშოვითო. ამ საქმეს ანდრო უკვე გაკეთებულად თვლიდა. მაგრამ მას იმისი გაგონებაც კი არ უნდოდა, რომ სამსახურის დაწყების თაობაზე ნათიასათვის თვითონ ეთქვა რაიმე, — ეგ-ღა მაკლია, ისე ხომ გულზე ვახატივარ და მაგის შემდეგ პირდაპირ გამალმერთებსო.

* * *

სადარბაზო კარებში გასაღები აჩხაკუნდა.

ნინომ ხელსაქმე მიატოვა, წამოდგა, სასადილო ოთახში შევიდა, მრგვალ მაგიდაზე წინდაწინვე მომზადებულ ვახშამს თეთრი დოლბანდი გადახადა და იქვე, ტახტზე ჩამოჯდა. მაგიდაზე ეწყო კატლეტები, კარაქი, სულგუნი, ვაფლი, ნახევარი საზამთრო, პური.

— ვახშამი არ მინდა, — ნათიამ სასადილო ოთახი ისე გაიარა, რომ დედისათვის არც კი შეუხედავს, და თავის საწოლ ოთახში შევიდა. მოისმა, როგორ მიაგდო ხელჩანთა კამოდზე, სინათლე აანთო, ოთახი გაიარა და სარკის წინ მდგარ დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

— ლამაზი ხარ, შვილო. — აქედან,

სასადილო ოთახიდანვე უთხრა ნინომ და ამოიოხრა, — მაგისი ნუ გედარდება.

— ვიცი, მიიღო მოკლე პასუხი.

წინა, ჩაბნელებული ოთახიდან რაღაც ხმაური მოისმა. უკვე ლოგინში მწოლიარე ანდრომ გვერდი იცვალა, საწოლიააჭრაჭუნა და ამოიხვნეშა.

ნინო წამოდგა და ნათიას ოთახში შევიდა. ნათია სარკის წინ იჯდა, კბილები დაეკრიჭა და ათვალიერებდა. არა, კი არ ათვალიერებდა, ტკბებოდა მართლაც, საოცარი სილამაზის, მოგრძო, მიჯრით მიწყობილი, სადაფივით კრიალა კბილები ჰქონდა. ნათიამ ნინოს სარკეში გულგრილად შეავლო თვალი, და თავისი საქმე განაგრძო: ორივე ხელით თმები აიშალა, თავი გვერდზე გადასწია და თავის ნატიფ, მართლაც ლამაზ სახეს ახლა ასე დაუკვირდა.

ნინო სავარძელში ჩაეშვა.

ნათია წელში გასწორდა. ღრმად ამოისუნთქა და თმები ახლა მარცხნივ გადმოიყარა.

— პირველს აღარაფერი უკლია, — უთხრა ნინომ.

— ვიცი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ანდრომ თავის ოთახში ერთხელაც იცვალა გვერდი. ისევ აჭრაჭუნდა საწოლი.

— ჩემი საწოლიც ასე ჭრაჭუნებს? — ჰკითხა ნათიამ დედას.

— არ ვიცი... არ შემიმჩნევია... — ამ მოულოდნელმა კითხვამ ნინო, ცოტა არ იყოს, დააბნია.

— თუ ჩემი საწოლიც ასე ჭრაჭუნებს, დავზეთოთ. ამბობენ, შველისო.

— ნათია!

ნათიამ დედას არაფერი უპასუხა. ერთხანს, ისევ თავის სახეს აკვირდებოდა სარკეში. მერე თმები ჩვეულებრივად დაილაგა, მობრუნდა და გულხელი დაიკრიფა.

ამ დროს წინა ოთახიდან კარისმოხურვის ხმა მოისმა. ანდრო ლოგინიდან წამომდგარიყო, კარებთან ფეხაკრეფით მოსულიყო და კარი მოეხურა. მაგრამ მაინც მოისმა, ანდრო ლოგინში როგორ ჩაწვა: საწოლი უსაშველოდ ჭრაჭუნებდა.

— უსათუოდ უნდა დაიზეთოს... — ნათიამ ამოიხვნეშა.

— ნათია!

— ა?

— აკი გითხარი, პირველს აღარაფერი უკლია-მეთქი?

— გავიგე.

იყუჩეს. მერე ნინომ ამოიხვნეშა.

— ნათია, ნუ გამამეორებინებ იმას, რასაც შენზე მეუბნებიან.

— ჩემზე?!

— დიახ, შენზე.

— ღმერთო, რა მოცლილი ხალხია!

— იმათი მოცლილობით შენ არაფერი გაკლდება.

— ჩემზე ძალიან გული შეტკივათ?

— საკმაოდ.

— მერე?

— მერე ის, რომ... არავის არ მოსწონს ის ხალხი, ვისთანაც შენ გხედავენ.

— ჰოო!...

— მე სერიოზულად გელაპარაკები.

— არც მე ვხუმრობ.

— მერე?

— ის ხალხი, დედა, არც მე მომწონს.

— აბა?!

— რა, აბა?

— სულ იმათთან რომ გხედავენ?!

— დედა!

— ა?

— იმათთან ვარ და იმათთან მხედავენ, აბა, ვისთან დამინახავენ?!

— ეს... როგორ?!

— აი, ასე! გარდა ამისა...

— გარდა ამისა, რა?

— გარდა ამისა ის, რომ ახლა ნოტაციების მოსმენის თავი ნამდვილად არა მაქვს. ძალიან გთხოვ, მაპატიო!

ნათია წამოდგა და თავისი საწოლისაკენ წავიდა.

ნინომ ხელი ჩაიქნია და წამოდგა,

არა, ახლა ნათიასთან ლაპარაკს მართლაც აზრი არ ჰქონდა. ანდრომაც რაღა ახლა ააჭრაჭუნა ის დასაწვავი საწოლი!

— სულ არაფერს შეჭამ?

— არაფერს. ძილი ნებისა!

ნინო გამოვიდა და სასადილო ოთახში სკამზე ჩამოჯდა.

ორიოდე წუთის შემდეგ ნათიას ოთახში სინათლე ჩაქრა, ნინო კიდევ კარგა ხანს იჯდა განათებულ სასადილო ოთახში. ალბათ, კიდევ იმედოვნებდა, იქნებ, ნათიამ მაინც მოინდომოს ჩემი ნალაპარაკევის მოსმენა და ეს როგორმე მაგრძნობინოსო, მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ ნათიას ოთახიდან წყნარი ფშვინვა მოისმა.

## XIII

მინაგო ჩარკვიანი თავს ნამდვილ მეშახტედ არც კი თვლიდა. ქვანახშირის ქალაქში სხვებისა არ იყოს ისიც მახლობელი სოფლიდან ჩამოვიდა. ეს იყო თვრამეტი წლის წინათ. ჯარი უკვე მოვლილი ჰქონდა. როგორც ყველა ჩამოსულმა, მანაც ქვანახშირის შახტს მიაშურა. საბუთები გაუსინჯეს, თვითონაც შეათვალიერეს და ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში მიწისქვეშა კონტროლიორად გაუშვეს.

მინაგოს ახლაც კარგად ახსოვს, შახტში პირველად როგორ ჩავიდა.

ტექნიკური კონტროლის ინსპექციის უფროსად მაშინ თავისებური, ცოტა მძიმე ხასიათის კაცი — სიდამონ მერეკლიშვილი მუშაობდა. ამან ჯერ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, როგორ თუ ინსპექციაში ჩემდა დაუკითხავად ვინმე მიიღესო, ჩვენ ქვანახშირის ხარისხის კონტროლი გვევალება და შახტის ადმინისტრაციას არც კი ვემორჩილებითო (მართლაც ასე იყო — ინსპექციას თავისი უშუალო უფროსი ტრესტში ჰყავდა); კარგად კი წაგვივა საქმეები, თუ ინსპექცია შახტის ადმინისტრაციის ხალხით აივსოო, და სხვა ამგვარები. ერთი ციცქნა ოთახში, — ინსპექცია კიბის ქვეშ იყო მოთავსებული, — მთელი საათი დარბოდა და ბობოქრობდა. არადა, რომ გეკითხათ, თვითონაც არ იცოდა, თუ მინაგო შახტის ადმინისტრაციის კაცად რატომ მიიჩნია. ჩარკვიანი ინსპექციაში სამუშაოდ მხოლოდ იმიტომ გამოგზავნეს, რომ სუსტი ჯანმრთელობისა იყო და ერთი შეხედვითვე შეატყობდით, რომ მიწისქვეშეთის მძიმე პროფესიებს ვერ გაუძლებდა...

ერთი სიტყვით, იბრინა და იღრიალა სიდამონ მერეკლიშვილმა, მერე უეცრად ხელი ჩაიქნია და ახალ მიწისქვეშა კონტროლიორს ავად უბრძანა, ხვალ დილით შახტში ჩაბრძანდი, ჯერ დასავლეთ მხარის ქვედა სანგრევი დაათვალიერე, მერე კი აღმოსავლეთ მხარეზე გადადიო; მთავარ შტრეკზე ამაღამდელი ქვანახშირით სავსე ვაგონეტები იდგმება და იმ ნახშირის ტენიანობა შეამოწმეო.

— გასაგებია?

— დიახ!

— კარგი... აბა, მითხარი, პირველ რიგში რა უნდა გააკეთო?

— პირველად... დასავლეთის ქვედა სანგრევი უნდა დავათვალიერო.

— როგორ?!

— ბატონო?!

— ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა. შენ გეკითხებიან: აი, ხვალ დილას შახტზე მოხვედი. ემზადები ქვევით ჩასასვლელად. პირველ რიგში, უპირველეს ყოვლისა, სხვა ყველაფერზე უფრო ადრე — რა უნდა გააკეთო?

მინაგო დაიბნა. ჯერ უნდოდა ეპასუხნა, უპირველეს ყოვლისა, რეზინის ჩექმები და სპეცტანსაცმელი უნდა ჩავიცვაო, მაგრამ მოისაზრა, დაცინვაში ჩამომართმევს და მართალიც იქნებაო. არადა, სხვა რა უნდა ეპასუხნა? ვერაფერი მოიფიქრა, მხრები აიჩეჩა და ოთახში მყოფებს თვალი მოავლო.

ინსპექციის თანამშრომლები თავჩაქინდრულნი ისხდნენ და ქალაღდებს უხმოდ ეშმაკურად დაღიმოდნენ. მინაგოს მიშველება ფიქრადაც არავის მოს-

ვლია. ალბათ, ზუსტად ასეთი სცენა მანამდე ბევრჯერ ენახათ.

— როცა შახტში ჩასასვლელად ემზადები, — სიდამონ მერეკლიშვილმა საჩვენებელი თითი ზეალმართა, — პირველ რიგში და უპირველეს ყოვლისა, ამხანაგი უნდა მონახო. გესმის? არსებული კანონის ძალით შახტში მარტო ჩასვლა სასტიკად აკრძალულია. თუ ხვდები, რატომ?

— ვხვდები.

— ეს კანონი არ იცოდი?

— არა.

— ჰოო! დაიხსომე: შახტში მარტო ჩასვლა ყველასათვის, მეისრეების შეგირდებიდან მოყოლებული და შახტის უფროსამდე — ყველასათვის სასტიკად აკრძალულია... გაიგე?

— გავიგე.

— ასე, აი, ამიტომაც არ მომეწონა, ჩემო ძმაო, შენი დანიშვნა. ადამიანს ჯერ უნდა ასწავლო და თანამდებობაზე მერე უნდა დანიშნო. დავალება დაიხსომე?

— დიახ!

— აბა, შენ იცი! ოღონდ: არამც და არამც შახტში მარტო არ ჩახვიდე. ვიცი მე თქვენი, ახალგაზრდების ამბავი. ვინმე შეიამხანაგე. თუ სხვა არავინ იყოს, ა, ჩვენი ვინმე წაიყვანე. ყველა წამოგყვება. სიდამონ მერეკლიშვილი კი არავის ათქმევინებს, მისი თანამშრომლები კანონებს არღვევენო. ნახვამდის!

მეორე დილას მინაგო შახტზე რვა საათზე მივიდა. ბრეზენტის სპეცტანსაცმელი და რეზინის ჩექმები ჩაიცვა, აკუმულატორიანი ქამარი შემოირტყა და მეშახტის ნათურა ხელში დაიჭირა. მიწისქვეშეთში ჩასასვლელად უკვე მზად იყო. ახლა ამხანაგი უნდა ეძებნა, მაგრამ უეცრად ხელი ჩაიქნია და შახტის ჩასასვლელისაკენ მიმავალ გალერეას მარტო დაადგა. ახლაც ვერ გეტყვით, ეს რატომ ჩაიდინა, სიდამონ მერეკლაშვილის ჯიბრზე, თუ ახალგაზრდული მამლაყინწობით.

დასავლეთ მხარის ქვედა, სანგარში მიმავალი საკონვეიერო შტრეკი ადვილად იპოვნა — ეს შტრეკი მთავარ შტრეკზე გამოდიოდა, შევიდა, ორმოციოდე ნაბიჯი გაიარა და შეჩერდა.

ირგვლივ გამოუთქმელად ბნელოდა. ვინც მიწისქვეშეთში არ ყოფილა, ასეთ სიბნელეს ვერასგზით ვერ წარმოიდგენს. უფრო უსიამოვნო კი ის იყო, რომ ჭერიდან დროგამოშვებით წყლის წვეთები ეცემოდნენ. მინაგოსათვის ეს მოულოდნელიც კი იყო. მან ჯერ არ იცოდა, რამდენ უსიამოვნებას აყენებს მიწისქვეშეთში წყალი მეშახტეებს. ეს კარგა ხნის შემდეგ გაიგო. ახლა კი ნათურა წინ გაიშვირა და დაინახა, რომ შტრეკი მხარმარჯვნივ უხვევდა, გაჰყვა და კიდევ ათიოდე ნაბიჯის შემდეგ, წინ, ასე, ოცდაათ ნაბიჯზე სუსტად მოციმციმე ყვითელი სინათლე დაინახა. იმავე წუთს, იქიდან ცულის მიყრუებული ჩაკუნიც მოესმა.

მინაგო სინათლეს მიუახლოვდა და ბიგების ძირში ჩაცუცქული ორი სახელგანთქმული მეშახტე დაინახა. ერთი მათგანი, ხანდაზმული და სახედალარული, რაღაც სოლს თლიდა, მეორეს კი ხელში მეშახტის ლამფა ეჭირა და უნათებდა.

მინაგო მეშახტეებს თავაზიანად მიესალმა და ჰკითხა, ხომ ვერ მეტყვით ქვედა სანგრევი სად არისო. ხანდაზმულმა ერთი წამით თავი ასწია და მოკლე მოძრაობით ზევითკენ აიქნია. ახალგაზრდას არც მოუხედავს. მინაგომ ჩაფხუტი გაისწორა და ზევით წავიდა.

მხარმარჯვნივ, ერთი-მეორის მიყოლებით, ერთმანეთისაგან თითო მეტრის მანძილზე სულ ერთნაირი ფერისა და სისქის ბიგები ჩამწკრივებულიყო. მათგან მარცხნივ, დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით, კაცის სიმაღლე ქვანახშირის შავად მბრწყინავი პლასტი მიდიოდა. მხარმარჯვნივ კი, ბიგების მწკრივს იქით, მინაგომ ჩამოშვავებული, ერთმანეთში უწესრიგოდ არეული ფუჭი ქანების ლოდები, გამურული

ფიცრების ნატეხები და ბიგების მოკლე გადანაჩეხები დაინახა.

„ეს სანგრევი სადღა უნდა იყოს?“ — გაიფიქრა ახალბედა კონტროლიორმა.

იმ ხანად პირველი ცვლა შახტში მოსამზადებელ სამუშაოებს ასრულებდა. ამიტომ მიწისქვეშეთში ხალხიც ნაკლები იყო. მინაგოს გარშემო კაცი არ ჭაჭანებდა. უკან რომ მოიხედა, ვეღარც ის სუსტი ყვითელი სინათლე დაინახა.

რაღას იზამდა? უკან დაბრუნება და მეორედ გამოკითხვა ეუხერხულებოდა. ნათურა მოიმარჯვა და ბიგების მწკრივს გაჰყვა.

ასორმოცდაათ ნაბიჯზე მეტი გაიარა. დაინახა რომ ბიგების მწკრივი გათავდა. წინ ქვანახშირის შავად მბრწყინავი კედელი აღმართულიყო.

„სანგრევი სადღაა?“

ნათურის შუქით მინაგომ ქვანახშირის კედელი მოაფათურა და კედლის ძირში, მიწიდან ოცდაათიოდე სანტიმეტრის მანძილზე ვიწრო — კაცი რომ ძლივს შეეტეოდა, — მრგვალი ხვრელი დაინახა.

„ალბათ სანგრევი ამ ხვრელის იქითაა. მაგრამ აქ ან მეშახტეები როგორ ეტევიან ან ნახშირი როგორ გამოაქვთ?!“

ბევრი ფიქრის დროც კი არ იყო. მინაგომ ჩაფხუტი გაისწორა, ნათურის აკუმულიატორი წელზე უკეთ მოირგო, დაიჩოქა და იმ ვიწრო ხვრელში შეძვრა.

ხვრელი იმდენად ვიწრო იყო, რომ წელში გამართული კი არა, დათხილიც ვერ იმოძრავებდი და მინაგო წინ წოლელა მიიწევდა. ნათურა კბილებით ეჭირა და იდაყვებს ნავის ნიჩბებივით ხმარობდა.

შიში კარგა ხანს არ უგრძვნია. ეს ხვრელი ხომ ხალხის გაყვანილია? მაშ, აქ თუ ისინი დადიან, მინაგოც გაივლის. ოღონდ ეს იყო, ამ სიბნელეში სხეული ხშირად ეხლებოდა ქანების გამოშვერილ ბასრ კედლებს. არც ჰაერი იყო მაინცდამაინც სუფთა და [illegible]სივიწრო ხვრელში მინაგომ [illegible]ლახით მიიწევდა წინ. ისეთი სივიწროვე იყო, რომ უკან მობრუნებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ამიტომ მხოლოდ ხოხვაზე ფიქრობდა და მთელ ენერგიას ამ საქმეს ახმარდა. იქნებ, ბოლოსდაბოლოს, სადღაც მართლა გასულიყო, მაგრამ... მოულოდნელად ნათურა ჩაუქრა.

მინაგოს შიშმა ელექტრონივით დაუარა სხეულში. გარშემო უკუნეთი, ენით აუწერელი სიბნელე გამეფებულიყო. იმ ვიწრო ხვრელში პირდაპირ ისე იყო ჩაჭედილი, როგორც ლურსმანი ფიცარში. აღარ შეეძლო წინ წასვლაც — მან ხომ არ იცოდა, ის ხვრელი რა სიგრძის იყო და რით მთავრდებოდა, ან სად გადიოდა?

მინაგოს ცივმა ოფლმა დაასხა. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იწვა და აფორიაქებულ გულს იწყნარებდა. მერე — სხვა გზა აღარ იყო, — იდაყვები საწინააღმდეგო მიმართულებით აამოძრავა და უკანვე წამოხოხება სცადა.

რაღაც მანქანებით ეს შეძლო კიდეც. მეტრით თუ მეტრნახევრით რომ ჩამოიწია, შეჩერდა და სული მოითქვა. არ ითქმის, თითქოს უკვე სულ დამშვიდებული იყო, მაგრამ მოისაზრა, ხვრელის დასაწყისიდან არც ისე ბევრი მექნება გამოვლილი და უკან გახოხებასაც როგორმე შევძლებო.

უკან ხოხვა გაცილებით უფრო ძნელი იყო. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მინაგომ გარშემო გამეფებულ უკუნეთში გრილი ჰაერის ქროლვა იგრძნო და მიხვდა, რომ ხვრელიდან გამოსული უნდა ყოფილიყო. ხელები ფრთხილად აამოძრავა სხეულის გარშემო. ისინი აღარაფერს მოსდებიან. ესე იგი, მინაგომ უკან გამოაღწია. მარჯვენა ხელი ფრთხილად ასწია ზევით. ზევითაც სიცარიელე იყო. მინაგო ფრთხილად გაიმართა წელში და ღრმად ამოისუნთქა. რამდენიმე წუთი თავჩაქინდრული იდგა, გრილ ჰაერს ხარბად ისუნთქავდა და

გამოუთქმელად ტკბებოდა. თავის სიცოცხლეში პირველად აქ გაიფიქრა, სუფთა ჰაერზე უგემრიელესი ქვეყნად მართლაც არაფერიაო.

მაგრამ ახლა მხარი ექცა. ამ უკუნეთში კარგა ხანს წვალობდა და ბოდიალობდა, სანამ ბიგების მწკრივს ხელით მოაფათურებდა. შემდეგ ორი ნაბიჯი მარჯვნივ გადადგა და ხელით ახლა ქვანახშირის პლასტი მოძებნა და ნელ-ნელა ქვევით წამოვიდა. მაგრამ მართლა ქვევით რომ მოდიოდა, ამაში მხოლოდ მაშინ-ღა დარწმუნდა, როცა შახტის ისევ ის სუსტი ყვითელი სინათლე დაინახა.

წელანდელმა მეშახტეებმა ფერდაკარგული, შეოფლიანებული და გამურული მინაგო გაკვირვებით შეათვალიერეს.

— სად იყავი, ბიჭო?!

— ქვედა სანგრევში მივდიოდი და... სინათლე ჩამიქრა.

— ქვედა სანგრევში?!

— კი.

— ჰმ! — მეშახტეებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს. მერე ხანდაზმული წამოდგა, — მაჩვენე ეგ აკუმულიატორი.

ხანდაზმული დაიხარა, მინაგოს წელთან ქამარზე დაკიდებული აკუმულიატორის ბრტყელი კოლოფი მოძებნა და ხელისგულით სახურავზე დააწვა. ნათურა მყისვე აინთო.

— კონტაქტი შეწყვეტილია. დაიმახსოვრე. ახლა საით მიდიხარ?

— ახლა აღმოსავლეთის მთავარ შტრეკზე.

— ჰო, ასე გადი და მარცხნივ, სულ პირდაპირ იარე. ქვედა სანგრევი კი ეს არის, სადაც ახლა ჩვენ ვართ. შენ სადღა იარე?

— მე ბოლოში გავედი.

— და იქ ხვრელში შეძვერი, ხომ? ეტყობა... ის, ბიძი, ჰაერისათვისაა გაჭრილი, სავენტილაციო ხვრელია. კიდევ კარგი, რომ არ ჩამოინგრა. ასე! მეორეჯერ შახტში მარტო აღარ ჩამოხვიდე. მე ამ სათხრეში დავბერდი და, ხომ ხედავ, ამხანაგი მახლავს. აბა, ახლა — კარგად! მარცხნივ და სულ პირდაპირ.

ბიბლიოთეკა

მინაგო საქციელწამხდარი წამოვიდა საკონვეიერო შტრეკისაკენ.

აღმოსავლეთის მთავარ შტრეკზე მართლაც მალე წააწყდა ნახშირით დატვირთულ ვაგონეტებს, მაგრამ მეორე უსიამოვნებაც ამ შტრეკში აიკიდა.

შტრეკი ძალიან ნესტიანი, პირდაპირ სველი იყო. ჭერიდან წყლის წვეთები ხანგამოშვებით კი არა, პირდაპირ კოკისპირულ წვიმასავით მოდიოდა, ბრწყინავდნენ სველი ბიგები, ფეხქვეშ ჭენჭყო იდგა. მინაგომ ლამფის შუქი ვაგონეტში ჩაყრილ ნახშირს მიუშვირა და დაინახა, როგორ სკდებოდნენ წყლის წვეთები მბრწყინავ ნახშირზე. გადაწყვიტა, ეს ნახშირი ძალიან ტენიანი იქნებაო, სიდამონ მერეკლიშვილს ასეც მოვახსენებო, და გულდამშვიდებული წამოვიდა.

— იყავი შახტში? — ჰკითხა სიდამონმა ახალბედა კონტროლიორს.

— გახლდით.

— იქაც და იქაც?

— დიახ!

— მერე? აღმოსავლეთის ნახშირი როგორი გამოდგა.

— მეტად ტენიანი. პირდაპირ სველი.

— მართლა?

— ახლა იქიდან მოვდივარ.

— ესე იგი, სველია, ხომ?

— ნამდვილად.

— აჰა!... — სიდამონმა მინაგოს ავად შემოხედა. მერე დაიხარა, მაგიდის ქვეშიდან ნახშირის კარგა მოზრდილი, მშრალი ნატეხი აიღო და მაგიდაზე დადო, — შეხედე! აი, აღმოსავლეთიდან დღეს როგორი ნახშირი მოდის. ამაზე მშრალი ნახშირი მე ჯერ არც მომსწრებია.

მინაგოს საქციელი წაუხდა. თავის მართლებაც ველარ მოახერხა. ის კი მართლაც არაფრად ვარგოდა, რომ მერეკლიშვილი ახალ თანამშრომელს არ ენდო და მზვერავი დაადევნა, მაგრამ

თვითონ მინაგო როგორ-ღა შეცდა. ამ ვაგონეტებში ნახშირს რომ კარგად დაჰკვირვებოდა, დაინახავდა, რომ წყლის წვეთები მხოლოდ ზედა ფენას თუ ასველებდა, სიღრმეში კი ნახშირი მართლაც ძალიან მშრალი იყო. და ამდენ ნაწვალებ კაცს ისიც კი არ დაუჯერეს, რომ დღეს უფროსის დავალება პირნათლად შეასრულა და ორივე ნაბრძანები ადგილი პატიოსნად მოინახულა.

ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში სამუშაოდ მინაგო დიდხანს არ დარჩენილა. და ამის მიზეზი მხოლოდ სიდამონ მერეკლიშვილის მძიმე ხასიათი როდი იყო. მინაგოს თავისი თანამდებობა არ მოსწონდა. რა ვაჟკაცის საკადრისია სანგრევში უქმად ჯდომა და იმის თვლა, თუ ტონა ქვანახშირში რამდენი კილოგრამი ფუჭი ქანი ურევია? და ეს იმ დროს, როცა გარშემო მანქანები ტრიალებენ, ბიჭები ნიჩბებს იქნევენ, მორუხრუხე კონვეიერი კი ქვანახშირის ვეებერთელა ბელტებით ივსება. მინაგო ინსპექციას დაემშვიდობა და ნამდვილ მეშახტის საქმიანობას მიჰყო ხელი.

მომდევნო წელიწადნახევარი სულ მიწისქვეშეთში მუშაობდა, უმუშავნია ამწმენდად, მებიგედ, მნგრეველად... მაგრამ ვერც ერთ ამ პროფესიას დიდი ხნით ვერ გაუძლო. ცალკე თირკმელების ტკივილმა მოუხშირა, ცალკე რევმატიზმის შემოტევებმა. თავმოყვარე კაცი იყო და ამხანაგებს თავის გაჭირვებას ხშირად უმალავდა. მაგრამ, ნათქვამია, ჭირმა თავი არ დამალაო. ერთხელ მეშახტეებმა მინაგო მაშინ დაიმარტოხელეს, როცა იგი ბიგების ძირში მიმჯდარიყო და კვნესის შეკავებას ამაოდ ცდილობდა. მკაცრი, შეუვალი კილოთი უთხრეს, — ეს, ძმაო, სანგრევია და არა საავადმყოფო, ამ მიწისქვეშეთში ისედაც ძნელია ყოფნა და გამუდმებით მაგ გამწარებული სახის ყურება ნამდვილად აღარ შეგვიძლიაო, წადი, რაიმე შესაფერისი სამუშაო მოძებნე, შენს გზას ეწიე და ჩვენც მოგვასვენეო.

— გიშლით?

— გვიშლი!

მინაგოს გულიც კი ჩაწყდა. მას უყვარდა შემახტეებში — აქ ჯანმაგარ, უშიშარ, შეუპოვარ ხალხში ტრიალი. მაგრამ თვითონაც ხედავდა, რომ მიწისქვეშეთში აღარ გაეძლებოდა. ან იქამდე რატომ მიიყვანა საქმე, რომ ეს სხვებმა უთხრეს?

მინაგომ ცვლის ბოლომდე მაინც იმუშავა, ამხანაგებს დაემშვიდობა, — იმათ მოაძახეს, გვინახულე ხოლმე, სულ კი ნუ დაგვივიწყებო, და წამოვიდა.

იმ ხანებში მინაგო, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდარვა წლის კაცი, და სამონტაჟო სამმართველოს ბუხჰალტერი, ქერათმიანი, მშვიდი და აუღელვებელი ქეთინო მამაცაშვილი ერთმანეთს უკვე ყოველდღე ხვდებოდნენ. იმ საღამოსაც შეხვდნენ და მინაგომ თავისი ამბავი სევდიანი ღიმილით უამბო.

— გამოგაგდეს? — გაეღიმა ქეთინოსაც.

— გამომაგდეს.

— რას იზამ! შენც ადექი და რაიმე სხვა გზა ეძიე.

— მაინც?

— მოინახება.

მეორე დღეს მინაგო პარტიის რაიკომში მივიდა და რაიმე შესაფერის სამუშაოზე გაგზავნა ითხოვა. ანკეტა შეავსებინეს და პურის ქარხანაში კადრების განყოფილების ინსტრუქტორად გაგზავნეს.

მას შემდეგ ხუთი თუ ექვსი წელიწადი მინაგომ სულ ასეთ სამუშაოებზე გაატარა — ხან ინსტრუქტორად, ხან რაღაც განყოფილების უფროსად. მას და ქეთინოს უკვე ვაჟიშვილიც შეეძინათ და თითქოს ნორმალურად, ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობდნენ. არ ითქმის, ქონება და ხელფასი თავზე გადასდიოდათო. მაგრამ არც უჭირდათ. არა, ნამდვილად არ უჭირდათ. მინაგო, მშვიდი, თავდაბალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინდახედული კაცი იყო და სადაც კი მუშაობა შეხვდა, ყველგან პატივსა სცემდნენ, მაგრამ ბოლოს გულმა მაინც შახტისაკენ გამოუწია. ისევ რაიკომს მიაკითხა, აქ რამდენიმე დღე იფიქრეს და მერე ისევ ტექნიკური კონტროლის ინსპექციაში გამოგზავნეს.

ამჯერად თავის თანამდებობას მინაგო უფრო სერიოზულად მოეკიდა, წლებმა სწრაფად გაიქროლეს და საქმე ისე მოეწყო, რომ მინაგო ინსპექციის უფროსად დანიშნეს, მან პენსიაში გასული სიდამონ მერეკლიშვილი შეცვალა. ეს მეორე წელიწადია, რაც შახტის პარტბიუროს მდივნადაც ირჩევენ. არის მინაგო, თავის ავადმყოფ თირკმლებს ისე მკურნალობს, როგორც გაეწყობა, და თანაც მუშაობს, არის და მუშაობს.

ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე მინაგო განსაკუთრებით სარდიონს შეეთვისა. მას იშვიათად თუ უნახავს ასეთი დაკვირვებული, საქმის მცოდნე და ერთგული ხელმძღვანელი. მინაგო ხშირად მოუყვანია აღტაცებაში სარდიონის საზრიანობას, გამბედაობას, პრინციპულობას... ამიტომაც დარჩა მინაგო ისე გაოცებული, როცა, სარდიონმა არც აცივა, არც აცხელა და ამოდენა უბანი იმ ბავშვს, ინჟინერ არჯევანიძეს ჩააბარა. მინაგომ მშვენივრად იცოდა, რომ ახალგაზრდა, პირდაპირ ინსტიტუტიდან მოსულ სპეციალისტებს ასე უცბად ასეთ თანამდებობაზე არ აყენებდნენ. რა დაემართა სარდიონს? დაიღალა? მობეზრდა? მინაგო ბევრს გაიღებდა, ოღონდ კი ამ კითხვების პასუხი ეპოვნა. და ვერ იპოვნა.

სარდიონი ფეხზე იდგა, სანამ თეიმურაზ არჯევანიძე და მარგალიტა კაბინეტიდან გავიდოდნენ. მერე დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და ასანთის ნამწვავი მაგიდის გვერდით მდგარ ურნაში ჩააგდო.

— რას გაჩუმებულხარ, მინაგო!

— ვანგარიშობ, რაიკომი საყვედურს მომარტყამს, თუ მითითებას მაკმარებს.

— რისთვის?

— კადრების გამოყენებისა და ფორმალური დამოკიდებულებისათვის.

— ჰოო! შენ მითითებას გაკმარებენ. საყვედური მე მეკუთვნის.

— ვითომ?

— ნამდვილად! ბრძანებას ხელი მე მოვაწერე. რას მიზამდი? რა, ხელს ხომ არ გადამიგრეხდი. ა? ხა-ხა-ხა!

— მე სულაც არ მეცინება.

— შე კაცო... საყვედურის თუ აგრე გეშინია, ა, ტელეფონი! დაურეკე რაიკომის მდივანს. სიგნალად ჩაგითვლიან და მადლობასაც გეტყვიან.

— ეგ კი შეიძლება, მაგრამ შენ მაშინ უბნის უფროსად ვიღას დანიშნავ?

— ეგ კი აღარ ვიცი.

სიჩუმე ჩამოვარდა. სარდიონმა უცბათ მოიწყინა. სიგარეტი ხელის ნელი, ფიქრიანი მოძრაობით ჩააგდო ურნაში, გულხელი დაიკრიფა, გახევდა.

მინაგოც უგუნებოდ შეიქნა. შახტზე ერთი და ორი წლის მოსული არ იყო და თვალნათლივ წარმოიდგინა, უბნის უფროსად ამ ახალგაზრდა ინჟინრის დანიშვნას რამდენი უსიამოვნება და, შეიძლება, უბედურებაც კი მოჰყოლოდა.

კარგა ხანს ხმა არც ერთს არ ამოუღია. მერე ისევ სარდიონი შეინძრა. კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო.

— რას ფიქრობ-მეთქი, მინაგო?

— რა ვიფიქრო?!

— ნუ გეშინია... — სარდიონი წამოდგა. სიგარეტი მოუკიდებლად მიაგდო მაგიდაზე და კაბინეტში გაიარ-გამოიარა, — საქმე არც ისე ცუდადაა... ბოლოსდაბოლოს, ისეთი რა მოხდა? ეს ბიჭი, თვალი თუ არ მატყუებს, მაინცდამაინც აჩქარებული, დაუკვირვებელი და ზერელე არ უნდა იყოს. უბნის უფროსად რომ დავნიშნეთ, ცოტა გაუხარდა, მაგრამ... რა ვუყოთ. ახალგაზრდაა, ემაყება, ეხალისება... ისე — სულ ტრიადზე უსწავლია. ესეც რამეს ნიშნავს, თუ არა? როგორ არა, ძალიან ბევრსაც ნიშნავს ნუ იტყვი, თეორიულ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს... ნამ-

დვილად... მაგრამ მთავარი, მინაგო, რისი იმედიცა მაქვს, ისაა, რომ ჯიბრაილს, მაგ ეშმაკის ფეხს, უბანი მართლაც საათივით ჰქონდა აწყობილი. არა, პატარ-პატარა ცოდვები ვის არ ჰქონია და ჯიბრაილსაც ჰქონდა. მაგრამ — ისე? საერთოდ? მე შენ გეუბნები, კარგი საათი რომ იქნება, კარგად ნაკეთები, კარგად მოვლილი და შენახული, — აი, მესამე უბანზე საქმეები ისეა აწყობილი და, რა ჩემი თქმა გინდა, ყოველდღე იქ არა ხარ? ყოველმა მეშახტემ, მეისრიდან დაწყებული და კომბაინერ-მებიგეებით დამთავრებული, თავისი საქმე ზედმიწევნით იცის. მოკვდება და თავის საქმეს გაუკეთებელს არ დატოვებს. არც ერთი! ერთმანეთის დახმარება, შენ ხარ ჩემი ბატონი, კანონად აქვთ მიჩნეული. სანგრევები, გვირაბები, მექანიზმები — ეს ყველაფერი უნაკლოდ მოვლილი და შენახული. მე შენ გეუბნები, მაგ უბანზე იულო სოფრომაძე რომ თავის კომბაინს უვლის, ასუფთავებს და ზეთავს, ისე არც ერთი მინისტრის შოფერს თავისი მანქანა არ ეყოლება მოვლილი. ჩადი და ნახე! ამ ბიჭმა, ამ არჯევანიძემ მუშაობისა და საქმის გაკეთების მაგიერ უბნის დანგრევა, დაღუპვა და გაცამტვერება რომ მოინდომოს, რამდენიმე თვეს მაინც ამას ვერასგზით ვერ მოახერხებს. მე შენ გელაპარაკები! უბანი ინერციით კიდევ დიდხანს უნაკლოდ იმუშავებს. გარდა ამისა, ჩვენც აქ არა ვართ? თუ მაგ ბიჭს რამე გაუჭირდა, დავეხმარებით... მეტი ჩვენ რა გვევალება?

— რაღაც... ძალიან ადვილად გამოგდის.

— ასეც იქნება. — დაბეჯითებით უთხრა სარდიონმა, — მერწმუნე. მაგრამ ახლა მე სხვა რაღაც მაფიქრებს.

— რა გაფიქრებს?

— რა და, რატომ მეშახტეები არ მეკარებიან? მერამდენე დღეა, რაც ჯიბრაილის მოხსნის ბრძანება დაიწერა. მეგონა, შემომიცვივდებიან და ცოცხლად შემჭამენ-მეთქი, მაგრამ... კაცი-შვილი არ გამკარებია...

— ვითომ, შეურიგდნენ?

— აჰ!... შენც არ მომკ... [illegible] ამბავს ასე ადვილად ვინ შეურიგდება? იმათ კი არა, ცეცხლი მე მეკიდება... კარგი. ერთი სიტყვით, მინაგო, ახლა მჭირდება შენი დახმარება. კრება უნდა მოვიწვიოთ, უბნის მეშახტეებს დავუძახოთ და ვუთხრათ, დავუსაბუთოთ, — ახლა ასეა საჭირო, — დავარწმუნოთ, რომ ჯიბრაილი იყო უბნის წყევლა და უბედურება, ეს ბიჭი კი არის შვება, ბედნიერება და სამოთხის გასაღები. გესმის?

— მესმის.

— დამეხმარები?

— მეტი რაღა გზა მაქვს...

## XIV

იორამ ნოსელიძე შახტის კანცელარიის გამგეს, მარგალიტას ნათესავად ერგებოდა და შახტზეც ამან მოიყვანა: სარდიონთან შევიდა, გაწითლდა, გაყვითლდა და, ბოლოს, როგორც იქნა, შეუბედა, — ერთი ბიჭი მყავს, საქმე ისე წაუვიდა, რომ... სნეული დედა და პატარა და-ძმა თვითონ უნდა შეინახოს... თვითონ ძალიან კარგი, პატიოსანი და მშრომელი ბიჭია. ჰოდა, თუ შეიძლება, თუ ძალიან არ გაგიჭირდებათ...

— რა თუ არ გამიჭირდება, ჩემო მარგალიტა? — სარდიონს მრავალსიტყვაობა ეჯავრებოდა.

— შახტზე... მუშაობა მინდა დავაწყებინო.

— რა თანამდებობაზე?

— უბრალო მეშახტედ.

— მერე?

— არაფერი.

სარდიონმა მარგალიტას გაკვირვებით შეხედა და უეცრად სიცილი აუვარდა. იმდენი იცინა, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა. ცხვირსახოცი ამოიღო, მოიწმინდა და ძლივს, როდისროდის დაშოშმინდა.

— ქალო, ამ ჩვენს დროში, ყველა რომ პროფესორობას და მინისტრობას ეძებს, ვიღაც ღვთისნიერი გამოჩენილა,

შახტში თავისი ნებით ჩასვლას და მუშაობას აპირებს და — მაგას ასე მეხვეწები? მოიყვანე, შენ გენაცვალე, ხვალვე მოიყვანე, რომელ უბანსაც დაადებს ხელს, იქ გავუშვებ. თორემ ისე ნირშეცვლილი მეხვეწებოდი, მე ვიფიქრე, იმ თავისი ნათესავისათვის ჩემი თანამდებობა და ეს კაბინეტი უნდამეთქი!

იორამმა ხელი სახელგანთქმულ ჯიბრაილის უბანს დაადო და მუშაობაც იქ დაიწყო. მას აქეთ, მარგალიტას რაც შეეძლო, იორამს ყურადღებას არ აკლებდა. კანცელარიის გამგეს ბევრი რა უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ახალ ამბებს ხანდახან სხვებზე ადრე იგებდა, იორამსაც აგებინებდა და — ესეც საქმე იყო. სხვაფრივ თავის საქმეებს იორამი თითონვე უვლიდა.

სარდიონმა და მინაგომ კაბინეტში ანთიმოზ ჩახუნაშვილი რომ გამოიძახეს და თითქმის ერთი საათი საიდუმლოდ ეთათბირებოდნენ, იორამმა სხვებზე ადრე გაიგო. რა თქმა უნდა, ისევ მარგალიტას მეშვეობით. გაქანდა და თავისი უბნის მეშახტეებს შეატყობინა.

— ანთიმოზა ხვლიკს, ვითომ, რაზე ეთათბირებოდნენ? — ცალთვალა გერასიმემ არც კი დაიჯერა. — რამეს მკვიანურს ეტყვის, თუ რა? თუმცა... — გერასიმემ ერთადერთი თვალი ფეთიანივით დააბრიალა, — ბიჭო! უბნის უფროსად მაგას ხომ არ გვიყენებენ?!

— ავშენებულვართ და ეგ არის? — ალაპარაკდნენ სხვებიც.

— მაგას როგორ იზამენ?!

— რატომ არ იზამენ, რა! სტაჟი მაგას აქვს და რაღაც კურსებიც ხომ გაათავა!

— ეშმაკს პირი არ უჩანს...

— არა, ძნელი დასაჯერებელია... ე სარდიონი მთლად გადაირია? მაგრამ მაინც... გეყურება, იორამ? თვალყური გეჭიროს, მარგალიტას კალთაში ჩააფრინდი, არ მოშორდე... როგორც კი რამეს გაიგებ, მაშინვე...

— რა ლაპარაკი გინდა!...

იორამი მარგალიტას მართლაც აღარ შორდებოდა. მაგრამ ვერც ერთმა ვერასგზით ვერ გაიგო, თუ ანთიმოზა უფროსებს რატომ ჰყავდათ დაბარებული. ეს საიდუმლო იმ სამ კაცს შორის დარჩა. სამაგიეროდ ახლა მარგალიტამ თეიმურაზ არჯევანიძის დანიშვნის ბრძანება დაბეჭდა თუ არა, მაშინვე ტელეფონს ეცა და ეს ამბავი იორამს შეატყობინა.

— იორამ, მომილოცავს!

— რა იყო?!

— უფროსად ისეთი ბიჭი დაგინიშნეს, რომ...

— როდის? ვინ?

— ახლა. ინჟინერია.

— ინჟინერი? მე ვიცნობ?

— არა. წითელი დიპლომი აქვს.

— ესე იგი, კარგია?

— იჰ! თბილისიდანაა ჩამოსული. იქნება, თქვენს ჯიბრაილს კი აჯობოს რამენაირად.

იორამს ყურმოკრული ჰქონდა, მარგალიტას ერთ დროს ჯიბრაილი გულზე ეხატებოდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და მას აქეთ თვალით აღარ დაენახვებაო... მაგრამ ინჟინერის და თანაც — წითელდიპლომიანი ინჟინერის ჩამოსვლა მაინც კარგი ამბავი უნდა ყოფილიყო. ინჟინერი! ხუმრობა ხომ არ არის! იორამი სამორიგეოში შევარდა და ეს ამბავი თავისიანებს ახარა.

მეშახტეებს კი ფერი ეცვალათ და თვალები გაუფართოვდათ:

— რაო?

— თბილისიდან ჩამოვიდაო?

— რას ბოდიალობ, ბიჭო, შენ! თუ გინდა, ცხვირი მართლა იმ დიპლომივით გაგიწითლო!

— თბილისიდან კარგიც ჩამოვა და ავიც.

— ჰმ!

— ჩემგან რა გინდათ? — დაბნეული იორამი კუთხეში ნაცემი ძაღლივით მოიკუნტა.

— ამას მართლაც რას ერჩით... — ჩაერია გერასიმე, — რაც გაიგო, გითხრათ, მეტს რაღას ემართლებით? ახლა

ის უნდა გავიგოთ, ვინ არის და რა ინჟინერია.

— აბა, იორამ! ისევ შენ... გავარდი!...

მაგრამ თავმოყვარეობა იორამსაც ჰქონდა:

— არსადაც არ გავვარდები. ახალგაზრდა ბიჭია და წითელი დიპლომი აქვს. თუ მეტის გაგება გინდათ, თქვენ თვითონ მიბრძანდით. თორემ მე უკვე გამოვცადე, კაცი სიმართლეს რომ გეტყვით, ის შესაშმელად გემეტებათ.

— რა იცი, რომ ახალგაზრდაა?

— მარგალიტამ დამირეკა.

მეშახტეებმა ერთმანეთს გადახედეს. უცბათ არქიფო ცალუღლიშვილმა ხელი ჩაიქნია, ვიღაცას დედა შეაგინა და წამოხტა.

— სად მიდიხარ?

— გავიგებ, ამ დალეულმა რა ტყუილი გვითხრა და რა მართალი.

არქიფოს დაბრუნებამდე მეშახტეები გაქვავებულებივით ისხდნენ. კრინტიც არავის დაუძრავს და პაპიროსიც არავის გაუბოლებია. არქიფო მალე მობრუნდა. სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო და იორამს ერთი ისე უკულმართად გადახედა, რომ იფიქრებდით, ეცემა და გალახავსო.

— რაო, არქიფო?

— ახალგაზრდაა, — ჩაიბურტყუნა მან და თავის ადგილზე დაჯდა, — ოცდაორის ან, დიდი-დიდი, ჰა, ოცდასამი წლის იქნება.

— ოცდასამის?

— შეხედე შენ!

— საიდან იცი?

— ეგერ, ე, მარგალიტამ ახლა წაიყვანა საერთო საცხოვრებელში. გადი და თვითონვე დაინახავ.

## XV

თეიმურაზი კანცელარიაში სკამზე იჯდა და ელოდა, სანამ მარგალიტა თავის ვეებერთელა კარაქისფერ მაგიდას აალაგებდა და წასასვლელად მოემზადებოდა. როგორც სარდიონმა ბრძანა, საერთო საცხოვრებელში ერთად უნდა წასულიყვნენ. მაინცდამაინც დიდხანს ლოდინი კი არ დასჭირვებია. ტანად მაღალი და ძალიან მოხდენილი, მაგრამ ბრტყელსახიანი, გრძელცხვირა, ყვითრულთვალებიანი მარგალიტა ისე გამალებით ალაგებდა მაგიდიდან ქაღალდებს, უჯრებს ისე გამეტებით ახათქუნებდა, რომ იფიქრებდით, ქალაქს მტერი შემოესია და ევაკუაცია იწყებაო. თან თეიმურაზს წამდაუწუმ უღიმოდა და დიდრონ, ყვითელ კბილებს აჩენდა. ორიოდე წუთში მზად იყო. გასაღებით უკანასკნელი უჯრაც ჩაკეტა, წელში გაიმართა, წაბლისფერი, საკმაოდ სქელი და ლამაზი თმები გაისწორა და თეიმურაზს ლიქნით შესცინა:

— წამობრძანდით, ბატონო!

„ეტყობა, შახტის უფროსის ძალიან ეშინია“, — გაიფიქრა თეიმურაზმა და თავისი ჩემოდანი აიღო.

გრძელი, საკმაოდ ბნელი დერეფანი გაიარეს და რკინისმოაჯირებიან კიბეებს ჩაჰყვნენ. მეორე სართულზე მარგალიტამ მარჯვნივ შეუხვია, თეიმურაზს თავი დაუქნია, მომიცადეთო, და პირველსავე კარზე დააკაკუნა.

პასუხი არ იყო.

— ნიკანდრო არ არის. — რატომღაც თანაგრძნობის კილოთი უთხრა მარგალიტამ თეიმურაზს.

— ვინა?

— ჩვენი ბუღალტერი. სარდიონმა ხომ ბრძანა, ავანსი მიეცითო.

— ჰოო, ეგ არაფერი. წავიდეთ.

— კი, ბატონო! — მარგალიტას აშკარად გაუხარდა, რომ ცდა და ნიკანდროს ძებნა აღარ დაჭირდებოდა, — წავიდეთ.

და ისევ კიბეებს დაჰყვნენ.

შახტის ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ოღონდ მოშორებით, ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე აღმართული ბუნკერიდან ისმოდა მოძრავი კონვეიერის ჭრიჭინი და ლითონის არხზე ზედიზედ დაცვენილი ქვანახშირის ლოდების გრიალი.

მარგალიტა და თეიმურაზი ალაყაფის კართან გაჩერდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხით წავიდეთ, თუ ავტობუსით?

— რომელით სჯობია!

— ავტობუსი ნახევარ საათში ერთხელ მიდის. ხანდახან კიდევაც აგვიანებს. ფეხით კი მოკლეზე გადავალთ. ჩვენი მუშები, ვინც იქ ცხოვრობს, სულ ფეხით დადიან.

„საინტერესოა, ასეთ ზუსტ ცნობებს სარდიონის ბრძანებით მაწვდი, თუ შენ თვითონ გეხალისება“, — გაიფიქრა თეიმურაზმა, ხმამაღლა კი უთხრა.

— მაშინ ფეხით წავიდეთ.

— აბა, აქეთ წამობრძანდით!

პირდაპირ ბექობს მიადგნენ. ასვლისას მარგალიტამ თეიმურაზს ხელიც კი გაუწოდა. როცა ავიდნენ, ახალგაზრდა ინჟინერმა საკმაოდ ვრცელი მინდორი დაინახა, რომელსაც სწორი ბილიკი სჭრიდა. ბილიკი მინდვრის ბოლოს დაბალ, მუქ-მწვანე ტყეში იკარგებოდა. ტყეში აქა-იქ სახლების წითელი, ღიამწვანე და ნაცრისფერი სახურავები მოჩანდა.

— აი! — მარგალიტა გაჩერდა და თითი გრძელი, ნაცრისფერი სახურავისაკენ გაიშვირა, — ჩვენი საერთო საცხოვრებელი.

„ეტყობა, ეს შახტის უფროსის მითითებას ასრულებს, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — სასიყვარულო ადგილი აქ არსადაა. ავტობუსში ჩაჯდომა კი იმ სახლთან მისასვლელად მართლაც არ ღირს. ალბათ, მეც სულ ფეხით ვივლი ხოლმე“.

„საცხოვრებლის უფროსი თქვენი მოადგილის ცოლია“, — უთხრა მოულოდნელად მარგალიტამ.

— ვისი?!

— თქვენი მოადგილის! თქვენ ხომ უფროსი ხართ. და მოადგილეც გყავთ. ანთიმოზი.

— ანთიმოზი?

— დიახ, ჩახუნაშვილი. ძალიან კარგი კაცია ცოლს მარიამი ჰქვია.

— მარიამი... — გაიმეორა თეიმურაზმა. — კარგია.

— ისეც ძალიან კარგი ქალია.

— ძალიან კარგი! — თეიმურაზმა არ იცოდა, მეტი რა ეთქვა.

რამდენიმე ნაბიჯი უხმოდ გაიარეს.

— თქვენ რომ მიგიყვანთ, მერე ხელთუფლიძვილთან უნდა წავიდე. — უთხრა მარგალიტამ.

— ვისთან?

— ჯიბრაილთან. ვის ადგილზეც თქვენ დაგნიშნეს.

— რაო?! — თეიმურაზი შეჩერდა.

შეჩერდა მარგალიტაც.

— ჩემი გულისათვის ვინმე მოხსნეს?! — თეიმურაზმა ჩემოდნის დადგმა დააპირა.

— არა!... — მარგალიტამ გადაიკისკისა, — ის... ისედაც მოხსნილი იყო.

— რატომ?

— ისე. ეგ თანამდებობა დროებით ეკავა. არ იცით?

— არა.

მარგალიტამ მიიხედ-მოიხედა. ახლომახლო დასაჯდომი არაფერი იყო.

თეიმურაზი მიხვდა, რომ ქალს ჩამოჯდომა და მასთან ლაპარაკი უნდოდა.

„მელაპარაკოს, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — აქაური ამბები რაც უფრო მეტი მეცოდინება, მით უკეთესია. საერთო საცხოვრებელი კი არსად გამექცევა“.

— ქალბატონო მარგალიტა!

— ბატონო?

— იმ... ხელთუფლიშვილთან ახლავე უნდა წახვიდეთ?

— არა, საჩქარო რა არის!... ხვალ სამ საათზე კრებაა და უნდა მოვიდეს.

— რა კრება?

— აი, თქვენ რომ უნდა დაგნიშნონ.

— ჰოო!...

— ხომ არ დაიღალეთ?

— კაცი ცოტას კი შეისვენებდა... — თეიმურაზმა მიმოიხედა.

— აგერ, მინდვრის ბოლოში პატარას გადავუხვევთ და იქ სკამებია.

სკამები ჩრდილში იდგა. თეიმურაზი და მარგალიტა ჩამოსხდნენ. თეიმურაზი თავისი თავით კმაყოფილიც კი იყო, რომ მოახერხა და ეს ბევრისმცოდნე ქალი სალაპარაკოდ დაიმარტოხელა.

მან არ იცოდა, რომ ეს მან კი არა, მარგალიტამ მოახერხა და ქალი სულის სიღრმეში ზეიმობდა — იმ გაზულუქებულ ჯიბრაილს და მის ელამ ცოლს ახლა ვაჩვენებ, რა გოგოც ვყოფილვართო.

— მაშ, აქედან ხელთაუფლისშვილთან უნდა წავიდეთ?

— დიახ!

— კი, მაგრამ... დაგერეკათ. თუ უბნის უფროსი იყო, სახლში ტელეფონიც ექნება.

— როგორ არა... დანიშნეს თუ არა, იმ დღესვე დაუდგეს. მე თვითონ მახსოვს.

— აბა? ხელი უნდა მოაწერინოთ?

— არა.

— აბა?

— ეჰ, თქვენ არ იცით, ეგ რა ადამიანია! განაწყენდა, რატომ მომხსნესო, და ტელეფონთან აღარ მიდის. აღარც ეგ და აღარც მაგისი ცოლი.

— განაწყენდა?!

— დიახ! მაგას ეგონა, ეგ თანამდებობა საშვილიშვილოდ დამიმტკიცესო. არადა, მე ვიცი, და ყველამ იცის, რომ როცა ნიშნავდა, სარდიონმა უთხრა, დროებით გნიშნავო. მაგას ხომ დიპლომი არა აქვს და საერთოდ, — ეს თქვენ უნდა იცოდეთ, — უსაზიზღრესი ადამიანია. დიდი... ბოდიში, დიდი გათახსირებული სულიერია. თქვენ მაგასთან ფრთხილად იყავით, ოოო!...

— მე რა უნდა დამიშავოს?!

— არა, ისეთი არაფერი. ბატონი სარდიონი და ყველა თქვენს მხარეზეა. მაგრამ მაინც... უბანზე მაგას თავისი ხალხი ჰყავს. ხვალ შეიძლება ზოგიერთმა აყალმაყალიც კი ატეხოს კრებაზე. ჯიბრაილს რატომ ხსნითო, მაგრამ თქვენ ყურადღება არ მიაქციოთ. საერთოდ, იგ ყველაფერს იკადრებს.

— ჰმ!...

— არა, თქვენ ნურაფრის შეგეშინდებათ.

— მე არაფრის არ მეშინია, მაგრამ... სხვისი ადგილი მე რად მინდა?

— ხომ გითხარით, რომ თქვენ არაფერ შუაში ხართ? აი, თქვენ დღეს მოხვედით, ხომ? ეგ კი რამდენი ხანია, მოხსნეს. დამიანე ჰყონია მაღალ პოსტზე და მოახსნევინა. თუმცა, აღარც სარდიონი გააჩერებდა. სარდიონმაც გაუგო, რა სულიერიცაა.

— ჰყონია ვინ არის?

— საერთო ზედამხედველი.

— ოო!

— თქვენ, პატივცემულო, ნურაფრის გედარდებათ. და თუ ხვალ ზოგი გარეწარი ხმას აიმაღლებს, იმათ თვითონ სარდიონი გაეპასუხება. თუ გინდათ, თქვენ კრებას სულაც ნუ დაესწრებით.

— არა, კრებას მე უთუოდ დავესწრები... სხვა თუ არაფერი, ხალხს გავიცნობ, თვალს გადავავლებ...

— ეგ თქვენი ნებაა. ოღონდ უბანზე აღარ დატოვოთ.

— ვინ?

— ჯიბრაილა. ოო, ეგ იცით, ეგ რა არის? თანამდებობის გულისათვის ყველაფერს იზამს, სარდიონმა მართლა დროზე მოიშორა.

— მართლა?

— ნამდვილად. აი, თქვენ ახლა კარგი მოადგილე გეყოლებათ, ბიძია ანთიმოზი. იმას არასოდეს თანამდებობა და ამისთანები არ უძებნია... არასოდეს! არის თავისთვის, მუშაობს და არის. აი, ნამდვილად სანდო კაცი ვინ არის.

— გმადლობთ, რჩევისათვის.

— არაფრის.

„ეს ჯიბრაილა თუ ვიღაცაა, მართლა ამპარტავანი კაცი ჩანს, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — როგორ თუ ტელეფონთან არ მოდის?! ცოლიც კარგი ჰყოლია. თანამდებობას რომ დაჰკარგავ, კაცობა და ზრდილობაც კი არ უნდა მიატოვო. ახლა ამ ქალმა სად უნდა იხეტიალოს?“

— ქალბატონო მარგალიტა!

— ბატონო?

— ის... ჯიბრაილი შორს ცხოვრობს?

— ის იქით, მეორე მხარეს. ბატონივით ახალი ბინა მიართვეს. მაგან კი... არ დააფასა.

— თუ გინდათ, წამოგყვებით.

— ოჰ, როგორ გეკადრებათ! მე თვითონ... ერთ წუთში ძივირბენ.

— ტელეფონთან მიუსვლელობა მართლა რა საკადრისია!

— იჰ! მაგისგან ნურაფერი გაგიკვირდებათ.

„არა, მაგისთანასგან მართლაც არაფერი გამიკვირდება", — გაიფიქრა თეიმურაზმა.

* * *

მომავალი მოადგილის ცოლმა, მარიამმა კი თეიმურაზზე, ცოტა არ იყოს, უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. არა, ეს უსაშველოდ გამხდარი, ქაღარა, სახედალარული ქალი, ცუდი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო. თეიმურაზს მორიდებულად, მაგრამ ძალიან გულთბილად მიესალმა, ხელი გამოუწოდა, — მოიკითხა, როგორ იმგზავრეთ და ჩვენი ქალაქი თუ მოგეწონათო. მაგრამ ეს იყო და ეს. რომ გადგა გვერდზე, გადგა და გადგა, ხმა აღარ ამოუღია და აღარც რამეში ჩარეულა. მარტო უხმოდ იღიმებოდა. საცხოვრებლის კომენდანტი ის იყო, — და ამას კარზე მიკრული წარწერაც ადასტურებდა, — მაგრამ მის მაგიერ მარგალიტა ფიქრობდა და განკარგულებასაც მარგალიტა იძლეოდა. ამან თეიმურაზი საბოლოოდ დაარწმუნა, კანცელარიის ტანადი და ენერგიული გამგე, ეტყობა, შახტის უფროსის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობსო.

— ბატონი თეიმურაზი ინჟინერია, — თითის აწევით უთხრა მარგალიტამ მარიამს, — ეს კაცი აქ დროს გასატარებლად კი არა, სამუშაოდ ჩამოვიდა. დიდი თანამდებობა მისცეს. ხვალიდან შენი ქმრის უფროსი იქნება... — აი აქ, სიმართლე უნდა ითქვას. მარიამმა რაღაც გრძნობების გამომჟღავნება დააპირა, მაგრამ მარგალიტამ აღარ დააცალა, — მარტო შენი ქმრის კი არა, მთელი უბნის უფროსი იქნება... ხელთუფლიშვილს, მადლობა ღმერთს ბოლო მოეღო. ჰო, ახლა მითხარი, მეორე სართულზე, მეთოთხმეტე ოთახში შენ ვინ გყავს. მაცალე... ეს ოთახი ორადგილიანია, ერთი ადგილი გერონტი ჩაფიჩაძეს უჭირავს, მეორე კი თავისუფალია. ჩამომსვლელებისათვის ვინახავთ, ხომ? კარგი. ეს კუთხის ოთახია, ბატონო, — მიუბრუნდა მარგალიტა თეიმურაზს, — დიდი, ოთხკუთხედი ოთახია. იქვეა შხაპიც და ყველაფერი, — მარგალიტა ისევ მარიამს მიუტრიალდა, — დღეს რაღა იქნება და ხვალ — ჩაფიჩაძეს სადმე გადაიყვან. მოახერხებ, თუ არა? რა თქმა უნდა, მოახერხებ. ეგ ბიჭი შესახედავადაა უსულგულო, თორემ გული კარგი აქვს. კალორიფერზე მუშაობს, — განუმარტა მარგალიტამ თეიმურაზს და ისევ მარიამს მიუბრუნდა, — ესე იგი, ამას ხვალ უსიკვდილოდ გააკეთებ და ის ოთახი მთლიანად ბატონი თეიმურაზის განკარგულებაში იქნება. როცა ვინმე ჩამოვა, თუ ბატონი თეიმურაზის საკადრისი იქნება, ერთი-ორი-დღით შევუსახლებთ ხოლმე, თუ არა და რაღაცას მოვუხერხებთ. იმ ოთახში ტელეფონი არის? რა თქმა უნდა, არის. ასე რომ... თეთრეული, ამისთანობა — ამგენზე მარიამ, მე მგონი, ჩემი დარიგება არ დაგჭირდება... — მარიამმა რაღაცის თქმა ახლაც დააპირა, მაგრამ მარგალიტამ არც ახლა აცალა—კარგი, გასაგებია. ახლა ის ჩაფიჩაძე სახლში იქნება? არ იქნება. მორიგეობს. აბა, გასაღები წამოიღე და წამოდი. — და მარგალიტა ისევ თეიმურაზს მიუბრუნდა, — წამობრძანდით, ბატონო!

საცხოვრებლის დერეფნები, ტალანები და კიბეები თეიმურაზს ძალიან მოეწონა. ყველგან სანიმუშო სისუფთავე და სიმყუდროვე მეფობდა. კრიალებდა წითლად შეღებილი იატაკი. რემონტს, ალბათ, ყოველწლიურად აკეთებდნენ. ასე გასინჯეთ, კედლების ფერებიც საქმის ცოდნითა და გემოვნებით იყო შერჩეული. ჭარბობდა სალათისფერი, თამბაქოს ფერი, ღია ყვითელი... ფანჯრებზე ზოგან კვერცხისგულისფერი, ზოგან მუქი მწვანე ფარდები ეკიდა.

მეორე სართულზე დერეფნის ბოლოში მივიდნენ და მარცხენა კართან გა-

ჩერდნენ .მარიამმა გასაღები ამოიღო, მარგალიტამ გასაღები გამოართვა და საკლიტულს მოარგო, მაგრამ გასაღები არ ტრიალდებოდა. მაშინ მარგალიტამ კარს ხელი ჰკრა და... გახევდა, ლოყაზე ხელი იტაცა და თეიმურაზს დაფეთებული მზერა შეავლო.

რაკი ოთახის მდგმური გერონტი ჩაფიჩაძე სამუშაოზე იყო, ამიტომ ორივე ხის საწოლი, ოთახში რომ იდგა, ცარიელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ საწოლთან, იატაკზე ქალის თეთრი, საკმაოდ გაცვეთილი და შელახული ფეხსაცმელები ეყარა, თვითონ საწოლზე, საბანს ქვეშ, სავსე, დიდი სხეული დაზვინულიყო, ბალიშზე კი ქალის წაბლისფერი კულულები ეყარა. ლოგინში ახალგაზრდა ქალი იწვა და უდრტვინველად ეძინა.

— ეს რა არის?! — მარგალიტამ უაზრო მზერა მარიამზე გადაიტანა.

მარიამი მეხდაცემულივით გაქვავებულიყო. ოღონდ ხელები კი უკანკალებდა.

მარგალიტა გრიგალივით შეიჭრა ოთახში, მძინარე ქალს კულულებში ეცა და გამეტებით მოჰქაჩა.

— ადექი, შე სასიკვდილე ზევით!...

მძინარე დაფეთებული წამოჯდა. მარგალიტას უაზრო, ჩაწითლებული თვალები შეაჰყიტა და საბანი გვერდზე მიიფარა. თეიმურაზმა მოასწრო დანახვა, რომ ქალს მკერდი სავსე, თეთრი და ლამაზი ჰქონდა. ეს ქალი გოგოლა ხომასურიძე — „შახტის თავისმომჭრელი", „შახტის სირცხვილი და თვალისდაფსება" იყო.

თეიმურაზმა ღიმილი ძლივს შეიკავა. უკან გამობრუნდა და დერეფანში სკამზე ჩამოჯდა. ოთახის კარი მოხურეს. იქიდან კიდევ კარგა ხანს ისმოდა მარგალიტას ხაფი შეძახილი. მარიამი და გოგოლაც კი ხმას არ იღებდნენ. ყოველ შემთხვევაში, დერეფანში მათი ხმა არ გამოდიოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარგალიტა დერეფანში გამოვიდა, სახეზე ცეცხლი ეკიდა, თვალებში კი ცრემლები უკიაფებდა. სკამი მოაჩოჩა და თეიმურაზის გვერდით ჩამოჯდა.

— ბატონო, გვაპატიეთ, თქვენი ჭირიმე...

— როგორ გეკადრებათ!

— ეგ უნამუსო, ეგა!

— რა უშავს, ხდება...

— არ იქნა, მაგის გამოსწორება არ იქნა... არაფერი მაგ ადამიანზე არ მოქმედებს. და ისიც კარგია... ვაჟბატონი ჩაფიჩაძე... გასაღები მარიამისათვის ჩაუბარებია, ვითომ ოთახში არავინაა და ჩაკეტეო, აქ კი... ეხ!... თქვენთან ძალიან, ძალიან დიდი ბოდიში, ძალიან...

— არა უშავს, ქალბატონო მარგალიტა... მოხდა...

— არადა, ამაზე უკეთესი ოთახი არცა გვაქვს. სულ სამ და ოთხ ადგილებიანია... არა, იმ წყეულ ჩაფიჩაძეს დღესვე ავბარგავთ აქედან. და ამ ამბავს მე სარდიონს მოვახსენებ. უსიკვდილოდ მოვახსენებ!

— აი, ეგ კი, მგონია ზედმეტი იქნება.

— ა?

— ნამდვილად! რა საჭიროა? ქალბატონი მარიამიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. ეს რომ რამეში დამნაშავე იყოს. მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ.

— ეგ მაჩერებს, მეც აი, ეგ მაჩერებს. მოატყუეს, ეს ღვთის გლახა! ეს მათხოვარი! მე მაგას კიდევ მოველაპარაკები. ოთახს კი ახლავე გავასუფთავებთ, ბატონო! ისე გამოვაწკრიალებთ, რომ თქვენი მოწონებული. ჩაფიჩაძეს ახლავე გავაგდებთ...

თეიმურაზმა მარგალიტა ძლივსძლივობით დააშოშმინა. ამასობაში ოთახის კარი გაიღო და მიტკალივით გაფითრებულმა მარიამმა გოგოლა წინ გამოუშვა. გოგოლა კარგად მოყვანილი, ტანსავსე, თეთრყირმიზა ქალი იყო, ოღონდ ახლა სახე ყაყაჩოსავით აწითლიბოდა. დიდრონი, თაფლისფერი, შუქიანი თვალები კი ზედმეტად თამამი. უტიფარიც კი ჰქონდა. თეიმურაზს სწრაფად შეხედა და სირბილით გაქან-

და გასასვლელისაკენ. მოსახვევთან რომ მივიდა, ერთხელ მოიხედა, თითქოს ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა და მიიმალა.

— ვინ არის? — ღიმილით ჰკითხა თეიმურაზმა მარგალიტას.

— თქვენი თანამშრომელია, ბატონო! მეისრეა. გვირაბებში მატარებლებს აწესრიგებს.

— მართლა?! — და თეიმურაზმა გულიანად გადაიხარხარა.

აი, აქ ამოიღო პირველად ხმა მარიამმა. არა, თეიმურაზისთვის არაფერი უთქვამს. მარგალიტას მიუახლოვდა და რაღაცაზე დაბალი ხმით ლაპარაკი გაუბა. მარგალიტამ ბევრი აღარც დააცალა, — სწორია, სწორიაო, უთხრა, და თეიმურაზს მიუბრუნდა.

— სანამ ოთახს მოაწესრიგებენ, ბატონო... მარიამი და ანთიმოზი ამავე სახლში ცხოვრობენ, ცოტა ხანს იქ ხომ არ მოისვენებდით?

— წამობრძანდით, ბატონო!... — შეუბედა მარიამმაც.

„მართლაც და რატომ არ უნდა წავიდე? — გაიფიქრა თეიმურაზმა, ამ ხალხს მაინც გავიცნობ. მით უმეტეს, რომ ეს კაცი, თურმე ჩემი მოადგილე იქნება“.

— აქვე, ბატონო!... ეზოში გავალთ და მეორე მხრიდან მოვუვლით. აი, ის კედელი ამათი ბინისაა.

ასე შეჰყარა შემთხვევამ თეიმურაზ ჯაველიძე და ანთიმოზ ჩახუნაშვილი.

* * *

ანთიმოზი სახლში იყო. მის შემდეგ, რაც ჯიბრაილი მოხსნის, ის შახტზე ყოველი ცვლის დასაწყისში გადიოდა, ხელს არც ერთ დავალებას არ აწერდა, მაგრამ იმას კი ესწრებოდა. სარდიონი და მთავარი ინჟინერი დავალებებს როგორ ანაწილებდნენ. მერე ცვლის მუშებთან ერთად შახტში ჩავიდოდა, სანგრევებში შეივლიდა და ცოტა ხანს დაჰყოფდა. ნამუსის გამოსაწმენდად უფრო რომელიმე მეშახტეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს. — რაიმე მნიშვნელოვან შენიშვნას ან მითითებას მისცემდა, მერე ზევით ამოვიდოდა და მომდევნო ცვლის დაწყებამდე გამოსაჩინებლად სახლისაკენ გასწევდა. უბანზე მისთვის არაფერი შეცვლილა. ისეთივე ფრთხილი, წინდახედული და უზრუნველი იყო, როგორც ყოველთვის.

უცნობი ახალგაზრდის დანახვაზე ანთიმოზმა წარბები შეიკრა და კითხვით შეხედა. რა გაიგო, ეს უბნის ახალი უფროსიაო, გულში შურმა ელდასავით გაუარა. აი, თვითონ მას ეხვეწნენ და ამ თანამდებობაზე უარი თქვა, ახლა კი საათივით აწყობილი უბანი ამ ლაწირაკს ჩაუვარდა ხელში. ეს სამართალია?!

მაგრამ რაც იყო, იყო, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. ეს ახალგაზრდა კი უკვე მისი უფროსია. არა, უბნის გაძღოლა ამას ჯერჯერობით ძალიან გაუჭირდება, მაგრამ ანთიმოზმა მასთან ურთიერთობა რატომ უნდა გაიფუჭოს? პირიქით... არა, ბატონო! ანთიმოზს არაფერი უნდა, ოღონდ მისი თანამდებობა, ეს ტკბილი მოადგილეობა შეარჩინონ. ამ საქმეში კი ეს ახალგაზრდა ვინ იცის, როდის და როგორ გამოადგეს. ნამდვილად! ახლა საქმე ისე წავიდა, რომ მოადგილეობა, იქნებ, თვითონ ჯიბრაილმა მოინდომოს. აბა, ახალგაზრდა სტუმარს კეთილი გული და პატივისცემა!

მარიამი მაშინვე პურმარილის თადარიგს შეუდგა. მარგალიტა ეხმარებოდა. ანთიმოზმა კი თეიმურაზი აბაზანაში შეიყვანა, ნამგზავრი ხარ. და მოგიხდებაო. ახალგაზრდა ინჟინერმა იბანავა, წვერიც გაიპარსა. გალამაზდა, გამოვიდა და გაშლილ სუფრას მიუჯდა, რომელთანაც მას უკვე ელოდებოდნენ.

სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. ანთიმოზ ჩახუნაშვილს ხელფასიც კარგი ჰქონდა, პრემიებსაც იღებდა და პირის გემოც იცოდა. მარტო ღვინო სუფრაზე სამნაირი თუ ოთხნაირი იდგა. არა. მაინცდამაინც დიდი ღრეობა არ გაუმართავთ. — ჩაის ჭიქა არც კი უხსენებია ვინმეს, — მაგრამ ღვინო მაინც საკმა-

ოდ დაილია. სუფრის დასასრულს კი შეზარხოშებულმა ანთიძოზმა ქიქა აილო და თეიმურაზს დაახლოებით იგივე უთხრა, რაც წეღან გზაში მარგალიტამ.

— ჩვენო ახალგაზრდა ძეგობარო, ჩემო ბატონო თეიმურაზ! მოდი, ეს დღე ჩვენი მეგობრობის დასაწყისი იყოს. უბანზე ბევრს შენი დანიშვნა, შეიძლება, არც მოეწონოს. ეს ახლავე იცოდე. ხალხი ჭრელია. ჯიბრაილს შეეჩვივნენ, ისიც მაგათსავით უსწავლელია და ამიტომ სხვას ურჩევნიათ. ერთმანეთს კარგად უგებდნენ, მაგრამ ეს ამბავი ახლა გათავდა. საერთოდ, მეშახტეები მოურიდებელი ხალხია. აქაოდა, ნახევარ ცხოვრებას მიწისქვეშეთში ვატარებთო და, არავის ერიდებიან. აი, ხვალ კრება ყოფილა დანიშნული. მადლობა ჩემს მარგალიტას ამისი შეტყობინებისათვის... ჰოდა, შეიძლება ხვალ კრებაზე რაიმე მოულოდნელიც კი გაკადრონ... შეიძლება... მაგრამ ეს იცოდე — ჩვენ შენთანა ვართ! მეც, აი, ჩვენი მარგალიტაც, შახტის უფროსიც, პარტკომიც, — ჩვენ ყველანი შენთანა ვართ. ჩვენ დიდი ხანია, შენისთანა ახალგაზრდა, მცოდნე და განათლებულ ინჟინერს მოველოდით დიდიხანია! ეს დასამალავი არ არის და აი, გეელირსა, ჩამოხვედი და ჩვენთან ხარ და შენ მუდამ ჩვენთან უნდა იყო. შენისთანა ხალხი ჩვენ გვჭირდება. შენისთანა კაცი იმავე ჩვენს მეშახტეებს სჭირდება, რომლებმაც თავდაპირველად, შეიძლება, შენ ვერც გაგიგონ და ზოგმა, შეიძლება, აგითვალისწუნოს კიდეც. დიახ, ჩვენ შენთანა ვართ! შენ გაგიმარჯოს, შენ კეთილმსურველებს და შენს მეგობრებს გაუმარჯოს!

ღვინომოკიდებული თეიმურაზი თავის ოთახში აღარ გაუშვეს. მარიამმა აბრეშუმის ქვეშაგებელი გაუშალა და მოასვენა.

## XVI

მარგალიტამ თეიმურაზს ორი ტყუილი უთხრა. ჯერ ერთი, მისთვის არავის დაუვალებია, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს მიაკითხე და ხვალ კრებაზე მოიყვანეო. და მეორეც: მართალია ისიც ის იყო, თითქოს ხელთუფლიშვილებთან რამდენიც არ უნდა გერეკათ, ჯიბრაილი და ირინე ტელეფონთან არ მოდიოდნენ. მათთვის არავის დაურეკავს. სარდიონი არც კი ფიქრობდა ხვალინდელ კრებაზე ჯიბრაილის დაძახებას.

ოდესღაც ჯიბრაილმა მართლაც დიდად დააშავა მარგალიტას წინაშე. იქნებ, თავისდა უნებურადაც. იქნებ კი არა, მართლაც თავისდაუნებურად დააშავა. მას არც კი შეუმჩნევია ამ უფერულთვალებიანი, ულამაზო ქალიშვილის სიყვარული, არც კი გაუგია, რომ მარგალიტა დღეს მასზე ფიქრით აღამებდა და ღამეს მასზე ფიქრით ათენებდა. ჯიბრაილმა თავისი თავი იმ ირიბთვალა, უკმეხ და დაურიდალ ირინეს მიუძღვნა. გულმა იქით უბიძგა. იქნებ, ჯიბრაილი მარგალიტას წინაშე დამნაშავე არ იყოს, მაგრამ...

მარგალიტა რაღა დამნაშავეა?

მარგალიტაზე ტყუილად არ ამბობდნენ, დღის სინათლეზე არ ვარგა, თორემ ოდნავ შებინდდება თუ არა, მაგაზე უკეთესი ქალი ნულარ გინდაო. ახლა სწორედ ოდნავ შებინდებულია. მარგალიტა ეს ესაა, ანთიმოზ ჩახუნაშვილის სახლიდან გამოვიდა, სადაც ის ახალგაზრდა ინჟინერი დასტოვა. საღამოს მოლურჯო ბინდმა მოიტაცა და გადამალა მარგალიტას უფერული თვალები, ულაზათო სახე და ქუჩაში შემხვედურებს ჩამოქნილი, ოდნავ სავსე, მოკლესახელოებიან თეთრ კაბაში მოხდენილად გამონაკვთული სხეული-ღა დაუტოვა. ამ აშოლტილი, ლაღი, სიცოცხლით სავსე სხეულის დანახვაზე გამვლელები ნაბიჯს უნელებდნენ და ახალგაზრდა ქალს შეფარვით უთვალთვალებდნენ.

მარგალიტა კი ქუჩას ჯიბრაილის სახლისკენ მიჰყვება. ამ უსიხარულო წლებში, შეღამებულზე, იგი ბევრჯერ დადგომია ამ ახალ, მოასფალტებულ, ნორჩი ნარგავებით დამშვენებულ ქუჩას, ქუჩის ბოლოს ოთხსართულიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლთან მისულა და ელექტრონის ჯიხურს უკან მიმალულს მზერა მეორე სართულის განაპირა ფანჯრებისთვის მიუპყრია. იმასაც კი აღარ ერიდებოდა ხოლმე, რომ შეიძლებოდა, შემთხვევით იმ ფანჯრიდან ვინმეს დაენახა. ფანჯრებზე უძრავად ეკიდა ნეილონის ლამაზი ფარდები. და ეს ფანჯრები სახელოვანი მეშახტის, მოწინავე უბნის უფროსის ჯიბრაილ ხელთუფლიშვილისა იყო.

მოხდებოდა ხოლმე, რომ ფარდას ტანმორჩილი, მოხდენილი ქალის ჩრდილი დაეცემოდა. ირინე ფანჯარასთან ხან მარტო მოდიოდა, ხან გულზე ბავშვმიხუტებული. ფანჯარასთან დგებოდა და ელექტრონით გაჩირაღდნებულ ქალაქს გასცქეროდა. მერე ისევ ოთახში შებრუნდებოდა... ისევ უძრავად ეკიდნენ ლამაზი ნეილონის ფარდები... ამ წლების მანძილზე ერთხელაც არ მომხდარა, რომ ფანჯარასთან ჯიბრაილი მოსულიყოს.

ვითომ, დღეს მოვა?

ეჰ, არა. რა თქმა უნდა, არა. ახლა არც ჯიბრაილსა და არც ირინეს ფანჯარასთან სადგომად არა სცალიათ. ახლა ისინი მაგის ხასიათზე ნამდვილად არ იქნებიან.

მარგალიტას კი იმის გაბედულება და უტიფრობა ვინ მისცა, რომ ხელთუფლიშვილების კარი შეაღოს, მათთან დაჯდეს და გამწარებული, ნირწამხდარი ცოლ-ქმარის ცქერით დატკბეს. ეს კი არა, წელან ახალგაზრდა ინჟინერს, თეიმურაზ არჯევანიძეს რომ ჯიბრაილი რამდენჯერმე ავად უხსენა, ახლა თავისი თავისთვის ესეც ვერ უპატიებია. მარგალიტა კეთილი და სამართლიანი გოგოა. მარტო ეს იყო, რომ წლების მანძილზე გულში დაგროვილ ვარამს ველარ მოერია და... ეჰ, ეს ოხერ-ტიალი, სხვა ვინმე მაინც შეუყვარდებოდეს! საკაცეთი დაილია? არა, გული არ უშვება, გული ისევ ჯიბრაილთანაა...

ბევრჯერ გამოუვლია მარგალიტას ამ ქუჩაზე, და ბევრჯერ განერებულა ელექტროჯიხურის უკან და არც ერთხელ აქედან ერთი მისხალი სიამეც კი არ წაუღია. ახლაც ასე იყო. თეთრკაბიანი ქალიშვილი კარგა ხანს შესჩერებოდა ნეილონის ფარდებიან ფანჯრებს.

მერე გატრიალდა და სიბნელეში ჩაიკარგა.

## XVII

ნეილონის ფარდებს იქით იმ დღეს ერთი ღირსშესახიშნავი ამბავი მოხდა: პატარა გოგუცუნამ საბავშვო ბაღიდან ნაცრისფერი სპილო მოიტანა. თავიდან ირინეს ამ ამბისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია — საერთოდ, ეს უკანასკნელი დღეები ერთთავად გონებადაფანტული იყო. გოგუცუნამ გულზე მიხუტებული სპილო ერთი ხვნეშით ამოათრია კიბეებზე, სასადილო ოთახში მაგიდაზე დასდო და მერე, სანამ სადილობდა, სპილოსთვის თვალი არ მოუშორებია. ირინემ ამ ახალ სათამაშოს მაშინღა მიაქცია ყურადღება, როცა გოგოსთვის თეფში უნდა გამოეცვალა. ბავშვმა იფიქრა, ამ დავიდარაბაში სპილოს არაფერი მოეწიოსო, მაგიდიდან აიტაცა, ისევ გულზე მიიხუტა და ასე ელოდა, სანამ დედა სუფის ღრმა საინს გაიტანდა და თხელი საინით კატლეტებს შემოუტანდა.

— გოგუცუნა, ეგ სპილო ვინ მოგცა?

— არავინ.

— როგორ თუ არავინ?

— არავინ არ მომცა.

— აბა, შენ რატომ გაქვს?

— წამოვიღე.

— საიდან? რატომ?

— იმიტომ.

— გაჩუქეს?

— არა.

— აბა?

— მე თვითონ წამოვიღე.

— დედიკო, ეგ როგორ შეიძლება! ეგ სპილო შენი ხომ არ არის, ყველა ბავშვისაა. შენს ამხანაგებს რომ მოენატროთ? ხვალ უკან წაიღე.

— არა.

— როგორ თუ არა?

— არ წავიღებ.

—აბა, რას იზამ?

— აქ იყოს.

— დედიკო, ეგ როგორ შეიძლება! საბავშვო ბაღის სპილოს ჩვენს სახლში რა უნდა!

— უნდა!

— კატლეტი ჭამე.

გოგუცუნამ სპილო მარცხენა ხელით გულზე მიიხუტა, მარჯვენათი კი კატლეტი აიღო. საერთოდ, ჭამაზე დიდი ხვეწნა არ ჭირდებოდა.

—დედიკო, პური? — გოგუცუნამ დიდრონი თაფლისფერი თვალები ირინეს მხიარულად შეანათა, ასეთი უბრალო რამე როგორ ვერ მოიფიქრაო.

— აი, პური, სპილო დასვი და პური აიღე.

— არა.

— რა არა?

— მერე სპილო შენ რომ წაიყვანო?

— არ წავიყვან.

— გეუბნები, არ წავიყვან-მეთქი.

გოგუცუნამ დედას ერთი კი შეხედა თვალებში და სპილო ფრთხილად დადო მაგიდაზე, მერე პური აიღო და ჩაკბიჩა.

— ხვალ სპილოს საბავშვო ბაღში შენ თვითონ წაიყვან, — უთხრა ირინემ.

— არა, — გოგუცუნამ ქერაკულულებიანი თავი ჯიუტად გადააქნია და გაზუზნული ტუჩები დედას მიუშვირა, მომწმინდეო. ირინემ ღიმილი ძლივს შეიკავა და ქალიშვილს მარწყვისფერი ტუჩები ქაღალდის რბილი ხელსახოცით მოუწმინდა.

— გოგუცუნა, სპილო შენი არ არის და რაც შენი არ არის, ის შენს სახლში არ უნდა იყოს. კატლეტი კიდევ გინდა?

გოგუცუნამ თავი რამდენჯერმე ენერგიულად დაუქნია.

ირინემ მეორე კატლეტი გადაუღო, თავი ვერ შეიკავა და ქალიშვილს ოქროსფერ თავზე აკოცა.

თვითონ კი ისე უგუნებოდ იყო, რომ დანა პირს არ უხსნიდა.

უკვე რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჯიბრაილს თანამდებობა დაატოვებინეს. მას შემდეგ, რაც თავისდა მოულოდნელად შეიტყო, რომ ქმრად უსწავლელი კაცი ჰყავდა, ირინეს არაერთხელ გაუფიქრია, ვაი, თუ ჩემი ოჯახის კეთილდღეობა, ეს პატივისცემა და სიყვარული, რითაც ახლა გარემოსილი ვარო, ერთ მშვენიერ დღეს თვალსა და ხელს შუა გამიქრებაო. მაგრამ ამას როგორღაც გულიაგარეთ გაიფიქრებდა ხოლმე, არასოდეს სერიოზულად არ უფიქრია, რომ ჯიბრაილს მართლა გაიმეტებდნენ. თან სულის სიღრმეში იმასაც მუდამ იმედოვნებდა, ჯიბრაილი, სხვას თუ არაფერს, მე მაინც გამიწევს ანგარიშს და სწავლას ხელს მოჰკიდებსო, მაგრამ წლებმა შეუმჩნევლად გაირბინა. ჯიბრაილს სწავლაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. სხვა კი არაფერი აკლდათ. პირიქით, ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდათ, რაც კი ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა შეიძლება ინატროს, და აი, მოულოდნელად მოხდა სწორედ ის, რასაც ირინე კიდეც ელოდა და არც ელოდა, და რაც სინამდვილეში, უფრო მძიმე, გულსატკენი და შეურაცხმყოფელიც კი გამოდგა, ვიდრე ირინეს წარმოედგინა.

თვითონ ირინემ არაფერი იცოდა. იმ დღეს ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში, ექვსის ნახევარზე მობრუნდა და თან გოგუცუნაც მოიყვანა. ჯიბრაილი სახლში არ იყო. ირინეს ეს ცოტა გაუკვირდა — ჯიბრაილი შახტზე ცვლების მიჯნაზე გადიოდა ხოლმე და ამ დროს ყოველთვის სახლში იყო. მაგრამ დიდი ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა, ალბათ, უბანზე რაიმე მოულოდნელი მოხდაო, შახტზე ყოველთვის რაიმე ხდება. გოგუცუნამ და ირინემ ერთად ისადილეს, მერე კი ჯიბრაილიც მოვიდა. ძალიან უხასიათოდ იყო. ირინეს ყველაფერი უთხრა, თან მზერას არიდებდა...

ირინე ისე გამწარდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა. გოგუცუნა სახლში იყო და ჯიბრაილი ამან გადაარჩინა. ჯიბრაილიც და ირინეც... შეიძლებოდა, გაცეცხლებულ ირინეს ისეთები ეთქვა ჯიბრაი-

ლისათვის, რომ მერე იმ სიტყვების უკან წაღება ძალიანაც გაძნელებული-ყო. ირინემ არაადამიანური ნებისყოფა გამოიჩინა, თავს ძალა დაატანა და ჯიბრაილისათვის არაფერი უთქვამს. ეს კი იყო, მისი ირიბი თვალები უნაპირო ზიზღსა და მრისხანებას აფრქვევდნენ.

ჯიბრაილი სამზარეულოში გავიდა და სკამზე ჩამოჯდა. ერთი თუ ორი საათი იქიდან ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა.

ირინე ბიძამ და ბიცოლამ გაზარდეს ქუთაისში. მდიდარი და გავლენიანი ოჯახი ჰქონდათ, ირინეს მეტი არავინ ჰყავდათ და მისთვის არაფერს იშურებდნენ. სამთო ფაკულტეტის ფილიალზეც იმიტომ გაუშვეს, რომ თვითონ ირინეს ასე უნდოდა. შემდეგ — ჯიბრაილი, ირინეს ნამდვილი სიყვარული, დაქმარშვილება. ყველაფერი დიდებულად მიდიოდა. სამიოდე წლის წინათ, ჯიბრაილის უდიპლომობა რომ შეიტყვეს, დარეჯანსა და ქაიხოსროს ელდა ეცათ — ეს როგორ, რატომ და რანაირად? და მოხუცები ისევ ირინემ დააშოშმინა. ისინი მართლა დაშოშმინდნენ და დამშვიდდნენ — ირინეს არაფერი შეეშლებაო. ახლა კი...

ისე, ამ ჯიბრაილს ძალიან ნათესაობა კი ჰყავს! აი, თუნდაც მაგისი ძმა, აკაკი, ეჰ, ჯიბრაილი სოფლიდან ისე წამოვიდა, რომ თითზე გადასახვევი არაფერი წამოუღია — აკაკი ავადმყოფი კაცია და იმას ჰქონდესო. ყველაფერი იმას დაუტოვა. ავადმყოფმაც შეიშნო კარგი ცხოვრება. არა, სუსტი და უილაჯო კი არის, მაგრამ მაინც რა სენი სჭირს, ეს ადამიანიშვილმა ვერ შეიტყო. ვერც ერთმა ექიმმა საბოლოო დიაგნოზი ვერ დაუსვა. ყველანი მარტო იმას ურჩევენ, მშვიდად და მოსვენებით იცხოვრე, კარგი სვი, კარგი ჭამე და — არაფერი გიჭირსო. და იმანაც შეიფერა. ავადმყოფი და სუსტი ვარო და, ცოლი აქამდე არ შეირთო. თითს თითზე არ აკარებს და მოხუცებული მშობლების შემყურეა. წელიწადში ორჯერ-სამჯერ კი, ქალაქში გასეირნება და ჯიბეებში ტკიცინა თუმნიანების ჩადება რომ მოენატრება, ეზოში ცოტა ხილს მოკრეფს, პაწაწკინტელა კალათაში ჩააწყობს, დიდი კალათი დამლილისო,—ზევიდან ლელვის ფოთლებს გადააფარებს, რომ ძღვენი უფრო სოფლურად, მამაპაპურად გამოიყურებოდეს, და ჯიბრაილს მოადგება, და ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, რომ ჯიბრაილს ძმა გულუხვად არ დაესაჩუქრებინოს. ფულს ფულად აძლევს და, ამის გარდა, რაიმე ჩასაცმელს და თავის გამოსაჩენს უყიდის, და მოხუცებულებთანაც საჩუქრებს გაატანს. იქითობას აკაკი მაინცდამაინც აღარ წუხს ხოლმე, ძალიან ნუ დამტვირთავო, თუ გინდა, მთელ საპალნე ტვირთს აიკიდებს. რა უჭირს, იცის, რომ ძმა ტაქსს დაუქირავებს და იმით გაისტუმრებს.

მაგრამ ეს — ჯანდაბას! ირინე ხელმომჭირილი ქალი არასოდეს ყოფილა და ჯიბრაილის ახლობლებისთვის არაფერი დაენანება, ქაიხოსროს და დარეჯანს ქუთაისში იმდენი აქვთ, რომ ირინესაც ეყოფა, ჯიბრაილსაც, გოგუცუნასაც და თუ კიდევ შვილი ეყოლათ, იმასაც, მაგრამ თვითონ ახლობლებმა, თუნდაც იმავე ღვიძლმა ძმამ, ჯიბრაილს არ უნდა თანაუგრძნონ?

თქვენც არ მომიკვდეთ!

აი, გუშინწინაც მობრძანდა. დაახლოებით ერთი კილო თეთრი ლელვი მოიტანა და ორიოდე პეშვი გაურჩეველი ახალი თხილი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი — პატარა, კოხტა კალათით. იმ დღეს ირინე და ჯიბრაილი ერთმანეთს არც დალაპარაკებიან. ირინე ეს დღეები ქმარს ხმასაც აღარ სცემდა. მაგრამ სტუმარი მაინც სტუმარია, მაზლი კი არა, სულაც გადამთიელი რომ იყოს. ირინემ სუფრა გაშალა, დასხდნენ და როგორღაც ისე მოხდა, რომ აკაკის უთხრეს. ჯიბრაილი უბნის უფროსობიდან გაანთავისუფლესო.

— ა? — აკაკი ისე გულმოდგინედ სჭამდა, რომ პირველად ვერც კი გაიგო.

— ჯიბრაილი უბნის უფროსი აღარაა, — უთხრა ირინემ.

ჯიბრაილმა ფანჯარაში გაიხედა.

— აბა, რისი უფროსია? — აკაკიმ ეს გაკვირვებით იკითხა; ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ მისი ძმა უსათუოდ რაიმეს უფროსი უნდა ყოფილიყო.

— არარაფრის, — ირინემ ჯიბრაილს ალმაცერი მზერა შეავლო.

— ოჰო! — აკაკიმ ქათმის ბარკალი გადაილო და წვენიც მოიმატა. ისეთი თავდავიწყებული ჭამა იცის, გეგონებათ, მთელი წელიწადი საჭმელი თვალით არ დაუნახავსო — ეგ ვერ არის კარგი ამბავი. ა? — და კითხვით ჯერ ჯიბრაილს შეხედა, მერე ირინეს.

ჯიბრაილს ხმა არ ამოუღია.

— შიმშილით არ დავიხოცებით — თქვა ირინემ.

— ოჰ, შიმშილით დახოცვა ღმერთმა გაშოროთ! — აკაკიმ ლანგარიდან თეთრი პურის ნაჭერი გადმოიღო. ყოველთვის ამბობდა ხოლმე, საცივზე ღომსა და ჭადს თეთრი რუსული პური მირჩევნიაო.

— აბა, ახლა როგორ იქნება? — იკითხა ერთი ხნის შემდეგ, თან ისევ გემრიელადილუკმებოდა.

ჯიბრაილმა ხმაამოუღებლად მხრები აიჩეჩა.

—რა ქვია... — აკაკიმ ღვინო დაასხა, — თუ გული გეთანაღრება, არ დათმო. ახლა ადამიანის თანამდებობიდან მოხსნის უფლება არავისა აქვს. ის დრო მოკვდა. დაუკვირდი ამ შენს საქმეს და, თუ გული ძალიან გეთანაღრება, არას დიდებით არ დათმო.

ეს იყო და ეს. საღამოს პირზე ჯიბრაილმა აკაკი ლოჯიაში გაიყვანა და ირინემ მშვენივრად გაიგონა ახალთახალი თუმნიანების ტკიცინი. ოღონდ ეს იყო, რომ ამჯერად ჯიბრაილს აკაკისათვის არაფერი უყიდია.

* * *

— დედიკო!

— რა იყო, ჩემო სიცოცხლე?

— რას გაჩუმებულხარ?

— ა?

— ამდენი ხანია, სულ გაჩუმებული ზიხარ.

— კატლეტი კიდევ გინდა?

— არა ჩემი სპილო მომეცი.

— აჰა, შენი სპილო. ოღონდ... ჯერ მითხარი, რად გინდა?

— მამიკოს უნდა ვაჩვენო.

ირინემ გოგუცუნას ხელები და ტუჩები კარგად გაუწმინდა და სპილო მისცა. გოგუცუნა საძილე ოთახში გაცუნცულდა, სადაც მამა ეგულებოდა. ირინემ კი ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანა, სკამზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა.

* * *

ჯიბრაილი გულაღმა იწვა. გოგუცუნამ უმიზეზოდ, ხმამაღლა გადაიკისკისა და მამას ზედ გვერდზე შეაფორთხდა.

— მამიკო, აი, სპილო...

— ო, ვინ მოგცა?

— ჩემია. საბავშვო ბაღიდან მოვიყვანე.

— ოჰ, ეგ როგორ შეიძლება! საბავშვო ბაღიდან არაფრის წამოღება არ შეიძლება.

— არ შეიძლება?

— არა.

— ხი-ხი!

— რას იცინი?

— დედიკოც ეგრე მეუბნება. დედიკოც ასე მეუბნება, არ შეიძლებაო.

— ჰოდა... ხვალვე უკან წაიღე.

— შენ და დედიკო რატომ არ ლაპარაკობთ?

— ვინ გითხრა, რომ არ ვლაპარაკობთ?!

— არა, არ ლაპარაკობთ.

— ვლაპარაკობთ.

— როდის?

— როცა... რაიმე საქმე გვეჩვენლება.

— ხი-ხი! მალე?

— მალე.

— ხი-ხი!

— რას იცინი, კუდრაჭა, — ჯიბრაილმა ღიმილი ველარ შეიკავა.

— არაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერზე... სულელები იცინიან.

— არა, — გოგუცუნა უცბათ წამოდგა, თავისი სპილო ისევ გულზე მიიხუტა, იატაკზე გადახტა და ცალ ფეხზე ხტუნვასა და ყვირილს მოჰყვა: არაფერს — არაფერს!... არაფერს — არაფერს!...

მერე ისევ უეცრად მოსწყდა და სამზარეულოში, დედამისისკენ გაქანდა. ჯიბრაილმა ქალიშვილს თვალი გააყოლა და ამოიოხრა.

არა, ჯიბრაილს თანამდებობა არ ენანება. ეშმაკსაც წაუღია! ეს არის, რომ ირინეა ასე გულმოკლული და, გარდა ამისა...

ერთი საათის წინ, სანამ ირინე და გოგუცუნა მოვიდოდნენ, ჯიბრაილს შახტის ტელეფონისტების უფროსი, აფრასიონ გობეჯიშვილი ეწვია. ის და ჯიბრაილი დიდი მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ ერთმანეთში არც მტრობა ჰქონიათ. ისე — გამარჯობა, გაგიმარჯოს! — როგორც რიგი და წესია. ჯიბრაილს თავის უბანზე ტელეფონის გაყვანა როგორ ჯურღმულშიც არ უნდა დასჭირვებოდა, აფრასიონს არასოდეს უარი არ უთქვამს. თავის ხალხს სხვა სამუშაოებიდან მოხსნიდა და ჯიბრაილის უბანზე გამოგზავნიდა, იმიტომ, რომ იცოდა, ამ უბანზე მთელი შახტის ბედ-იღბალი ეკიდა, ხელთუფლიშვილს უკან კი მუდამ თვითონ სარდიონი იდგა და ვაი იმის მოსწრებას, ვინც მესამე უბნის რამეში შეაფერხებდა. არა. აფრასიონს არასოდეს უწყენინებია ჯიბრაილისათვის. ოღონდ ეს იყო, საქმეს რომ გაუკეთებდა, მერე ჩანგლის მოდება და ჯიბრაილის ანგარიშზე წაპურმარილება უყვარდა. მაგრამ ეს რა სალაპარაკოა! ჯიბრაილს ფული არასოდეს ელეოდა და ხშირად ხალხს თვითონ ეძებდა, რომ რესტორანში, ან სადმე სხვაგან შეეყვანა და დრო გაეტარებინა. არა, ჯიბრაილისა და აფრასიონის ურთიერთობას ცუდი ნამდვილად არ ეთქმოდა.

— ახლა აფრასიონი შემოვიდა, ფეხ-

ვი კარებშივე მწარედ გადააქ[illegible] ტუჩებიც გაიწკლაპუნა.

— რა დაგემართა, აფრასიონ? — ჯიბრაილმა მოსულს სკამი უხალისოდ მიუწია და თვითონ ტახტზე ჩამოჯდა.

— რაღა რა დამემართა. აბა, ეს საქმეა?!...

— უარესიც ხდება!

— ეგ კი, მაგრამ... უარესის დარდი მე არა მაქვს, ეს რატომ უნდა მომხდარიყო?!

— რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება.

— ეგ ნამდვილია, — აფრასიონი ერთ-ორ ჭიქა ღვინოზე უარს არც ახლა იტყოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ჯიბრაილს საამისოდ არ ეცალა, — აგერ მივდიოდი და შემოგიარე. თუ იცი, შენს ადგილზე უკვე ვინმე დააყენეს?

— არაფერი გამიგია.

— ვიღაც ახალგაზრდა ინჟინერს ახსენებენ არა, ნამდვილი არც მე ვიცი. კისერიც უტეხიათ. მე სხვა რამის სათქმელად მოვედი.

— ბრძანე!

— ხომ იცი, ჩემო ჯიბრაილ, მე და შენ ყოველთვის ძმები ვიყავით და ძმებადვე დავრჩებით, მაგრამ სამსახური, ეს ოხერი, თავისას მოითხოვს. და მეშინია, აქ რაიმე გაუგებრობა არ შეგვემთხვეს.

— მაინც? აწი რაღა გაუგებრობა უნდა შეგვემთხვეს?!

— სწორედ რომ აწია საქმე, აბა; ეჰ, ჩემო ჯიბრაილ, ჩემო გულის ვარდო და შრომაშანო, შენთან რა მაქვს დასამალავი: ტელეფონის, ამ ოხრის ხაზი ერთიც არ მაქვს თავისუფალი. უბნის ახალ უფროსს, ვინც არ უნდა იყოს, უტელეფონოდ ვერ დავტოვებ. შენც კარგად იცი, კანონი კანონია, შენ ჩემთვის დღესაც იგივე ჯიბრაილი ხარ, ჩემი და მთელი შახტის მშვენება და სიამაყე, მაგრამ... კანონით ტელეფონი შენ აღარ გერგება.

— ესე იგი...

[illegible]მალული, მათქმევინე, მაგისთვის არ მოვსულვარ. პირიქით მინდა, დაგეხმა-

რო, და თუ კაცი ვარ, კიდეც დაგეხმარები. ჯერ ერთი, ირინეს უთხარი, ტრესტიდან ქალალდი მოიტანოს, რომ ტექნიკურ განყოფილებაში მუშაობს და ტელეფონი კანონით ერგება. ეს, შენ ხარ, ჩემი ბატონი, ერთი. მეორე კი ის, რომ მიწას გავხეთქავ, ქვას გავაპობ და ერთ თავისუფალ ხაზს, საქმე თუ საქმეზე მივიდა, უსიკვდილოდ ვიშოვნი. შენ და შენი ოჯახი, ჩემო ჯიბრაილ, ეს იცოდე ჩემგან, — შენ და შენი ოჯახი უტელეფონოდ არ იქნებით. ცუდი სიტყვაა?

— გმადლობთ!

— აი, ამის სათქმელად მოვედი. არაფერი იდარდო და ეს იცოდე: მაგენი უშენოდ ვერ გაძლებენ და ხვალ ისევ შენ შემოგეხვეწებიან, მოდი და გვიშველეო. იმდენი სიცოცხლე და კარგად ყოფნა აფრასიონ გობეჯიშვილს! ხვალ კრებაზე მოხვალ?

— არა. რა კრებაა?

— აი, ვითომ... შენს შესახებ.

— არა, ალბათ არ მოვალ.

— სწორია. არც მოხვიდე! დასჭირდებათ და თვითონვე მოგაკითხავენ. აბა, ჩემო ტკბილო და საყვარელო, კარგად და ბედნიერად იყავი, დარდს არ მიეცე. ჩემი სიტყვა კი სიტყვაა. ეს იცოდე!

გობეჯიშვილის წასვლის შემდეგ ჯიბრაილი კარგა ხანს იჯდა გაუნძრევლად სკამზე. მერე საძილე ოთახში შევიდა და საწოლზე გულაღმა გაიშოტა. მერე ის იყო, ირინე და გოგუცუნაც მოვიდნენ.

## XVIII

შახტის ადგილკომის თავმჯდომარეს — ახალგაზრდა, მუდამ ეშმაკურად მომღიმარე, ულმერთოდ შავთვალა ტერენტი ჩაგუნავას ერთი სული ჰქონდა, ოქტომბერი როდის დადგება, რომ ამ თანამდებობიდან გადამირჩიონო. რა ინჟინრის საქმეა წყალტუბო-საირმის საგზურების განაწილება და ბავშვების გაგზავნა პიონერულ ბანაკებში? შარშანწინ ამ თანამდებობაზე პირდაპირ ძალით აირჩიეს. ტერენტის შახტის ვენტილაცია ებარა, კარგადაც უძღვებოდა და მისი მუშაობით ყველანი კმაყოფილნი იყვნენ. ლაპარაკიც კი იყო, კახაბერ გურასაშვილს მალე ტრესტში წაიყვანენ და მის ადგილას შახტის მთავარ ინჟინრად ტერენტის დანიშნავენო. მაგრამ სარდიონი და მინაგო ატყდნენ, დიდი ხანია, ადგილკომის თავმჯდომარედ კარგ ბიჭს ვეძებთო. დატრიალდნენ და თავისი გაიტანეს. ან კი რა გატანა უნდოდა? შახტზე ტერენტის დიდი და პატარა იცნობდა. ყველას უყვარდა და არჩევნებში ერთხმად გავიდა. ვენტილაციის ხაზით სარდიონმა მოადგილის შტატი მოუხერხა, კაციც შეურჩია, — კაცი კი არა, ქალი — სამთო ტექნიკოსი მედეა ხუბულური და... ზის მას აქეთ ტერენტი თავის პატარა კაბინეტში, უძღვება ამ პროფკავშირულ საქმეებს და ერთი სული აქვს, თავის მთავარ საქმიანობას როდის დაუბრუნდება.

ტერენტიმ მშვენივრად იცოდა ჯიბრაილის მოხსნის მთელი ისტორიაც და ისიც, თუ მეშახტეები ამ ამბავს როგორ შეხვდნენ. ცოდვა გატეხილი სჯობია, ტერენტიმ ერთი კი იფიქრა, ნეტავი, მაგ თანამდებობაზე მე ხომ არ გამიშვებენო, მაგრამ მაშინვე ხელი ჩაიქნია. არა, ტერენტი მშიშარა კაცი არ იყო. მაგრამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ერთი საქმეა შახტის ვენტილიაციის ხელმძღვანელობა და — სულ სხვაა საექსპლოატაციო უბანი თავისი ორი, თითო ასმეტრიანი სანგრევით, შტრეკებით, უამრავი მექანიზმებით და ორასამდე მეშახტით. არა, აქ შეიძლება ბევრ გამოცდილ ინჟინერსაც კი ხელი მოეცაროს. არა, ტერენტი ამ თანამდებობას თვითონ არასგზით არ გამოეკიდება. თუ უფროსებმა შესთავაზეს და დაიყინეს, მაშინ — ვინ იცის...

მაგრამ საქმე ახლა ისე შეტრიალდა, რომ სარდიონმა, არც აცივა, არც აცხელა და მესამე უბნის უფროსად პირდაპირ ვიღაც ბავშვი დანიშნა. სწორედ რომ ბავშვი — სხვა სიტყვა აქ არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგება. ტერენტიმ ის ბიჭი გუშინ საკუთარი თვალით ნახა. წვრილი კისერი ისე ამოუდის პერანგის საყელოდან, თითქოს დიდ, პირგანიერ ქოთანში ერთადერთი ბაბუაწვერა ჩაურგავთო. მართლაც გასაოცარი ამბავია! რა თქმა უნდა, იმ ბავშვმა თვითონაც არ იცის, თუ თავი როგორ უღელში გაჰყო. მაგრამ სარდიონი რაღას ფიქრობს?!

ტერენტისთან მესამე უბნის მეშახტეები მოცვივდნენ — სარდიონთან ლაპარაკიც კი არ გვინდა, ადგილკომი შენა ხარ და ჩაერიეო. კი, ბატონო! ადგილკომი მართლაც მოვალეა მუშების ინტერესები დაიცვას, მაგრამ — როგორ? რა გზით? აი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — რისი გაკეთება შეიძლება?

თუ სიმართლე გინდათ, ამ მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ის იქნება, თუ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს თავის თანამდებობაზე დააბრუნებენ. მაგრამ ჯიბრაილი უდიპლომოა და უბნის უფროსად სასამართლოც კი ველარ აღადგენს. პირიქით, შეიძლება სარდიონი დაადანაშაულონ კიდეც, ამ თანამდებობაზე უდიპლომო კაცი ან აქამდე რა უფლებით გყავდათო. ჰოდა, აბა, ტერენტიმ რაღა ჰქნას? ამ იარას რა სალბუნი დაადოს?

ტერენტი მეშახტეებს არაფერს დაჰპირებია. ტყუილი ლაპარაკი მას არ უყვარს. მხოლოდ ეს ურჩია, წინდაწინვე იმედს ნუ გადაიწყვეტთ, ეს ბიჭი ჯერ ხომ თვალითაც კი არ გინახავთ, იქნებ, ისეთი ლომი გამოდგეს, რომ ჯიბრაილსაც კი აჯობოსო. მე კი ჩემის მხრივ ყოველნაირად შევეცდები, თქვენი ინტერესები დავიცვაო.

მეშახტეები ავარდნენ და დავარდნენ. ისე აყვირდნენ, რომ ყურთასმენა აღარ იყო. ერთმა, დაბალმა და გამხდარმა, — იმას სახელად იორამი უნდა ჰრქმეოდა. — ტერენტის ბიუროკრატიც კი უწოდა.

— ერთი ეს მიბრძანე... — ცალთვალა გერასიმე ცნობილაძემ ტერენტის თითი გააფთრებით დაუქნია, — ერთი ეს მიბრძანე, ეგ ახალგაზრდა ლომი კი არა, კატა რომ გამოდგეს, უბანი ჩააოხროს, ჩვენ კი ხელიდან გამოგვეცალოთ და სხვა შახტებზე გადავიდეთ, მაშინ ხომ გადმოაგდებთ ენებს. მუშური სინდისი არ გქონიათო? თქვი, გადმოაგდებთ, თუ არა?

— ბიძია გერასიმე ახლა... საკუთარი შახტის მიტოვება... რა...

— ჰოოო, საკუთარიო, არა? აბა, ბიძი, თუ საკუთარია და თუ მშობლიურია, ცოტა შენც გაინძერი, წამოგვეხმარე. მარტო ქაღალდებს ნუ ეფარები. დიიახ!... აბა, თუ სახელმწიფოს ნახშირი დააკლდა, მარტო ჩემი მუშური სინდისი უშველის? მითხარი, მარტო ჩემი სინდისი ეყოფა?

— ახლა... მარტო სინდისი... რა...

— ჰოდა, ასე! ჩვენ, ბიძიკო, ბევრი ლაპარაკისთვის არა გვცალია, აი, საბოლოოდ გეუბნებით: ადგილკომი ხარ და მუშების ინტერესები დაიცავი. მორჩა... ამით შენ ისევ შახტსა და სახელმწიფოს დაეხმარები. აბა, ასე! გეუბნებიან: დაგვიცავი კბილებითა და ფრჩხილებით. ნახვამდის...

გატრიალდნენ და ჯაჯღანით წავიდნენ.

არ გასულა ნახევარი საათი და ტერენტის სარდიონთან უხმეს.

— ახალი ამბავი იცი?

— ვიცი.

— რას აპირებ?

— ბატონო?

— რას აპირებ-მეთქი?

— სარდიონ, აბა, მაგას... რა კითხვა უნდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ჯერ არ გამიგონია, რომ ახალგაზრდა კაცს მატარებლიდან ფეხი ჩამოედგას და მაშინვე უბნის უფროსად დაენიშნოთ, მეშახტეები...

— რა მეშახტეები?! ეს ამბავი მე კი მიხარია?

— არა, მე მაგას არ ვამბობ.

— კარგი. მე მარტო ის მინდა, რომ შენ ჩემი მდგომარეობა იცოდე. ხვალ უბნის კრებაა და... აჰა, ძმაო, კანონს ვასრულებ და პროფკავშირს ყველა-

ფერს დროულად ვატყობინებ. ახლა შენ იცი. მეტი რაღა გითხრა?

— მესმის.

სარდიონის კაბინეტიდან ტერენტი გუნებაარეული გამოვიდა. აი, ამიტომაა ცუდი ეს ოხერი ადგილკომობა. ხვალ კრებაა. მეშახტეებიც მართალნი არიან და, თავის მხრივ, სარდიონიც მართალია. ახლა ადექი შენ, ადგილკომო და... ეჰ, ეს ოქტომბერიც რომ აღარ მოვიდა!...

## XIX

კრების მომზადებისას სარდიონმა თითქოს ყველაფერი გაითვალისწინა, მაგრამ ერთ მოულოდნელობას მაინც წააწყდა: როცა შახტის ვრცელ მაგრამ დაბალჭერიან კლუბში შევიდა და პრეზიდიუმისკენ გაემართა, მოულოდნელად დიანოს გოლეთიანი დაინახა — სწორედ ის ხანდაზმული, ცოტა მოუქნელი, მაგრამ გამოცდილი და ყველასაგან პატივცემული მეშახტე, წინა ორშაბათს სავენტილაციო შტრეკში თავისი წინდაუხედაობით ფეხი რომ მოიტეხა და ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნის საბაბი შეიქნა. ჩაფსკვნილი, მსხვილნაკვთებიანი, ჭაღარა ულვაშებიანი გოლეთიანი გაჯგიმული იჯდა პირველ რიგში, სქლად შებინტული მარჯვენა ფეხი წინ მდგარ ტაბურეტზე დიდის ამბით დაესვენებინა და აქეთ-იქით ისეთი ძლევამოსილი გამომეტყველებით იმზირებოდა, თითქოს უნდა, მთელს ქვეყანას გააგებინოს, ამ ჩემი მოტეხილი ფეხის პატრონი მე ვარ და მასთან არავის არაფერი გესაქმებათო.

„გაგიხმა ეს გასიებული თავი! — გაიფიქრა სარდიონმა, — ეს ცეცხლი კი შემოგვინთე, ახლა კი წამოდგები და თავს გამოიდებ, ჯიბრაილი უდანაშაულოაო. თითქოს ეგ ვინმემ შენზე ნაკლებად იცოდეს...“

სარდიონის დანახვაზე გოლეთიანი შეინძრა: როგორც შეეძლო, წელში გაიმართა და შახტის უფროსს დარბაისლურად თავი დაუკრა, ძლივს მოდუნა მორისსიმსხო, წითლად ჩანაოჭებული კისერი. სარდიონი იძულებული გახდა, ეთქვა, — იჯექი, იჯექი, ნუ შეწუხდებიო“, და პრეზიდიუმში ავიდა.

პრეზიდიუმის მაგიდას უკვე უსხდნენ მინაგო ჩარკვიანი და ტერენტი ჭურღულაძე. მინაგო ცოტა შეფიქრიანებული იყო და ლოყებზე ავადმყოფური სიწითლე მოჰკიდებოდა. ტერენტიმ კი სარდიონს ისე უდარდელად შეანათა კაკლის მურაბასავით შავი და მბრწყინავი თვალები, თითქოს ეუბნებოდა: ის, რაც ახლა აქ უნდა მოხდეს, არც მე მომწონს და არც შენ, მაგრამ ორივენი იძულებულნი ვართ, ეს საქმე მაინც გავაკეთოთო. ისე კი — მთავარი ჭაპანი შენ უნდა გასწიო. მე, შეძლებისდაგვარად მოგეხმარები, მაგრამ ძალიან ბევრს კი ნუ მომთხოვო.

სარდიონი მაგიდას მიუჯდა.

— ჯიბრაილი არსად ჩანს?

— არა, — ჩარკვიანმა ორივე ხელი თავზე გადაისვა.

— ალბათ, არც მოვა.

— ალბათ.

— ის ბიჭი? არჯევანიძე?

— ის და მარგალიტა სადღაც ბოლო რიგებში დავინახე.

— მარგალიტა უკვე პატრონობს?

— ალბათ.

— არ დავუძახოთ?

— რა ვიცი... რა საჭიროა?

— კარგი.

დარბაზში თითქმის მთელი შახტი მოგროვილიყო. ერთი თავისუფალი სკამიც არსად ჩანდა. გასასვლელში ფეხზე იდგნენ. ჯიბრაილის მოხსნის ამბავს მთელი შახტი აეღელვებინა. ბლომად იყვნენ ქალებიც; და არა მარტო შახტის მუშა-მოსამსახურეები, არამედ მეშახტეების ცოლებიც, დედები თუ ქალიშვილები... მესამე უბნის მუშაობაზე ხომ მთელი შახტის კეთილდღეობა იყო დამოკიდებული. ჯიბრაილის უბნის ხალხს კი პირველი სამი რიგი თითქმის მთლიანად დაეკავებინა. აქ იყო ცალთვალა გერასიმე ცნობილაძეც და დალეული, ავად მომზირალი იორამ ნოსელიძეც, მელოტი, ბეჭებჩა-

მოშვებული არქიფო ცალუღლიშვილიცა და ლამაზი, მხარბეჭიანი, ქალარა იულო სოფრომაძეც. ისინი ერთმანეთს გაუთავებლად ელაპარაკებოდნენ და პრეზიდიუმისკენ წამდაუწუმ მრისხანედ იცქირებოდნენ. ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ სარდიონს არაფერს დაუთმობდნენ და ერთ სიტყვასაც კი არ შეაწევდნენ.

— დავიწყოთ, — სარდიონმა ამოიხვნეშა, — აბა, ტერენტი!

ტერენტი წამოდგა და ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო.

— ამხანაგებო, ჩვენი დღევანდელი კრების დღის წესრიგშია ერთი საკითხი — მესამე უბნის ხელმძღვანელობის შესახებ... ესე იგი, ორგანიზაციული საკითხი. ამის შესახებ მოგახსენებთ შახტის უფროსი.

დარბაზს ალშფოთების ყრუ გუგუნმა გადაუარა. იმ წამსვე მესამე რიგში ვიღაცის ხელი აიწია. ეს ისე მალე მოხდა, რომ სარდიონმა წამოდგომაც ვერ მოასწრო.

— შე, რა გინდა, ამბაკო! — ჰკითხა ტერენტიმ იმას, ვინც ხელი ასწია.

ეს შუახნის, სახეშემურული მეშახტე იყო. ალბათ, კრებაზე პირდაპირ სანგრევიდან მოვიდა და შხაპის მიღებაც კი ვერ მოასწრო. იგი წამოდგა და მუშტში ჩაახველა:

— თუ შეიძლება, ერთი ეს მიბრძანეთ, ეს ვისი კრებაა? ესე იგი, ეს უბნის კრებაა, შახტის საერთო კრებაა, პარტორგანიზაციის, პროფკავშირისა, თუ რა არის? თუ შეიძლება, ამაში გაგვარკვიეთ.

ტერენტი, ცოტა არ იყოს, დაიბნა მართლაც, ეს რა კრება იყო? სარდიონს და მინაგოს გადახედა.

— ეს მესამე უბნის კრებაა, — თქვა სარდიონმა, —მესამე უბნის მეშახტეების საერთო კრება.

— კეთილი და პატიოსანი, — მეშახტემ მუშტში ერთხელაც ჩაახველა, — მაშინ, ბარემ, წესრიგიც დავიცვათ ეს თქვენთვისაც უკეთესი იქნება, და ჩვენთვისაც. თუ ჩვენი კრებაა, თავმჯდომარეც ჩვენ ავგარჩევინეთ.

ტერენტი ისევ დაიბნა და სარდიონსა და მინაგოს გადახედა. სარდიონმა ოდნავ შესამჩნევად მხრები აიჩეჩა, რა მეთქმისო. მინაგომ ტერენტის თავი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი ნებაა, — ტერენტიმ შევებით ამოისუნთქა, — გთხოვთ, დაასახელოთ თავმჯდომარე.

კრება ერთ ხანს დაბნეულად სდუმდა. ალბათ, მეშახტეები არ ელოდნენ, რომ ეს საქმე ასე იოლად მოგვარდებოდა. მერე არქიფო ცალუღლიშვილმა ხელი ასწია და, ნებართვისათვის აღარც დაუცდია, წამოდგა.

— მე ასე ვიტყოდი, ამხანაგებო, რომ თავმჯდომარედ დღეს ისევ... ანთიმოზ ჩახუნაშვილი იყოს. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი უბნის კაცია, ხელმძღვანელობაშიც ფეხი აქვს ჩადგმული და მე მგონი...

— იყოს, იყოს... — გულგრილად დაუდასტურეს აქეთ-იქიდან, — ანთიმოზი იყოს.

— არც არაფერს გაგვიკეთებს, მაგრამ არც დაგვიშავებს.

წინააღმდეგი არავინ ჩანდა.

— ვინ არის მომხრე, რომ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხანაგი ჩახუნაშვილი. — იკითხა ტერენტიმ.

მეშახტეებმა ხელი ერთად, მაგრამ გულგრილად ასწიეს.

ანთიმოზი და მარიამი მეოთხე რიგში ისხდნენ. ორივე ისე საგულდაგულოდ იყო გამოწყობილი, თითქოს საერთო კრებაზე კი არა, ქორწილში მოიწვიესო. მარიამს კარგა ღრმად გულმოჭრილი, ლურჯი აბრეშუმის კაბა ეცვა. ანთიმოზს კი შავი შალის კოსტუმი, თეთრი ნეილონის პერანგი, იმპორტული ფეხსაცმელები... ან კი რატომ არ ეცმებოდათ? შვილი იმათ არ ჰყავდათ და ძირი, შემოსავალი კი ანთიმოზს, ჯიბრაილის წყალობით, იმდენი ჰქონდა, რომ სამ ოჯახს ეყოფოდა.

ანთიმოზმა რის ვაივაგლახით მოიტოვა უკან ხალხით გაჭედილი გასასვლელი, პრეზიდიუმში ავიდა და ხალხს თავი მდაბლად დაუკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, შენ იცი, ანთიმოზ!... — მიაძახა ვიღაცამ უკანა რიგებიდან, — შენებურად — არც მწვადი დაწვა და არც შამფური.

ამ სიტყვებზე მთელმა დარბაზმა ერთხმად გადაიხარხარა. სიცილი სარდიონმა და მინაგომაც ძლივს შეიკავეს, ტერენტიმ კი თავი გადააგდო და ხავშივით აკისკისდა. ანთიმოზი ჭარხალივით გაწითლდა და ჭროღა თვალები ბოროტად დაკვესა.

მაგრამ მეშახტეები მხიარულების გუნებაზე სულაც არ იყვნენ. სიცილი მალე შეწყდა. ანთიმოზი, ვითომც აქ არაფერიაო, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და მდივნის დასახელება მოითხოვა.

მდივნად ახალგაზრდა მეშახტე, წიგნების მოყვარული და მუდამ კოხტად თმაგადავარცხნილი გუგული ბააკაშვილი აირჩიეს.

— ამხანაგებო! — ანთიმოზი წელანდელ წყენას აღარ იმჩნევდა, — დღევანდელი კრების დღის წესრიგი თქვენთვის ცნობილია, წინდაწინვე ვიცოდით და აგერ, ახლა, პატივცემულმა ტერენტიმაც მოგახსენათ. ამიტომ, ჩემის აზრით, სწორი იქნება, თუ ამ დღის წესრიგს დავამტკიცებთ.

— ვამტკიცებთ. — მოისმა აქეთ-იქიდან.

— მაშინ ნება მომეცით. სიტყვა მივცე ჩვენი შახტის უფროსს, ამხანაგ სარდიონ რაჭველიშვილს.

სარდიონი გულგრილად წამოდგა და მაგიდას ცალი ხელით დაეყრდნო:

— ამხანაგებო, ოფიციალური ენით თუ ვილაპარაკებთ, მე ძალიან ძნელი ამოცანის წინაშე ვდგავარ. მაგრამ ამ ამოცანას მე ის გარემოება მიადვილებს, რომ მე და თქვენ, მადლობა ღმერთს, ერთმანეთს დღეს და გუშინ არ ვიცნობთ. და როგორც თქვენ იცით ძალიან კარგად, თუ ამ ცხოვრებაში მე რაც გამეხარდება და რა მეწყინება, ისე — მე მგონი, დამერწმუნებით, — მეც კარგად ვიცი, — თუ თქვენ ყველას რა გეწყინებათ და რა გაგეხარდებათ! მაგრამ რას იზამთ, ამხანაგებო, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყველა ჩვენს სწადილს ახდენა არ უწერია. ასეთია ეს ცხოვრება. ყოველთვის ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, ეს ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ უნდა გვცოდნოდა, როცა ცხოვრებაში მეშახტის მძიმე პროფესია ავირჩიეთ და თუ ჩვენ დღეს...

— მოიცა, სარდიონ! — მოისმა უეცრად ბოხი ხმა შუა დარბაზიდან, — უკაცრავად! მეშახტის პროფესია ვითომ ყველასთვის მძიმეა?

— არა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ზოგს გინდა შახტში უმუშავნია და გინდა საკონდიტროში.

— ან ეს ყველაფერი რა სალაპარაკოა?

— რა შორიდან გვივლი?

—ბავშვები გგონივართ?

— ბოთე გოლეთიანმა ფეხი მოიტეხა, ჯიბრაილი მოხსენით? ეგ რანაირი სამართალია?

— ბოთეს ხმა მესმის! — გოლეთიანი მთელი სხეულით შეზანზარდა და თვალები წყენით დააბრიალა, — ბოთეს ხმა მესმის, კი! ასე ვიტყვი მე ამას! ბოთეს ხმა მესმის ნამდვილად!

— აცალეთ!

— ვიცით, რასაც იტყვის.

— ჯიბრაილი დააბრუნეთ თავის ადგილზე... ახლავე!

— თავს ნუ იგდებთ ეს უფროსობაზი!

— ამხანაგებო, — ანთიმოზმა ზარი დააწკრიალა. ეტყობოდა, თავმჯდომარეობა საბოლოოდ შეიფერა, — ამ პირობებში ჩვენ კრებას ვერ გავაგრძელებთ.

— ვიცით!

— შენ მანდ დადექი!

— შენი ჭკუის სწავლება არ გვინდა.

— თორემ როგორც აგირჩიეთ, ისევე გადმოგირჩევთ.

— უუუურე ამას!

სარდიონმა აცალა, სანამ ხმაური მიწყნარდებოდა. მერე ღრმად ამოისუნთქა:

— ხალხო, ამხანაგებო! ყვირილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმაურით საქმე როდის გაკეთებულა? აქ რისთვის შევიკრიბეთ? საქმეს დავუკვირდეთ, ავწონ-დავწონოთ...

— ავწონ-დავწონოთ? ბრძანება გუშინწინ დაწერე და კრებას დღეს იწვევ? ახლა ავწონ-დავწონოთ?!

— თუ ალარაფერს გვეკითხებით, ვიცოდეთ მაინც!

— მეშახტეებს თავზე ვერავინ გადაახტება!

— ვერა, ვერასოდეს!

— ბოთე მე ვარ, თუ მაგის დამძახებელია, ეგ გამოჩნდება! ძალიან მალე გამოჩნდება; კი!

— გვითხარით, რატომ გაიმეტეთ ის ადამიანი! ჯიბრაილ ხელთუფლიშვილზე — გეკითხებით.

სარდიონი ნახევრად თვალებდახუჭული იდგა და ხმაურის მიწყნარებას ელოდა. მაგრამ მოთმინება აღარ ეყო, მაგიდას მუშტი დაახალა და თვალები რისხვით დააბრიალა.

— სიჩუმე! რა ამბავია, ბოლოსდაბოლოს? ვინაა, აქ ლაპარაკს რომ არ გვაცლის? რომელია, უკადრისს რომ კადრულობს?

ხმაური მოისხიპა, მაგრამ იმ წუთშივე ცალთვალა გერასიმემ ხელი ასწია.

— მათქმევინე ერთი...

— მაცალე, — სარდიონმა გერასიმეს ხელი აუქნია, — ჯერ, რაკი დავიწყე, მე ვიტყვი და მერე შენ ილაპარაკე. მაცალე, თუ შენზე ნაკლები ლაპარაკი ვიცი?

— ნაკლები რატომ გეცოდინება, რა...

— ჰოდა, მაცალეთ!...

—ნაცლევი ხარ...

— ერთი სიტყვით, ასე. ამხანაგი ხელთუფლიშვილი განთავისუფლებულია უბნის უფროსის თანამდებობიდან. ამის მთავარი და ერთადერთი მიზეზია მისი უდიპლომობა. დასამალავი აქ არაფერია. .ჩვენ არაერთხელ ვურჩიეთ ამხანაგ ჯიბრაილს...

— ო-ხო-ხო-ხო-ხო!... ო ხო-ხო-ხო-ხო!... — ახლა კი მართლაც... — მელოტი არქიფო ცალუღლიშვილი წამოდგა, წელში მოიხარა და შუბლი მოიჩრდილა, თითქოს უამისოდ სარდიონს ვერ ხედავსო, — სარდიონ, არ გრცხვენია? ტყუილებზე გადახვედი? მაგას რას ლაპარაკობ, სარდიონ?!

— რას ვლაპარაკობ? — სარდიონმა წარბები გაკვირვებით შეჰყარა.

— რა და, თქვენ არ იყავით, კურსებზე ჩარიცხული კაცი უკანვე რომ დააბრუნეთ, გეგმა ჩაგვივარდაო? შარშანწინ არ იყო?

— რაო? — სარდიონი დაიბნა — როდის?

— არა, არა, არქიფო!... — გაისმა აქეთ-იქიდან, — შენ გეშლება.

— ჯიბრაილმა მაშინ კურსებზე წასვლა თვითონ არ ინდომა.

—გამოცდების ჩაბარება არ უნდოდა!

— ჰოო! — არქიფო გაწითლდა და უმწეოდ მიმოიხედა, — ბოდიში... — და თავის ადგილზე ჩაჯდა.

სარდიონმა თავი გადააქნია:

— ყურს დამიგდებთ, თუ არა?

— ილაპარაკე.

— ერთი სიტყვით ასე: ჩვენ არაერთხელ ვურჩიეთ ამხანაგ ხელთუფლიშვილს ეზრუნა თავის სწავლა-განათლების საქმეზე, მზად ვიყავით, მისთვის ყოველგვარი დახმარება აღმოგვეჩინა, მაგრამ ამ მიზეზით იყო, თუ იმ მიზეზით, ეს საქმე არ მოხერხდა. ამხანაგი ჯიბრაილი დღესაც უდიპლომოა. ჩვენი სახელმწიფო კი კრძალავს — მეშახტეები სახიფათო საქმეზე მუშაობენ და იმათ ბედ-იღბალს უსწავლელ ხალხს ნუ ანდობთო. ეს კარგი კანონია და ჩვენ უნდა გავატაროთ — შახტის უფროსი ჯერჯერობით მე ვარ და სახელმწიფო კანონებს მუდამ გავატარებ, მორჩა!

სარდიონი დაჯდა და შეოფლილი შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

კრება ავად სდუმდა.

მინაგო ჩარკვიანმა ანთიმოზას იდაყვზე ხელი შეახო და ანიშნა, სიტყვა მომეციო.

— სიტყვა ეძლევა ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანს ამხანაგ ჩარკვიანს.

ეროვნული

— ამხანაგებო, არა მგონია, საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ მესამე უბნის კეთილდღეობაში, ისევე, როგორც მთელი შახტის სიკეთესა და წარმატებაში ჩვენ ყველანი ერთნაირად ვართ დაინტერესებული. ჩვენი უბნები, ჩვენი შახტი — ეს ჩვენი სიცოცხლეა, ამხანაგებო! ეს არის ჩვენი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ეს არის ჩვენი ღირსების და სიამაყის საქმე, ეს არის პირადად ჩვენი და ჩვენი ოჯახების კეთილდღეობაც. ეს ყველამ ვიცით და ამიტომ ყველანი, გამოუკლებლივ ყველანი, მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ, ჩვენი უბნებისა და ჩვენი შახტებისათვის ისე, როგორც მშობლები ზრუნავენ თავის შვილებზე, რათა ისინი დაზარდონ, დაავაჟკაცონ, თავისი ვალიც მოიხადონ და შვილებიც სწორ გზაზე დააყენონ. იმ შვილებს მერე თავისი საქმე გაუჩნდებათ გასაკეთებელი, ისინი თავის შვილებს გააჩენენ და გაზრდიან და ასე უსასრულოდ... ესაა ჩვენი ცხოვრების აზრი და სილამაზე. ასე გვესმის ჩვენ ყველას ჩვენი დანიშნულება.

რაკი არ დაგიშლიათ, მოდით, მეც თქვენთან ერთად გავიხსენოთ, თუ როგორ ასრულებდა თავის დანიშნულებას ჩვენი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი. სანაქებოდ, ამხანაგებო! უკეთესად რომ არ შეიძლება. არც თქვენ და არც მე — არავითარი სიტყვა არ დაგვეშურება იმის გამოსახატავად, თუ რა მადლიერნი ვართ ჩვენ ჯიბრაილისა, მისი ნამდვილად ვაჟკაცური შრომისათვის, ნამდვილად უნარიანი ხელმძღვანელობისათვის... მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ჩვენს კარგ და მართლაც სანაქებო ჯიბრაილს დღეს უნდა დავემშვიდობოთ. გადატანითი აზრით, რა თქმა უნდა, ჩვენ მას უნდა დავემშვიდობოთ, როგორც უბნის ხელმძღვანელს, ამ ამბის გამო მეც ისევე მტკივა გული, როგორც თქვენ ყველას, ამხანაგებო. მაგრამ ნუ გამიწყრებიან ამხანაგები, და ნურც თვითონ ჯიბრაილი დამემდურება, თუ ვიტყვი, რომ ამ უსიამოვნო ამბის მოლოდინი ჩვენ ყოველთვის გვქონდა, და ამ უსიამო ამბის თავიდან აცილება მხოლოდ და მხოლოდ თვითონ ჯიბრაილზე იყო დამოკიდებული. მან კი ამის გაკეთება არ ისურვა. და ეს თქვენ ყველამ მშვენივრად იცით.

რატომაა შახტის ადმინისტრაცია იძულებული, რომ ჯიბრაილს უბნის უფროსობა ჩამოართვას. დიდ საიდუმლოს არც ეს წარმოადგენს. ეს-ეს არის, ამაზე სარდიონმაც ილაპარაკა, სახელმწიფო, ამხანაგებო, პარტია, ხელისუფლება ჩვენ კატეგორიულად გვეუბნება: მეშახტის შრომა ჯერჯერობით არის მძიმე და სახიფათო. და მე, მუშების სახელმწიფო, გიქმნით ყოველგვარ პირობას იმისათვის, რომ მეშახტის ბედი შემთხვევითი ადამიანების კი არა, კვალიფიციური ადამიანების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების ხელში იყოს და ჩვენი სახელმწიფო მილიონობით სახსრებს ხარჯავს, რომ ახალგაზრდებს ასწავლოს და კვალიფიციური ხელმძღვანელობით მოგვამარაგოს. როგორც ბევრ სხვა რამეში, ამაშიც კარგად ჩანს პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვა მეშახტეებისადმი.

მე არ ვკამათობ იმაზე, რომ ჯიბრაილის ხელში თქვენ საკმაოდ უზრუნველყოფილი იყავით, როგორც უხიფათობის მხრივ, ისე სხვა თვალსაზრისითაც. ეს საკამათო არ არის, მაგრამ შევხედოთ საქმეს სხვა კუთხიდანაც. თქვენ იცით, როგორი ნაბიჯებით ვითარდება ჩვენში მეცნიერება, ტექნიკა... ჩვენი გვირაბები და სანგრევები უკვე დღესაც სავსეა ათასგვარი მანქანა-დანადგარებით, რომლებიც თქვენ შრომას გიადვილებენ. ამ მანქანებს თქვენ ჯიბრაილის ხელმძღვანელობითაც მშვენივრად უძლვებოდით, მაგრამ რა იქნება ხვალ და ზეგ? ვინ იცის, როგორი რთული მანქანები შემოგუგუნდებიან ჩვენს შტრეკებსა და სანგრევებში და მერე? ვის შეუძლია თქვას, რომ ზოგი დღევანდელი ხელმძღვანელი ხვალ იმ მანქანებსაც ასეთივე წარმატებით გაუძღვება? არავის, ამხანაგებო!

ამის მტკიცება არავის შეუძლია. ცხოვრება წინ მიდის და ვინც არ ცდილობს, მას ფეხი აუწყოს, ის უსათუოდ ჩამორჩება. მე ამას არავის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ დახსომებით ეს ყველამ უნდა დაიმახსოვროს.

აი, ამხანაგებო, სულ რისი თქმა მინდოდა მე. შეიძლება ამას ორიოდე სიტყვაც დავუმატო. შეიძლება მესამე უბნის ახალმა ხელმძღვანელმა — ვინც არ უნდა იყოს იგი, — თავიდანვე მთლად უნაკლოდ ვერ ააწყოს საქმე, ხელმძღვანელობის შეცვლას მუდამ თან ახლავს ზოგი გაუგებრობანი, ზოგჯერ კონფლიქტებიც... ჩვენ სიმართლის არ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ და აქ კი უნდა პირდაპირ გითხრათ: ამ საქმეში შახტის ხელმძღვანელობას ისევ და ისევ თქვენი, და მხოლოდ თქვენი იმედი აქვს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ ჩვეული სიმტკიცით და გულწრფელობით ამოუდგებით მხარში ახალ ხელმძღვანელს, მასაც ასწავლით, მისგანაც ისწავლით, და ჩვენი უბნის და შახტის საქმეები ისევ საამაყოდ და სანაქებოდ იქნება.

ჩარკვიანი დაჯდა და შეოფლილი შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა. გრძელმა სიტყვამ ძალიან დაღალა და ღრმად სუნთქავდა, თუმცა-ღა კი ცდილობდა, რომ ეს არავის შეემჩნია.

ანთიმოზი წამოდგა:

— კიდევ ხომ არავის სურს გამოსვლა?

ერთხანს ხმას არავინ იღებდა. მეშახტეები გუნებაარეულნი ისხდნენ და პრეზიდიუმს მზერას არიდებდნენ. მერე პირველ რიგში დიანოს გოლეთიანი შეინძრა და ვეება ხელი მაღლა ასწია:

— შეიძლება?

— ბრძანე! მაგრამ... აქ ამოხვალ?

— წამოდგომით წამოვდგები, ოღონდ მანდ ნუ ამომიყვანთ.

— ბრძანე, — ნება დართო ჩახუნაშვილმა.

გოლეთიანი წამოდგომას შეუდგა, წელში მოიხარა, ორივე ხელი მტკივან, სქლად შებინტულ მარჯვენა ფეხს მოავლო და უდიდესი სიფრთხილით იატაკზე ჩამოასვენა, თან ტკივილისაგან დაიმანჭა. აქეთ-იქიდან ვიღაცეები მოეშველნენ. იგი ორივე ხელით სკამის ზურგს დაეყრდნო და ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა.

— მე, ჩემი მხრივ, უსათუოდ ვემხრობი იმ საჭიროებას, რომ მანქანა-დანადგარები განუხრელად უნდა იზრდებოდეს, როგორც გვირაბსა და შტრეკებში, ისე სანგრევეებსა და... სადაც კი საჭიროა, ესე იგი, ყოველგან. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგი თავს იმის უფლებას რომ აძლევს, რომ მე შეურაცხყოფა მომაყენოს, ამ ამბავს მე ვერ გავუჩუმდები, და, მე მგონია, არც ამხანაგები გამაჩუმებენ. ახლა როგორ და რანაირად მოხდა, რომ მე მივიღე ფეხის მძიმე დახურული მოტეხილობა.

— ქართულად ილაპარაკე! — შეუჯაჯღანა გოლეთიანს მეშვიდე რიგიდან, ვიღაც გამხდარმა და წვერგაუპარსავმა.

— ქართულად არ ვლაპარაკობ? — გოლეთიანს თვალები გულწრფელი გაოცებისაგან გაუფართოვდა.

— „მოტეხილობა მივიღე" რა ქართულია?!...

—აბა? — მთლად დაბნეულმა გოლეთიანმა თვალები უმწეოდ აახამხამა.

— ფეხი მოვიტეხე-თქვა, ბრძანე!...

— ჰოო... — გოლეთიანმა შეოფლილ სახეზე ხელისგული ჩამოისვა, — კი, ბატონო... ეგ... რა... მოვიტეხე, რასაკვირველია, აი, ახლაც მოტეხილი მაქვს და როდის მომირჩება, კაცმა არ იცის, მაგრამ ეს არაფერი. მე უნდა მოგახსენოთ, რასაკვირველია, თუ როგორ მოხდა, რომ ისე უზრუნველყოფილ სანგრევში, რომელიც ჩვენ ჯიბრაილის ხელმძღვანელობით და ყოველდღიური...

— კარგი, კაცო, კარგი! — მოისმა ავი შეძახილები აქეთ-იქიდან.

— ეგ ფეხი ისევ დაასვენე, არ გაგიმიზეზდეს!

— ბოთე იყავი და ბოთედ დარჩი!

— ბოთე... ახლა... — გოლეთიანი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. მაგრამ უცბათ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და

დაჯდომას შეუდგა. მარცხენა ფეხზე შეხტა, სკამზე ნელა დაეშვა, დაიხარა ორივე ხელი მტკივან ფეხზე მოიკიდა. დაძაბულობისაგან სახე ჭარხალივით გაუწითლდა. წელანდელები ისევ მივიდნენ, მიეშველნენ და შებინტული ფეხი ტაბურეტზე დაასვენეს. გოლეთიანმა შვებით ამოისუნთქა. სკამის ზურგს მიეყრდნო და თვალები გულგრილად დახუჭა. ეტყობოდა, მტკივანმა ფეხმა ისე შეაწუხა, რომ ახლა აღარც ჯიბრაილის დარდი, აღარც უბნის და აღარც საკუთარი თავისა არ ჰქონდა.

— კიდევ ხომ არავინ ისურვებს? — ჩახუნაშვილმა კრებას არწივის მზერა მოავლო.

— მე მინდა, — ცალთვალა გერასიმემ ხელი კი ასწია, მაგრამ ნებართვისათვის აღარ დაუცდია, პირდაპირ პრეზიდიუმში ავიდა და ტრიბუნასთან გაჩერდა. ერთადერთ თვალს ისე გაავებული ატრიალებდა, რომ სარდიონმა და მინაგომ ერთმანეთს გადახედეს და ღიმილი ძლივს შეიკავეს. ტერენტი კი რატომღაც წამოხტა, ჭიქა წყლით გაავსო და გერასიმეს დაუდგა, ტერენტი და გერასიმე ძველი მეგობრები იყვნენ.

—კაცო, ხალხო, რა გითხრათ, იცით?— გერასიმემ აღელვებისაგან აცხაცახებული ხელით ჭიქა გვერდზე გასწია,—დღეს აქ სიტყვის სათქმელად დილიდანვე ვემზადებოდი, მაგრამ ამ ჩვენმა უფროსებმა ისეთი ფიანდაზები გაგვიფინეს, ისეთი ფარდაგ-ხალიჩები მოგვიქარგეს, რომ... აღარც კი ვიცოდი, ხმა ამომეღო, თუ არა. თქვენც ხომ გაიგონეთ... მეცნიერება და ტექნიკაო, მანქანა-დანადგარებიო... ერთი სიტყვით, ამათ რომ ყური დავუგდოთ, ჩვენ მაგათი მადლობლებიც უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ეს ჩვენი ჯიბრაილი, ეს ჩვენი მართლაც ძმასავით თანშეზრდილი ადამიანი მოგვაშორეს, — ეს კაცი, კარგი მთავარსარდალივით მართლაც სულ წინ და წინ რომ მიგვიძღოდა, ეს მოგვაშორეს და ახლა არც კი ვიცით, რას გვიპირებენ. არ ვიცით, ხვალ რა მოგველის და თურმე ჩვენ ამისათვის ჩვენი ადმინისტრაციის მადლობლებიც კი უნდა ვიყოთ. რატომ? რატომ უნდა ვიყოთ მადლობლები? რატომ და თურმე იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ, ალბათ, მეცნიერები ახალ მანქანებს მოიგონებენ, შექმნიან, გამოგვიგზავნიან და ე, მაშინ, შეიძლება — დანამდვილებით ესეც არავინ იცის, — მაშინ შეიძლება ჯიბრაილმა საქმეს თავი ვეღარ გაართვას. გეყურებათ? მაშინ, თურმე, შეიძლება ჯიბრაილმა საქმეს თავი ვეღარ გაართვასო, მინაგო ბატონმა ზუსტად ასე ბრძანა. მისი ნათქვამის აზრი ნამდვილად ეს იყო, დიახ! და თურმე ჩვენ ყველანი, შახტის ადმინისტრაციის გარდა, ყველანი იმდენად სულელები ვყოფილვართ, რომ ეს უბრალო რამე ვერ გაგვიგია. ჯიბრაილმა ხვალ ან ზეგ საქმეს შეიძლება თავი ვეღარ გაართვასო. აი, ამათი საბუთიანობა, კარგი! ახლა ერთი ვკითხოთ ამ ჩვენს ადმინისტრაციას, — რავა, ახლა ჩვენ ქვევით მანქანები გვაკლია? ა? აბა, ერთი მითხარით! გვაკლია? გვაკლია კი არა, მე რომ მკითხო, ზედმეტიცა გვაქვს. სწორედ მაგ მანქანებმა გაათხრა ზოგი ჩვენი ახალგაზრდა, თითზე თითის დაკარებაც რომ აღარ უნდათ. კაცო, ქრისტიანო, ნახშირის პლასტს მანქანა ბურღავს, ნახშირს მოჭრით საყელავი მანქანა ან კომბაინი ჭრის, გამოტანით კონვეიერს და ტრანსპორტიორს გამოაქვს, ბირდაბირები გადავყარეთ და ელექტროხერხებს ვაკივლებთ... ერთი მითხარით, ამის მეტი რაღა ოხრობის მანქანები უნდა მოიგონონ?!... ის მანქანა ჩემს მაგიერ საჭმელს თუ დალევქავს, ან, კრებასთან ბოდიში მომითხოვია, ჩემს მაგიერ საპირფარეშოში თუ ივლის, ეს არ ვიცი და — სხვა რაღა უნდა გამიკეთოს? ანდა, ვთქვათ, მართლაც გამოიგონეს რაიმე ახალი და დღევანდელ მანქანებზე უკეთესი, რავა, ჯიბრაილა ამ მანქანებს თუ უძლვება, ვითომ იმ ახლებს რატომ ვეღარ გაუძლვება? გაუძლვება, ფიქრი ნურავისა გაქვთ, სპეციალისტს დასვამს და ამუშავებს. მაგრამ აქ საქმე იმ ხვალინდელ მანქანებში

სულაც არ არის. აქ ძაღლისთავი სხვაგანაა დამარხული. და მე ახლა ამასაც ვიტყვი. მე არავისი მეშინია. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდობა ამ უმაღლესებს რომ ამთავრებს, სადმე ხომ უნდა იმუშაოს? იმ სამინისტროსაც თავისი გეგმა აქვს შესასრულებელი. აბა, ჰკითხავენ იმას, შენ რომ ახალგაზრდები მოამზადე, ისინი რას აკეთებენ? აი, ბატონო, — ეტყვიან პასუხად, — ამა და ამ თანამდებობაზე მუშაობენ. აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი, თორემ გოლეთიანი რა შუაშია? შენ, ჩემო დიანოს, წარბშეკრული ტყუილად ზიხარ! არ ჩაგედინა ის სისულელე, კარგი იყო, ფეხი ახლა მთელი გექნებოდა, თორემ ჯიბრაილს მაინც მოხსნიდნენ, ეს მე ახლა ისე ვიცი, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

გერასიმე დაჯდა თუ არა, სიტყვა იულო სოფრომაძემ ითხოვა.

— გთხოვთ!

ჰალარა, მხარბეჭიანი იულო დინჯად ავიდა ტრიბუნაზე და დარბაზს თვალი გადაავლო.

— ჩვენი... გერასიმეს ნათქვამს მე ბევრს ვერაფერს დავუმატებ. გერასიმე დიდად გამოცდილი და პატივცემული მეშახტე ბრძანდება, თვითეულ მაგის სიტყვას ოქროს ფასი აქვს და მან მართლაც ამომწურავად გაგვიშუქა წინამდებარე საკითხი. მე მხოლოდ ის მინდა, რომ მექანიზმების და მეშახტეების, ესე იგი, ჩვენი ურთიერთობის შესახებ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. თქვენ, ამხანაგებო, ყველას მოგეხსენებათ, როგორ მუშაობს ჩვენი უბნის სანგრევები. კომბაინით ნახშირის პლასტს ერთხელ გავივლით, ნახშირსაც გამოვზიდავთ და გაშიშვლებულ ჭერს გავამაგრებთ. მერე — მეორეჯერ გავივლით, გამოვზიდავთ, გავამაგრებთ, მერე — მესამეჯერ — გავივლით, გამოვზიდავთ, გავამაგრებთ. არა, მაცალეთ! ბოდიში, ვიცი, რომ ეს ყველამ იცის. მაგრამ მაცალეთ. მერე რა ხდება? მერე კონვეიერი გადაგვაქვს, აქეთ დარჩენილ ცარიელ ადგილებს ჩამოვაჯენთ — მეშახტეები ასე ვიტყვით, — იქ კი, ნახშირის [illegible] თან, ყველაფერი თავიდან იწყება. აი, ასე მუშაობს ჩვენი სანგრევები. ეს დაკანონებულია. ამ წესრიგზე, ესე იგი, ამ ტექნოლოგიაზე ხელი ბარე ოცამდე ინჟინერსაც აქვს მოწერილი, ტრესტის მთავარი ინჟინრით დაწყებული და ჩვენი ბერძენიშვილით გათავებული. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა მოხდა ჩვენს ქვედა სანგრევში სულ ორიოდე კვირის წინათ? კომბაინით ერთხელ გავიარეთ პლასტი, კომბაინით პლასტი მეორეჯერ გავიარეთ. თან, რა თქმა უნდა, ნახშირი გამოგვაქვს და ჭერსაც ვამაგრებთ, როგორც წესია, კომბაინი პლასტს მესამეჯერ რომ მივაყენეთ და — მეუბნებიან, სდექ. ტელეფონთან ჯიბრაილი გეძახისო. მივედი. „იწყებ" — მეკითხება. „ვიწყებ". „არა, არ დაიწყო". „რატომ?". „მოვალ და გეტყვი". თურმე რა მომხდარა? სწორედ ამ მესამე ცვლის წინ სანგრევი შეუმოწმებია და ერთ ადგილას ჭერი არ მოსწონებია, შეიძლება, გვილალატოსო. ათი წუთი არ გასულა, რომ სანგრევში შევიკრიბეთ და საეჭვო ადგილთან მივედით. ჰოდა, აი, ახლა რა უნდა გითხრათ, ხალხო. ერთადერთი ბავშვი მყავს, ის არ დამხვდეს სახლში ცოცხალი, თუ მე, ან სხვა ვინმეს, ჯიბრაილის გარდა, იმ ადგილას ჭერზე საეჭვო რამე შეგვემჩნიოს. ბევრი ვუტრიალეთ, მაგრამ შენც არ მომიკვდეთ! ჯიბრაილმა კი — „არა, საეჭვოაო". რას ვიზამდით. მორიგე მებიგეები გამოვიძახეთ და ჭერის გამაგრება დაიწყეს. მერე იქ რაც მოხდა, ყველამ იცით. ნახევარი საათის შემდეგ ჭერი მოირღვა და, უკვე შემაგრებული რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა! ასე არ იყო?

— ასე იყო! — მოისმა ხმები დარბაზიდან.

— ამ საქმისათვის ჯიბრაილს სანთელი უნდა დავუნთოთ!

— ესენი კი... — ეჰ!

— ამხანაგებო, — განაგრძო იულომ, — ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ გვეგ-

ბული გვაქვს, რომ ჯიბრაილის ადგილზე ვინმე ახალგაზრდა ინჟინერი ინიშნებაო. იმ ახალგაზრდას ღმერთმა ყოველნაირი სიკეთე მისცეს, მაგრამ ...არ გამოვა ეს საქმე. ეს შახტია, ამხანაგებო, და ჩვენ მეშახტეები ვართ. აქ მთავარი თეორიული ცოდნა კი არ არის. თეორიულად ჩვენ კომბაინი მესამეჯერ უნდა გაგვეშვა. მთავარი აქ გამოცდილებაა, ალლოა... რა ვიცი... ღმერთმა ის ახალგაზრდა მალე მინისტრად გახადოს, ეგ ჩვენ არ გვეწყინება, მაგრამ ჩვენთან... ჯერ უბანი შეისწავლოს, გაიცნოს, ჩვენც გაგვეცნოს. არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, — იულომ თავი გადააქნია და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

სარდიონმა ჩახუნაშვილს ანიშნა, სიტყვა მომეციო.

— მე ყურადღებით მოვუსმინე ჩვენს პატივცემულ გერასიმესაც და იულოსაც. რა თქმა უნდა, მეტად ანგარიშგასაწევია იულოს აზრი, რომ მარტო თეორიული მომზადება საკმარისი არ არის. საჭიროა გამოცდილება, და დიდი გამოცდილებაც. ვინ არ იცის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებს ზოგჯერ უჭირთ სამთო საქმის ბოლომდე და რიგიანად ათვისება. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ ასეთი ინჟინერი თავს ანებებს პრაქტიკულ საქმიანობას და სამუშაოდ სადმე აპარატში გადადის. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ინჟინრებს შახტის გზა საერთოდ უნდა გადავუკეტოთ? რა თქმა უნდა, არა, ამხანაგებო! პირიქით. რაც უფრო მეტი ინჟინერი იქნება ჩვენს რიგებში, მით უკეთესი. პატივცემული გერასიმე ტყუილად იგდებს აბუჩად ინჟინრებს და სპეციალისტებს; რაც შეეხება სიძნელეებს, ისინი, რა თქმა უნდა, გვექნება, ამხანაგებო, მაგრამ სიძნელეები სწორედ საერთო ძალით უნდა დავძლიოთ. აი, სწორედ ახლა გვმართებს ერთმანეთის გატანა, დახმარება და მხარში ამოდგომა. და განა ჩვენ, მეშახტეებს, ასეთი რამ გვესწავლება? არა, არ გვესწავლება. ჩვენ ვიცით, ამხანაგობაც, დახმარებაც, მეგობრობაც. ხოლო რაც შეეხება გერასიმეს სიტყვებს, უმაღლეს სასწავლებლებს და მათ სამინისტროებს თავიანთი გეგმები აქვთო, ეს მართალია, აქვთ, და ჩვენ, შახტები, საწარმოები, მოვალენი ვართ, დავეხმაროთ, რომ ეს გეგმები შეასრულონ. ბოლოსდაბოლოს, ეს ისევ ჩვენი კეთილდღეობისათვის კეთდება. და კიდევაც დავეხმარებით. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

სარდიონი დაჯდა.

— ახლა სიტყვა იორამ ნოსელიძეს მიეცით, — გაისმა შუა დარბაზიდან.

— რაო?! — იორამი დამძახებელს, ვიღაც გრძელნიკაპა მეშახტეს კინაღამ ყელში არ ეცა, — მე სიტყვა არ მითხოვია!

— გადი, გადი! — უთხრა გრძელნიკაპამ, — შენ უბნის ახალგაზრდობის სახელით ილაპარაკე.

—გადი და შენ ილაპარაკე!

—ერთი, თუ შეიძლება, სიტყვა მიბოძეთ! — მეოთხე რიგში ხელი აიწია.

—ინებე. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ მემარნიშვილს.

— მე აქედანვე ვიტყვი. მე მგონია, შახტის უფროსი, ჩვენი სარდიონი, ცოტათი აუბრალოებს საქმეს, როცა ამბობს სიძნელეები გვექნებაო. ეს არავინ იცის, ამხანაგებო, საქმე როგორ და რანაირად წარიმართება. სიძნელეები კი არა, შეიძლება, ისეთი ვაიუშველებელი დატრიალდეს, რომ ორი ორს ეკითხებოდეს. თქვენ ყველას გახსოვთ მეექვსე შახტის შარშანწინდელი მაგალითი. იქ ახალგაზრდა ინჟინერმა უბანი კინაღამ ჩამონგრევის პირად...

— მეოთხე შახტზე? დაგავიწყდათ?

— ჩვენთანაც ეგრე იქნება.

— ეგ ჩვენი ახალი უფროსი, თუ მართლა კარგი ბიჭია, უბრალო მებიგეობიდან უნდა დაიწყოს.

— მე ორი წელიწადი სამოყიან ნიჩაბს ვატრიალებდი.

— მათქმევინეთ! — მემარნიშვილმა თვალები დახუჭა და ასე იდგა, სანამ დარბაზი მიწყნარდებოდა, — გარდა ამისა, მე ერთი ვერ გამიგია, სად არის

ის ჩვენი ახალი უფროსი? გვემალება? თუ მართლა თქვენ გვიმალავთ? ერთი დაგვენახოს. აი, მე რისი თქმა მინდოდა.

— ვიცით, რატომაც გვიმალავენ.

— ერთი უწვერული ბიჭი იქნება.

— ვიცით, აგვისტოს დამლევს თბილისიდან რა ლომებიც ჩამოდიან.

— დაგვანახეთ, იქნებ, ჩვენც მოგვეწონოს.

— ამხანაგებო!... — ჩახუნაშვილმა ზარი დააწკარუნა, მაშინვე სარდიონისკენ დაიხარა და წასჩურჩულა, ორიოდე სიტყვის თქმა მინდაო. სარდიონმა ნება მხრების აჩეჩვით დართო. ამხანაგებო, — ანთიმოზა წელში გაიმართა, — წელან, კრების დასაწყისში, ერთმა თქვენთაგანმა წამოიძახა, აბა ანთიმოზა, არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო. იმ ამხანაგს, ერთგვარად, ჩემი გაბიაბურება ეწადა. მაგრამ პირად გრძნობებს ჩვენ აქ ვერ ავყვებით. ახლა ყველანი ისე ვართ დაძაბულნი, რომ შეიძლება რაიმე ზედმეტიც კი წამოგვცდეს და მერე კიდეც ვინანოთ. ამიტომ, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, თუ თავს შევიკავებთ ზედმეტი გამონათქვამებისაგან. ახლა ამ ჩვენი საქმის თაობაზე. მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ დიდად ცდებიან ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, ჩვენი ახალი უფროსი გვემალებაო. არაფერი ამის მსგავსი, ამხანაგებო. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, ამხანაგი არჯევანიძე უბანს როგორ გაუძღვება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ მე ახლავე შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ამხანაგი არჯევანიძე არის უაღრესად პრინციპული, დიდად განათლებული და ყოველმხრივ დადებითი პიროვნება. მე ის გუშინ გავიცანი და უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთს, ვინც ახლა ამხანაგ არჯევანიძეს ეჭვის თვალით უყურებს, ხვალ შეიძლება სანანებლად გაუხდეს. ამას პირმოთნეობით არ ვამბობ. უწლოვანი ბავშვი არც მე გახლავართ და ადამიანების ცნობა, მე მგონია, ვიცი. თუ არა და, აი, ჩემი მარიამიც იქ იყო... გუშინ ამხანაგი არჯევანიძე შემთხვევით ოჯახში გვეწვია... მარიამიც იქ იყო და თუ მაგის სიტყვას ენდობით, ეგეც თავის აზრს, მე მგონია, არ დაგამალლით ასე, რომ, ჩემის აზრით...

— შენს აზრს, ანთიმოზ, მართლაც მარიამის აზრი გვირჩევნია.

— გუშინ ჩემთან სტუმრად იყოო, გაიგონეთ?

— როდის მოასწრო ამ ღვთის პირისაგან შეჩვენებულმა?

— მაგისთანები ანთიმოზას არ შეეშლება.

— გუშინ შენთან ყოფილა. კარგი, მაგრამ დღეს სადღა არის?!

მინაგო ჩარკვიანმა ჩახუნაშვილს ანიშნა, შენ გაჩუმდიო, და წამოდგა.

— ხალხო, ამხანაგებო! ზოგი თქვენგანი მართლა ისე ლაპარაკობს, თითქოს უბნის უფროსის მაგიერ ჩვენ ვიღაც დივერსანტი შემოგაპარეთ. ამხანაგებო, ყველაფერს საზღვარი აქვს, ეს რაღა საკადრისია?!... ანთიმოზასი არ იყოს, გინდათ თქვენივე სიტყვები მერე სანანებლად გაგიხდეთ?! ეს რაღაა? რაც შეეხება ახალ უბნის უფროსს, ის არსადაც არ იმალება, ის ახლა ჩვენს შორის ზის და ამ ჩვენს... გულახდილ ლაპარაკს ისმენს. აი, ეგერ გახლავთ ამხანაგი თეიმურაზ არჯევანიძე — და მინაგომ ხელი ბოლო რიგისკენ გაიშვირა, სადაც მარგალიტას გვერდით, ოდნავ წამოწითლებული, უხერხულად მომღიმარი თეიმურაზი იჯდა.

სამასიოდე თავი მყისვე თეიმურაზისკენ მიბრუნდა.

* * *

იმ დილით სარდიონი და მინაგო კაბინეტში ჩაიკეტნენ და თითქმის მთელი საათი ითათბირეს — კრებაზე თეიმურაზ არჯევანიძეს დავუძახოთ, თუ არ დავუძახოთო. ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ კრებაზე ახალგაზრდა ინჟინერი თავის სასიამოვნოსა და გასახარელს ვერაფერს გაიგონიბდა. მინაგო შეფიქრიანებული იყო. მეშახტეები თეიმურაზს არ მოეკრძალებიან. ვინ იცის, რას არ ეტყვიან და რას არ გააგონებენ,

ვაი, თუ ახალგაზრდა ინჟინერი შეურაცხყოფილი დარჩეს და თავისი უბნის ხალხზე გული გაუცუდდეს, ან, იქნებ, სულაც შეშინდეს და გაგვექცესო.

თავდაპირველად თითქოს სარდიონიც ასევე ფიქრობდა, მაგრამ მერე აზრი მკვეთრად შეიცვალა და მინაგოს დაბეჯითებით გამოუცხადა, აჯობებს, დავუძახოთ და ყველაფერი თავისი ყურით მოვასმენინოთო.

— მაგაში ვითომ რა აზრს ხედავ?

— იმას, რომ არჯევანიძეს თავიდანვე ეცოდინება, მეშახტეები მაგისთანა პირტიტველა ინჟინრებს როგორი თვალით უყურებენ, სიმართლის ცოდნა ყველაფერს სჯობია. მაგას თუ ამ სიმართლის შეეშინდა და გაიქცა, გზაც იქით ჰქონია. მაგისთანა ჩვენ მაინც არაფერში გამოგვადგება. თუ არა და, თუ ყველაფერი სწორედ გაიგო და — მაშინ... ა, ბატონო! ა ბურთი და ა მოედანი.

— რაიმე უკადრისი რომ გააგონონ?

— რაო?

— შეურაცხყოფა რომ მიაყენონ-მეთქი!

— პირადად?! ახალგაზრდა ინჟინერს?! არასოდეს! ეგ რა თქვი, მინაგო? ეგ არ მომხდარა და არც მოხდება. ჩვენმა მეშახტემ უცნობ კაცს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა რომ მიაყენოს? არ თქმულა და არც გაგონილა. მაგის თავდები მე ვარ. და თუ იმას იტყვიან, გამოუცდელიაო, და არ დაგვღუპოსო, თქვან! არჯევანიძემ კი გაიგონოს და დაიმახსოვროს.

— ა?...

— ნამდვილად ასე სჯობია!

ასეც გადაწყვიტეს. სარდიონმა მარგალიტას უხმო და უბრძანა, ახალგაზრდა ინჟინერთან წადი, მოიკითხე, გაიგე, ხომ არაფერი აკლია, ქალაქი აჩვენე და მერე კრებაზე მოიყვანე, ოღონდ წინდაწინვე, ძალიან ფრთხილად აგრძნობინე, რომ მეშახტეები მაინცდამაინც მქუხარე ოვაციებით არ შეხვდებიანო.

მარგალიტას ეს საქმე ხომ წინა დღესვე ჰქონდა წამოწყებული. სარდიონის ბრძანებამ კი სულ ფრთები გამოასხა. მაშინვე ჩახუნაშვილებთან გაიქცა, მასპინძლებთან და თეიმურაზთან ერთად ისაუზმა.

სუფრაზე ბლომად იყო ცხელ-ცხელი ხაჭაპურებიც, შემწვარი წიწილებიც და დიდებული ხვანჭკარაც, მერე თეიმურაზს ქალაქის დათვალიერება შესთავაზა. ქვეშ-ქვეშელა ანთიმოზი მაშინვე მიხვდა, რომ მარგალიტა სარდიონის ბრძანებას ასრულებდა და თეიმურაზს მყისვე დაუდასტურა, ნამდვილად კარგი საქმეა, მართლა, ჩვენი ქალაქი პატარაა და ბევრი სიკეთე აკლია, მაგრამ მაინც სასიამოვნო დასათვალიერებელიაო; მე თვითონ დიდი სიამოვნებით გამოგყვებოდით, მაგრამ შახტზე ცვლა იწყება და იქ უნდა ვიყო, მარგალიტაზე უკეთეს მეგზურს კი ვერც იშოვნითო.

თეიმურაზმა და მარგალიტამ ქალაქსა და მის შემოგარენში ბარე ორი საათი ისეირნეს. თეიმურაზმა ერთხელაც გაიგო და ძალიან კარგად დაიმახსოვრა, რომ უბანზე ჯიბრაილს თავისი ხალხი ჰყავდა და ამათ თეიმურაზის მოსვლა დიდად არ გაეხარდებოდათ. რატომ? ვინ იცის... თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანს შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს ურჩევნია. ჯიბრაილმა კი ისიც კარგად იცოდა, თუ უბრალო მეშახტეების გული როგორ მოეგო.

ამიტომაც იყო, რომ არაფერს, რაც კი კრებაზე მოხდა და ითქვა, თეიმურაზი დიდად არ აუღელვებია. ერთი-ორჯერ კი გაიფიქრა, იმ ჯიბრაილს მომხრეები უფრო მეტი ჰყოლია, ვიდრე მე მეგონაო. მაგრამ დიდი ყურადღება არც ამისთვის მიუქცევია. მთავარი ის იყო, რომ გულახდილი, მოურიდებელი ხალხი მას სულის სიღრმეში ძალიან მოსწონდა და დარწმუნებული იყო, ამათთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდებაო.

ახლა, მისკენ რომ მთელი კრება მობრუნდა, თეიმურაზმა უხერხულობა იგრძნო. სახეზე წამოწითლდა. უაზრო, დაბნეული ღიმილი ვერ შეიკავა და თა-

ვი ჩალუნა. მაგრამ იმას, რაც შემდეგ წუთში მოხდა, იგი არასგზით არ მოელოდა.

დარბაზში რამდენიმე წამით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. მეშახტეები — ახალგაზრდები თუ მოხუცები, ქალები თუ კაცები, — თეიმურაზს გაუნძრევლად და გაკვირვებით მისჩერებოდნენ. მერე ყველამ ერთად, დაბარებულივით პრეზიდიუმისკენ მიიბრუნა თავი.

დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

თეიმურაზმა თავისი ადგილიდანვე დაინახა, თუ სარდიონს როგორ გადაჰკრა სიწითლემ სახეზე. მინაგო ჩარკვიანი გაუნძრევლად იჯდა და ხალხს თვალს არიდებდა, ტერენტი ჰურღულაძე გაუთავებლად ისვამდა თმაზე ხელს.

წინა რიგებში ვიღაცამ ჩაახველა. მაგრამ მაშინვე თავის შეკავებას შეეცადა და ტუჩებზე ცხვირსახოცი მიიდო და ისევ სიჩუმე გამეფდა. წინა რიგებიდან რამდენიმე მეშახტე მოტრიალდა და თეიმურაზი შეათვალიერა, ისევ მიტრიალდნენ, ხმა არც ერთს არ ამოუღია.

— ბოდიში! — გაისმა მოულოდნელად განაპირა სკამიდან. იქ მჯდომ ვიღაც ჭაღარა, სახედაღარულ მეშახტეს ხელი აეწია და სიტყვას ითხოვდა.

— ბრძანე, აქსენტი!... — მყისვე ნება დართო ანთიმოზმა.

— ერთი ეს მიბრძანეთ, იმ ყმაწვილს... ბოდიში, რომ სახელი და გვარი არ ვიცი. ამ ახალგაზრდის დანიშვნის ბრძანება უკვე დაწერილია?

აქსენტიმ ეს ისე ჰკითხა, ფეხზე არც წამომდგარა.

— დაწერილია, — ფეხზე წამოდგომით დაუდასტურა სარდიონმა, — გუშინდელი დღიდან მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსი გახლავთ ინჟინერი თეიმურაზ არჯევანიძე. აი, გთხოვთ, იცნობდეთ.

— კეთილი და პატიოსანი!... — აქსენტი ახლა კი წამოდგა, — აბა, თქვე კაი ხალხო, ამდენი რაღას გვალაპარაკეთ? რაღა დასამალავია, ჩვენი ახალი უფროსი, პატივცემული თეიმურაზი ცოტა ახალგაზრდა კი ჩანს, მაგრამ გაძიგონია, ერეკლე მეფე თოთხმეტი წლის იყო, ნადირ შაჰს რომ ახლდა ლაშქრობაშიო. ჩვენ კი, რაც არ უნდა იყოს, ერეკლესთანა ძნელი საქმეები არ გვაბარია. ასე, რომ, კეთილი იყოს!... ჩვეხ, რაც შეგვეძლება, დახმარებას და ყურადღებას არ მოვაკლებთ და დანარჩენი — თქვენ და მაგან იცით! ცუდი სიტყვა ვთქვი, ხალხო?

— რატომ... — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ცუდი რა თქვი, რა...

— ღმერთმა გისმინოს...

დარბაზში აქა-იქ ვილაცები ახმაურდნენ, ალაპარაკდნენ... და ხალხს კრების დამთავრების გამოცხადებისათვის არც კი დაუცდია, ისე დაიძრა გასასვლელისაკენ. თეიმურაზს განსაკუთრებით ის დაამახსოვრდა, რომ მას თითქოს ყურადღებასაც აღარავინ აქცევდა. მალე ორივე გასასვლელ კართან ბრბო შეგროვდა და ყველანი ხმაამოუღებლად მიიწევდნენ ეზოსაკენ...

ორიოდე წუთის შემდეგ დარბაზი დაცარიელდა. პრეზიდიუმში უხმოდ ისხდნენ სარდიონი და მინაგო. ჰურღულაძე წასულიყო. ბოლო რიგში თეიმურაზი და მარგალიტა-ღა დარჩენილიყვნენ. ხოლო პირველ რიგში, პრეზიდიუმის წინ, ისევ ის დიანოს გოლეთიანი გაჯგიმულიყო. მისი სქლად შებინტული მარჯვენა ფეხი ისევ დიდის ამბით ესვენა წინ მდგარ ტაბურეტზე, თვითონ გოლეთიანს კი გულხელი დაეკრიფა და ნაღვლიანად გარინდულიყო.

XX

კრების დამთავრების შემდეგ სარდიონმაც და მინაგომაც — ორივემ საშინელი დაღლილობა იგრძნო. ამოდენა ნერვიულ დაძაბულობას ტყუილად არ ჩაუვლია. ერთმანეთს არც დალაპარაკებიან და არ შეთანხმებულან, ორივე ისე წამოდგა. ნელი ნაბიჯით ავიდნენ სარდიონის კაბინეტში, ღრმა სავარძლებში ჩასხდნენ და გაირინდნენ, ბარე

ნახევარი საათი ხმა არც ერთს არ ამოუღია. ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა. მერე მინაგო შეინძრა, გააზმორა, ხელები გაატკაცუნა და სარდიონს გამოხედა:

— მე კარგი პარტკომის მდივანი ვარ, სარდიონ!

— რაზე გეტყობა?

— ახლა შენთან წამოვალ და ერთად ვისადილოთ ან, თუ გინდა, შენ ჩემთან წამოდი.

— შენ რა გექნება?

— დიდი არაფერი.

— აბა, ისევ ჩემთან წავიდეთ. დღეს თეოლინეს მარტო. დატოვებაც ცოდვაა.

— დიდი განცდები აქვს?

— ჩემზე მეტი.

— აბა, წავიდეთ!

სარდიონი წამოდგა, კედელთან მივიდა და შუქი გამორთო. მაგრამ კაბინეტი არ ჩაბნელებულა — მყისვე მოწითალო-ლურჯი სინათლით აივსო — შახტის ბუნკერის თავზე აბრდღიალებული ვეება წითელი ვარსკვლავის შუქი აქამდე უწევდა. სარდიონი და მინაგო კანცელარიაში გამოვიდნენ. აქ აღარავინ იყო. სარდიონმა კაბინეტის კარი ჩაკეტა, გასაღები კედელზე ჩამოჰკიდა და შუქი კანცელარიაშიც გამორთო. ოთახიც წითელნარევი ლურჯი ბინდით აივსო. ორი მეგობარი აუჩქარებლად დაჰყვა რკინისმოაჯირიან კიბეებს.

ეზოში გამოვიდნენ და გაჩერდნენ. გრილოდა. შახტის უკიდეგანო ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. ოლონდ ეზოს დასასრულს ღამეულ ცაში, შავად ატყორცნილი ბუნკერის გასწვრივ წელში მოხრილი, ბრეზენტის ტანსაცმლიანი, მუშა ტერიკონისაკენ ფუჭი ქანით დატვირთულ ვაგონეტს მიაგორებდა. თვითონ ტერიკონს კი, ცალ მხარეს წაგრძელებულ, ასიოდე მეტრის სიმაღლის მთას, შიგადაშიგ ცეცხლი ეკიდა და ნაკვერჩხლების ზღაპრული ზვინივით გიზგიზებდა.

საღამოს ნიავმა ტერიკონის მხრიდან გოგირდის თბილი სუნი მოიტანა.

სარდიონი და მინაგო ხმაამოუღებლად გამოვიდნენ ეზოდან და უკაცრიელ ქუჩას დაადგნენ. ერთხანს აქაც უბრად იარეს. სარდიონს ლაპარაკის ხალისი სულაც არ ჰქონდა, მინაგო კი მიაბიჯებდა და მოთმინებით ელოდა, შახტის უფროსი როდის ალაპარაკდებაო.

დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.

— ლაპარაკის ხასიათზე ვერა ხარ, სარდიონ!

— შენ?

— ეჰ, მე, რა... მე სალაპარაკო რა მაქვს. ხვალ-ზეგ ის წითელი ვარსკვლავი თუ ჩაგვიქრა, პასუხს შენ მოგთხოვენ... მე როგორმე თავს დავიძვრენ.

— ეგ ეგრე იქნება.

ასიოდე ნაბიჯი ისევ უბრად გაიარეს. მერე სარდიონმა ხელი ჩაიქნია და ამოიოხრა.

— ძალიან ნებიერი თაობა კი გამოვზარდეთ, მინაგო, ა? — სარდიონმა თავი გადააქნია, — აი, იგივე ჯიბრაილი აიღე, უბნის უფროსობა დაკარგა და ისეთ ამბავშია, რომ გეგონება... აგერ, კრებაზეც კი არ მოვიდა. არა, მე არც შემითვლია, შენ არ იფიქრო... ვიცოდი, რომ მაინც არ მოვიდოდა, მაგრამ საქმეც სწორედ ეს არის. კაცმა რომ თქვას, რატომ არ მოვიდა? რა დიდი ინჟინერია, დიდი სპეციალისტია, უსამართლოდ შეურაცხყვეს, დაამცირეს, თუ რა? არა. მე ვარ და ჩემი ნაბადიო! მოდი შენ და მაგისთანას ელაპარაკე.

— ჯიბრაილის მოსვლა არც რამეს გაგვიკეთებდა!

— რა თქმა უნდა. ვიცი! მაგრამ ადამიანი უბრალო უნდა იყო, უბრალო! ჩინ-მედლებს არ უნდა სდიო და ძალაუფლებამ არ უნდა გაგაბრუოს. თავი და ამხანაგები არ უნდა გადაგავიწყოს. ამ წლების განმავლობაში რამდენჯერ მითქვამს, ჯიბრაილ, ბიჭო, მიხედე იმ შენს ატესტატს, საშუალო დაამთავრე და მერე მე ვიცოდე-მეთქი. ბარე ასჯერ მექნება ნათქვამი. არა, არ ინდო-

მა! ახლა კი... ზის სახლში და რადიოლაზე, ალბათ, რამე სამგლოვიარო სიმღერას ატრიალებს. გეხსომება, შარშანწინ როგორი რადიოლა ვაჩუქეთ.

— იფ, მეშახტის დღეს. როგორ არა, სამასი მანეთი დაგვიჯდა.

— ჰოდა, ატრიალოს... ჩვენ კი სხვანაირები ვიყავით, სულ სხვანაირები... მახსოვს, სწორედ ჯიბრაილის ხნის ვიქნებოდი, მე და თეოლინე ახალი ჯვარდაწერილები ვართ. მე სწორედ უბანი მაბარია. არა, ციდან ვარსკვლავებს არა ვწყვეტავ, მაგრამ ჯობნითაც ბევრი ვერ მჯობია. ჰო, ერთ დღეს, გავიხედოთ და — ტრესტიდან — მოდიო. მმართველად მაშინ გერვასი აფხაიძე იჯდა. გაგეგონება, დიდი ვაჟკაცი და მშრომელი ადამიანი იყო, მხარბეჭი ჰქონდა, ამ ქუჩაში არ გაეტეოდა... ხო, შეველი. ზის. შემომხედა. —როგორაა შენი საქმეები?“ „არა უშავს“. „მართლა არა უშავს?“ „მართლა არა უშავს“. „კარგი! კაცი გყავს, რომ შენი მაგიერობა გასწიოს?“ მოიძებნება. „ვინ?“ „ესა და ეს“. „ენდობი“? „ვენდობი“. „კეთილი და პატიოსანი. აბა, წადი, საქმეები გადააბარე და ისევ ჩემთან გამოცხადდი“. ცოტა გამიკვირდა, მაგრამ — ხომ არ შევეკითხებოდი? გავქანდი, გადავაბარე და გამოვცხადდი. და რა გგონია შენ? მეორე შახტში ერთი საკონვეიერო შტრეკი გვქონდა. შტრეკი კი არა, ჯოჯოხეთი იყო! ჭერი დაბზარული და ერთიანად სველი, პირდაფჩენილი, ქვევით — მუხლებამდე წყალი, ტალახი... ბიგები — დალრეცილი, გაბზარული, დახლეჩილი... იქაურობის გახსენებაზე ახლაც ტანში მზარავს. აბა!... აფხაიძემ კი ორი მკლავღონიერი სოფლელი ბიჭი მომცა და ვადა დამითქვა — ორ კვირაში მანდაურობა რუსთაველის პროსპექტს უნდა დაამსგავსოო. აი ასე, უბნის უფროსი და ამომავალი ვარსკვლავი ასეთ ჯოჯოხეთში გამგზავნა! მერე? არაფერი, ხმაც არ ამომიღია, წაველი, ის ბიჭები წავიყვანე და ის შტრეკი მართლა რუსთაველის პროსპექტს დავამსგავსე. დიახ, მარტო ოპერა, რუსთაველის თეატრი და ქალები აკლდა. კიდევ — ზევით მზე და მთვარე. ეს როგორც წესია... ორი კვირა ბირდაბირი ხელიდან არ გამიშვია, კაცისსიმსხო მორებს მაჩვის სოროსავით ვიწრო შტრეკში ჩემი ზურგით ვეზიდებოდი. ახლა მითხარი: ეს ახლანდელი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ამას იზამს? არა, არ იზამს! ჯიბრაილი ნაჯახსა და უროს ხელში აიღებს? არ აიღებს! ეს თაობა სხვანაირადაა გაზრდილი.

— ჯიბრაილს ძალიანაც ნუ გააქიაქებ, სარდიონ! ეგ ცუდი ბიჭი არაა.

— ცუდი ბიჭი არაა?!... აბა, კარგია?! კარგი. არ გეკამათები! მაგრამ თუ კარგი ხარ, ხომ ხედავ, რომ მიჭირს, გამიჭირდა... ამხელა უბანი პირყვითელა ბარტყს ჩავაბარე. ხომ იცი, ჩემთვის ეს რა ცეცხლია? იცით თუ არა? იცი! ჰოდა, მოდი, მხარში ამომიდექი, მომეხმარე... თანამდებობა უფრო ძვირფასია, თუ ადამიანობა?

— ადამიანობა!

— მერე?... — სარდიონმა ხელი ჩაიქნია.

—მოვა.

— როდის?

— მალე.

— ეჰ!

— მალე მოვა, ოღონდ...

— ოღონდ რა?

— ველარ გამიგია, სადილად ჩემსას მივდივართ, თუ შენსას?

— რა იყო?

—ჩემს შესახვევსაც გავცდით და შენსასაც.

— ჰოო... მოვბრუნდეთ. ე, ჩემი სახლი, მოვბრუნდეთ, ადამიანო!...

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ვახტანგ გორგანელი*

# შირაქის მზე

## მწყემსის სიზმარი

> ზემო მაჩხაანის შინმოუსვლელთა მუზეუმში არის 465 პორტრეტი აქაური მებრძოლებისა, რომლებიც ფრონტიდან შინ ველარ დაბრუნდნენ.

ვიდრე გაიხსნა ლაჟვარდი,
ვიდრე დაიძრა ცისკარი,
როგორც იმ ერთმა მეცხვარემ
შირაქში ვნახე სიზმარი:
ჯეჯილ და ჯეჯილ დავეშვი,
რას ვხედავ, საკვირველებავ!
ჩემი ძმა? ის ხომ დაეცა
და წევს დუნაის ველებთან.
ვუმზერ და თვალს არ ვუჯერი,
შევძახე: — ნუთუ შენა ხარ?
„მე ვარო!“ — როგორც იცოდა
დაიბუბუნა ვენახთან.
თან დააყოლა: — რა გიკვირს,
დავბრუნდი მარტო კი არა...
აბა, გადადი ოლეზე,
აბა, აჰყევი იალაღს.
აბა, გახედე ქოჩებთან,
აბა, გაჩერდი იორთან,
აქ არის, ვინც სამარემდის
მტერთან გულდაგულ იომა.
ყველა დავბრუნდით უკლებლივ,
ყველა უკლებლივ აქ არის,
ზოგი უბადლო მწყემსია,
ზოგი ნაქები სარქალი.
აბა, გახედე რა ელვა
გადმოაშუქეს ცელებმა...
დღეიდან აღარ ჩაგვთვალოთ,
ძმაო, შინმოუსვლელებად!

მართლაც აქ არის ირაკლი,
ზაქროს მივდევ და ვეხვევი,
მკლავის გაშლაზე ვიცანი
მოლაურაანთ ვეფხვები.
ზღაპარი მინამდვილდება
ზვრებში რაც უფრო ვიჭრები,
რა მოხდენილად მოდიან
ეს ჭილიტაანთ ბიჭები.
გავიდნენ ომანაანი,
ყანას მოსდევენ თავიდან,
სუყველა ერთად მოჯარდა,
ვინაც კი ომში წავიდა.
ღიაა ზეცის ცხრა კარი,
ცხრა ედემბაღის სიო ქრის.
ცხრამეტი ვანო მიყურებს,
მიმზერს ცხრამეტი გიორგი.
გულში ვარდს მიფენს არწივი,
სულს ბულბულები ვერცხლავენ,
ახლა კი მართლაც მეცა ვარ
შირაქში ერთი მეცხვარე.
ცა შვიდფრად გადაიბადრა
მიწას დაეცა ცის ნამი,
ვერც კი გავიგე, იორზე
ისე მობრძანდა ცისკარი,...
...და როგორც გამომეღვიძა,
მზე შორს ლაჟვარდებს შეება,
შინმოუსვლელი ბიჭები
იდგნენ ტანმაღლად ხევებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომბაინები

იქნება ჯოგი მოდგა ირმების,
მათი ბუბუნი და ხმაურია.
არა, დაძრულან კომბაინები
და ზღვა-ყანებთან შებმა სწყურიათ.

აგრეგატების გრგვინვა, დგანდგარი
აწყდება მთებს და უკან ბრუნდება
და ისე წვება ცელზე თავთავი
თითქოს მადლობას უხდის ბუნებას.

წამოიქროლებს მთების ნიავი,
წავა და მინდვრებს თითქოს აქეზებს.
გული უხარის მამაიაშვილს
და სიხარული შვენის სახეზე.

ხმა სულის ყველა სარკმელს მისწვდება,
როგორც ნიშანი არ დამშვიდების,
ან ვით მიეცეს თავდავიწყებას,
როცა უხმობენ ისევ მინდვრები.

ლამის ღელვისგან დაწყდნენ სიმები
იმდენი ლერწმის ქარმა მოჰბერა.
მიდი-მოდიან კომბაინები
დოვლათ-ბარაქის მახარობლებად.

## ეს შირაქის ჯეჯილები...

— გეძებე და ვერ გიპოვნე,
შენთან მოსვლას ვაპირებდი.
რომელ მხარეს დაბინავდი
და ან სად გაქვს კაბინეტი?

— ეს შირაქის ჯეჯილები,
ალაზნის და ივრის ჭალა,
ჩათმის ღრუბლის მერდინები
დიდნაურში მზეს რომ მალავს.

ეს ფრთამალი ნიავქარი,
რომ მოღელავს განდაგანა,
მაისური ყვავილების
ლაჟვარდებში ასაყვანად.

თელაწყალზე ცისარტყელა,
რომ შრიალებს ნელანელა,
ეს აპრილი — ქედები რომ
სულ იებით გადაფერა.

ეს ვარსკვლავთა ქარავანი
ქოჩებში რომ დასცემს კარავს,
მხოლოდ ერთი კალთის გაშლა
და მთელ შირაქს გადაფარავს.

ეს ზვრები და ეს ბაღები,
ამ ალაზნის ღელვა ზვირთთა...
ამის მეტი კაბინეტი
არც მქონია და არც მინდა.

## მიხაკო ზემო მაჩხაანში

„ჩვენმა კოლმეურნეებმა აზრი გამოთქვეს, გამოგვეწვიეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაგრამ ვერ გავბედეთ“.
**მიხაკო ორაგველიძის სიტყვიდან.**

ტრიბუნაზე რომ გადმოდგა,
თითქოს გაიხსნა კედელი
და შემოცურდნენ მზით სავსე
გურიის ლურჯი ქედები.

სიტყვა თქვა, მერე რა სიტყვა
და მერე ვისი სახელით!
რომელთა მკლავის ბარაქას
ქვეყნად არა ჰყავს მძრახველი.

რომლებმაც ბაღად აქციეს
მიწის ყოველი მტკაველი
და მხრები ისე გაშალეს,
როგორც ნატრობდა ქართველი.

რომლებსაც წინ მიუძღვება
და არის თვით გამარჯვება,
მამაიაშვილს ის კაცი
ძმურად უწვდიდა მარჯვენას.

ორი რჩეული ვაჟკაცის
საქმე რარიგად მზიანობს.
თუ მოინდომე რა დიდი
ძალა გაქვს, ადამიანო!

ეს ძალა, მიწავ მშობელო,
თუ შენს სალხენად ჩაება,
შენს სამსახურში მდგარ ვაჟკაცს
არ უნდა სხვა უკვდავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქოჩების გადასახედი

თუ ქოჩებზე არ ამაღლდი
და არ დასტკბი შორი სივრცით,
თუ იქიდან არ იხილე
ალაზანი როგორ იწვის;

თუ იქიდან არ იგრძენი
ფერი ცის და დედამიწის,
მაშინ, მაშინ აღარა თქვა
სილამაზის ფასი იცი.

აი, მთვარის ბილიკები,
შეუყვები ელვას ასე...
ამაღლდი და იგრძნობ კიდეც,
რომ კაცი ხარ ქვეყანაზე.

ამაღლდი და მაშინათვე
ამას იტყვის ბაგე ტკბილი,
რომ ხარ მხოლოდ ტრფობისთვის და
სიკეთისთვის გაჩენილი.

ეს თუ იგრძენ, ეს თუ იგრძენ,
მაშ მარადი გქონდეს რწმენაც,
რომ ამ ქვეყნად ადამიანს
ვერაფერი მოგერევა.

## აჰა, გული

ამ ქალების სილამაზით
მთვარე ლამის განახევრდეს.
იორმა და ალაზანმა
რამდენი რამ გამახსენეს.

ზეცაა თუ მიწის მკერდი,
რა ღვთიური ხმები მესმის.
ახლა ვხვდები, სად იწყება
მადლიანი სიტყვის ფესვი.

ვიცი ახლა, მივაგენი,
ცეცხლი როგორ გავაზავო.
აჰა, გული, გამიტაცეთ
იორო და ალაზანო!

## დედას პური

სონა ნატროშვილს

იორ-იორ წამოსული
ძირს დაეშვა ღრუბელი
და აავსო არემარე
შენი პურის სურნელით.

ერთი მინდა გადავტეხო,
სანამ, სანამ გაცივდა,
მის ხსოვნაზე, ვის სახელზეც
თალხი კაბა გაცვია.

ღვინოს ზედ ვერ დავაწვეთებ
და არც გვინდა ზღაპარი,
ვიდრე აქ ეს პური ცხვება,
მისი სულიც აქ არის.

ვიდრე აქ ეს თონე ღვივის
და ცას ალი ედება,
მისი თვალთა ელვარება
ამ ვარსკვლავებს ექნება.

ისე ვღელავ, თითქოს ეს ცა
დღეს მენახოს პირველად,
გული ჩემი ამ ღელვაში
მთვარესავით ილევა.

ლექსი მინდა შევაგებო
მზის მშვიდობით ამოსვლას.
მიწას, სად ეს პური მოდის,
მეც იმ გრძნობით დავლოცავ,

რა გრძნობითაც დილით მერცხლის
მზის გალობა მოგვესმის,
რა გრძნობითაც გამოაცხე,
დედავ, პური თონეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაკაბი

— ბროწეულების ფერებში
ცისკრის ირწევა აკვანი,
გახედე, ივრის ჭალებში
მომრავლებულა კაკაბი!

— გინდა ალაზანს მიმეცი,
გინდა ქოჩებში დამკალი,
ვინც ახლა კაკაბს ესროლოს,
იმას დაექცეს სახლ-კარი.

— არც ზვირთს გაგატან ალაზნის,
არც თოფის ტყვიას მოგიტან,
შორიდან გავეღიმილოთ,
ვილოცოთ მხოლოდ შორიდან.

გულს ცეცხლი შემონთებია
მღელვარე სულის კანკალით,
მაინც იორზე ამდენი
რამ მოამრავლა კაკაბი!

## შურთხი კვლავ ყივის იორზე

იორზე შურთხი ყიოდა,
ალაზნის პირას არწივი.
არ ვიცი, ზვრებთან ქედანი,
თუ შენ იყავი დაჭრილი.

შენაც ცრემლები შეგიწყდა,
ქედანსაც თვალებ ბრიალას.

არ ვიცი, შენ მოურჩინე,
თუ მან დაგიცხრო იარა.

შურთხი კვლავ ყივის იორზე,
შფოთავს ალაზნის არწივი,
მითხარით, სიყვარულისგან
კიდევ ვინ არის დაჭრილი?

## გზა ვარ შენს კართან მოსული

გზა ვარ, შენს კართან მოსული,
შენს სადიდებლად მოველი.
ფეხზე დგას საბულბულეთი,
დილა — იების მთოველი.

მეც აქ, ლერწმებში მიმიშვი,
ხომ ხედავ ყელი უშრებათ,
იმ ჰანგს ვარ ნაზიარები
მერცხლებს რომ დარჩათ ნუშებთან.

ანდა ამ ზვრებში მიმიშვი,
ვაზებს გავუყვე შრიალით,
ალაზნის წყალი დავლიე,
ტალღა ვარ ალაზნიანი.

გზა ვარ, შენს კართან მოსული,
შენს სადიდებლად მოველი,
ფეხზე დგას საბულბულეთი,
დილა — იების მთოველი.

## ნიკო ფიროსმანი ალაზანთან

გათანგულია ქარში მოცხარი,
ბუჩქთან ყვავილი უფრო განაზდა.
ცაზე მთვარეა თუ ფიროსმანი
წელში მოხრილი დგას ალაზანთან.

დგას ალაზანთან წელში მოხრილი
და ძირს ჩამოსულ ხატავს ვარსკვლავებს
და მისი მზერით გულდაკოდილი
ერთი ღრუბელი თრთის და კანკალებს.

გათანგულია ქარში მოცხარი,
ბუჩქთან ყვავილი უფრო განაზდა.
ცაზე მთვარეა თუ ფიროსმანი
წელში მოხრილი დგას ალაზანთან.

ვინ იცრემლება მხატვრის ტილოსთან,
ვინ იკოცნება ბაგე დამტკბარი...
ალაზნის ზვრებში ნეტავ ფიროსმანს
კიდევ რა დარჩა დასახატავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ებანოიძე

# ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი

## რომანი

21

იმ ღამეს მაინც მოვახერხე გაქცევა. ჩემი მოხუცი დამეხმარა. ჩუმად, ფეხაკრეფით გამოვედით ეზოდან. დაახლოებით ერთ საათში საავტომობილო გზატკეცილზე გავედით.

მე განზე დავდექი, ხის ქვეშ. კასიანე კი ხელს უწევდა გამვლელ ავტომანქანებს.

მანქანები იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ. ორმა დაძველებულმა „მოსკვიჩმა“ ისე ჩაიარა, კასიანესათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მერე მხიარულად ჩაიქროლა თეთრმა „ვოლგამ“, ჩაიქროლა ისეთი სისწრაფით, რომ კინაღამ გაიტანა ჩემი მოხუცი. „ვოლგიდან“ მოისმოდა ზურნის ჭიჭყინი და დოლის ბაგაბუგი.

— განზე გასწიე, ძია, ეგ წვერები, ლამის ნახევარი გზა დაიკავოს, — მანქანიდან გამოსძახა ვიღაცამ ნახუცარს.

— დახეთ, ამ გადარეულ მოქეიფეებს. სადღაც მოსახვევში დაიმსხვრევიან უბედურები, — წაიბუზღუნა კასიანემ.

— მოდი, ახლა მე ავუწევ ხელს, შენ კი განზე გადექი, — ვუთხარი მოხუცს და ალერსით დავუმატე, — მეტისმეტად ზორბა ხარ, ბაბუა!

— კარგი, ახლა შენა სცადე ბედი! — დამეთანხმა კასიანე.

მალე მოსახვევთან მქრალმა ფარებმა გამოანათეს. ეს იყო დანჯღრეული საბარგო მანქანა. ვიგრძენი, რომ შოფერი მანქანას გაგვიჩერებდა.

— აბა, მშვიდობით, ბაბუა კასიანე, — ვთქვი მე.

— მშვიდობით, შვილო, კარგად იყავი!

ჩემგან მცირე მანძილზე მანქანა გაჩერდა.

— ხედავ, როგორაა საქმე? ქვეყანაზე ღვთისნიერ კაცს რა გამოლევს, — შენიშნა კასიანემ, — ჯანმრთელობას გისურვებ, ლადო, ყოჩაღად იყავ! ნურაფერს შეუშინდები, ბიჭო!

— გმადლობ ბაბუა კასიანე, ყველაფრისათვის გმადლობ.

— ნუცაზე რაც მითხარი, არ დამავიწყდება. თუ რამე გადაწყვიტო, მაშინვე ნიშანი მომეცი, პირდაპირ უღელში შევებმები, ასეთი კეთილი საქმისათვის თავს არ დავზოგავ, მეცოდება გოგო.

შოფერმა კაბინის კარი გააღო და უკმაყოფილოდ დაიძახა:

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3, 4, 5. 6. 7. (საჟურნალო ვარიანტი).

— მოდიხართ?

— მოვდივარ, მოვდივარ, — ვუპასუხე და მანქანისკენ გავაბიჯე.

მანქანა ისე უცებ დაიძრა, თავი ვერ შევიკავე და ზღართანი მოვადინე დერმატინის დამტვრეულ ზამბარიან სავარძელზე. კასიანე კიდევ რაღაცას მომძახოდა. მაგრამ მოტორის ხმაურში არაფერი მესმოდა.

კაბინაში ბენზინის და გაზეთილი ჩვრების მძიმე სუნი იდგა. შოფერი, ხუჭუჭქოჩორიანი ჭაბუკი, გზას გაყურებდა.

— საით ამ შუაღამისას? რამე უბედურება ხომ არ შეგემთხვა? — მკითხა მან.

— არა, უფრო ადრე წამოსვლა ვერ მოვახერხე.

— ვინ გაცილებდა, ალბათ, ახლობელია!

— დიახ, ბიძაჩემი იყო!

— გასაგებია.

— შენ კი სად მიხვალ? — თითქოს შემთხვევით დავინტერესდი.

— ბორითში.

ბორითი ჩვენი სოფლიდან შორს არ იყო. იქამდე ასე, ოცდაათი კილომეტრი იქნებოდა. მე ამოვიოხრე და ვუთხარი:

— ბორითამდე ხომ მაინც მიმიყვან! ამისთვისაც მადლობელი დაგრჩები!

— როგორ? ბორითი ხელს არ გაძლევს?

— როგორ არა!

— თვითონ შენ აქაური ხარ?

— არა, — ყოველ შემთხვევისათვის ვიცრუე მე, — საქმეზე ჩამოვედი აქ.

— მივლინებით?

— ჰო.

— წითურ სიმონასთან, თუ ქარხანაში?

მე ყური ვცქვიტე.

— შენ აგურის ქარხნიდან ხომ არ ხარ?

— მეექვსე წელიწადია იქ ვმუშაობ, იმ დღიდან, ჯარიდან რომ დავბრუნდი.

— წითურ სიმონას იცნობ, ალბათ?

— სიმონს ვინ არ იცნობს. სახელოვანი კაცია!

მე რაღაც მოუსვენრობამ შემიპყრო. „სჯობია' ქარხანა სულაც არ ვახსენო, — გავიფიქრე — დავიბნევი“... — და საგონებელში ჩავარდნილი, შეწუხებული კაცივით ვთქვი:

— იცით, სიგნალი მივიღეთ — რაიონში თურქულის ორიოდე შემთხვევა იყოო. მთელი ნახირი შევამოწმეთ. ალბათ მალე კარანტინს დავაწესებთ.

— რას ამბობ, კაცო? — შეწუხდა შოფერი, — არ მიყვარს ეს კარანტინები. მაშინ ხალტურაზე ხელი უნდა ავიღო!

მანქანა ნელა მიბობღავდა დაკლაკნილ გზაზე. სულ მცირე აღმართს ძლივს იმორჩილებდა. დაღლილი ფარები ძლივს აშუქებდნენ ხეებს და დაბალ, თეთრ სვეტებს გზის პირას.

ჯიბიდან დაჭმუჭნული სიგარეტი ამოვიღე.

— ასანთი გაქვს?

შოფერმა უხმოდ გამომიწოდა ასანთის კოლოფი. როცა სიგარეტს ვუკიდებდი, ყურადღებით მომაჩერდა, მაგრამ შეხვდა თუ არა ჩემს მზერას, უმალვე პირი იბრუნა.

— მაშ ვეტექიმი ხარ, არა? — მკითხა შოფერმა.

— რავა? არ ვგავარ თუ? — მეწყინა მე.

— არა! ძაან ახალგაზრდა ხარ! ალბათ, პირდაპირ ინსტიტუტიდან მოხვედი?

— მესამე წელიწადია ვმუშაობ.

— ვინაა თქვენი დაწესებულების უფროსი?

საერთოდ ეს ჩვეულებრივი შეკითხვა-გამოკითხვა იყო, მგზავრების უწყინარი საუბარი, საერთო ნაცნობების მონახვის ცდა, მაგრამ მისი კითხვა მაინც მეჩოთირა:

— ილარიონ ლეჟავა, — ვუპასუხე მე...

— თქვენი ლეჟავა ჩვენი ქარხნის დირექტორის ნათესავი ხომ არ არის?

„ერი ჰაა, უცებ არაფერში დამიჭიროს“, გავიფიქრე მე, და რაკილა გამოცდილებით ვიცოდი, თუ რა ხალი-

სიანად ლაპარაკობენ შოფრები თავიანთ მანქანებზე, ვცადე შემეცვალა საუბრის თემა.

— შენი მანქანა კარგად მობერებულა, ძლივს მიბობღავს, სამაგიეროდ ავარიები, ალბათ, არა გაქვს?

— საერთოდ, მე სხვა მანქანაზე ვმუშაობ, — უცებ მიპასუხა შოფერმა, — ახალი ქუთაისური მანქანა მივიღე; ჯერ პლომბიც არ მომიხსნია. დღეს კი ამ ჯაბახანაზე დავჯექი. არა უშავს. მართალია, სიჩქარეში მოისუსტებს, მაგრამ მაინც ღონიერია, — და მან ხელი გადაუსვა ხელსაწყოებიან პანელს, — ის ვინ იყო წვერიანი, შენ რომ გამოგაცილა? ალბათ, მღვდელია.

— რატომ მღვდელი?

— ძალიან ზორბა და კარგი წვერები ჰქონდა. ასეთს წვერს ურწმუნო და ულვთო კაცი არ მოუშვებს.

— წვერები ახლა მოდაშია! — წამოვროშე მე, — მეც ვაპირებ წვერის მოშვებას.

— მაშასადამე, მოდის ამყოლი ბერიკაცი ყოფილა! — შოფერმა წაიფრუტუნა და დამცინავი მზერა მესროლა.

— შენ რაო, — ვუთხარი აღშფოთებით, — არ გჯერა ჩემი თუ, რაშია საქმე?

— რატომ არ მჯერა... მჯერა...

მანქანა ლოკოკინასავით მიღოღავდა ბნელით მოცული ხეობის ძირში. შემეძლო ძუნძულით გავყოლოდი გვერდით. აზრმაც კი გამიელვა თავში, არ ღირს გადაეკიდო ამ ცნობისმოყვარე და საქმეში ჩახედულ შოფერს-მეთქი.

მაგრამ რაც უფრო ვშორდებოდი სოფელს, მით უფრო მეტ შვებას ვგრძნობდი. ოღონდ ერთი ეს იყო, რაღაც ეჭვის ჭია შემიჩნდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

ხეობაში ნისლი სქელდებოდა, სულ ქვევით და ქვევით, მდინარეზე ეშვებოდა. ხიდი რომ გავიარეთ, იმ დროისათვის მდინარე მთლიანად ნისლით დაიფარა, მისი თეთრი ზედაპირი ოდნავადა ჩანდა ღამის სიბნელეში. მანქანა მთელი ძალების დაძაბვით ადიოდა აღმართზე. მე არასოდეს არ ყოფილვარ ამ მხარეში. არაფერია, [illegible] ვიმხნევებდი თავს, — როგორმე აქედანაც გავაღწევ... ჩავალ თბილისში და მერე მეძებიონ...

— არ გაგიგია რა ამბავი დატრიალდა სოფელში? — რატომღაც მეტისმეტი ყურადღებით გაყურებდა გზატკეცილს შოფერი, როცა ეს მკითხა.

ჩემი მხიარულების ნატამალიც კი გაქრა.

— რომელ სოფელში?

— იმ სოფელში, საიდანაც შენ მოდიხარ.

— არაფერი არ გამიგია. რაო, რა მოხდა?

— ამბობენ, ვიღაც აქაურ არამზადას, რომელიც თურმე თბილისში სწავლობდა და ამ ზაფხულს სოფელში ჩამოსულა, — შოფერმა სიჩქარე გადართო, აქსელერატორს დააწვა და დაამთავრა, — ახალგაზრდა გოგო შეუცდენია. შერთვაზე კი უარს ამბობს.

— მართლაც, გარეწარი ყოფილა, — შევიგინე მე. — არა, კაცო, აბა, სად მეცალა სოფლის დავიდარაბისათვის. გათენებიდან დაღამებამდე ფერმაში ვიყავი.

— განა პირუტყვი ამჟამად ფერმაში ჰყავთ? — გაუკვირდა შოფერს.

— არა, მთებში, — გავასწორე ჩემი ნათქვამი, — იქაც დამჭირდა ასვლა.

— ვეტექიმისთვის ნუთუ მანქანა ვერ გამოყვეს? — შოფრის საყვედური მიმართული იყო კოლმეურნეობის ხელმძღვანელებისადმი, მაგრამ მთელი ეს ამბავი მე მაინც არ მომეწონა, — მომეჩვენა, რომ მასში ჩამარხული იყო ჩემდამი ეჭვი და უნდობლობა.

— თვითონ ხედავ, რომ დავგვიანდი, — ვუთხარი მე, — სიმონმა თავისი შოფერი ფოთში გაგზავნა რაღაც საქმეზე.

— ფოთში? — გაიმეორა შოფერმა, — მაშასადამე, დღეს მიტო ზღვაში ბანაობდა. იქნებ ვინმე მოაგარაკე ქალიც გაიცნო. ასეთ საქმეში ის ყოჩაღია.

„უჰ, უჰ, — ძლივს მოვითქვი სული, რა თქმა უნდა, აგურის ქარხნის შოფე-

რი იცნობს მიტოს. რა არის აქ გასაკვირველი...“

ექვის ჭია მაინც არ დაცხრა, მოსვენებას აღარ მაძლევს.

— რას იტყვი, მალე მივალთ? — ვკითხე და თვალთვალი დავუწყე გზის პირას ჩამწკრივებულ ხეებს.

— მალე, მალე, აქედან უკვე შორს აღარაა.

შოფერს შევხედე. ის თვალს არ აშორებდა გზას, და სახე ძალზე დაძაბული ჰქონდა.

„ცუდი გზაა და იმიტომ“, — დავიმშვიდე თავი.

მთელი დანარჩენი დრო იმ განზრახვით, რომ თავიდან ამეცილებია შეკითხვები, შოფერი იმით შევიქციე, რომ მთელი ლექცია წავუკითხე ცხოველთა სნეულებებზე — თურქულზე, ცოფზე, ვირუსულ გრიპზე, რომლითაც ავადდებიან მხოლოდ და მხოლოდ მაკე ფურები. იმპროვიზაციის ჩემმა ნიჭმა არა ერთხელ მიხსნა გაჭირვებიდან, თუმცა ტყუილებს ვამბობდი არა ჩემს სფეროში, და ცოტად თუ ბევრად საქმეში ჩახედული კაცისათვის ეს იყო სისულელის ჩმახვა და სხვა არაფერი, მაგრამ შოფერი, მგონი, ყველაფერს ჩემს ნათქვამს სიმართლედ მიიჩნევდა.

— ასეა, ასე! — მეთანხმებოდა შოფერი გზადაგზა, — მერე უცებ მითხრა: — იცი, რა ძმობილო, ერთი ბურვაკი მყავს, იმდენ საკვებს ნთქავს, და მაინც საშინლად გამხდარია, პირდაპირ ცარიელი ძვლებია, გათენებიდან დაღამებამდე ჰყვირის. მოსვენება არა გვაქვს. იქნება როგორმე აქ გზად მიმავალმა შემოიარო ჩემთან. ერთი დახედე, შენი ჭირიმე! გაიგე, რა სჭირს!

— შემოვივლი, — ხალისით აღვუთქვი, — სად ცხოვრობ?

— აქვე ახლოს, უბისში.

—ოო, უბისი! — აღვფრთოვანდი მე, — თქვენს ეკლესიაში გასაოცარი ფრესკებია, მეცამეტე საუკუნის საუკეთესო ფრესკები!

— ჰო, ჩვენი ეკლესია ძალიან ძველია, — დამეთანხმა შოფერი.

— როგორ გიპოვნო? — გონს მოვედი და აღარ გავაგრძელე უბისის ფრესკებზე საუბარი, — რა გვარი ხარ?

— კანდელაკი. — მდინარის გაღმა რომ იკითხო იუზა კანდელაკი, ყველა მოგასწავლის ჩემს სახლს.

— შენ კი რა გქვია? — და პასუხის ლოდინში აღმაცერად შემომხედა.

— ლადო, — ვთქვი მე. ვერ მოვიგონე, რა გვარი მეთქვა. ნაუცბათევად გავიმეორე, — ლადო, ვლადიმერ ლევანის-ძე.

— თავი მაგრად დაიჭირე, ვლადიმერ ლევანოვიჩ, აქედან ცუდი გზა იწყება. ეცადე, არ დაინჯღრე.

მალე სწორ გზაზე გავედით. ჩემივარაუდით, მალე უნდა მივსულიყავით. აქეთ-იქით ვიხედებოდი, ვცდილობდი, დამენახა სოფლის რაიმე ნიშნები, მაგრამ არაფერი ჩანდა. მხოლოდ ჩვენს გვერდით, განთიადის ნისლში მიცურავდნენ ხეები და იგულისხმებოდა, რომ ნისლის ზემოთ, ორივე მხარეზე მთები იყო აღმართული.

ბოლოს ჩვენ წინ გაიელვა რაღაც სინათლემ, და მე შვებით ამოვისუნთქე.

— უკან მალე გაბრუნდები?

— რატომ კითხულობ? — იუზამ შემომხედა, — დაბრუნება ხომ არ გადაწყვიტე?

— არა, — თავი გავაქნიე და გავიცინე, — არა. შენ რაღ გეცინება?

— ისე, უმიზეზოდ... — მე ჩამოვწიე გვერდითი სარკმლის მინა და შევისუნთქე დილის ცივი სველი ჰაერი... — მე უკან ახლა დიღხანს არ დავბრუნდები.

ქვებზე ძაგძაგით მანქანამ გაიარა რომელიღაც შუკაზე, სახლებს შორის.

— ბორითია? — ვკითხე შოფერს.

— სწორედ ის არის!

— მაშ, დიდი მადლობა! კარგი სამსახური გამიწიე, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

— იმდენი არაფერი!

— შენ არ იცი, როგორ დამავალე.

— კარგი, კარგი, აი უკვე ადგილზე მოვედით.

მანქანა გაჩერდა.

კაბინის კარი გავაღე და გადმოსვლა დავაპირე.

— ნუ დამძრახავ, იუზა, გროში კაპიკი არ გამაჩნია, რომ გადაგიხადო. ხდება ხოლმე ასე, ეს შენც იცი!

— არაფერია, კარგად იყავი, შენ ფულს როგორ გამოგართმევ!

— ჯიბეში მხოლოდ მსხვილი ფული მაქვს, — ვითომ გავასწორე წეღან ნათქვამი, — მაგრამ როგორც იტყვიან, მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს კი სადმე გადაეყრებაო. ძალიან, ძალიან დამავალე!

— სამაგიეროდ ბურვაკს მომირჩენ, — გაიცინა იუზამ, — არ დაგავიწყდება?

— კეთილი, მაგრამ მე რა მკურნალი ვარ? მაპატიე, გაჭირვებამ მათქმევინა ტყუილი. მაგრამ ვალში მაინც არ დაგრჩები.

ჩემმა ნათქვამმა რატომღაც სრულიად არ გააკვირვა იუზა.

— პირიქით, შენ მაპატიე, რომ სახლამდე ვერ მიგიყვანე.

ამ სიტყვებზე იუზამ მანქანა დაძრა, და ჩემს წინ გადაშლილ სივრცეში განთიადის ბურუსში, როგორც კოშმარულ სიზმარში, ისე დავინახე გამეჩხერებული სკვერი, სკვერის სიღრმეში საოცრად ნაცნობი ნაგებობა. მივიხედ-მოვიხედე! ეს რა ამბავია, სადა ვარ? აგერ, ამბულატორია, შემინული მაღაზია, საპარიკმახერო!

— ეს რა მიქენი? — დავიღრიალე და მანქანას გავეკიდე, — ეს რა მიქენი, იუზა?

იუზა არ გაჩერებულა, ისე გაალო კაბინის კარი და მუშტი მომიღერა:

— შენი ქალაქური ოინები აქ არ გაგივა, გესმის! გაარკვიეთ ვინ არის თქვენს შორის დამნაშავე. მანამდე კი აქედან ვერსად წახვალ, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მანქანით მაინც! — დანჯღრეულმა მანქანამ ფრუტუნით შემომაფრქვია ბენზინიანი ნატისუსალი და სიჩქარეს მოუმატა. მე გავეკიდე, ფეხისადგამზე შევხტი.

— ეს რა მიქენი, შე პამპულავ! გაკითხა მაინც, რაშია საქმე!

— აქ საკითხავი არაფერია! პატიოსანი კაცი, შუაღამისას ქურდივით წანწალს არ დაიწყებს. არამზადას პირველ ნაბიჯზე შეატყობ, ვინც ბრძანდება!

— არა ვარ არამზადა, იუზა! რომ იცოდე ჩემი ამბავი...

— რა უნდა ვიცოდე, მთელ გზაზე უსირცხვილოდ ტყუოდი. ოღონდ შენ რომ ეძებდი, ისეთ მიამიტს ვერ წააწყდი. ახლა კი ჩახტი მანქანიდან!

— არ ჩავხტები. უკანვე წამიყვანე, გზაზე ყველაფერს გიამბობ.

— არ მინდა. ყველაფერი ვიცი, უკვე მითხრეს. ჩახტი, თორემ გადაგაგდებ.

— რა იცი შენ ჩემზე, ეშმაკის ფეხო! რა იცი, შე ვირისთავო, რატომ ვტყუოდი და ვის გამოვექეცი!

— კმარა, გასწი აქედან, — იუზამ ხელი მკრა, მე მოუხერხებლად გადმოვხტი მანქანიდან, თავი ვერ შევიკავე და ძირს დავეცი.

ვეგდე შუა გზაზე, მტვერში, დავტიროდი ჩემს გათელილ თავმოყვარეობას, დამცირებულ კაცურ ღირსებას.

დაბნეულად მივიხედ-მოვიხედე.

დილის ბურუსში, სკვერის გალავანთან, ბუნდოვნად მოჩანდა ბონდო წვერავას ავბედითი ფიგურა.

უხმოდ შევტრიალდი და სახლისკენ წავლასლასდი. შევედი ჩემს ოთახში და წამოვწექი.

ვფიქრობდი რამეზე იმ წუთებში? არა.

მედიცინის ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ მგონია, იმ მდგომარეობას, რა დღეშიც მე ვიყავი, ეწოდება ნერვული შოკი. გაქვავებულივით ვიყავ, განძრევის თავი აღარ მქონდა. ძილი ახლოს არ მეკარებოდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწექი ასე. იქნებ ოცი წუთი, შეიძლება, ორი საათიც.

ჩემს ოთახში ბებია შემოვიდა. დაცინვითა და სინანულით შემომხედა.

— ბესარიონს შვილიშვილი შეეძინა, — მაუწყა თებრონემ, — ზესტაფონი-

საკენ გასწიეს შენმა მოყვრებმა.

მე არ შევსიტყვებივარ, ჭერს მივშტერებოდი.

— წევხარ დამბლადაცემულივით, — ვეღარ აიტანა ჩემი დუმილი ბებიამ, — ადექი ეზოში გადი. კარგი დღეა!

გარეთ გამოვედი. შუა ეზოში გავჩერდი. მერე ცაცხვთან მივედი და მერხზე ჩამოვჯექი.

დილის გრილი ქარი ცაზე ღრუბლებს მიერეკებოდა. ხეობიდან ამოცოცებული ნისლის ნაფლეთები ჰაერში დნებოდნენ.

მართლაც, კარგი დღე იყო. სახლის თავზე ბუხრის მილიდან ადიოდა შემოდგომის კვამლი, რომელიც ოდნავ განზე იხრებოდა.

ბებიამ რამდენჯერმე გამოიხედა სახლიდან. მერე ეზოში გამოვიდა. თავზე დამადგა. ერთხანს იდგა. ხმას არ იღებდა, ბოლოს, ვერ მოითმინა და მწყრალად მითხრა:

— რას მობღუნძულხარ? აბა რას იკაკვები. თუ გცივა. პიჯაკი მოიხურე, იქნებ ერთი ჭიქა ღვინო დაგელია, გამოგაცოცხლებდა.

სახლში ავედი, პიჯაკი მოვიხურე, მაგრამ ეზოში აღარ გამოვსულვარ, ისევ საწოლზე მივეგდე.

— ლადო! — თავზე დამადგა ბებია. მერე დაიხარა და შემანჯღრია, — რა მოგდის, ბიჭო! რა დაგემართა, ასეთი... ნუ მაშინებ, შვილო, ხმა ამოიღე!

— დავიღალე, ბებია, დავიღალე!

მართლაც და, არასოდეს, ჩემს სიცოცხლეში, არც ამ დღემდე და არც ამ დღის შემდეგ, მე ასე არ დავღლილვარ. ასეთ სულიერ სიცარიელეს და გაჩანაგებას, მე მგონია, განიცდიან სახლკარ გადამწვარი ადამიანები, როცა ნახანძრალს უყურებენ: რამდენი გარჯა, რამდენი ჭაპანწყვეტა, და ყველაფერი ნაცრად იქცა.

— მაშ, ასე, ლადო! იწექი, შვილო, დაისვენე, — მოლბა ბებიაჩემი, — იქნებ დაიძინო კიდეც: ამასობაში მე ფენახში შევივლი და...

ერთი საათის შემდეგ ბებია ისევ შემოვიდა ჩემს ოთახში და რატომღაც კუშტად თქვა:

— ადექ, ლადო, გამოდი, — უხერხულია, შენთან ნუცაა მოსული.

— ვინ? — ვკითხე და ალმაცერად შევხედე.

— ნუცაა-მეთქი.

თურმე კიდევ შემძლებია ფეხზე წამოდგომა... ვერანდაზე გამოვედი და ნუცა დავინახე. ცაცხვის ქვეშ, მაგიდასთან იდგა.

— სასეირნოდ, სოფელში გასასვლელად გიწვევს, — ჩამჩურჩულა ბებიამ, — ალბათ, შერიგება, მამის დანაშაულის გამოსწორება უნდა საბრალოს, — ბებიამ მოულოდნელად, ბოხი ხმით დაუმატა: — თავი არ შეირცხვინო, ინაშვილო... აბა, მიდი!

მე ვიდექი და ნუცას ვუყურებდი: მოდიოდა ეზოზე, ჩვენი სახლისკენ, არც ისე ქორფა იყო, როგორც ჩვენი პირველი შეხვედრის დღეს, და არც ისე ლამაზი, როგორც ქანდაკებაზე ჩემი მუშაობის დროს. სულ სხვანაირი მეჩვენა — გამხდარ-ჩამომჭკნარი... ის მოდიოდა და ერთი წამითაც თვალს არ მაშორებდა, ერთი ეს იყო, თანდათან ანელებდა ნაბიჯს.

აგერ მოვიდა კიდეც. ერთხანს მიყურებდა თვალის დაუხამხამებლად, მერე თავი ჭიშკრისაკენ გაიქნია და მითხრა:

— წავიდეთ, ლადო! — და სახეზე მოუთმენლობა, თითქმის ტანჯვა აღებეჭდა.

ბებიამ ჩემსკენ წამოიწია, ყურს გვიგდებდა.

ნუცა შიშით მისკენ შეტრიალდა.

— ბებია თებრონე, შეიძლება ცოტა გავიაროთ;... თუ ამას უნდა!

— ოხ, ჩემო გოგო, ჩემო შვილო! განა ამას სეირნობის ხალისი აქვს... ლადო! — დაიყვირა ბებიამ ისე ხმამაღლა, თითქოს შიშობდა ვერ გავაგონებო, — ნუცა შენთან მოვიდა, რომ ერთხელ გაისეირნოთ. წაყვები თუ არა?

მე ნუცას თვალს არ ვაშორებდი, ვგრძნობდი, რომ შიგნით რაღაც მწეწავდა. თვითონაც არ ვიცი, რა — გუ-

ლისტკივილი თუ ბრაზი... ეშმაკმა იცის, რა... ბრაზი ნუცას მიმართ. თითქოს ყველაფერი მისი ბრალი იყოს და სხვა არავისი.

— აბა, რას მიაშტერდი გოგოს? თუ არ გინდა გასეირნება, ნუ გინდა! რას ჰუტავ თვალებს, აქ შენი არავის ეში-ნია, — ჩამესმა ბებიას სიტყვები.

ხმა არ ამომიღია, ჩუმად წავედი ჰიშ-კრისაკენ, კარი ფართოდ გავაღე, და ნუცას ვუთხარი.

— გთხოვთ, ძვირფასო!

* * *

სოფლის შარაგზა ახლაც ისეთივეა, როგორც აგვისტოში იყო. იგივე ხეები, ბუჩქები, ბალახები. ჩხიკვებიც კი, ვე-ნახებს ზემოთ რომ დაფარფატებენ. ალბათ ისევ ისინი არიან, ზაფხულში რომ დასტრიალებდნენ თავს აქაურო-ბას.

მოაბიჯებს ნუცა ჩემს გვერდით და დუმს, მეც ხმას არ ვიღებ.

სოფლად შემოდგომის ალოობა და-იწყო.

ისინი, ვისაც ვენახები მზიან ფერდო-ბებზე აქვთ გაშენებული, რთველს შე-უდგნენ. მეზობლები გამოგვცქერიან ვენახებიდან, იცინიან და თან ყვირიან:

— შეხედეთ, შეხედეთ, ისევ სეირნო-ბენ.

— ლადო, მშვენივრად გამოიყურები, ბიჭო!

— განა ასე არა სჯობდა, ლადო!

— ასწავლე ჭკუა მაგ ჯიოტს. ნუცა! რამდენ ხანს აწამა და დასტანჯა მთელი სოფელი მაგ უნამუსომ!

მე ვდუმვარ. ხანდახან ვინმეს თავს თუ დავუკრავ, ან ხელს დავუქნევ. არც ნუცა იღებს ხმას, ოღონდ მთელი ტა-ნით შეკრთება ხოლმე ყოველ შეძახილ-ზე, ყოველ მილოცვაზე და აქეთ-იქით იყურება. ჩანს, სასიხარულო არ არის მისთვის ეს გასეირნება, მაგრამ ითმენს, წყნარად მიაბიჯებს.

— ეს მამამ დაგარიგა, რომ ერთად. ყველას დასანახად ჯარარით ჭუჩაშიო?

— მამა ზესტაფონში წავიდა, — აჩ-ქარებით მიპასუხა ნუცამ, — ვახტანგს ვაჟი შეეძინა. მამა და [illegible] ერთად გა-ემგზავრნენ.

— მაშ გამოდის, რომ ეს გასეირნება თვითონ შენ მოინდომე.

ექიმბაშ მინადორას სახლი უკან მო-ვიტოვეთ. სოფელს გავცდით, ოღონდ ვენახების ტკბილი სიო მაინც უბერავს, ირგვლივ რთველის სუნი დგას... მიწყ-და სოფლის ხმა. გზა ბილიკს უერთდე-ბა და შორს ტყეში იკარგება. ბილიკი კუდიანების ხევისაკენ მიიკლაკნება და თანდათან ვიწროვდება. ჩვენც მივდი-ვართ. უფრო და უფრო მეტი აჩქარე-ბით. მე არ ვიცი, სად მივიჩქარით, მაგ-რამ პირადად მე ახლა ნელა სიარული არ შემიძლია. ეს სეირნობა არ არის, არა! ნუცა წინ მისწრებს.

და აი, მეხსიერება მაბრუნებს უკან, იმ დღისკენ, როცა პირველად შევხვდი ნუცას მზით განათებულ მაყვლოვან მდელოზე, როცა მისი სიახლოვე თავ-ბრუდახვევამდე მალელვებდა; მაგონ-დება სექტემბრის ის ღამე, რომელმაც მე და ნუცა უფრო მეტად დაგვაახლო-ვა, ვიდრე წინანდელმა დღეებმა, თუმ-ცა მე ნუცა არ გამილვიძებია. მხოლოდ დავიხარე მისკენ, ისე დაბლა, რომ ჩემს გამშრალ ტუჩებს მისი ნელი სუნთქვა შეეხო.

ვუცქერი ნუცას. მისი ქორფა ტანი მოხდენილად და მსუბუქად ირხევა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იძაბება მზეზე გარუჯული მისი კანჭები. ნუცა, ნუცა საით გარბიხარ? საით მიგვაქრო-ლებს ეშმაკი!

აი, ბილიკი ციცაბო აღმართს აჰყვა, სულ ზევით და ზევით მიიწევს. სო-ფელი დაბლაა, აქედან ძალიან შორს.

ტყე მეჩხერდება. უფრო და უფრო ხშირად ჩნდება კორდები და მთლად მოტიტვლებული ადგილები. მერე ისევ ხშირი ტყე იწყება. ირგვლივ დუმილი და კუშტი ბინდბუნდია. ნუცას მივუახ-ლოვდი, მივედი, ხელი მხარზე დავადე. შეკრთა. მაყვლის ბუჩქებს დახედა და აჩქარებით წაილაპარაკა:

— მაყვალი მოლეულა.

— ჰო, მოლეული, — დავუდასტურე მე.

— მაშასადამე, მალე დაიწყება წვიმები.

— ალბათ, მალე.

— მერე რა ხშირად წვიმდა... გახსოვს?

— როგორ არა.

— გვეგონა, არასოდეს გამოიდარებდა. რა კარგი ზაფხული იყო! — ნუცამ მხრიდან ჩემი ხელი მოიშორა და წინ წავიდა. გაიქცა.

ჰო, მშვენიერი ზაფხული იყო. ოღონდ იმ ზაფხულმა დიდი ხანია გაირბინა. მივიხედ-მოვიხედე. სადღაც აქ მგლის ბუნაგი იყო. სერზე შეყვითლებული აკაციის წარაფი ჩანს. შემოდგომამ აქ ადრე მოიკიდა ფეხი.

ბილიკი სჯრის შვინდის ბუჩქებით გარშემორტყმულ მდელოებს. ქარს მდელოზე აკაციის და ჰადრის ფოთლები მოუფენია.

ირგვლივ უღრანი, დაბურული ტყეა.

მივრბივარ, რომ ნუცას დავეწიო. ახლა ეს არ მიჭირს, რადგან ნუცა უკვე აღარ მირბის, ნელა მიაბიჯებს, თითქოს ძალღონემ უმტყუნაო. დავეწიე, ხელი მოვკიდე. მისი პაწია ხელისგული ცივი, თითქმის უსიცოცხლო მეჩვენა.

ნუცა უცებ შეჩერდა, შიშმორეული თვალებით შემომხედა და მაშინვე თავი ჩაქინდრა.

ჩანს, ჩემი ეშინია.

დავიხარე, მისი თმის სუნი მეცა. ტუჩებით თმას, საფეთქელს შევეხე.

— ნუ შვები, ლადო! — მითხრა და უმწეოდ განზე გაიწია, — მე იმიტომ მოვედი, შენთან, რომ... — არ ძალუძს სათქმელი ბოლომდე თქვას, ხმა უწყდება.

ნაძალადევად ვიღიმები. ის კი განაგრძობს. — სული ამომხადეს. ვიცოდე მაინც, რისთვის და რატომ? მამამ გამლახა! არასოდეს ჩემთვის არ უცემია... შენ ჩამოხვედი. ტყეში შემხვდი. მე მაყვალს ვკრეფდი. მიყვარს მაყვალი და რა ვქნა? შენ შინ წამიყვანე და თბილისზე მიამბე... თავის თავზეც... რატომ? არ ვიცოდი, ასეთი რამ წიგნებშიც კი არ წამიკითხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცდილობ მივიკრა მკერდზე, და მესმის მისი აჩქარებული ჩურჩული:

— მე ვიხსენებდი ერთად გატარებულ დღეებს. ყველაფერს, ყველაფერს, ერთი დღეც კი არ დამვიწყებია. იცი, იმ დღეებში რომელი იყო ყველაზე უკეთესი? როცა წვიმაში მაყვალი მოგიტანე და შენ შინ არ გამიშვი.

მინდა თვალებში ჩავხედო. ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ ტუჩები არ ემორჩილება. პირს იბრუნებს და ჩურჩულით განაგრძობს:

— მახსოვს, ჩვენ ჩაის ვსვამდით სამზარეულოში. ბებია რაღაცას ჰყვებოდა. წვიმდა, სულ წვიმდა, გახსოვს? რა კარგი დღე იყო!

— შენ თმებს ახლაც უდის იმ წვიმის სუნი, — ვამბობ მე.

თან ვგრძნობ, რომ თავბრუ მესხმის, ძლივს ვდგავარ ფეხზე. ჩანს, ძალიან დავიღალე. უნებურად ნუცასაკენ ვიწევ.

— არ მომეკარო! — როგორღაც საცოდავად წამოიძახა და შეშინებული გამისხლტა ხელიდან.

— არ მომეკარო, ლადო! მე იმისთვის კი არ მოვედი, რომ... თავი დამანებე, გამიშვი!

— რა იყო, რა მოხდა, ნუცა?

— არაფერი, — უკან დაიხია და მტრული თვალით შემომხედა. აცახცახებული ხელი ჯიბეში ჩაიყო, რაღაც ამოიღო და ფეხებთან დამიგდო.

— აჰა, ჩაიბარე, სანამ გვიან არ არის, და წადი... ჰა...

ძირს დავიხედე, ჰრელ ბალახ-ბულახში გდია ჩემი ბზის სტეკი და ხის სტატუეტი, დიდი ხნის წინათ ჩემგან მიძღვნილი და დავიწყებული საჩუქარი.

— როგორ მოხვდა ეს შენს ხელში? სტეკი ავიღე.

— ეს შენი საქმე არაა! — მიპასუხა ნუცამ.

— ცდები, სწორედ ესაა ჩემი საქმე! — ვთქვი და ისევ დავიჭირე მისი ხე-

ლი, — დიახ, ჩემი საქმეა. განა შენ არ გადაეცი იგი მამას?

— არა, არა! რა თქმა უნდა, არა, — აღშფოთებით ჩურჩულებს ნუცა და შეუპოვრად მიყურებს ცრემლით გაბრწყინებული თვალებით, — ნუთუ ფიქრობ, რომ ამას ჩავიდენდი? რას ამბობ, ლადო! დილით მაგიდაზე დაგდებული ნახეს... მკითხეს... მე კი, არაფერი ვიცოდი... სჯობია, გაჩუმდე, ლადო! ახლა კი წადი, ჩქარა გაიქეცი, სანამ მამა და ჩიკო არ დაბრუნებულან.

— არა, გოგო, მოიცა... — ვცდილობ ჩემკენ მოვსწიო, მაგრამ ნუცა გარბის, როგორც დამფრთხალი ნუკრი, — დამშვიდდი და ყური დამიგდე!

— აბა, რა დამამშვიდებს, სანამ შენ აქ ხარ?... — წადი, დამტოვე!

— გინდა გამაგდო?

— ჰო, — და ლოყებზე ხელები შემოიწყო, — წადი, ლადო! გთხოვ, გეხვეწები, მეტი აღარ შემიძლია.

— ნუ გეწყინება ნუცა, მეც უნდა მომისმინო, გამიგო, ჩემს თავს ველარა ვცნობ.

— მშვიდობით... — ნუცა ლამობს გაიქცეს.

უცებ შეჩერდა, ჩემს წინ ქვაზე ჩამოჯდა.

— ჩემთან ღამე მოხვედი? — არ ვიცი, იკითხა თუ გაიხსენა ნუცამ.

— სად? — ვერ გავიგე ერთბაშად მისი შეკითხვა.

— ჩვენსას. ჩემს ოთახში.

— ჰო... — ჯიბეში სტეკს ხელი მოვუფათურე. — ჰო, მოვედი.

— რისთვის?

— რომ გამოგთხოვებოდი.

— თუ ასე იყო, რატომ არ გამაღვიძე?

— არ ვიცი.

— რა უცნაური ხარ! გინდოდა მძინარეს გამომთხოვებოდი?

— ჰო!

— ფანჯარაში გადმოძვერი?

— ჰო, ფანჯარაში.

ნუცა წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. მე ვანიშნე, რომ მსურდა მისი გაცილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა, ნუ გამაცილებ... სჯობია, სამუდამოდ გამოვეთხოვოთ ერთმანეთს. შენ უნდა იჩქარო, ოღონდ გზატკეცილზე ნუ გახვალ. პლატფორმამდე მიდი და იქიდან მატარებლით.

— წამომყევი ნუცა, ერთად წავიდეთ, — მოულოდნელად ვამბობ მე.

ნუცა ჩერდება, თავს იქნევს და ღიმილით მიპასუხებს:

— გახსოვს, ერთხელ რომ მოვედი შენთან დილით და შენ მითხარი, თბილისში წაგიყვანო? გახსოვს?

მე თავს ვუქნევ.

— მე მგონია, შენ მართლა ფიქრობდი ჩემს წაყვანას. მაშინ წამოგყვებოდი. ახლა კი — არა.

— რატომ, გოგო?

ნუცამ მხრები აიჩეჩა და შვინდნარში მიიმალა.

მე დავრჩი ბილიკზე. აღარსაით გავრბივარ, თუმცა თავისუფალი ვარ და წინ არავინ მეღობება. მიწაზე დავჯექი და ველოდები .ისე ვერ წავალ, რომ არ ვუთხრა ის, რაც მინდა. რა უნდა ვუთხრა? მინდა მოგიტაცო და თბილისში წაგიყვანო-მეთქი. არ ვიცი, ო, რა ერთბაშად შეიცვალა ყველაფერი.

აგერ ნუცა ისევ გამოჩნდა ბილიკზე.

მე წამოვდექი. ნელა, აუჩქარებლად მიაბიჯებს, სახენათელი და დამშვიდებული, ოდნავ დაღვრემილი.

— შენ ჯერ კიდევ არ წასულხარ, ლადო? ფრთხილად! ისევ არ დაგიჭირონ.

ნუცას გზაზე გადავუდექი. ენისბორძიკით დავიწყე:

— მაპატიე, ნუცა... მე დამნაშავე ვარ შენთან, მაინც მაპატიე, თუ შეგიძლია.

— რა უნდა გაპატიო, ლადო?

— ბევრი რამ, ნუცა, ბევრი რამ. უნდა მაპატიო ის, რომ ღამით მოვედი, რომ არ გაგაღვიძე, ისიც, რომ აგერ სოფელში ჩამოვედი, შეგხვდი, და რაღაც რაღაცეები გიამბე, ყველაფერი მაპატიე, ძალიან მინდა, შენ მაინც მაპატიო.

— შენ ჩემგან არაფერი გაქვს საპატიებელი.

— ამას მართლა ამბობ?

— ჰო, მართლა, ა... იცი, რა უნდა გთხოვო, ლადო?... თბილისში რომ ჩახვალ, შენი ბინიდან სხვაგან გადადი. ერთი-ორი თვე სხვის ბინაში იცხოვრე, კარგი?

— შეიძლება ესენი ჩამოვიდნენ და თავს დაგეცნენ. მომეცი სიტყვა, რომ თხოვნას შემისრულებ. არ მინდა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს. მეტს ვერ ავიტან.

— კარგი, ნუცა.

— მშვიდობით... რატომ არ მიდიხარ? ნუ მიყურებ მასე, ლადო! წადი!

ოდნავ ხელიც კი მკრა და ბილიკით აღმართს შეუდგა.

— ნუცა, — დავუძახე.

არ შემობრუნებულა, და მისი სახე უკვე აღარ დამინახავს. მე გავყურებდი კვალდაკვალ, მიდიოდა მსუბუქი ნაბიჯით ნორჩი, ჰაეროვანი, ისეთი, როგორიც გამოვძერწე თიხიდან ჩემს ბედნიერ საათებში. მიდიოდა და საჩუქრად მიტოვებდა თავისუფლებას, ან, იქნებ, მარტოობას.

იმავე დღეს, საღამოს მე თბილისში ვიყავი.

## 22

თბილისში წვიმდა, ქალაქი ნისლში იყო გახვეული.

აი, ავტობაზის დაუსრულებლად გრძელი მესერიც... ალაყაფის წინ შოფრები ბაზის უფროსს რაღაცაზე ხმამაღლა ეკამათებიან. დამინახეს: საუბარი მიატოვეს, გაისმის შეძახილები: ვახ, ვახ! ეს ვინ არის ასე ლოყებგალაყლაყებული? ეს ხომ ჩვენი ლადოა! — მიცნო ვიღაცამ.

ჩვენი პაწია სახლში გორაკზე... აგერ ჩემი ოთახიც, ჩემს სოფლურ სახლთან შედარებით, — ძალიან ვიწრო.

ისევ ღამე და ისევ დილა.

ჩემი ძველი ესკიზები, ბიუსტები. ნილბები, განა ყველაფერი ეს ჩემია? ო, რა დიდი ხანი გავიდა მას მერე!

ერთ საღამოს ბუხუტი მაწვდის ორ ბარათს: ლიკას წერილებია.

„ჩემო ორგულო ენკიდუ! უკვე მესამე კვირაა, რაც შენ საიდუმლოდ გაუჩინარდი და არც კი მირეკავ. რა მოხდა? არ მინდა ერთი წუთითაც კი ვიფიქრო, რომ შენ ავადა ხარ! შეიძლება შენ გატაცებული ხარ... მუშაობით. თუ თქვენი ბრწყინვალება ინებებს მოწყენილობის გაქარვებას, შამხათი მზად არის მის სამსახურად“.

მეორე წერილი: „ლადო, ასეთი საქციელი შენ არ გეკადრება! თუ შენ გადაწყვიტე, რომ სამუდამოდ დამივიწყო — მითხარი პირდაპირ, გულახდილად. რატომ უნდა ვიტანჯებოდე ეჭვებით. მთელი ღამეები არ მძინავს. რით დავიმსახურე ასეთი წამება? იმდენი სულგრძელობა მაინც გამოიჩინე, რომ ჩემთან მოხვიდე გამოსათხოვებლად მაინც. წინასწარ მიპატიებია შენთვის ყველაფერი, ოღონდ მოდი. გიცდი. მოუთმენლად გელოდები“.

ბარათები დავჭმუჭნე და საფერფლეში დავწვი.

ხუთი, ათი, თხუთმეტი დღე სახლიდან გარეთ არ გავსულვარ, ველოდი ამბის გაგრძელებას. ალბათ აქაც მომაკითხავდნენ. შემოვარდება ბესარიონი თავისი ვაჟებით, და შემდგომ რა მოხდება, არ ვიცი... ველოდი მათ მოუთმენლად... აბა, სადა ხართ? რას აპირებთ! მოდით რაღა! მცემეთ, შემკარით, უკანვე წამიყვანეთ!

არავინ არ ჩანს.

„რა მოგივიდათ ნიორაძეებო! დაუძლურდით? ღონე არ გყოფნით?“

ბოლოს ვერ გავუძელი ამ უნაყოფო ლოდინს და თვითონ წავედი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ჩიკოს სანახავად.

„ბიჭებო, მეტი რომ არ შეიძლება, ისე მჭირდება ჩიკო ნიორაძე“. „ჩიკო ტალინშია, ხელბურთელთა შეჯიბრებაზე“. „იქ რა უნდა? ის ხომ კალათბურთელია?“ „ყოველგვარ თამაშში მიიღებს მონაწილეობას, ოღონდ ლექციებზე არ იაროს!“ „ეს სწორია“.

ინსტიტუტიდან ცირკში წავედი.

„შემთხვევით თქვენთან ხომ არ გამოჩენილა თორნიკე ნიორაძე?“ „მოჯირითე?“ „სწორედ ის?“ „სამწუხაროდ, გარკვევით არაფრის თქმა არ შემიძლია, ახალგაზრდავ! პირადად მე აღარ მინახავს მას შემდეგ, რაც ერთად ვიასპარეზეთ ნალჩიკში. ამბობენ, ზაპაშნოისთან ასისტენტად მუშაობდაო“.

ნოემბერში აცივდა. ხმელი ფოთლების ხროვა დახვავდა ეზოებსა და ტროტუარებზე.

სალონში, იმ ადგილას, სადაც ჩემი „აკრობატები“ იყო გამოფენილი, მე დავინახე მოჩუქურთმებული ხის კათხა.

— სარდაფში ჩაიტანეს, დათო?

— არა, კაცო! შენი „აკრობატები“ გაიყიდა!

— მადლობა ღმერთს!... ვინ იყიდა?

— პირადად გამრეკელმა! იყიდა და თანაც გამოგვლანძღა, ორასი მანეთი ასეთ ნამუშევარშიო? მის ქვეშ რომ ჩემი ხელმოწერა ყოფილიყო, მაშინ რა ფასად გაყიდდითო?

სასიამოვნო ამბავია. ოთხმოც მანეთს მივცემ ბუხუტის, გადაუხდელი ბინის ქირის ანგარიშში, მერე ვიყიდი საზამთრო ფეხსაცმელს. დარჩენილი თანხით ორ თვეს მაინც გავიტან თავს.

ნესტიანი ქარი ქროდა მტკვრის გასწვრივ. ძვლებამდე გაყინულ-გათოშილი ვბრუნდები შინ. ერთადერთი თუნუქის ღუმელი დგას ბუხუტის ოთახში. ვაკაკუნებ.

— არავის არ ვუკითხივარ?

— არა, ძვირფასო, არავის.

— არც ბარათი მოუტანიათ?

— არა!

რა უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, მე ველოდი ბარათს. არ ვიცი კი, ვისგან, თუნდაც კასიანესაგან, მაგრამ სოფელს დავავიწყდი, მათ ჩემთვის უკვე აღარ სცალიათ.

ჩემს ოთახში ძალიან ცივა. შევგორდი საბანქვეშ, მოვკეცე ფეხები, დავხუჭე თვალები და ვხედავ... ცხადად ვხედავ წვიმით დასველებულ შავ ხეებს, მდინარის სანაპიროებს... აგერ ნუცაც... ისევ ნუცა... ყოველ ღამეს ვხედავ... თვალწინ მიდგას, ხან თავის ოთახის ფანჯარასთან დგას, ხან ნართვლევ დაცარიელებულ ვენახში მიდი-მოდის...

ვაქრობ ბოლომდე მოუწეველ პაპიროსს და ზურგით ვეყრდნობი ბალიშს. რას აკეთებს ახლა, აი ამ წუთში... არ სძინავს... მეზობელ ოთახში ტირის მისი ძუძუთა ძმისწული... ფეხშიშველი ნუცა, ღამის პერანგში მიდის პაწიასთან, ხელში აჰყავს, არწევს, რაღაცას ეჩურჩულება და იღიმება... ვხედავ ამას და მეც მეღიმება სიბნელეში.

ნეტა თუ მიხსენებს ახლა? ან საერთოდ ვახსოვარ კი?

ბოლოს ველარ გავუძელი მოლოდინს, ბარათი მივწერე სიმონს: „მონახე თუ არა ოსტატი ქანდაკების მოსათავებლად. თუ არა, აქედან გამოგიგზავნი გამოცდილ ხელოსანს. ბევრს არ გადაგახდევინებს. რა არის ახალი სოფელში? ჩანს, მე ყველამ დამივიწყეთ, ბიძია სიმონ! თქვენ რა თქმა უნდა, მოუცლელი ხართ; მაგრამ პასუხს მაინც ველი, ორი-სამი სიტყვით შემატყობინეთ, რა ამბავია თქვენთან, ან კოლია ქათამაძეს დაავალეთ მომწეროს“.

პასუხი მივიღე, არც ისე ჩქარა, მაგრამ მაინც მივიღე საკუთრივ სიმონის ხელით დაწერილი ბარათი:

„ლადო, ხელოსნები თაბაშირთან ჯახირს მორჩნენ. როგორც გავიგე, შენ აქ ჩამოსვლას არ აპირებ, ასე რომ, თუ ამ ბიჭებმა მამასისხლად არ დამიფასეს, შეკვეთას მათ გადავცემ. ვნანობ, რომ წამოვიწყე ეს გაჯანჯლებული საქმე. კასიანე თქვენს ბოსელში გადმოსახლდა, ვერაფრის გზით იქიდან ვერ გავდენე. ბუზღუნებს, თითქოს შენ დაგევალებინოს ქანდაკების დაცვა და ყარაულობა. თუ მთელი ზამთარი აქ გაატარა, ნიკრისის ქარებს ვერ გადაურჩება. სანამ გვიან არ არის, გამოუგზავნე ბერიკაცს აზატობის სიგელი. იყავ კარგად და ჯანმრთელად.

სიმონ თორაძე, თავმჯდომარე.

შენს წილ ფულს გადმოგირიცხავ ნაახალწლევს“.

მაშ ასე, ჩემ წილ ფულს მივიღებ ნაახალწლევს, — დავამოშმინე ჩემი ქირვეული თავმოყვარეობა და ისევ გავეშურე ინსტიტუტში ჩიკოს სანახავად.

უმცროსი ნიორაძის აწოწილი ფიგურა მაშინვე მეცა თვალში, როგორც კი დერეფანში ფეხი შემოდგა.

შევეგებე სიხარულით, როგორც ძმას.

— ჩიკო!

ჩემს დანახვაზე გააფურთხა და ზურგი შემაქცია.

— მოიცა, ნუ სულელობ, უნდა მოგელაპარაკო!

— შენთან არაფერი მაქვს სალაპარაკო.

— ნუ ცეტობ, ჩიკო, მინდა ორი სიტყვა გითხრა.

— ორი სიტყვა... შენთან ქუჩაში გავლასაც არ ვიკადრებ.

— რა ამბავი მოგდის სოფლიდან?

— რა ეშმაკმა მოგათრია აქ? წადი, დამეკარგე თვალიდან.

— ჩიკო, მომისმინე ერთი წუთით!

— მხდალო, ნაძირალავ! ეს რა ჰქენი? ჩაეჭიდე გოგოს კაბის კალთას და მალულად გამოიპარე... ჩიკო ნიორაძე ასეთ არამზადასთან ლაპარაკს არ იკადრებს. არ გაბედო აწი ჩვენს სოფელში ჩამოსვლა, დაივიწყე იქაური გზა და კვალი.

— ჩიკო! ღვთის გულისათვის, ერთი სიტყვა მათქმევინე.

— დაიკარგე აქედან, ინაშვილო, მომშორდი, არ შემიძლია შენი დანახვა!

ერთხანს ვიდექი წამხდარი და შეურაცხყოფილი, მერე ძლივს წავლასლასდი გასასვლელისკენ.

* * *

სანაპიროზე, ჩოგბურთის მოედნის ახლოს წვავდნენ სველი ფოთლების გროვას. იგი კი არ იწვოდა, ნაღვლიანად ბჟუტავდა.

კორტებზე ჩოგბურთელები უხალისოდ ესროდნენ ბურთს ერთმანეთს, მოედანი მოლიპული იყო. ერთი ჩოგბურთელი თავს ვერ იკავებდა, ხშირად ეცემოდა და იცინოდა. მალე მათ მოკლეკაბიანი გოგო შეუერთდა, გამხდარი, მზეზე გარუჯული, იგი [illegible] ნუცას მაგონებდა.

ბაზრის ახლოს ლუდხანას მივაკითხე. მოშიებული ვიყავი. ღმერთია მოწმე, რომ სმას არ ვაპირებდი. ორი ცალი ლულაქაბაბი და ერთი კათხა ლუდი მოვითხოვე. ის იყო კუთხეში მაგიდასთან მოვეწყე, რომ მომიახლოვდა ხნიერი მამაკაცი, მომიახლოვდა შემპარავი მალული ნაბიჯით, თითქმის ფეხის წვერებზე შემდგარი... გახუნებულ-გაცვეთილი პალტო ეცვა და ფისივით შავი სველი თმა ჰქონდა.

— ვიმედოვნებ, ყმაწვილო, ნებას დამრთავ... შემოვუერთდე... — მან მაგიდაზე გაზეთში გახვეული თევზი დადო და შარვლის შიდა ჯიბიდან არყიანი ბოთლი ამოიღო, — აქ, მოგეხსენებათ, გაუნათლებელი, მეტწილად ბაზრის ხალხი დადის. მე უკვე ორი საათია ვდგავარ აი, იქ, იმ მაგიდასთან და ერთი წვეთიც კი არ მომისინჯავს, ერთი წვეთიც კი... ვუცდი ადამიანს, რომელთან ერთად შეიძლება დალიოს პოეზიის მოყვარულმა. თქვენ გიყვართ პოეზია? — და ამ კითხვას მოჰყვა ის, რომ საკვირველმა თანამესუფრემ ვიქტორინა გამიმართა. თვითონ ქართულ და რუსულ ლექსებს კითხულობდა, ხოლო მე მთხოვდა დამესახელებია მათი ავტორები. უნდა გამოვტყდე, რომ მე იმ ლექსების ერთი მეათედიც კი არ ვიცოდი, ამასთან, შიგა და შიგ უცნობი სტუმარი გადადიოდა გასაოცარ ფრანგულზე (ფრანგული იყო ეს თუ აფხაზური, მხოლოდ ალაჰმა უწყის); მას უხაროდა, როცა სწორად ვასახელებდი ავტორებს, მაგრამ ბევრად უფრო მეტად უხაროდა, როცა უარის ნიშნად თავს გავიქნევდი. ის ხითხითებდა და ხელებს იფშვნეტდა. — იცით თქვენ, ახალგაზრდავ, ვისთან შეგახვედრათ ბედმა? როცა შინ დაბრუნდებით, უთხარით მამათქვენს, რომ ნახეთ... — მე უკვე ვიგრძენი, თუ როგორ დამლალა თანამესუფრემ. განსაკუთრებით, როცა ლექსების კითხვის შემდეგ მოჰყვა ხმ-

დუ̈რავს და ჩივილს მწერალთა კავშირის მისამართით. სწორედ იმ წუთში, როცა მე მესამე კათხა დავცალე და უცნობთან გამომშვიდობებას ვაპირებდი, ვიღაცამ მხარზე ხელი მომითათუნა. მივბრუნდი და ჩემი ყოფილი თანაკურსელი შალიკო ტუღუში დავინახე.

— საქეიფოდ ისევ საეჭვო ადგილებში დადიხარ? — თვალით მანიშნა ჩემს თანამესუფრეზე, — წავიდეთ, მე უკეთეს ადგილას წაგიყვან.

მკლავზე ხელი მომკიდა და გასასვლელისაკენ წამათრია. გარეთ რომ გავედით, ხმაურით გამოსწია თავისი ავტომანქანის კარი და მითხრა:

— დღეს გამრეკელს იუბილე აქვს.

— მერე რა?

— ვფიქრობ, მოხარული იქნება, თუ პატივისმცემლებს შორის შენც დაგინახავს.

— მე სრულებითაც არ ვარ ამაში დარწმუნებული.

— აი, ნახავ... ოღონდ ამ სახით, შენ რომ ხარ, არ შეიძლება. დღეს გამრეკელთან თავს იყრის სოლიდური საზოგადოება. სუფთად მაინც გაიპარსე.

* * *

შვიდ საათზე გამრეკელთან ვიყავით.

მე არ აღვწერ საღამოს გამრეკელის სახლში ისე დაწვრილებით, როგორც აღვწერე ქეიფი ბესარიონ ნიორაძის ოჯახში. ოღონდ ვიტყვი, რომ გამრეკელთან დიდად პატივცემული საზოგადოება იყო შეკრებილი, და, თუმცა იქ არ ჩანდა არც ფრაკები, არც სმოკინგები, მაგრამ მე ჩემი სვიტრით და სათხილამურო ყელიანი წაღებით რამდენადმე მაინც ვარღვევდი საერთო ტონს.

გამრეკელს ერთხანს არ შეუმჩნევივარ, მაგრამ მერე უცებ მისწი-მოსწია თავის ირგვლივ შეჯგუფული სტუმრები და ჩემთან მოვიდა.

— ო, შენც გამიხსენე. მოხარული ვარ, ლადო, დიდად მოხარული. გმადლობ[illegible]

— მოგილოცავ, მასწავლებელო! — ვთქვი მე, — ბოდიში, რომ საჩუქარი ვერ მოგართვი.

— როგორ თუ ვერ მომართვი! მე შენგან შესანიშნავი საჩუქარი მივიღე. ეს არის შენი „აკრობატები“.

— ეს ჩემთვის და არა თქვენთვის მორთმეული საჩუქარია!

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ლადო! შეიძინო ორას ორას მანეთად ასეთი ნივთი, ეს ძალიან უხვი საჩუქარია. თვითონ შენ რამდენს მისცემდი მასში?

— აბა, მე რა მყიდველი ვარ, — ხელი ჩავიქნიე.

— დამაცა. ვთქვათ ფულიანი კაცი ხარ. რამდენს გაიმეტებდი?

— მე დიდად არ ვაფასებ იმას, რისი გაკეთებაც თვითონ შემიძლია.

— აი, რეგვენი! ბავშვური აზრია, ლადო, ბავშვური ემოციები. გირჩევ აწი უფრო პრაქტიკული იყვე. „აკრობატები“ კარგი გამოგივიდა.

გამრეკელმა მიმატოვა ისევე ერთბაშად და მოულოდნელად, როგორც ჩემთან მოვიდა. განშორებისას შალვა ტუღუშს გახედა და ჩუმათ მითხრა:

— რა ეშმაკმა მოგაყვანინა აქ ეს მკალავი!

— მე კი არა, მაგან მომიყვანა.

გამრეკელმა გადაიხარხარა და ისევ ტუღუშს შეხედა.

— გაძრომ-გამოძრომის ნამდვილი ოსტატია... შენ, ბიჭო, არ წახვიდე, — ყელზე თითი მიიდო, ენა აატკაცუნა და თვალი ჩამიკრა, — ჩინებული ბანკეტი გველის.

სახელოსნოში წამდაუწუმ ახალი სტუმრები შემოდიოდნენ. მე ნელნელა მივიპარებოდი გასასვლელისაკენ. ჯანდაბას მაგათი ბანკეტი. მე აქ არაფერი მესაქმება. გამრეკელსაც არ ეწყინება, ყოველ შემთხვევაში, ადვილად გადაიტანს. ჩქარა, ჩქარა სახლისკენ, ბუხუტის ლუმელთან თავს უფრო ლაღად და მყუდროდ ვგრძნობ...

ასეთ ფიქრებში რომ ვიყავი, სახელოსნოში [illegible] შემოვიდა. მე ერთბაშად ველარ ვიცანი, იმიტომ, რომ არ

ველოდი, თუ მას ამ გამოჩენილ ადამიანთა თანავარსკვლავედში ვიხილავდი. მაგრამ არა, ეს იყო ლიკა, მოდიოდა ტანის ნარნარი რხევით და სასიამოვნო, ოდნავ დაძაბული ღიმილით. ლიკას გვერდით, მისგან ნახევარი ნაბიჯით უკან, მელანქოლიურად მოაბიჯებდა მაღალი, გრძელთმიანი მამაკაცი, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი, ქართულ ისტორიულ სიძველეთა მცოდნე სპეციალისტი.

ჩემს დანახვაზე ლიკა წამით გაშეშდა, არ ვიცი, რამ შეაშინა ასე, მაგრამ იმავე წამში გაიღიმა, ოდნავ თავი დამიკრა და პირი იბრუნა.

არ წავედი. დავრჩი. საბანკეტო მაგიდის წინ ჩვენ ერთიმეორისგან დაშორებული აღმოვჩნდით, გამრეკელმა წითურთმიანი ლამაზმანის გვერდით დამსვა. მთელ საღამოს იგი ხან ხუმრობით, ხან სერიოზულად გამოსთქვამდა უკმაყოფილებას ჩემს მიმართ. ახ, რა უყურადღებოდ, რა გულგრილად მეკიდებით, — ხშირად მეუბნებოდა, ეგებ მამჩნევდა, რომ ლიკას თვალს არ ვაშორებდი. ჩანდა, ლიკა რიგიანად შეთვრა, თორემ ჰიქას ასე მაღლა არ ასწევდა და ასე აშკარად თავს არ დამიქნევდა.

მეც ასევე ვუპასუხე. სუფრიდან წამოვდექი. მივიწევდი იქით, სადაც სახელგანთქმული გამრეკელი იჯდა.

— კიდევ ერთხელ გილოცავთ, მასწავლებელო და გთხოვთ ნება დამრთოთ წავიდე.

— რაშია საქმე? ასე მალე რამ მოგთენთა? — მკითხა გამრეკელმა.

— არა, არ მოვთენთილვარ. არის უფრო სერიოზული მიზეზი.

— ვიცი, ვიცი, შენი სერიოზული მიზეზი... რა გაეწყობა, წადი! და ამ დღეებში შემომიარე, მომიყევი, რა გააკეთე ამ ზაფხულს.

— ქანდაკება გავაკეთე — „მორბენალი ქალიშვილი"...

— როდის მაჩვენებ?

— რა მოგახსენოთ, ქანდაკება აქ არ მაქვს. სოფელშია.

— ისევ საფლავის ძეგლი გააკეთე?

— სულ სხვა რამ, მასწავლებელო, სულ სხვა რამ!

ვუთხარი ეს და ვაკოცე მბზინავ მელოტ თავზე.

— კარგი, კარგი, წადი! — დაბნეულად მოიწმინდა შუბლი გამრეკელმა.

წინა ოთახში მანტოებსა, ქათიბებსა და ქურქებს შორის ძლივს მივაგენი ჩემს ქურთუკს.

ზურგს უკან ქუსლების პაკა-პუკი მესმის. ეს ლიკაა. მაინც ვერ გავექეცი.

— პალტო, ლადო, მალე! ეს რა ქურქების ხვავია, სად არის ჩემი პალტო?

— მიდიხარ?

— ნუთუ ვერ მონახე?

დაჩქარებით ვქექავთ ქურქების გროვას, ვეძებთ გამალებით. როგორც იყო, მოვნახე...

ლიკამ ერთი ამოსუნთქვით გაირბინა პატარა ბაღი სახლის წინ.

ისევ წვიმს. სველი ასფალტი ირეკლავს ფარნების შუქს.

— ჩქარა, ლადო! წავიდეთ აქედან. გააჩერე ტაქსი, ან კერძო მანქანა. ფული მაქვს.

ლიკა მირბის ქუჩაზე, პალტო გაღეღილი აქვს, ხელში თავშალი უჭირავს.

— ვინ მოგდევს? გაჩერდი!

— ა? — უკან იხედება ლიკა, — რაო?... ჯანდაბას მაგათი თავი... მათი დანახვაც კი მეზარება... რატომ არ გააჩერებ მანქანას, ლადო? ნუთუ ასე გვიანაა? აბა, ნახე, რომელი საათია? აგერ ფანარი... მოიცა, შემოგხედავ მის სინათლეზე. ოოხ!

— ლიკა... ლიკა რა მოგდის? დამშვიდდი... — ვეხვევი მხრებზე. მძიმედ სუნთქავს. როგორღაც ტანჯული გამოხედვა აქვს, სინანულით ვამჩნევ ამას და ოდნავ ხელს ვუსვამ ზურგზე, — დამშვიდდი, თავშალი მოიხურე... ახლა შეგიძლია პალტო არ შეიბნიო, — აი, ეს გააჩერებს...

მანქანაში ლიკა ერთბაშად მოლბა.

— უჰ, მადლობა ღმერთს! — ცდილობს უფრო მოხერხებულად დაჯდეს, თუმცა სახლამდე ათ წუთზე მეტი სა-

ვალი არა გაქვს! — სად იყავი ამდენ ხანს?

— სოფელში, — ვუპასუხე.

— ექვს თვეს სოფელში?

— განა ექვსი თვე გავიდა?

— მე შენ ერთი საუკუნე არ მინახავხარ, — ლიკა მეხუტება, მე მხრებზე ვეხვევი, მაგრამ სულში ოდნავი სინაზის გრძნობა არა მაქვს. ვგრძნობ მხოლოდ სიბრალულს და სულის მწეწკავ დანაშაულს.

აგერ მისი სახლიც. ნახევრად დაბნელებული სადარბაზო შესასვლელი...

— მე შინ მიმეჩქარება, ლიკა!

მას თითქოს არც კი გაუგონია.

ნელ-ნელა ავდივარ ზევით, მარამსებრ კიბეზე. რატომღაც მიძნელდება მისი მარტოდ დატოვება.

— ბიჭო, ეს შენ ხარ? ველარ გცნობ, — წამჩურჩულა ლიკამ, — შენ არ იყავი, ერთი ამოსუნთქვით რომ ამორბოდი წინათ ამ გრძელ კიბეზე? — მისი ჩურჩული უცნაური ძალით მოქმედებს ჩემზე. მებრალება. ხელს ვკიდებ და ამყავს საფეხურიდან საფეხურზე. მაღლა, მეოთხე სართულზე უნდა ავიდეთ.

ძლივს ავედით, კართან ვდგავართ. ლიკა ჩანთაში ხელს აფათურებს, კარს აღებს და თითს ტუჩებზე იდებს, ჩუმადო: ფეხის ცერებზე გავუარეთ სავარძელზე მიძინებულ პატარა გოგის. ვაკვირდები შავქოჩორა პაწია თავს, ბალიშზე მიყრდნობილსა და ყურს ვუგდებ მის ჩუმ ფშვინვას.

ლიკა ხელჩაკიდებული მიმათრევს, შევყავარ თავის ოთახში და მჭიდროდ ხურავს კარს.

— რა გემართება?

— არ ვიცი, — თავს ვაქნევ მე.

— თითქმის ორი თვე დაჰყო ქვიშხეთის ბანაკში...

ამოვიხვნეშე და სკამზე ჩამოვჯექი.

ლიკა იჩოქებს, უნდა ზონრები შემიხსნას ფეხსაცმელზე.

— შენ რა, გაგიჟდი, — ვიცინი მე.

— მომეცი ნება, ლადო!

ლიკას სადღაც ლამაზი შანდლები შეუძენია. ახლა სანთლებს უკიდებს, მკითხაობს, შელოცვებს ბუტბუტებს, მაგიდაზე გადააქვს და გადმოაქვს ბოთლები, ჭიქები...

— გეყოფა, ლიკა! დამშვიდდი!... უნდა წავიდე. მეჩქარება.

მას ჩემი არ ესმის, არც უნდა გაიგონოს. მეუბნება:

— ახლა არ ვჩქარობ, ლადო! იქ ვჩქარობდი, სუფრას რომ ვუსხედით. ახლა პირიქით, სულ პირიქით, წყნარად ვიქნები. შეხედე, ამას იქ დავდგამ, აი ასე... ამ სანთლებს კი ჩავაქრობ, ძალიან ბევრია, უკეთ დამინახავ, როგორ დავბერდი...

— შენ რამდენი წლისა ხარ, ლადო? მე ხომ კარგად არც კი ვიცი შენი ხნოვანება. ბავშვი ხარ, ბავშვი. დამიჯერებ? ზოგჯერ მე თვითონ არ მჯერა, მაგრამ მგონია, რომ უკვე მაშინ, შენს სოფელში, მე ვიგრძენი, რომ ჩვენს შორის ასე მოხდებოდა. სულელი ვარ... ნუ მისმენ...

და ლიკა ჩემსკენ იწევს, ვცდილობ თავიდან მოვიშორო, რატომღაც სული მეხუთება...

უცებ გვერდით, კედელს იქით ბავშვი ატირდა, ატირდა და დაიძახა:

— დედა!

მერე უფრო ხმამაღლა, შეშინებული ხმით დაიყვირა:

— დე-და! დედიკო!

ლიკა გამოფხიზლდა, თითი ტუჩზე მიიდო.

— დედიკო, მოხვედი?

ვდუმვართ. ისმის შიშველი ფეხების ტყაპუნი იატაკზე. ლიკა ხელით ნიშანს მაძლევს, ძლივს ვასწრებ კარადის უკან დამალვას. მეშინია, ბავშვმა არ დამინახოს. ასეთი შიში არასოდეს განმიცდია.

— მეშინია, დედიკო! ვის ელაპარაკებოდი?

— დაწექი, შვილო, დაწექი... აქ არავინ არის... შენ რაღაც დაგესიზმრა, — ლიკას ხმა შეეცვალა, — წავიდეთ, დაგაწვენ, ჩემო პატარავ! — მესმის როგორ აწვენს ლიკა ლოგინში შვილს, როგორ ამშვიდებს და უყვავებს.

ფანჯარა ვერანდაზე გადის. ოდესღაც

ჩვენ არა ერთხელ გვისარგებლია ამ ფანჯრით. ახლაც იქით მივიწევ.

— რა მოხდა? — ჩურჩულებს ლიკა. თვალებში შიში ჩასდგომია.

— მე მივდივარ.

— ვერსად ვერ წახვალ, — აჩქარებული ჩურჩულით მეხმაურება ქალი.

— მე მივდივარ, ლიკა!

— აბა, გაბედე. არ გაქვს უფლება, — თვალებშივე მაცქერდება, ქურთუკზე მეჭიდება, — არა, არ გაგიშვებ!

— ჩვენ ასე ვერ გავაგრძელებთ, ლიკა. აღარ შემიძლია... — შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, — გამიშვი, ცუდად ვარ.

— მომისმინე... მომისმინე! არა, შენ ვერ წახვალ, დარჩები და თავს ისე კარგად იგრძნობ, როგორც არასოდეს... რა გემართება? ვინმე შეგიყვარდა? მითხარი, გამოტყდი, სხვა შეგიყვარდა? ასეა? ასე? მიგიხვდი ხომ?

— ჰო, მიმიხვდი.

— მერე რა, სულელო? მე არ ვეჭვიანობ... ოდნავადაც არა.

— დაწყნარდი! ბავშვი გაიგონებს.

ჩვენი დაძაბული ჩურჩული გველების სისინს წააგავს.

აღარ მახსოვს რა მითხრა კიდევ, ხელი ვკარი და ფანჯრის რაფაზე შევხტი... ბნელი შუაღამეა... მუხლების კანკალი რომ დავიცხრო, ნელნელა ვეშვები კიბეზე, გზადაგზა ქურთუკის ღილებს ვიბნევ. ქუჩაზე ვარ.

ეს რაა? ჰაერში რაღაც თეთრად რომ ციალებს. ნუთუ თოვს?

ფართო ნაბიჯით, თითქმის სირბილით შევუდექი აღმართს.

მორჩა, ყველაფერი გათავდა.

ო, რა საძაგელი დღე იყო, რა საშინელი ღამე! ქუჩები ცარიელია. კაციშვილი არ ჭაჭანებს. ყრუ ღამეა, ყრუ და ბრმა ღამე. თავს მაღლა ვწევ, პირს ფართოდ ვაღებ, მინდა ტუჩებით დავიჭირო ფანტელები, ლოყებზე გრილად რომ მეცემიან. თვალებს ვჭუტავ და ძლივს მივბარბაცებ.

უცებ, სრულიად მოულოდნელად, ხსოვნაში გაიელვა შორეული მოგონების სიხარულმა. ნუცა!... ნუცა... ნინა... თორმეტი წლისაა გოგო, იქნებ უფრო ნაკლები ხნის. დგას ჩემს ახლოს, კაკლის ხის ჩრდილში და უყურებს, როგორ სვამს ბაბუაჩემი მის მიერ მირთმეულ წყალს. გოგონა თვალს არ აშორებს მოხუცის ტუჩებს, ბაბუას წყლის დალევაც კი უჭირს და თითქოს მისი ტანჯვა ირეკლება ნუცას ბავშვურ სახეზე... რა სიწმინდეა მის ამ თანაგანცდაში, რა მიამიტობა და გულკეთილობა... რისთვის მომემადლა ასეთი სიხარული ამ არაწმინდა ღამეს!

მე იგი არაფრით არ დამიმსახურებია.

ნუთუ?...

მე არ ვიცი, ვის მივმართავ ჩემი კითხვით, მე ისიც კი არ ვიცი, რას ნიშნავს იგი. მაგრამ ვიღიმები და გაუბედავად ვაქნევ თავს. „ნუ იქნევ თავს, ლადო! შენ შეყვარებული ხარ... დიახ, დიახ, შეყვარებული! თუ ღმერთი გწამს, ნუ იქნევ თავს, გეხვეწები“.

ციდან კი ცვივა და ცვივა ნახევრად გამდნარი ფანტელები, არც წვიმს, არც თოვს. არ მცივა, ნელა მივაბიჯებ სანაპიროზე. წინ, ღამეში ვარდისფრად აღმართულა ჩემი საყვარელი ობელისკი.

მარჯვნივ და მარცხნივ შავად აღმართულან თბილისის ქედები.

ნახევრად გამდნარი ფანტელები ცვივა და ცვივა ციდან, გამყინავი ქარი არ ცხრება.

იქნებ, ეს ღამე საუკეთესო ღამეა მთელ ჩემს ცხოვრებაში!

### ეპილოგი

აგერ ბოლომდე მივიყვანე ჩემი გაჭიანურებული ამბავი.

მე გავიარე იგივე გზა, რაც დასაწყისში, გავიარე უფრო სწრაფად, ვიდრე ზაფხულში, თუმცა დეკემბერი იდგა და შოფრები ძალიან ფრთხილობდნენ, ნელა მოძრაობდნენ.

სოფელში დაბრუნება, შეხვედრა ნუცასთან და ყველა იმათთან, ვინც იქ დავტოვე, ეს არის დასაწყისი ახალი მოთხრობისა, რომელიც, [illegible]

სმე დავწერო. ჩვენი ქორწინების ამბავი მოგიყევით მხოლოდ იმიტომ, რომ მომეჩვენა — ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ათასჯერ აღწერილი სიყვარულის უცნაური გიჟმაჟობა.

ერთხანს ვფიქრობდი დამემთავრებინა ამბავი რაიმე ძველი აფორიზმით, თუ შეგონებით, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ არ ღირს გამოუცდელი ხელით დაწერილი ალალმართალი აღსარება დავაგვირგვინო ბრძნული სიტყვებით — ისინი ხომ ისე გამოჩნდებიან, როგორც მარცვლით სავსე თავთავები უბრალო ბალახებში... ასეთი გულახდილობა ხომ არ არის იმის თხოვნა — ჩემი მოთხრობისადმი ლმობიერება და შემწყნარებლობა გამოიჩინეთო.

არა, ეს ასე არ არის!

* * *

ახლა, როცა ამ უკანასკნელ სტრიქონებს ვწერ, ივნისმა შემოაბიჯა იმერეთში. გუგულებმა შეწყვიტეს გუგუს ძახილი, დამწიფდა ბალი, მდელოებს მარწყვის სუნი უდის, და ცაცხვები ჩვენ სახლის ირგვლივ დაბალი და ძლიერი ხმით ზუზუნებენ.

მე და ნუცას ორი ბავშვი გვყავს, უფროსი ლევანი მესამე წელში გადადგა, პაწია თებრონე ექვსი თვისაა.

ვცხოვრობ ჩვენს ძველ სახლში. მე ხელახლა გადავხურე იგი კრამიტით. თიხა, რომლისგანაც „მორბენალი ქალიშვილი“ გამოვძერწე, დღემდე მიწევს სამსახურს — მასზე მსუბუქად და ხალისიანად ვმუშაობ, როგორც იმ სახსოვარ სექტემბრის დამლევს.

სამმა წელიწადმა უცბად გაიქროლა, თუმცა იოლი არ ყოფილა ეს წლები. დიდი ჯაფა დამატყდა თავს. ვბარავდი და ვაახლებდი ვენახს, ვთოხნიდი და ვმარგლავდი სიმინდის ყანას, ახალ ღობეს ვავლებდი ეზოს, დამქონდა საფქვავი წისქვილში და ნაადრევი გაზაფხულიდან ვთევზაობდი. გულმოდგინედ უნდა მემუშავა და ყოველდღე გავრჯილიყავი, რომ ფული მეშოვა და ოჯახი მერჩინა. მაგრამ ნათქვამია, — არ ვიცი ეს სადაური ანდაზაა — საკუთარი ტვირთი კაცს არ ამძიმებსო; ამასთან ბებია, უზომო სიხარულისგან გაახალგაზრდავებული, თავს არ იზოგავდა, ყველაფერში გვეხმარებოდა. კასიანეც და სიმონიც მხარში გვედგნენ. ნუცასაც თავი ისე ეჭირა, თითქოს მასზე ბედნიერი ქალი ქვეყანაზე არ იყო. გულადი და მხიარული, გამრჯე და დამყოლი, ორსულობის თითქმის უკანასკნელ თვეზე კალათით ხელში ჩადიოდა მწიფე ვენახში — „მთლად არ ავავსებ, ლადო! ნუ გამიჯავრდები, ნახევარს კალათსაც არ მოვკრეფ“...

ხანდახან საქმეების გამო თბილისში ჩასვლა მიხდებოდა; ორჯერ, როცა შესაძლებლობა მომეცა, ნუცაც თან წავიყვანე. გავჩერდით ბუხუტი გაგნიძესთან, ჩემი ოთახი თავისუფალი აღმოჩნდა. ბუხუტიმ იგი სიამოვნებით დაგვითმო და რამდენიმე ყვავილებიანი კალათიც კი გამოიტანა ჩვენი ბინის დასამშვენებლად. კალათებმა ნუცაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ნუცას გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობამ ჩამოხსნა მათ საიდუმლოების საბურველი: აღმოჩნდა, რომ ბუხუტის ერთი მეგობარი ქალი მუსიკალური კომედიის თეატრში დამლაგებლად მუშაობდა.

გამოვტყდები: მე დამენანა კიდეც, ფარდა რომ აეხადა ჩემი ახალგაზრდობის ერთ-ერთ საიდუმლოებას.

რისთვის გავიხსენე ეს?

ნუ თუ ოჯახური ცხოვრება, თვით ბედნიერი ოჯახური ცხოვრებაც კი საიდუმლოებათა ამოხსნის დროა?

არა, ეს უფრო შეცნობის დროა, როცა იდუმალსა და გამოუცნობს რეალური და გონივრული სცვლის. მაგრამ ეს უკვე თემაა იმ მოთხრობისა, რომლის დაწერასაც მე არ ვაპირებ...

ვზივარ მაგიდის წინ, ცაცხვის ჩრდილში, და თვალს ვავლებ ჩემს ეზოს და კარმიდამოს.

აგერ ჩემი ცოლი, ჩემი ნუცა... მას ხელში ატატებული პაწია თებრონე უჭირავს, ცისფერთვალება, როგორც

ბაბუაჩემი. ორთავეს თითები გაუფარჩხავთ და რაღაცას შესციниან.

ჩემი ბიჭუნა, მუცელგაბერილ ლეკვთან ერთად, ყირამალას გადადის, ან მოლზე პირაღმა დაწოლილი შეცინის მის მხიარულ დრუნჩს.

მესერს იქით შავი წვერცანცარა თხა ბებიაჩემს აღმართისკენ ექაჩება და ნუცა ბავშვივით ხელში მირბის მისაშველებლად.

ცაცხვი თანაბრად, დინჯად და მძლავრად ზუზუნებს, მაშასადამე, გვექნება თაფლი, ბევრი თაფლი.

მზე დასავლეთისაკენ იხრება, მე მისკენ ვიმზირები.

ბავშვმა შეამჩნია ჩემი მზერა და წამოხტა.

— მამა!

მე ადვილად გადამედო მისი უმიზეზო მხიარულება.

— მამიკო, წავიდეთ მდინარეზე!

— წავიდეთ, გენაცვალე, წავიდეთ. ოღონდ ცოტაც დამაცალე, აი, ორიოდე სიტყვა-ღა მაქვს დასაწერი.

აი, დავწერ უკანასკნელ სტრიქონს, და მერე ვეტყვით ნუცას, მდინარეზე მივდივართ-მეთქი, მოვისმენთ ბებიას ყველა გაფრთხილებას, მერე შევისვამ შვილს მხრებზე და ბავშვობიდანვე ნაცნობი ბილიკით დავეშვები ხეობაში, შევაბიჯებთ ჩვენს მდინარეში, ასე დინჯად რომ მიედინება ზღვისაკენ, რათა იქიდან კვლავ დაბრუნდეს სათავისაკენ და ისევ იდინოს და იდინოს დაუსრულებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

## ომგადახდილნი

ღამე ჩაჰოდგა მდუმარი,
ვასაკა კრინით მღეროდა
და იდუმალი გუმანით
გული სასწაულს ელოდა.
მესმოდა ბავშვთა ჭყუმპალი,
ტყეში კაკუნი სასხლავის,
კრახუხას მწიფე კუმპალი
ბაღში მიღიმის ბალღსავით.
მუხა იქვე დგას, შრიალებს,
ასი წლის წინათ რომ იდგა,
იქ იშუშებენ იარებს
დაბრუნებულნი ომიდან.

მოვლენ ყავარჯნის ბაკუნით
ომგადახდილი ბიჭები
და როგორც ჯვარზე გაკრული,
ხეიბართ ცქერით ვისჯები.
მათ არ იწვევდა გოგონა,
თამაშით რომ ვერ ძღებოდა,
დაისის ჭიაკოკონა
ცხრამთას გადაღმა ცხრებოდა.
აგონდებოდათ მებრძოლებს
ომის ცეცხლი და ხანძარი,
ვთქვი: აწ არ ძალუძთ ქვემძრომებს
დასწვან მშვიდობის ტაძარი.

## ნავთსაყუდარი

ისევ ლავეძებ წინაპართ ბინას,
სად იყვნენ, საით დატოვეს კვალი,
კვლავ წინაპართა ფუძე-ფესვს ვფიცავ
და კვლავ ხეთისკენ გამირბის თვალი.
დამთავრდა მგზავრთა მზადება, შფოთი,
ჰა ნავთსადგურში გუგუნებს გონგი,
ჩამოვიტოვე ფაზისი, ფოთი,
ოქრო, მედეას ირმების ჯოგი.
ნოეს ვეება კიდობნის ტოლი, —
პონტოს ტალღებზე ირხევა გემი.
უკვე შორს არის პალიასტომი,
მთები, რიონი, სამშობლო ჩემი.
ჩემზე იტყვიან: — წარსულს გადაყვა,
ანტიკურ ჟამზე მან დასდო თავი,

„დიოსკურია“, ჰხიბლავს „მალთაყვა“,
„დემეტრე“, „კორე“, „ეთერი“, „ნავი“.
არ ასვენებდა „მედეა“, „არგო“,
„სადემეტრაო“ და „კორისწყალი“.
ნეტავ სამშობლოს ამით რა არგო,
ჟამინდელი რომ დაგავდა ალი!
ვერ აიტანა უთვისტომობა,
სურს მოუძებნოს ოჯახი ენას,
უნდა გაჰგლიჯოს ქსელი ობობას,
მოსძებნოს ენის ბასკური ფენა.
ყველას თავისი მოსდევს ცხოვრება,
რაღაც აღონებს, რაღაც უხარის,
მე კი მარადჟამს მემახსოვრება
თამარ, შოთა და საბა-სულხანი.

მესმის სევდის ხმა და ხმა მედგარი,
ეგების სხვისთვის გაუგონარი,
კრწანისის ომში კვნესის მხედარი,
სად გაწყდა ქართლის რკინის ზონარი.
დადგა მონობა, წამება, გმინვა.
დაგვძლიეს ჭირის ამანათებმა
და ბოლოს გვამცნო ქვემეხთა გრგვინვამ
დიდი ოქტომბრის გამონათება.
ნუ იტყვით ჩემზე, არ სწამდა აწმყო
და მომავალზე არ უფიქრია.

ჩემს ჩანგის სიმებს მეც თქვენებრ ვაწყობ,
როცა კოსმოსში ძმები მიჭქრიან.
მეც ვარ გართული წაღმართი შრომით
და არ მღალატობს გონიერება,
რომ ატომური დავწყევლო ომი,
რათა მშვიდობა ჰპოვონ ერებმა.
მიყვარს მშობელი ერი და ენა,
სხვის სამშობლოსაც ვადიდებ, ვაქებ.
საკაცობრიო ჩემს მაღალ რწმენას
მე არ ვაკარებ არასდროს ლაქებს.

## კართაგენის ნანგრევებთან

ვერ გადავურჩი საცდურებს,
ხმელთაშუა ზღვა გავცურე.
აფრიკის მიწა მელოდა
მგზავრს, ჩასულს საქართველოდან.

კაცთა გონების ამღვრევი,
დუმს კართაგენის ნანგრევი
და მაგონდება ფლობერი,
მარგალიტების მფლობელი,
ვინც კართაგენის ცხოვრება
ისეთი ფუნჯით დახატა,
რომ მისი დამახსოვრება
მეტად იოლი გახადა.

გახსოვთ, ფლობერი რას ამბობს?
ამბობს, იყოო სალამბო,
ასული ჰამილკარისა —
მეფისა, ამირბარისა,
სიტურფედაუმარხავი,
საამო, მზეთუნახავი
და მისი გველი პითონი,
შხამით გამდნობი ლითონის.

ამბობს, იყოო სარდალი
მატო, ყელამდე მართალი.
სალამბოს ეშხით გრძნეული
და იმ ეშხითვე ძლეული.

იყო სარდალიც ნარ-ავაზ,
ელოდა მდიდარ ქარავანს,
რათა მრისხანე მოლოქის
გული მოეგო, ბოლოს კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელთ ეგდო მეფის ასული —
ვაზი კედარზე გასული.

მატოსთან დადგა ჯალათი —
მოგვი სისხლისფერ ხალათით —
შაჰაბარიმი არჯალი,
ახმახი, წვერებნაცარა.
მკერდი გაუპო ხანჯალით
გმირს, გული ამოაცალა...

ვუცქერ დანგრეულ კართაგენს,
ოდესღაც მტერთა გამთანგველს.
ექიშპებოდა მას რომი —
ზღვის და ხმელეთის ბატონი:
„კართაგენს ნგრევა და ომი!“ —
მუდამ იძახდა კატონი,
და კვლავ იწყებდნენ ომებსა
ლეგიონები რომისა.
ნანგრევთა შორის მომესმა
ქვითინი სციპიონისა.
ტიროდა მხედართმთავარი,
ცხარე ბრძოლებში ნავალი,
იმავ ბრძოლებით ნაგეში
და სიმართლის თქმას ბედავდა.
ის კართაგენის ნანგრევში
რომის მომავალს ხედავდა...
მძლე კართაგენი დაინგრა
რომიც და ბრიტანეთიცა!...
ყველას სურს თავზე დაიდგას
ახლა უღრუბლო ერთი ცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ილია რურუა*

# ვითარცა ერთი წამი

## მოთხრობა

> მზე წითლად გომბორზე მოვა,
> შუქი ალავერდს ჩადგება.
>
> **ხალხური**

ტურისტულ ჯგუფში, ჩვეულებრივ, ქალები ჭარბობდნენ. დიდი და ვრცელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილები მოგზაურობაში უკვე ერთმანეთს დამსგავსებოდნენ რაღაცით. ამ მსგავსებას მარტოოდენ ფერად-ფერადი კოფთები და თეძოებზე შემოსხეპილი შარვლები როდი ქმნიდა; სახეებსა და შიშველ მკლავებზე სამხრეთის მზე მოჰკიდებოდათ, თვალებში მიმზიდველი მოთენთილობა ჩასდგომოდათ. ტაძრის გალავანში შევიდნენ თუ არა, მაშინვე ექსკურსიამძღოლს შემოეხვივნენ და ქალალდის ნახევით სასაცილოდ დაგრძელებული ცხვირები ზემოთ აიშვირეს, გუმბათის ყელს შეაცქერდნენ.

ექსკურსიამძღოლი გიორგი შუახანს გადაცილებული, თმაგათეთრებული კაცი იყო. ძველი ყაიდის კოსტუმი, გადასკვნის ადგილას გაცრეცილი ჰალსტუხი, ნეილონის შეჭმუჭნილი საზაფხულო შლაპა, რომელიც გალავნის ზღურბლზე ხაზგასმული მოწიწებით მოიხადა, მასში კეთილ პროვინციელ ინტელიგენტს აჩენდა.

ნატაშამ ყურადღება მიაქცია, რომ ექსკურსიამძღოლი რუსულს თითქმის უშეცდომოდ, მაგრამ საგრძნობი აქცენტითა და რაღაცნაირი რიხით ლაპარაკობდა. იქნებ ეს რიხიც არ იყო. წამოჟინჟღლებული ფართონაკვთიანი სახე, განიერი მკერდი და ღონიერი ნაჯაფი ხელები მოწმობდა, რომ ამ კაცმა შრომის ყადრი იცოდა. თავისთავზე შეყვარებული პიჟონები და კოკობზიკები ასეთ ადამიანებს ქედმაღლურად, დამცინავად უყურებენ ხოლმე. მაგრამ ნატაშას თავიდანვე მოეწონა ეს დროული კაცი. იქნებ იმიტომაც, რომ ორი წლის წინათ გარდაცვლილი მამა მოაგონა. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს იმის უნარიც შესწევდა, ბევრ რამეში თავად გარკვეულიყო. მაგრამ არჩია ექსკურსიამძღოლს მიჰყოლოდა, არც ერთი მისი სიტყვა არ გამოპარვოდა. გალავანში ფეხის შედგმისთანავე იგრძნო რაღაც დიდთან მიახლოება. მარტოოდან საკუთარი თავის იმედით შეიძლებოდა წვრილმანებს შერჩენოდა, რაიმე არსებითი ვერ შეენიშნა.

გიორგიმ კიდევ ერთხელ მიმოავლო

თვალი ხეებით დაბურულ ვრცელ ეზოს, მახლობლად შეჯგუფულ, ტურისტებს შეჰყიტებულ ბიჭებს რაღაც უთხრა ქართულად და თითქმის საზეიმო ხმით დაიწყო:

— ალავერდის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი დიდებული ძეგლია. იგი აუგიათ მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ჟამთა სიავით დაქცეული მისი გუმბათი და თაღები აღდგენილია მეთხუთმეტე საუკუნეში კახთა მეფის ალექსანდრეს მიერ... ამის შესახებ პირდაპირ მოგვითხრობს ჩვენი საისტორიო წიგნი „ქართლის ცხოვრება“.

გიორგი სასოებით შესცქეროდა ცაში ატყორცნილ გუმბათს და შემდეგ გამოცვლილი ხმით, თითქოს სიტყვებს უხილავ ეტრატზე კითხულობსო, ქართულად განაგრძო:

— „მან ალექსანდრე და დედამან მათმან ბაგრატიონმან დედოფალმან ნესტან დარეჯან დაქცეული და დაძველებული აღუშენა ალავერდსა სამხრენი და გუმბათნი და დაახატვინა და შეამკო ჯუარითა და ხატითა“.

ექსკურსიამძღოლმა ამ სიტყვების თარგმნა დაიწყო, მაგრამ ნატაშას რუსული სიტყვები თითქმის აღარ აინტერესებდა. ერთბაშად მოხიბლა მისთვის გაუგებარი ენის უცხო მუსიკამ, ბუნდოვანმა და იდუმალმა, ამ გარემოსათვის ესოდენ აუცილებელმა.

ნატაშას არაფერი სმენოდა დედოფალსა და მეფეზე, რომლებიც ექსკურსიამძღოლმა ახსენა, არც თარიღები და გაუბრალოებული ლეგენდები იტაცებდა, რითაც მისთვის სხვაგანაც ბევრჯერ გამოუჭედიათ ყური, მაგრამ იცოდა, არც უამისობა იქნებოდა. ყველაფერი ეს ჰგავდა თვალთაგან დაფარულ ლოდებს, ტაძრის მაღალ კედლებს ქვემოდან რომ შესდგომიან და ამაგრებენ. მათი ხვედრი და თვითშეწირვა განსაკუთრებულია, რომლის ფასი მხოლოდ მარადიულმა დუმილმა იცის და თვალშეუდგამმა სიბნელემ.

ტაძრის შიგნით როგორღაც შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ. განსაკუთრებულ, ტაძრისეულ სიჩუმესა და სიგრილეს, აქ რომ დახვდათ, ნატაშა კარგად იყო შეჩვეული, გიორგი მით უფრო. მანაც ამ სიჩუმესთან შეთამამებული ხმით განაგრძო:

— ალავერდის ტაძარი ყურადღებას იქცევს შიდა სივრცეების გადაწყვეტითაც. იგი ერთსა და იმავე დროს მიწიერად ჩამჯდარიც არის და ზეაზიდულიც, გრანდიოზულიც და ჰარმონიულად მსუბუქიც. დასანანია მხოლოდ, რომ ბათქაშის თეთრი ფენა, რომლითაც მეცხრამეტე საუკუნეში დაჰფარეს ტაძრის კედლები და თაღები, საგრძნობლად ანელებს შთაბეჭდილებას, აბრტყელებს და ერთგვაროვანს ხდის მის ფორმებს.

— როგორ თუ დაფარეს?... ვინ დაფარა?! — გაიკვირვა ვილაცამ.

გიორგის სახე მოექუფრა. მის გამოხედვაში ნატაშამ შეშფოთება დაიჭირა. რაღაც ამის მსგავსი, თავისდა გასაოცრად, ნატაშამაც იგრძნო. მაგრამ მოხუცის მოკლე და დინჯმა პასუხმა ერთბაშად დააშოშმინა:

— ძველი ამბავია — გახსენებად არ ღირს. მით უმეტეს, რომ ჩვენი საზოგადოების ადამიანები ამას შეგნებულ და ობიექტურ ახსნას აძლევენ.

— მაინც არ მესმის! — დაიჟინა ტურისტმა.

— მოდით სხვა რამეზე ვილაპარაკოთ! — კვლავ მშვიდად მიუგო ექსკურსიამძღოლმა.

ნატაშასათვის ერთბაშად საცნაური გახდა წუთის წინათ მის არსებაში გაფაჩუნებული შეშფოთების მიზეზი. გაახსენდა რომელიღაც ცნობარში ამოკითხული რამდენიმე წინადადება, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. მართლაც და რა ესაქმება მას, ნატაშა კასატკინას, გონებაჩლუნგ ბერებთან, რომლებიც გულბოროტი ეგზარხოსის წაქეზებით ლამობდნენ უცხო სულის გენიის კვალის წარხოცვას?! ასევე ფიქრობს, ალბათ, გიორგიც, რაკი იმ ძველ ამბავს არ უბრუნდება. ნატაშა

ერთბაშად სათნო სიყვარულით განიმსჭვალა მოხუცისადმი:

„რამოდენა სული ჰქონია!“

ნატაშამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ექსკურსიამძღოლი გადამეტებულ, გადაპრანჭულ სიტყვებსა და ეპითეტებს არ ხმარობდა ძეგლის დასახასიათებლად. ამით კი ბევრი ექსკურსიამძღოლი ვერ დაიტრაბახებდა.

თითქოს ქალიშვილს გულისთქმას მიუხვდაო, გიორგიმ ნატაშას მკლავზე შეავლო ხელი და გვერდზე გაიყოლია.

— ახლა კი აქითკენა გთხოვთ!

ჯგუფმა ფეხის მორიდებული შრიალით სამხრეთის აფსიდისაკენ გადაინაცვლა.

— ვისაც მხედველობა არ ღალატობს, ტაძრის ყოველ კუთხე-კუნჭულში, ბათქაშის ქვეშაც დალანდავს ძველ მოხატულობას. ასე იყო ამ აბსიდშიც, — მოხუცმა ხელი ზემოთ აიშვირა. — ჩვენმა რესტავრატორებმა გაწმენდის ექსპერიმენტი აქედან დაიწყეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც ხედავთ, მოხატულობა აქ თითქმის მთლიანად შემონახულია. ცნობისათვის, — ჩაურთო ექსკურსიამძღოლმა, — აბსიდის სიმაღლე ოცდახუთი მეტრია. და საერთოდ ალავერდი საქართველოს ყველაზე დიდი კათედრალია. იგი, ასე ვთქვათ, თავისებური არქიტექტურული ნიშანსვეტია ქართული რენესანსის გზაზე, რომელსაც რუსთაველის გენია აგვირგვინებს.

„აჰა, გასაგებია!“—გაიფიქრა ნატაშამ.

უცებ ტაძარი, რომლის წინაშე აქამდე რამდენადმე უცხოდ იდგა, სრული შეცნობის ნება-სურვილს დაემორჩილა, სხვაგვარად ამეტყველდა. ასეთი რამ ნატაშას ადრეც უგრძვნია, ძველი რუსული ტაძრების დათვალიერებისას. მაგრამ ამ მიხვედრის ფასეულ აზრს მხოლოდ ახლა ჩაწვდა. მომავალი ხელოვნებათმცოდნე გულდასმით სწავლობდა უცნობ ოსტატთა მიერ შესრულებულ ფრესკებსა და ხატებს. მაგრამ მათს ჭეშმარიტ ღირებულებაში გარკვევა უჭირდა, ვიდრე ანდრეი რუბლევი არ შეისწავლა საფუძვლიანად. აქედან მოკვედებული, ამ გენიალური მხატვრის უბრალო გახსენებასაც კი საოცარი კანონზომიერება და სინათლე შემოჰქონდა ხელოვნების ვრცელ, ამოუწურავ სამყაროში. ყველაფერი თავის კუთვნილ ადგილს იჭერდა — ნიჭი და უნიჭობა, თავისთავადობა და ეპიგონობა, შთაგონება და ხელოსნობა...

„რუსთაველის გენიის ზღრუბლთან ვდგავართ, მაშასადამე!“

ნატაშას კისერი დაელალა, მაგრამ კონქისათვის თვალის მოწყვეტა ვერ მოეხერხებინა. ძველი მხატვრობის ფერად ხალიჩას თეთრი მსუბუქი ნისლივით გადაბურვოდა ჩამოფხეკილი კირის ნამცეცები. ფრესკები ამით რაღაცნაირ განუმეორებელ იერს იძენდნენ. ნატაშას გაახსენდა, რომ ასეთი რამ ადრეც შეუმჩნევია ერთი ახალგაზრდა ქართველი ფერმწერლის ტილოებზე, რომელიღაც ვერნისაჟის დროს. ეს მაშინ მანერულად ეჩვენა, თუმცა რაღაცით კი მოეწონა.

„ესეც გასაგები გახდა!“.

ხუთ რეგისტრად გაშლილი მოხატულობა ორგანულად ეხამებოდა აბსიდის ჩუროთმოძღვრულ დაყოფას. კონქის ნახევართაღედის შუაში ჩაწერილი მედალიონიდან ღვთისმშობლის კამკამა წკონდა თვალები იმზირებოდა. მხატვარს მთელ ნახევართაღედზე გაეშალა კომპოზიცია. მრავალპლანიან ფონზე, რომელსაც მაღალი კოშკები, სვეტები და სარკმელები ქმნიდნენ, იდგა ანას სარეცელი.

უფრო ქვემოთ, კონქში დატანებულ ფანჯრებს შორის, ოთხი წინასწარმეტყველი ასვეტილიყო. ისინი მრავალი საუკუნის მხილველთა უდრტვინველობით, რამდენადმე უნდობლად, შეჰყურებდნენ იქვე გამოსახულ სცენას — „წმინდა სულის მოფენა“.

— გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქვედა რეგისტრში ჩამწკრივებულ მხედართა ფიგურებს, — მოხუცი უკვე პირდაპირ ნატაშას მიმართავდა, — პირველი მათგანი ჩემი სეხნია გახლავთ,

გიორგი, ოღონდ წმიდა და არა ჩემსავით ცოდვილი... შუაში ქრისტე დგას, რომელიც გვირგვინებით ამკობს ორ მხედარს. ქრისტიანული ასკეტიზმის თვალსაზრისით ეს აშკარა მკრეხელობაა. სამწუხაროდ, ფიგურები და წარწერა იმდენადაა დაზიანებული, ამ ორი მხედრის ვინაობის დადგენა არ ხერხდება. ისინი ალბათ ისტორიული პიროვნებები არიან.

ნატაშა რამდენადმე შეაცბუნა მოხუცის შეხუმრებამ წმიდა გიორგისთან. მაგრამ რაც უფრო მეტს აკვირდებოდა ფრესკებს, მით უფრო ნაკლები ადგილი რჩებოდა გაუგებრობისათვის. ყოველ კომპოზიციაში სახინო იყო მიწიერის თამამი შერწყმა რელიგიურთან. მართლაც და საკმაოდ უცნაური მარაქის გარემოცვაში იდგა მაცხოვარი. იმ ქალიშვილებსაც, ანას სარეცელს რომ შემოსდგომიან მინდვრის ყვავილებით ხელში, სანდომიანობის ელფერი ადევთ, რაღაც აკრძალულისა და მაცდუნებლის შეცნობის სურვილი დასთამაშებთ ტუჩებზე... და ეს თვალები — ცოცხალი დიდი მეტყველი თვალები, ყოველი მხრიდან რომ შემოგცქეროდნენ!

ტაძარში შემოსვლის პირველივე წუთებიდან ნატაშას ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს გამუდმებით, დაჟინებით უთვალთვალებენ. აი ახლაც, ასე ჰგონია, ვიღაც თხოვს მოიხედოს... უნებურად გაეღიმა და გუმანს დაემორჩილა. უცხო, სათვალიანი ვაჟის მზერას წააწყდა და ღიმილი სახეზე შეაცივდა.

„ნუთუ მომეჩვენა?!“

ისევ მიიხედა. ვაჟი მოშორებით იდგა. მათი მზერა კვლავ შეხვდა ერთმანეთს. ნატაშამ გულგრილობის ნიღაბი ჩამოიფარა სახეზე და ისევ ფრესკებს მიაცქერდა. მისი ყურადღება ახლა მღვიმის შესასვლელთან მოჭიდავე ბიჭებმა მიიპყრეს... ასე ჰგონია, სადღაც უნახავს ისინი. ჰო, როგორ არა, აქვე — ტაძრის ეზოში!.. ეს სათვალიანი ახალგაზრდაც იქ დალანდა წეღან.

ნატაშას ქალური ცნობისმოყვარეობა გაეღვიძა, მაგრამ იმავე ქალურმა გუმანმა უკარნახა, უკან მეტად ვეღარ მიეხედა. მით უმეტეს, რომ ისევ ვაჟის ფიზიკურ სიახლოვეს გრძნობდა. გაუკვირდა, ფრესკებს ადრინდელი ყურადღებით რომ ვერ ათვალიერებდა. დაღლილობას მიაწერა ეს, რადგან მიაჩერდებოდა თუ არა ფრესკებს, მთელი შიდა სივრცე ტაძრისა თითქოს იშმუშნებოდა, ხან განზე, ხან კიდევ ზევით მიიწევდა, გაცილებით ტევადი და ჰაეროვანი ხდებოდა.

ამ დროს რაღაც მკვეთრი ხმაური შემოესმა და თავი შემოსასვლელისაკენ მიაბრუნა. სათვალიანი თითქმის გვერდზე ედგა. ამჯერად მათი მზერა ერთმანეთს არ შეხვედრია, რადგან საერთო ყურადღება უცნაურმა პროცესიამ მიიპყრო. ახოვან, თმაჭაღარა მღვდელს ვიღაც დედაბერი და ბერიკაცი ამოსდგომოდა აქეთ-იქიდან. მათ უკან ახალგაზრდა ლამაზი ქალი მოდიოდა, რომელსაც მკერდზე მიეხუტებინა თხელ, მაქმანებით გაწყობილ საბანში გახვეული ჩვილი. ისე გაუბედავად მოაბიჯებდა, თითქოს დაცემისა ეშინიაო. ჩვილბავშვიან დედას მხიარული მასლაათით მოსდევდა სადა კოსტუმებში გამოწყობილი რამდენიმე შავტუხა ახალგაზრდა. ერთი მათგანი, ალბათ, ბავშვის მამა იყო. პროცესიას კუდში სეირისმოყვარულებიც გამობმოდნენ.

ტურისტებით გარშემორტყმული მოხუცი ექსკურსიამძღოლის დანახვაზე შავტუხა ბიჭები როგორღაც შეცბნენ — ნაბიჯიც კი აერიათ. მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს, თავები მაღლა აიღეს და ღონიერი, ქათქათა კბილებიდან ღიმილი გამოკვეთეს. ერთმა მათგანმა, შუაში რომ მოდიოდა, ხმამაღლა მოიბოდიშა:

— ბებრების ხათრითა გვჭირს, ძია გიორგი, თორემ ღმერთთან და ხატთან, შენც კარგად იცი, დიდი ხანია უძრახათა ვართ!

ექსკურსიამძღოლს არ უპასუხია. მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გააქნია მძიმე, ჭაღარა თავი.

საკურთხეველი ერთბაშად ხალხით გაიჭედა.

მღვდელი დანჯღრეულ, იაფფასიანი წითელი საღებავით შეთხუპნულ კათედრასთან დადგა. აუჩქარებლად გახსნა შავი მუშამბის გაცვეთილი, საკეტმოშლილი სასკოლო ჩანთა და იქედან რიგრიგობით ამოალაგა: ყდაშემოფლეთილი ლოცვანი, რამდენიმე ცალი ცვილის სანთელი, მაკრატელი და ჩვარი. მღვდელი გარეშე ხალხს ვითომ ვერც ამჩნევდა. მხოლოდ გიორგის გამოხედა ერთხელ წარბებს ქვემოდან და უსიტყვოდ მიესალმა.

მზადებას რომ მორჩა, მღვდელმა კათედრის გვერდით ტაბურეტზე დადგმულ ქვაბს ახადა თავი. ნათლისღებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი მოთუთიებული თუნუქის უბრალო ქვაბი იყო. ასეთ ქვაბს, ჩვეულებრივ, სარეცხის მოსახარშავად ხმარობენ ხოლმე. ნახმარი ჩანდა, თანაც კედლები და სახურავი სანთლის ნამწვავებით იყო დაფარულ-გაზინთული. არც ამ ჭურჭელში მდგარი სითხე იქნებოდა, ალბათ, თავანკარა.

მღვდელმა ასანთი გააჩხაკუნა და სანთლების ანთება-ჩამორიგებას შეუდგა. მოხუცებმა ხასოებით გაუწოდეს აკანკალებული ხელები, ბიჭებმა კი პატიჟითა და ერთმანეთთან მხრების გაჯაჯგურების შემდეგ — არა შენ მიდი, არა მეო. მღვდელმა ლოცვანი გადაშალა. ეტყობოდა, ალალბედზე კითხულობდა, სადაც თვალს დააბამდა. დროდადრო ნათლიებს ამოხედავდა, და მანამდე მისჩერებოდა, სანამ ისინიც არ გაიმეორებდნენ ლოცვებიდან შემთხვევით დაჭერილ სიტყვებს. გულმოდგინებით თავს არ იწუხებდნენ. არც მღვდელს გაუჭიანურებია. კიდევ ერთი ლოცვა ჩააბულბულა და წიგნი დაკეცა. შემდეგ დედის დახმარებით, საბანში გახვეულ ჩვილს მკერდი გადაუღეღა, უკან მიუხედავად, ბრმად ჩაჰყო ქვაბში ჩვარი, ოდნავ მოწურა და ბავშვს ჯერ შუბლზე, შემდეგ კი მკერდზე წაუსვა. ჩვილი შეიშმუშნა, აჩხავლდა. სახეზე მოფენილი სინათლის მიხედვით ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ნათისლღების პროცედურას რაღაც ბუნებრივი აქტით შეხვდა, [illegible] შეშფოთებულმა გამოხედვამაც დაადასტურა და შავტუხა ბიჭების ფხუკუნსიცილმაც.

ნატაშამაც კარგად იცოდა მთელი ამ ფარსის ნამდვილი ფასი, მაგრამ იგი შინაგანად მაინც ყველაზე მეტად აღაშფოთა მღვდელმსახურების პრიმიტიულობამ და გულგრილობამ. არავითარი ცდა თუნდაც მოჩვენებითი ამაღლებულობისა, მისტიური იდუმალების შექმნისა. ეს სიცივე და გულგრილობა ნივთებსაც გადასდებოდათ. გაუბრალოებულ-გაძარცულნი, არ ასხივებდნენ იდუმალ შუქს, არ ეწეოდნენ სულს ცათა შინა ასამაღლებლად.

ეტყობა ყველგან ასეა!

მაშინ ნატაშა თვრამეტისა არც იყო. პირველად და უკანასკნელად გაჰყვა ბებიას მოქმედ ტაძარში; უფრო ცნობისმოყვარეობის გამო. იმხანად ხმა დაირხა, ვიღაც ძალიან ლამაზი ახალგაზრდა მღვდელი სწირავსო. წირვა რომ დაიწყო, ძალაუნებურად ნატაშამაც დაიჩოქა. მართლაც ახალგაზრდა, სანდომიანი სახის მღვდელმა პირჯვარი გადასახა. ქალიშვილი ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა. გაოგნებული თანდათან გამოფხიზლდა და იგრძნო, რომ მღვდლის მოუსვენრად აციმციმებული თვალების მზერა არ სცილდებოდა.

— ხომ არაფერს გამანდობდით საიდუმლოდ, მშვენიერო მხევალო ღვთისავ! — ჩაესმა ნატაშას და დაინახა მისკენ გადმოხრილი მღვდლის თეთრ-ვარდისფერი სახე, ზეთისხილისებურად აპრიალებული თვალები, წითელი, ვნებიანი ტუჩები... მაშინვე შიშველი მუხლის თავზე იგრძნო ათრთოლებული, მაგრამ მოქნილი და ღონიერი თითების ვნებიანი შეხება.

ეს იყო და ეს!

და ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, ისევ მოწმე გახდა ტაძარში გათამაშებული ფარსისა. ეს, ალბათ, კარგად ესმით ამ ახალგაზრდებსაც, რომლებიც აქ მოუყვანია, მოხუცების დაჟინებას თუ

სულთმობრძავ ტრადიციას. ასეა თუ ისე, ეს ახალგაზრდები, თუ კი მათ ოდნავ მაინც გააჩნიათ საღი აზრი, ამიერიდან იქნებიან გულნატკენნი და შეურაცხყოფილნი იმის გამო, ბოლომდე რომ არ ეყოთ სულის სიმტკიცე, ისე ბრიყვულად რომ მოიტყუეს თავი. ნათლიებს ეს ახირება დაუჯდებათ რამდენიმე თუმნად და დასაიდუმლებულად ნაყიდ ოქროს ჯვრად. ბავშვის მშობლები კი გადაიხდიან პატარა ლხინს, რომლის დროსაც დაილევა ბევრი ღვინო, იქნება სიმღერა, ცეკვა და.. ღმერთის დავიწყება...

• • •

ნატაშა ტაძრიდან დაღლილი გამოვიდა. დასასვენებლად მყუდრო, მოფარებული ადგილი მოძებნა და ხავსმოდებულ გრძელ ლოდზე ჩამოჯდა. აქ ტაძრის ჩრდილში, საამო სიგრილეს დაესადგურებინა.

ნატაშა ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო ნანახ-განცდილის შთაბეჭდილებიდან. ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს არაჩვეულებრივი გალერეა დაეთვალიერებინოს და არა ღვთის ტაძარი.

„მაინც საიდან ჰქონოდა შუა საუკუნეების მხატვრის ამდენი სითამამე, მიწიერების ესოდენ გამძაფრებული გრძნობა?... ალბათ აქაურმა ბუნებამ თუ მოჰმადლა. — მიხვდა, ახსნა ზედაპირული რომ იყო. — მთავარი, ალბათ, მაინც ხალხის სულიერი წყობიდან მოდის, მისი ხასიათიდან?“...

ეს კი ნატაშასათვის დღემდე დაფარული იყო. ახლა კი თითქოს თვალი აეხილა. უცებ შვება იგრძნო, ერთბაშად დაძლია სულის სიღრმეში ჩაბუდებული რაღაც შეუცნობი შიში. აქამდე კი გუნება დამძიმებული ჰქონდა, თუმცა ცდას არ აკლებდა, რომ თანამგზავრ ტურისტებთან უბრალო და თავისუფალი ურთიერთობა დაემყარებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. განსაკუთრებულად ვერავინ დაიახლოვა. ამის გამო თავის თავს უჯავრდებოდა — ალბათ გოროზი ვარ, ნამდვილი მეტიჩარა და ვერ ვატყობო. მაინც რა უსაშველოდ ძნელი და რთული ხდება ნატაშასათვის ყველაფერი!... რაც თავი ახსოვს, სულ ასეა. სიყვარული რომ სიყვარულია, იმანაც მხოლოდ ტკივილები და იმედის გაცრუება არგუნა. რატომ უნდა მომხდარიყო ასე? ისე გამოდის, ერთადერთ მეგობრად და გამგებად დედა ჰყავს მხოლოდ.

დილადანვე დედაზე ფიქრობდა. დღეს ხომ ნატაშას დაბადების დღეა, დედისათვის განსაკუთრებულად საზრუნავი. ალბათ ახლა სამზარეულოში ფუსფუსებს... შესაძლოა ამ წუთს, მისებრ სიფაქიზით, ვაზაში აწყობს ყვავილებს ან სუფრასა შლის... ვინ შეიძლება მოვიდეს? ალბათ ლენა და ბორია... იქნებ ბელაც...

ძალიან მცირე გამოდგა ერთგულ მეგობართა წრე და გული დაეწვა. ასეთი რამ აქამდე არ უგრძვნია. „ალბათ სიშორით თუ მომდის, უცხო მხარეში, უცხო ხალხში ჩაკარგულს...“

ნატაშას უნებურად ცრემლი მოაწვა, თვალებით დაუწყო ძებნა ვინმე თავის ჯგუფელს, რომ გამოლაპარაკებოდა. ის სათვალებიანი ვაჟიც გაახსენდა, მაგრამ ახლო-მახლო ვერ დალანდა.

მარტოობის განცდა უფრო მოეძალა გულს და ლაწვზე ცრემლიც ჩამოუგორდა. ამან ჩვეული სიამაყე მოჰგვარა:

„რა სისულელეა!... განა შეიძლება ყველას ესმოდეს შენი, ყველა მეგობრად მიგაჩნდეს?!... კარგად მოვიქეცი, თანამგზავრებს რომ არ გავუმხილე...“

ნაფიქრს რომ ჩაუკვირდა, შეკრთა, თავი თითქოს ქედმაღლობაში დაიჭირა. მაგრამ განსჯა არწმუნებდა, რომ სადღაც მართალი იყო. სხვა რომ არაფერი, რამდენად აუცილებელია შენი დაბადების დღე იაფფასიანი დროსტარების საბაბად აქციო, ბანალური მოლოცვის სიტყვები ისმინო... მაგრამ ყველა ამ ფიქრის ბოლო მაინც ის იყო, რომ ნატაშა თავს სრულად მარტო გრძნობდა. გულზე შემოწოლილ მოუგერიებელ დარდს ვერაფრით გაუმკლავდა. ცრემლიც ვერ ამოიშრო თვალებიდან.

სწორედ ამ დროს საიდანღაც ისევ

გამოჩნდა სათვალიანი, თითქოს ნისლში აცურებული... იგი ნატაშასკენ მიემართებოდა. ნატაშამ თვალებზე ცხვირსახოცი გადაისვა და წამწამები ააფახულა, მაგრამ ახლა სულ ვეღარაფერი დაინახა. გარკვევით ესმოდა, როგორ უახლოვდებოდა უცნობი. აი მისი ფეხის ხმა სულ ახლოს შეწყდა. ნატაშამ კიდევ ერთხელ შეიმშრალა დანამული თვალები და კუშტად ახედა მოსულს. გაცვეთილი სიტყვების მოსმენის მოლოდინში თავად მკვახე საპასუხო გამოთქმებს დაუწყო ძებნა. უცნობი საუბრის დაწყებას რატომღაც არ ჩქარობდა. ნატაშას ახლა გაუგებრად ეჩვენა ისიც, რომ ვაჟი ტაძარში ერთხელაც არ გამოლაპარაკებია, თუმცა იმდენ ხანს გვერდი-გვერდ იყვნენ და ასეთ დროს, თუ დაინტერესებაა, საბაბიც ადვილად გამოინახება.- ამან ცნობისმოყვარეობა გაუღვივა და ვაჟს ამჯერად ერთგვარი ინტერესითაც შეხედა. მოგრძო, ოდნავ ფერმკრთალ სახეზე დამსხდარი თაფლისფერი თვალები თავდაჭერილი სიმშვიდით იმზირებოდნენ უჩარჩოო სათვალის სიღრმიდან.

— ბოდიშს ვიხდი ასეთი სითამამისათვის, — დაიწყო ბოლოს ვაჟმა დაბალი, დაგუდული სასიამოვნო ხმით. — ისე მოხდა, რომ თავიდანვე მიიქციეთ ჩემი ყურადღება და შემდეგ თვალი ვეღარ მოგწყვიტეთ.

„ხომ ვამბობდი! — ნიშნისმოგებით გაიფიქრა ნატაშამ და წარბები მოწკურა. — „ისე სუფთა რუსულით კი ლაპარაკობს“.

— ეჭვს გარეშეა, — განაგრძო ახალგაზრდა კაცმა, — რაღაც გიჭირთ თუ გიმძიმთ. იქნებ რაიმე დახმარების გაწევა შეგვეძლოს?... რაც არ უნდა იყოს, აქ მასპინძლები ჩვენა ვართ.

— არაფერი ისეთი! — ერთბაშად დამშვიდდა ნატაშა, თუმცა ეჭვი გულიდან სულ მაინც ვერ ამოიგდო. — „უხვი დაპირებებით კი მოსულა!“.

— მე მაინც მგონია, რომ არ ვცდები, — ვაჟის სახეს რბილი, სანდომიანი ღიმილი გადაეფინა. — აქაური რაიონული გაზეთის რედაქტორი გახლავართ. სახელი ცოტა უცნაური მქვია, ძველებური... ანგია.

ნატაშა წამოდგა. მან უკვე ძალდაუტანებელი ყურადღებით შეათვალიერა მოსული. ანგიას მუქი ყავისფერი ვილვეტის ფეხსაცმელი ეცვა, გემოვნებით შეკერილი რძისფერი საზაფხულო შარვალი და მოყვითალო, სახეებიანი პერანგი, რომლის გატკიცინებული საყელო მსუბუქად შემოსდგომოდა მაღალ, ვაჟკაცურად ძარღვიან კისერს. მთელი მისი იერიდან თანდაყოლილი, ძვალრბილში გამჯდარი სიფაქიზე გამოსჭვიოდა. მისადმი ნდობით ყველაზე მეტად მაინც შინაგანი შუქით აღსავსე თვალები განგაწყობდათ, სათვალის მინების მეოხებით გაცილებით დიდნი და სხივიანი რომ ჩანდნენ.

— შეწუხებად არ ღირს. — უცებ გულითად ტონზე გადავიდა ნატაშა — უბრალოდ, დედა მომაგონდა და მეტი არაფერი... თანაც დღეს ჩემი დაბადების დღეა. გული დამწყდა, მის გვერდით რომ არა ვარ.

— როგორა ბრძანეთ? — ჩაეძია ანგია, — ჩემი დაბადების დღეო?

— დიახ!

ანგია ჩაფიქრდა.

* * *

ისინი მაღლობზე წამომდგარი სახლის ფართო აივანზე ისხდნენ. აქედან ხელისგულივით ჩანდა ალაზნის ველი.

სანახაობა იმდენად უჩვეულო და თვალისმომჭრელი იყო, რომ ნატაშა დროდადრო თვალებს ხუჭავდა, ცდილობდა ნანახი გონებაში აღბეჭდვოდა წარუშლელად. მალე დარწმუნდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. თვალის ყოველი გახელის შემდეგ ველის კონტურები რაღაცნაირად შეცვლილი ჩანდა, ახალი ფერებით განახლებულ-გაცხოველებული.

ყოველივე იმას, რისგანაც ეს სილამაზე იქსოვებოდა, უჩვეულოს ვერ დაარქმევდით.

ველი ვით ველი — ვრცელი, უკიდეგანო!

მდინარეც ჩვეულებრივი თითქოს — მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში გრძლად გაწოლილი და მბზინავი!...

მთებიც ვით მთები — იისფრად დაფერილნი, თოვლით შეჭავშნულნი!..

და ველის გულში ჩაბუდებულ-ჩაღვრილი მზის ნისლოვანება, რომელიც ცისარტყელასავით ირხევა, ციმციმებს, ლივლივებს დაუსრულებლად. თითქოს ხედავთ კიდეც, ნიავს თავისი მსუბუქი ფრთებით როგორ დააქვს აქეთ-იქით ბაღ-ვენახთა ფერადოვანი ნაკვეთების რბილი ხაზები და მაღლიანი, მსუყე მიწის სურნელოვანი ნაორთქლი მთებს ვით ებურება. ამ ერთიანად ალივლივებული ნისლის ზღვას თავზე გვირგვინივით დასდგომია ცის კამკამა ტატნობს შეყინული გრეხილი მთათა თეთრი მწვერვალებისა.

„ამ სილამაზის შექმნაში, ალბათ, ისეთი რამეებიც მონაწილეობს, რომელთაც ადამიანი სახელს ვერ არქმევს, და უბრალოდ ღვთიურს უწოდებს. ამიტომ თუა ალაზნის ველის სილამაზე ესოდენ მოუხელთებელი, ამოუწურავ სახიერებათა მჩენი“ — ფიქრობდა ნატაშა.

საერთოდ ბევრი რამ, რაც იმ სალამოს მის გარშემო ხდებოდა, ჯერ კიდევ ითხოვდა ახსნას. ნატაშასათვის რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდათ, რატომ და როგორ მოხვდა აქ — მისთვის სრულიად უცნობ ქართულ ოჯახში. მით უფრო ძნელი ასახსნელი იყო, რა ესაქმებოდათ სამასპინძლოდ ასე აფუსფუსებულ ადამიანებს ნატაშა კასატკინას დღეობასთან, მის სიხარულთან თუ ფარულ ურვა-წუხილთან. რატომ მიიტანა ყველაფერი ეს ასე ახლოს გულთან ამ უცნაურმა ახალგაზრდა კაცმა? ნატაშას ახლა სჯეროდა, რომ ანგია მასთან მდაბალ სურვილს არ მოუყვანია, მაგრამ არ იცოდა მისი ყურადღება და გულთბილობა რისთვის მიეწერა. საინტერესო იყო კი დიახაც.

ნატაშა კარგახანს ყოყმანობდა, ვიდრე საქმეში გიორგიც არ ჩაერია. რაკი ტურისტებს ღამე მაინც თბილისში უნდა გაეთიათ, ნატაშამ მიიღო მიპატიჟება. რამდენიმე კაცის წამოყვანაც თხოვეს. მან მხოლოდ სამი შეარჩია —— ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის დოცენტი ლიდია ალექსეევნა, მოსკოველი ინჟინერი დიმიტრი პეტროვიჩი და სამარყანდელი მექანიზატორი უბაიდულა ბურხანოვი, ისიც ინჟინერი.

სახლში ანგიას ჭაღარა დედა და ერთადერთი და დახვდათ. ისინი რამდენადმე დაბნეულად, მაგრამ გულღიად შეხვდნენ უცხო სტუმრებს.

ანგიას დას თებროს ძმასავით შუქიანი თვალები და მსხვილი ლამაზი ტუჩები ჰქონდა. ჩაბუთხუზებული, მრგვალსახიანი გოგო იყო. მოკლედ დაყენებული წაბლისფერი თმა ნაწვალები ჩანდა — კარგად ვერ შეეღება და აპრელებოდა. კულულებზეც ხეირიანად ვერ დაედო მაშები. ამ მდგომარეობაში რომ უცხო ხალხი წაადგა თავზე, დაიბნა, ლოყები აუფაკლდა.

— სამედიცინო ინსტიტუტში უნდა შევიდეს და აქედანვე მოდის აჰყვა, — გაქექილს გატეხილი ამჯობინა ანგიამ და დას მსუბუქად თმა აუჩეჩა.

სტუმრებს მალე ანგიას რამდენიმე ნათესავი თუ ახლო მეზობელი შემოუერთდა. მათ ზრდილობას ხარკი გადაუხადეს, ერთხანს ენაამოუღებლად ისმენდნენ სჯა-ბაასს რუსულად და შემდეგ თვალხელშუა გაქრნენ. მათი წასვლისთანავე იმატა აწიოკებული ინდაურებისა და ქათმების კრიახმა, ნაჯახის ჩახა-ჩუხმა, ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნმა.

სტუმრების შექცევა ძირითადად გიორგიმ ითავა. ყველასთან ადვილად გამონახა საერთო ენა.

— თავიდანვე შეგატყვე; — უთხრა ნატაშას სიცილით. — ჩვენი ალავერდის ფასი რომ გესმოდა. ამიტომაც გექცეოდი გამორჩეული ყურადღებით. შენი მეგობრები ამისათვის ნუ მიწყენენ.

ანგიამაც ამასობაში საქმეები მოარიგა და სტუმრებს ეზოში ჩაუძღვა. ერთხანს რკინის ბოძებზე გადაბლანდული დიდი თალარის ქვეშ იმასლაათეს. შემ-

დეგ ბაღში ჩავიდნენ, იქიდან ბოსტანში გადაინაცვლეს. ცნობისმოყვარე დიმიტრი პეტროვიჩმა ყველა მწვანილის სახელი ჩაიწერა უბის წიგნაკში.

— უბაიდულა! — მიუბრუნდა ანგია უზბეკს მარნის ზღურბლთან. — თავს მოვალედ ვთვლი გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ, როგორც მუსლიმანს, წაწყმენდის საშიშროება გელით. აქ ინახება სასმელი, რომლის დალევასაც გიკრძალავთ დიდი ალაჰი.

— არა უშავს! — ახითხითდა უზბეკი. — მოკლას ხარი თივამ! მე ჩვენი ბრძენი რუდაქისა უფრო მჯერა. იგი ერთგან ამბობს: „ღვინო ამჟღავნებს შინაგანად კაცის დიდ სულსო“.

გიორგიმ ომარ ხაიამის რუბაიც გაიხსენა: „ჩემი სალამი პატივცემულ მოლა მუსტაფას! ალბათ თამამად ახლა მაინც ამიხსნის ამას. ეი, სეიდო, რად გვიკრძალავს ყურანი ღვინოს და ნაცვლად გვირჩევს ამყავებულ მაწვნის სმაჭამას?!“

— აი, ხომ ხედავთ! — თვალები აუციმციმდა პირბუდაღ უბაიდულას. — საკმაო საფუძველი არსებულა, რომ მუსლიმანის სიტყვას ენდოთ.

— უბაიდულა, თქვენ ზიარებიხართ ნამდვილ ჭეშმარიტებას. ამიტომ უფლებას გაძლევთ პირველი შებრძანდეთ მარანში. — ისევ ხუმრობის ტონით განაგრძო ანგიამ. — რაც შეეხება ქართველებს, ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნია, რომ მიწაში ჩამარხული ქვევრების გულში დუღს სიცოცხლის დვრიტა, რომელიც ადამიანში მარადიულად აღვიძებს ხალისისა და განახლების წყურვილს.

მარანში მაჭრის ტკბილი სურნელით გაჟღენთილი სიგრილე იდგა, მაგრამ საიდანღაც თითქოს სითბოც სცემდა. სტუმრები მალე მიხვდნენ, რომ ეს თბილი ალხი ამოდიოდა ღია ქვევრებიდან, რომელთაც პირზე ქაფი მოეგდოთ და შიშინ-შიშინით შხეფებს ისროდნენ... სიპით ნაშენი კედლებიდან, ლამფააუკვრელი მსხვილი კოჭებიდან გამოჩრილი კავები და ხარიხები მიწის დოვლათით იყო დახუნძლული. სტუმრები ყოველ ნაბიჯზე ედებოდნენ ჩურჩხელებს, ჯაგნებს, ჩხებს, ათასნაირ ჭირნახულის ფერად ფერად ასმებს.

— ზაპრანი! — იცნო დიმიტრი პეტროვიჩმა ბოსტნიდან აქ გადმოსული ყვითელი ყვავილი.

— ეს ამოდენა რაღაა! — გაიკვირვა ნატაშამ და ხელი ბუხრის თავისაკენ გაიშვირა.

— ჯიხვის რქებია! — განუმარტა ანგიამ. — მაღალი მთების საჩუქარი. ამ რქებით, ჩვეულებრივ, ჩვენში ნეფეპატარძლის სადღეგრძელოსა სვამენ.

— მართლა?... რა საინტერესოა! — აღმოხდა ნატაშას.

ანგია ერთ-ერთ ქვევრთან შეჩერდა, იქვე მდგარი დაბალი სკამიდან უბრალო ჯამი აიღო, მარჯვენაში თლილი ჭიქა მოიმარჯვა და ფსკერით ქვევრის პირზე გაასცურ-გამოაცურა. თვალის დახამხამებაში შუშხუნა მაჭარით აპიპინებულ ჭიქას ზევიდან სული შეუბერა, წამოტივტივებული ჭაჭა და წიპწა მოაშორა და ვარდისფერი წვენი ჯამში გადაასხა.

—პირველი ჭაშნიკი თქვენ გეკუთვნით, ძია გიორგი!

მოხუცმა ჯამი ასწია და დაილოცა:
— გაგიმარჯოთ, მრავალ რთველობას დასწრებოდეთ!... სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს! — დალია და დიმიტრი სტეპანიჩს გადაულოცა.

— იფ, იფ! — მისგან გამოცლილმა ჯამმა ახლა უზბეკის ხელში გადაინაცვლა.

— შერბეთ, შერბეთ! — ნეტარებით ამოთქვა უბაიდულამ. — არ შეიძლება კიდევ ერთი, ნორმის ზევით?

— ეი, ჯენტლმენებო, ჩვენ ხომ არ გავიწყდებით! — სიცილით წაეტანა ჯამს ლიდია ალექსეევნა.

— ქართველებს, ალბათ. ბევრი ლეგენდა გაქვთ შექმნილი ვაზზე! — დაინტერესდა ნატაშა. — მართლაც რომ ჩინებული ღვინოა!

— თუ ლეგენდებს დავუჯერებთ, — მიუგო გიორგიმ. — პირველყოფილი

ქაოსის წიაღში ვაზის თესლი ფასკუნჯს უპოვნია და ჩვენ მიწაზე ჩამოუგდია. ფრთებიც შეუბერტყავს და ფერად-ფერადი ბუმბულიც დასცვენია. ამიტომაც არის სამოთხესავით ლამაზი ალაზნის ველი.

„თამამი ლეგენდაა! — გაიფიქრა ნატაშამ. და თითქოს პირველად ახლა მიაქცია ყურადღება მოხუცის გარეგნობას. მართლაც იყო რაღაც ძველი, მითიური, დროთა სიღრმიდან გადმოსული ამ ტანბრგე მოხუცის იერში. ეს შორეული და იდუმალი ანგიას თვალებშიც კიაფობდა. მისი დედის სათნო ღიმილში, თებროს სუფთა გამოხედვაში.. ალბათ, ამიტომ ინადირებენ ისინი ასე ერთბაშად სხვათა გულებს — უშურველი სიკეთით, სითბოთი.

აივანზე გაშლილ სუფრას რომ მიუსხდნენ, ნატაშას მღელვარებამ თანდათან გაუარა. გახალისდა კიდეც. ანგიას, რომელიც მასა და ლიდია ალექსეევნას შორის იჯდა, ლაღად და თავისუფლად ეჭირა თავი. ქალებს ყურადღებას არ აკლებდა, სხვადასხვა კერძით უმასპინძლდებოდა, თან თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმნიდა სადღეგრძელოებს, სუფრაზე ნასროლ ყოველ მოხდენილ რეპლიკას თუ ხუმრობას.

თამადად გიორგი აირჩიეს. სტუმრები საბოლოოდ მოიხიბლნენ ბრძენი, ენამზიანი მოხუცით. ეს განსწავლული, გულთმისანი კაცი თითქოს იმისათვის იყო დაბადებული, რომ ყველაფერში, თვით ჩვეულებრივშიც კი დაენახა რაღაც მნიშვნელოვანი, ამაღლებული, ღირებული.

„ეტყობა გიორგიმ იცის რაღაც განსაკუთრებული საიდუმლო ადამიანთა გულებში ჩაწვდომისა, მათი აზრების ამოკითხვისა“. — ფიქრობდა ნატაშა. თავადაც გაუჩნდა სურვილი რაც შეიძლება მეტი გაეგო ამ კაცზე. გიორგი, თურმე, პედაგოგი ყოფილა. ექსკურსიამძღოლობა პენსიაზე გასვლის შემდეგ დაუწყია. მაგრამ ნატაშა განსაკუთრებით განაცვიფრა ამ უცნაური კაცის რომანტიკულმა თავგადასავალმა, რომელიც ანგიამ გაანდო ჩურჩულით.

გიორგი კახეთში სხვა კუთხიდან ჩამოსახლებულა, სრულიად ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი. ამდენი უცხოვრია და ასე სალთად, უცოლოდ კი დაბერებულა... იქ, მამის კერაზე, გიორგის ერთი გოგო ჩავარდნია გულში. შემთხვევით ისიც გაუგია, რომ ამ გოგოზე მის უფროს ძმასაც მზე და მთვარე ამოსდიოდა. უმცროსს პირველი გრძნობა გულში ჩაუმარხავს, საშოვარზე წასვლა მოუმიზეზებია და მამაპაპისეული სახლიდან ფეხი ამოუკვეთია... ეს საიდუმლო ვიღაც იქაურ ქალს წამოცდენია კახეთიდან ჩასულ სტუმართან, როცა გიორგის ამბავი უკითხავს...

აი ასეთი ხალხი იჯდა იმ ღამით, მაღლობზე წამომართული სახლის აივანზე, რომელიც ალაზნის ველს გადასცქეროდა.

ლხინს ბოლო არ უჩანდა. სადღეგრძელოს სიმღერა მოსდევდა. სიმღერას სჯა-ბაასი, ხუმრობა და სიცილ-კისკისი. და როცა ცის ტატნობი ოდნავ შეცისფერდა, თამადის დღეგრძელობის ჯერიც მოვიდა. ვინ რა უთხრა და ვინ კიდევ რა. ნატაშამ უბრალოდ რამდენიმე სიტყვის გადაბმაც ვერ მოახერხა. ამიტომ მივიდა მოხუცთან, მკერდზე მიეხუტა და ლოყები დაუკოცნა. ლიდია ალექსეევნაც ასე მოიქცა. დიმიტრი პეტროვიჩი და აბაიდულა უკვე საკმაოდ გაწაფულად წარმოსთქვამდნენ სადღეგრძელოებს. მოხუცს დაჟინებით აჯერებდნენ, რომ სულ ცოტა ორასი წლის სიცოცხლე მაინც განაღდებული ჰქონდა. გიორგი ამაზე გულიანად იცინოდა და განიერ მკერდზე მჭიდროდ შემომდგარ ხალათს სრესდა თითებით, ყველას დასანახად.

— იმიტომაც მიყვარს ამ ხალათის ჩაცმა შინაურობაში... ღმერთს ვატყუებ, ღმერთს! სიკვდილის ანგელოსი თუ გამომიგზავნა, ბიჭი ვეგონები და გვერდს ამივლის.

ამ ხუმრობას გიორგიმ კიდევ ერთი უცნაური ლეგენდა მოაყოლა:

სწორედ ჩემი ხნის კაცს მიქელ-გაბრიელი დაადგა თავზე — სული უნდა ამოგხადოო. კაცს სიცოცხლე არ ეთმობოდა, ამიტომ სულთამხუთავს შესთავაზა — შენ ამით რა დაგაკლდება, ხუთასი წელი კიდევ მადროვეო. მიქელ-გაბრიელისათვის ასეთი ახირებული თხოვნით კაცთაგან არავის მიუმართავს და იმანაც ადროვა. ხუთასი წელი რომ გავიდა, ისევ მოაკითხა. კაცმა შესჩივლა — ღმერთი არა გწამს, გაჭირვებასა და ვაი-უბედურებაში გატარებულ დღეებსაც რომ მითვლიო?! მიქელ-გაბრიელს პირველად გაეცინა სიცოცხლეში — ჯანდაბას შენი თავი, კიდევ მიდროვებიაო. მეორე ხუთასი წელიც რომ გავიდა და მიქელ-გაბრიელი დალანდა, კაცმა ეშმაკობა იხმარა — რაკი საშველს არ მაძლევ, ჩემი სული ბარემ ეკლესიაში მიიბარეო. სიკვდილის მოციქული რას კარგავდა, დათანხმდა, მივიდნენ ეკლესიასთან. კაცმა უთხრა — შენ აქ დამიცადე, ერთი პატარა სალაპარაკო მაქვს ღმერთთან და როცა მოვრჩები, შენი ცელი, ჩემი კისერიო. კაცს ძალიან რომ შეაგვიანდა, მიქელ-გაბრიელი ეკლესიაში შევიდა. ხედავს, მისი მსხვერპლი საკურთხეველთან ჩამხობილა და თავი ხელებში ჩაურგავს. მიქელ-გაბრიელი შეუწყრა—ამდენი ლოდინის თავი სადა მაქვს, შენი აღსასრული მოვიდა, შეემზადეო. კაცმა დანანებით უთხრა — თუ შენსას მაინც არ დაიშლიდი, სული ბარემ პირველი მოსვლისას ამოგეხადა ჩემთვის, ათასი წელი ვითარცა ერთი წამიო.

„ათასი წელი ვითარცა ერთი წამი!.. სიცოცხლით როგორი გაუმაძღრობაა ამ ლეგენდაში?! — გაიფიქრა ნატაშამ. — ასეთი ხალხი, ალბათ ძველ დროშიც ტაძარს უგებდა არა იმდენად უხორცო ღმერთს, რამდენადაც სავსე მიწიერ სიცოცხლეს!...“

ნატაშასათვის ერთბაშად გასაგები გახდა, თუ საიდან მოდიოდა სითამამე, რომელმაც ესოდენ განაცვიფრა ალავერდის ტაძრის ხილვისას. რატომღაც განმარტოება მოუნდა და სუფრიდან წამოდგა. მხრებზე მოხურულ პიჯაკში მჭიდროდ გაეხვია და აივნის კუთხეში მოაჯირს გადაეყრდნო.

ღამის მუქ-იისფერ ბინდში დანთქმული ალაზნის ველზე აქა-იქ ციმციმებდა სინათლე. მთვარის გამთანგავ შუქში გახვეული ალაზანი თითქოს არ იძვროდა. მისი გრძელი და სრიალა ტანის ნამსხვერევები ცივად კრიალებდა ბინდბუნდში. მაგრამ ნატაშა იდუმლად გრძნობდა, რომ მთვარის შუქით სავსე, გაყუჩებულ სივრცეში კვლავაც გრძელდებოდა სილამაზის მარადიული, დაუშცხრალი ქმნადობა.

სუფრაზე მღეროდნენ „მრავალჟამიერს“.

ნატაშა წელში გაიმართა და უსაზღვრო სივრცეში თეთრი ხომალდივით შემოცურებულ მთათა მწვერვალებს შეაცქერდა. მათ თავს ზემოთ გაიკრიალა რაღაც წითელმა წერტილმა, რომელიც ნელ-ნელა გაჰქრა.

„თანამგზავრი თუ იყო!“

იქ, იმ მთებს იქით იწყებოდა ნატაშას სამშობლოს ვრცელი ტრამალები. უფრო ზევით კი გადაშლილიყო დიდი და უსაზღვრო სივრცე კოსმოსისა, სადაც ციმციმებდნენ მარადიულობის გუშაგები — ჩახჩახა ვარსკვლავები.

რა იყო მათთვის მთელი გრძელი ხანა კაცობრიობის არსებობისა?!

ალბათ მცირე რამ ჟამი, ვითარცა ერთი წამი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# დავითი

## ნოველა

დავით ბეშკენაძემ გამომარგლული სიმინდის უკანასკნელი კონა გამოიტანა, ბჟოლის ქვეშ დაყარა და თვითონაც მოწყვეტით ზედ დაეცა. მზე იკბინებოდა. ივლისის სიმინდს უწყლობისაგან ტანი ვერ აეყარა და მოქვეჩილი ფოთლები შუადღის მცხუნვარებას მოეხუფა.

— დეიწვა ქვეყანა. ტყუილად ვთოხნი, სულ ტყუილად, ტაროს გამომღებია აწი ეეს? მეტი არ იქნა ჩემი მტერი. — ხმამაღლა ფიქრობდა დავითი, ამთქნარებდა და მტკივან მუხლზე ხელს ისვამდა. შუადღე, ჭრიჭინობლების გაუთავებელი ნანინა და გრილი ჩრდილი დავითს წამინების დიდ სურვილს აღუძრავდა და დაღლილ მოხუცს მალე ჩაეძინებოდა კიდეც, რომ მთვლემარეს ცოლი არ წამოდგომოდა.

— დაყრუვდი კაცო შენ? — ჰკითხა პარასკევამ.

— რა იყო?

— რა იყო და საათია ვყვირივარ. სტუმრებია ვინცხა.

— რა უნდათ?

— რა ვიცი მე, დავითი გვინდაო. ხელში ბოცა უჭირავთ. მე მგონი, ღვინოზე არიან მოსული.

— ვერ ამოუღე მერე შენ?

— ა, კიდო, რა ვიცი მე რომელი უნდა ამომეღო.

— აქოურები არიან, თუ იცი?

— არა, მე მგონი, პორფილე ზვიადაძისას რო არიან გაჩერებული, ის ხალხი უნდა იყვნენ.

— ამოგეღო მერე შენ. სად მცალია ახლა მაგიზა.

— რავა ამომეღო?

— მანეთათ, არ იცი რავა ვყიდით?

— რომლიდან?

— რა რომლიდან, რომლიდან და ხუტუნიის ხუთკოკიანიდან. რომელი მაქვს აბა მეტი, — ამბობდა დავითი, შარვლის ამხანაგის ზონრებს მუხლსქვემოთ იკრავდა და დაბჟუებულ ფეხებს მიწისფერ წაღებში ყოფდა, — საით არიან?

— ჭიშკართან, სახლში არ შემომყვნენ არაფრით, — მიუგო პარასკევამ და როცა დავითმა ნაბდის ძველი ქუდი თავზე მოიგდო, ცოლმა მზრუნველი ხელით გაუსწორა. გასწორება კი იმით გამოხატა, რომ გვერდზე მოუქცია. ახლა დავითს ქუდი ნაპოლეონისებურად, გარდიგარდმო ეხურა.

ჭიშკართან ორნი იდგნენ.

უფრო ახალგაზრდას თეთრი შარვალი და შავი მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ყავისფერი სანდლებიდან

ბალნიანი ფეხის ზურგი მოუჩანდა, ხელში სამბოთლიანი ბოცა ეჭირა და გრიშა ერქვა; უფროსს ნეილონის თეთრ პერანგზე მოკლე შავი ჰალსტუხი ეკეთა. ჰალსტუხის სამაგრზე მამლის გამოსახულება მოუჩანდა. იგი ძველმოდურ რკინის სათვალეებს ადგილს წამდაუწუმ უცვლიდა, რადგანაც ეტყობოდა, სათვალეები ცხვირზე აჭერდა. უფროსს ჯიბეებში ეწყო ხელები და სახელად მიშა ერქვა.

დავითი კოჭლობით გამოვიდა ვენახბოლოდან. ლაფაროში დადგმულ უშველებელ კასრში თავი ჩაყო და სწრაფადვე ამოსწია, წყალი გამთბარიყო, მერე ქუთუთოებზე წვეთები შეიფერთხა და ჭიშკართან მორჩილებით მდგარ სტუმრებს გახედა, ცოტა ხანს უყურა, რაღაც ჩაიბურტყუნა და ისევ კასრში ჩაყო თავი. მერე ოდა სახლზე უკანა კიბიდან აირბინა, თავ-პირი შეიმშრალა, მიწისფერ ფეხებზე ერთი კოკა წყალი გადაიცალა და ოფლისაგან შეჭმულ პერანგზე სატინის ქღალი ორგულისჯიბიანი ბლუზახალათი გადაიცვა, ჯარიდან ჩამოყოლილი ბრტყელი ქამარი ერთხანს ეძება. მერე ხელი ჩაიქნია და, როგორც იქნა, საპარადო ჩამოსასვლელზე მისი ოთხად მოკეცილი ფიგურა გამოჩნდა.

ლოდინით დაღლილმა სტუმრებმა შვებით ამოისუნთქეს.

სანამ სტუმრებამდე მიაღწევდა, დავითი ერთხელ კიდევ შეჩერდა. ერთხანს უყურა მოსულთ და მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღოო, რამდენადაც კი შეეძლო, ჩქარა, ჩლახუნჩლახუნით წამოვიდა.

სტუმრებმა სალამზე თავაზიანად უპასუხეს.

— დაიწვა ქვეყანა, — თქვა დავითმა და სტუმრებს კოინდარში ცაცხვის ქვეშ ქვის სკამებზე დასხდომა შესთავაზა.

სტუმრებმა მასპინძლის აზრი ქვეყნის დაწვის შესახებ ერთხმად გაიზიარეს.

— პატარა საქმე გვქონდა, — დაიწყო უმცროსმა და უფროსს შეხედა. მიშა სადღაც შორს იცქირებოდა.

— რაში იყო საქმე? — იკითხა დავითმა.

— ღვინის საკითხზე, ერთი სიტყვით, გვინდოდა მცირე ღვინო, რასაკვირველია; გვითხრეს მთელს სოფელში, რა თქმა უნდა, ყველაზე კარგ ღვინოს აკეთებსო, — თქვა მიშამ, მერე უცებ ბოლო სიტყვა არ მოეწონა და დაუმატა, — ამზადებსო, — არც ეს მოეწონა და ისევ გადააკეთა — აყენებსო.

— კარგიც ეგაა და ავიც. ახლა სოფელში მარტო მე მაქვს ღვინო. მეც ცოტა შემომრჩა. შარშანდელი ქე თავდება, ახალი ჯერ სადაა. ასე რომ, ღვინო ახლა ძნელი საშოვარია.

— ჩვენ ცოტა გვინდა, — თავი შეაცოდა მასპინძელს გრიშამ.

—ერთი სიტყვით, რაც ამ ჭურჭელში ჩაეტევა.

— მაგაში სამი ბოთლი ჩადის, — დაუფიქრებლად თქვა მასპინძელმა.

— დიახ, დიახ. — დაეთანხმა მიშა.

— რად გინდათ? — უცებ იკითხა დავითმა და თვითონვე გაუკვირდა, რადგანაც ღვინის მთელი ისტორიის მანძილზე მას მხოლოდ ერთი მიზნით ყიდულობდნენ.

უმცროსმა უფროსს შეხედა. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— ერთი სიტყვით, უნდა დავლიოთ, რასაკვირველია.

— თქვენ? — ისევ იკითხა მასპინძელმა.

— დიახ მე და ბატონმა მიშამ უნდა დავლიოთ, — მოწყენილად თქვა უმცროსმა.

— აა, ჰოოო, — კეფა მოიფხანა დავითმა, თითქოსდა უნდოდა ეთქვა, რაკი დასალევად გინდათ და ისიც თქვენ ორს, რა გაეწყობაო.

— მანეთი უნდა ბოთლს, — საქმეზე გადავიდა მასპინძელი.

— ბატონო? — იკითხა გრიშამ.

— მანეთითქვა.

უმცროსმა უფროსს რაღაც გადაუ-

ლაპარაკა, მერე უფროსმა გადმოულაპარაკა და გრიშამ თქვა:

— ბატონი მიშა ამბობს, კვირას ბაზარში ოთხმოცი კაპიკი ღირდაო. მაგრამ არა უშავს, ჩვენთვის ფასს არა აქვს მნიშვნელობა.

— არა, ბატონო. ოთხმოცკაპიკიანი ღვინო არა მაქვს მე. შვლაპს სამოცათაც ქე იშოვი. ერთი სიტყვით, თუ გინდათ ასეა. თვარა და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მე ასე ვყიდი ოცი წელიწადია.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ჩვენთვის ფასს მნიშვნელობა არა აქვს. თუ შეიძლება ჩქარა ჩამოგვისხით, ბატონი მიშა სამ საათზე სადილობს, — თქვა უმცროსმა და ბოცა კონდარზე დადო. ბოცა წაიქცა. უმცროსმა ბალახი ხელით გასწი-გამოსწია და ბოცა ფეხზე დააყენა.

— წამობრძანდით, — თქვა დავითმა და ბოცას ყელში წაავლო ხელი.

ზეთისხილის ალაგეს გადააბიჯეს და ლობიოგაყოლებულ ორღობეში გავიდნენ. დავითი საქათმესთან შეჩერდა, გიდლიდან ერთი მუჭა სიმინდი ამოიღო და უხმოდ შეყარა საქათმეში. სიმინდის ჩხრიალზე ქათმებმა ბალახის წიწკნას თავი ანებეს და საკენკის ხათრით საქათმისაკენ ერთმანეთს ასწრებდნენ. დავითმა კარი მიუგდო და სამზადსს გასძახა: „გესმის?“ ის ქალალი გაიმასქენი, წყალი დოუსხი და მალე ქენი მაქა!“

სტუმრებმა მთლად კარგად ვერ გაიგეს დავითის ნათქვამი, ერთმანეთს გადახედეს და მასპინძელს მიჰყვნენ.

მარანში სასიამოვნო სიგრილე იყო და ისე არ ბნელოდა, რომ უშველებელი საწნახელი და პატარ-პატარა გორაკებად ამობურცული ქვევრისთავები ვერ შეემჩნიათ.

დავითმა ერთ ქვევრთან ჩაიმუხლა. ჯერ ბრტყელი ქვა აალალა, მერე სათითაოდ, ფრთხილად სდებდა გვერდზე ქვევრისთავზე დაფარებულ ტყავის ნაჭრებს და, როცა ქვევრის ბნელი მუცლიდან ღვინის სასიამოვნო სუნმა იფეთქა, კედელზე თავდაღმა დაკიდებული ორშიმო ჩამოხსნა, ფრთხილად ჩაყო და გრილ ღვინოში ამოვლებული ორშიმო ჯერ თვითონ მიიტანა ტუჩებთან, დალია და რაკი დარწმუნდა ნაკლულს ქვანგი არ მოჰკიდებიაო, სტუმრებს გადააწოდა. სტუმრებმა სათითაოდ გასინჯეს და ისე სერიოზულად აკეთებდნენ ამას, თითქოს რაღაც რთული პრობლემის წინაშე დგანანო. მალე დავითმა ბოცის ყელში დიდი ძაბრი ჩადო (ხელით ცოტა მაღლა დაიჭირა, საჭაერო დაუტოვა) და სამი ამოღება ორშიმოთი სტუმრების სამლიტრიანი ბოცა პირთამდე გაავსო.

ამასობაში პარასკევამ შემოაღო კარი და გობით ჭიქები, ჭადი, სქლად დატეხილი ყველი და პრასის მწნილი შემოიტანა; ეს ყველაფერი ტაბურეტის სკამზე დააწყო და გავიდა.

— კარს ჯოხი მოუბიჯგე, თვარა ვერ ვხედავ ვერაფერს, — მიაყოლა მეუღლეს დავითმა.

როცა მარანი განათდა, სტუმრებმა პირველად მასპინძლის ხელში შემართულ ჭიქას შეხედეს, ჭიქა ქარვისფრად ანათებდა.

პირველი ხუთი სადღეგრძელო მასპინძელმა ტრადიციული წარმოთქვა. იგი მოკლე, მაგრამ ბუნდოვან სიტყვას იტყოდა და ჭიქას რატომღაც გრიშას გადააწოდებდა. გრიშა ჭიქას გამოართმევდა და მიშას შეხედავდა. მიშა შორს იყურებოდა, მაგრამ როცა მისი რიგი მოაწევდა, გრძელი და გულისამაჩუყებელი სიტყვით დაამშვენებდა იქაურობას. უმცროსი აღტაცებული შესცქეროდა თავის ხელმძღვანელს და როცა მერვე ჭიქაზე მიშას სათვალე ჩამოუვარდა, გრიშამ ფრთხილად აიღო და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაუდო. მიშას იმ დღეს უკვე აღარ დასჭირდებოდა სათვალე.

როცა პარასკევამ გობით ცხელი მჭადი,შემწვარი ვარია და ყველით გაპენტილი ორი ხაჭაპური შემატა სუფრას, მეჭაშნიკეებს ტაბურეტის სკამი აღარ ეყოთ და ტაბაკზე გადაინაცვლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და ბოლოს, როცა გრიშას მოტანილი ბოცა სამჯერ დაიცალა და სამჯერ გაივსო, მარნიდან ტკბილზე უტკბილესი „ბროლის ყელსა“ მოისმოდა. მხოლოდ კრიტიკულად განწყობილი კაცი და ისიც თუ კარგად მიაყურადებდა, მიხვდებოდა, რომ ერთი რომელიღაცა ურევდა, მაგრამ რომელი, შეიძლებოდა გასჭირვებოდა დადგენა. რა მოხდა მერე? — ერთი ხშირად ურევს.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა დავით ბეშკენაძე ორ მოთავებულ არსებას შორის ჩამდგარი, თვითონაც გახეთქილი მთვრალი ჭიშკრისკენ მიიკვლევდა გზას. სტუმრები მხრებზე ჩამოჰკიდებოდნენ დავითს და მადლობის ნიშნად რაღაცას მხოლოდ ძალიან მთვრალთათვის გასაგებ ენაზე ლუღლუღებდნენ. პროცესიას უკან პარასკევა მოჰყვებოდა ჭრაქით ხელში. არ ჩამიქრესო და პარასკევა ქარის მხარეზე სანათურს ხელს აფარებდა; სხვა მხრივ, ვინც ფხიზელი იყო და შეგრძნების შნო ჰქონდა, მშვენიერი, გრილი საღამო იყო.

დაიწყო გამომშვიდობების ცერემონიალი. სტუმრები მოთქმით ტიროდნენ. ჯერ ერთი ჩაეხვეოდა დავითს, მერე წავიდოდა წინ, ამასობაში მეორე იხელთებდა და დაუკოცნიდა დამჭკნარ ყელს, როცა მეორე წავიდოდა, პირველი უკვე მობრუნებული იყო და ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

უეცრად ჭიშკარსგაცილებული გრიშა შემოტრიალდა, სავსე ბოცა მიშას შეაჩეჩა, ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და მასპინძელთან მიხვეულ-მოხვეული გზებით მოვიდა.

— რა არის ეს, ბიძიკო? — ჰკითხა დავითმა.

— ღვინის ფული, ბატონო! — თვალებს ნაბავდა გრიშა.

— კი ბიძია, ახლავე, — ჩაილაპარაკა დავითმა, გრიშას ხუთმანეთიანი გამოართვა, გულისჯიბიდან ორი დაკეცილი მანეთიანი ამოიღო და ხურდა დაუბრუნა.

—მმადლოობთ! — დიდხანს ისმოდა სიბნელეში გრიშას გულიდან ამომსკდარი სამადლობელი.

* * *

როცა პარასკევა თავის გადამთვრალ, ტახტზე გადაქცეულ ქმარს წაღებს ხდიდა, თან ჩასძახოდა:

— დაბერდი და ჭკუა ვერ ისწავლე, შე უბედურო, რო არ გამსკდარიყავი არ იქნებოდა დღეს!

— რა მექნა აბა?! — ჭრელ მუთაქას ჩასძახოდა დავითი.

— ეს სამი მანეთის გამორთმევა მაინც რა იყო, შე გადარეულო!

— რრა გესმის ქალო შენ. მე რროცა შენ ჭკუაზე გევივლი, მკვდარი ვიქნები მაშინ. წესი წესია. რა ჭირდათ ჩემი სამოწყალო და საჩუქებელი. ეგება ქე ეწყინოს ზოგიერთს, ვინაა შენი სამი ბოთლი ღვინის მათხოვარიო. თთანაც ფულს რომ არ ართმევ, ჩვენი კაცი ამნაირია, ფიქრობს, ეტყობა რაღაცა უბედური გამატანა და შერცხვა ფულის გამორთმევაო. აპა, ასეა ცხოვრება!

— კი, კი, მასეა მთლად, წავა ის უცხო კაცი და დაგცინებს.

— თუ კაცია, არ დამცინებს, პირიქით გული დამშვიდებული ექნება, ასთეა ეს!

— გადმობრუნდი, გადმობრუნდი თვარა, ველარ ითქვამ სულს, შე უბედურო, — მხარზე აწვებოდა დედაკაცი თავის ქმარს და გადმობრუნებას ცდილობდა.

— ფული რატომ გამოართვიო, შენს ჭკუაზე იარა ჩემი მტრის გვარმა და ჯილაგმა, შენ მაგი არ იცოდე, შენ, მაგი... შენ... არ გესმოდეს... ასთე არის ეს... ესაა ასთე... შენს ჭკუაზე... ჩემმა...

პარასკევამ ქმარი დააძინა, ჭრაქი გაიმძლვარა და მარანს მიაშურა, ამ გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს ჭური თავლია ხომ არ დარჩენიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა

ქუჩაში კინოფილმს იღებდნენ. ფილმის ის ნაწილი, რომელიც მაინცადამაინც ამ ქუჩაზე უნდა გადაეღოთ, ასეთი გახლდათ: „მოსახვევიდან გამორბის შეშფოთებული ქალი. ხელს უქნევს ავტომანქანებს. თითქოს პირი შეკრესო, არავინ არ უჩერებს. ბოლოს „ჟიგულის“ მარკის შავი მანქანა გამოჩნდება. შეშფოთებული შოფერი ქალის დანახვისას სწრაფად დაამუხრუჭებს. ქალი (იგი ახალგაზრდა და მოხდენილია) უკანა კარს გამოაღებს და ჩაჯდება. შოფერი უკან მიუხედავად, ელვის სისწრაფით დაძრავს მანქანას, მარჯვენა ხელს ჯიბეში ჩაიყოფს და ქალს სიგარეტის კოლოფს გადააწვდის. „გმადლობთ, არ ვეწევი“ — მიუგებს ქალი“. რა თქმა უნდა, ამ დეტალის მიხედვით ძალიან ძნელი იყო მომავალი ფილმის ავ-კარგზე მსჯელობა, მაგრამ ბაგირით გადაღობილ ქუჩას კინოსმოყვარულნი მაინც აწყდებოდნენ. ეპიზოდი თითქოსდა უმნიშვნელო იყო, ფილმის გადამღებ კოლექტივს კი დიდი წვალება უხდებოდა. ტრანსპორტის მოძრაობა რომ შეფერხდა, ეს არაფერი, რეჟისორი ჭირვეულობდა, მას ეჩვენებოდა, რომ ყველაფერს ხელოვნურის იერი დაჰკრავდა. ამიტომაც იყო ერთი აურზაური, ოპერატორის ნერვიული ამოოხვრა, გაუთავებელი რეპეტიცია და დუბლგადაღება. იუპიტერებთან მდგომი ბიჭები ნახშირის გამოცვლას ვერ აუდიოდნენ. რეჟისორი წამდაუწუმ რუპორს იმარჯვებდა და რუსულად რაღაცას ჩასძახოდა. ღონემიხდილი მსახიობი ქალი უკვე მეათასედ გამორბოდა მოსახვევიდან და მანქანების მდინარეში იჭრებოდა.

ამ გაწამაწიაში ცნობისმოყვარეთა შესაკავებელ თოკს ვიღაცამ გადმოაბიჯა და რეჟისორისაკენ გაემართა. უცნობი საშუალო ტანის, მსუქანი მამაკაცი იყო, ხელში პატარა გალია ეჭირა და შიგ ყვითელნისკარტა კანარის ჩიტი ფართხალებდა. იგი რეჟისორის და ოპერატორის თანაშემწეთა გამაფრთხილებელ შეძახილებს ყურადღებას არ აქცევდა, გალიას მიიქნევდა და თავდახრილი, საქმიანი ნაბიჯით, რეჟისორს უახლოვდებოდა. უცნობი უცხო ადამიანისთვის დასაშვებ მანძილზე უფრო ახლოს მივიდა რეჟისორთან და თითქმის ყურში ჩასძახა. რეჟისორი მოტრიალდა. ისინი ერთხანს საუბრობდნენ. უცნობი დაჟინებით უმტკიცებდა, რეჟისორი კი ჯიუტობდა. იგი დოინჯშემოყრილი იდგა მოსულის წინაშე. მერე, როგორც ჩანს, ცოტა აღელდა და დამაჯერებელი ჟესტებით რაღაცის ახსნას ცდილობდა. ზოგჯერ უნებლიედ რეჟისორი რუპორს პირს მიუახლოვებდა და ეთერში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ასეთი სიტყვები ისმოდა: „ვიცით... ეს ხომ კინოა... ვისთან მაქვს საუბრის პატივი?.. კი... დიახ... ჩვენ ხომ არ ვერევით... ჰმ... ჰმ..“ მერე უცნობმა საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა. რეჟისორმა ზურგი შეაქცია. უცნობიც გამობრუნდა და წელანდელივით ნელი, საქმიანი ნაბიჯით ბაგირისკენ გამოემართა. ეს უცნობი შოთა თვალჭრელიძე იყო.

შოთას სხვის საქმეში ჩარევა უყვარდა. ახირებული კაცი იყო შოთა. მისი ყველაზე საყვარელი საქმე სხვათა დარიგება, მითითება, სწავლება იყო. შოთას შეეძლო ეკამათნა ყველასთან ყველაფერზე. იგი უაღრესად მოსიყვარულე გულის მქონე, დაუზარელი კაცი გახლდათ. დიდი ხალისით ეხმარებოდა ყველას, განურჩევლად იმისა, საჭიროებდნენ თუ არა დახმარებას. სამსახურიდან წამოსული შოთა საათობით იდგა ასფალტის დამგებ მუშებთან და უსწორებდა, ასწავლიდა, განუმარტავდა. მშენებლობის ტექნიკაზე საუბრობდა სახლებისა და ელსადგურების მშენებლებთან, პარსვის ხელოვნებას ასწავლიდა დალაქებს, ხორცის დაჭრასა და განაწილებას — ყასაბებს, ელექტროწერტილების დამონტაჟებას

— მონტიორებს. შოთა ყოველთვის მსმენელებით იყო გარშემორტყმული. იქ, სადაც შოთა გამოჩნდებოდა, სხვები მხოლოდ მსმენელის როლით კმაყოფილდებოდნენ და შიგადაშიგ მოკრძალებულ შეკითხვებსაც ჩაურთავდნენ. შოთა უმეტეს შემთხვევაში სწორ რჩევას იძლეოდა, სიმართლეს ამბობდა: სხვის საქმეში ჩარევა შოთას სტიქია იყო. როცა უცნობ უბანზე გამოჩნდებოდა, შოთა რამდენიმე სიტყვით აბამდა მათთან ინტიმისა და გულწრფელობის ძაფებს. თუ ზოგჯერ სტყუოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის მოესმინათ და არამკითხე მოამბედ არ ჩაეთვალათ. ვთქვათ, აბანოს თანამშრომლებთან მივიდა: შოთა საუბარს იმით იწყებდა, რომ თავს აბანოს საქმის ყოფილ სპეციალისტად გაასაღებდა. შოთა მონადირეთა შორის: „ვერ მიცანით, მე ძველი მონადირე ვარ, ბავშვობაში შავ შოთას მეძახდნენ“. შოთა ჰონთა შორის: „ბარე ოცი წელიწადი ვიმუშავე მექუდედ, ბავშვობაში შავ შოთას მეძახდნენ“. შოთა ელმავლის მემანქანეებთან: „პირველი ელმავალი მე გავიყვანე. საწირესა და კორბოულს შორის. შოთა ვარ მე, თვალჭრელიძე, არ გახსოვართ?

შოთა, რა თქმა უნდა, არავის არ ახსოვდა, მაგრამ მის დარიგებას უმეტესობა გულისყურით ისმენდა. შოთა სპორტული კულისების ხშირი სტუმარი იყო. ყოფილი ფეხბურთელი, ყოფილი მოჭიდავე, ყოფილი ჩოგბურთელი და ვინ მოსთვლის კიდევ რად ყოფილი შოთა ხმის ჩახლეჩამდე უხსნიდა სპორტსმენს, რომ იგი არ აკეთებდა ისე, როგორც საჭირო იყო და თუ შოთას დაუჯერებდა, არ წააგებდა.

შოთა თვალჭრელიძე უანგარო კაცი იყო. მას საყოველთაო სიკეთე და ჰარმონია სურდა. მართალია, ძალიან იღლებოდა, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. ყველაფერში უნდა ჩარეულიყო, ყველაფერზე თავის აზრი უნდა გამოეთქვა. ყველას რაღაცით უნდა შეწეოდა, დახმარებოდა. ზოგიერთისთვის ყოვლისმცოდნის მანერა, ხელოვნური შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით მალად მიღებული პოზაა, შოთასთვის კი იგი ხასიათის თვისება იყო. შოთას მართლა ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი იცოდა. იგი სხვების ნამოქმედარში მუდამ ამჩნევდა ნაკლს და გაჩუმება არ შეეძლო. შოთა არასოდეს არავის არ უჩიოდა, ზურგსუკან ლაპარაკი ჭირივით სძულდა. იქვე პირში ეტყოდა კაცს სათქმელს და თუ დაუჯერებდნენ, ხომ კარგი, თუ არადა წელანდელივით საქმიანი, სერიოზული იერით უკან ბრუნდებოდა. იგი იმ წუთში ვალმოხდილი კაცი იყო. თავისი სათქმელი თქვა. რადგანაც შოთას ცოტ-ცოტა ყველაფერი გაეგებოდა, ბუნებრივია, იგი ხშირად წუნმდებლის როლში გვევლინებოდა. თავის წონასთან შედარებით (იგი ბოლო ოცი წლის განმავლობაში საოცრად სტაბილური წონისა იყო არც მეტი, არც ნაკლები, ას ოც კილოგრამს იწონიდა, მოქნილი და მოძრავი კაცი იყო და ხშირად იცოდა, მე რომ ნორმალური წონა მომცა, არცერთ სპინტერს წინ არ გავუშვებდიო. ვინ იცის, იქნებ მართლა არ გაეშვა, მაგრამ ნორმალური წონა შოთასთვის აუხდენელი ოცნება იყო. რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ ვერა და ვერ დაიკლო. შოთა მჭამელი კაცი გახლდათ და ერთი კვირა რომ მაწონზე ყოფილიყო, ბოლოს ერთ ჭამაზე აინაზღაურებდა „დანაკლისს“. მისდაილბლად, არ იმატებდა. საყოველთაო დამრიგებლად ყოფნა ისე იოლი როდი იყო, როგორც შეიძლება საქმეში ჩაუხედავ კაცს მოჩვენებოდა. შოთას ხშირად არ ეთანხმებოდნენ. მის რჩევას დილეტანტის ლაყბობად თვლიდნენ და ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც. მაშინ შოთა თვალჭრელიძე წუხდა. იშველიებდა ავტორიტეტებს, იფიცებოდა, მიმართავდა თვალსაჩინოების ხერხს, მოჰქონდა ამონაჭრები გაზეთებიდან. მანამ არ მოეშვებოდა მოკამათეს, სანამ თავის სიმართლეში არ დაარწმუნებდა. ზოგჯერ შოთას მისი გულწრფელი სურ-

ვილისათვის უქნევდნენ თავს თორემ, რასაკვირველია მისი ყოველთვის რომ ყოველთვის როდი სჯეროდათ.

ასეთი ბუნების კაცთან მეგობრობა ადვილი როდია. ამიტომ შოთას მეგობრები ცოტა ჰყავდა. თუ ვინმე დაუახლოვდებოდა ,იცოცხლე, შოთამ ძმური სიყვარული და ღირსეულ კაცზე თანგადაყოლა იცოდა, მაგრამ რაღ გინდა, თავის თუნდაც-მცდარ პოზიციას ღმერთის წინაშეც არ დათმობდა, თეთრზე თუ იტყოდა, შავიაო, უნდა დათანხმებოდი. ასეთი აჩირება და სიჯიუტე ადამიანის დიდი ნაკლი გახლავთ, შოთას მეგობართაგან ბევრი ვერ შეეგუა ამ ნაკლს და თანდათანობით დაშორდა. სერგო კაკაბაძე კი შოთას უახლოესი და განუყრელი მეგობარი იყო.

სერგო, ალბათ, ერთადერთი კაცი იყო ქვეყანაზე, რომელიც შოთას არასოდეს არ ეკამათებოდა. სჯეროდა თუ არა ყოველი პუნქტი შოთას მოძღვრებისა, ეს სხვა საქმე იყო. სერგო კაკაბაძეს იუმორის გრძნობა გამახვილებული ჰქონდა და ზოგჯერ ვერც კი გაიგებდი, სერიოზულად ამბობდა რამეს, თუ ირონიულად. მაგრამ ერთი რამ ფაქტი იყო — სერგო კაკაბაძე და შოთა არასოდეს არ კამათობდნენ. მეგობრებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. სერგოს ოჯახში ჰიქა არ აიწეოდა უშოთაოდ და პირიქით. სერგო, რასაკვირველია, ხვდებოდა, რომ შოთა ზოგჯერ აჭარბებდა. მისი ჰიპერბოლიზებული ნაამბობიდან სერგო თავის გულში მისხალ-მისხალ ცალ-ცალკე დაალაგებდა მართალს და ტყუილს, მაგრამ პირში არასოდეს არ შეტეხავდა. სერგომ იცოდა, რომ შოთა უბოროტო კაცი იყო და, რაც მთავარია, მასწავლებლად, მწვრთნელად იყო გაჩენილი. სერგო წითლდებოდა, როდესაც მას შოთა რომელიმე უვნებელ ტყუილზე მოწმედ დაასახელებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. იგი შოთას მეგობარი იყო და ამ მეგობრობის ხათრით ზოგჯერ ცრუმოწმის უსიამოვნო ტვირთსაც კისრულობდა.

ბოლოს ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ შოთას და სერგოს მეგობრობა კინაღამ ჩაშალა. იმ საღამოს შოთას ბინაში მეგობრები ტელევიზორს უყურებდნენ. ცისფერ ეკრანზე პარაშუტით სარეკორდო ხტომებს უჩვენებდნენ. შოთა აწრიალდა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და სერგოს მიუბრუნდა.

— ნახევარმა არ იცის გადმოხტომა. ოსტატების ნახტომს ჰგავს ეეს?

— რას უწუნებ? — ჰკითხა სერგომ.

— რას და, ჯერ ერთი, პარაშუტის გასახსნელი ზონარი მარჯვენა ხელთან, წელს ქვემოთ უნდა ჰქონდეს. არცერთს სწორად არა აქვს პარაშუტი მოკიდებული. მეორეც, გადმოხტომის დროს წინ ხელგაშვერილი უნდა მიფრინავდე, ესენი კი ზურგით ხტებიან. დაფრენის მერე ნახევარი არასწორად კეცავს პარაშუტს — იცრუა შოთამ.

— შენ გადამხტარხარ? — ჰკითხა სერგომ. შოთამ გაუღიმა, მორცხვი, კეთილი ღიმილით და განუმარტა, — მე, ჩემო სერგო? მე ხომ ფაქტიურად პარაშუტისტი ვარ. მეტს რას ვაკეთებდი ბენდელიანის სკოლაში. ულამაზესი ნახტომი მქონდა. „შავ შოთას" მეძახდნენ. ორიენტაცია ბრწყინვალე. ექვს მეტრზე ვშლიდი პარაშუტს. ამასწინათ შემხვდა ჩემი პოდპოლკოვნიკი, რომ ვუთხარი, „გულთამზეში" ვმუშაობ მეთქი გადაირია. საცემი არა ხარ ახლა შენო? პარაშუტს რავა დაანებე თავიო. ეეხ... ეგენი მოვიდოდნენ ჩემთან?! — ამოიოხრა შოთამ.

— რაღაც ტყუილს ჰგავს ეს ამბავი, — ყრუდ ჩაილაპარაკა სერგომ. იმ საღამოს სერგო ცუდ ხასიათზე იყო, თორემ მეგობარს როგორ აწყენინებდა.

— მართლა არ იცი შენ? — გაიღიმა შოთამ — არ გაგიგონია არასდროს ჩემი პარაშუტისტობის ამბავი?

სერგო გაბრაზდა.

— რა მოგივიდა ბოლოსდაბოლოს, ნამეტანიც არ შეიძლება. ათი წელია მომკლა შენმა ტყუილებმა. შენ გგონია მჯერა, რასაც ამბობ? შენ გგონია მომწონს ყველას ჰკუას რომ არიგებ და

ყველა საქმეში ერევი? რა არის, შე კაცო, ეს გაუთავებელი ტრაბახი. ფეხბურთი ყველაზე კარგად შენ გესმის, ყველაზე კარგი შოფერი შენ ხარ, შენს ძაღლს ბრიუსელის გამოფენაზე აქვს ოქროს მედალი მიღებული. შენმა „კანარეიკამ“ ოცდაშვიდი სიმღერა იცის. ბავშვობაში „შავ შოთას“ გეძახდნენ და ახლა გავიგე, თურმე პარაშუტით ხტომაშიც პირველი ყოფილხარ!

შოთა გაფითრდა.

— არ გჯერა, სერგო შენც? რა გააბი გლახა დიაკვანივით. ტყუილი მითქვამს როდისმე შენთვის?

— როდესმეს თავი დავანებოთ, რა სინდისმა გათქმევინა ამ წუთში პარაშუტით ვხტებოდიო.

— არ ვხტებოდი მერე?

— შარშან მთელი წელი მიმტკიცებდი, ნახიმოვის სასწავლებელში ვსწავლობდიო. ახლა გაირკვა, რომ თურმე ბენდელიანის სკოლა გაქვს დამთავრებული. რომელი ტყვილი დავიჯერო, მითხარი, — მწარედ გაიცინა სერგომ.

— სერგო, შენ ხომ არ აურიე ცოტა. გესმის, რას ლაპარაკობ? მუდარა და წყენა გაერია ხმაში შოთას. ყველა ყველა და ნათქვამის ასეთ დემონსტრატიულად მიუღებლობას კი არა, სერგოსაგან კამათსაც არ იყო მიჩვეული შოთა.

— ახლაც გადმოხტები, რო რამე იყოს? –– ექიდნურად ჰკითხა სერგომ.

— ახლა, რაღა დროს ჩემი ხტომაა.

— ჰოდა, — აშკარად დასცინა სერგომ — არ უნდა თქვა შენხელა კაცმა ტყუილი, ბავშვი აღარა ხარ აწი, მე რაღას მატყუებ, შე კაი კაცო. რაც შენს ტყუილებზე სხვებთან თავი მიქნევია, არ მყოფნის?

შოთას გული ეტკინა. გაიფიქრა, ერთბაშად ახლა გამოცდა არ მომიწყოსო, თვალები დახუჭა და მტკიცედ განაცხადა.

— გადმოვხტები.

სერგომ გაოცებისაგან პირი დააღო. იგი ამ პასუხს აღარ მოელოდა. მერე შოთას შეშინებულ სახეს რომ შეხედა, კიდევ ერთხელ შეეპარა ეჭვი მეგობრის ნათქვამის სისწორეში და სათქმელი აღარ დაიტოვა:

— თუ შენ ტრაბახა არა ხარ და ტყუილს არ ამბობ, ახლა, კვირას, წავიდეთ აეროპორტში. ჩემი ნათესავი მუშაობს „დოსააფის“ გამგედ. პარაშუტისტების რამე მეცადინეობა იქნება და გადმოხტი. თუ არ გადმოხტები, იცოდე, შენსას არაფერს დავიჯერებ. მომწყინდა. მეყოფა უკვე!

შოთას ხმა არ გაუცია.

* * *

...როცა ვერტმფრენი მიწას მოწყდა, შოთას გულმა რეჩხი უყო, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო. ვერტმფრენის კაბინაში შოთას და სერგოს გარდა, ოთხნი ისხდნენ. მწვრთნელი და სამი პარაშუტისტი, ოთხი პარაშუტისტი შოთას ჩათვლით. შოთას ბეჭებზე მოერგო პარაშუტი და გასუსული იჯდა. არ ეგონა თუ აქამდე მივიდოდა საქმე. სერგო მთელი ორი საათი ეხვეწა „დოსააფის“ გამგეს, რომ შოთასთვის ერთი გადმოხტომის უფლება გამოეტყუებინა. ის გამგეც რა დამყოლი აღმოჩნდა, შეიძლება ასე განუკითხავად კაცი ამხელა გასაჭირში ჩააგდო? მართალია, შოთამ „დოსააფის“ მოხალისე მხტომელთა გუნდის მწვრთნელს განუცხადა ბევრჯერ დავშვებულვარო, მაგრამ მწვრთნელმა მაინც თავის მოვალეობად ჩათვალა პატარა ინსტრუქტაჟი ჩაეტარებინა შოთასთვის. ექიმმა წნევა გაუსინჯა და რაღაც ჯანდაბად წნევაც გადმოხტომისთვის ასატანი აღმოაჩნდა. ზის ახლა კაბინაში და გულმუცელი ეწვის. „ჰკუის დანაყვაც ამას ჰქვია, რა ჯანდაბამ მათქმევინა. როდის იყო, რომ ვხტებოდი“... შოთას მოეჩვენა, რომ სერგო მწვალებლის ღიმილით შესცქეროდა და გული შეეკუმშა.

— მოემზადეთ! — გამოაცხადა მწვრთნელმა. შოთას მუხლები უცახცახებს. „ნეტავ ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდებოდეს. ჩემო ენავ, არა ხარ

ძირში მოსაჭრელი? არა და ახლა რომ ვთქვა, არ გადმოვმხტარვარ მეთქი, ყველაფერი დაიღუპება“. შოთას სერგო ძალიან უყვარს. სერგო ყველაფერში უსიტყვოდ ეთანხმებოდა შოთას. თუ ახლა დავმარცხდი, მერე აღარაფერს დამიჯერებს, ჩვენს მეგობრობასაც ჩრდილი მიადგება. გაქრება ის ნაღდი და ხალასი... მერე სულ ეჭვის თვალით შემხედავს. აღარ მენდობა, აღარ დამიჯერებს... რამ მათქმევინა... ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ახლოს პარაშუტი. დავიხიო უკან? ქვეყნის სასაცილო გავხდები. დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ სერგოს ვერ დავკარგავ. დაკარგვას ვეძახი მე, კაცი რომ აღარ გისმენს, აღარ გიჯერებს, აღარ მოგენდობა“...

ვერტმფრენის კაბინის კარი ნელნელა პარაშუტიანი კაცის გასატევზე აიწია. მწვრთნელმა გადაიხედა და ხელი შემართა.

„რა უდარდელი სახეები აქვთ. ეს რა ჩავიდინე. რა შიში სცოდნია თურმე. ეს ზონარი არ გამებნეს არსად. გადავხტები თუ არა დავქაჩავ, მარა გადახტომა არ გინდა? აქ ვერ გაშლი და ისე ვერ ჩახტები, თორემ კარგია. უკანდახევა აღარ გამოდის. ბოლოსდაბოლოს ხომ ხტება ეს ხალხი. არა, არა. კაცს ვერ დავკარგავ... რაც იქნებაიქნება. რა საშინელია შიშის გრძნობა. ზონარს ხელს არ გავუშვებ. ყველაფერს ისე გავაკეთებ... ყველაფერი მახსოვს. კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს, ერთი ორი... სამი... ოთხი... ხუთი... ექვსი... შვიდი... რვა...“

შოთამ თვალები დახუჭა და გადახტა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ჩირაძე

# ელმავალი № 428

## დოკუმენტური მოთხრობა

ელმავალმშენებელი ქარხანა შაბათობისთვის ემზადებოდა. იმ დღეებში ყველა იხსენებდა პირველ შაბათობას, ლენინის თაოსნობით რომ მოეწყო დანგრეული ქვეყნის აღდგენისა და აღორძინების წლებში. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა იმ დღიდან. თვითონ ბელადი წერაქვითა თუ ნიჩბით მუშაობდა და საძირკველს უყრიდა ამ ერთობლივი შრომის ახალ სახეს.

პარტიული კომიტეტის მდივანი არნოლდ ჩოხელი ერთ წუთს ველარ ისვენებდა. სად არ იყო მისი თვალი და ყური. დილიდანვე ქარხნის ვეებერთელა ტერიტორია, საამქროები და ხეივნები, მოედნები და ბაღები ათჯერ მაინც შემოიარა, ყველაფერს გულისყურით ათვალიერებდა, არკვევდა სად რა იყო გასაკეთებელი, დასამშვენებელი, შესანახი თუ გადასაყრელი. ეს სიცოცხლით სავსე, ტანმორჩილი კაცი, განუწყვეტლივ მოძრავი და მოქმედი, წინასწარ აფრთხილებდა შაბათობის შტატების წევრებს ყველაფერი გაეთვალისწინებიათ, რომ შაბათ დღეს გასარკვევი აღარაფერი ჰქონოდათ.

წინა დღეს შტატების უფროსების კრება მოიწვია, მოისმინა ვინ რას აპირებდა. კმაყოფილი დარჩა, დიდხანს ესაუბრა კომკავშირელებს. მათ კარგი საქმისათვის მოეკიდათ ხელი — ქარხნის მთელი ტერიტორია უნდა გაემშვენიერებინათ. ახალგაზრდები ჩოხელს ყურადღებით უსმენდნენ; ის კი თავისი შავი, მბზინავი თვალებით აკვირდებოდა ყველას, თითქოს უნდოდა გაეგო, ვინ როგორ იყო განწყობილი, იყვნენ თუ არა მზად. უქმე ან ზეიმი როდი იყო, დაძაბული, საქმიანი დღისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ამ ადამიანების თვალებში რაღაც საზეიმო შუქი ბრწყინავდა, ყველას დაუფლებოდა ის ამაღლებული განწყობილება, რომელიც არ შეიძლება არ შეამჩნიო კაცს ხმაშიც და დაუცხრომელ მოლოდინშიც, რომელიც წინ უძღვის სასიხარულო დღეს.

ახალგაზრდები არნოლდმა განსაკუთრებული ინტერესით შეათვალიერა. თალიკო, ზურაბი, ოთარი და ნანა ცალკე ისხდნენ, ნუგზარი მოშორებით იდგა. თავისი ჩვეული სითამამე მას აღარ ეტყობოდა, ჩუმად უსმენდა შტაბების უფროსებს, რომლებიც რიგ-რიგობით მოახსენებდნენ კრებას, თუ ვინ რის გაკეთებას აპირებდა. ჯერი ახალგაზრდებზე მიდგა და კომკავშირის კომიტეტის სახელით თალიკომ აიღო სიტყვა. გამოეყო მეგობრებს და წინ წამოვიდა, ზურაბი ისე შეჰყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო. არა, ეს ჩვეულებრივი თალიკო იყო, მაგრამ ბიჭს ეჩვენებოდა, თითქოს ის უფრო დამშვენებულიყო, თითქოს უფრო გაზრდილიყო კიდეც. თალიკოს მისკენ არც გაუხედავს, ტრიბუნასთან რომ მივიდა, ხელის ოდნავი, თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით თმა შეისწორა და ჩუმი, დაბალი ხმით დაიწყო:

— ჩვენ ყველანი...

— არ ისმის, თალიკო! — გაისმა დარბაზში.

— ჩვენ ყველანი უკლებლივ გამოვალთ და ჩვენს პოსტებზე დავდგებით, — ქალიშვილმა მიიხედ-მოიხედა, ვიღაცას ეძებდა და როცა იპოვნა ვინც უნდოდა, უკვე ხმამაღლა განაგრძო: — ნუგზარ ენდელაძეს ყველა კარგად იცნობთ, მოწინავე კომკავშირელია. ჩვენ მას ქარხნის ტერიტორიის გამწვანება დავავალეთ.... უკვე მიტანილია ათასამდე ძირი ხე, ბუჩქი, ნერგი და ყვავილი.... ხვალ საღამომდე უნდა დაირგას, და ყველამ უნდა გაიხაროს. არცერთი არ უნდა

გახმეს... მაშინ დაინახავთ როგორი ლამაზი იქნება აქაურობა...

თალიკო კრებას მიმართავდა. ნუგზარს კი ეჩვენებოდა, და იქნებ ეს ასეც იყო, მას აგულიანებდა თალიკო, ამხნევებდა, მოუწოდებდა.

— ქარხნის ეზო კი არა, აქ ნამდვილი ბაღნარი უნდა იყოს. აქაურობას რომ შეხედავ, სიცოცხლის ხალისი უნდა მოგემატოს!.. აი, რა დიდ საქმეს ვავალებთ ნუგზარს და ჩვენ გვჯერა, რომ ის ამას შეძლებს.

ნუგზარი უნებურად შეკრთა, მხრებში გაიმართა, თალიკოს თვალი ველარ მოსწყვიტა. „მოწინავეა და შესძლებსო", ასე თქვა თალიკომ. მართლა ასე თქვა, თუ მომეჩვენა, არა, ნამდვილად ასე იყო. ამიტომ ულიმიან აქ მყოფნი... მოწინავეაო, თქვა ქალიშვილმა, და თუ არა ხარ, უნდა გახდე; მარტო თალიკომ კი არა, მთელმა ამ ხალხმა მოგანიჭა ეს სახელი, მთელმა ამ ხალხმა დაუდასტურა თალიკოს ეს სიტყვები...

ნუგზარმა ისევ ტრიბუნისაკენ გაიხედა, უნდოდა ეთქვა — მზადა ვარ, რასაც დამავალებთ, ყველაფერი გავაკეთოო, მაგრამ თალიკო მას აღარ უცქეროდა, ახლა სხვას ეძებდა დარბაზში და მისი ხმა ისევ თბილად და გულითადად გაისმოდა:

— ყველას შეგიმჩნევიათ, ქარხნის ტერიტორიაზე რამდენი ჯართია, ათეული წლობით ყრია ეს მილეწილ-მოლეწილი რკინა და მისი შეხედვა ყველას გულს უღონებს... უნდა გავასუფთაოთ ქარხნის ეზო, ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ამას კი კომკავშირის კომიტეტი ზურაბ შველიძესა და ოთარ მიქაბერიძეს ავალებს...

ზურაბმა და ოთარმა ერთად წამოიწიეს, მაგრამ თალიკომ არც მათ მისცა საშუალება ხმის ამოღებისა. ან ახლა ლაპარაკი რაღა საჭირო იყო, საჭირო იყო საქმე, ეს კი მეორე დღეს გამოჩნდებოდა.

თალიკო ღინჯად დაუბრუნდა თავის ადგილს. ტრიბუნასთან ახლა შემკეთებელი საამქროს ჩარხი ალექსანდრე ბესტავაშვილი იდგა.

— ჩვიდმეტი წელია ამ ქარხანაში ვმუშაობ, ჩვენი სახლიც ეს არის და ეზო-კარიც. საქმე მოითხოვს? თვალს ნუ დახუჭავ, დღე და ღამე გაასწორე და გააკეთე. ხვალ ჩვენი გამოცდის დღეა. ნურავის ჩამოვრჩებით, ძმებო, შევუტიოთ საქმეს, დავანახოთ ყველას, როგორი ლენინური შაბათობა აქვთ ქართველ ელმავალმშენებლებს!

უბრალოდ და გულწრფელად ნათქვამი სიტყვები ყველას გულზე მოხვდა, აქა-იქ ტაშიც შემოკრეს, მაგრამ პარტკომის მდივანმა ხელის აწევით შეაჩერა ყველა და ხმამაღლა გადასძახა კრებას:

— ტაში ჯერ ადრეა, მეგობრებო! ჯერ საქმეს თავი მოვაბათ... ახლა ყველამ კარგად იცის ვინ რას უნდა მოჰკიდოს ხელი, ხვალ დილით ვინ სად უნდა დადგეს... ყველას წარმატებას გისურვებთ, — თქვა ეს და კრება დახურულად გამოაცხადა.

* * *

და აი, შაბათიც გათენდა. აპრილის დილას ოქროსფერი შუქი და სიტურფე უხვად და ხელგაშლილად მიმოეფრქვია ირგვლივ. მუშებიცა და ოსტატებიც ჩვეულებრივ დროს მოვიდნენ ქარხანაში; ის იყო სამუშაოს დაწყების საათმა დარეკა. ამოქმედდნენ საამქროები, ახმაურდნენ დაზგები, ვეებერთელა ამწეები და უზარმაზარი მოძრავი ხიდები. გუგუნებდა მთელი ქარხანა და კაცის გულს კიდევ ის მატებდა ხალისს, რომ ეს გუგუნი ისმოდა მარტო აქ კი არა, მთელ თბილისში, მთელ საქართველოში, მთელ უზარმაზარ საბჭოეთში... ყველამ იცოდა, რომ შრომის ეს რიტმი ჩქეფდა შორს, მოსკოვში, იმ სადგურზე, სადაც ლენინმა პირველმა შეუდგა მხარი ვეება მორს და რიგითი მუშეებთან ერთად დაიწყო შრომა... მარტო მოსკოვში კი არა, ყველგან, ვლადივოსტოკიდან მინსკამდე, არხანგელსკიდან ბათუმამდე... ყველგან თვალწინ ედგათ ლენინი და ყველა ცდილობდა ყოფილიყო ღირსი, რათა მისთვის ნამდვილი ლენინელი ეწოდებინათ. ყველამ იცოდა, რომ ამ წუთებში მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი ერთი აზრით, ერთი ფიქრით იყო სავსე, იცოდნენ, რომ ქვეყნის ყველა კუთხეში ყველაფერი კეთდებოდა, რათა ლენინური შაბათობა წარმატებით ჩატარებულიყო.

ქარხნის შტაბის უფროსი ჯაბაური, მთელი დღის განმავლობაში ახალ-ახალ ცნობებს იღებდა:

— ამწყობ საამქროში გასაშვებად დამზადდა ერთი ელექტრომავალი.

— ელექტრომანქანათა საამქროში — ოთხი ძრავა და ერთი კომპრესორი...

— მეჩვიდმეტე საამქროში მზად არის სამოცწველი ელექტრომავალი.

ასე იყო საამქროებში. მაგრამ რა ხდებოდა ქარხნის ეზოში, ეს ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანდა, ეზოც ახლა იმ ახმაურებულ საამქროებს დამსგავსებოდა. მიმოდიოდნენ სატვირთო მანქანები, ბიჭებს გახსნილი საკინძეებიდან ოფლიანი გულმკერდი მოუჩანდათ... აგერ ჩაქანცგებული ლითონის მთელი ხროვა ჩანს. ოდესღაც ეს მანქანები იყო, ახლა მკვდარი, კადაყრილი, უსარგებლო და მარტო ხელისშემშლელი ჯართია. მანქანებით გაჰქონდათ ეს ჯართი, რომ კაცის მადლიან ხელს ისევ ჩაედგა მათთვის სული, კვლავ ცოცხალ და ჭკვიან მანქანებად ექცია ამას ესწრაფოდნენ ოთარიც, ზურაბიც, მათი ბრიგადების წევრებიც... თანდათან ნათდებოდა ეზო, ახალ იერს იღებდა,

მათ თვალწინ საამო შესახედავი ხდებოდა და ეს ძალას მატებდა ახალგაზრდებს...

ნუგზარის საქმე კი მაინც სხვა იყო. მას ისევ ყურში ჩაესმოდა წინა დღეს ნათქვამი სიტყვები — წალკოტს უნდა დაემსგავსოს აქაურობაო. წალკოტი კი უშრომლად, გაურჯელად, თავისთავად არ გაშენდებოდა აქ. ჯერ ოფლით უნდა მორწყო მიწა, მაშინ იქნება ის ისეთი ლამაზი, როგორც შენ გინდა, ამიტომ ნუგზარი უჩვეულო გულმოდგინებას იჩენდა. კომკავშირელებმა ასობით ორმო ამოთხარეს, რგავდნენ აკაციის, ჭადრის, ალვის, ტუიის, ნერგებს, რომლებიც ნანას, თალიკოსა და მათ თანატოლებს მოჰქონდათ, რგავდნენ და ფრთხილად უყრიდნენ მიწას, ნელნელა, როგორც ფერწერულ ტილოზე, ისე ჩნდებოდა მწვანე ხეივანი, რომელიც საამქროებისკენ მიემართებოდა.

თალიკომ ვარდისა და იასამნის ნერგები მოიტანა, ნუგზართან მივიდა და სთხოვა სათუთად მოჰქცეოდა ამ ყვავილებს, ისეთ ადგილს დაერგო, რომ ყველას ადვილად დაენახა ისინი.

ნუგზარმა მიიხედ-მოიხედა და თვალი შეავლო ქარხნის მოწინავეთა სტენდს, რომელსაც ბევრი ამაგდარი ადამიანის პორტრეტი ამშვენებდა.

— ჩემი აზრით, ეს ყვავილები აი, ამ ადგილს მოუხდება — მიუგო მან თალიკოს და სტენდისაკენ გაიხედა, — ალალია იმათთვის,

თალიკომ გადაწყვეტილება მოუწონა. მაშინვე ამოთხარეს რამდენიმე ორმო და ბუჩქები ჩაყარეს. როდესაც ეს საქმეც მოათავეს, ნუგზარმა უკვე თამამად შეხედა თალიკოს, თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი ულვიოდა:

— თალიკო, კედლის გაზეთში ხომ აღარ დამხატავ?

— დაგხატავ, — მაშინვე მიუგო თალიკომ, — როგორ არ დაგხატავ, ოღონდ ისე კი არა, როგორც მაშინ...

— მაშ როგორ?

— აბა, შეხედე ამ სურათებს, — თალიკომ სტენდზე გამოფენილ პორტრეტებზე მიუთითა — აი, ამათ შორის მინდა გნახო!

ბიჭს ეშმაკური ღიმილი მაშინვე ჩაუქრა. უსიტყვოდ მიაჩერდა თალიკოს, მერე პორტრეტებს გადახედა, ვერაფერი თქვა. ეთქვა — დიახაც მნახავო, ეს ბაქიობა იქნებოდა და ქალიშვილიც ასე ჩამოართმევდა. არა და, არც ის უნდოდა თავი მოესაწყლებინა.

ორივენი იდგნენ ჩუმად და შესცქეროდნენ ახლად დარგულ ყვავილებს.

„ნეტავი გაიხარონ, ნეტავი არცერთი არ გახმეს, — გაივლო გულში ნუგზარმა, — ამ ვარდს თალიკოს ბუჩქს დავარქმევ. იყოს დღევანდელი დღის სახსოვრად, ოღონდ არ ვეტყვი, ისე დავარქმევ", გაიფიქრა ნუგზარმა.

უხმოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

იმ დღეს ყველაზე მთავარი ამბავი მაინც ახალი ელექტრომავლის გაშვება იყო. ამწყობი საამქროს უფროსი ჭემალ ელაშვილი ბეჯითად ირჯებოდა. მწვანედ შეღებილი ელექტრომავალი ყველას თვალსა სტაცებდა, ეს იყო უძლიერესი მანქანა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აქ, თბილისში, ამ ქარხანაში მზადდებოდა, აქ შექმნეს იგი და აქვე გაისმა მისი პირველი გუგუნი.

საამქროს უზარმაზარ ღია ჭიშკართან იდგა ეს ელექტრომავალი, რიგით 428-ე და ელოდა გამგზავრების ნიშანს.

სალამო ხანს, როდესაც შაბათობა მიიწურა, თავისი ვალი ყველას პირნათლად ჰქონდა მოხდილი. მშენებლებმა ამწყობი საამქროს წინ მოიყარეს თავი. აქ იყვნენ შრომაში დაჭარმაგებული ოსტატები — ძია ვანოც, დავითიც; აქვე იყვნენ ახალგაზრდებიც — თალიკოც, ნანაც, ზურაბიც. ოთარიც. მოსულიყო ქარხნის დირექტორიც, საამქროების უფროსებიც. არც ნუგზარი დაჰკლებია ამ შეკრებილობას. ყველანი ამ ძლევამოსილი მანქანის მშენებელნი იყვნენ, ამ სამიათასიანი ოჯახის ყოველ წევრს თავისი წვლილი შეჰქონდა მის შექმნაში. იგი რამდენიმე ასეული ათასი ნაწილისაგან შედგებოდა და თუ არა მეგობრული ერთობლიობა, ასეთ მანქანას სიცოცხლეს ვერ მიანიჭებდნენ!..

ელექტრომავალი ყოველმხრივ მზად იყო. ნიშანი მისცეს, ძრავები ჩართეს და ბუმბერაზი ადგილიდან ნელ-ნელა დაიძრა.

იგრიალა ტაშმა.

ჩოხელმა გადახედა გახარებულ ხალხს და ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— ახლა კი ტაში დროულია!.. .

* * *

ზურაბმა ფრთხილად შეაღო ქარხნის დირექტორის კაბინეტის კარი. დირექტორი მარტო იყო, მაგიდაზე გაშლილ ფურცელს დასცქეროდა. ზურაბის დანახვაზე თავი მაღლა ასწია და ცნობისმოყვარედ მიაცქერდა.

— სალამი, ამხანაგო დირექტორო!

— გაგიმარჯოს!

ბიჭი გაჩერდა, მეტი ვეღარაფერი თქვა, გზაში რამდენი იფიქრა, როგორ არ დაალაგა თავისი სათხოვარი. ახლა კი, თითქოს ყველაფერი გადაავიწყდაო, მუნჯივით იდგა.

დირექტორმა მოლოდინში შუბლი შეიკრა.

— გამარჯობის სათქმელად მოხვედი? — ჰკითხა და უნებური ღიმილიც გამოეხატა სახეზე.

ზურაბი ისევ ჩუმად იყო. დირექტორი მიხვდა, რომ ბიჭი დაბნეული იყო, არ იცოდა საიდან დაეწყო, თანაც მოეწონა მისი მკვრივად ჩამოსხმული მხარბეჭი და უცებ თანაგრძნობით გაეწყო მისდამი.

— ერთი სათხოვარი მაქვს, ამხანაგო დირექტორო!

— მითხარი, გისმენ.

— მინდა ერთი ოთახი გთხოვოთ.

— ოთახი?... — გაიმეორა დირექტორმა და ზურაბს მიაცქერდა, — ბინა არა გაქვს?

— არა.

— სადაური ხარ?

— ძირულიდან ჩამოვედი. ორი წელიწადია ემუშაობ. ხელობაც კარგად ავითვისე, ვსწავლობ კიდევაც, მაგრამ...

— სად ცხოვრობ?

— საერთო საცხოვრებელში...

„ალბათ სოფლიდან ცოლ-შვილი ჰყავს ჩამოსაყვანი“— გაიფიქრა დირექტორმა და ჰკითხა.

— ცოლ-შვილი გყავს?

— არა. ამხანაგო დირექტორო, ცოლ-შვილი არა მყავს!

— მერე, შე კაი კაცო, მარტოხელა კაცი საერთო საცხოვრებელში ვერ დატეულხარ? მეგობრებს ხომ არ გაურბიხარ?!

— არა, მეგობრებს როგორ გავექცევი, მაგრამ... — რის თქმაც უნდოდა ზურაბს, ისე ვეღარ თქვა. სუნთქვა შეეკრა. თვალებზე თითქოს ნისლი გადაეფარა.

* * *

ერთი კვირის წინათ ზურაბმა და თალიკომ ავჭალის გზატკეცილზე ერთად ჩაიარეს. ქალიშვილმა ყმაწვილს რვასართულიანი შენობა დაანახა და უთხრა: „ზურაბ, შეხედე რა მშვენიერი შენობაა, ეს სახლი ჩვენი ქარხნისაა“.

ზურაბმა სახლს ახედა, მშენებლები ხარაჩოებს ხსნიდნენ.

რვასართულიანი სახლი, პატარ-პატარა აივნებით დამშვენებული, ვეებერთელა მთასავით გადმოიყურებოდა. მოეწონა ზურაბს და ინატრა კიდეც, ნეტავი აქ ერთ ერთი ოთახი მეც შემხვდესო. სწორედ ამიტომ მივიდა დირექტორთან, მაგრამ რა, თურმე ტყუილად შეიწუხა თავი. „მარტოხელა კაცი საერთო საცხოვრებელში ვერ დატეულხარო“, თითქოს ხელმეორედ ჩაესმა ეს სიტყვები ზურაბს და ისე მოეჩვენა, ვითომც ეს რვასართულიანი მშვენიერი შენობა, ასე რომ მოსწონდა, გადმოქანდა და საცაა ზედ დაეცემოდა. ისევ დირექტორის ხმამ მოიყვანა გონს.

— რა გვარი ხარ, რა გქვია?

— მშველიძე ვარ, ზურაბი მქვია!

დირექტორი მიხვდა, რომ ახალგაზრდა კაცს, თავისი ქარხნის მუშას, რაღაც ტკივილი მიაყენა და თითქოს დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობსო, ტკბილად უთხრა:

— აი, ჩემო ზურაბ, მარტოხელა, ტლუ-ბიჭი ხარ, ჩვენ კი პირველ რიგში, ცოლშვილიანებს უნდა დავეხმაროთ. მოიყვანე ცოლი და შენ ხომ ერთ ოთახს მთხოვ, მე ოროთახიან ბინას მოგცემ!...

გულზე მალამოდ მოეცხო ზურაბს დირექტორის სიტყვები, ეს უნდოდა ეთქვა და ვერ მოახერხა, დაიმედებული გამოვიდა კაბინეტიდან.

კართან თალიკო დახვდა.

— რა გითხრა? მოუთმენლად შეეკითხა თალიკო.

— მარტოხელა კაცი ხარო. ცოლი მოიყვანე და ოროთახიან ბინას მოგცემო!

თალიკომ ხუმრობად მიიღო ზურაბის პასუხი.

— მართლა, თალიკო, მართლა, სწორედ ასე მითხრა, ოროთახიან ბინას მოგცემო. ხომ იცი, ჩვენი დირექტორი სიტყვის კაცია!

ორივენი ქარხნის ეზოში ჩავიდნენ. ხეივანში გახარებულები მიაბიჯებდნენ. მერე თითქოს რაღაც გაახსენდათო, ქარხნის ეზოდან სწრაფად გავიდნენ, ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ. გადაჭრეს ქუჩა და თითქოს დაბარებული ყოფილიყვნენ, გაეშურნენ იმ ახალი შენობისაკენ, რომელსაც ერთი კვირის წინათ ხარაჩოები ჩამოხსნეს. კარგა ხანს იარეს.

აი, მიუახლოვდნენ სახლს. სართულებს თვალიააყოლეს. თავივით ედგა მაღლიდან შენობას მსუბუქი ღრუბლებით დაფარული გაზაფხულის ლამაზი ცა.

— შევიდეთ! — შესთავაზა ზურაბმა.

შევიდნენ, კიბეები აირბინეს.

მეორე სართულის კარი დაკეტილი დახვდათ.

— მესამე იქნება ღია! — თქვა თალიკომ.

მესამეზეც ავიდნენ. კარი იქაც დაკეტილი იყო.

— მაშ, მეოთხეზე... — ორივემ თითქმის ერთდროულად წამოიძახა.

არც იქ იყო კარი ღია.

— არ შეიძლება რომელიმე კარი ღია არ იყოს.

უკან მოიტოვეს მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სართულები. ადიოდნენ სულმოუთქმელად, შეწითლებულნი, ერთი სართულიღა დარჩათ — მერვე სართული. აქ უკვე ნელა აიარეს კიბე.

ბედზე, მერვე სართულის კარი ღია იყო. შევიდნენ, ოთახები შემოიარეს და აივანზე გავიდნენ. გადაიხედეს. როგორც იყო, მოძებნეს თავიანთი ქარხანა, რომლის მაღალ კორპუსებს უტოლდებოდნენ ვეება ჭადრები და ტანწერწეტა ალვის ხეები. სიყვარულით გასცქეროდნენ ქარხნის მაღალ კედლებს, თაღიან კარიბჭეებს, რომლის თავზეც მსუბუქი, ნაცრისფერი კვამლი გადაშლილიყო.

რაღაც უხაროდათ... თვითონაც არ იცოდნენ რა ახარებდათ?

ის, რომ ზევიდან დასცქეროდნენ ქალაქს, თუ ის, ლამაზი ნახატივით რომ მოჩანდა გიგანტების მშენებელი ქართული კერა, რომელსაც მათი მარჯვენის ძალაც სჭირდებოდა.

აქ დაიწყო მათი ახალი, აზრიანი ცხოვრება და მათი ბედნიერებაც აქ იწყებოდა...

## ცხოვრებისეულ პრობლემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# სოფელი და ბაზარი

## ბაზარი თვალის ერთი გადავლებით

ვაჭრობის ისეთნაირ სიჭრელეს და უცნაურობას ვერსად ნახავთ, როგორც ბოდბისხევის ბაზარზე. ამაში რომ დარწმუნდეთ, წლის ნაბისმიერ კვირადღეს უნდა შეიწუხოთ თავი და გეზი აიღოთ სიღნაღის რაიონისაკენ, სადაც გზადშემხვედრი ყოველი სოფლელი გაკვირვებული სახით მიგასწავლით აღებმიცემობის ამ საოცარ მექას. მათი გაკვირვება კი ბაზრის სახელსა და ყოვლისმძლეობაზე მეტყველებს — აი თურმე კიდევ ყოფილან ადამიანები, რომლებმაც ამ ბაზრის გზა ჯერ არ იციანო.

ტუფისგალავნიანი ბაზრის უზარმაზარი ტერიტორია ორმწკრივ მრავალრიგიან შიფრით გადახურულ დახლებს დაუსერავთ. აქ რასაც გინდა იმას იყიდი: რამდენი მთიელი მინახავს, რომელიც თითივით ცარიელი ჩამოსულა ბაზარზე და ერთისგან ნაბადი უყიდია, მეძველმანე დედაკაცებისაგან ნახმარი ბრეზენტის საწვიმარი, ლაგოდეხელებისაგან — თამბაქო, თელაველებისაგან — ცხენი, დაღესტნელი ლეკისაგან — უნაგირი; ცხენი იქვე დაუჭედვინებია ნალბანდისათვის და პირდაპირ ბაზრიდან წასულა ცხვარში. თუმცა მაპატიეთ, სანამ ცხენზე ყინჩად ამხედრებული დატოვებდა ბაზარს, მანამ ძმაკაცები შეუპატიჟებია სახინკლეში თავისი გამდიდრების დღის აღსანიშნავად.

რაკი აქ სახინკლე ვახსენეთ, რომელიც ბაზრის ბოლოში, ზამთრობით კომბოსტოს, ზაფხულობით კი საზამთროს ბორცვებში ძლივსღა ჩანს, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა თვით მეხინკლეზეც არა ვთქვათ...

მეხინკლე და სახინკლე იმიტომ ვახსენე, რომ თუ ბაზარზე მოხვდით, არ შეიძლება პილპილის სურნელით გაჟღენთილ სავანეში შესვლამ არ მოგიწიოთ, სადაც თქვენს მიერ მიცემულ შეკვეთას არავითარი მნიშვნელობა, ანდა თავისებური მნიშვნელობა ექნება. თქვენ გეჩქარებათ, უკვეთავთ მხოლოდ და მხოლოდ ათ ცალ ხინკალს, რათა კუჭი მოიტყუოთ და გაიქცეთ. დახლიდარი კი მოგართმევთ ათ ხინკალს, ორას გრამ არაყს, პურს, ერთ თეფშ მწვანილეულს და ზედ ერთ კათხა ლუდსაც დააყოლებს, რა არის ეს? დახლიდარის ოინი, პროდუქციის გასაღების ტუტუცური ხერხი, კაცის მასხარად აგდება, თუ ქართველური ხელგაშლილობა? თქვენ შეურაცხყოფილად იგრძნობთ თავს და მზად ხართ პროტესტი განუცხადოთ, მაგრამ ყველაფერს ამას რომ შეჭამთ და დალევთ, პროტესტი კი არა, ნებისყოფის დაძაბვა გიხდებათ ხელახლა არ შეუკვეთოთ „ათი ცალი ხინკალი".

და უცებ გეჩვენებათ, რომ არსადაც არ გეჩქარებათ და, რომ ცხოვრების აზრი სიჩქარე და უაზრო ფაციფუცი კი არ არის, არამედ სიდინჯე, რაც ასე ზომაზე მეტიც გააჩნიათ კახელ დახლიდარებს, რომლებიც უტყუვრად საზღვრავენ უცნობის მადას.

სახინკლედან გამოდიხართ დამშვიდებული, ნასიამოვნები და კეთილი. გეჩვენებათ, რომ ის აღარა ხართ და გამოიცვალეთ. თვით ხალხით გაჭედილი და აქოთქოთებული ბაზარიც სხვანაირი, უფრო უკეთესი და ზღაპრული გესახებათ. და თქვენ უაზროდ უვლით მთელ ბაზარს და ხარბად ათვალიერებთ ყველაფერს: აკვნებით ვაჭრობას, ჭუჭყიან თოვლში დაყრილ

ცხენისა და ჯორის ნალებს, რომლებიც გუშინ გამოუყრიათ ქურიდან და ჯერ ისევ წრთობის ცინცხალი სილურჯე დაჰკრავთ, უყურებთ სავსე დახლებს, სადაც მზერას იტაცებენ კვერცხის გულივით ყვითელი კომშის გროვები; თურაშაული ნაკვერცხალივით ღუის, ხოლო ლეღვისჩირის უზარმაზარი აცმები ტყვიამფრქვევის ლენტებივით ყრია.

მემწვანილეთა და მეხილეთა დახლების გვერდით, ყველით, ზეთით, ერბოთი და ღორის შაშხით მოვაჭრეთა ზემოთ, ბინა დაუდვიათ ცბიერ მეფუტკრეებს და თუ თქვენი მზერა დაიჭირეს, უმალ თავიანთ მუშტრად მიგიჩნევენ: ცალი ხელით თავისკენ მიგიხმობენ, მეორეთი კი თაფლის ბიდონს საოცარი სიმარჯვით ამოუსვამენ კუნლის ჩამჩას, საიდანაც ზანტად უკანვე ბრუნდება ოქროსფერი ბლანტი სითხე და დიდი ვაჟკაცობაა საჭირო, რომ თითი არ შეუშვირო.

თქვენ წარამარა საათზე დაიყურებით და ახლა კი მართლა გაგვიანდებათ, მაგრამ ველარ ტოვებთ ბაზარს და უხილავი ჯადო წალმა-უკულმა დაგახეტებთ დახლებს შუა. ნესტი და სიცივე ცხვირპირს გიტუსავთ, მაგრამ აკაკის ხეებზე გამოფენილი ფარდაგები ნაირფერად ლალანებენ და ირგვლივ გაზაფხულის სითბოსა და სურნელს აფრქვევენ. თქვენც იქით მიეშურებით, თუმცა დიდხანს ვერ უძლებთ ახალგაზრდა მეფარდაგე ქალების დაჟინებულ მზერას, რომლებიც ყოველ მიახლოვებულ ადამიანში მყიდველს ეძებენ. ახლა ნაბდებისაკენ მიიძურწებით, სადაც ასეთ სურათს აწყდებით: ოთხ კაცს ნაბდისთვის კუთხეებში ჩაუვლია ხელი და ვარცლივით უჭირავს. მეხუთე ვედროთი წყალს ასხამს, მეექვსე კი იჩოქებს და ნაბდის ჩამოზნექილ ადგილს დაკვირვებით უსვამს ხელს. ამ ყოფაში არიან ხუთიოდე წუთი.

— ჰა, დავილალენით! — ყვირიან თუშები,

— მაიცა! მაიცა! — ჯიუტობს თოვლში ჩაჩოქილი მყიდველი და განაგრძობს ხელის სმას.

ნაბდებიდან ქვევით, ბაზრის ბოლოსაკენ, ინაცვლებთ. აქ ყიდიან ხეხილის ტანაშოლტილ ნერგებს, რომელთა ნაყოფი მალე ამავე ბაზრის დახლებს დაამშვენებს.

კვლავ განაგრძობთ უაზრო, მაგრამ დაუოკებელ ხეტიალს და გრძნობთ ამ ბაზარზე ყველა აისრულებს თავის წადილს: ნალბანდიც, დალალიც, მხატვარიც, ნოქარიც, მელვინეც, პოეტიც, მეწვრილმანეც, მეჭურჭლეც, დაბოლოს ჯიბგირიც, ვინაიდან კახელები ძალზე დაუდევრად ინახავენ ფულს და ხშირად მხარზე გადაკიდებული პალტოს შიგნითა ჯიბიდან ამოწვერილი ათმანეთიანების, ოცდახუთმანეთიანებისა და ორმოცდაათმანეთიანების (დამეთანხმებით ასმანეთიანები იშვიათადღა გვხვდება ბრუნვაში) კუთხეები საბედისწერო ცდუნებად იქცევა ხოლმე ჯიბის ბაცაცებისათვის.

ბაზარზე ბლომად შეხვდებით ახლად ათკლასდამთავრებულ, მოკლეკაბიან გოგონებს, რომლებიც შეიძლება ბავშვებად ჩათვალოთ, მაგრამ ამ მორცხვ სოფლელ ცუგრუმელებში კდემამოსილი, ვნებიანობა იმალება, რომელიც, მონაბერების გულგასახეთქად, ძალზე მალე პოულობს გზას და თუ ორიოდ წლის შემდეგ კვლავ გამოივლით ბოდბისხევის ბაზარზე, ბევრი მათგანი ვარდისფერ კაბაშურში გახვეული ბუთქუნა ჩვილით შემოგხვდება, რომელიც მაღაზიაში... მაღაზიები! ბოდბისხევის ბაზრის მაღაზიები! ისინი უეჭველად იმსახურებენ ორიოდ აბზაცს.

ვინ იცის, ჩვენმა კოსმოსურმა, ცვალებადმა და ფიცხმა საუკუნემ ახლო ან შორეულ მომავალში ვაჭრობის რანაირი ხერხები და წესები შემოგვთავაზოს. ვის შეუძლია განჭვრიტოს თუ ეკონომიკისა და ვაჭრობის მამები, რომელთა ვეება პორტფელები მუდამ სავსეა ათასგვარი პროექტებით, რა მტანჯველური აზრებით არიან შეპყრობილნი, რომელთა პრაქტიკული განხორციელება მიწისაგან პირისა აღგვიან ჭრელჭრელ, აყაყანებულ ბაზრებს და მათ შორის ბოდბისხევის ბაზარსაც. და მაშინ, ალბათ, ერთი კონა პირშუშხასათვის, ანდა ქლიბისა და მიტკლისათვის აღარ მოგვიხდება ბაზარში სირბილი, მემწვანილე დედაკაცებთან შევაჭრება და თუშ მენაბდეებთან გამოლაპარაკება, ცხენებით მოვაჭრეთა პაექრობის მოსმენა და სახინკლეში გამობრუჟული მეცხვარისაგან შაირებისა და კაფიების ჩაწერა.

ვინ იძლევა გარანტიას, რომ ბაზარში დამკვიდრებული მამაპაპური ვაჭრობის ადათი ახალი მეთოდებით არ შეიცვლება, რომელიც შეიძლება დაახლოებით ასეთი იყოს: შეადგინეთ გრაფიკი თვის ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე რა გნებავთ — სასმელი, საჭმელი თუ საცმელი— და მერე ამას წარადგენთ სადაც საჭიროა და ყველაფერს გრაფიკში ნაჩვენები დროის მიხედვით მოგიტანენ ბინაზე, როგორც, მაგალითად, წერილს ან ტელგრამას. და მაშინ... მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო მსჯელობაა და კვლავ გახურებული ვაჭრობაა ბოდბისხევის ბაზარშიაც და მის მაღაზიებშიც, რომლებსაც, თუ არქიტექტურული თვალსაზრისით მივუდგებით, არცკი შეიძლება ეწოდოს მაღაზიები, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ შიფერის, ფანერის და უხეიროდ გარანდული ფიცრების ნაძალადევ ერთობლიობას.

ეს მაღაზიები ბაზრის ორივე მოპირდაპირე მხარეს, მთელ სიგრძეზეა გაჭიმული. მათი რიცხვი ოცდაათამდე იქნება. დახლში მეტწილად ექვსთვიან სავაჭრო კურსდამთავრებული გოგობიჭები დგანან და მყიდველს ისეთი სისწრაფით ემსახურებიან, რომ ფაციფუცში ხშირად ხურდის დაბრუნებაც კი ავიწყდებათ. მაღაზიები, რომლებიც მთელი კვირა ცარიელებია და მხოლოდ კვირადღეს ცოცხლდებიან, მოუწყობელია, გათბობა არაა და ზამთრობით გამყიდველებს ფეხები რომ არ მოეყინოთ, ეს უკა-

ნასკნელნი მუყაოს ნახევებისაგან და ხის ყუთებისა წკირებისაგან შუაცეცხლს აჩაღებენ. ნავლი ნაზად ედება თაროებს და საკიდრებზე უწესრიგოდ დაზვინულ საქონელს. თანაც ამ პაწია კოცონის გაჩაღება დიდ ხელოვნებასა და ყურადღებას მოითხოვს ნოქრებისაგან: მთელი დღე ისე უნდა ენთოს, რომ ალმა ორ მტკაველზე ზევით არ აიწიოს, თორემ მაშინვე მისწვდება სიფრიფანა კომბინოების ბოლოებსა და ეს პაწია ბუდრუგანა უმალ ალში გაეხვევა.

რას არ ნახავთ ამ მაღაზიებში ერთმანეთის გვერდით: ძვირფასი ფრანგული და იუგოსლავიური კოსტიუმები და თბილისური ხის სალებავები, ქუთაისური თავსაფრები და პოლონური ბუკლეს პალტოები, თოჯინები და გაყინული თევზი, რკინა-კავეული და სიგარები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ქსოვილი და კარაქი, რუსული ცულები და ინდური ხურმა, ველოსიპედის საბურავები და კაუსტიკური სოდა. დახლის თავზე ცალ კუთხეში ცხენის ცალუღი, გარსაკრები და აღვირები ჰკიდია, რაც თასმების ლიანეპს ჰქმნის, მეორე მხარეს კი ქალის თეთრეულს აფარფატებს სიო. ერთსა და იმავე მაღაზიაში ერთდროულად წვერიანი ბერიკაცი ცხენის ავშარას ეპოტინება, ხოლო ათქვირებული, სიმორცხვისაგან აწითლებული გოგონა კი გაუბედავად სინჯავს გერმანულ მკერდსაკრავს და თავკომბალა, ურცხვთვალა გამყიდველს უსიტყვოდ აგრძნობინებს — უფრო დიდი ზომა ხომ არ გექნებათო.

ყველაფერს ამას, ავშრისა და ბიუსტჰალტერის მეზობლობას, საქონლის სიჭრელეს, დახლში გაჩაღებულ შუა ცეცხლს, ამდგარ ნავლს, სითბოზე გატეხილი შიფერიდან ჩამონადენ თოვლის ნაკურს, რომელიც აიაზმასავით წვეთწვეთად ეპკურება ფრანგულ კოსტუმს, გამყიდველი კი ყურსაც არ იბერტყავს, ერთმანეთზე მიწებებული თევზისა და სარეცხის საპნის გროვებს — რა ვუწოდოთ? რა არის ეს? რაიკოოპერატივის გამგეობის დაუდევრობა? ვაჭრობის კულტურის დაბალი დონე? სათავსოების უკმარობა? ბაზრის დირექციის უკონტროლობა? თუ უბრალოდ ადგილობრივი კოლორიტი? იქნებ ეს უკანასკნელი?! თორემ აბა, სხვაგან სად შეიძლება შეგემთხვათ, რომ დახლიდარს რაღაც ჰკითხოთ, პასუხად კი ციკნის კიკინი მიიღოთ. არ შეცდეთ, არ შეცდეთ და არ იფიქროთ, რომ დახლქვეშ გასასყიდათ მოყუჩებული ციკანია. არა! მაღაზიის ფიცრის უკანა კედლის ძირას, ბაზრის გარეთ, პირუტყვით ვაჭრობაა გაჩაღებული და ყოველგვარი კიკინი, თუ ჭიხვინი ისე თავისუფლად ატანს დაფრაკებული ფიცრების ღრიჭოებში, რომ უცხო კაცი უმალ შეცდება და ფეხისწვერებზე აწეული დაკვირვებით გადაიჭყიტება დახლის შიგნით.

ბაზარს ჩრდილოეთიდან აკრავს ღორღიანი, დაბალი ხევი, რომელიც გორაკებიდან მოიკლაკნება, მდუმარედ ჩამოუვლის იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმს და ბაზრის მოახლოვებისთანავე ისე იშლება და ფართოვდება, რომ რაც კი კახეთში კერძო პირუტყვია, [illegible]ლად დაიტევს თავის გამყიდველ-მყიდველიანად.

აქ უკვე ნაჯაფი, ხნიერი და საქმიანი ხალხი ტრიალებს და ველარ შეხვდებით ათასნაირ აქალ-ბუქულას და წვრილფეხობას, როგორც ბაზრის შიგნით. თუმცა, ესეც კია, შეიძლება აქაც მოკრა თვალი ახალგაზრდა ქალიშვილებს, რომლებიც მშობლებს არ სცილდებიან. ისინი მოუთმენლად ელიან ხელზე გამოზრდილი საყვარელი პირუტყვის გაყიდვას, რათა ხელთ იგდონ ტკიცინა ათმანეთიანები და გულისფანცქალით მოკურცხლონ იმ საოცნებო კაბის საყიდლად, რომელსაც ნაზად ედება დახლში აბოლებული კოცონის ფერფლი ან კიდევ მეოთხე კვირაა უმოწყალოდ ხუნდება კახეთის თაკარა მზეზე.

მაშ ჩვენც დავტოვოთ ხალხით გაჭედილი ბაზრის გალავანი და გავწიოთ იქით, სადაც პირუტყვით ვაჭრობა გაუჩაღებიათ, რადგან ჩვენი ამბის გმირებიც სწორედ იქა ტრიალებენ. ოღონდ ბრბოში ფრთხილად გავიკვლიოთ გზა, თორემ შეიძლება უცბათ ფეხები აცაბაცას წაგვივიდეს და ბოდბისხეველი მეჭურჭლეების რისხვა დავიმსახუროთ, რომელთაც პირდაპირ გზაზე გაუშლიათ თავიანთი ნახელავი!

## გაქცეული შვილები

დეკემბრის იმ კვირა დღეს ბაზარზე იმდენი პირუტყვი მორეკეს, რომ ერთი ნაბდისგაშლა თავისუფალ ადგილს ველარ იპოვიდით.

შუადღემდე ვაჭრობას კარგი პირი უჩანდა. მერე კი ხალხმა დაშლა იწყო და შეთხელდა ბაზარი. მშრალ თოვლს მხოლოდ გაჭირვებული მესაქონლეები და ასევე გაჭირვებული მუშტრებიღა ტკეპნიდნენ: პირველნი ცდილობდნენ როგორმე გაეყიდათ საქონელი, რადგან ზამთარს უხეირო პირი უჩანდა, საკვები კი აღარ ჰქონდათ; მეორენი მოთმინებით ელოდნენ გამყიდველების მოლბობას, რათა უკან დარჩენოდათ ორიოდე თუმანი.

დარჩენილ საქონელში მშრალი ძროხები სჭარბობდნენ; პატრონები ათასნაირი ხერხით ცდილოდნენ მუშტრის მიზიდვას. მხოლოდ ერთი მაღალი, გამხდარი, მაზარაში გამოწყობილი მოხუცი არ იღებდა ხმას: სარგადაყლაპულივით იდგა და იშვიათად გატოკდებოდა ხოლმე, ისიც იმიტომ, რომ მეზობლის ორთვალაზე შენახული თივის კონიდან მცირე ულუფა ეძლია ხბორანი თურისათვის, სამი წლის წაბლა მოზვერისა და წლინახევრის დეკეულისათვის.

მაზარიანი ბერიკაცი ბოდბისხეველი თუ არა, ჯუგაანელი ან საქობოელი უნდა ყოფილიყო, რადგან მუშტრების კითხვაზე — სადაურია ხარო, მოკლედ პასუხობდა, აქაურიო.

შემციენებული ხალხი ცეცხლწაკიდებულ

მანქანის საბურავს შემოხვეოდა და ღინჯი მასლაათი გაებათ. ბერიკაცი კი აანუნშიაც არ აგდებდა ყინვასა და ფეხმოუცვლელად ედგა თავის სამწყსოს. მთელ ბაზრობაზე მისნაირი ჯიშიანი და მსუქანი საქონელი სხვას არავისა ჰყავდა. და ბერიკაცის უბედურებაც სწორედ ეს იყო: ხალხი მეტწილად ჯანდაგ და საშუალო ფასის პირუტყვს ეტანებოდა. გამოცდილმა მუშტარმა (გამოუცდელი კი აქ თითქმის არავინ იყო) კარგად უწყოდა, რაც ეღირებოდა ბერიკაცის ნაპატიები საქონელი და დაფასებითაც კი არ აფასებინებდნენ. მხოლოდ ვინმე უბირი თუ მიუტყაპუნებდა ფერდზე დაბმულ მოზვერს — უჰ, რა ხაშლამა აყრიაო. ან უსაქმური ცნობისმოყვარე გაუჩერდებოდა ბერიკაცს და ფურზე ანიშნებდა.

— რამდენს იწველის, ძია კაცო?

— მყიდველი ხარ, შვილო?

— არა... ისე.

— თუ კარგა აჭმევ, დღეში რვა-ცხრა ხელადას მოგცემს, — უხალისოდ ეტყოდა ბერიკაციც და კვლავ განაგრძობდა სადღაც უაზროდ ყურებას.

ბაზარს ცხენიანი კაცი მოადგა. დაიქვეითა, მათრახი და სადავე მარცხენა მკლავზე გადაიდო და საქონლის თვალიერებით ნება-ნება წავიდა ზევით. შუახანს კარგა გადაცილებული იქნებოდა. უსაპირო ტყავის ტულუპი კოჭებზე სცემდა. თუშურ ქუდზე მიკრული ლითონისგან ჩამოსხმული მუხის პაწია ფოთლის გამოსახულება გვამცნობდა, რომ ეს ჭროლათვალებიანი კაცი მეტყევე უნდა ყოფილიყო. ლაზათიანად აგრეხილი ულვაშები, კარგად მოვლილი ცხენი, ყაჯარი და ვერცხლით გაწყობილი ლაგამ-უნაგირი ამ კაცის ძველებურ თავმომწონეობაზე მეტყველებდა.

საიდანღაც ოქროსკბილება, მარჯვე ბოშა გამოტყვრა და მეტყევეს აედევნა.

— ძია, ცხენს არ გაჰყიდი?

— რა თავქვას ახლი, ბიჭო! — გაიკვირვა მეტყევემ, — მე რიღათ ვიარო!

— არა, მაინც. მაინც?

— დაიკარგე აქედან, შე რჯულძაღლო! — მათრახს წაეტანა ტყის ბატონი.

ბოშა გაუჩინარდა. მეტყევემ კი ულვაშები აიგრიხა და გზა განაგრძო. მორჩილად მისდევდა ნისლა იაბო, რომელიც ხალხის მზერას ადვილად იტაცებდა.

მეტყევეს ანაზდეულად მაზარიანი ბერიკაცის საქონელი მოხვდა თვალში. შედგა და დაკვირვებით მიაშტერდა ხბოიან ფურს. მერე ბერიკაცსაც შეხედა და მისკენ გაემართა.

— ბიჭო, ნიკავ! — შესძახა მეტყევემ, — ფური რო არ მამხვედროდა თვალში, ვერცკი დაგინახამდი — რა გუმანს მოვიდოდი... როგორა ხარ?

— როგორც მტერს უნდა! — იყოს პასუხი.

— ჰაი, ვიდი! — თავში შემოიკრა მეტყევემ, — შენ ვინა და მაგეთი შვილი... ეჰ, რა ოქროსავით ცოლშვილი დააწიოკა, მაგ ღმერთმაღლამა! სად არი ახლა კაკო?

— მიწაში.

— არა, მაინც სადა ბრძანდება?

— როსტოვში გდია.

ორივენი გააჩუმა ვეება ლორის თავგანწირულმა ჭყივილმა, რომელსაც მანქანაზე დასმას უპირებდნენ. გნიასი რომ მინელდა, ახლა ნიკამ დაიწყო.

— კაცო, ტრიფილო, იქნება გზაზე არ დამინახავდი და... მე თუ სიძე ვარ და სათვალავში არ მაგდებ, იმ შენი დაუას ნახვა მაინც არ გინდა: იქნება დავახრჩეთ, მოვკალით, გადავაგდეთ.... იქნება სულაც ღვარმა წაგვიღო...

— დაიცა, ნიკავ, დაიცა, — დააშვიდა მეტყევემ და თავის კონისკენ წაწეულ ცხენს ლაგამი გამოჰკრა, — სხვამ თუ არა, ე, შენ ხომ იცი, რომ სტუმრობა და ნათესავ-მოკეთეში სიარული ჩემი მოგონილია. მაგრამ ჯანი აღარ მომდევს და ღონე — დავბერდი, მუხლები აღარ მივარგა. ე ცხენი რომ არა მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ეგეც არ იყოს, ტურასავით სუ ალაზნის ტყეში ვზივარ. უფროსმა — ჭალას თავს ნუ ანებებთ, მანდ უნდა იყვნეთო და მეცა ვზივარ — სხვა რა ჩარა მაქ... ეგ კი არა, შენ ერთი ეს მითხარი — ე პატიოსანი საქონელი რაზე გამოგირეკნია პირწმინდათ?

— ფული გვჭირდება.

— ფული რათ გინდა?

— მე რა ეშმაკად უნდა მინდოდეს — არჩილს ვუქუჩებთ, — მიუგო ნიკამ და თვალები სადღაც გაექცა, — ამხანაგური ბინები უნდა ჩავდგათ და ერთი შვიდიათასი იგრე მჭირდება, რომ მეტი აღარ იქნებაო...

მოხუცებმა ერთმანეთს შეხედეს. თითქოს უცბათ გაიგესო ერთმანეთის გულისპასუხი: ნიკამ თხრობა შეწყვიტა, მეტყევემ კი ყური აღარ ათხოვა, ფურს მიუახლოვდა და ბოჩოლას ფხანა დაუწყო.

— უმარილო ჯეილი გამოგადგა ეგეც, ეგ კომლობადავსილი, — ხმა ამოიღო მეტყევემ და ხბოს თავი ანება, — სახლიცა ჰქონდა და კარიც, ქალაქში რა მიარბენინებდა.

— მეც ეგ ვუთხარი და იმაზე, არ შამამწყრა! — მხარი აუბა ნიკამაც, — წინეებზე პეტომ ლორი დაკლა და აბა, ისინიც აქ იყვნენ. სუფრაზე მიჰხდა-მოჰხდა და წალაპარაკებასავითაც კი გამოგვივიდა. მე უთხარ: შე მამაძაღლო, თუ ადრევე ქალაქში წასვლა გეწადა, ექვსი თვალი ბინა აქ ვილასთვის ჩამადგმევინე, ან იქ სხვას რაზე ამუნათებინებ თავსა და მდგმურად უდგეხარ მეთქი. ერთი გაჩვენა, ტრიფილ, სახლს მაინცა ჰგავდეს, კაცო... მიწაში ჩათხრილი სოროა, მე და ჩემმა ღმერთმა, ძროხას არ გავიმეტებ იქ შასაგდებად. ერთი ხელსახოცისტოლა ფანჯარა აქვს, ისიც მიწისპირად, ეგ არის და ეგ. ეგეთი ბნელაა, დღე და ღამე სინათლე უნ-

თიათ... ჰოდა, მეც გაჯავრებული ვიყავი და: თქვე კაი ხალხო, თქვენი თავი თუ არ გებრალებათ, ე ყმაწვილს მაინც რაღაზე ახაშლებთ მაგ სინესტეში-მეთქი. ერთი დაგახედა კახასათეის, როგორც ყვითელი სანთელი, ისეთია, აგრემც პაპა მოუკვდება, — ჰოდა, როგორ თუ შენ ეს გვაკადრეო, რა ვიცი, ისეთი რა უთხრა ი ქალბატონმა. ეს ჯეილი მომდგა და რაც არ იქნებოდა, ის მითხრა. შენ ხო მამა არა ხარო, შენ ხომ ჩვენი თავი არ გეხალისებაო, კაცო ხო გაჰყარე ცოლშვილსა და ახლა მე მიპირებო...

— ერთი უყურე, კაცო!

— მაშ, მაშ!...წამოცვივდნენ შუა პურიჭამიდან, კალიელას დააქოქინეს მანქანა და ჰაიდა!...

— ჰკუა არ უურიც თავში, არა! — დაბეჭდა მეტყევემ.

— მაშ ჰკვიანი კაცი სახლკარსა და ედემივით ეზო-ყურეს თავს გაანებებდა და ქალაქში ვილაცა სპეკულანტს მდგმურად დაუდგებოდა?!

— ბანი მისცა ნიკამ, — მერე და როგორი სახლკარი: გზა — ზედ, წყალი — ზედ, გასადევარი — ზედ, ვენახი — ზედ, ბოსტანი — ზედ, ტყე — ზედ. ერთი ე საფქავი გვათარსებდა და ეს ორი კვირაა რაც სომხეთიდან წისქვილის ქვებიც ჩამოიტანეს. მერე რამდენი ეხვეწა ტოპრაკა-ვასომ: დარჩი აქ და კაცად გაქცევ. გინდა მეურნეობაში იმუშავე, გინდა — სანერგეში, აგრონომები ძალზე გვიჭირდებაო. მაგრამ ვინ მოუსმინა? ადგა და ქალაქს გაიქცა, იტყვი იქ ოქროები აქუჩიაო.

— მაგ მამაძაღლს გაუგონია, ელია მომკვდარაო და ის აღარ იცის თავი საით უძევს, — დაიძახა ტრიფილომ, — ქალაქში ისეთმა კაცმა უნდა იცხოვროს, ვინც დიდი ქონების პატრონია და ჯამაგირსაც კარგს აძლევენ. მუშაობს მაინც არი?

— რო მუშაობდეს, ჩემი შესანახებილა იქნებოდნენ? — უპასუხა ნიკამ, — ვმუშაობო, იძახის, მაგრამ, როგორც მე ვატყობ, არსადაც არა მუშაობს, ეგენი თავიანთ თავსაც ატყუებენ და სხვასაც. ან გინდაც მუშაობდეს, ოჯახს რა ბარაქა უნდა მოჰკიდონ — თვეში ცხრა თუმანს მარტო ქირას იხდიან!

— ოჰ, — დაიკვნესა მეტყევემ, — ღმერთი აღარ არი!

— ეგ ერა მხეთქამს ბოლმაზე, — ნიკამ ჯოხი უქნია უცხო ტანას, რომელმაც ბოჩოლას დაყნოსა და რქენა დაუპირა, — მაგრამ არც რო თავს გვანებებენ!

— რაღა უნდათ? — დაინტერესდა ტრიფილო.

— ი ქალბატონს უბრძანებია შინ ვერ გავჩერდები, მე ვიმსახურებ, დედამთილი კი ჩამოვიდეს და ჩვილი შემინახოსო. ეს შენი დაუა ერთი კარგად შევაჩვენე: სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, შე ოჯახდასაქცევო, ნემსებითა და აბებით გიდგა სული, შენ სხვითა ლალაობის თავილა გაქვს-მეთქი. ადგილიც კი არ არი იმდენი, რიგიანად ლოგინი გაგიშალონ, თუ არა და რაღა შენ გიბარებს — თავისი დედა ჩამოიყვანოს — ისეა გასქელებული, ადგომ-დაჯდომა უჭირს-მეთქი. რა ვქნაო, შეილიაო, ხომ ვერ გადავაგდებთო, ატირდა საწყალი. რა მექნა, — ველარც მე დავუშალე, ოღონდ ეგენი იყვნენ კარგად და ჯანდაბას ჩვენი თავი... ჰოდა, აგრეა ჩვენი ამბავი, ტრიფილო, რო არ მოდიხარ და არა გვკითხულობ: დედაკაცი ეს ოთხი თვეა იქა ჰყავთ, მეც, შენი არ იყოს, იორზე ვყუნტიავარ, სახლკარი და ვენახი ღვთის ანაბარას გდია, ქათმები და ინდაურები ჩვენებიანთ პელოს გადავულალე. ე საქონელიც თუ დავყიდე, ჩაუტან ფულსა და გათავდა! აბა, სხვა რა ვქნა!

— მოდი, ერთხელ წავალ და ვნახამ, — ჩაფიქრებით დაიწყო მეტყევემ, — იქნება დავითათბიროთ და მოგხედოთ.

— აპაპა! — ხელები გაასავსავა ნიკამ, — ის აქეთ წამომსვლელი აღარაა და ტყუილად პირს შეირცხვენ.

— რათა, კაცო, რათა, — შეეკამათა ტრიფილო— ჩემ ხელში დაიბადა და გაიზარდა. ვეტყვი, ჰკუაზე დავარიგებ, სიტყვას ბევრი რამე შეუძლიან. უეჭველად შემინახამს ხათრსა.

— ვინა, ბიჭო, არჩილა?! — მწარეთ გაიოცა მოხუცმა, — განა ისევ ისეთია, როგორც უწინ იყო. რა, რაზეც შენ ელაპარაკები, იმაზე კი არ გაძლევს პასუხს! ის სხვას გეუბნება. ცოლმა სულ თავის ნებაზე გაწვრთნა!

## ამას დასაკლავად ვერ გავიმეტებ...

სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკამ ცოტაოდენი თივა მიუყარა ძროხებს და ცოლის-ძმას მიუბრუნდა.

— ამ ყიამათში შენ რაღაზე გარჯილხარ?

— იოსები... იოსებმა — ერთი კაი ფაშატი კვიცი ამიჩინეო... მე ახლა ამისათვის არ მეცალა, მაგრამ ხათრი ველარ გავუტეხე.

— კვიცი? — ჩაფიქრდა ნიკა, — იოსებს... ბაციაანთ იოსებას არ ამბობს... ჰოდა, იმას კარგი იორღა ჰყავდა, რაღა უნდა?

— საღლა ჰყავს, გაყიდა. ალვანელ თუშს თორმეტ ჰედილაზე გადაუცვალა....

მოსაუბრეებისკენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ორმოციოდე წლის კაცი წამოვიდა. მას ზედაც არ შეუხედავს ბერიკაცებისათვის, ფურს გვერდზე გაუჩერდა და დუმილით დაუწყო თვალიერება. მერე ირგვლივ შემოუარა, ხბოს დაჰხედა — სახარეა თუ საფურეო, და მოულოდნელად დაილაპარაკა.

— რა ღირს ძროხა?

— ათასი მანეთი, — დინჯად უპასუხა ნიკამ.

მუშტრის ჩარჩულ სახეზე ძარღვიც არ შეკრთალა.

— მე მარტო ხბოიან ფურზე ვიძახი! — ისე

წარმოსთქვა უცნობმა, ძროხისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— ჩვენც მარტო მაგაზე მოგახსენებთ... — მყისვე მიუგო ტრიფილიმ და წინ წადგა, — მყიდველი ხარ?

— მყიდველი რომ არ ვიყო, ამ ყინვაში ფეხები კი არ მექავება, — იწყინა მუშტარმა და რიხიანად მოსჭრა, — ხუთასს ახლავე გადმოგითვლი და გავათავოთ!

ნიკას მწარედ ჩაეცინა.

— ხუთასად მე რომ გაგატანო, შენ თითონ წაიყვან?

უცნობი, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— მაშ რა არის შენი უკანასკნელი ფასი?

— რაცა ვთქვი — ათასი!

— ექვსასი...

— რა გინდა, ჯერ ნახევარი გადამიხადე, წაიყვა, წველე, გამოსცადე, თუ შენ ამას რამე ზნე უპოვნო, უკანვე მომგვარე და წაიღე შენი ფული....

— ექვსასი კაი ფასია, თუკი...

— ე ფურს კიდე ხო შენცა ხედავ — ნავივითაა. ბეწვი რომ ამოაძრო, ქონი ამოჰყვება. გზათა უკან კი არ დამიდის — იორზე ძროხაში ვარ და სულ ნაწილზე მყვანან დაზდილები. ე დეკეული და მოზვერი ჰა და ჰა, ჯერ ხამები არიან, ძროხა კი იგრეა გარყვნილი, პურს რო ვჭამდე, მოვა და ჯამიდან ლუკმას მაცლის...

— კარგ სიტყვას გეუბნება, კარგს სიტყვას! — საუბარში ჩაერია ბურვაკების პატრონი და სიმინდის ჩირჩნით წამოვიდა მოვაჭრეებისკენ, — ტყუილია, მთელი წელიწადი რომ იარო, მე ხო ვიცი, სუ ბაზარზე ვზივარ, შენ ასეთ ძროხას ვერ იშოვნი. ამაზე უხეიროები დილას ქვემოქედელებმა ცხრაას-ცხრაასად დაყიდეს. თუ მართლა მყიდველი ხარ და ოჯახში მეწველი ძროხა გინდა, ყისმათი გქონია. მორიგდით და ეგ არის!

რაღაც ფარული მოსაზრებებით შეპყრობილ უცნობს ყურადღება არ მიუქცევია მეღორისათვის, რომელსაც სიმინდის ტაროები ყუმბარებივით ეწყო შარვლის ჯიბეებში.

— ექვსასზე მეტს ვერ მივცემ, — ჩაილაპარაკა ბოლოს და ყასიდად გადახედა სიცივისაგან ბეწვაშლილ დოლა ძროხას, რომელიც შავებიან დედაკაცს ჭრელი საბლით ეჭირა, — შენ როგორა ჰყიდი, ქალო?

— ჩემ ორ შვილსა ვფიცავ, — ფიცხლავ უპასუხა დედაკაცმა, — დილას ხუთასნახევარი მაძლიეს, მაგრამ...

— მე ეგ არ მაინტერესებს სხვამ რა გაძლია, — გააწყვეტინა უცნობმა, — შენ რას აფასებ?

— რა ვქნა, ექვსასზე ნაკლებად ვერ მივცემ.

მუშტარი მიუახლოვდა ძროხას და დიდხანს უზილა გვერდები და ზურგი.

— გამხდარია! — დაასკვნა ბოლოს.

— ნაზამთრი საქონელი მა როგორი იქნება, შვილო, — დაითაფლა დედაკაცი. ეტყობოდა, ბუნებით აშარი იყო და ნაძალადევი ღიმილი სულ არ ეხამებოდა მის კუშტსა და გაალმასებულ სახეს, — გაზაფხულზე გაიდევნება და... ძალზე კარგი ხბორები იცის... ჯერ ორნაყოლია....

მუშტარი აღარ უსმენდა. მან კვლავ ნიკას ძროხას დაადგა თვალი და გაშინაურებული კაცის ხმით დაიწყო.

— ჰა, არც მე ვარ ჯანჯალი კაცი, მოვრიგდეთ!

— ძალიან შორიშორსა ვდგევართ, — ვერ მოვრიგდებით! — მიუგო ნიკამ, — თუ არა და ერთი არ ჩამოწველი მაინც. რძე განა ბაცი ან ლურჯია რა, — ისეთია, როგორც ქათქათა თოვლი!

— მე რძესთან არა მაქვს საქმე, — განმარტა ბოლოს მუშტარმა და ფარდა ახადა თავის საიდუმლოს, — ხბოს როგორც კი მოვსხლეტ, ძროხას ოთხში ამოვილებ და ფულად ვაქცევ...

განცვიფრებულმა მსმენელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა, ძროხას დასაკლავად ვერ გავიმეტებ, — კაცის ფერი აღარ ედო ნიკას, — შე კაი კაცო...

ხმა ჩაუწყდა. გული ამოუჯდა. ცრემლი რომ დაემალა, თივის კონას მიუბრუნდა. მერე ხბო ახსნა და დედაზე მიუშვა.

— ეგეთი ძროხა დასაკლავად როგორ უნდა გაიმეტო, ქრისტიანი არა ხარ, ბიჭო! — გაიძახოდნენ აქეთ-იქიდან გლეხები, რომლებსაც აღრჩოლებული კოცონებისთვის მიენებებინათ თავი და მოპაექრეებს შემოხვეოდნენ.

ცოტახანს იყაყანეს, ენა მოიფხანეს, ყასაბი გაამტყუნეს, ძროხა შეაქეს და როცა უდიერი მუშტარი გაუჩინარდა, ისევ თავიანთ საქონელსა და კოცონებს მიჰმართეს.

ნიკასა და ტრიფილისთან მეღორეღა იდგა.

— ძალა ხო არ არის, კაცო, — დაიწყო მეღორემ, — ჩვენ ხალხს აღარ უნდა საქონელი, მოვლა-პატრონობას უკადრისობენ თავიანთ ჭკუაში! საკლავს ეტანებიან მეტწილად, შესანახ საქონელს აღარა აქვს ძველებური ბაზარი. თორემ, შე კაი კაცო, ამ ძროხას აქამდე აქ ვინ დაგიყენებდა — შეცილება უნდა ჰქონდეთ!... აბა, რა იცის კაცმა, თორემ... წინეებზე ჩემს ქვისლს ეყიდნა ხბოიანი ძროხა. მოატყუეს, კარგიაო. რის კარგი, რა კარგი, ჯერ იმისი რძის გემო არ იციან — წიხლს ტყვიასავით ისვრის. პატრონი ვნახეთ და ჩვენ გაგვამტყუნა — თქვენ გაგიავზნიანებიათო. მემრე შემთხვევით იმის მეზობლებს მოვხვდით ქელეხში და იმათ გვითხრეს: რას ამბობთ, სახლში ერთი მთელი ვედრო აღარა აქვთ — მაგიტომ გაყიდესო. ის რომ არ გაეხადა ჰირად, ამ ძროხას არ დავანებებდი სხვას. მაგრამ აბა, რა იცის კაცმა....

## ფული იყოს, თორემ...

ზევით, სადაც გალავნის ძირას ცხვრის ნოტოები იდგნენ, ახალგაზრდა კაცების ჯგუფი გამოჩნდა. ათი-თორმეტნი მაინც იქნებოდნენ. ზოგიერთებს სანოვაგით სავსე ჩანთები მოჰქონდათ. ზოგიერთებს ცარიელები, რომლებსაც, ალბათ, მალე აავსებდნენ. ყველაზე მაღალს, ზონზროხას, სქელი, ახალმოდური ულვაშები ულაზათოდ რომ ეკიდა მსუქან ლოყებზე, მხარზე ახლადნაყიდი თოკი გადაეგდო.

მოდიოდნენ სიცილ-ხარხარით, ოხუნჯობით, გუნდაობით და ხელისკვრით. ეტყობოდათ, რომ ეს გარემო მათთვის დაბადებიდანვე ახლობელი, ნაცნობი და მშობლიური იყო. ერთი მათგანი წამდაუწუმ იხდიდა სიასამურის ძვირფას ბანჯგვლიან რუსულ ქუდს, მაღლა ისროდა და თავით იჭერდა. ბიჭები კი სიცილით იხოცებოდნენ და ახალ-ახალი ანგლობისაკენ მოუწოდებდნენ.

ძროხების შუაგულში რომ შემოერივნენ, შედგნენ. ორმა მათგანმა მძიმედ დაუშვა მანაზე ასხმული სამი ინდაური. მეტყევემ ზონზროხას ჰკითხა:

— რას დაგიდის ე ბიჭები, რა გინდათ?

— მოზვერი უნდა ვიყიდო.

— რა, ქორწილს იხდი?

— რა დროს ჩემი ქორწილია! — გაიღრიჯა ზონზროხა.

— რა უდროსია ვითომ? — თვალი მოუჭუტა ტრიფილიმ.

— ჯერ პატარაა! — დამცინავად გაისმა აქეთიქიდან.

— მაინც როგორი პატარაა? — იკითხა მეტყევემ, — რამდენი წლისა ხარ, ზაურავ?

— ოცდახუთისა, — იყო პასუხი.

— მოგვეცა შვილა! — შესძახა ტრიფილიმ, — ოცდახუთისას შაქრო და მიშიკო უკვე მყვანდა და დედაკაცი თებროზე იყო ფეხმძიმედ.

— მერე რა, — იხტიბარი არ გაიტეხა ზონზროხამ, — მაშინ სხვა დრო იყო.

— არაფერი სხვა დროც არ იყო,—არ დაუთმო მეტყევემ და ყალიონის გაწყობას შეუდგა. — რაც ახლაა, მაშინაც ის იყო, — დრო ყოველთვის ერთია, შვილოსა... აბა. მაშ მოზვერი რაში გჭირდება?

— ჯარიდან ძმა ჩამომდის შვებულებაში! — უპასუხა ზონზროხამ და ყინვისაგან აწითლებული ყურები ხელთათმანიანი ხელებით მოისრისა.

— მერე მაგას მოზვერი რათ უნდა? — კვლავ ალაპარაკდა მეღორე, — ხელმწიფე ხომ არ არი, მოზვერი დაუკლა... ერთი გოჭი გაფუფქეთ და ეყოფა.

— მტერს რათ უნდა ვათქმევინოთ ესაო და ისაო, — ჭორიკანა დედაკაცივით ალაპარაკდა ზონზროხა, — ბურვაკსაც გავფუფქავთ და ძროხასაც გავატყავებთ!

— რა, ჭედილას კი არ მოვჭრით თავსა! — ბანი მისცა მეორემ.

— არც ამ საწყლებს დაადგებათ კარგი დღე! — თოვლში გართხმულ ინდაურებზე მიათითა მესამემ.

— ძალიან ნუ იბრალებ! — გაუცინა ზონზროხამ, — თითოში ოცდახუთი მანეთია მიცემული.

გლეხები უხერხული ღიმილით ისმენდნენ ბიჭების ტრაბახობას.

— მოზვერი გინდათ და ამაზე უკეთესს სადღა იშოვით! — ნიკას წაბლა მოზვერზე მიათითა მეღორემ და მუჭაში ჩაჩირჩნილი სიმინდის მარცვლები ბურვაკებს გადაუყარა, — იყიდეთ!

— ამათ ერთი კუდალა ტახა ენდომებათ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ტრიფილიმ, თან ჩიბუხი ააპლაკუნა, — სამოზვრე ფული სად ექნებათ.

— რაო? ფული არ ექნებათო? — დაიჭყანა ზონზროხა, — ვინ მოგახსენა, — თონეს ფულით ვახურებთ!

ირგვლივ სიცილ-ხარხარი გაისმა.

— პატარა ბიჭია და როგორი სიტყვა-პასუხი აქვს! — ხელი ხელს შემოჰკრა თეთრწვერა ბერიკაცმა.

— ეჰ, შვილოსა! — განზე გადააწიტა მეტყევემ, — კოლექტივი შეგესწროთ და დაჰლაღდით, თორენ მამაშენს ქუდი გზაზე უნდა ედოს.

კვლავ ახარხარდნენ.

— მაშ, როგორ არა! — იუკადრისა ზონზროხამ.

— „მაშ“ რაღაა, ტყუილს ვამბობ თუ რა არი? — განაგრძო მეტყევემ, — მამაშენი ხომ არ გატყუებს სულ ასეთი ჯეილი ვიყავიო? — ერთი კაკალზე გამობმული წნელის ქოხი ედგა ჰიბახლოს ბიჭის ნავენახობში, მაშ! შინ რომ მიხვალ, აბა, ერთი ჰკითხე, ტრიფილიმ მითხრა და მართალია თუ არა-თქო: თამბაქოებში პირველად ამრიცხველად რომ მოვიდა, ისეთი ღარიბი იყო, დედაშენმა ერთი ძველი სუფრა დაშალა და იმისაგან შეუკერა კიტელი!

ისეთი ხარხარი ატყდა, რომ შორს მდგომებმაც ანებეს თავი საქონელს და აქეთ გამოსწიეს — რაღაც კარგი ამბავიაო.

ყველაზე მეტად თვით ზონზროხას ამხანაგები იჭაჭებოდნენ.

— სუფრისაგან შეკერილი კიტელი! სუფრის კიტელი! — იძახოდნენ აცრემლებულები და სიცილისგან დაოსებულნი ერთმანეთს ეყუდებოდნენ.

ტრიფილი, ცოტა არ იყოს შეკრთა. ბიჭს გული არ ვატკინოო, გაიფიქრა და ისევ თვითონ გაუბა.

—ჰოდა, შე მამაძაღლო, დასაკლავი მოზვერი კი არა, იყიდე ე ხბოიანი ფური და წველე!

— ეგლა მაკლია ძროხებსა ვდიო! — ტუჩი აიბზუა ზონზროხამ.

— არა და პაპაშენი როდემდე მოუვლის, თავისი ფეხის ხმა აღარ ესმის!

— იმასაც უნდა დავაყიდინოთ! — არ დაუგვიანა პასუხი ზონზროხამ, — „ქიგულისათვის" ფული მჭირდება!

— მე არაო, პაპამ არაო, მამამ არაო, — თითებზე ჩამოუთვალა ტრიფილიმ, — ეს ჭამაყლაპა რომ გიყვართ, მაშ ვიღამ დაზარდოს საქონელი?

— ეგეც მე მადარდე! — გაიცინა ზონზროხამ, — ვისაც უნდა, იმან დაზარდოს — რა ჩემი საქმეა!

— როგორ არაა შენი საქმე, თუ საქონელს არავინ იყოლიებს, სადღა იყიდი? ჰმ, ფული იყოს, თორემ ყველაფერს იშოვი!

— აი, ხათაბალა არ არი! — ხელები გაშალა მეტყევემ.

ტრიფილის და ზონზროხას პაექრობით ვართულ ხალხს შუახანს მიტანებული ქალი და კაცი მიუახლოვდა. კაცს თუ კარგად დააკვირდებოდით, მაინცდამაინც არ გაგიჭირდებოდათ მისი ეროვნების განსაზღვრა, მაგრამ ქალის მორთულ-მოკაზმულობისთვის საკმარისი იყო თვალის ერთი შევლება, რომ ხელად მიხვდებოდით — ისინი აზერბაიჯანელები უნდა ყოფილიყვნენ.

## ზაქათალელი ყონაღები

ახლადმოსულ კაცს ოფიცრული ჩექმები, ღვიძლისფერი შალის გალიფე და ძვირფასი, მაგრამ გაქექილი, ძველმოდური პალტო ეცვა, რომელსაც ნიჩბისტოლა ჯიბეები გარედან ეკერა. პატარა, ხშირთმიან თავზე კოშკივით ედგა ცაჩატეხილი კრაველის შავი ბოხოხი.

ქალი რომ მოჰყვა თან, ეტყობოდა მისი ცოლი იყო.

ისინი ხან ხბოიან ძროხას უყურებდნენ, ხან შექუჩებულ ხალხს. კაცს რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ყოყმანობდა.

— რაშია საქმე, ძმობილო, რა გინდა? — ომახიანად შესძახა ტრიფილიმ და გაუღიმა ახალმოსულებს.

— ქართული... არ... იც....— მორიდებით წაიბორძიკა აზერბაიჯანელმა.

ხალხი ცნობისმოყვრულად მიაჩერდა დაბნეულ ცოლ-ქმარს.

— ეგ არაფერი, — გაამხნევა ტრიფილიმ, — სადაურები ხართ?

კაცმა ვერაფერი გაიგო. ქალი კი საერთოდ არ აპირებდა ხმის ამოღებას.

— სადაურები ხართ, სადაურები! — არ ცხრებოდა ტრიფილი, — სადა ცხოვრობთ?

— რა... მქვიან? — ენის ბორძიკით იკითხა კაცმა.

— ჰო, — ფაფი დაუქნია ტრიფილიმ, — რა გქვიან?

— ისა.

— მუსა?

— ისა, ისა!

— ჰო, ძალიან კარგი, — სული მოითქვა ტრიფილიმ და ის იყო კიდევ რაღაც უნდოდა ეკითხა, რომ ისამ გააბა ლაპარაკი თავის ენაზე, თან ძროხაზე ათითებდა.

— ეგრე საქმე არ გაკეთდება! — ჩაილაპარაკა ჩასკვნილმა გლეხმა და ცხენებთან შეგროვილი ხალხისკენ იბრუნა პირი.

— ვალიკო, აბა ერთი მოდი აქა! — გასძახა ვიღაცას.

— ვინა? მე? — გამოსძახა ნაბადწამოსხმულმა კაცმა.

— შენ კი არა, ბოდბელი ვალიკო! — ხმას აუწია ჩასკვნილმა, — შენ რათ მინდიხარ!

დინჯად გამოემართა ოცდაათიოდე წლის წითური, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი. ისე იღიმებოდა, ეტყობა, იცოდა რისთვისაც ეძახდნენ.

— რაშია საქმე? — ყასიდადღა იკითხა და თვალი გააპარა აზერბაიჯანელებისაკენ.

— აბა, ერთი დაუთათრულე შენებურად! — — თავმომწონედ მიუგო ჩასკვნილმა და უსახელო მოკლე ტყაპუჭზე მიუტყაპუნა.

ვალიკომ ლაპარაკი გაუბა ახლადმოსულს. კახელები ამაყი ღიმილით შეჰყურებდნენ სხაპასხუპით მოლაპარაკე ბოდბელს.

— სად ისწავლა ეგრე წმინდა თათრული, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ გაოცებით.

— სადა რა, შვიდი წელიწადი სამუხში ამათთან ვიყავი, — მოუტრიალდა ვალიკო და ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, — ზაქათალიდან არიან გამოსულები. ძროხის ყიდვა უნდათ... ვისია ხბოიანი ფური?... ფასი გვითხრასო.

უმალ დაუსახელეს ფასი — ათასი მანეთი. ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაშტერდა. მათი გაწუჭვრეტელი სახის მიხედვით კაცი ვერაფერს დაასკვნიდა. ერთხანს ასე გაუნძრევლად შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მერე განზე გავიდნენ და მშვიდი ჩურჩული გააბეს.

ბიჭებმა დასტაცეს ხელი ჩანთებსა და ინდაურებს და იქით გასწიეს, სადაც წვრილი, იაფფასიანი პირუტყვი იყიდებოდა.

ცოლ-ქმარმა მოათავეს ბჭობა და ისევ ფურს მიუახლოვდნენ. ცოლმა რაღაც უთხრა ქმარს, ამ უკანასკნელმა კი თარჯიმანს. როგორც კი მიიღეს პასუხი, ქალი მიუახლოვდა ძროხას გვერდიდან, გავაზე ხელი წაუთათუნა და თამამად, მაგრამ ფრთხილად ჩაიჩოქა, გრძელი, ნაირფერი, ფუმფულა კაბა ფარშევანგის ფრთებივით გაიშალა. ქალმა გამხდარი ხელები აამოძრავა და ძროხას ცურის თავები მოუსინჯა. მერე მარცხენა მუჭა შეუშვირა და ოქროსბეჭდებიანი მარჯვენათი შიგ ჩაიწველა.

— აი ნამდვილი მყიდველი, — კმაყოფილება ვერ დაფარა ნიკამ.

აზერბაიჯანელმა ქალმა ქათქათა რძით მუჭი რომ გაივსო, ფრთხილად წამოდგა და ქმარს

აჩვენა. მერე განზე გადალვარა და სველი ხელი კაბაზე შეიმშრალა.

ახლა კაცი შეუდგა თავის საქმეს: ძროხას გულდასმით გაუსინჯა კბილები და ჩლიქები, მერე რქები და სერიც შეამოწმა. ამას რომ მორჩა, გამობმული ხბო ახსნა ფეხიდან და ცოლს დააჭერინა, თვითონ კი ძროხა გაატარ-გამოატარა, ხომ არა კოჭლობსო, ცალი თვალით თან დეკეულს გასცქეროდა, რომელიც ფურს გვერდიდან არა სცილდებოდა.

— მე ეგრე ვატყობ, დეკეული უფრო მოსწონს, — ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— მეც ეგეთი აზრი გამოვიტანე, — დაუკვერა ჩასკვნილმა, — ეგენი ამ ფურის მყიდველები არ არიან, ძვირია!

— ეგენი არ არიან და შენ ხო ხარ, — გადაუკრა მელორემ, რომელიც უკანასკნელ ტაროს იჩირჩნიდა მუჭაში, — აილე და იყიდე.

— რას ამბობ, ქიტავ. — ნირი ეცვალა ჩასკვნილს, — სამაგისო ფული სადა მაქვს: ეს მეორე წელიწადია გოგოს ვამზადებინებ ლექტორებსა და ლამის არის ქათმებიც დავყიდო, გავტყავდი კაცი!

ისამ ძროხა მოიყვანა თავის ადგილზე, გამოაბა ხბო და მათთვის აღარც დაუხედავს, ბოდბელის დახმარებით ნიკას ვაჭრობა გაუბა. ეკითხებოდა ძროხის წველადობაზე, ჯიშზე, წლოვანებაზე, ზნე-ნირზე, ხბო რამდენი ხნისაა და ფური ხელახლა როდის გაიდევნებაო. ბოლოს, ჩვეულებისამებრ, ფასის დაკლებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

ბოლოს სიტყვა ტრიფილიმ გაურია.

— ათას მანეთს კაპიკი რო აკლდეს, არაფერი გამოვა!

ვალიკომ გადათარგმნა. ცოლ-ქმარი გაირინდა. მათ ერთხელ კიდევ შეათვალიერეს ძროხა. მერე ქმარმა რაღაცა ჩაილაპარაკა. ცოლმა ერთხანს იფათურა უბეში ხელი და ორმოცდაათმანეთიანებს და ოცდახუთმანეთიანების ვეება დასტა გადასცა მეუღლეს.

კაცი მცირე ხნით გაირინდა, გაირინდა ისე, როგორც ეს ყველა ერისა და ასაკის ადამიანებს ახასიათებთ, როცა ფულს თვლიან ან ჰყოფენ. მან დასტას ექვსი ორმოცდაათმანეთიანი მოამხო და საიმედოდ შეინახა შარვლის ვეება ჯიბეში, რომელიც ფუღუროს მიუგავდა. დანარჩენი ფული ნიკას გაუწოდა.

— ათ სია? — ათივე თითი გაშალა ტრიფილიმ.

ისამ ვერ გაიგო სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ გუმანით მიხვდა რასაც ეკითხებოდნენ და თავი დაუკანტურა. თან მწიკვინა ხმით დაამახინჯა ქართული.

— დაკათვლე, დაგათვალე!

— თუ ათასია, რაღა დათვლა უნდა, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— დათვალე, დათვალე, ფულს დათვლა უყვარს! — შესძახეს აქეთ-იქიდან და უფრო შემოჭიდროვდნენ. ტრიფილიმ ცხენი ქალს გამო[illegible]ბა და ხალხის წრეში შევიდა.

ფული ჯერ ბოდბელმა ვალიკომ დათვალა, მერე ტრიფილიმ — ათასი იყო.

ნიკამ ფული ბამბაზიის ხალათის ჯიბეში ჩაიდო და შეიკრა ღილი. ნაცრისფერი ედო სახეზე.

ვაჭრობა რომ დამთავრდა, ხალხი დაშოშმინდა და ნელა-ნელა იწყეს დაშლა. თარჯიმანი ისევ კოცონს დაუბრუნდა. ანთებული საბურავის ნაცვლად ყვითელი, მწვავესუნიანი ყავარყავარი ფერფლი და მავთულების ხვიებიღა დახვდა.

ცოლ-ქმარს ახლადნაყიდი ძროხა საბლით ეჭირათ და რაღაც საეჭვო ბჭობას თავს არ ანებებდნენ. მერე ქმარმა რაღაცა გასძახა თარჯიმანს.

ვალიკომ ზურგი აქცია ახლად ნაგალწაყრილ, ალრჩოლებულ კოცონს და ნიკასაკენ დინჯად გამოემართა.

— დღეს კარგ იღბალზე ხარ გამოსული, — — წარმოთქვა მან, — დეკეული როგორღა უნდა მისცესო.

— ერთი ამას დამიხედეთ! — შესძახეს გაკვირვებულმა ქართველებმა და კვლავ შემჭიდროვდნენ ნიკას, ტრიფილის, ზაქათალელი ცოლქმრისა და საქონლის ირგვლივ.

— ოთხასი, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— კაცო, რა სწორეთა სჭრი, — შეუტია დიდთავა, ცხენისნესტოებიანმა გლეხმა, — დაუფასე ექვსასი, შვიდასი და თუ... მერე ველარ დაუკლებ?!

— ჩემი საქონლისა მე ვიცი, — გაუნძრევლად მიუგო ნიკამ.

— არა, მაინც იაფია, ნიკავ! — წინ წამოდგა ცხენისნესტოებიანი.

— იაფი? — ჩაეკითხა ნიკა თანასოფლელს, — ფორე, შენ სამასადაც გატან — წაიყვა!

— მე? მე... მე.. — ენა აუბორძიკდა ფორეს, — ჩემი საქმე სხვაშია, თორემ...

ისამ წელანდელი ორმოცდაათმანეთიანები ამოიღო და ზედ ხუთმანეთიანები და სამმანეთიანებიც დააყარა. ფული რომ გადაიხადა, ცოლი საქონელთან დატოვა, თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა, მცირე ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა: ბოხოხიანი აზერბაიჯანელების ჯგუფს მოუძღოდა.

ახლადმოსულები კრაზანებივით შემოეხვივნენ საქონელს და სინჯვა დაუწყეს. თან ხმამაღლა ყაყანებდნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა, ვერცხლის ქამრიანმა ჩიამ დანარჩენებისაგან ისესხა ფული, შეევაჭრა ნიკას და ხუთასნახევრად იყიდა მოზვერი.

— დღეს რა ამბავში არიან ეს ზაქათლელები! — გაიკვირვა ნაბდიანმა.

— დღეს კი არა, ეს ორი, სამი წელიწადია

სულ ეგრე არ არი, — უპასუხა ტრიფილიმ, — რაც კაი საქონელია, ამათ მიუდით.

— რას იზამ, — დაუმოწმა ბურვაკების პატრონმა, — წელანაც არა ვლაპარაკობდი — ჩვენი ხალხი აღარა კადრულობს საქონლის დევნას და ძალი ხომ არ არის. რძე მოუნდებათ — წერტში გარბიან, ხორცი მოუნდებათ — ბაზარზე გამორბიან...

— მართლა არც ეგრეა საქმე, — წინ წამოდგა რკინისკბილებიანი გლეხი, — რაც აქ საქონელი...

— ეგრე რომ არ იყოს, — სიტყვა მოუჭრა ტრიფილიმ — ამ საქონელს სოფლიდან ბაზარზე ვინ გამოატანდა?

— საქმეც ეგაა!

— რაკი ბაზარზე გამოირეკება...

— ეჰ, საბაზრედ არ გახდეს საქმე, თორემ ბაზარი ბაზარია: ვისაც უნდა, ის იყიდის!

— შენ ეგა თქვი და!..

ბოხოხიანები შემოეხვივნენ ნიკას და მისამართი ჩაიწერეს. თავიანთიც მისცეს. აქ თარჯიმანი უკვე აღარ იყო საჭირო — რამდენიმე მათგანი ძალისძალად ამტვრევდა ქართულს.

მისამართების გაცვლა-გამოცვლას რომ მორჩნენ, აზერბაიჯანელები დატრიალდნენ და საქონელი მანქანაზე შესაყრელად მოამზადეს, გაგზავნილმა კაცმა მალე მანქანაც მოაყენა.

საქმეს რომ მორჩნენ, ისევ ძირს ჩამოიკრიფნენ. გაბალნული ტანისამოსი დაიფერთხეს და მხიარული მასლაათი გააბეს შოფრის მოლოდინში, რომელიც საყიდლებზე წასულიყო.

ხალხი მაინც არ აპირებდა დაშლას: იდგნენ და ნაუცბათევი ვაჭრობის წვრილმანებს არჩევდნენ.

— არა, მაინც იაფად მისცა, იაფად!

— რაღა იაფია, მაზანდა ასეთია. ფასიც კარგია და რაც მართალია, არც მყიდველები გამოდგნენ ჯანჯლები, — ხო დაინახეთ, რასაც უსახელებდა, აძლევდნენ.

— იმიტომ, რომ კარგ ფასს იძახოდა ბერიკაცი.

— ჰოდა, ნაღდი ვაჭრობაც ეგაა, თორემ აბა ერთიორად დაეფასებინა — იყიდიდნენ? ზედაც არ მოუხედავდნენ!

— ტანამ როგორ ისკუპა, ძლივს დასვეს.

— ხამი დეკეულია, მაშ როგორ გინდა... რატომ ფურმა არ ისკუპა?!

— მაგ დეკეულის ყიდვა ქალის ვაჟკაცობაა, — განაცხადა ბოდბელმა ვალიკომ.

— ქალის? რა ამბობ?

— მაშ, მაგან შეაგულიანა კაცი, ვიყიდოთ, ეს ამაზე კაი ფური დადგებაო.

— შეაგულიანა და მოუაროს ახლა სამ-სამს.

— რა იყო, ვერ მოუვლის რა!

— რა ვიცი. შინ ერთი მშრალი ძროხა მეგდო და დედაკაცმა სანამ გამაყიდინა, მანამ თავისი დაიმართა: ჰაი, მოვკვდი მაგისი დევნით, ჰაი, აღარ შემიძლიაო. ჰოდა, მაშ ეგენი როგორ ინახავენ...

— ეგენი! ეგენი, შე კაი კაცო!...

— ე, ჩვენი ხალხი, ხომ იცი...

მხოლოდ ნიკა არ იღებდა ხმას. იდგა მაღალი, გამხდარი, მიამიტთვალება, მხრებში მოხრილი და ფულით გულისჯიბეებგამობერილი.

— ნუ ტირი, ნიკავ, აბა რა გატირებს, — შეეხმიანა ტრიფილი, — ძნელია, მაგრამ რას იზამ... როცა გიჭირს... კაი ფასი მოგცეს და მაგ ფულს ცრემლს ნუ ააყოლებ, არ ვარგა.

ზევიდან ზონზროხას ამალა გამოჩნდა. მათ ახლა რამდენიმე გოგოც მიმატებოდათ და უფრო მეტი ფახითა და ხმაურით მოლაზღანდარობდნენ. ცარიელი ჩანთებიც გაევსოთ ხორაგით და თოკით ერთი პატარა, იოდისფერი ტანა მოჰყავდათ. ტანას მოტეხილი რქიდან გადმონაქონი სისხლი შავად შეჰყინვოდა, ნამჯის ღერებით აჭრელებული ფერდები ჩასცივნოდა.

ტრიფილიმ, როგორც კი თვალი ჰკიდა ტანას, ყველაფერს მიხვდა. მიხვდა, რომ იგი ნაყიდი იყო ვალმოსახდელად, ამპარტავნული გრძნობების დასაკმაყოფილებლად, მტერ-მოყვარეთა თვალმოსათხრელად, — აი, მომნებდა და ძროხა დავიკალიო! ეს იმასაც მიხვდა, რომ რაც მაგ ბეხრეკ ტანში ფული წაუვიდოდათ, იმ თანხით ხორცი რომ ეყიდათ, მოგებაში იქნებოდნენ. მაგრამ აქაც თავიდათავი ისევ სახელი და ამპარტავნობა იყო. ტრიფილი კარგად იცნობდა ზონზროხას ოჯახს და იცოდა — მათ ერჩიათ სოფელში ხმა გავარდნილიყო შვებულებაში ჩამოსულ შვილს ძროხა დაუკლაო და მეზობლების დასანახად ეზოში ხმაურით გაერთხათ ტყავი, ვიდრე წერტიდან თუნდაც ერთი ტონა ხორცი მუქთად ამოეტანათ.

„საიდან მოსდგამთ ეს თავადური ამპარტავნობა და კუდაბზიკობა, — ფიქრობდა გამწარებული ტრიფილი, — ან ვაჟკაცობა უვარგოდეთ, ან დიდი ქონების პატრონები ყოფილიყვნენ. მაგისი მამა არ იყო, პირველად ორჯონიკიძისა და პირველი მაისის კოლექტივები რომ შეაერთეთ, ცალ-ცალი ჩუსტით დადიოდა და უზეთო შეჭამანდი ენატრებოდა“...

ახალგაზრდები შეხვდნენ. ზონზროხას რაღაცის, ალბათ, საოხუნჯო სიტყვების თქმა, ან ცხენით გასეირნება ეწადა. მაგრამ ტრიფილის გვერდით აცრემლებულ ნიკას რომ შეასწრო თვალი, გადაიფიქრა, მერე ბერიკაცებისაგან იბრუნა პირი დანიკას საქონელს დაუწყო თვალებით ძებნა, მაგრამ ამაოდ: იქ, სადაც წეღან ძროხები ებნენ, ახლა ნაგალი-ღა ეყარა.

— ერთი თქვენსავით მუხლი მომდევდეს და თუ ამ საქონელს ალაზანგაღმა გავუშვებდი, მაშინ გენახათ! — შესძახა ტრიფილიმ ახალგაზრდებს და მათრახის ტარი ტულუპის კალთაზე დაიტყაპუნა, — შეგირცხვეთ ვაჟკაცობა!

ხალხი, რომელიც თვალს არ აშორებდა მან-

ქანის ძარაზე მომწყვდეულ საქონელს, შეაკრთო ტრიფილის ომახიანმა შეძახილმა. ისინი უცებ მოტრიალდნენ, რათა დაენახათ ვინ დაიმსახურა ცხენიანი კაცის სამდურავი.

ამდენი ხალხის უცაბედმა, ჩაყინებულმა მზერამ ახალგაზრდები უფრო შეაკრთო და გაახევა. იდგნენ ჯგუფად, ენაჩავარდნილები, ჯანღონით სავსენი, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილნი, საკუთარი უნიათობის შეგნებისგან დარცხვენილები, დამნაშავეებივით უყურებდნენ მანქანაზე შეყრილ ძროხებს და უაზრო, მორჩილი გამომეტყველებით თვითონაც ძროხებს დამსგავსებოდნენ.

და უცებ ტრიფილიმ, ამ მოხუცმა, უწიგნურმა და უბირმა, მაგრამ მუდამ ახალგაზრდულად საზრიანმა და ალღოიანმა მეტყევემ დაუძლეველი ზიზღი იგრძნო ზონზროხას მარაქასადმი. იგი უცხო რომ ყოფილიყო, შეიძლება სულაც არ განეცადა ეს უამური გრძნობა, ანდა განეცადა, მაგრამ არა ასეთი სიძლიერით, მაგრამ თვითეულ მათგანს და მათ ოჯახებს კარგად იცნობდა, იცოდა, ვინ როგორ იზრდებოდა და რის გამკეთებელი იყო. და სწორედ ეს ცოდნა განაცდევინებდა მათდამი ზიზღს.

ეს ახალგაზრდები სოფელში ცხოვრობდნენ, თავს მიწის შვილებად თვლიდნენ, და სიამაყით სვამდნენ სოფლის, ხარის, ცის ნამისა და მიწის სადღეგრძელოს. სტუმრად ჩამოსულ თბილისელ ქალიშვილებთან თავიანთ თავს თავმომწონედ უწოდებდნენ გლეხებს და ფეხისხმას აყოლილები თუშურ ქუდსაც ატარებდნენ: მაგრამ ტრიფილიმ იცოდა, რომ მათში არაფერი არ იყო გლეხური: მას გლეხი ვერ წარმოედგინა მიწისა და საქონლის სიყვარულის გარეშე. მათ კი, მშობლებისაგან დანებივრებულებს და დალაღებულებს, ნიადაგ სახინკლეში ქეიფისაგან ღიპწამოზრდილებს, ლაზღანდარებსა და მცონარებს, მუქთამჭამელებსა და ამპარტავნებს — ამის მსგავსი არა ეცხოთ-რა, არაფერი საერთო არა ჰქონდათ მათ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობასთან, მინდვრებში თავდადებით რომ იღწვიან, უხვი მოსავალი რომ მოჰყავთ და ყველა საქმეში წინ არიან!

ხალხმა თვალი მოაშორა ზონზროხას რაზმს და ისევ მანქანაზე დაბმულ საქონელს მიუტრიალდა, ახალგაზრდები, ჰიპნოზისაგან განთავისუფლებულთა მსგავსად, შეტოკდნენ და თავისუფლად ამოისუნთქეს. მერე, თითქოს წინ მთელი არემარე დანაღმულიაო, ერთხმად, უსიტყვოდ შეტრიალდნენ ზურგისაკენ, ტანა წინ გაიგდეს და წელმოწყვეტილებივით აუყვნენ ფოვლიან ხევს.

ნიკა კი აზერბაიჯანელთა რკალში იდგა და ცრემლნარევი ხმით ლაპარაკობდა:

— აბა, მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა ეგ საქონელი... ოღონდ, იცოდეთ... უთხარით, მაგ ძროხას დასაკლავად ნუ გაიმეტებს... ნურც დეკეულს...

— რას ამობს, კასო, რას ამობს! — ჩიქორთული ქართულით დაიწყო ვერცხლის ქამრიანმა და მანქანასთან გაჩერებულ ისას რაღაც გასძახა, — მე კარგა გიცანი ისა... მაგას ხუთი შვილი არის... მაგასი ძმა, დიდი ძმა, ტყეში წავალ, მორი დაგეცა, მოკვდეს... შვიდი შვილი კიდე იმას დაგრჩა, სუ აი, პატარები... ისამ შაგინახოს ყველა... ბალღები რძე გინდა... ვინ გიჟი დაკალი ეგეთ ზროხას... რას ამბობს, კასო!...

ისამ რაღაცა გამოსძახა ვერხცლისქამრიანს. და ისევ მოუტრიალდა ნიკას.

— ისა ამბობს, ადრესი ხო არი. თუ რამე დაგჭირდება — თხილი, კაკალი, შეშა... რა ვისი, კასო, ხო ისი... მოდი ზაქათალაში, ყველაფერი იშოვნის მუქთა... მაგას გინდა ყონაღები იყავით.

— ძალიან კარგი და პატიოსანი, — მიუგო ნიკამ, — უთხარი იმ შენ ამხანაგსა თუ ძროხა არ მოეწონა, ან რამე წუნი მიიტანა, არაფრისა მოერიდოს, გამოიყვანოს და ფული წაიღოს!

— რას ამბოს, კასო! — გაიოცა აზერბაიჯანელმა და ისას ნიკას ნათქვამი გადაუთარგმნა, — განა თვალები არ არის ჩვენა?!.. კარგი ზროხა ზედ გეტყობა... ეგ ფული შიდობაშ მოიხმარა... ბიჯი ქორწილი... გოგო გათხოვდ... კარგი „ვოლგა" იყიდებს... ბევრი სახლები ააშენეს... შვილები უმაღლესი დაამთავრეს... დი კასები გახდება... იგითი დიდი კასები, იგეთი დიდი კასები, მუსტაფა მივიდეს, კაბნეთში არ გაგიშვან... პრონპუსკ გინდა მუსტაცას, იქ რომ შეხვალ... აბა, საღოლ, ნიქა-ზია...

მუსტაფას დალოცვასა და სურვილებს მანქანის გამკივანმა სიგნალმა დაუსვა წერტილი: ყოველი უკვე მისჯდომოდა საჭეს და თავისიანებს წასასვლელად უხმობდა.

გაფანტული ზაქათალელები სიგნალის ხმაზე მოგროვდნენ მანქანასთან და ჯერჯერობით იწყეს ძარაზე ასვლა. საქონლის უკან, ცარიელ ადგილას სხდებოდნენ. ბოხოხიანი თავებილა უჩანდათ.

ბოლოს ყველამ, მოიკალათა, უფრო და უფრო შემჭიდროვდნენ ბოხოხები და მანქანაც დაიძრა.

## ჩვენი იუბილარი

გიორგი ნატროშვილი

# შემოქმედების დიდ გზაზე

### გრიგოლ აბაშიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

ყოველი ჭეშმარიტი პოეტის უპირველესი თემა — მისივე ქვეყანაა, მისივე ხალხია, ამ ხალხის წარსული და აწმყო, ჭირი და ლხინი; ხალხის დიდ და მოსიყვარულე გულთან ათასი ხილული და უხილავი ძაფით არის გადაბმული პოეტის გული, მისი ლექსი, აღტაცება, ტკივილი, სიხარული.

პოეტის სამშობლო — ეს საქართველოა, და კიდევ ერთი პატარა სოფელი თუ ქალაქი, საიდაც მას თვალი აუხელია და საიდანაც ის გამოსულა დიდ გზაზე, და თუ მუხლში ღონე ჰყოფნია, ეს გზა გასცდენია მის ქვეყანას, ე. ი. პოეტი საინტერესო გამხდარა არა მარტო შინ, არამედ გარეთაც.

ეს წერილი გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაზე მინდა დავიწყო იმ პატარა სოფლის გახსენებით, სადაც ჩვენი პოეტი დაიბადა. მას ზედა რგანი ჰქვია.

თავის რომანში, „ყორნალში" გრ. აბაშიძემ დაუსახელებლად აღწერა ეს სოფელი. წიგნში მას სხვა სახელი ჰქვია, მაგრამ ხვდებით, რომ ეს ზედა რგანია.

ხვდებით იმიტომ, რომ გზა, იქაც კლდეკლდე მიიკლაკნება და მაღლა, მაღაროების პირას იკარგება, რომ მერე იმ სოფლისაკენ გასწიოს.

იქ, იმ პატარა სოფელში აახილა თვალი პოეტმა, იქ აიდგა ფეხი და იქ ეზიარა ამ ქვეყნის პირველ სიამეთ.

სოფელი მაღალ მთაზეა გაშენებული და ოთხივ მხარეს ხელისგულივით მოჩანს აღამიანის თვალით მიუწვდომი მთელი ქვეყანა.

პატარ-პატარა, ფერად-ფერად ხალიჩებად დაფენილ სოფლებს შორის, ცის დასალიერზე, მარადი თოვლით გაბრწყინებული მთები ერტყმიან გარს და მარტო თვალი კი არა, სულიც ისვენებს და მშვიდდება უნაპირო სიშორისა და მიუწვდომელი სიმაღლის ამ განუმეორებელი სილამაზის ცქერით.

ამ სოფლიდან დაბლა ხეობებში მომჩქეფარე მდინარეებს რომ გადახედავთ, ჰორიზონტს რომ თვალს გაადევნებთ, თქვენს წინაშე იშლება ის განუმეორებელი ქართული პეიზაჟი, ის მომხიბლავი სამყარო, ქართული მიწა, სადაც ბუნების სილამაზე და ხალხის ცხოვრების ისტორია ერთად შერწყმულან, ერთ მთლიანობად ქცეულან...

აღარ უნდა გაიოცროთ, თუ აქ პოეტი დაიბადება და მერე, სამუდამოდ გაჰყვება მას ამ მთების ტრფიალი, ეს მთები სამუდამოდ ჩაექრებიან მეხსიერებაში, მოუთხრობენ წარსულზე, აწმყოზე, მოუთხრობენ როგორ ჩაჰყარა ფუძე აქ წინაპარმა და რაოდენი ბრძოლები გადაიხადა ამ მიწის დასაცავად:

ვით არ გვიყვარდეს მთები ჭალარა,
ჩვენი უკვდავი ერის აკვანი,
მას, ვინც ამ მთებში ფუძე ჩაჰყარა,
ჩვენი ლექსი და ჩვენი თაყვანი!
ჩემი ხეობაც, კლდეებში მდგარი,
მტრებისგან ბევრჯერ გარემოცული,
მაგრამ არასდროს დამპყრობთა ჯარი
ამ კლდეებს შიგნით არ შემოსულა.

გრიგოლ აბაშიძის ამ ლექსს წინ ეპიგრაფად

წამძღვარებული აქვს ქართლის დიდი მემატიანეს — ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები: „ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეუვალი მტრისაგან და საკურველი, თუ ვითარ უქმნიათ“. ხოლო მეცამეტე საუკუნის იტალიელმა მოგზაურმა მარკო პოლომ საქართველოს მთები რომ ნახა, თქვა: „რამდენიმე კაცი აქ მთელ ქვეყნიერებას გაუმკლავდებაო“.

შესცქერის პოეტი ამ მთებს და თითქოს ბუნება კი არა, გადაშლილი წიგნი იყოს, თითქოს მატიანე იყოს, ისე კითხულობს მათს კლდეებზე ერთი-მეორეზე საოცარ ამბებს, ხალხის გმირულ სულზე რომ მეტყველებენ, ქართველ ვაჟკაცებზე მოგვითხრობენ, ქართველ ქალებზე, მათს ოცნებაზე, მათს ფიქრებზე, მათს ანდერძზე, შთამომავლობისათვის რომ გადმოუციათ.

გრიგოლ აბაშიძის ლექსში ჩანან ეს მთები და კლდეები თვალდასანახად, ხელშესახებად, ჩანან როგორც ფერწერულ ტილოზე, დგანან თვალშეუდგამნი, ზვიადნი და დიდებულნი, როგორც მარადი სიმბოლოები საქართველოს ისტორიისა.

გრიგოლ აბაშიძის ლექსში, სიყვარულის დიდ გრძნობასთან ერთად, გადმოცემულია ჩვენი ისტორიის თავისებურებაც — მან, საქართველოს წარსულის ბრწყინვალე მცოდნემ კარგად იცის, რომ ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე, ათას განსაცდელგამოვლილი ჩვენი ქვეყანა მთამ გადაარჩინა.

გრ. აბაშიძის ჰიმნი მთისადმი — ეს არის ჰიმნი საქართველოს გმირული წარსულისადმი, მისი სახელოვანი ისტორიისადმი.

მთა ასე არსად არ შესულა ერის ისტორიაში, როგორც ჩვენში. განა საქართველოში არ არის ბარში გაშლილი მინდვრები, ფართოდ გადაჭიმული ველები? რამდენიც გნებავთ. მაგრამ თავისი დედაქალაქი მთებით გარსშემორტყმულ ხეობაში ააგო ქართველმა კაცმა; ასევე მიუვალ მთაზე ააშენა მან მცხეთის ჯვარი, იმ სიმაღლეზე, სადაც არწივები დაფრინავენ; მაღალ მთაზეა ბაგრატის ტაძარიც, გელათიც, მთის ვიწრო ხეობაშია ატენის სიონიც; ვისაც მთის ბილიკებზე არ უვლია, ის ბეთანიას ვერც მიაღწევს; ხოლო ვარძია — ეს ფანტასტიკური რვასართულიანი ციხე-ქალაქი განა მიუვალ კლდეში არ გამოჭრეს დიდოსტატებმა, რომელთა სახელები ახლა აღარ ვიცით. ახლა თმოგვი გაიხსენეთ — ეს ხომ ნამდვილი ქაჯეთის ციხეა: თემურ-ლენგმა თითქმის იმ დროს ცნობილი მთელი მსოფლიო აიღო და არ დარჩენილა ციხე-სიმაგრე მას არ შეელეწოს, სურამის უღელტეხილზე კი ვერ გადავიდა; ვერც არაბები გადავიდნენ ამ ქედზე, ვერც მრისხანე შაჰ-აბასი. რაღა შორს წავიდეთ — კავკასიონზე ვერ გადმოვიდნენ ჰიტლერის სამთო-ალპიური დივიზიები იმიტომ, რომ იქ იდგნენ, ყველა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, ქართველი ვაჟკაცები და იდგნენ საქართველოს მთები.

აი, რა ფიქრებს აღძრავს გრ. აბაშიძის ლექსი „მთები და კლდეები“, და პოეტიც ამიტომ მთებისადმი სამადლობელით ამთავრებს ამ ლექსს:

ვინ არის ქართველ მგოსანზე მეტად,
მაღალი მთების ვალი რომ მართებს,
გახედე, ნისლში დაძრულნი ერთად,
ჰგვანან ალლუმზე გასულ ხომალდებს.
მათ არ აშინებთ გრიგალი მძაფრი,
მეც მათთან მინდა გზა საზიარო,
მეც მინდა თეთრი ღრუბლების აფრით
ქვეყნის კიდემდე მათთან ვიარო.
და ჰა, მოვდივარ, გამიხსენ მკერდი,
მთაო, ლაჟვარდის დამადნობელი,
სიყრმიდან მმართებს სიმღერა ერთი,
სიმღერა — მთების სამადლობელი.

საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლევამოსილება დამყარებულია ხალხთა განუყრელ ძმობასა და მეგობრობაზე. სოციალისტურმა რევოლუციამ ყველა ერს, ყველა ხალხს ახსნა ბორკილი და მიანიჭა თავისუფალი განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობა. გრ. აბაშიძე თავიდანვე თავისუფალ ერთა ამ ძმობის მომღერალი იყო. ამავე თემას ეძღვნება მისი ბოლოდროინდელი ლექსები „რუსეთის ველებზე“ და „რუს პოეტს“.

დიდი და ნათელი აზრი აქვთ ამ ლექსებს — პოეტი სიყვარულით ეხმიანება რუს თანამოძმეს და თანამოკალმეს, დღეგრძელობას უსურვებს მის უსაზღვრო სტეპს და გაუთავებელ ველებს, მის მდორე მდინარეებს, და იმავე დროს, თავის მიუწვდომელ მთებს იგონებს, საქართველოს ჩანჩქერებს; მან კარგად იცის, რომ რუსი თანამოკალმის ლექსში ველთა გრიგალის ხმა ისმის, ქართველისაში კი— მთების გუგუნი; მაგრამ მიზანი ერთია, სხვადასხვაა სიმღერის ენა, აზრი და გრძნობა კი საერთოა.

ეს არის ჭეშმარიტი გაგება ხალხთა ძმობისა, სადაც ყოველი ერი ინარჩუნებს თავის თვითმყობადობას, თავის სახეს და, ამავე დროს, უღრმესი პატივისცემით ეპყრობა თანამოძმის თვითმყოფადობას. მის ენას, რომელიც ერის უკვდავების პირველი ნიშანი და მაუწყებელია.

გრ. აბაშიძის ლექსში მთები — საქართველოს მარადისობის სიმბოლოა და ხალხთა ძმობის სიმბოლოც არის. ეს რომ უფრო ნათელი და გასაგები იყოს, მე მოვიყვან ადგილებს მისი ლექსიდან „რუსეთის ველებზე“:

აღარ თავდება ვაკე და ველი,
მდორე მინდორი მწვანედ მოღელავს
და მოქნეული ბალახში ცელი —
მდინარე ბრწყინავს თვალის მომჭრელად.

მიიკლაკნება მინდორში არხი,
ტრამალს ურიცხვი რწყავს ნაკადული.
როგორც ულონო პატარა ბარტყი,
უსაზღვრო ველში ვარ ჩაკარგული.
მაგრამ რაც უფრო სივრცე იზრდება,
სახეში ბული მცემს ცეცხლიანი,
მე ისევ ჩემი მთა მესიზმრება
და ჩანჩქერების კლდეზე ჩხრიალი.
ო, ნუ მოგვასწროს იმ ამბის ელდას —
ჩვენთაგან ერთმა იგრძნოს ობლობა,
უსასრულობა დასრულდეს ველთა
და მწვერვალების მიუწვდომლობა;
ჩვენ ამ სიმდიდრეს ვუმღერით ერთად,
ნუმც მიეფაროს ღამის უკუნი,
შენს ხმაში სჭექდეს გრიგალი ველთა,
ჩემს სიმღერაში — მთების გუგუნი.
სულ იყოს ერთი მიზნისკენ ფრენა,
გულები ერთი ცეცხლით აენთონ,
სხვადასხვა იყოს სიმღერის ენა,
აზრი და გრძნობა იყოს საერთო.

აქ გამოთქმულია ის დიდი სიბრძნე, რომელიც საფუძვლად უდევს ხალხთა კეთილ ძმობას, მათს ნამდვილ მეგობრობას. იგი მოიცავს რწმენას და ნატვრას შენი ქვეყნის დღეგრძელობისა და მარადიული სიცოცხლისადმი და მოიცავს გულის იმ წმინდა გრძნობას, რომელიც ერთმანეთისაკენ ეძახის ხალხებს.

* * *

არ მახსოვს გოეთეს რომელ ნაწარმოებში წამიკითხავს ეს სიტყვები: ჭეშმარიტი პოეტის დანიშნულება ის არის, რომ თავის ხალხს სიცოცხლე გაუხანგრძლივოსო. ეს სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: პოეტი შთამაგონებელია, ის განამტკიცებს ხალხის რწმენას მისივე წიაღში დაბუდებული შემოქმედებითი ძალებისადმი, ასაზრდოებს ხალხის სიამაყეს თავისი ქვეყნით, ამხნევებს არ შეუშინდეს არავითარ განსაცდელს, აძლევს ძალას მისი ეროვნული ენერგიის ქმედით საწყისებს.

ვინც გრ. აბაშიძის შემოქმედებას იცნობს, ვისაც გულდასმით გადაუკითხავს მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები და პიესები, ის უთუოდ ყურადღებას მიაქცევდა, რომ ამ მწერლისათვის თავისი ხალხის სიცოცხლე არ ამოიწურება და არ შემოიფარგლება იმ დღეებით, იმ ათეული წლებით, და თუ გნებავთ, იმ საუკუნით, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. კაცის სიცოცხლე ერთია და ხალხისა მეორე. პირველი — წარმავალია და მეორე — წარუვალი, და ჭეშმარიტი პოეტის მისიაც ის არის, რომ იპოვნოს და გამოამზეუროს ის, რაც მარადიულია წარმავალში, ის, რაც უკვდავია, რასაც ხალხის სიცოცხლე ჰქვია.

გრ. აბაშიძის წიგნების თემა — საქართველოა, და თუ შედარებას მივმართავთ და მკითხველს წარმოვიდგენთ როგორც მოგზაურს ამ ქვეყანაში, საქართველოში — ის აქ შეხვდება და გაეცნობა ცოცხალ გიორგი მეექვსესაც, რომელიც თემურ-ლენგს ებრძვის და საბჭოთა მეომარს, ისევ გიორგის, რომელიც კავკასიონის მისადგომებთან ებრძვის ახალ თემურლენგს — ჰიტლერს...

აქ არის საუკუნეთა ურთიერთ გადაძახება.

აქ ჩვენ უკვე მივადექით გრ. აბაშიძის შემოქმედების ერთ მთავარ თავისებურებას, მისი, როგორც მწერლის კონცეფციას, და ამაზე არ შეიძლება დასაწყისიდანვე ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურას უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ისტორიის თვალსაზრისით ამ არც ისე ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩვენმა მწერლობამ ბევრი საუკეთესო ნაწარმოები შექმნა, ჯერ სათავე დაუდო, მერე დაამყნო და დაამკვიდრა ბევრი ახალი თემა, ახლებური მიდგომა, ახლებური ტრადიცია. ერთი ასეთი ახლებური თემა თუ ასპექტი, არ ვიცი როგორ ვუწოდო, — ეს არის თავისებური გაცოცხლება წარსულისა, როცა ლექსი თითქოს აუქმებს სიკვდილსა და არყოფნას და პოეტი ელაპარაკება წინაპრებს, როგორც ცოცხლებს, როგორც ჩვენს თანამედროვეებს; აქ ცოცხალნი არიან რუსთაველი და გურამიშვილი, სულხან-საბა და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ყველაზე დიდი მესიტყვენი ქართველი ხალხისა. მე აღარ ჩამოვთვლი ამ ბოლო ათეული წლების მანძილზე რაოდენი მშვენიერი ნაწარმოები მიეძღვნა ამ ადამიანთა სახელებს და ეს იყო ახლებური ისტორიზმი, არა ის გაქცევა წარსულში, რომელიც სჩვეოდა ძველ რომანტიზმს, არამედ სრულიად თავისებური ხილვა იმისა, რაც უკვდავი და მარადიული იყო გარდასული დროის ამ შემოქმედთა ქმნილებებში.

ამჯერად ჩვენ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ეს დიდი ციკლი ქართული პოემებისა, ლექსებისა და მოთხრობებისა, საერთოდ, ლტოლვა ამ თემისაკენ დაიწყო გრ. აბაშიძის ერთი მეტად საინტერესო ლექსით, რომელსაც „სვენწკის ჩვენება“ ეწოდება და რომელიც დაიწერა თითქმის ოთხი ათეული წლის წინ. ამ ლექსმა მისცა სტიმული, მიახედა ჩვენი მწერლები ამ თემისაკენ, და ეს ითქმის არა მარტო იდეური ჩანაფიქრის, არამედ მხატვრული შესრულების თვალსაზრისითაც. ამით იმის თქმა მინდა, რომ გრ. აბაშიძემ ბედნიერად მოუძებნა ფორმა წარსულის აჩრდილებთან გამოსაუბრებას; ოცდაათიან წლებში, როცა „სვენწკის ჩვენება“ პირველად გამოქვეყნდა — ეს იყო ჩანაფიქრითაც და შესრულებითაც ნოვატორული მოვლე-

ნა და მან დიდი ტალღა დაძრა მთელ ქართულ მწერლობაში, ყველა თაობის პოეტთა შორის; როგორც უკვე ვთქვით, მან თან მოიყოლია მთელი ციკლები ლექსებისა, მთელი პოემები; და პირველი კვალის გამტანი აქ გრიგოლ აბაშიძე იყო. ამას გარდა, ამ ლექს-ბალადას თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ ავტორისათვისაც. ეს დრომ დაამტკიცა: მაშინ ძნელი იყო ამის თქმა, მაგრამ ახლა, აქედან რომ გავხედავთ, სამოცდაათიანი წლებიდან, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ლექსში პოტენციურად უკვე ჩანდა მომავალი ავტორი „ლაშარელასი" და „დიდი ღამისა", დიდი ეპიკური ტილოებისა, რომელთა თემა იყო ქართლის ბედი.

და რაკი-ღა ჩვენ ასეთ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ნაწარმოებს, არ შეიძლება მასზე უფრო დაწვრილებით არ შევჩერდეთ.

ზამთარია. თოვლს ჩამოუთეთრებია მოსკოვის ფანჯრები, თოვს და ქუჩაში გამოსული ქართველი ჭაბუკი სვენწკას მიდამოებში აღმოჩნდება. ცივა. ქარი ფიფქებს აყრის სახეში და ასეთ დროს არ შეიძლება სვენწკაში ბუხარი არ ენთოს. უცებ ქრება მანძილი საუკუნეთა შორის და ახალგაზრდა ქართველი კაცი იმ სვენწკაშია, სადაც

ისევ ანთია სადღაც ბუხარი,
მეფე ვახტანგი ცეცხლს შეუმატებს,
და იგავს ამბობს საბა-სულხანი.
არის ზმობა და გადაძახილი
და მაჯამები ძმურად მიჯრილი,
თვალებმწუხარე და თავდახრილი
კარს მოადგება გურამიშვილი.
და იტყვის მეფე: „ხედავ ქოჩორას,
თითქოს ილოცავს, თვალს ვით ინაბავს,
მთელი ბიბლია ლექსად მოჭორა
და შეეჭიბრა დავით წინაპარს".

თავდაბალი და გულზე ხელებგადაჯვარედინებული დგას დავით გურამიშვილი და მდაბლად მიესალმება უფროსებს, სამშობლოდან გადმოხვეწილი, ღარიბი მეფე შაირებს უქებს და გასამრჯელოდ ხალათს აჩუქებს:

მერე მომხედავს წუთით საწყალი,
რომ გამოაღოს ჩემსკენ კარები,
შევალ თრთოლვით და გულის ფანცქალით
და პოეტის ჩრდილს შევეფარები.
გაუბრწყინდება თვალები საბას,
მეფეს ფრანგების ღესპანს ულოცავს,
მეფე მოელის ფრანგების ამბავს
და აკვირდება ჩემს ჩაცმულობას.

არ შეიძლება კაცს გული არ შეუთრთოლდეს. საბა ხომ მუდამ გაშუყრელია ჩვენი გულისაგან, ჩვენი წიგნებისაგან, იმ დედა-ენისაგან, რომელზეც ვწერთ და ვლაპარაკობთ, ეს ასეა, მაგრამ აქ ცოცხალის ბრძენი მოხუცი, რომლის ღვაწლს ყველაზე კარგი ფორმულა ფრანგმა მწერიშარმა მოუძებნა: „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო".

ამიტომ ასე გვხიბლავს და გვატყვევებს ეს სურათი, დახატული პოეტის მიერ და აღარ გვინდა დავშორდეთ ამ ზმანებასა და ილუზიას:

ადგება საბა,
      თითქოს სანუკვარს

ღებულობს ელჩს დარბაზის სტუმრებს,
კრძალვით იკითხავს პაპს და გრანდუკას
და ლათინურსაც არ დაიშურებს.
— საბავ, რა უგავს პაპის მოგზავნილს,
მშველის დავითი —
      ცხოვრობს თქვენს ახლოს,
საქართველოდან არის მგოსანი,
სვენწკაში უნდა რომ დაესახლოს.
— მგოსანი! — შეკრთნენ და გაიოცეს, —
გამოქცევია, ალბათ, სარკინოზს.
იქნებ ხელობა მაინც იცოდეს,
მოსკოვში სტამბა გაგვამართვინოს.

დიდი ღამის შემდეგ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისში რომ ჩამოდგა ქართლის ცაზე, ვახტანგმა შესძლო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსანი" დაებეჭდა და იმან იცოდა, რომ ამ წყვდიადში ეს ნიშნავდა რიჟრაჟის გამოჩენას, ერთ ნათელ სხივს შავ ცაზე.

მაგრამ ის სტამბაც ისევ მოშალა მტრის ხელმა; აქ მარტო სტამბაზე კი არ არის ლაპარაკი, მტერმა აოხრა მთელი საქართველო, და ვახტანგიც გადაიხვეწა:

უსტამბო ვარ და ლექსის ამარა,
ჩემი ხელობა მარტო ეს არი.
თქვა და ატირდა, ტიროდა საბაც,
ბედნიერ სიყრმეს და სულხანობას,
სწყევლიდნენ ბედს და თვითონ დასაბამს,
სოფლის სიმუხთლეს და უხანობას.

თავდება ლექსი. ქრებიან ზმანებები და თითქოს შორიდან. საფლავებიდან ისმის ძახილი:

— როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი,
შენ მზეში დგახარ, ცამდის მისულო,
სვენწკაში გაწყდა ჩვენი ანდერძი,
ეცადე, იქნებ შენ გაგვისრულო!
ჩამომძახოდა ხმა დიდებული,
წლებს მისტიროდა დაუდაფნავებს,
ვიდექ მარტოკა, გარინდებული
და დავყურებდი ქართულ საფლავებს.

„ეცადე, ეს ანდერძი გაგვისრულო", საფლავებიდან ეძახიან წინაპარნი შთამომავალს, და პოეტსაც შეეძლო ვახტანგისა და საბასათვის ეთქვა ის, რაც მან უთხრა კოხტაგორის შეთქმულებს:

მე ჯერ ქაოსი მერტყა წყვდიადად,
თქვენ რომ გეხვიათ მზეზე ფუტკარი,
მე შვიდასი წლით დამაგვიანდა,

თქვენს შეთქმულებას ვერ მოვუსწარი.
მე მაინც ვიყავ თქვენთან შეთქმული,
თქვენსკენ უხილავ ცეცხლად დაძრული,
მე გაჩენამდე თქვენი ერთგული,
თქვენსკენ მოვქროდი ხელგაბაწრული.
რომ თქვენებრ მწვავდეს მზე, თქვენი
მწველი,
თქვენებრ მეხვიოს მზეზე ფუტკარი,
რომ ვთქვა: წამს ჰგავდა შვიდასი წელი,
მოველ, წამებას მეც მოვუსწარი.

ვისაც გრიგოლ აბაშიძის რომანები „ლაშარელა“ და „დიდი ლამე“ წაუკითხავს, ის მიხვდება, რომ ამ ლექსში ნათქვამია ის, თუ რამ დააწერინა მწერალს ეს რომანები...

მონგოლთა შემოსევის თემა — მსოფლიო ჰეგემონიის არც პირველი და არც უკანასკნელი ცდა — ეს დიდი თემაა და მუდამ იპყრობდა როგორც მწერალთა, ისე, ცხადია, ისტორიკოსთა ყურადღებასაც. ჩვენს ლიტერატურაში ამ წიგნებს ჯერ არ ღირსებიათ შესაფერი განხილვა და შეფასება. მაინც არ შემიძლია არ ვთქვა, რომ აქ აღებულ მასშტაბთა გრანდიოზულობა ყველაზე მძაფრად იგრძნო ვიქტორ შკლოვსკიმ, რომელმაც ამ წიგნებიდან გაიგონა კაცობრიობის უთვალავ ტანჯვათა გამოძახილი. მე მინდა მოვიყვანო აქ მისი სიტყვები:

„გრიგოლ აბაშიძის წიგნი გვაღელვებს თემის მასშტაბით, ცოდნათა სიფართოვით. იგი მოგვითხრობს დიად ნათელსა და გრძელ ღამეზე და ნაციონალურ კულტურათა შეუმუსვრელობაზე.

გრ. აბაშიძის წიგნი გვაცნობს კეთილთა და ბოროტთ, კულტურათა სიდიადეს, ზნე-ჩვეულებათ, რომლებიც იცვლებოდნენ, ომებს, რომლებიც უკან ეწეოდნენ ქვეყნიერებას.

ვიყოთ მამაცნი და კეთილნი.

ვიყოთ მეგობრები კაცობრიობისა“.

ასეთია დედააზრი გრ. აბაშიძის ისტორიული რომანებისა.

ერთი თანამედროვე იმ ამბებისა, მონგოლთა შემოსევისა, რომელიც აღწერილია გრ. აბაშიძის რომანებში, არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი წერდა:

„ეს იყო უბედურება, რომლის მსგავსი დღესა და ღამეს არაფერი უშვია. ის თავს დაატყდა ყველა ხალხს... თუ ვინმე იტყვის, რომ ადამისა და ევას გაჩენიდან დღემდე სამყაროს ასეთი საშინელება არ განუცდია, მართალი იქნება, რადგან მატიანეებში ამის მსგავსი რაიმე არ არის... ალბათ, ხალხი სამყაროს მოსპობამდე ველარ იხილავს ასეთ მოვლენას“.

იბნ ალ-ასირმა არ იცოდა, რომ ქვეყნად გაჩნდებოდა ჰიტლერი.

საქართველოს სახელმწიფოს ელჩს უთქვამს თვითონ იბნ ალ-ასირისათვის:

„თუ თქვენ ვინმემ გითხრათ, რომ მონღოლები უკუიქცნენო, ანდა ტყვედ ჩავარდნენო, არ დაუჯეროთ მას, მაგრამ თუ გეტყვიან დაიხოცნენო, მაშინ ერწმუნეთ, რადგან ეს ხალხი არასოდეს არ გარბის. ჩვენ როგორღაც ხელში ჩაგვივარდა ერთი მათგანი, მაგრამ ცხენიდან ჩამოვიდა და ურტყა თავი ქვას მანამდე, სანამ არ მოკვდა. ტყვედ კი არავითარ შემთხვევაში არ დაგვნებდა“.

ეს ეპიზოდი გრ. აბაშიძეს გადმოცემული აქვს თავის რომანში, მაგრამ ამ ფანატიზმს მან ისეთი დიდი ნათელი დაუპირისპირა, რასაც სიკვდილი, განადგურება ვერ ერევა.

მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში მოხდა ერთი საგულისხმო ამბავი. როგორც ოდესღაც, რენესანსის დროს, ახლაც ლიტერატურის სამყარო ისევ აივსო ანტიკური, მითოლოგიური, ისტორიული სახელებით; და საგულისხმო სწორედ ის იყო, რომ მსოფლიოს მწერლები უბრუნდებოდნენ ამ სახელებს, როცა უნდოდათ გადაეჭრათ თანამედროვეობის ყველაზე მტკივნეული საკითხები. ისტორიული თემა იქცა თანამედროვე თემად. თომას მანმა დაწერა ვეებერთელა წიგნი „იოსები და მისი ძმები“, მან აქ ბიბლიური იოსები გამოიყვანა, ფარაონი ეხნატონი და დედოფალი ნეფერტიტი, ხოლო ბოლოსიტყვაობაში განაცხადა, რომ ეს არის წიგნი ფაშიზმის წინაალმდეგ; ვინ არ მიმართა ჩვენს დროში გარდასულ ეპოქათა პერსონაჟებს. გაიხსენეთ ჟან ანუის „ანტიგონე“, მისივე „ჟანა დარკი“ ამ ჟან ჟიროდუს „ტროადის ომი არ დაიწყება“, სადაც ჰექტორი ფიცსა სდებს, რომ ტროადის ომი იქნება უკანასკნელი ომი კაცობრიობის ისტორიაში... დაუსრულებლად შეიძლება ჩამოთვალოს კაცმა დღევანდელ მსოფლიოში დიდად გახმაურებული ნაწარმოებები, სადაც მწერლები წარსულის გაცოცხლებისა და მოდერნიზების გზით ცდილობენ ულტრა-თანამედროვე პრობლემების გადაჭრას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინავე კაცობრიობა თავის დღევანდელ ბრძოლაში ომის ძალების, იმპერიალიზმის ძალების დასათრგუნად ფეხზე აყენებს და გამოიძახებს მთელ თავის ისტორიას, დამხმარედ უნდა, შთამაგონებლად, იმედად, სასოებად... ეს სჭირდება კეთილს ბოროტის დასამარცხებლად. ამ ბრძოლას ასპარეზად მთელი მსოფლიო აქვს და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასაც არა აქვს ამაზე მაღალი და წმინდა ამოცანა... ქართულმა მწერლობამ ადრევე აუღო ალლო სულთა ამ დიდ გამოძახებას, აჩრდილთა ამ დიდ მიგრაციას საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენს დროში.

* * *

ამ ერთ, არც ისე ვრცელ წერილში ძნელია გრიგოლ აბაშიძის მთელი მრავალფეროვანი და მრავალჟანრობრივი შემოქმედების მიმოხილვა,

ამიტომ აქ, იმ მიზნით, რომ მისი ნაწარმოების პრობლემურობაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, შევეხებით მის ერთ პიესას — რომელსაც ეწოდება „მოგზაურობა სამ დროში“, და რომელიც არა მარტო დღევანდელ დღეს ხატავს, მკითხველს საუკუნეთა სიღრმეშიც ჩაახედებს და ცდილობს შორეულ მომავალსაც თვალი მიაწვდინოს.

პიესის დასაწყისში ჩვენს წინაშეა დღევანდელი თბილისი და ერთი კარგი ქართული ოჯახი...

ოჯახში სულ ოთხნი არიან — მოხუცი დედა და მისი სამი ვაჟიშვილი: უფროსი ძმა გიორგი — ქარხნის მოწინავე მუშაა, კომუნისტური შრომის დამკვრელი; შუათანა ძმა — მეცნიერმუშაკია და დღედაღამ მიკროსკოპს ჩასცქერის, წამალს ეძებს უკურნებელი სენის მოსარჩენად, სულ უმცროსი გურამი — მხატვარია...

როგორც კი გამოჩნდებიან ისინი წიგნის ფურცლებზე, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ახლო ნაცნობები დავინახეთ; ჰო, ვიცნობთ მათ, ისინი თბილისის მკვიდრნი არიან, ჩვენი მეზობლები, ჩვენი თანამედროვენი, ვისაც ყოველდღე ვხედავთ ქუჩაზეც, ნაცნობებთანაც, ვხვდებით დასასვენებლად გამოსულებს, თუ საქმით გართულებს. ავტორი ხელახლა გვაცნობს მათ და თანაც გვაუწყებს, რომ მათ ახალი, ფართო და მზიანი ბინა მიიღეს. დღემდე ოთხივენი ერთ პატარა, ნახევრადსარდაფულ ბნელ ოთახში ცხოვრობდნენ.

ათვალიერებს დედა, ათვალიერებენ ძმები ახალ ბინას და, თუმცა ამას არ ამბობენ, მაინც ნათლად ჩანს, რომ ყველაზე საყვარელი ამ ოჯახში ყველაზე უმცროსი გურამი ყოფილა. გიორგი — უფროსი ძმაა და მამა რომ გარდაეცვალათ, სწავლა მიუტოვებია და ქარხანაში წასულა, რათა უმცროსი ძმებისათვის ლუკმაპური ეშოვნა და საშუალება მიეცა სწავლა გაეგრძოთ; ეს ბინაც ქარხანამ მას მისცა: ამიტომ ოჯახში პირველი სიტყვა თითქოს მას უნდა ეკუთვნოდეს და დედაც ამიტომ მას მიმართავს — ბინა შენია, არჩევანიც შენ გეკუთვნისო, მაგრამ უფროსი ძმა თავისთვის კი არა, ჯერ უმცროსისათვის არჩევს ყველაზე ფართო და ნათელ ოთახს, „თითქოს მხატვრისთვის აუშენებიათ საგანგებოდო“.

თითქოს არაფერი აკლია გურამს, შემოქმედის ბრწყინვალე ტალანტით დაჯილდოებულ ახალგაზრდა კაცს. მარტო კარგი ძმები და მოსიყვარულე დედა კი არა, ბედმა მას ულამაზესი სატრფოც არგუნა — თამარი შესანიშნავი ქალიშვილია და მას მთელი გატაცებით უყვარს თავისი გულის რჩეული. რა ვუყოთ, რომ გაბუტულები არიან; როცა თამარმა სატრფოს გაუბედა და უთხრა — შენი სურათების მგმობელნი მართალნი არიან, აწმყოს ჩვენ გაუგებარი ხართ, გურამს ის შემოელანძღა — მეტიჩარა და ფეხისხმას აყოლილი უწოდა; დედა ამშვიდებს გურამს — ეს შენი სიყვარულით მოსვლიაო. და მართლაც, მკითხველისათვის გასაგებია, რომ ეს ასეა, რომ თამარი მარტო თავის სატრფოს მომავალზე ფიქრობს და მას შეჰხარის; ამას, ალბათ, თვითონ გურამიც ხვდება, მაგრამ არ ამბობს... ან სადღა აქვს იმის თავი, რომ ამ ამბებში გაერკვეს — ის ცუდ ხასიათზეა, გუნებაამღვრეული, აღელვებული და გაბრაზებულია — საგამოფენო კომისიამ მისი სურათი დაიწუნა; ახალგაზრდა კაცი ბორგავს, აქეთ-იქით აწყდება... და ამ წუთებში, სრულიად მოულოდნელად, მის ოთახში თამარი შემოდის... ის ვერ ხედავს გურამს, არც იცის, რომ ეს მისი ბინაა. ის მეზობელმა შემოიყვანა, გინეკოლოგმა. მეზობლის ბინაზე ტელეფონი ჯერ არ გაუყვანიათ და ამიტომ შემოვიდნენ. თამარი იღებს მილს და ლაპარაკობს:

— დედა ხარ? ჰო, თამარი ვარ, ყველაფერი კარგად გათავდა. კი, საკმაოდ ძნელი იყო. ჰო, მალე მოვალ... ნუ გეშინია.

თამარი კიდებს მილს და ექიმთან ერთად გადის ოთახიდან. გურამი კი გაოგნებულია, თავზარდაცემულია. ის უნებურად, სრულიად შემთხვევით შეესწრო თავზარდამცემ ამბავს, და, როგორც ტყვია, ისე მოხვდა მას თამარის სიტყვები — როგორ? მისი სატრფო ამ გაიძვერა და ლოთ გინეკოლოგთან იყო, დღეში ხუთ აბორტს რომ აკეთებს? ნეტავ თავისი თვალით არ ენახა ეს და თავისი ყურით არ გაეგონა! ესეც ჩვენი დროის სიყვარული, ესეც შენი ფიცის სიწმინდე და პატიოსნება, არა, ამის ატანა უკვე შეუძლებელია...

ჩვენს წინაშეა ტრაგედია იმ ადამიანისა, რომელსაც ჰგონია, რომ სატრფომ უღალატა. თითქოს ნაცნობი ამბავია და სცენისათვის ეს უჩვეულო სიუჟეტი არ არის. მაგრამ ეს ნაცნობი ამბავი პიესაში ისეა მობრუნებული, მოვლენათა ისეთ რთულ კონტექსტშია აღებული, რომ მთელ პიესას ენიჭება ახლებური ჟღერადობა, რომელიც აძლევს მას მძაფრ ზემოქმედების ძალას, დიდ საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ პათოსს, ანიჭებს იმ საბრძოლო სულს, ურომლისოდაც არ არსებობს დიდი ხელოვნება.

აი, სწორედ ამ მოქალაქეობრივი პათოსითაა გამსჭვალული გრიგოლ აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“. ავტორი ხატავს ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას, მისი სიყვარულის ბედს და ჩვენ თვალწინ გაივლიან მთელი ეპოქები, რათა დავინახოთ ჩვენი დრო და იმაზეც დავფიქრდეთ, თუ რაშია ადამიანის ცხოვრების უმაღლესი მიზანი, და ასეთ ვითარებაში, ამ ასპექტში რა დიდი შუქი ეფინება

თვითონ იმ უაღრესად ინტიმურს, რომელსაც ქალ-ვაჟის სიყვარული მოიცავს. გურამი მხოლოდ ხუთასი წლის შემდეგ გაიგებს, რომ თამარს მისთვის არ უღალატნია და საერთოდ გურამს ყველაფერზე თვალი აეხილება მხოლოდ ხუთასი წლის შემდეგ. ახლა კი, თამარის მოჩვენებითი ღალატი, სიყვარულში გაწბილება — ის უკანასკნელი წვეთია, რომელმაც აავსო ახალგაზრდა კაცის მოთმინების ფიალა, უკანასკნელ მიჯნამდე მიიყვანა მისი კონფლიქტი თანამედროვეობასთან. დიახ, ეს არის მთავარი — გურამი ვერ ურიგდება თავის დროს, ჩვენს ეპოქას. ის მარტო ლაქებს, მარტო ჭუჭყსა და ქაფს ხედავს, ისტორიის დიდ მდინარებას რომ მოჰყოლია დღემდე, მარტო ცუდსა ხედავს და დიდ სიკეთეზე თვალსა ხუჭავს. ვერ ხედავს იმ ფოთლებსა და კვირტებს, უმშვენიერეს ყვავილებსა და ნაყოფზე რომ წინასწარმეტყველებენ. ის მხატვარია და ავიწყდება ყველაზე მთავარი — ავიწყდება დანიშნულება ხელოვნებისა, რომელმაც უნდა შეიცნოს შინაგანი არსი თავისი დროისა (და არა მარტო ზედაპირზე მოგდებული ქაფი ან ტალღას მოყოლილი ჭუჭყი), გახსნას შინაგანი აზრი ისტორიისა, რომელსაც ადამიანები ჰქმნიან, მისი მახლობელი ადამიანები — მისივე ძმები, მეგობრები, ნაცნობები.

სწორედ აქ არის ფილოსოფიური ასპექტი გრ. აბაშიძის პიესისა — მას სურს გამოთქვას და გამოხატოს სილამაზე ყოველივე იმისა, რაც აზრს აძლევდა, აცოცხლებდა, სამოქმედოდ აღძრავდა ადამიანთა სიკეთისათვის ყველა თავდადებულს, ჰუმანიზმის ყველა მოციქულს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, ყველა მათ, ვისი ძეგლებიც ერთად რომ ჩაამწკრივო (არის ასეთი სურათი მესამე მოქმედებაში) — მთელი კილომეტრები არ ეყოფა. ვინ მოსთვლის რამდენი სასახელო შვილი ჰყავს კაცობრიობას. და არც ერთს არ აურჩევია ის გზა, რომელსაც გურამი ირჩევს, არცერთი არ გაჰქცევია თავის დროს, რადგან როგორც გურამის მასწავლებელი, მოხუცი მხატვარი ამბობს, „თავის დროისაგან გაქცეულს თურმე მარტოობის სევდა და სასოწარკვეთა ეწვევა — ყველა უბედურებაზე ძნელი და აუტანელი უბედურება“.

მაგრამ გურამზე აღარავითარი შეგონება აღარ სჭრის — მას სული ეხუთება აწმყოში და მისგან შორს ყოფნა უნდა. მას ეჩვენება თითქოს აღარ შეიძლება ენდო ადამიანს, გილალატებს ყველაზე ახლობელიც კი; ასე ჰკარგავს ის რწმენას და მის გულში მწუხარება და სკეპტიციზმი დაიბუდებს. და ამიტომ ენატრება მას წარსული, როცა მისივე სიტყვით, მხატვრები დიდებულ ტაძრებს და სასახლეებს ხატავდნენ, ან შორეული მომავალი, როცა „ცხოვრებას სისხლი და ჭუჭყი აღარ უქნება“.

გურამის ეს მძაფრი კონფლიქტი თავის დროსთან, რა თქმა უნდა, გამოხატულებას პოულობს მის ნაწარმოებებში და ამიტომ თანამედროვენი, თვით სატრფოც კი, უარყოფენ მის სურათს; მარცხს შემოქმედების სფეროში ემატება მარცხი სიყვარულში და აი, იგი ყოველმხრივ სასოწარკვეთილი, თანხმდება მასწავლებელს, იღებს პირველ ჯადოსნურ ვაშლს, რომელიც მას წარსულში გადაიყვანს.

მაგრამ ერთი რამ არ იცის გურამმა — არ იცის, რომ წარსულში გაქცევა საჭირო არ არის... ყველაფერი, რაც კარგი იყო წარსულში, დიალექტიკის ურყევი კანონის ძალით, შემონახული და ჩაქსოვილია აწმყოში... განა ბარათაშვილი არ ცოცხლობს გალაკტიონის ლექსში, ისე, როგორც გალაკტიონი იცოცხლებს იმ ქართველი პოეტის ლექსში, ხუთი საუკუნის შემდეგ რომ დაიბადება; და განა მარტო ლექსში? ხალხის ცნობიერებაში იცოცხლებს, პეიზაჟში, მთელი სამყაროს სილამაზეში. ასე მიდის მუდამ ისტორია და ბევრიც ვეცადოთ, წარსულს ვერსად გავექცევით — ის ჩვენს სულშია, იმ წიგნებშია, რომლებიც უბით გვიტარებია; ის ჩვენს ენაშია, ჩვენს ძველ ძეგლებში, ჩვენს ჰაერშია, რომლითაც ვსუნთქავთ, ჩვენი მთების და ველების სიმწვანეში, იმ მიწაშია, რომელზედაც დავდივართ და რომელიც მიგვიბარებს, რომ ახალ თაობებს დაუთმოს ეს ქვეყანა, ეს ტურფა საბალნარო, როგორც რუსთაველი ამბობდა; მანამდე კი ყველაფერი ჩვენს ხელთ არის, როგორც მერე ჩვენი შთამომავლობის ხელთ იქნება, ჩვენს ხელთ არის ყველაფერი, რაც კარგი იყო ჩვენს წარსულში — „ვეფხისტყაოსანით“ დაწყებული და დამთავრებული სულ პაწაწინა საყურით თუ ყელსამკაულით, მიწაში რომ იპოვნიან ხოლმე და მიხვდებიან, იგრძნობენ, როგორ უყვარდათ ადამიანებს ერთიმეორე და როგორ ამკობდა თავის სატრფოს ჭაბუკი, საუკუნეების წინათ რომ ცხოვრობდა. უცებ გაცოცხლდება ხოლმე ის სიყვარული, ის სიკეთე, ის მადლი, რომლითაც ჩადუღაბებულია საძირკველი ჩვენი ისტორიისა; ეს რომ ასე არ იყოს, აბა რა აზრი ექნებოდა თაობათა მემკვიდრეობითობას. რაც კარგი იყო, ყველაფერი ისევ ცოცხალია, ხოლო რაც ცუდი იყო, რაც სიავე და ბოროტება იყო, რაც სატანჯველი და სატირალი იყო — ჯანდაბამდის გზა ჰქონია, ვის რაში სჭირდება, რაღა სახსენებელი და რაღა სანანურია! აი, ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს გურამის ოხვრას წარსულზე და მის ოცნებას — ნეტავ იმ წარსულში დამაბრუნაო.

მაგრამ გურამის გადაწყვეტილებას ვერაფერი შეარყევს და აი, მას უკვე შუა საუკუნეების ეპოქაში ვხედავთ: იქ იგი მოწმე ხდება საშინელი ტრაგედიისა: ამბავი აქაც ნაცნობია. ესაა ტრადიციული სიუჟეტი მშვენიერი იოსებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შეუყვარდა პენტეფრეს ცოლს და როცა „არავინ იყო სახლსა მას შინა, უპყრა სამოსელი იოსებს, მეტყველმან, დაწევ ჩემთანა, და იოსებ, დამტევებელი სამოსლისა ხელთა შინა მისთა, ივლტოდა და გამოვიდა გარე". (დაბადება, წიგნი მოსესი). ხოლო გაწბილებულმა ქალმა შეპყარა ქვეყანა და ცილი დასწამა ახალგაზრდა კაცს, თითქოს ის თავს დაესხა და ნამუსის ახდა დაუპირა; საერთოდ, ბიბლიური და მითოლოგიური სახეები არც ისე იშვიათად გვხვდება გრ. აბაშიძის ნაწარმოებებში, მაგრამ ისინი მუდამ ახლებურად არიან დანახულნი და კონკრეტულ ისტორიულ გარემოს შესანიშნავად ეხამებიან. ასეა აქაც — ამ ამბავს მწერალმა ახალი ხორცი შეასხა.« ფეოდალური ეპოქის მხატვარი ზურაბი თითქოს კიდეც არის და არც არის ორეული გურამისა, თუმცა პიესის ავტორი შენიშნავს, რომ ზურაბის (წარსულის მხატვარი), გურამისა და ნუგზარის (მომავლის მხატვარი) როლებს ერთი და იგივე მსახიობი უნდა ასრულებდეს. საქმე ისაა, რომ ზურაბი — ჰუმანიზმისა და ადამიანის სიკეთისათვის წარბშეუხრელი მებრძოლია. ავტორმა დიდი და კეთილშობილური სული შთაბერა მას და ფართო განზოგადებამდე აიყვანა; ამის გამო ზურაბი მარტო იმით კი არ არის საინტერესო, რომ ასე მტკიცედ იცავს თავის სიყვარულს და თამამად აღუდგება წინ ვნებადაუცხრომელი დედოფლის — ირანელი ქალის შემოტევებს და კათალიკოსის რისხვას, არამედ უფრო მეტად იმით, რომ თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით და თვით ტრაგიკული აღსასრულითაც განასახიერებს იმ ძველ ქართველ ოსტატებს, რომლებიც აგებდნენ და ფრესკებით მოხატავდნენ ტაძრებს და სასახლეებს. ვისაც ატენისა და ყინწვისის ფრესკებზე გამოხატული ანგელოსები უნახავს, ის ადვილად მიხვდება თუ რატომ აუმხედრდება ზურაბს კათალიკოსი; ზურაბი რენესანსის სულით გამსჭვალული ოსტატია. ამქვეყნიური სიცოცხლის მოტრფიალე, ის მებრძოლია, თავისი დროის ცხოვრების შუაგულში იბრძვის, და აქ არაფრით არა ჰგავს შორეულ შთამომავალს — ჩვენს თანამედროვე მხატვარს გურამს. მაგრამ პიესაში ეს არ არის მთავარი. ავტორს სურს გვიჩვენოს, თუ როგორ გასთელავს ირანელი ქალი ფეხქვეშ გვანცასა და ზურაბის წმინდა სიყვარულს, როგორ იღუპებიან ორივენი და რა მკაცრია, რა საშინელია დრო ფეოდალიზმისა, რომელზედაც გურამი ოცნებობდა...

„ჰოი, რა ვნახე! რა ცხოვრებაǃ რა ბოროტებაǃ — გაიძახის გურამი, — აქ გაჩერება აღარ ძალმიძს... უნდა გავიქცე; უნდა გავშორდე წარსულის ამ საშინელებას", — აი ახე ჰქრება ოცნებით მონაბერი ყველა მაცდუნებელი ხატება, რომელსაც გურამის აღგზნებული ფანტაზია წარმოიდგენდა. ჯადოსნური ვაშლი ახალგაზრდა მხატვარს ახლა მომავლისაკენ მიაფრენს.

მესამე მოქმედებაში ჩვენს წინაშე წარმოსდგება თბილისი ხუთი საუკუნის შემდეგ; პიესის სიუჟეტში, თუ შეიძლება ითქვას, ეს ყველაზე ძნელი ფონი იყო და აქ ყველაზე ნათლად ჩანს ოსტატობა მწერლისა, მისი შემოქმედებითი გაბედულება; ოცდამეხუთე საუკუნის თბილისი მას ამ შემთხვევაში იმიტომ აინტერესებს, რომ შორიდან შემოჰხედოს ჩვენს აწმყოს და უჩვენოს გურამს, უჩვენოს მკითხველებს, მაყურებლებს, თუ რაოდენ დიდ ეპოქაში ვცხოვრობთ, რაოდენ შესანიშნავ საქმეს აკეთებს საბჭოთა ადამიანი, როცა ჰკაფავს გზას კომუნიზმისაკენ, როცა იბრძვის მთელ პლანეტაზე უსამართლობის, ჩაგვრის, ძალადობის ყველა გამოვლენის აღკვეთისათვის; ამ დიად ისტორიულ მისიას საოცრად აუმაღლებია და გაუბრწყინებია სახელები ადამიანებისა, რომელნიც შეუდრეკლად დგანან ყველაზე მოწინავეთა რიგებში და მთელი ძალღონით იბრძვიან ჩვენი დროის დიდი ჰუმანური იდეების დამკვიდრებისათვის, ის ლაქები კი, რომელთაც გურამი დააფრთხეს — მომავლიდან აღარ ჩანან, იმ დიდ ნათელში დანთქმულან, რომელსაც ჰქმნიან ჩვენი დროის — კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის დიადი მიზნები და საქმეები. გურამი ხედავს რა დიადი ყოფილა დრო, რომელსაც ის გაექცა, რაოდენ საინტერესონი ყოფილან ადამიანები, რომლებიც მას გარს ეხვივნენ — აი, თუნდაც მისივე ძმა ლევანი, რომელსაც უპოვნია წამალი კაცობრიობის ყველაზე საშინელი სენის — კიბოს მოსარჩენად და ეს წამალი საბჭოთა მთავრობას უფასოდ დაუთმია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ლევანის ძეგლები აღუმართავთ არა მარტო ოცდამეხუთე საუკუნის თბილისში, არამედ იმავე დროის მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და ტაშკენტშიც, მელბურნსა და სანტიაგოშიც; გურამის განცვიფრებას საზღვარი არა აქვს — აგერ ძეგლები ადამიანთა ძმობისა და თანასწორობისა, დედამიწაზე შიმშილის მოსპობისა, სამარადისო მშვიდობის დამკვიდრებისა, ბოლო რევოლუციისა, რომელსაც უკანასკნელი ტირანია დაუმხია დედამიწაზე — ხედავს გურამი, რომ მისი საუკუნე — მეოცე საუკუნე კაცობრიობის გათავისუფლების საუკუნე ყოფილა. მისი თანამედროვენი თავისუფლების დიადი არმიის მამაცი ჯარისკაცები ყოფილან. ხოლო თვითონ თავისი დროისაგან გაქცეული, მოწუწუნე, პატარა ადამიანი, რომელიც ზურგით იდგა ამომავლისაკენ და ამიტომ ამომავალი მზე ველარ შეამჩნია; მან ცილი დასწამა თავის სატრფოსაც კი — მესამე მოქმედებაში ირკვევა, რომ თამარი ერთგული სატრფო ყოფილა და ღალატი წამითაც არ

გაუვლია გულში. იყო მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობა და მეტი არაფერი.

და აი, დღეს ჩვენი დროის გზასაცდენილი, უძღები შვილი თავის დიდებულ თანამედროვეთა ძეგლებთან და მოსთქვამს უმიზნოდ დაკარგულ თავის ცხოვრებაზე, უსიხარულოდ, უქმად გატარებულ სიცოცხლეზე. სიმბოლური და ბევრის მთქმელია სცენა, სადაც ადამიანები დაფრინავენ თავიანთი სულიერი ალტაცების ფრთებით. და აი, არმაზი მიმართავს გურამს: „თქვენ ხუთასი წლის წინათაც არ გაგაჩნდათ სიხარულისა და ბედნიერების განცდით გამოწვეული ალტაცება და აღფრთოვანება. თქვენ მიდრეკილება უფრო მწუხარებისა და უარყოფისაკენ გქონდათ, ხოლო მწუხარებას ფრთები არა აქვს“...

აქაა დედააზრი პიესისა, საერთოდ გრ. აბაშიძის ეს ნაწარმოები განეკუთვნება საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს, რომლებიც ამკვიდრებენ დიდ ოპტიმიზმს, გზას უნათებენ ადამიანს, სულიერ მხნეობას მატებენ, წინ ეძახიან, და საბჭოთა მწერლის მთავარი ამოცანაც ხომ ეს არის — ამ ამოცანას „მოგზაურობა სამ დროში“ შესანიშნავ გადაწყვეტას აძლევს. ის ღრმად ჩააფიქრებს მკითხველს ჩვენი დროის ყველაზე რთულ პრობლემებზე და ცოცხალი სახეებით უჩვენებს ეპოქის მთავარი ტენდენციის მიმართებას, იმას. თუ საით მიჰყავს ისტორია ჩვენს თაობას, ჩვენს დროს, რომელიც ამკვიდრებს კაცობრიობის ნათელ მომავალს.

ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო ამ პიესაზე. მასში წამოჭრილ საკითხებზე, მის გმირებზე, მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა. ერთი კი არ შეიძლება არ აღვნიშნოთ: აქ კვლავ გამოჩნდა გრ. აბაშიძის ტალანტის შესანიშნავი თვისება — შეათავსოს ფილოსოფიური იდეა ყოველდღიურთან, საჭირბოროტოსთან. მესამე მოქმედებაში, გურამისა და მოხუცი მხატვრის საუბრის დროს ციდან უმანქანოდ, ფრინველივით ფრთებით მოფრინდება არმაზი, რომელიც სულ ერთი კვირაა, რაც დაუნიშნავთ დირექტორად ინსტიტუტისა, რომელმაც მომავალში მოხვედრილი გურამის შესწავლა უნდა მოახდინოს. „მერე ერთ კვირაში ხმის გამოცვლა როგორ ვერ მოასწარით?“ — ეკითხება მას გურამი. „არ მესმის რა ხმის გამოცვლაზე მეკითხებით?“ — უკვირს მომავლის ადამიანს. „ჩემს დროს, — უპასუხებს გურამი, — როგორც კი ვისმეს პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, მაშინვე გამოიცვლიდნენ ხმას, დაიბოხებდნენ და ტკეპნით ლაპარაკობდნენ, უბრალო ხალხს სალამს ამაღლიდნენ და ძველ ნაცნობებს აღარ ცნობდნენ“.

მაგრამ მხილება ამ „ხმის დამბოხებლებისა“ და „ტკეპნით მოლაპარაკეებისა“, რომელნიც მოკლებულნი არიან უბრალო თავმდაბლობას, ადამიანურ სიწრფელეს და ჰუმანიზმს, მაინც მცირე ეპიზოდია პიესაში, მთავარი აქ ეს არ არის. ავტორი აქ ხალხის ცხოვრებისათვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემასაც წამოსჭრის. კერძოდ, აქ დიდად საინტერესოა დიალოგი რობოტსა და მომავალში გადასულ გურამს შორის. გურამი ეკითხება ოცდამეხუთე საუკუნის ადამიანს — „რამდენი მეცნიერი ჰყავს ამჟამად ჩვენს ქვეყანასო?“ და აი პასუხიც: „თქვენ ალბათ, საკითხის ისტორიაც გაინტერესებთ. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის საქართველოში მეცნიერთა რიცხვის ზრდას ისეთი გაქანება მიეცა, რომ ერთგვარად საშიში ხასიათიც კი მიიღო სახელმწიფოსათვის. ამ დროისათვის საქართველოში ყოველი მეორე კაცი მეცნიერების კანდიდატი იყო, ხოლო ყოველი მეოთხე — დოქტორი“. „რას ამბობთ, ნუთუ აქამდეც მივედით?!“ — უკვირს გურამს, რობოტი კი, რომელიც ჩვენი დროის ამბებს უყვება, განაგრძობს: „უხარისხო კაცი, საერთოდ, კაცად აღარ ითვლებოდა და სამუდამოდ უცოლოდ რჩებოდა, ისევე, როგორც უხარისხო ქალი — გაუთხოვარი. კოლმეურნეობაში აღარავინ რჩებოდა, გახურებული თესვის ან მოსავლის აღების დროს მეცნიერული ხარისხის მაძიებლები იყრებოდნენ და უმაღლეს სასწავლებლებში მირბოდნენ. დისერტაციების დასაცავად“. „ზომაზე მეტი არაფერი ვარგაო“, წამოიძახებს გურამი.

მართალია, აქ მწერალი გროტესკის ხერხს იყენებს, მაგრამ ამ გროტესკში აუცილებლად იგრძნობა მწარე სიმართლე. არ შეიძლებოდა მწერლობას ხმა არ ამოეღო იმ უარყოფით ტენდენციებზე, რომელსაც ხან მიწიდან მოწყვეტას ვეძახით, ხან წრესგადასულ და ტოტალურ ჰუმანიტარიზაციას პროფესიის არჩევის დროს. რით შეიძლება მწერლობა დაეხმაროს ამ სენის აღმოფხვრას, კაცს მიწიდან რომ აჰყრის, მამა-პაპის კერას დაათმობინებს, გზაკვალს გაუმრუდებს? რა შეუძლია აქ მწერალს?

ჯერ ისა ვთქვათ რა არ შეუძლია: მას არ შეუძლია დაგეგმოს უმაღლეს სასწავლებლებში თუ ასპირანტურაში მისაღები კონტინგენტი, არ შეუძლია აღრიცხოს და გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის მოთხოვნილება კადრებზე; მაგრამ მწერლობას შეუძლია უფრო მეტი: მან ისე უნდა აღზარდოს ახალგაზრდა მკითხველი, რომ წარუშლელად ჩაუბეჭდოს სულში ის, რაც ძალიან კარგად იცის ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა; სახელდობრ, ის, რომ შრომა, რომელ უბანზეც უნდა მოგიხდეს მუშაობა — სამარცხვინო არ არის... ამ საქმეს უნდა შეეჭიდოს ჩვენი მწერლობა, ხელოვნება, მით უმეტეს, რომ ეს უშუალოდ გამომდინარეობს იმ სახი-

ცოცხლო ამოცანებისაგან, რასაც პარტია და ხალხი მის წინაშე აყენებენ.

თანამედროვე ქართულმა საბჭოთა მწერლობამ კარგად გაართვა თავი იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენათა, იმ ბნელი და ჩრდილოვანი მხარეების მხილებას, რაც ბოლო წლების მანძილზე ესოდენ შესამჩნევი იყო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე. ბევრი კარგი რომანი და მოთხრობა მიუძღვნეს ამ თემას, როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა პროზაიკოსებმა; ამ კარგსა და საჭირო საქმეს ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ღირსეულად გაართვა თავი. მაგრამ პარტია და ხალხი აღარ დაკმაყოფილდებიან მარტო მხილებით, მარტო ჩრდილოვანის გამომზეურებით. და ამიტომ ლიტერატურამ ასეთივე მგზნებარებით უნდა მოჰკიდოს ხელი ახლის შექმნის, შენებისა და ძიების ზეალმავალ პროცესების გამოხატვას.

ღმერთმა ნუ ქნას, მხატვარს თავის პალიტრაზე მარტო მუქი და შავი ფერები ჰქონდეს... იმ პალიტრაზე ლურჯად და მწვანედ მოციმციმე წკრიალა ფერებიც არის, სიცოცხლის სიხარულს რომ მოჰგვრიან შემხედვარეს.

ეს კი პირველ რიგში — შრომის რომანტიკაა.

დახატო და აჩვენო მთავარი გმირი ეპოქისა, ცოცხალ მაგალითად დაუსახო იგი ქვეყანას — ეს ამოცანა, რომელიც ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე დგას, არის ერთი მხრით, დროული, კონკრეტული, სადღეისო, უაღრესად აქტუალური და მეორე მხრით, ისტორიულიც. ჩვენს დროს რომ გასცდება და მუდამ რომ იცოცხლებს, ისე, როგორც გასცდნენ თავიანთ დროს ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი, ყაზბეგის ელგუჯა და კობა, ვაჟა-ფშაველას კალმით დახატული ქალები და ვაჟკაცები. საკმარისია ახსენოთ მათი სახელები და შენს თვალწინ ცოცხლად წარმოსდგება მე-19 საუკუნის საქართველო. ასეთივე ძალით უნდა გამოჩნდეს ლიტერატურაში მთავარი გმირი საბჭოთა ეპოქისა, ის, ვინც განასახიერებს დღევანდელ საქართველოს. საჭიროა მონუმენტური სახეები: აქ ლაპარაკია დიდ განზოგადებებზე, ახალგაზრდა ადამიანებზე, ვისაც საქართველოს მიწა აბარია და ფეხი მაგრად უდგას ამ მიწაზე, პეპელასავით აქეთ-იქით კი არ დაფარფატებს, არამედ ადუღაბებს ცხოვრების ფუძეებსა და კერებს. საჭიროა დაიხატოს ადამიანები, რომლებსაც თავიანთ თავში განუხორციელებიათ თავისი ხალხის სული, გონება, სინდისნამუსი და კეთილშობილება, რომლებმაც თავი ისახელეს ყველგან — მინდორში, ქარხანაში, ლაბორატორიაში, კომბაინის შტურვალთან თუ ოპერატორის პულტთან, უნივერსიტეტის აუდიტორიაში თუ თეატრის სცენაზე, ყველგან — ეკონომიური ცხოვრებისა და იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბანზე. ჩვენ ვლაპარაკობთ მეცხრე ხუთწლედის გმირებზე — უამრავია მათი რიცხვი და მათს ღონიერ მხრებზეა დაბჯენილი ქვეყნის აწმყოც და მომავალიც. უაღრესად საინტერესოა მათი ცხოვრება: აქ არის ბევრი სიძნელეც, არის მძაფრი და დრამატული კონფლიქტებიც, ყველაფერი ის, რაც ჭეშმარიტი ლიტერატურისათვის სასიცოცხლო ჰაერივით აუცილებელია.

აჩვენო და დახატო ეს დიდებითი მაგალითი, ეს ნათელი საწყისი — ეს ნიშნავს იბრძოლო მისთვის, ძლაგზნო და თან გაიყოლო ახალგაზრდა მკითხველი — აი, რას მოითხოვს პარტია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებისაგან.

მეცხრე ხუთწლედმა, ხალხის ახალმა შრომითმა შემართებამ სათავე დაუდო უაღრესად საგრძნობ ძვრას ჩვენს ლიტერატურაში. დაიწერა არაერთი კარგი ნაწარმოები ამ თემაზე, რომელთა შორის თავისი ჩანაფიქრის სიღრმით გამოირჩევა გრ. აბაშიძის „ფიქრები ენგურის ხეობაში“, რომელიც პოეტმა სახელოვან გვირაბგამყვანს შუქრი აბაკელიას მიუძღვნა. ამ ნაწარმოებში არის ძალზე საგულისხმო და საინტერესო მინიშნებები იმაზე, თუ როგორ უნდა იწერებოდეს იმავე ენგურჰესზე, საერთოდ იმ სიახლეზე, რაც დროს მოაქვს. ახლა მარტო გაუაზრებელი, ზედაპირული აღტაცებით შორს ვერ წახვალ. ამიტომ ეს თემაც თავისებურ ისტორიულ სიმბოლოებში, ფილოსოფიურ ასპექტში უნდა გადაწყდეს. სწერო ენგურჰესზე — ეს ნიშნავს სწერო მთელ ისტორიულ ეპოქაზე, სწერო კომუნიზმზე, როგორც ისტორიის ახალ მიჯნაზე, საიდანაც ადამიანის თვალი უფრო შორს ხედავს და გულიც უფრო მეტს გრძნობს. ენგური უნდა იქცეს შუქად, სინათლის ზღვად და ეს არ არის მარტო ბუმბერაზული ელსადგურის აშენება, ეს ახალი საქართველოს ისტორიის ფურცლებია.

გრ. აბაშიძის ეს ახალი, ბოლოდროინდელი პოემა დაწერილია, როგორც საუბარი კონკრეტულ, ცოცხალ ადამიანთან, ხუთწლედის სახელოვან გმირთან, და იმავე დროს ეს არის საუბარი საუკუნესთან, აწმყოსა და მომავლის საქართველოსთან — ასეთი ფართო მასშტაბები და განზოგადებანი ახასიათებდა გრ. აბაშიძის ადრინდელ პოემებსაც. გმირი იქ მუდამ გამოდიოდა მარტო თავისი თაობის კი არა, სამშობლოს სახელით, ვინაიდან ის სისხლხორცეულად, მთელი სულით განუყრელად იყო დაკავშირებული ქვეყნის ბედთან. ასეა აქაც, ახალ პოემაში. ამაოდ როდი ჩნდება აქ, ენგურის ციცაბოებთან თვით ჰამლეტის მწუხარე აჩრდილიც, და ამაოდ როდი მოიხსენებიან ოსტატთა თაობები მარტო საქართველოს ისტორიიდან კი არა, მსოფლიოს ისტორიიდანაც. გვირაბგამყვანს ქვესკნელის წიაღში რომ გაუბ-

ხნია გზა შუქისათვის, პოეტი ასე მიმართავს: „შენ საიდუმლო იცი კლდისა და ბნელი მიწის, მგონნის ფიქრები კაცის სულის სიღრმეს სწვდებიან, იოლად ვიტყვით, მაგრამ ერთმა ღმერთმა თუ იცის მათგან რომელი უფრო ძნელი ჩასაღწევია“. თუ ეს სიღრმე არ აილო და კაცის გულამდე ჩაღწევის ამ ძნელად ასაწევ სიმძიმეს არ შეეჭიდა პოეტი, ისე ვერ შესძლებს დღევანდელ რთულ ვითარებაში დადგეს თავისი ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე.

გრ. აბაშიძემ დიდი ხანია მოძებნა უაღრესად თავისებური, ორიგინალური გზა ძველისა და ახლის დასახატად და გადმოსაცემად. მის წიგნებში მუდამ ჩანდა ის განწყობილება, ის გზნება და ვნებიანობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი დღეებისათვის. და, იმავე დროს, პოეტი, არასოდეს იფარგლებოდა მარტო აწმყოთი. ის ცდილობდა დაენახა და გადმოეცა ისიც, რაც სამუდამოა, რაც წარუვალია წარმავალში:

მოძრაობს, იბრძვის ღამით და დღისით,
რაც ცოცხალია,
     რაც ახალია,
არის სიცოცხლის ნაწილი ისიც,
რომ ყველაფერი წარმავალია.
მტვერი რომ ბრუნავს,
  მტვერი ტრამალზე,
წყალიც, ჩუმად რომ არ ჩაუვლია,
ყველაფერს თურმე აქვს სილამაზე
და სილამაზე სასწაულია.
სასწაულია, გახედე მთა-ბარს,
მომავალს უთმობს გზას გარდასული...
და გულუბრყვილო სიცოცხლის ზღაპარს
არა აქვს ბოლო და დასასრული.

ჭეშმარიტად ეპოქალურ პოეზიას ათასნაირი ასპექტი თუ გადასახედი აქვს. დასაბამიდან, რაც ლექსი გაჩნდა ქვეყანაზე, პოეტი ხან მიჯნურია და სიყვარულის საიდუმლოებას უხსნის ადამიანებს, ხან მეომარია და ქვეყნის დაცვაზე დააფიცებს ჯარისკაცებს, ხან ბრძენია, რათა კაცთა მოდგმას უჩვენოს სად არის მიჯნა ყოფნა-არყოფნისა და რაშია მაღალი აზრი ადამიანის ყოფნისა ამ ქვეყნად. ეს არის ის, რასაც მაღალ მოქალაქეობრივ პოეზიას ვეძახით, რომელიც თავის თავში ინტიმურ ლირიზმსაც ითავსებს და დიდ ფილოსოფიურ განზოგადებებსაც. ლიტერატურის ისტორიაში მას მუდამ მთავარი ადგილი ეჭირა. ე. წ. „შინაგანი“ და „გარეგანი“ მასში მუდამ ერთ განუყოფელი მთლიანობის სახით იყო მოცემული. აბა მოძებნეთ ავთანდილის ლოცვაში ან ნესტანის წერილში მიჯნა ინტიმურ სიყვარულსა და მაღალ მოქალაქეობრივ სწრაფვათა შორის! არ არის ასეთი მიჯნა. ეს ტრადიცია გამოჰყვა ქართულ პოეზიას მთელი საუკუნეების მანძილზე. გრიგოლ აბაშიძე ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც თავიდანვე მტკიცედ დადგა ამ დიდ გზაზე, ვინც შექმნა, ფერი და ხმა მოუძებნა ახალ ქართულ საბჭოთა ლირიკულ პოეზიას, ვინც თავისი ეპიკური პოემებით დიდი ამაგი დასდო ამ ჟანრის ახალ აღორძინებას. არაერთი მშვენიერი ლექსი მიუძღვნა გრ. აბაშიძემ სიყვარულის უკვდავ გრძნობას. პოეტი ამ თემას წლების მანძილზე კვლავ და კვლავ უბრუნდება და სიყვარული აქ ხან ისტორიულ ასოციაციებს უკავშირდება, როგორც ლექსებში „ოცნება უფლისწულისა“ და „ჯიგთა-ხათუნი“, ხანაც ჩვენს დღეებს, ომსა და მშვიდობას, ქართულ ბუნებას, აყვავებულ გაზაფხულს. და პოეტი მუდამ ერთგულია ქართული მწერლობის დიდი ტრადიციისა, მას აქვს სილამაზის მკვეთრი შეგრძნება და სიყვარული აქ მუდამ წარმოსდგება, როგორც ადამიანის ამამაღლებელი წმინდა გრძნობა, შთამაგონებელი მაღალი მოქალაქეობრივი ღვაწლისა. ეს არის ახალი ქართული ლირიკა და გრ. აბაშიძე მუდამ იყო მის პირველ დამფუძნებელთა და შემოქმედთა შორის.

* * *

ის საერთო იდეური და მხატვრული კონცეფცია, რომელიც ზემოთ დავასახელეთ და რომელიც ესოდენ მძაფრად იგრძნობა გრ. აბაშიძის ყოველ ლექსში, პოემასა თუ რომანში — წარმართავს პოეტის შემოქმედებითს მუშაობას თარგმნითი ხელოვნების სფეროშიც. არც ისე დიდი ხნის წინ გრ. აბაშიძემ გამოსცა ერთი საინტერესო წიგნი, რომლის გარეკანზე წარწერილი იყო შუა და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი დიდი პოეტის სახელი. ეს თითქოს ერთი მთლიანი ნაწარმოებია, ერთი მთლიანი სიმღერა, მიუხედავად იმისა, რომ მას ექვსი ავტორი ჰყავს. წიგნის მთარგმნელმა კარგად მოძებნა ნიშანი, რომელიც მათ გააერთიანებდა — ეს პოეტები თავთავიანთი ერების მედროშენი იყვნენ, ისინი როგორც მხატვრები, როგორც შემოქმედნი, ძალიან თავისებურნი იყვნენ, მაგრამ ბედი, უფრო უკეთ, უბედობა საერთო ჰქონდათ. მეტად ტრაგიკულია ყოველი მათგანის ბიოგრაფია. მთელი სიცოცხლის მანძილზე ისინი დევნილები იყვნენ. ეს ითქმის, პირველ რიგში, ადამ მიცკევიჩზე, რომლის ლექსებითაც ეს წიგნი იხსნება; მიცკევიჩი — პოლონეთის დიდება და სიამაყეა, იმავე დროს, მის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაშიც ჩაქსოვილია მთელი ის ტანჯვა, წვალება, რაც მისმა სამშობლომ მეცხრამეტე საუკუნეში განიცადა. ჯერ ისევ ჭაბუკი იყო მიცკევიჩი ვილნოდან შორეულ ქალაქში რომ გადაასახლეს, აქედან საზღვარგარეთ, პარიზში გადაიხვეწა, შემდეგ, როცა მისმა ლექსებმა პოლონეთში განმათავისუფლებელი ბრძოლის ალი გააჩაღეს, მან ჩუ-

მათ გადალახა საზღვრები და შეაღწია სამშობლოში; მაგრამ პოლონეთის აჯანყება დამარცხდა და პოეტი იძულებული გახდა ისევ პარიზს დაბრუნებოდა, და ისევ ფიქრი, ისევ ოცნება სამშობლოზე, ისევ ლექსები და ისევ ზრუნვა ჯარის შესაგროვებლად, რომ ქვეყანა ეხსნა. ამან ჩაიყვანა პოეტი სტამბოლში, სადაც იგი შავმა ჭირმა იმსხვერპლა.

ასევე ტრაგიკული იყო უნგრეთის დიდი პოეტის შანდორ პეტეფის ბედი. ის ბრძოლის ველზე მოკლეს და უნგრელებმა დღესაც არ იციან სად არის მისი საფლავი. მსგავსად ბრძოლის ველზე დაეცა ბულგარელი ქრისტო ბოტევი, ხოლო ახალი რუმინული ლიტერატურის ფუძემდებელი — მიხაი ემინესკუ ჭკუაზე შეიშალა. ყოველი მათგანის ცხოვრება — ეს იყო თავგანწირული ბრძოლა სამშობლოსათვის და მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის. ყველა ისინი თავისუფლების დიდი არმიის ჯარისკაცები იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხალხებს ეკუთვნოდნენ, მუდამ გრძნობდნენ, რომ ერთ ბანაკში იყვნენ. მიცკევიჩს ვერ წარმოედგინა პოლონეთის თავისუფლება ისე, თუ თავისუფალი არ იქნებოდა უნგრეთიც, ჩეხოსლოვაკიაც, ბულგარეთიც; 1849 წლის აპრილში მიცკევიჩმა წერილების მთელი ციკლი მიუძღვნა სოციალისტური იდეების პროპაგანდას (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წერილი „მუშათა უბნები“) და იქვე იწინასწარმეტყველა თავისუფალ ერთა მომავალი თანამეგობრობა. თარგმანების კრებული, შედგენილი გრ. აბაშიძის მიერ, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ დღევანდელი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების თანამეგობრობის პირველ, შორეულ ფესვებზე მიგვითითებს.

თითქმის ათი წელი მუშაობდა გრიგოლ აბაშიძე ამ პოეტების ნაწარმოებთა თარგმანზე, მუშაობდა მთელი გატაცებით; ასე წარმოიშვა ეს წიგნი, რომელსაც მტკიცე კომპოზიციური მთლიანობა და ერთი თემა აქვს — გვიჩვენოს როგორ იბრძოდნენ ხალხები და მათი პოეტები თავისუფლების დასამკვიდრებლად.

„არსებობს თარგმნის ორი პრინციპი, — წერდა გოეთე, — პირველი თხოულობს ჩამოასახლო უცხოელი ავტორი შენს ქვეყანაში, აქციო ის შენს თანამემამულედ. მეორე, პირიქით, გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ ამ უცხოელის ქვეყანაში, შევეგუოთ მისი ცხოვრების პირობებს, მისი ენის წყობას, მის თავისებურებებს. ამ ორივე პრინციპის ღირსებანი კარგად არის ცნობილი ყველა განათლებული ადამიანისათვის თარგმანთა იმ კარგი ნიმუშების მიხედვით, რომლებიც უკვე ჩვენს ხელთ არის. ჩვენმა მეგობარმა ვილანდმა აქ შუა გზა ამოირჩია, სცადა შეეთავსებინა ორივე პრინციპი, მაგრამ ყველაზე მძიმე შემთხვევაში, როცა გაჭირდებოდა, ის როგორც მცოდნე გემოვნების ადამიანი, უპირატესობას აძლევდა პირველ პრინციპს“.

ბიბლიოთეკა

რაც გოეთემ ვილანდზე თქვა, თამამად შეიძლება გავიმეოროთ ყველა კარგ მთარგმნელზე. გოეთესი არ იყოს, ამ მოსაზრებას საფუძველს აძლევენ კარგი, მაღალხარისხოვანი თარგმანები, რომლებსაც გაუმდიდრებიათ ყველა ერის ლიტერატურა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი ქართული ლიტერატურა. ძნელია და მე მგონი, შეუძლებელიც აქ ყველასათვის საერთო კანონის დაწერა, ყოველი ხალხის ლიტერატურა მეტად თავისებურია, თავისებურია მწერალიც და ზოგს ერთი წესი თუ მანერა მოუტანს გამარჯვებას, ზოგს — მეორე. და მიუხედავად განყენებული მსჯელობებისა, რომლებიც თარგმნის სფეროში წარმოებს, ხომ ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენ გვყავს ჩვენი ქართველი შექსპირი; იგი ივანე მაჩაბელმა აალაპარაკა რუსთაველის ენით და ის ისე ახლობელი გახდა, რომ ჩვენ, ძალიან ხშირად, როცა ქართულ ენაში რამე რთული საკითხი წამოგვეჭრება, მისი გადაწყვეტის დროს ქართულ შექსპირსაც ისევე ვენდობით, როგორც ჩვენს ქართველ კლასიკოსებს.

შანდორ პეტეფის ლექსების აბაშიძისეულ თარგმანებს ჩვენი მკითხველი დიდი ხანია იცნობს და დამეთანხმება, რომ ეს ლექსები მართლაც ქართულად ჟღერენ, მეტად მონათესავე და ახლობელი სახეების სამყაროს მოიცავენ. ამ ფაქტს, მთარგმნელის მაღალი ოსტატობის გარდა, დიდად შეუწყო ხელი ერთმა ამბავმა. რათ ახმაურდა, რათ აჟღერდა პეტეფი ქართულად ასე კარგად, რის გამო იყო, რომ მადიართა დიდმა პოეტმა ასე სრულიად თავისუფლად მიიღო ქართული პასპორტი და იქცა ჩვენს თანამემამულედ. ცხადია, პირველ რიგში, როგორც უკვე ვთქვი, ეს მთარგმნელის ღვაწლია, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პეტეფის ლექსის გაქართულებას წინ უსწრებდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „მესმის, მესმის“, რომელიც სწორედ უნგრეთისა და იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოძახილი იყო. ასევე გაიხსენეთ აკაკი წერეთლის გამოძახილი იტალიისა და უნგრეთის ამბებზე; მაშასადამე, ფაქტიურად პეტეფი ჩვენმა ხალხმა ახლა კი არა, ასი წლის წინ შეიგრძნო, მაშინ ლექსი თუ არა, სული გავიცანით მისი და არა მარტო აქ, საქართველოში ისმოდა იმ ბრძოლის გამოძახილი, რომელსაც პეტეფი ეწეოდა. ეს სახელი ყველა რევოლუციური დემოკრატისათვის, ყველა მოწინავე ადამიანისათვის იქცა მოწოდებად, იქცა შთაგონებად. ეს განაპირობა თვით ისტორიულმა ვითარებამ. ამიტომ ჩვენი მკითხველიც ფსიქოლოგიურად მზად იყო პეტეფისთან ხელახლა შესახვედრად, ის ელოდა მის ლექსებს, პეტეფის ქართულ ლექსებს.

და აი, უნგრელი პოეტი მეტყველებს ქართულად:

ჩქარა ზარები, ჩქარა ზარები,
ჩქარა ზარები, ყველას გავძახი,
ვცახცახებ, მაგრამ შიშით კი არა,
დარდით და ბრაზით გამაქვს ცახცახი!
მადარდებს ჩემი სამშობლოს ბედი,
ცა ისევ შავი ღრუბლით ივსება,
მაბრაზებს, ერმა მძიმე ძილისგან,
რომ ვერ შეიძლო გამოღვიძება.

ეს პეტეფია. ახლა გაიხსენეთ ილიას სტრიქონები:

ოხ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

უოველივე ამით იმის თქმა მინდა, რომ პეტეფის თარგმნას ჰქონდა თავისი შემამზადებელი ისტორიული და ლიტერატურული წინა პირობები; მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველა ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში ჰქონდა საერთო რწმენის სიმბოლო, საერთო სადარდებელი და მისი გამოხატვა, ცხადია, პირველ რიგში, პოეტის ვალი იყო.

ეს პოეტები ქართველ მკითხველს პირველად გრ. აბაშიძემ გააცნო; მანამდე, მგონი მარტო მიცკევიჩის ორიოდე ლექსის თარგმანი არსებობდა. ამას გარდა, ქართველი მკითხველი იცნობდა ივანე ვაზოვს. მისი რომანი — „დამონებულნი“ ამ საუკუნის დასაწყისში თარგმნა ქართულ ენაზე თედო სახოკიამ. 1900 წელს რომანის ქართული თარგმანის ძვირფას ყდაში ჩასმული ეგზემპლარი თ. სახოკიამ ბულგარეთში გაუგზავნა ვაზოვს და თან მისწერა რა აღტაცებით კითხულობდნენ მის წიგნს ქართველები. ვაზოვმა საპასუხოდ გამოაქვეყნა წერილი საქართველოზე. ამ წერილში ბულგარელი მწერალი ულრმესი სიყვარულით ლაპარაკობდა ჩვენს ხალხზე, მის ისტორიაზე.

ასე აცნობდნენ და ურთიერთთან მტკიცედ აკავშირებდნენ მწერლები თავიანთ ერებს ჯერ ისევ მაშინ, ხოლო დღეს ამან უფრო ფართო ხასიათი მიიღო და ეს წიგნები მავარ ხიდსა სდებენ მსოფლიოს სოციალისტური ბანაკის ხალხებს შორის. გრიგოლ აბაშიძის ეს თარგმანები კარგ საქმეს აკეთებენ მარტო იმით კი არა, რომ ჩვენს მკითხველს აცნობენ ამ ხალხთა კულტურას, არამედ მათ ჩვენი ქვეყნის სახელიც გააქვთ ამ პოეტთა სამშობლოში, სადაც ამ თარგმანებმა უკვე ჰპოვეს თავიანთი გამოძახილი. ამიტომ ეს წიგნი ღირსეულად ემსახურება ხალხთა შორის მეგობრობის, ძმობის, ჰუმანიზმის მაღალსა და კეთილშობილურ იდეალებს.

* * *

ჩვენი წარმოდგენა პოეტის ღვაწლზე სრული არ იქნებოდა, თუ არ შევეხებოდით მის საზოგადოებრივ საქმიანობას. გრ. აბაშიძემ აქაც დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. ათეული წლების მანძილზე ის უძღვებოდა ჟურნალებს „დროშას“, „მნათობს“ და ვინ მოსთვლის რამდენ ახალგაზრდა მწერალს დაულოცა მან გზა და გამოიყვანა დიდ სალიტერატურო ასპარეზზე. მას მუდამ ახასიათებდა დიდი ადამიანური გულისხმიერება და გულის სითბო; ფართოა მისი მოღვაწეობის ასპარეზი და მას ხშირად ვხედავთ საერთაშორისო ტრიბუნებზე, როგორც ელჩს ჩვენი კულტურისას, ვხედავთ ხან სტოკჰოლმში, მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე, ხან ბელგიაში, პოეტების საერთაშორისო თავყრილობაზე, სადაც იგი სიტყვით გამოვიდა, ხან ფილიპინებზე, მანილაში, პოეტების მსოფლიო კონგრესზე, ხან პარიზში, ხან ვარშავასა და ბუდაპეშტში, და ყველგან მას შორს გააქვს თავისი სამშობლოს, მისი დიდი კულტურის შუქმოსილი სახელი; ბოლო წლების მანძილზე გრ. აბაშიძე სათავეში უდგას საქართველოს მწერალთა კავშირს. აქაც ის დაუცხრომელ შემოქმედებითს და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა იმ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც თვით ეპოქამ წამოსჭრა მწერლობის წინაშე.

გრიგოლ აბაშიძეს სამოცი წელი შეუსრულდა. მაგრამ მისთვის ეს არ არის ის მიჯნა, საიდანაც სიბერე იწყება. არა, სიბერეზე კი არა, ახალგაზრდულ ძალ-ღონეზე, დაუცხრომელი, ცოცხალი და მაძიებელი აზრის ფართოდ და შორს გაქანებაზე მეტყველებენ მისი ახალი ლექსები, პოემები, ახალი რომანი „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, რომელსაც მკითხველი სულ მალე გაეცნობა. მწერალი თავისი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ასაკშია. ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი იმ დიდ სარბიელზე, რომელიც განათებულია სამშობლოს სიყვარულისა და ხალხისადმი მსახურების კეთილშობილური მიზნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

# შ უ ა დ ღ ე

გრიგოლ აბაშიძეს აქვს ერთი უცნაური მოთხრობა — „შემოღამება ქვევრში“. ის მე გამოქვეყნებისთანავე წავიკითხე და დღემდე მიკვირს — რა განცდითაა დაწერილი, რა სულიერი გამოცდილების შედეგს უნდა წარმოადგენდეს ეს თავისებურად გააზრებული ფსიქოლოგიური ეტიუდი.

მისმა ავტორმა ხომ თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ტრიალ მინდორზე, ან ღია კარიბჭეთა შორის გაატარა. რა ქარი არ აჰრიალებდა მათ!

თავისი მოწოდებითა და ბედით ის იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც ხანგრძლივად არასოდეს დაუსვენიათ დიდი ხეების ჩრდილქვეშ, არც „ქურში მსხდარან“ და არც ბუხრის წინ უთვლიათ კრიალოსანი.

მათ ყოველთვის დიდი გზები უხმობდნენ — შორეული სადგურები, აეროპორტები, ხალხით სავსე დარბაზები, ტრიბუნები, ბიბლიოთეკები, მრგვალი მაგიდები, ხოლო ყველაზე მეტად ის სივრცე, რომელიც ამ გზებგამოვლილი მწერლის სამუშაო ოთახში იხსნება.

გრიგოლ აბაშიძე პირადად ოცდაათი წლის წინათ გავიცანი. მახსოვს მისი ცხოვრების ყველაზე თბილი ქარი, თბილისის ტროტუარებზე საღამოხანს ახლადამწვანებული ჭადრების ჩრდილებს რომ უშლიდა ფეხქვეშ მას და მის მშვენიერ საცოლეს.

ის ყველაზე ახალგაზრდა იყო ჩემს ნაცნობ ქართველ მწერლებში.

იმ დროს ქართული ოჯახები — დიდი და პატარა — ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჩვენს ოჯახში ამას, სხვათაშორის, ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ განცალკევების საშუალება, უბრალოდ, არ იყო.

ამიტომ მოხდა, რომ პატარაობიდანვე ბევრი საინტერესო შეხვედრის და „სერობის“ მონაწილე გავხდი.

ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, შალვა აფხაიძე, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია... მათი ხმები სამუდამოდ ჩარჩენილია ერთი პატარა ოთახის კედლებშუა, ჭავჭავაძის ქ. № 12-ში.

ესეც არსებითად ერთი ოჯახი იყო.

და, აი, ამ ფონზე მოულოდნელად გამოჩნდა სრულიად ახალგაზრდა, არავის მსგავსი, მუდამ ნაპერწკლიანი სიტყვისთვის, სხარტი აზრისათვის შემართული, გაღამდები ხალისითა და ენერგიით სავსე პიროვნება, რომელსაც მასზე მთელი ლიტერატურული ეპოქით უფროსი მწერლებიც კი ტოლივით ეპყრობოდნენ.

ჩემი პირველი მოხსენების (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — მიუხედავად იმისა, რომ დისკუსია პიონერთა სასახლის დარბაზში ჩატარდა) თემა გრიგოლ აბაშიძის პოემა იყო — „ძლევის ქედი“.

მოხსენების შინაარსს ახლა ვერ ვიგონებ (მგონი, საკმაოდ მოვაწყინე საზოგადოება არისტოტელესა და ლესინგის ციტატებით), მახსოვს მხოლოდ, რომ მამაჩემის კოსტიუმი მეცვა, რის გამო ვცდილობდი, რაც შეიძლება, დინჯად და დაჯერებულად მელაპარაკა ტრიბუნიდან.

გრძელი ზამთრები იცოდა თბილისში იმ დროს. მაგრამ 1944 წელს ჰაერი მოახლოებული გამარჯვებისა და მშვიდობის წინაგრძნობით იყო გამთბარი.

ომის დამთავრებამ უფრო ცხადი გახადა ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლის ფასი.

ამ დროს დაიწერა „ზარზმის ზმანება“— გრ. აბაშიძის ყველაზე მწუხარე პოემა.

გადიოდა წლები და მის შემოქმედებას სიღრმე და მრავალფეროვნება ემატებოდა. ლირიკულ ციკლებში სულ უფრო მკაფიოდ ჩანდა დაფიქრების, მოვლენათა სიღრმეში შეღწევის მძაფრი სურვილი, ლექსმა თითქოს ვეღარ დაიტია ახალ ზრახვათა მასშტაბურობა...

როგორც მწერალი, ის მეორედ „ლაშარელაში“ დაიბადა. და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იყო არა დროებითი „გადახრა“, არამედ უაღრესად ფართო და მდიდარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი.

გ. აბაშიძემ თავისი ტრილოგიით დიდად შეუწყო ხელი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ახალი კონცეფციის დამკვიდრებას.

მთავარი და განსაკუთრებით ნაყოფიერი ამ ორიგინალურ თვალსაზრისში ჩემი აზრით, ის იყო, რომ მხატვრის ყურადღებამ დიდმნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი შინაარსის მოვლენებიდან უფრო ხაზგასმით და თვალნათლივ (ვიდრე კლასიკურ მწერლობაში) გადაინაცვლა მოქმედ პირთა შიდა სამყაროსაკენ, რის შედეგად წინაპართა სულიერი ცხოვრება მოახლოვდა, ფართო პლანით წარმოდგა ჩვენს თვალწინ და თანამედროვეობის ინტელექტუალურ ძვრებსა და ძიებებს დაუკავშირდა.

გრ. აბაშიძის შემოქმედებაში იმთავითვე იგრძნობოდა და უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა მწერლის ფართო თვალთახედვა, მისი მაძიებელი აზრის გეზი ჩვეულებრივ ითვალისწინებს ჩვენი დროის კულტურულ ინტერესთა და მოძრაობათა მიმართულებას.

როგორც ხელოვანი, ის იშვიათად ენდობა შიშველ შთაგონებას. თავისი მხატვრული სახეების ძირითად საშენ მასალად პირადი შთაბეჭდილებების, დაკვირვებებისა და ემოციების გარდა, ის შეგნებულად იყენებს იმ მრავალსაუკუნოვან სულიერ გამოცდილებასაც, რომელიც დღევანდელი საკაცობრიო კულტურის საყრდენი და საფუძველია.

ამის გამოა, რომ მისი მხატვრული აზროვნება იშვიათად იკეტება „შინნაზარდი“ უპერსპექტივო წარმოდგენების ჩარჩოში.

ფართო თვალთახედვის გამო ბევრი სხვაც შეიძლებოდა გვეთქვა, მაგრამ „მნათობის“ მკითხველთა ყურადღება დღეს ერთ გარემოებაზე მინდა გავამახვილო.

გრიგოლ აბაშიძეს აქვს ერთი, ჩვენში მეტად და მეტად იშვიათი თვისება — თავისი კოლეგებისადმი არამოჩვენებითი გულისხმიერების ნიჭი.

მან თითქმის ყოველთვის იცის, ვინ რითი სუნთქავს და სანიმუშო პატივისცემით ეპყრობა თანამოკალმეთა შრომას, მისთვის მხატვრულად უცხო, ან თუნდაც მიუღებელ ლიტერატურულ მოვლენებსაც კი, ერთი პირობით — თუ ამ უკანასკნელთ ნამდვილი კავშირი აქვთ ლიტერატურასთან.

ეს თვისება უაღრესად დასაფასებელია, კერძოდ, მაშინ, როცა მწერალი გარკვეული თვალსაზრისით სხვათა ლიტერატურული ბედ-იღბლის გამგებელიცაა. მხედველობაში მაქვს რედაქტორის მუშაობის სპეციფიკა.

გრიგოლ აბაშიძეს, როდესაც ის „მნათობს“ ხელმძღვანელობდა, იოტისოდენადაც არ გამოუვლენია სუბიექტური მიკერძოება საჟურნალო სტრატეგიის განხორციელებისას. ამ მხრივ იგი ამ ჟურნალის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი და განმამტკიცებელი იყო.

დიდად მოხარული ვარ, რომ სწორედ „მნათობის“ ფურცლებზე მომეცა საშუალება სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცო მას დიდი ცხოვრების შუადღე.

*ბესიკ ხარანაული*

# ჩემს მაგივრადაც, სხვების მაგივრადაც

გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, გრიგოლ აბაშიძეს სამოცი წელი შეუსრულდა. დღეს ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს მწერლის მიერ განვლილ დიდ გზას და არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ აღივსოს ამ ჭეშმარიტად უნივერსალური შემოქმედისადმი.

თითქმის მთელს მსოფლიოში დღეს ჩემი ხნის ლიტერატორს ახალგაზრდას ეძახიან; ამის გამო ხუმრობენ კიდევაც, მაგრამ ჩვენს გერონტოკრატიულ სამყაროში ყველაფერი უცვლელად რჩება. „ახალგაზრდობის“ საწინააღმდეგო თითქოს არავის არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ მშვენიერ სიტყვაში მისი არასათანადოდ წარმომთქმნელნი სხვა შინაარსს სდებენ. და თითქოს შექმნილი ვითარების საპასუხოდ, სხვადასხვა ქვეყნებში „ახალგაზრდებმა“ მემუარების წერას მოჰკიდეს ხელი. მეც რომ გამებედა და დამეწერა ჩემი უმნიშვნელო ცხოვრების თავგადასავალი, მერწმუნეთ, ერთი დიდი და, ჩემი აზრით, საინტერესო თავი ბატონ გრიგოლთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ თავში მე შევეცდებოდი დამეხატა ერთი ყველაზე უფრო საინტერესო პიროვნება და შემოქმედი, რომელიც კი მე ცხოვრებაში შემხვედრია.

მაგრამ ჩემს ნაცნობობას ბატონ გრიგოლთან წინ უძღვოდა გრიგოლ აბაშიძის პოეზიით გატაცება. გრ. აბაშიძემ ქართულ პოეზიაში ახალი და თავისებური ხმა დაამკვიდრა. — ფაქიზად ნახელავი, ნატიფი და დახვეწილი, აძალღებული და კლასიკურობით აღბეჭდილი ლექსებითა და პოემებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. გრ. აბაშიძის ისტორიული თუ თანამედროვეობის ამსახველი მოთხრობები და რომანები, მისი ესეები და ლიტერატურული წერილები მთელი ფაკულტეტია ახალგაზრდა მწერლისათვის და ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის. ბრწყინვალეა გრიგოლ აბაშიძის თარგმანები, მარტო იმის გახსენება რად ღირს რომ უნგრელი შანდორ პეტეფი მან ქართველ პოეტად აქცია.

კულტურას, დახვეწილობას, ირონიას — თვისებებს, რომლებსაც მე დიდ პატივს ვცემ ლიტერატურაში, ჩვენში პირველად გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებამ და პიროვნებამ მაზიარა. იშვიათია ჩვენს ლიტერატურაში კაცი, რომელსაც ასე ლამაზად შეეძლოს დაეჭვება და ასე ერთნაირად სწამდეს ტრადიციისაც და სიახლისაც. დიმიტრი შოსტაკოვიჩის სიტყვები — მე ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ყოველგვარი მუსიკა მიყვარსო, — შეიძლება გრიგოლ აბაშიძესაც ეკუთვნოდეს, თუ „მუსიკის“ ნაცვლად პოეზიას ვიტყოდით.

ბევრ ახლა უკვე ლიტერატურაში დაფუძნებულ ახალგაზრდას შემოუძღვა გრიგოლ აბაშიძე ქართულ მწერლობაში და მათ ახლა მადლიერებით ახსენდებათ ის მწვანე შუქი, რომელიც ბატონი გრიგოლის სარედაქტორო მოღვაწეობის წლებში ყოველივე ახლისა და ნიჭიერისათვის ენთო საქართველოში.

მადლობელი ვარ ჩემს მაგივრადაც, სხვების მაგივრადაც და დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით სიხარულს ვუსურვებ ბატონ გრიგოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# კრიტიკოსის ტვირთი და ვალი

„ხშირად ასეცაა, ადამიანი შეცდომათა ქარცეცხლში გავლით უფრო უახლოვდება თავის ჭეშმარიტ ბუნებას, ვიდრე ორთოდოქსული შეუცდომლობით".

ალბათ შეუძლებელია კრიტიკოსის დასახელება, რომლის შემოქმედებითი გზა ორთოდოქსული შეუცდომლობით იქნებოდა აღბეჭდილი. კრიტიკოსის მოწოდება გამორიცხავს თავისთავში ამის შესაძლებლობას. მაგრამ კრიტიკოსის ბიოგრაფიისათვის არც „შეცდომათა ქარცეცხლში" გავლაა სასურველი. მისი მოვალეობა გულისხმობს სწორედ რაც შეიძლება ნაკლებ შეცდომებს, ზუსტ დასკვნებს, შეცნობის ნიჭს...

აქ მოტანილი ციტატის ავტორს ვერ მივაკუთვნებთ ვერცერთ მხარეს, განსაკუთრებით ვერ დავწამებთ „შეცდომათა ქარცეცხლში" გავლას. ოტია პაჭკორიასათვის ჩვეული ხანგრძლივი განსჯა და იშვიათი სიფუნწე დასკვნების გამოტანისას გამორიცხავს „შეცდომათა ქარცეცხლს".

მაგრამ ამის თქმით სრულებითაც არ მინდა (და არც შეიძლება) ოტია პაჭკორია რაღაც საშუალო ფაზას მივაკუთვნო. მისი კრიტიკული წერილების არსებითი ნიშნებია თავისთავადობა და შინაგანი მთლიანობა. ამასთან, ოტია პაჭკორიას წერილებში თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის დონე ირეკლება თავისი ღირსებითა და ნაკლით, ირეკლება ის უარყოფითი ფაქტორები, ან დამოკიდებულება იმ ფაქტორებთან, რომლებიც თავისთავად ალებულნი სრულებითაც არ არიან იოლად გვერდისასავლელი; ისეთი გაქვავებული ნიშანსვეტები, რომელთა წრეში მდგომს შეეძლოს აკეთოს ის, რის გაკეთებასაც საკუთარი პიროვნული ხასიათი, ლიტერატურული პრინციპები და შემოქმედებითი მიზნები კარნახობს. პირიქით, ეს არსებითი ფაქტორები (უმეტესწილად უარყოფითი ხასიათისა) განსაზღვრავს ქართული კრიტიკის და, აქედან გამომდინარე, ლიტერატურული ცხოვრების ატმოსფეროსაც, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს ხასიათზეც, ლიტერატურულ პრინციპებზეც და შემოქმედებით მიზნებზეც. ამ არაჯანსაღ კრიტიკულ ატმოსფეროზე ცოტახნის წინათ დიდი მასშტაბის დისკუსია გაიმართა; ერთბაშად ქართული კრიტიკის უამრავმა ნაკლმა იჩინა თავი. მეტად კატეგორიული დასკვნებიც გაისმა ხმამაღლა (ქართული კრიტიკა არ არსებობს! — ბევრმა ოფიციალურად განაცხადა პრესაში ეს აზრი). ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, უმართებულოც, მაგრამ ამჯერად ამაზე არ ვდაობ. მთავარ სიმართლეს ვერსად გავექცევით — ქართული სალიტერატურო კრიტიკა მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. ფაქტია, რომ არ გვაკმაყოფილებს მისი კვლევის მეთოდები და ხერხები, პრინციპულობის კრიტერიუმის დაკარგვა, ტენდენციურობა, სუბიექტივიზმი, ანგარიშსწორების ვნებათაღელვა და სხვ. ყოველივე ეს ერთიანობაში ქმნის მძიმე მდგომარეობას და განაპირობებს იმ უნდობლობასაც, რასაც იჩენენ კრიტიკისადმი.

ჭეშმარიტი კრიტიკოსები ქართულ მწერლობაში აქამდეც იყვნენ და ახლაც მოღვაწეობენ, კარგი წერილები აქამდეც იწერებოდა და ახლაც იწერება. მაგრამ ჯანსაღი ამინდის შესაქმნელად, როგორც ვხედავთ, ეს არ კმაროდა. კრიტიკაში არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი დღესაც, როდესაც თითქოს წინ გადადგმულ ნაბიჯებს ვაღიარებთ. ეს არაჯან-

სალი ამინდი არის სწორედ ის წიაღი, რომელთან შეხების გარეშეც ქართველი კრიტიკოსი ერთხელაც ვერ მოუსვამს კალამს ქაღალდზე. იგი ზემოქმედებს მაშინაც, როდესაც, შინაგანად მასთან დაპირისპირებული, ვცდილობთ ობიექტური აზრის გამოტანას.

ოტია პაჭკორია, უფროსი და საშუალო თაობის რამდენიმე, თითებზე ჩამოსათვლელ წარმომადგენელთან ერთად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის დონის განმსაზღვრელია. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი არ უნდა იყოს. თუმცა ეს დონე (რომელშიც ღირსებას ვგულისხმობ), აქამდე ვერ იჭერს არსებით ადგილს, რადგან რაოდენობრივი სიმძლავრე ფსევდოკრიტიკისა ჯერ კიდევ გამოდის კრიტიკის სახელით და დონესაც მის მიხედვით აფასებენ.

არაჯანსაღი კრიტიკული ატმოსფეროს ზემოქმედებას ოტია პაჭკორიაც ისევე განიცდის ყოველი კალმის მოსმისას, როგორც სხვა დანარჩენი ქართველი კრიტიკოსი. ამ ატმოსფეროს სიმძიმის კვალი მის წერილებშიც ჩანს. მის წერილებთან დაკავშირებით ბევრ საწუხარზე შეიძლება ლაპარაკი.

ჩემი წერილი ამიტომაც ორ ნაწილად მინდა გავყო. პირველ ნაწილში „დრო და სახელების“ ავტორის ნიჭიერების არა ერთ გამონათებაზე უნდა ითქვას. წერილები, რომლებშიც ეს ნიჭიერება გამოვლინდა, ქართული სალიტერატურო კრიტიკის მაღალ დონესაც გულისხმობს და ბოლომდე გაუცხადებელ პოტენციალზეც მიანიშნებს. მეორე ნაწილში იმ წინააღმდეგობას მინდა შევეხო, რასაც ე. წ. ლიტერატურული ატმოსფეროს ზემოქმედება, დაწოლა წარმოშობს ყოველ კრიტიკოსში და აქედან გამომდინარე განზოგადებულ წინააღმდეგობად გვევლინება.

1.

ლიტერატურულ პორტრეტებს კარგი ტრადიცია აქვს ქართულ მწერლობაში, ლიტერატურული პორტრეტის კარგი შესრულება სულიერი კულტურის სიმაღლეზე მეტყველებს. პორტრეტში თვალნათლივ მჟღავნდება პიროვნებისა და მისი შემოქმედების მთლიანობაში შეცნობის უნარი. ამ შემთხვევაში მეცნიერული დაკვირვება შეიძლება ფრთამოტეხილ ფრინველს დაემსგავსოს, მას უნდა ახლდეს ფანტაზია, თანაც არა სტიქიური (სტიქიური ბუნების ფანტაზიასაც გამოყოფენ, რაც არ შეიძლება არ ვაღიაროთ); კანონზომიერებებით განსაზღვრული ფანტაზიაა აუცილებელი. ფანტაზიის ინტუიტური ბუნება ბოლომდე შეუმცდარად ავლენს ხაზებს. ასეთი სასურველი კულტურა გამჟღავნდა ოტია პაჭკორიას სამ ლიტერატურულ პორტრეტში: „ნოდარ ჩხეიძე“, „გურამ რჩეულიშვილი“ და „გიორგი შატბერაშვილი“.

ნოდარ ჩხეიძის, როგორც კრიტიკოსის, დამსახურებას თავისივე თაობისა და ქართული ლიტერატურის წინაშე მოკლე, მაგრამ ამომწურავი დახასიათება მისცა კობა იმედაშვილმა. მას ლიტერატურული პორტრეტი არ დაუხატავს. ნოდარ ჩხეიძის პიროვნებისა და კრიტიკული ნააზრევის მთლიანობაში წარმოდგენა ოტია პაჭკორიამ დაისახა მიზნად. როდესაც ოტია პაჭკორიას კრიტიკულ წერილებზე მოგვიხდება საუბარი, საგანგებოდ უნდა შევეხოთ იმ ანალიტიკურ აზროვნებას, რომელსაც ავტორი ფართო გასაქანს აძლევს. ამ ანალიზს, მიმართულს ნოდარ ჩხეიძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, ოტია პაჭკორია ბელეტრისტის მდიდარ ფანტაზიას უხამებს და უზუსტესი ხაზებით გამოკვეთს უდროოდ წასული კრიტიკოსის შინაგან ბუნებასაც და მის ლიტერატურულ პრინციპებსაც. მინდა რამდენიმე ადგილი მოვიტანო არა საილუსტრაციოდ, არამედ უფრო იმისთვის, რომ მკითხველს მივანიშნო არსებითი მნიშვნელობის აზრებზე. მხატვრული ნაწარმოებიდან ციტატის მოტანას უმეტესწილად მართლაც აქვს ილუსტრაციის დანიშნულება, კრიტიკოსის ციტატის მოტანას მისი დამოკიდებულების ჩვენებაც ახლავს მიზნად და მისი ძირითადი აზრებისა და კონცეფციების ნათელყოფაც:

„მას აღიზიანებდა სიტყვა „ავტორიტეტი“ და თვითვე, ფეხის ყოველ გადადგმაზე ქმნიდა ახალ ლიტერატურულ ავტორიტეტებს, მერე, ცოტა არ იყოს, გაოცებული შესცქეროდა ამ თავის „შექმნილებს“ და, ალბათ, მარტოდ დარჩენილი ირონიულადაც აღიმებოდა“.

ან

„ნოდარ ჩხეიძე უფრო ორატორი იყო, ვიდრე ლიტერატურის მემატიანე. ყოველ შემთხვევაში, იგი მხოლოდ ახალ, მოქმედ ფორმებს ეძებდა. მოსწონდა დახვეწილი არტისტიზმი, თუმცა ცოტა ეჭვითაც ეკიდებოდა მეტად „მხატვრული თხრობის პლებეურ უნარს“. ენდობოდა ნიადაგთან, ფესვებთან დაკავშირებულ მოუღლელსა და შეურყვნელ შემოქმედებით ენერგიას. იგი არც თავად ესწრაფოდა მოჩვენებით სრულყოფას და არც სხვასთან ურიგდებოდა მოჩვენებითს, ხელოვნურსა და შეძენილს; ერთი სიტყვით იმას, რასაც თვითვე „ლიტერატურულ სნობიზმს“ უწოდებდა“.

და ბოლოს, ამ შემთხვევაში ნიმუში იმისა, როგორ იჭრება მკაცრ ანალიზში ფანტაზია და როგორ წარმოგვიდგება ნოდარ ჩხეიძის პიროვნება:

„...მე იშვიათად მინახავს პროფესიონალი მწერალი, ვისთვისაც მწერლობა ისეთი რელიგიური სრულქმნილების, მოწამებრივი ულალატობის ტაძარი ყოფილიყო, როგორც მისთვის, და იგი ამ ტაძრის უცნაური მსახური იყო. მას არ გააჩნდა სიდარბაისლე და პრელატის დახვე-

ეროვნული

წილი მანერები. პირიქით, ზოგჯერ ამბიონთან ცხენდაცხენ მიჭრილ მომთაბარეს ჰგავდა და გუმბათში ისრების შერჭობას ლამობდა".

ადრე წასულ კაცს მისი თანამედროვენი და არათანამედროვენიც ხშირად გადაჭარბებულს მიაწერენ. თითქოს იმედების დიდი ნაწილი იმქვეყნად წასულს გაჰყვა თან. ამის მიზეზი უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორია — ადამიანები ნაკლებად ვენდობით ჩვენს გვერდით მოქმედ ნიჭს, ნაკლებ გვჯერა მისი, ნაკლებს მოველით; ადრე წასული კაცი კი, ჩვენი რწმენით, რაღაც განსაკუთრებულს შექმნიდა, (ის სულ სხვა იყო!). ბუნებრივია, ასეთ მოლოდინში უსაფუძვლო არა არის რა. უნიჭოს არავინ არაფერს არ მიაწერს, არც ცოცხალს და, მით უმეტეს, არც გარდაცვლილს. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ადრე წასულ ნიჭიერ შემოქმედთაგან ბევრს ვერ შეექმნა თვისობრივად იმაზე მეტი, რაც დარჩა, ბევრიც შეიძლება უფრო დაბლა დაშვებულიყო და მხოლოდ თითო-ოროლას გაემართლებინა ხაწილობრივ მაინც ის იმედები, რომელიც მათ გარდაცვალების შემდეგ ასე უხვად მივაწერეთ. გურამ რჩეულიშვილი მე პირადად ამ უკანასკნელთა რიგებში მეგულება. როგორც მასზე დაწერილი მოგონებიდან და, პირველ რიგში, თვით მწერლის მხატვრული პროდუქციის ქსოვილში ჩანს, მისი ნიჭი აღმავალი ხასიათის იყო. ამ თვისებაზე დაკვირვება ხდის გ. რჩეულიშვილის შესაძლებლობას სარწმუნოდ, თორემ მოგონებათა ციკლმა მის პიროვნებას იმდენი რამ მიაწერა, რომ მკითხველი ზოგჯერ შეიძლება მართლაც დაეჭვდეს. იქნებ ამიტომაც დაჭირდა ოტია პაჭკორიას დაპირისპირებოდა არტისტულს „ალავერდობის" ავტორზე მოგონებებში. პათეტიკა არც ოტია პაჭკორიას ლიტერატურული პორტრეტებისათვის არის უცხო, მაგრამ კრიტიკოსში იმდენად ძლიერია თვისება სხვისი უპირატესობის აღიარებისა, რომ პათეტიკა ოდნავი სიყალბის შთაბეჭდილებასაც არ ტოვებს, არც სხვისი უპირატესობის აღიარება ამცირებს ამ სიტყვების დამწერს: „ჩვენი იშვიათად ვხვდებოდით, ზოგჯერ გავურბოდი კიდეც, რადგან უფრო და უფრო ხშირად მეუფლებოდა ძლეულის გრძნობა. რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილის მწერლურ პოტენციას, მასზე ოტია პაჭკორიას მიერ დახატულმა პორტრეტმა უფრო მეტი მითხრა, ვიდრე წრეგადასულმა წუხილმა დაღუპულ ტალანტზე, კერძოდ ამ ადგილმა:

„იგი იმათგანი იყო, ვისაც ყოველთვის გრძნობ. წამოგეწევა გზაზე და ინაბები, თითქოს დგახარ ზურგით ზღვისაკენ და შენს უკან დაბადებული ტალღის მოსვლას ელი. მოვა, შემოგერტყმება გარს და ზოგჯერ გალიზიანებით ამჩნევ: ტალღა გიტაცებს, საკუთარ ფეხებზე კი აღარ დგახარ, მის ნებას ემორჩილები, ხანდახან ხდები უმნიშვნელოც კი და ჩვეულებრივი ადამიანური ეგოიზმი გიბიძგებს, ეძიო მასში რაიმე სუსტი, რაიმე გაუმართლებელი. იგი კი ამის საბაბს უხვად იძლევა, ყოველ ნაბიჯზე არღვევს ეთიკის ნორმებს, შფოთავს, ხმაურობს, აღიზიანებს შენს სმენას და შეფარული დაცინვით შემოგცქერის თვალებში, თავისი თაფლისფერი, ხალიანი თვალებით".

„ადამიანური ეგოიზმი" აქ არაფერ შუაშია, მთავარია, კრიტიკოსის მინიშნება, რომ სისუსტის გარეშე არ არსებობს ადამიანის პიროვნება და არც ნიჭი, რომ გურამ რჩეულიშვილის დაფასება (და შეფასებაც) „სუსტისა და გაუმართლებლის" გარეშე სწორედ უდროოდ დასამარებას ნიშნავს მწერლისას. ჩვენი დრო საკმაოდ მკაცრია ლეგენდების მიმართ. გურამ რჩეულიშვილის ნიჭიერების ფაქტი ზემოთ მოტანილი ანალიზით უფრო დასტურდება... მიწერილი არტისტული ნიშნებით კი ის სადღაც გაურკვეველ ბურუსში იძირება. პორტრეტი უაღრესი დაძაბვით არის შესრულებული და თუმცა ოტია პაჭკორია „ადრე დაღუპული შემოქმედის სახეს" ეძებდა, მისი ლიტერატურული პროფილიც ზუსტად მოხაზა.

შედარებით ფრაგმენტულია გიორგი შატბერაშვილის პორტრეტი, იქნებ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში პიროვნების ხასიათი წინა პლანზეა წამოწეული, ხოლო გიორგი შატბერაშვილი-მწერალი მკრთალად არის წარმოსახული, მაგრამ რამდენადაც ზემოთ დახასიათებულ პორტრეტებში კრიტიკოსი სრულყოფას პიროვნებისა და მისი ლიტერატურული პროფილის შეზავებით აღწევს, ამდენად ბუნებრივი არის ნაკლოვანების განცდაც. პიროვნების ხასიათი კი სიტყვის მომჭირნეობით არის დახატული. ზოგჯერ სიტყვის ტევადობა იმდენად დიდია, ამოსაცნობის სირთულეს იძენს იგი: „საოცარი იყო ქართული სიტყვის ულრმესი შრეებიდან დაძრული მარადი წარმოდგენების თვისობრივი განახლება; მისი ნიჭის გახალისებულ წახნაგზე აკიაფებული ზმირინის წვეთი".

* * *

სხვა წერილებში ოტია პაჭკორია თითქოს გზას უხშობს მხატვრულ თვალთახედვას და მთლიანად ანალიტიკოსის როლში დგება. იგი ცალკე წერილად არ გვთავაზობს თეორიული ხასიათის მოსაზრებებს, მხოლოდ „დრო და სახელების" წინათქმაში გვხვდება რამდენიმე განზოგადებული დასკვნა. თუმცა კონკრეტულ ნაწარმოებებზე მსჯელობისას გამოთქმული მოსაზრებები მაინც გარკვეულად მიანიშნებს კრიტიკოსის მსოფლმხედველობაზე, ლიტერატურულ პრინციპებზე და პოზიციაზეც.

ოტია პაჭკორია ძირითადად პროზაზე წერს, მისი შეხედულებანიც (ზოგად-თეორიული ხასიათის) პროზის საკითხებს მოიცავს.

მცირე ექსკურსია სახით: ქართული სალიტერატურო კრიტიკის უხუცესი წარმომადგენ-

ლებიდან დაწყებული, დამთავრებული მისი ახალბედებით, ყველა რატომღაც ვილაც სხვას უთმობს ლიტერატურის სასიცოცხლო პროცესებზე მსჯელობას, ვილაც სხვისგან მოელის გადამწყვეტ სიტყვას. თითქოს ღვთისგან ხელდასმული მოაზროვნე უნდა გამოეცხადოს ქართულ ლიტერატურას და მან თქვას პირველი და ბოლო სიტყვა, პასუხი გასცეს მთავარ კითხვებს და თანაც ისეთი პასუხი, რომელიც ყველასთვის მისაღებიც იქნება და შეუვალიც. ეს, სამწუხაროდ, კანონზომიერებად მოვლენილი ინერტულობის გამოხატულებაა. მაშინ, როდესაც ქართულ კრიტიკას, მიუხედავად სკეპტიკოსთა უარყოფითი აზრისა, მაინც ამაგრებს რამდენიმე კრიტიკოსის სახელი თითქმის ყველა თაობიდან. მათ შეუძლიათ ლიტერატურის სასიცოცხლო პროცესებზე საფუძვლიან აზრთა შეერთების შედეგად გამოტანილი დასკვნები უთხრან საზოგადოებას, ამ პროცესების მიმართულება განსაზღვრონ და ცალკე შემთხვევაში წარმართონ კიდეც. ამ სახელებს შორის ერთ-ერთ სანდო სახელად ოტია პაჭკორია ითვლება და პროზის უძირითადეს საკითხებზე დაკვირვება და მსჯელობა მას თავის შინაგან მოთხოვნილებად, სულიერ ცხოვრებად უნდა მიაჩნდეს. შინაგანად ეს ასეც არის. მაგრამ პრაქტიკულად იგი ნაწილობრივ გამოიხატა. მისი, როგორც კრიტიკოსის, შრომა ყოველმხრივ და მთელი სიღრმით უნდა გაიშალოს. ამას თვითონაც კარგად გრძნობს ოტია პაჭკორია. მაგრამ ამ გრძნობას ნაკლებ პასუხობს. ექსკურსიც მისმა შემდეგმა სიტყვებმა გამაკეთებინა:

„...რამდენად არის დღევანდელი პროზა წინაისხებულთან უშუალოდ, განუწყვეტლად დაკავშირებული? რამდენად იგრძნობა პირდაპირი ზემოქმედება ან გავლენა? საქმე ისაა, რომ ასეთი უშუალო თანმიმდევრობის, განუწყვეტლობის მითითება არც ისე იოლია, თუნდაც იმის გამო, რომ არსებობდა გარკვეული ინერტული შუალედი. ყოველივე ეს განსაკუთრებული კვლევის სფეროა. საკმარისი როდია ცალკეული ნაწარმოების ანალიტური შესწავლა, საჭიროა ტიპოლოგიური ჯგუფების გამოყოფა, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, სტრუქტურაზე ფიქრი. საამისოდ ჯერ ვერავინ მოიცალა. იქნებ ამის გამოა, რომ დღევანდელი პროზა თავისივე თავში ეძიებს ტრადიციების გაგრძელების, შინაგანი ეკლექტურობის ორგანიზებისა და მოწესრიგების გზებს".

პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ოტია პაჭკორიას თითქმის ყველა წერილი სასურველ დონეზეა, მაგრამ მაინც შეიძლება რამდენიმეს გამოყოფა, რადგან იმ რამდენიმეს თან გაჰყვა კრიტიკოსის მეტი სიყვარული, მეტი მონდომება და აქედან გამომდინარე — სრულყოფაც.

„შუადღის ილუზიები" თამაზ ჭილაძის მოთხრობების კრებულს ეხება. წერილმა ობიექტურობით, პატიოსნებით, გაუბზარავი შეუვალობით იმდენი ენერგია გამოამჟღავნა, რომ თანდათანობით მიაღწია ყველაზე სასურველ შედეგს. მან მწერალში, ვისაც ეს წერილი ეხებოდა, თავისი დამაჯერებლობით გადალახა უარყოფის გრძნობა, რომელიც ყოველ შემოქმედში ღვივდება უსათუოდ, თუნდაც სამართლიანი კრიტიკის მოსმენისას. კრიტიკულ აზრთან დაპირისპირების ვნება, მწერალში თვითანალიზმა შეცვალა, ანალიზი აღიარებამ და კრიტიკოსისადმი მადლიერების გრძნობამ. არაფერი მოჩვენებითი არ ყოფილა თამაზ ჭილაძის გულახდილობაში, რომლითაც მან ალმანახ „კრიტიკაში" გამოამჟღავნა ოტია პაჭკორიას წერილთან თავისი დამოკიდებულება. კრიტიკოსის წერილმა მიაღწია მიზანს — იგი თანამდგომად ცნო მწერალმა.

ოტია პაჭკორიას წერილში მართლაც მხოლოდ ერთი ფრაზაა, რომელიც თამაზ ჭილაძის სასარგებლოდ რაიმეს ამბობს. დანარჩენი უარყოფითი შეფასებაა. ამ წერილის გამარჯვებას თავისი საიდუმლო აქვს. მასში ყველაფერია გათვალისწინებული საიმისოდ, რომ მწერალში კრიტიკის უარყოფის გრძნობა გადაილახოს. სიმართლისათვის თვალის გასწორების აუცილებლობა ისეა ახსნილი, რომ გონიერი მწერალი ვერ წაუყრუებს ამ აუცილებლობას; ანალიზი ისეა წარმართული, რომ სიმკაცრე სიზუსტის თვისებად ივარაუდება, მოთხრობები ისეთ ფართო პლანშია განხილული, რა ფართო პლანის გათვალისწინებითაც ისინი დაიწერა (ამით კუთვნილი დაფასება იმთავითვე მიეგო ავტორს). ამდენად ანალიზი, ბუნებრივია, სწორ გზაზე დადგა, ასე რომ, სხვაგვარი დასკვნების შემთხვევაში ალბათ ავტორი თვითვე დაიჭერდა სიყალბეში კრიტიკოსს. ნებისმიერი აბზაცი გამოდგება ობიექტურობის არგუმენტად: „ხშირად გრძნობთ, რომ ავტორს რთული და მნიშვნელოვანი ჩაუფიქრებია. მას აქვს გარკვეული შეხედულებები, სურვილები, რომლებიც თეზისებად ჩამოყალიბებული საინტერესოა; მათში ფაქტის ცოდნაცაა, აზრიც, განწყობაც, შესაძლოა ზოგჯერ ეს ცოდნა მწიგნობრულია, მაგრამ იგი მაინც ლიტერატურული ძიებაა, რომლის საფუძვლიანი თვითგამოხატვისა და ობიექტური ასახვის დიდი სურვილია; მაგრამ დაწერს და მხატვრულად განხორციელებული ჩანაფიქრი უმნიშვნელო ხდება. ვფიქრობთ, რომ მკითხველს არაერთგზის განჩენია ამ უმნიშვნელობის გრძნობა, როცა პრობლემა, ფსიქოლოგიური წიაღსვლები, რომელიმე დეტალი მოულოდნელად კნინდება, პატარავდება და ბუნდოვანდება, იცვლის ხასიათს და გაცრუებული იმედივითაა". ეს მხოლოდ ზოგადი დაკვირვება არ არის. ოტია პაჭკორია ნაწარმოების სტრუქტურის და მათი შინაგანი მთლიანობის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე უფრო აზუსტებს და დამაჯერებელს ხდის ამ აზრს. თანაც ეს კეთდება ისე, რომ

ერთი წამითაც არ „კნინდება“ (კრიტიკოსის საუცხოო გამოთქმაა) თამაზ ჭილაძის, როგორც მწერლის შესაძლებლობა, მხოლოდ მტკიცდება, რომ ეს შესაძლებლობა ამ კერძო შემთხვევაში ვერ გამოვლინდა. ნაწარმოების სტრუქტურაზე (მისი რთული მიზანდასახულობის გამო) კრიტიკოსის გულდასმითი საუბარი გულისხმობს მწერლისადმი უაღრესად ფაქიზ დამოკიდებულებასაც და პატივისცემასაც, ნიჭისადმი ნდობასაც. აღნიშნული წერილი სხვა ღირსებებითაც გვევლინება თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის საუკეთესო დონის ნიმუშად, მისი პოტენციის საბუთად.

ოტია პაჭკორია ამ წერილში შეუვალი, უტენდენციო კრიტიკოსია. იგი არა მარტო ერთი მწერლის, მთელი თაობის მისამართით ინარჩუნებს სწორ პოზიციას.

კრიტიკოსი კატეგორიულად აცხადებს, რომ თაობათა შორის არავითარი აშკარა დაპირისპირება არ შეიძლება არსებობდეს; დაპირისპირების ილუზია შექმნა იმან, რომ „თვისობრივი სიახლეების ძიება პრინციპული საფუძვლების რღვევად მივიჩნიეთ“... თვისობრივი სიახლეების ძიება კი ბევრმა მართლაც ახსნა უფროსი თაობებთან ახალი თაობის დაპირისპირების ფაქტორად. დრომ დაამტკიცა, რომ თვისობრივი სიახლეების ძიება ლიტერატურას სჭირდებოდა ყოველთვის და ჭირდება ახლაც. რაც შეეხება თავის თაობასთან დამოკიდებულებას, ოტია პაჭკორია აქაც რჩება ჭეშმარიტი აზრის მხარეზე და მხოლოდღა იმას მიუზღავს თავის თაობას, რისი ღირსიც ის სინამდვილეში არის:

„შესაძლოა ჩვენი თაობა გარდამავალი ლიტერატურული თაობაც კი იყოს, რომელიც ახალ გამომხატველობითს ფორმებსა და თვისობრიობას ეძებს, მისი როლი ძნელი და ნაკლებ ეფექტურიც იყოს, რადგან იგი ამზადებს ნიადაგს, და ჩვენ მოგვიხდეს ზოგი პროცესის დაცვა იმდენად, რამდენადაც მასში პერსპექტიული ზრდის შესაძლებლობას ვხედავდეთ. მაშინ, მით უმეტეს, გულახდილად უნდა გამოითქვას აზრი, რადგან ხშირად „ახალი პროზის“ თეორიული აღიარება ჰქმნის ერთგვარ საფარველს, რომლის მიღმაც იქმნება ლიტერატურული ილუზიები, როცა „ბანალობის შიში გვავიწყებს უბრალოებას“, როცა ზოგადად ვიცით, რა პრინციპებით იწერება თანამედროვე პროზა, მაგრამ ამ ცოდნასთან ორგანული, ემოციური კონტაქტი არ გვაქვს“.

ოტია პაჭკორიას წერილებში ადვილშესამჩნევია ერთი თვისება: ნაწარმოების ანალიზი (ზოგჯერ კრიტიკული, ზოგჯერ წმინდა ლიტერატურული), მართალია, არსებითია მათი ავტორისათვის, მაგრამ არანაკლებ არსებითია მისთვის ნაწარმოებთან, მწერალთან საკუთარი დამოკიდებულების ფარული ანალიზიც. ეს დამოკიდებულება ჩვეულებრივ ივარაუდება თვით ნაწარმოების ანალიზში, მაგრამ ოტია პაჭკორია არ სჯერდება ამ ფაზას. იგი ხშირად საკუთარ დამოკიდებულებას ცალკე განხილვის საგნად აქცევს. ამით ამძაფრებს და აღრმავებს საერთო ანალიზს. ეს მტკიცდება არჩეული თემების, ნაწარმოებების და მათი ავტორების გათვალისწინებით. თავის წიგნებში ოტია პაჭკორიას არ შეუტანია წერილი ისეთ ავტორზე, რომელიც რაიმე ნიშნით საყურადღებო და ანგარიშგასაწევი არ იყოს. მაგრამ ეს როდია მიზეზი მისი ნაკლებ პროდუქტიულობის. თუ მწერლური ნაყოფიერება მისი ხასიათის თვისება იქნებოდა, იგი იპოვიდა თემებს თავისი წერილების საგნად. თვითვე აღიარებს, რომ ასეთი დაუმუშავებელი თემები უამრავია. მაშასადამე, მის დამოკიდებულებას არჩეული ნაწარმოებისადმი უკვე საკუთარი პოზიციაც ახლავს, რომლის უკან ფარული პრინციპულობა იგულისხმება. სხვა საკითხია ამ პრინციპულობის მოქმედების სიცხოველე (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ თავისთავად მისი არსებობის ფაქტი არ შეიძლება სადაო იყოს. ოტია პაჭკორიას წერილებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მისთვის ღირებული ნაწარმოები და მწერლის პოტენციაა მთავარი, რომელსაც უნდა უპასუხო და რომლისადმი შენი დამოკიდებულებაც უნდა გამოხატო. როდესაც კრიტიკოსი მიზნად ისახავდა ოთარ გობრონიძის მოთხრობების განხილვას, მისთვის ფასეული იყო ამ მწერლის დიდი სურვილი ღრმა ფსიქოლოგიური მოვლენების გამოხატვისა. ეს არჩევანი საერთოდ არის საინტერესო, რადგან ხშირად ირღვევა პროპორცია მიზანსა და იმ შესაძლებლობას შორის, რომელიც ამ მიზნის განხორციელებისათვის არის საჭირო. თემისა და პრობლემის სერიოზულობის ქვეშ ხშირად „იფარება“ ნამდვილი შესაძლებლობა და იმარხება საკუთარი მოწოდება. მაგრამ ნაწარმოებში ხომ არც ისე ძნელი დასანახია, აზიდა ტვირთი თუ ამ ტვირთის ქვეშ მოექცა ავტორი. ოტია პაჭკორია შენიშნავს (და არა მარტო ოთარ გობრონიძის მისამართით): „თუ ოთახი მორთულია ლუი XV სტილის ავეჯით, ოთახში აუცილებლად უნდა ცხოვრობდეს კაცი, რომელიც თავისი ქცევით, ფიქრით, ჩვევებით ავეჯს ხასიათს მისცემს, მაშინ თვით ავეჯიც ხაზს გაუსვამს და გამოამზეურებს პერსონაჟის ხასიათს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. როცა კაცი ლაინერით დაფრინავს, მისი მეგობარი ქალი რეაქტორზე მუშაობს, ხოლო თვით იგი გარემოს გეომეტრიულ ფორმებით აღიქვამს, მაშინ მის აზროვნებასა და ხასიათს უნდა ჰქონდეს ის თვისებები, რაც დროისა და გარემოს თვისებას და ხასიათს ასახავს“.

* * *

ოტია პაჭკორიას, როგორც კრიტიკოსს, მთელი რიგი ღირსებებისაგან ცალკე უნდა გა-

მოვყოთ პირველშემფასებლის ნიჭი და უნარი. ერთი შეხედვით თითქოს არც ისე საგანგებო აღნიშვნის ღირსია ეს თვისება, იგი უნდა ივარაუდებოდეს კრიტიკოსის ბუნებაში, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ ბევრჯერ დაგვარწმუნა, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა, აქვე იმის თქმაც აუცილებელია, რომ ოტია პაჭკორიას მოსაზრებანი ზოგიერთ ნაწარმოებზე, თუნდაც იგი გვიან იყოს გამოთქმული, პირველშემფასებლის ღირსებას იძენს, რადგან მათში სწორად და, ამდენად ფაქტიურად, პირველად არის დანახული ის, რითაც ესა თუ ის ნაწარმოები ფასობს ჩვენს მწერლობაში.

სულ ხუთიოდე წლის წინათ გამოჩნდა ქართულ ლიტერატურაში ახალი სახელი — გივი მაღულარია. მოვიდა უჩვეულო თვალთახედვის, ფართო ჰორიზონტის მწერალი, მაგრამ ბევრის თვალში იგი მაინც ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა (ეს შთაბეჭდილება საბოლოოდ შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს გამქრალი). ამ დროს გამოქვეყნდა ოტია პაჭკორიას წერილი. აქ კიდევ ერთხელ დამტკიცდა კრიტიკოსის თავისთავადობა. იგი ლიტერატურულ ფაქტზე მსჯელობით გვარწმუნებს, რომ ხალხის წინაშე ახალგაზრდა მწერალი კი არა, ასპარეზობაზე დაგვიანებული ოსტატი წარდგა. ეს ჩანს თვით გივი მაღულარიას მოთხრობების კრიტიკოსისეულ ანალ..ზში, ანალიზის ხასიათში.

წერილში, რომელიც გივი მაღულარიას შეეხება, უშელავათო საუბარია ოსტატზე და არა მიმტევებელი შენიშვნები ახალბედაზე. ერთი წამითაც ვერ იგრძნობთ აღფრთოვანებას, თუმცა კრიტიკოსი მიგვანიშნებს, რომ აღფრთოვანების რეალური საფუძველი არსებობს. ვერ იგრძნობთ ავტორიტეტებისადმი მოკრძალებულობის გამო ახალი სახელის შემწყნარებელ დახასიათებას. ოტია პაჭკორიას წერილებში იშვიათად თუ გაკრთება ასეთი ტენდენცია, მისთვის არსებობს მხოლოდ ლიტერატურული ფაქტი. მწერლის დამსახურება მისთვის ნაწარმოებშივე იწყება და აქვე მთავრდება, გარედან ნაწარმოებს მის თვალში არაფერი ემატება. გუშინ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე იგი ისე მსჯელობს, თითქოს ქართული ლიტერატურის ფარზე იყოს აზიდული სახელი ამ ნაწარმოების ავტორისა. როდესაც ოდნავ სიყალბესაც ვერ ვამჩნევთ ანალიზში, ვრწმუნდებით, რაოდენ ძლიერი საფუძველი აქვს კრიტიკოსის გემოვნებას, რამდენად თავისთავადია ეს გემოვნება, რაც მითუმეტეს არის საცნაური, რომ გივი მაღულარია სწორედ თავისი მკვეთრი განსხვავებულობით იქცევს კრიტიკოსის ყურადღებას. პირველშემფასებლის პოზიციებიდან ოტია პაჭკორია სწორედ ამ განსხვავებულობის არსს წვდება და წარმატებითაც წარმოაჩენს მას: „მოთხრობის ტემპი ანდანტეა (რაც არ არის ქართული პროზის დამახასიათებელი ტემპი). ტემპის, რიტმის ის შინაგანი გრძნობა, უფრო სწორედ, ის გარეგნული თვისება, რასაც ჩვენ ჩვეული ვართ, აქ შეცვლილია გულმოდგინე და შეგნებული ანალიტიკური თვალთახედვით, თითქოს აკადემიური კეთილსინდისიერების იერიც ახლავს. ჩვენ არ ვფიქრობთ ამ თვისების ნაკლად ან ღირსებად გამოცხადებას. ყოველივე ეს აზროვნების მანერასთან, კონცეფციასა და ტემპერამენტთანაა დაკავშირებული. ადვილი შესაძლებელია, დღეს თუ ხვალ, ქართული პროზისათვის ბუნებრივ და აუცილებელ თვისებადაც გადაიქცეს“.

ასეთივე დამოკიდებულებით არის განხილული ვლადიმერ სიხარულიძის მოთხრობა „მეათე მოწმე“. იგი შინაგანი სტრუქტურით იქცევს კრიტიკოსის ყურადღებას. მოთხრობის საკმაოდ უჩვეულო „ტიპიზაციის“ გამო მას უხდება ერთგვარი გაშინაარსების (ამასთან ახსნის) ხერხს მიმართოს, რათა ანალიზმა მიზანს მიაღწიოს, ნათელი გახადოს მკითხველისათვის მწერლის მიზანდასახულება. ამის გამო რამდენადმე იზღუდება კრიტიკოსის უშუალო დასკვნების შესაძლებლობა, თუმცა აუცილებელი დასკვნები მაინც გამოაქვს. ეს დასკვნები ზოგჯერ კრიტიკულია. ავტორთან სადაო მოსაზრებებსაც სრული გასაქანი ეძლევა.

ხშირად საკუთარ თვალსაზრისს ამა თუ იმ ნაწარმოებზე ზედაპირულად გამოხატავენ ხოლმე. მოწონება-დაწუნებაზე ზერელედ საუბრობენ. ოტია პაჭკორია გაურბის ასეთ ხერხს, ძირითადად ზერელობას თავს აღწევს მაშინაც კი, როდესაც არჩეული საკითხის გამო ერთგვარი ზერელობისაგან თავის არიდება შეუძლებელიც ჩანს. უკეთეს შემთხვევაში კრიტიკოსის დაკვირვება უკიდურეს სიზუსტეს აღწევს: „ვლადიმერ სიხარულიძე არ ცდილობს სითბო შეინარჩუნოს, მას ვგონებ არც ჯანიკოსთან აქვს დამყარებული სულიერი კონტაქტი, და, მით უმეტეს, არც სხვებთან. ავტორს უშუალო კონტაქტი მხოლოდ კონცეფციასთან აქვს დამყარებული“.

გივი მაღულარიასა და ვლადიმერ სიხარულიძის ნაწარმოებებზე კრიტიკოსის დაკვირვებებმა ძნელად რომ დაკარგოს წონა, იმდენად არის ამ დაკვირვებებში დათრგუნვილი აღფრთოვანების ყოველგვარი კვალი. აღფრთოვანებისა და მოწონების სიხარული გულდასმითი ანალიზის ენერგიას მიმატებია, მასშივე ივარაუდება.

დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ღირსებათა კომპლექსს შეიცავს ოტია პაჭკორიას კიდევ ერთი წერილი, რომელიც გურამ გეგეშიძის „ცოდვილს“ ეხება. ანალიზში ჩანს ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელთაც „ცოდვილის“ ღირსებანი და ნაკლი წარმოშობს, ხშირად, ერთმანეთში რომ შეზრდილან და ზოგჯერ კი მექანიკურად დევს ერთმანეთის გვერდით. კრიტიკოსი მწერალს არ მიუტევებს არც ერთ „ჩავარდნას“, არ ივიწყებს არც ერთ წარ-

მატებას, არც იმის თქმა ავიწყდება, რომ „ცოდვილის“ სახეს, მის არსებით მხარეს პოზიტიური განსაზღვრავს:

„გურამ გეგეშიძე, უპირველეს ყოვლისა, ქმნის თავის გმირს,... ქმნის მის ხასიათსა და მისიას, მის ბედს; იგი არ ცდილობს, ამაოდ დაშვრეს რაღაც არგაგონილისა და არნახულის ძიებით (საოცარია, იმავე დროს, სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფანტაზიას), იგი დიდად ენდობა ადამიანის სულიერ და კულტურულ გამოცდილებას და იქვე, სრული დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის, ირეალურია და ყოფითი სიზუსტის მორჩილიც; ფანტასტია და მიწასთან, სინამდვილესთან მძიმე ლუზით დაბმული. იგი იშვიათადაა ლირიკული. ყოველთვის მკაცრია და ირონიული“.

რაც შეეხება თვით ნაწარმოების სიღრმეების შეცნობას, მისი ფსიქოლოგიური მომენტების დახასიათებას — კრიტიკოსის შემოქმედებითი მიდგომის კიდევ ერთ ნიმუშად გამოდგება ძუკუსა და ვამეხის ჩხუბის ახსნა.

2.

ოტია პაკორიას არ აქვს სუსტი წერილი. პროფესიული თვალსაზრისით მისი ხელწერა ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის მისაბაძ ნიმუშად რჩება. როდესაც ეს პროფესიონალიზმი განუხრელ უკომპრომისობას, პრინციპულობას ერწყმის და მათზე დანდობით გემოვნება მთლიანად შლის ფრთებს, კრიტიკოსის ხელიდან უზადო წერილები გამოდის. ეს წერილები თითქმის ყველა ჩამოვთვალეთ და გაკვრით ყველას შევეხეთ აქ. მათში კიდევ ბევრი ღირსებაა დასანახი, მისალები და, თუ გნებავთ, ფარზე ასაზიდი.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმ კვალზე, რაც ქართული კრიტიკის არაჯანსაღმა ატმოსფერომ გაავლო ოტია პაჭკორიას წერილებშიც. შეიძლებოდა ამდენი ღირსების გვერდით რაიმე ნაკლის ჩხრეკა საერთოდ არ დაგვეწყო, განგვეგრძო ღირსებათა გამომზეურება, შეხედულებათა საყურადღებო ნაწილი გამოგვეტანა და მრავალ პრობლემურ საკითხზე გაგვეშალა საუბარი. მაგრამ კრიტიკოსის წიგნების შეფასებისას მიუტევებელ შეცდომად გვესახება იმ პროცესის არდანახვა, რომელსაც არაჯანსაღი კრიტიკული ატმოსფერო აღვივებს პიროვნების ხასიათის შესაბამისად; ის ატმოსფერო, რომელსაც თავისი წერილების ღირსებით, ებრძვის და უპირისპირდება უმეტეს შემთხვევაში ოტია პაჭკორია; მაგრამ მთელ რიგ შემთხვევაში მისსავე ხასიათში აჩენს ბზარს ეს ატმოსფერო. ნიჭიერი, გემოვნებიანი და უაღრესად რაფინირებული სტილის კრიტიკოსში შემჩნეული უარყოფითი მოვლენები იმიტომაც საჭიროებს ანალიზს, რომ საერთოდ გაგვიძლიერდეს [illegible]ლის გრძნობა.

ბიბლიოთეკა

ანგარიშის გაწევის, მეგობრული სიახლოვის, პირადი სიმპატიის ფაქტორები ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მეორეხარისხოვანი მიზეზები როდია. თუ სიმართლეს თვალებში შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტორები ქართული კრიტიკის ძრავებად იქცნენ; მათი კარნახით დაწერილი წერილები ისე მომრავლდა, რომ მთელი პროცესი, ამ ნიშნებით განსაზღვრული, ნორმალურ ლიტერატურულ ცხოვრებად ითვლება. და როდესაც ლიტერატურული ცხოვრების ფსიქოლოგია ასეთ ნიშანსვეტებს ეყრდნობა, უჩვეულო, მოულოდნელი არ უნდა იყოს ხასიათის გაბზარვა, ნერვების ღალატი, პრინციპულობიდან უპრინციპობაში გადავარდნა, პოზიციების დათმობა. დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ „შუადღის ილუზიების“ ავტორი თავისთავს ღალატობს ზოგიერთ წერილში. ერთი შეხედვით შეუსაბამობა არც ისე თვალშისაცემია. წერილებში ჭეშმარიტი ლიტერატურის ხელი იგრძნობა ყველგან: ნაწარმოებზე მსჯელობის ოსტატობა, კონცეფციის წამოყენება და გათავისება, არგუმენტების მიხმარება — ყველაფერი „ლოგიკურია“. თანაც არგუმენტები ისეა განლაგებული, რომ დასკვნები არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ სწორედ ეს განლაგებაა ალოგიკური. ერთი წუთით ის მეთოდები და ხერხები, რომლითაც თამაზ ჭილაძის, ოტია იოსელიანის, გურამ გეგეშიძის და სხვათა ნაწარმოებებია განხილული შევცვალოთ თუნდაც „თუთარჩელას“ განხილვისას გამოყენებული მეთოდებითა და ხერხებით. რა მოხდება? თამაზ ჭილაძის „შუადღის მონტაჟი“ გაძლიერდება, „ასოციაციებისა და კონტრაპუნქტის, კომპოზიციური მთლიანობის დაშლის, ინტელექტუალური პროზის გზა“ გაიმარჯვებს, ოტია იოსელიანის ნოველებში „ფსიქოლოგიზმის ილუზია“ ჭეშმარიტ ფსიქოლოგიად წარმოგვიდგება, გურამ გეგეშიძის რომანში ყოველგვარი „მოჩვენებითი“ წინააღმდეგობანი გაქრება და პირიქით. იქნებ ეს მოჩვენებითი შეუსაბამობა იყოს, კრიტიკოსს უფლება აქვს, რაც მოსწონს ის აქოს, რაც არ მოსწონს, ის აძაგოს. მაგრამ თვით ანალიზი შევუდაროთ ერთმანეთს. ანალიზში ჩანს სწორედ გარკვევით, რომ საზომები, ხერხებია შეცვლილი. ანალიზის ხასიათი ერთთან ყველაფერს ნათლად წარმოადგენს — ნაკლსაც და ღირსებასაც, მეორესთან ანალიზი ისეა წარმართული, რომ მხოლოდ ღირსებას დაგვანახვებს: „თამაზ ჭილაძეს ერთგვარი პოეტური ეგზოტიკა იზიდავს. შესაძლოა, ამის მიზეზი ავტორის მეორე პროფესია იყოს — იგი პოეტია და ზოგჯერ პროზაში შეაქვს წმინდა პოეზიის ელემენტები და ინტონაცია, სახეების სისტემა, პოეტური ხილვა; მაგრამ ეგზოტიკაში ჩვენ მარტო ლექსის ელემენტებს როდი ვგუ-

ლისხმობთ. პროზისათვის უჩვეულო ინტონაციას თავისი შედეგი მოსდევს. მოთხრობაში მოქმედება რეალურ გარემოში ვითარდება და მაინც „შუადღის" სამყარო უცნობია; ობიექტური გარემო კი არა, უცნობი მოთხრობის ხასიათია, უცხო, რამდენადმე ინერტული. შესაძლოა ამ გრძნობას ჩვენთვის უჩვეულო პასიური სიახლე იწვევდეს, მწერალი მსჯელობს, იგი ხშირად დაობს; მაგრამ დაობს ისევე, როგორც მისი გმირი ჩხუბობს — პასიურად, ლამაზად, ზოგადი პოეტური სახეებითა და ილუზიებით".

თუ დავაკვირდებით ამ ამონაწერს, ადვილად შევამჩნევთ, რომ მასში კრიტიკული ანალიზის ყველაზე სწორი ხერხია გამოყენებული: რას ამბობს მწერალი და როგორ ამბობს. ახლა ერთი ადგილი კიდევ მოვიტანოთ მეორე წერილიდან: „ცოტა სხვაგვარად უყურებს თავის ღმერთს „ცრუღვთაების" დამამხობი და „ნამდვილი" ღვთაების მომპოვებელი ოდოია. იგი ბიქა-ბატკანიანი მეუდაბნოეა, ქრისტიანული ატრიბუტებით აღჭურვილი, ასკეტობისა და რიტუალური მისტერიების, ხორცის გვემით აბსოლუტთან მიახლოების მაღიარებელი მოძღვარია (რაც, სხვათა შორის, სრულებითაც არ უშლის ხელს ამ ბუნებით პროტესტანტ თუთაშს, ზეციდან ქალი მოიტაცოს და მიწიერი ვნებანი დაიურვოს). მაგრამ მისთვისაც თუთა უმთავრესად ერის ამოქმედების, სახელმწიფოებრივი შეგნების აღორძინებისათვის არსებობს". ამ ანალიზში წაკითხულია არსი, ახსნილია რაზე გველაპარაკება მწერალი, მაგრამ გვერდია ავლილი მეორე, არსებითი მომენტისათვის — როგორ არის დახატული ეს არსი. ოტია პაჭკორიამ არავიზე ნაკლებ არ იცის, რამდენად აუცილებელია ეს მეორე მხარე კრიტიკოსისათვის. ამ ამონაწერების მოტანით სრულებითაც არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ან კრიტიკოსი, ან ერთი და იმავე თაობის ორი ნიჭიერი პროზაიკოსი — თამაზ ჭილაძე და ნოდარ წულეისკირი. შეიძლებოდა „თუთარჩელას" ნაცვლად კრიტიკოსის სხვა წერილებიდან („ჩემი მეგობარი ნოდარი" და სხვ.) მოგვეტანა გაშინაარსების ნიმუში, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. საინტერესოა თვით ამ ორი სხვადასხვა ხასიათის ანალიზის შედარება. როგორც კი ანალიზი შინაარსის გადმოცემად იქცევა, იგი კრიტიკის ფუნქციებს კარგავს. დაფიქრება გვმართებს იმაზე, რომ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დამდგარი ამინდი შესაძლებლად, ბუნებრივად მიიჩნევს მეთოდებისა და ხერხების ასეთ ნებისმიერ შეცვლას; რომ გარკვეული წინააღმდეგობის, ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ კრიტიკოსი ყოველთვის პოულობს ოაზისს, სადაც იმედიანად შეაფარებს თავს ძნ ადვილად დამშვიდდება (მას ისეთი არაფერი დაუშავებია!); მაგრამ ვისაც კი გულდასმით წაუკითხავს ოტია პაჭკორიას წერილები, უგრძვნია მისი მაღალი გემოვნების მადლი, მდიდარი ფანტაზიის უნარი, ზომიერების საშური გრძნობა, არ შეიძლება არ დააფიქროს ამ მეტამორფოზამ, რომელიც საბოლოო სახით კი არ გვევლინება, არამედ გარეგანი ფაქტორების კარნახით მონაცვლეობს. და ვიმეორებ, მთავარია, რომ სალიტერატურო კრიტიკის ამინდი ყოველ წუთში უშვებს შესაძლებლობას პოზიციის დათმობისა და პრინციპების სალალატოდ. თანაც ამ შეუწყნარებელი მოვლენის გამართლების ფსიქოზსაც ამკვიდრებს.

ოტია პაჭკორიას წერილები კი ძირითადად პრინციპულობით, პოზიციით, ხასიათით ამ არასასიამოვნო პროცესებს ებრძვის და უმეტესწილად რჩება ნიმუშად იმისა, თუ უკვე საქვეყნოდ აღიარებული ჩვენი კრიტიკის მანკიერებათა წრეში როგორ შეიძლება არსებითად ინარჩუნებდე საკუთარ პრინციპს, აქ მე მინდა კრიტიკოსს მოვაგონო ის სიტყვები, რომელიც მან ოტია იოსელიანს უთხრა ერთ წერილში: „ჩვენ, რასაკვირველია, იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ თითქოს ოტია იოსელიანის შემოქმედება ორი მკვეთრად განსხვავებული რაღაც პოზიციური და ნეგატიური ნაკადისაგან შედგებოდეს, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მისი მოთხრობების ერთ ნაწილში იგრძნობა ისეთი ტენდენციები, რის გაღრმავებასაც მწერალი უნდა მოერიდოს".

კრიტიკაში უფრო საშიშია უარყოფითი ტენდენციების მომძლავრება, მით უმეტეს, როდესაც ეს ტენდენციები, თვით ლიტერატურის სიღრმიდან დაძრული, დიდი მდინარების ძალით აწყდება ჩვენს ხასიათს და მასში „შემოჭრას ლამობს".

შეგნებულად არ ვეხები ოტია პაჭკორიას ისეთ დებულებებს, რომლებიც შეიძლება მიიღო ან არ მიიღო, ამ მხრივ სადაო საკითხები არასოდეს არ ყოფილა საგანგაშო, პირიქით, კრიტიკოსის ზოგიერთი დებულების გამო კამათი იმავე დონეზე, რა დონეზეც ოტია პაჭკორია მსჯელობს, არ იქნებოდა ზედმეტი თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება შეშფოთებით არ შევხედოთ ლიტერატურის ატმოსფეროს წიაღიდან დაძრულ ტენდენციებს, კრიტიკას უპრინციპობის, ღირებულების საზომების წაშლისაკენ რომ ეზიდება. ეს ტენდენციები კრიტიკოსთა პიროვნული ხასიათის მიხედვით სხვადასხვაგვარად აირეკლება, ოტია პაჭკორია ერთგვარ გამოსავალს პოულობს, როდესაც ტენდენციები მას დათმობას სთხოვენ: იგი ღირსების წარმოჩენით, მათი გაზვიადებით და არგუმენტირებისას პროფესიონალიზმის მოხმობით ცდილობს ფონს გასვლას.

რამდენჯერმე ვახსენე ამ წერილში პროფესიონალიზმი — ოტია პაჭკორიას წერილზე საუბრისას ეს სიტყვა ბუნებრივად გაისმის. მისი კრიტიკული სტატიების ერთ-ერთი ღირსება ეს ნიშანიცაა. თუ თამაზ ჭილაძის, ოტია იოსელიანის, ოთარ გობრონიძის, გურამ გეგეშიძის, გივი მაღულარიას, ვლადიმერ სიხარულიძის ნაწარმოებებზე დაწერილ წერილებს ავიღებთ, კარგის თქმის მეტი რაღა დაგვრჩენია (ამას დავუმატოთ უცხოური ლიტერატურის თვალსაჩინო მწერლებზე შექმნილი მშვენიერი ესსეები). მაგრამ როდესაც პროფესიონალიზმი კრიტიკულ აზროვნებას დათმობს, გემოვნებას მოადუნებს და მხოლოდ რაფინირებით ცდილობს დაფაროს ნაკლოვანების განცდა, ასეთ დროს პროფესიონალიზმი ღირსებიდან ანტიღირსებად იქცევა. ამასთან დაკავშირებით— „წინათქმაში" ოტია პაჭკორია წერს:

„ირონიული დამოკიდებულება საკუთარი კულტურისადმი არ ნიშნავს მაინც და მაინც, მის ერთიან უარყოფას; იქნებ უფრო იმ დონეს გულისხმობს, უფრო სწორედ იმ გაზულუქებულ გემოვნებას გამოხატავს, რაც ბევრის ცილობითაა გამოწვეული.

შესაძლოა ამის უფლება ზოგიერთ ერს ჰქონდეს კიდეც. ვფიქრობ, ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია იმ მდგომარეობისათვის, იმგვარი მოწიფულობისათვის, რომ ქართულმა ლიტერატურამ ირონიას, დაცინვას, სკეპსისს გაუძლოს".

ქართულ ლიტერატურაში, სალიტერატურო კრიტიკაში, ისე აუცილებელია ნაკლზე მოჭრილად და პირდაპირ თქმა, თუნდაც მკვეთრი დასკვნების გაკეთება, რომ ოტია პაჭკორიას ბადალი კრიტიკოსები პროფესიონალიზმით თავის მოსაწონებლად ვერ უნდა იცლიდნენ (ვიმეორებ, ზემოთ ჩამოთვლილი სანიმუშო წერილების გამოკლებით, რადგან მათი დონე მუდამ რჩება სასურველ მიზნად). ერთი წუთითაც არ მინდა მკითხველმა იფიქროს, რომ პრინციპულობისაგან დაცლილი პროფესიონალიზმი პროფესიონალიზმად მიმაჩნდეს. კრიტიკოსის პროფესიონალიზმი სწორედ პრინციპულობას და ფხიზელ გემოვნებას გულისხმობს. მაგრამ პროფესიონალიზმის ნიშნებიდან რჩება ბევრი, რომელიც მაღალი დონის ილუზიას ქმნის და მიმზიდველობასაც უნარჩუნებს კრიტიკულ წერილებს.

ოტია პაჭკორია მკითხველს არ ანებივრებს თავისი წერილების ხშირი გამოქვეყნებით და, როდესაც ის ასე იშვიათად ეხმაურება ლიტერატურულ პროცესს, მაშინ, ბუნებრივია, თუ მისი ყოველი წერილისაგან მაქსიმუმს მოვითხოვთ; გავიხსენოთ ისიც, რომ ასეთ პირობებში მან საკმაოდ დიდი მოცულობის წერილები მიუძღვნა სტენდალის, სერვანტესის და სამხრეთ ამერიკის მწერალთა პროზას. სამივე წერილი ცოდნითა და სიყვარულითაა აღბეჭდილი, მაგრამ მისივე სიტყვებით მინდა შევეკითხო კრიტიკოსს: „მიგვიღწევია კი იმ მდგომარეობისათვის", რომ სიტყვაძუნწმა კრიტიკოსმა ყოველი ხუთი წერილიდან ორი უცხოურ ლიტერატურაზე დაწეროს?

„ადამიანის მეხსიერებას აქვს ერთი თვისება — შერჩევისა და უარყოფის. იგი ივიწყებს შემთხვევითს, შეუფერებელს, მტკივნეულს, იმასაც, რისი დავიწყებაც არ შეიძლება" — სულ სხვა საკითხს უკავშირებს ამ აზრს ოტია პაჭკორია, მაგრამ ამ სიტყვებთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ კრიტიკოსის პასიური რეაგირება ლიტერატურული ცხოვრების სასიცოცხლო პროცესების მიმართ ამ ოპტიმიზმით არ შემსუბუქდება, არც გამართლდება, არც უწყინარი, წმინდა ლიტერატურული წერილების მცირე ნაკადი იკმარებს ამინდის შესაქმნელად. რაფინირებისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნას დაფუძნებული ასეთი წერილები შეიძლება თვით მოგვევლინოს ერთგვარი ზერელობის გამოხატულებად.

არის კიდევ ერთი ხასიათის წინააღმდეგობა: თამაზ ჭილაძის, ოტია იოსელიანის, ოთარ გობრონიძის ნაწარმოებებზე კრიტიკოსი წერს თანამედგომის პოზიციებიდან. მაგრამ როდესაც იგივე მწერლები კითხულობენ იმავე ოტია პაჭკორიას სულ სხვა პრინციპით წარმართულ ანალიზს სხვათა შესახებ, ამ დროს ნდობა, ბუნებრივია, იბზარება და კეთილშობილური მიზანი, რომელიც წარმართავდა მისი წერილების პათოსს, გვიან თუ გამოიღებს შედეგს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ კრიტიკოსის სიტყვაძუნწობა და მხოლოდ განსაკუთრებულ ლიტერატურულ ფაქტებზე რეაგირება თავისთავად ნიშნავს პრინციპულობას-მეთქი.

აქ უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ ცალმხრივი პრინციპულობაა. ლიტერატურული პროცესი იმაზე მეტად ძლევამოსილია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. შექმნის პროცესი არ გულისხმობს ანთოლოგიურ სრულყოფილებას. იქ კი, სადაც მორევია, ის უნდა ცურავდეს, ვისაც კარგი ცურვა შეუძლია. ოტია პაჭკორიას მართებს ლიტერატურის ცენტრში ტრიალი. ამის თქმით რაოდენობას სულაც არ ვანიჭებ უპირატესობას, პირიქით, ოტია პაჭკორიას წერილების კითხვისას კიდევ ერთხელ ვიგრძნობთ, თუ რა ფასი აქვს თვისობრივობას, მაგრამ კარგ თვისებასაც ხომ ჰირდება რაოდენობრივი ძალა და ენერგია?

რაც შეეხება ჩემს დავას კრიტიკოსთან, კარგი იქნება თუ მას პრინციპული მნიშვნელობის დავად აღიქვამს ოტია პაჭკორია. ყოველ შემთხვევაში, მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის ამღვრეული ამინდი ისეთი გემოვნების კრიტიკოსშიც კი წარმოშობს დისჰარმონიას, როგორიც არის „დრო და სახელების" ავტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მენაბდე

# რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა

ქართველი და უნგრელი ხალხების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველი ქართული თუ ძველი უნგრული წყაროების შესწავლა ნათელყოფს, რომ ეს ხალხები უკვე ადრეულ ხანაში იცნობდნენ ერთმანეთს. საკუთრივ კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა კი რამდენადმე გვიან — XVIII-XIX საუკუნეებიდან იწყება. ამ ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეში სასახელო მისია შეასრულეს გამოჩენილმა უნგრელმა მოღვაწეებმა — იაკობ რეინეგსმა, მიხაი ზიჩიმ, ბელა ვიკარმა და სხვ.

მართებულად აღნიშნავდა უნგრელი ლიტერატურათმცოდნე დ. რადო, რომ „ქართული ლიტერატურის გაცნობა და მისი შესწავლა უნგრეთში დაკავშირებულია ორი უნგრელი ენთუზიასტის — მხატვარ მ. ზიჩისა და მთარგმნელ-ეთნოგრაფ ბ. ვიკარის სახელებთან“. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ქართველი და უნგრელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული დაახლოება-დაკავშირების ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი გახლდათ რუსთაველის პოემის დასურათება და უნგრულად ამეტყველება. პირველი დაკავშირებულია მ. ზიჩის, ხოლო მეორე — ბ. ვიკარის სახელთან.

გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი (1827-1906) წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში — პეტერბურგში, სადაც დაასურათა ა. პუშკინისა და სხვათა თხზულებანი. საქართველოში ჩამოვიდა სამხედრო ღღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციების შესაქმნელად (1881 წ.). იმ დროს ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ამზადებდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას. ქართველთა თხოვნით მ. ზიჩი შეუდგა მზადებას „ვეფხისტყაოსნის“ დასასურათებლად. მან გულდასმით გაიცნო ჩვენი ქვეყანა, ხალხის ადათ-წესები და ყოფა-ცხოვრება, დადგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“.

საქართველოში შეკრებილი მასალა (ჩანახატები და სხვ.) მ. ზიჩიმ პეტერბურგში წაიღო, იქ დაასრულა, დაამზადა შესანიშნავი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისა“ და უსასყიდლოდ გამოუგზავნა ქართველ ხალხს.

უნგრელი მხატვრის ნამუშევარი დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემაში. ახლა ეს ილუსტრაციები ძალზე პოპულარულია საქართველოში. მ. ზიჩის სახელთანვეა დაკავშირებული პირველი უნგრული ცნობები „ვეფხისტყაოსანზე“. სახელდობრ, შანდორ პეტეფის სახელობის საზოგადოების ორგანოში — ჟურნალ „კოსორუში“ („გვირგვინი“) 1884 წელს გამოქვეყნდა პატარა წერილი — „მიხაი ზიჩი ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც ჩვენი ცნობით, არის პირველი ნაბეჭდი მასალა რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“ უნგრულ ენაზე. „ამით იწყება გზა უნგრულ ლიტერატურაში რუსთაველის პოემისაკენ“ (დ. რადო). წერილში ვკითხულობთ: „ქართული ლიტერატურის უდიდესი სიამაყეა რუსთაველის დიდი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. 1593 სტროფისაგან შემდგარი თხზულების მდიდრულად გაფორმებული გამოცემა უახლოეს მომავალში იხილავს დღის სინათლეს. ჩვენს თანამემამულეს მხატვარ მ. ზიჩის სთხოვეს თხზულებისათვის ილუსტრაციების მომზადება, ერთმა ქართველმა ლიტერატურის მოყვარულმა — გ. ქართველიშვილმა ათი ათასი მანეთი გაიღო გამოცემის ხარჯების დასაფარავად. პოემა მალე

ხელმისაწვდომი გახდება ევროპელი მკითხველისათვისაც, რადგან თბილისის „კავკაზის“ რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს ი. მეუნარგიას იგი ფრანგულ ენაზე უთარგმნია“.

როგორც ჩანს, უნგრული გაზეთის კორესპონდენტისათვის ცნობილი ყოფილა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები: „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად მომზადება და მ. ზიჩის მიერ ილუსტრაციების დამზადება, გ. ქართველიშვილის (1830-1901) მეცენატობა და ი. მეუნარგიას (1852-1919) მიერ რუსთაველის ქმნილების ფრანგულად თარგმნა, რაზეც ქართულ პრესაში მხოლოდ ორიოდე ცნობა იყო გამოქვეყნებული.

მ. ზიჩიმ არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემა დაასურათა, არამედ ერთგვარი მუშაობაც ჩაატარა რუსთაველის პოემის უნგრულად თარგმნისა და უნგრეთში მისი პოპულარიზაციის მიზნით. სახელდობრ, მან დააინტერესა „ვეფხისტყაოსნით“ ცნობილი უნგრელი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ფოლკლორისტი, მთარგმნელი ბელა ვიკარი (1859-1945), რომელიც არსებითად მ. ზიჩის რჩევითა და მოწოდებით შეუდგა ქართული პოემის თარგმნას.

ბ. ვიკარი, მისივე ცნობით, 1889 წელს პეტერბურგის ახლოს სოფელ ლახტაში ეწვია მ. ზიჩის, რომელიც თავაზიანად და სტუმართმოყვრულად დახვდა. მასპინძელმა აჩვენა მდიდრულად გაფორმებული, „უცნობი შრიფტით დაბეჭდილი“ წიგნი — „ქართველი ერის უდიდესი პოეტის, XII საუკუნის მოღვაწის, შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი“, რომელიც დასურათებული იყო მ. ზიჩის ილუსტრაციებით. ამასთან უამბო, თუ როგორ დადგა საქართველოში ცოცხალი სურათები „უძველესი ქართული პოეტური ქმნილებიდან“, როგორ დაასურათა რუსთაველის პოემა და ურჩია მისი უნგრულად თარგმნა. იმხანად ბ. ვიკარი „კალევალას“ თარგმანზე მუშაობდა და „ვეფხისტყაოსანზე“ ფიქრიც კი აღარ შეეძლო, მაგრამ, როგორც კი დაასრულა ფინური ეპოსის თარგმნა (1908 წ.), მაშინვე შეუდგა ქართული ენის შესწავლას, ხოლო შემდეგ — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, რაშიც გულმოდგინედ ეხმარებოდა „შესაფერი კაცი, ახალგაზრდა ქართველი მწერალი“. ეს უკანასკნელი, — ბ. ვიკარის ადრინდელი ცნობით (1912 წ., 1917 წ.), — ყოფილა დიერდ ციკლარი — György Ciklari. 1928 წელს ესპერანტისთა ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილში უფრო სრული ცნობაა შემონახული; ამ წერილის უნგრულ თარგმანში, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა, იხსენიება Ciklari (Ciska'auri). 1942 წელს ბ. ვიკარი დამხმარედ ასახელებს გიორგი ცისკალაურს (Ciszka'auri). ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ამ პირად მიიჩნევდნენ გიორგი წიკლაურს (გ. ბაქრაძე), მიხეილ წიკლაურს (ს. კლდიაშვილი), იაგორ წიკლაურს (ა. სანაძირაძე) და ა. შ. დღეს საბოლოოდ გარკვეულია, რომ ეს პირი გიორგი ცისკარაულია (მ. იშტვანოვიჩი დ. რადო, ჯ. გაგნიძე და სხვ.). ბ. ვიკარს დახმარებიან აგრეთე გ. წერეთელი, დ. თოლორაია და სხვ.

მუშაობის პროცესში ბ. ვიკარი თანდათან მივიდა ამ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ღირსია „გახდეს ევროპის ყველა ლიტერატურის საკუთრება“.

1912 წელს ბ. ვიკარმა თავისი მუშაობის შედეგები გააცნო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიას. უნგრული პრესის ცნობით, „აკადემიის სხდომაზე წევრ-კორესპონდენტმა ბ. ვიკარმა დამსწრეთ გააცნო მათთვის უცნობი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი ცხოვრობდა XII საუკუნეში, როდესაც საქართველო კავკასიის ხალხთა შორის მძლავრი და მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა იყო... ბ. ვიკარის მიერ წარმოდგენილი ნაწყვეტები პოემისა შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ დედნის მშვენიერებაზე და ადასტურებს, რომ პოეტი, რომელიც 700 წლის წინ ცხოვრობდა, დღესაც ეპოქის თანხმიერია“.

იმავე წელს ბ. ვიკარმა გამოაქვეყნა მოზრდილი წერილი რუსთაველზე — „ქართველი პოეტი რუსთაველი და მისი ნაწარმოები“ და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ნაწყვეტები („ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“).

1917 წელს ბ. ვიკარმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული უნგრული პოეტური თარგმანი ცალკე წიგნად, რომელსაც წაუმძღვარა (წინასიტყვაობის სახით) რამდენიმე წლის წინ დაბეჭდილი წერილის შემოკლებული ვარიანტი, მკითხველებს გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულად თარგმნის ისტორია და მიაწოდა ზოგადი ცნობები რუსთაველსა და მის პოემაზე. „რუსთაველი ჭეშმარიტად დიდი პოეტია. მისი ცხოვრება ისევე რომანტიკულია, როგორც მისი დღემდე შემონახული თხზულება „ვეფხისტყაოსანი“, — განუცხადა მთარგმნელმა უნგრელ საზოგადოებრიობას და შემდეგ მიაწოდა ხალხური ბიოგრაფიული ცნობები დიდ შემოქმედზე.

ბ. ვიკარის სიტყვით, რუსთაველის წინსვლამ სახელმწიფოებრივსა და ლიტერატურულ ასპარეზზე, „რუსთაველის გენიის ტრიუმფმა მის წინააღმდეგ აამოქმედა შურით აღსავსე ბოროტი მზრახველები“. შევიწროებამ და დევნამ გენიალური პოეტი იერუსალიმში მიიყვანა.

ბ. ვიკარმა „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ანა-

რეკლი დინახა. მან სწორად გაიაზრა პოემის იდეური სამყაროს სიდიადეც. მისი სიტყვით, „პოემაში ერთიმეორეს მისდევს სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულებისა და რაინდობის უაღრესად თბილი, კოლორიტული სურათები, რის მსგავსსაც მხოლოდ უდიდეს პოეტთა ნაწარმოებებში ვხვდებით“.

მთარგმნელმა ყურადღება გაამახვილა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის კავშირურთიერთობაზე დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურულ სამყაროსთან. მისი აზრით, „რუსთაველი, რომელიც იმდროინდელი აღმოსავლეთის ცივილიზაციის მწვერვალზე იდგა და ბიზანტიაში მიიღო განათლება, ბუნებრივია, კარგად იცნობდა როგორც კლასიკურ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურას, ისე თავის თანამედროვე სპარსელი, არაბი და აღმოსავლეთის სხვა დიდი პოეტების შემოქმედებას“. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რამდენადმე ჰგავს სხვა ძეგლებს, რაც „უწინარეს ყოვლისა თავს იჩენს მხატვრულ სახეებსა და ალეგორიებში, რომელთა ხშირი გამეორება პოეტურ მშვენებას წარმოადგენს“. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, ოდნავადაც არ ჩამოუვარდება თავის ბრწყინვალე თანამედროვეებს. ფსიქოლოგიური ჭვრეტით იგი გაცილებით წინ უსწრებს მათ“.

ბ. ვიკარის ზემოდასახელებული წერილი პირველი ვრცელი წერილია რუსთაველსა და მის პოემაზე უნგრულ ენაზე. მართალია, მასში გვხვდება ორიოდე შეცდომა თუ უზუსტობა (მაგალითად, ბ. ვიკარი ხალხური გადმოცემების საფუძველზე აჭარბებდა რუსთაველისა და თამარის ურთიერთობაზე მსჯელობისას; ყოველგვარი საბუთის გარეშე თამარს მიიჩნევდა რუსთაველის თხზულებათა განადგურების მოთავედ; ცნობილ უნგრელ ოსტატს კიშ იშტვან ტოტფალუშს, რომელსაც არჩილ მეფემ (1647-1713) მოსკოვის ქართული სტამბისათვის დაამზადებინა ნიშნები, მიაწერდა მთავარ როლს თბილისის სტამბის ისტორიაში და სხვ.), მაგრამ საერთოდ წერილი რუსთაველის დიდი სიყვარულითაა დაწერილი.

შემდეგ წლებში ბ. ვიკარმა გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე წერილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთან დაკავშირებით: „შენიშვნები არპად ზემპლენის რეცენზიისა და უნგრული ვერსიფიკაციის გამო“ (1918 წ.), „რუსთაველის გახსენება“ (1928 წ.), „კალევალადან“ „ვეფხისტყაოსნამდე“ (1942 წ.), ამ წერილებში მან „ვეფხისტყაოსანი“ ერთხელ კიდევ დაახასიათა ვითარც „კლასიკური მარგალიტი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურისაც“, გაიხსენა რუსთაველის პოემის უნგრულად ამეტყველების ისტორია,, დააზუსტა და დააკონკრეტა ზოგიერთი ადრე მოცემული ცნობა, დაასაბუთა და გაამართლა თავისი მთარგმნელობითი პრინციპები და ა. შ.

უნგრეთის საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეულ თარგმანს. ერთიმეორის მიყოლებით გამოქვეყნდა წერილები, რომელთა ავტორები იყვნენ ღვაწლმოსილი ენათმეცნიერი, პროფესორი ჟიგმონდ შიმონი (1853-1919) და ცნობილი ჟურნალისტი გეზა პოლგარი, გამოჩენილი პოეტები გეზა ლამპერტი (1873-1934) და არპად ზემპლენი (1865-1919), ჟურნალისტი და ლიტერატურათმცოდნე პროფესორი ბელა ვარდაი (1879-1958), უნგრული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი მიხაი ბაბიჩი (1883-1941) და სხვები. რეცენზენტთა დიდმა უმრავლესობამ კმაყოფილებით მიიღო თარგმანი, მოიწონა და მიიჩნია თვალსაჩინო მიღწევად უნგრულ თარგმნილ ლიტერატურაში. რეცენზიებში, — ბ. ვიკარის წინასიტყვაობაზე დამყარებით, — მოცემული იყო ცნობები საქართველოზე, ქართველ ხალხზე, რუსთაველსა და მის პოემაზე. ზოგიერთმა ავტორმა თარგმანის სერიოზული და საფუძვლიანი განხილვის შემდეგ აღიარა იგი მთარგმნელის გამარჯვებად. მაგალითად, წერილში — „ქართული ეპოსი უნგრულად“, რომელიც ენათმეცნიერულ ჟურნალში („უნგრული ენის მეთვალყურე“) დაიბეჭდა, ჟ. შიმონი ღრმა რწმენით წერდა: თუ „კალევალას“ თარგმნით ბ. ვიკარმა ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელის სახელი დაიმსახურა, „ვეფხისტყაოსნის თარგმნით საკუთარ თავს გადააჭარბაო, რამდენიმე ავტორი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ბ. ვიკარის მიერ მოწოდებული ცნობებით, გამოიყენა სხვა მასალებიც (მაგალითად, მ. ბროსეს შრომები) და მკითხველ საზოგადოებრიობას უფრო სრული წარმოდგენა შეუქმნა რუსთაველსა და მის პოემაზე (ასეთი იყო, მაგალითად, ა. ზემპლენის წერილი).

ბ. ვიკარის თარგმანზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც, რომელთა ავტორები (ა. ზემპლენი, ბ. ვარდაი, მ. ბაბიჩი) მთარგმნელს უკიჟინებდნენ ლექსთწყობის ნაკლებად ცოდნას, ზედმეტ ეთნოგრაფიულობას, ქართული ტექსტით გატაცებას და უნგრული ენის თავისებურების უგულებელყოფას და ა. შ. არაერთხელ აღინიშნა, რომ კრიტიკოსები არ ფლობდნენ ქართულ ენას, არ იცნობდნენ „ვეფხისტყაოსანს“ ორიგინალში და მისი თარგმანის შეფასებისას ვერ იცავდნენ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

ბ. ვიკარის თარგმანმა ქართულ-უნგრული ენების ჩინებული მცოდნის, ცნობილი მეცნიერის ჰუგო შუხართის (1842-1927) მაღალი შეფასება დაიმსახურა; მისი აზრით, ეს თარგმანი „მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო იმით, რომ პირველად ამ გზით გაეცნო უნგრელი მკითხველი გენიალური ქართველი პოეტის ქმნილებას, არამედ იმითაც, რომ იგი ერთ-ერთი პირველი პოეტური თარგმანია ევროპაში, ა. ლაისტის თარგმანის შემდეგ“.

ახლახან ჯ. გაგნიძემ საგანგებოდ შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ბ. ვიკარისეული თარგმანი და დაასკვნა, რომ აზრობრივ-შინაარსობრივი ადეკვატურობის თვალსაზრისით იგი საკმაო სიახლოვეს იჩენს ქართულ დედანთან, თუმცა ცალკეული შეცდომებისა და გადახვევებისაგან დაზღვეული არ არის.

40-50-იან წლებში რუსთაველსა და მის პოემას რამდენიმე უნგრული წერილი მიეძღვნა. აქ უნდა დავასახელოთ იოჟეფ ფარაგოს „800 წლის ტარიელი, ქართული ეპოსი“, ლასლო ტაკაჩის „ქართველების ეროვნული საგმირო ეპოსი“, აკოშ კოცოგის „დიდებული საუნჯე“ და სხვ. მათში გვხვდება ცნობები რუსთაველზე და მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ღირსებაზე, დახასიათებულია ბ. ვიკარისეული თარგმანი და აღნიშნულია პოემის ახლად თარგმნის საჭიროება. სხვათა შორის, ერთ-ერთმა ავტორმა (ა. კოცოგმა) დაიმოწმა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი (2 სტროფი), რომელიც, — როგორც ეს ჯ. გაგნიძემ გაარკვია, — ეკუთვნის პოეტ იშტვან კომიატის (1917-1965).

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანის საჭიროებას სხვებიც გრძნობდნენ და 50-იან წლების დამდეგს ეს საქმე ადგილიდან დაიძრა. თარგმანის მომზადებისა და გამოცემის ორგანიზაცია იკისრა „ახალმა უნგრულმა გამომცემლობამ“. მისი თხოვნით ჟუჟა რაბმა და დიერდ რადომ „ვეფხვისტყაოსნის“ რუსული თარგმანის (1941 წ.), მიხედვით გაამზადეს უნგრული პწკარედი, რომელიც გასალექსად გადაეცა ცნობილ უნგრელ პოეტს, კოშუტის პრემიის ლაურეატს შანდორ ვეორეშს. ამ უკანასკნელმა მთელი სერიოზულობით მიიღო საპატიო დავალება, გაიცნო ჩვენი ხალხი და ქვეყანა, კარგად გაიაზრა რუსთაველის სიდიადე და ენერგიულად დაიწყო „ვეფხვისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობა. პოემისაგან დიდი ესთეტიკური სიამოვნების მიღების შემდეგ მთარგმნელი აღნიშნავდა: „ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ დიდ სიხარულს წარმოადგენდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობა. ამ სამუშაომ დიდი სიამოვნება მომანიჭა“. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რუსთაველის პოემაში საჭირბოროტო პრობლემებია, რომლებშიც გამოსჭვივის „მარადიული ძიებანი სიმართლისა“ .

შ. ვეორეშის მუშაობას ინტერესით ადევნებდნენ თვალს მისი თანამემამულენი და იმედოვნებდნენ, რომ სრულყოფილ თარგმანს მიიღებდნენ.

შ. ვეორეშისეული სრული უნგრული პოეტური თარგმანი მ. ზიჩის ილუსტრაციებითა და უნგრელი მხატვრის იშტვან ზადორის მიერ შესრულებული რუსთაველის სურათით გამოქვეყნდა 1954 წელს. ნაწყვეტები დაიბეჭდა „მსოფლიო ლიტერატურის ანთოლოგიაშიც“.

შ. ვეორეშის თარგმანის გამოქვეყნებას თბილად გამოეხმაურა უნგრეთის საზოგადოებრიობა. დაიბეჭდა რამდენიმე რეცენზია, რომელთა ავტორები (გ. ჰეგედიუში, ლ. დევეჩერი, ა. კოცოგი) მაღალ შეფასებას აძლევდნენ მთარგმნელის ნამუშევარს. „ვეფხვისტყაოსნის“ ახალ უნგრულ თარგმანს კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი საზოგადოებრიობაც.

შ. ვეორეშმა მომდევნო ხანაში ჯ. გაგნიძის პწკარედის დახმარებით თარგმნა ბევრი ქართველი პოეტის ლექსი; ამჟამად ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემას და „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“. იგი მონაწილეობდა რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულში, სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე თბილისში (26. IX. 1966).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ უნგრელი ლიტერატურათმცოდნის იანოშ ჩატლოშის ვრცელი წერილი, რომელიც ეძღვნება „ვეფხვისტყაოსნის“ შ. ვეორეშისეულ თარგმანს. მასში მიმოხილულია სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა XII-XIII სს. საქართველოსი, როდესაც მან „წამყვანი როლი მოიპოვა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული განვითარების თვალსაზრისით“; აღნიშნულია, რომ ქართველთა სახელმწიფოში, რომელიც „მდებარეობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემკართან, სავაჭრო, სამხედრო და კულტურის გზაჯვარედინზე“, შესამჩნევად აყვავდა სულიერი და მატერიალური კულტურა, „წარმოიშვა მსოფლიო მნიშვნელობის მიმდინარეობანი“, „დაბერა რენესანსის ნიავმა“.

ი. ჩატლოშის წერილში წარმოდგენილია სურათი XII-XIII სს. საქართველოს კულტურული ცხოვრებისა და შეძლებისდაგვარად ახსნილია „დიდებული ეპოსის“, „პოეტური შედევრის“ ვეფხისტყაოსნის“ შექმნის მიზეზები.

რუსთაველი დიდებული შემოქმედია; იგი შესამჩნევად გამოირჩევა მის თანამედროვეთა შორის. მის დიდ პოეტურ ნიჭს მოწმობს გმირების ფსიქოლოგიური სამყაროს, მათი ხასიათების წარმოჩენის რეალისტური უნარი. ი. ჩატლოში აღტაცებით წერდა „ვეფხვისტყაოსნის“ ტიპაჟზე, მხატვრულ მხარეზე და ა. შ. „ძნელია მოიძებნოს იმდროინდელ პოეზიაში მსგავს სიმაღლეზე აყვანილი სახეები. მსგავსი სახეები არ გვხვდება კრეტიენ დე ტრუას სარაინდო რომანებშიც კი, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ დასავლეთში მამაკაცთა და ქალთა გულისნადების განუმეორებელ მესაიდუმლედ ითვლებოდა. საოცრად მრავალფეროვანი, ფაქიზი გემოვნებით ჩაქსოვილი ორნამენტების გვერდით ფსიქოლოგიური ჭვრეტის უნარი რუსთაველის პოეტური ხელოვნების მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია“.

ი. ჩატლოშის აზრით, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამაღელვებელი სიყვარული, ავთანდილის მოხერხებულობა და ბევრი სხვა მომენტი ცხოვრებისეულია, ცოცხალია, დამაჯერებელია. უოველივე ეს კი რუსთაველს წარმოაჩენს როგორც დაკვირვებისა და შემდგომ მისი მხატვრული გარდასახვის საუკეთესო ოსტატს.

„ვეფხვისტყაოსნის" მთავარი ღირსება ისაა, რომ „ყოველი სტრიქონიდან რენესანსული იდეა გამოსჭვივის და ცხოვრების ჭეშმარიტი სილამაზით აღტაცებული ადამიანის ხმა ისმის".

ი. ჩატლოშის დასკვნით, „რუსთაველის „ვეფხვისტყაოსანის" ახალ უნგრულ თარგმანს უფლება აქვს ღირსეული ადგილი ეჭიროს მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ეპიკურ თხზულებათა შორის. იგი მეტყველებს პატარა ერის შემოქმედებით ძალაზე, მის მდიდარ კულტურაზე".

„ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაციას უნგრეთში ბ. ვიკარისა და შ. ვეორეშის თარგმანებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი მწერალ იოჟეფ რომანის წიგნმა — „თქმულებები, ეპოსები, ლეგენდები", რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა. მასში მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებთან (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტები", ვერგილიუსის „ენეიდა", დანტეს „ღვთაებრივი კომედია" და სხვ.) ერთად დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის" პროზაული გარდათქმა, რომელიც არსებითად შ. ვეორეშისეული თარგმანის პროზაულად გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. მას ახლავს ი. რომანის შენიშვნებიც.

რუსთაველისადმი ინტერესი უნგრეთში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველი პოეტის საიუბილეო წელს; უნგრეთის პრესაში გამოქვეყნდა არაერთი წერილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სეგედის უნივერსიტეტის პროფესორები იშტვან ჩუკაში და არპად ბერციკი, საიუბილეო დღესასწაულის დღეებში საქართველოს სტუმრები იყვნენ (გარდა უკვე დასახელებული შ. ვეორეშისა) უნგრელი მწერლები და მეცნიერები: ტიბორ დერი, იშტვან შიმონი, დიულა იეში, მარტინ იშტვანოვიჩი, კარლ ცეგლედი, ანტალ ჰიდაში და სხვ. რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ მათგანზე.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მარტინ იშტვანოვიჩი — უნგრელი მეცნიერი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ლექტორი. ქართველოლოგია მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეისწავლა. სამშობლოში დაბრუნებულმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების, აგრეთვე ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძისა და სხვა ქართველ მწერალთა თარგმნისა და უნგრეთში მათი პოპულარიზაციის მიზნით, რამდენიმე წერილი მიეძღვნა უნგრული რუსთაველოლოგიის საკითხებს. მკვლევარმა სწორად გაიაზრა, რომ „XII საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრის, მსოფლიო ლიტერატურის გენიალური ქმნილების, რუსთაველის ეპოპეის შესახებ ყოველ ახალ ცნობას, თუნდ უმცირესსაც, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება". ამიტომაც მან მსჯელობის საგნად აქცია უცნობი და ნაკლებად ცნობილი მასალები ბ. ვიკარის მიერ „ვეფხისტყაოსნის" უნგრულად თარგმნასთან დაკავშირებით (მხედველობაში გვაქვს მისი წერილები: „ვეფხისტყაოსნის "უნგრული თარგმანისათვის", რომელიც ქართულ ენაზე დაიწერა ჟურნალ „ლიტერატურული აჭარისათვის" და „უნგრული რუსთაველიანას სათავეებთან", რომელიც ბ. ვიკარისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა).

ი. იშტვანოვიჩის სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის" ადრეულმა თარგმანმა გაამდიდრა უნგრული კულტურა. „ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის რუსთაველის ფასი ევროპაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიცნო ბ. ვიკარმა, და არა მარტო შეიცნო, არამედ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უძღვნა ქართველოლოგიურ კვლევას. ამ კვლევის მწვერვალს წარმოადგენს უნგრულ ენაზე ამეტყველებული რუსთაველის ქმნილება", — წერდა უნგრელი მეცნიერი.

ცნობილია, რომ ბ. ვიკარმა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნით საქართველოში ღირსეული აღიარება ჰპოვა და სათანადო პატივისცემა დაიმსახურა, მაგრამ მის სამშობლოში ეს ფაქტი ესოდენ გახმაურებული არ იყო. სწორედ ამიტომ ი. იშტვანოვიჩმა ყურადღება გაამახვილა ბ. ვიკარის მთარგმნელობით საქმიანობაზე, ქართული ტექსტის უნგრულად ამეტყველებაზე, კერძოდ, ვრცლად შეჩერდა იმ წერილზე, რომელიც ბ. ვიკარმა 1942 წელს გამოაქვეყნა; მ. იშტვანოვიჩის სიტყვით ეს იყო „პოეტური ნიჭით დაჯილდოებული მწერლის მოთხრობა თავისი მუშაობის შესახებ".

მ. იშტვანოვიჩმა სცადა ახსნა იმისა, თუ როგორ მივიდა ბ. ვიკარი მისთვის სრულიად უცნობ თხზულებამდე, რამ დააინტერესა დაეწყო ერთობ ძნელი ენის შესწავლა, რათა ორიგინალიდან ეთარგმნა რუსთაველის პოემა. მისი დასკვნით, ბ. ვიკარის წარმატება განპირობებული იყო, ერთი მხრივ, რუსთაველის სიდიადით, მეორე მხრივ, მთარგმნელის შესანიშნავი პოეტური ოსტატობით.

ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ცეგლედი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას ქართველ-უნგრელთა ნაცნობობა-მეგობრობასა და რუსთაველისა და მ. ზიჩის როლზე ამ ხალხთა დაახლოების საქმეში. იგი სიამაყითა და კმაყოფილებით აცხადებდა: „ჩემს ქვეყანაში კარგად იცნობენ საქართვე-

ლის, მის ისტორიას, კულტურას და, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დიდ შვილს — შოთა რუსთაველს".

სიტყვაში, რომელიც მკვლევარმა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წლის 28 სექტემბერს, მან თვალნათლივ წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის" პოპულარობა უნგრეთში და ამის მიზეზებიც ახსნა: „შემთხვევითი არაა, რომ ჩვენ, უნგრელები, გენიალურ რუსთაველს ვთვლით არა მარტო ქართველი, არამედ უნგრელი ხალხის საკუთრებად; არა მარტო იმიტომ, რომ ახლა მის დიდებას მსოფლიოს ხალხები ზეიმობენ, არამედ იმიტომ, რომ უნგრეთში მოკლე დროის განმავლობაში ორჯერ ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი" და ახლა სასკოლო პროგრამაშიც კი შედის ეს გენიალური ნაწარმოები. და კიდევ ერთს მოგახსენებთ, რომ დიდი უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის ბრწყინვალე ილუსტრაციებით გაიცნო და შეიყვარა უნგრელმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის" უკვდავი პერსონაჟები. მე მინდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ სიყვარული შოთას პოემისადმი იზრდება".

მეცნიერმა გამოთქვა რწმენა, რომ ქართველი პოეტის უკვდავი ნააზრევი ხელს შეუწყობს უნგრელი ხალხის მსოფლმხედველობის გამდიდრებას, მანვე გამოთქვა სურვილი, რომ „მსოფლიოს ყველა ხალხი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ერთმანეთს რუსთაველის დიადი ჰუმანიზმის სახელით".

გამოჩენილი პოეტი დიულა იეში სიტყვით გამოვიდა მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმზე, სადაც განაცხადა: „რამდენად უფრო მკაცრი და სასტიკია ისტორიული ბედი და წარსული ამა თუ იმ ერისა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მისი პოეტის როლი. ხდება ხოლმე, რომ მთელ ერს წინ უძღვიან პოეტები. აქ, საქართველოში, ამის მაგალითი სწორედ რუსთაველია. ამისი მაგალითია ჩვენი უნგრული პოეზიაც".

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლაიოშ ტარდი — ცნობილი უნგრელი მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, ავტორი რამდენიმე საყურადღებო შრომისა უნგრეთ-საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თუ კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. მოწონება დაიმსახურა მისმა რომანმა ქართულ თემაზე, აგრეთვე უკანასკნელად გამოსულმა წიგნმა — „უნგრელ დიპლომატთა მოგზაურობანი წარსულში". იგი ახლაც შეუნელებელი ინტერესით, სწავლობს ქართულ კულტურას და თავდადებით ილწვის მისი პოპულარიზაციისათვის.

ერთ თავის წიგნაკში („უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან"), რომელიც ჯერ უნგრულად დაიბეჭდა, ხოლო მალე ქართულად ითარგმნა, ლ. ტარდი საგანგებოდ შეჩერდა მ. ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის" დასურათებასა და ბ. ვიკარის მთარგმნელობით საქმიანობაზე. მ. ზიჩის მოღვაწეობა საქართველოში მან მართებულად მიიჩნია" გასული საუკუნის უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად".

უნგრული რუსთაველოლოგიის საკითხები საგანგებოდ შეისწავლა მწერალმა და მეცნიერმა დიერდ რადომ. იგი რამდენჯერმე იყო საქართველოში, გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილებანი, თარგმნა ბევრი ქართველი მწერლის თხზულებანი, დაბეჭდა რამდენიმე შრომა უნგრულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. სწორედ მან ამცნო ქართველ საზოგადოებრიობას, რომ „რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა უნგრელი ხალხის ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი", საერთოდ ქართული კულტურისადმი".

უნგრული რუსთაველოლოგიის საკითხები დ. რადომ განიხილა წერილში „უნგრული კრიტიკული ლიტერატურა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნისა" და მისი უნგრული თარგმანების, ილუსტრაციებისა და გამოცემების შესახებ", რომელიც ჯერ უნგრულად დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ რამდენადმე გავრცობილი სახით — რუსულად. მასში ბევრი საინტერესო ცნობაა მოცემული რუსთაველის პოემის უნგრეთში გავრცელების შესახებ.

უკანასკნელად უნდა დავიმოწმოთ უნგრული ენციკლოპედია, რომელშიც რუსთაველზე მოცემულია ახეთი ხასიათის ცნობები:

„რუსთაველი შოთა (XII საუკ.) — ცნობილი ქართველი პოეტი, ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი. მისი რომანტიკული პოემა „ვეფხისტყაოსანი" ფეოდალური კულტურის ბრწყინვალე ქმნილებაა. მასში რუსთაველი გვიჩვენებს სამი საუკეთესო მეგობრის თავდადებულ ბრძოლას, ამავე დროს გვიხატავს რაინდობის, ვაჟართა ცხოვრების საინტერესო სურათებს. სტილი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებლად მდიდარი და მრავალფეროვანია. პოეტი ებრძვის პანთეიზმს, სქოლასტიკას; მიწიერი ცხოვრების მშვენიერების ქადაგებით იგი რენესანსის წინამორბედად იქცა ქართულ ლიტერატურაში. მისი თხზულება პირველად 1712 წელს დაიბეჭდა. ახევე ცნობილია უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის მიერ პოემისათვის შესრულებული ილუსტრაციები. პოემის ბრწყინვალე უნგრული თარგმანი ეკუთვნის შ. ვეორეშს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული პრესა კავკასიაში

წიგნი გამოცემულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გრიფით. იგი ექვსი თავისაგან შედგება, რომელთაგან პირველში საუბარია კავკასიაში რუსული პრესის გაჩენის წინამძღვრებზე, მეორე ეხება საქართველოში რუსული ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობას XIX საუკუნის პირველ მესამედში, მესამე თავში გადმოცემულია ისტორია თბილისში რუსული „უწყებების" ბეჭდვისა, მეოთხე თავში განხილულია ალექსანდრე გრიბოედოვისა და ალექსანდრე პუშკინის ღვაწლი ამ რუსული გაზეთის დაარსების საქმეში, მეხუთე თავში გაზეთის მიმართულებასა და მასში მონაწილე ავტორთა აქტივზეა საუბარი და მეექვსე, უკანასკნელ თავში ავტორი გვაცნობს ამ რუსული გაზეთის შინაარსს (მოკლედ) და გაზეთის თემატიკის ანალიზის შედეგს.

წიგნში განხილულია საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისიდან 30-იან წლებამდე, უმთავრესად კი მსჯელობა მიმდინარეობს მოწინავე რუსი ადამიანების საქართველოში ჩამოსვლაზე, რაც ნიშანდობლივი გახდა, განსაკუთრებით, ნაპოლეონის ომების შემდეგ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ 1801 წლიდანვე, რუსეთის ბეჭდვითი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახლად დაპყრობილი ქვეყნების ბედს, მათს აღწერას, მათ შესახებ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ ნარკვევებს, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა პეტერბურგისა და მოსკოვის, აგრეთვე პროვინციული ქალაქების გაზეთებში. საქართველოს თემა თანდათან მტკიცდებოდა არა მხოლოდ რუსულ პრესაში, არამედ რუსი მწერლების მხატვრულ შემოქმედებაშიც.

წარმოდგენანი საქართველოსა და კავკასიის შესახებ ხშირად სინამდვილეს არ ეყრდნობოდა, არამედ რომელიმე კორესპონდენტისა თუ მწერლის განსაკუთრებულ თვალსაზრისს ახლდა შემოერთებული ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, რომელთაც, ვითომ, კულტურის „დაბალი" დონე გააჩნდათ. ხშირი იყო საკუთარი თვალით მხილველ მწერალთაგან ქართული ცხოვრების ზღაპრულად წარმოდგენაც, რაც, ცხადია, სინამდვილის ხილვას ხელს არ უწყობდა( მაგალითისათვის დასასახელებელია მ. ლივენცოვის მოთხრობა „მიხაკო და ნინო", რომელშიც ნატამალიც არ ურევია ქართველთა ყოფის სინამდვილისა). რუსულმა ჟურნალებმა და გაზეთებმა თანდათან შეიძინეს საქმეში ჩახედული კორესპონდენტები, რომელთა წერილებში, უმთავრესად, აღწერილია გარეგანი მხარე ქართული ბუნებისა, ხალხის ცხოვრებისა და სხვ. შემდეგ, 20-იან წლებში, როცა საქართველოსაკენ დენა დაიწყო რუსეთ-საფრანგეთის ომში ნამყოფმა ინტელიგენციამ, შემდეგ 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყების მონაწილეებმა — „დეკაბრისტებმა", როცა, აგრეთვე, დღის წესრიგში დადგა საქართველოს სამხრეთი მეზობლების, სპარსელების, თურქებისა და რუსეთის ურთიერთობის საკითხები, მდგომარეობა შეიცვალა. მაშინდელი რუსული პრესის კორესპონდენტთა შორის არიან გრიბოედოვი, კუხელბეკერი, იაკუბოვიჩი, ლაჩინოვი, ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვანი, რომელნიც არა მხოლოდ აქაური ყოფის გარეგნული მხარით იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ ჩვენში არსებული სახელმწიფოებრივი სისტემით, აქაური მხედართმთავრების პოლიტიკით.

ჯ. ვათეიშვილის წიგნი აღსავსეა პირველხარისხოვანი საარქივო და ისტორიული მასალით. მეორე თავში, მაგალითად, საკმაოდ ვრცლად არის მიმოხილული საქართველოში დაბეჭდილი მთავრობის მოწოდებანი, შემდეგ „საქართველოს გაზეთი" და სხვანი, როგორც წინაპირობა 1828 წლიდან გამოსული რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტისა". ეს გაზეთი პირველი იყო რუსულ ენაზე საქართველოში. მთელი არსებობის მანძილზე თბილისურ რუსულ გა-

**ჯუანშერ ვათეიშვილი — Русская общественная мысль и печать на Кавказе (в первой трети XIX века), მოსკოვი, გამომცემლობა „ნაუკა", 1978 წ.**

ზეთს კარგი პირობები ჰქონდა იმის გამო, რომ მისი **მთავარი** ორგანიზატორები და კორესპოდენტები იყვნენ დეკაბრიზმთან დაახლოვებული პირნი, ან დეკაბრისტული მოძრაობის მონაწილენი. სამწუხაროდ, რუსული გაზეთი საქართველოში გამოვიდა არა ერმოლოვის დროს, რომელიც მაშინდელ უმაღლეს ხელისუფლებასთან ვერ იყო კარგად განწყობილი, არამედ მისი შემცვლელის პასკევიჩის დროს, რომლის კანცელარიაშიც მუშაობდნენ პრესისათვის თავდადებული ადამიანები.

თბილისურ პირველ რუსულ გაზეთს პრაქტიკული ხელმძღვანელობის გარდა, ჰყავდა იდეური ხელმძღვანელები. ასეთი იყო ალექსანდრე გრიბოედოვი, რომლის სიცოცხლეშიც გამოვიდა გაზეთი (1828 წლის 4 ივლისს), თუმცა გაზეთში გრიბოედოვს არც ერთი მასალა არ გამოუქვეყნებია. გრიბოედოვს, აქაც, გაზეთის დაარსებაშიც იდეური მეთაურის ადგილი უჭირავს. ვიდრე მისი სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდებოდა, იგი არა მარტო მკითხველი იყო ამ გაზეთისა, არამედ მისი გულისშემატკივარიც.

რაც შეეხება პუშკინს, უნდა ითქვას, რომ გაზეთის ხელმძღვანელი პ. სანკოვსკი პუშკინის ძველი ნაცნობი იყო, მისივე ნაცნობები იყვნენ ვ. სუხორუკოვი, ალბათ სოლომონ დოდაშვილიც, რომელიც გაზეთის ქართული რედაქციის ხელმძღვანელად მსახურობდა. საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთაგან ბევრნი თანამშრომლობდნენ თბილისურ რუსულ გაზეთში და თითქმის ყველა პუშკინის ნაცნობი და თაყვანისმცემელი იყო ჯერ კიდევ 1825 წლამდე (მაგ. ბესტუჟევ-მარლინსკი, ბურცევი და სხვ.). გაზეთის მეთაურთა პუშკინთან ნაცნობობა და პუშკინის შესახებ ამ გაზეთში გამოქვეყნებული მასალები გულისხმობენ უპირველესი რუსი პოეტისადმი დიდ სიყვარულსა და მისი აზრების გაზიარებას.

თბილისური რუსული გაზეთის შესწავლა ჯ. ვათეიშვილის წიგნით არ დაწყებულა, თუმცა წინამავალთაგან ეს წიგნი განსხვავდება აურაცხელი მასალის გამოწვლილვით შესწავლით, იმ ადგილის შეფასებით, რაც ეჭირა მაშინდელ რუსულ გამოცემათა შორის თბილისურ რუსულ გაზეთს. წიგნის ავტორს ბევრი უმუშავია საარქივო მასალაზე თბილისში, რუსეთში დაცულ არქივებში, არაა გამორჩენილი ბეჭდური წყარო-მასალები, რომლებშიც როგორც ისტორიული ეპოქა, ისე თბილისური გაზეთი დაწვრილებით არის განხილული.

უშუალო წყაროთა შორის, რომლითაც უსარგებლია ჯ. ვათეიშვილს, არის პროფ. ვანო შადურის კაპიტალური ნაშრომი „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა“ (რუსულ ენაზე, 1958 წ., თბ.), რომელშიც თითქმის ის საკითხებია დაყენებული და შესწავლილი, რაც ჯ. ვათეიშვილის წიგნშია. მართალია, ვ. შადურის ნაშრომში უმთავრესად დეკაბრისტული ლიტერატურის შესწავლა არის ნაგულისხმევი, მაგრამ საკმარისია წიგნის გაცნობა, რომ მასში ვნახოთ ბევრი რამ ისეთი, რაც სარეცენზიო წიგნშიც არის განხილული. ვანო შადურის შესწავლის ობიექტი, ცხადია, იყო რუსული „ტფილისის უწყებანიც“ მისი, თანამშრომლების წრე, გაზეთის ხელმძღვანელები და გამომცემლები, ოფიციალური გარემო გაზეთის გამოცემისა და სხვა მრავალი. ბოლოსდაბოლოს, როგორც ორივე ავტორი ირწმუნება და პირველი კი იმათში ვანო შადურია, „ტფილისის უწყებანიც, ასე თუ ისე, შეიძლება მიეკუთვნოს დეკაბრისტულ ლიტერატურას, გაზეთში გამოქვეყნებული მასალა და მათი ავტორები აქეთკენ ხრიან სასწორს, ცხადია, ვ. შადურის წიგნი მეტად გაუადვილდება მკვლევარს იმ ვრცელი და დაწვრილებითი სურათის დახატვას, რაც ჯ. ვათეიშვილს დიდ და საინტერესო წიგნში არის მოქცეული. მასალათა და ხშირად დასკვნათა ერთნაირობა ხელს არ უშლის წიგნის ალქმას და იმ დიდი შრომის შეფასებას, რაც ჯ. ვათეიშვილს გაუწევია. იგი, ეს წიგნი საინტერესო დოკუმენტია არა მხოლოდ რუსული საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის (ასეთი სათაური აქვს წიგნს), არამედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვისაც. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ გაზეთში ჯერჯერობით არც ერთი ქართველი კორესპონდენტი არ არის გამომჟღავნებული, ცხადია, XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული მოწინავე ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა როგორც ამ რუსულმა გაზეთმა, ისე მისმა ქართულმა რედაქციამ, აგრეთვე იმ პირველმა ქართულმა ლიტერატურულ-საზოგადოებრივმა ჟურნალმა, რომელიც „ტფილისის უწყებების“ წიაღში წარმოიშვა და რომელსაც სოლომონ დოდაშვილი წარმართავდა.

ჯ. ვათეიშვილის ამ ერთობ მრავალმხრივად კარგ წიგნში აქა-იქ ზოგიერთი შეუსაბამობანი შეიმჩნევა. სოლომონ დოდაშვილის კრიტიკული წერილი დაიბეჭდა (გორდეევის წინააღმდეგ) არა „ტფილისის უწყებებში“, არამედ „სალიტერატურონი ნაწილნის“ მესამე ნომერში (გვ. 300, შენ.). არც ერთგან წიგნში ნახსენები არ არის ი. გრიშაშვილი, რომელმაც პირველმა (1938 წელს) შეადგინა და გამოსცა ბიბლიოგრაფია პუშკინის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმანებისა 100 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, გრიშაშვილს ამ ნაშრომში ზუსტად არის მითითებული, თუ ვინ იყო პირველი მთარგმნელი პუშკინის ლექსისა „პრობუჟდენიე“, ე. ი. ეს პირველად ი. გრიშაშვილმა გაარკვია. მოსახსენებელი იყო დავით მაჩაბლის ისტორიული პოემა „მთიული“, ალ. ბესტუჟევ-მარლინსკის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

საინტერესოა ერთი ამბავი: XIX საუკუნის პირველ ხანებში ხშირად კავკასიაში გუ-

ლისხმობდნენ საქართველოს. „წავალ კავკასიაში ანუ საქართველოშიო“, ხშირად, შევხვდებათ იმ დროინდელ მიმოწერაში. კავკასიისა და საქართველოს ერთი მნიშვნელობით ხმარება (განსაკუთრებით ქართველებზე „კავკაზეც“-ის გავრცელება) არ იყო სწორი. ამ [illegible] კავკასია ხშირად იხმარება საქართველო[illegible] ნიშნავად.

სოლომონ ხუციშვილი

# შორეული გზები

წიგნი თუ სიხარულს არ განიჭებს, თუ შენს სულიერ სამყაროს რაიმე ახლით არ ამდიდრებს, ფუჭად ჩაუვლია ავტორის ტკივილისა და ნაფიქრალის გამომზეურებას. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ საქვეყნოდ ცნობილი ამბებით თავი არ უნდა მოაბეზრო სხვას. ყოველმა წიგნმა რაღაც ახალი უნდა შეგმატოს. ამიტომ მე უბრალოდ და პირდაპირ ვიტყვი: გამახარა ვლადიმერ ალფენიძის „ფიქრიანმა გზებმა“ და ეს პატარა წერილი დამაწერინა. თავის დროზე, როდესაც „ფიქრიანი გზები“ გამოჩნდა წიგნის თაროზე, ჩვენს გაზეთებში ბევრი საქებარი სიტყვა დაიბეჭდა ავტორის მისამართით. მე არც ვაპირებ კრიტიკოსის თვალით მიმოვიხილო ეს კრებული, უბრალოდ, მე მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება იმ წიგნის მიმართ, რომელიც სავსეა ტკივილითა და სიხარულით, ცრემლითა და ღიმილით, ალტაცებითა და დაფიქრებით, აწმყოთი და მომავლით და რაც მთავარია, ნათელი რწმენით, იმ რწმენით, რომელიც ამ წიგნის ყველა თვისებასა და ღირსებას ერთ ფორმას აძლევს, ერთ ძლიერ ნაწარმოებად კრავს.

„ფიქრიანი გზები“ პოეტური და პოეტის მიერ დაწერილი წიგნია. ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ავტორი (და ამ წიგნის წამკითხავი ნახავს, რომ არც თუ ისე ცოტა უმოგზაურია მას), ახერხებს დანახულიდან და განცდილიდან ამოზიდოს მთავარი, მშვენიერი და კეთილშობილური, ის, რაც ადამიანის სულზე პოეტურად აირეკლება და განაცდევინებს კაცთა სულის სიკეთეს, ამ სიკეთისათვის ბრძოლის აუცილებლობას. წიგნი სავსეა კონტრასტებით, სხვადასხვა დროის ამბებით, და მოვლენებით, მაგრამ იგი შეკრულია ერთი დუღაბით, იმ ერთიანობით, იმ ძალით, რასაც ადამიანის სიყვარული ჰქვია. სიყვარულის გარე შემოქმედება არ არსებობს და ალბათ ეს ის ძალაა, რომელსაც ყოველდღიური „საგაზეთო ამბები“ შეუძლია მაღალ ლიტერატურულ ქმნილებად აქციოს, მასში ჩადებულ საინტერესო ინფორმაციას მიუმატოს ფერი და სხივი, რის საფუძველზეც ნაშრომი გაუძლებს დროს და, მოგეხსენებათ, მხოლოდ დროა ჭეშმარიტი მსჯავრდებელი ყოველივესი. ავტორი მშვენიერი ქართული ენით, ფრაზის ლაკონიურობითა და სისავსით, მოულოდნელი, მაგრამ საინტერესო გადასვლებით აღწევს ემოციურ სისრულეს, იმ ეფექტს, რასაც მხოლოდ კარგი წიგნი იძლევა. ვლ. ალფენიძე ჩვენთვის, პირველ რიგში, ნამდვილი შემოქმედია, ვიდრე მრავალი და მრავალი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი. ახლა არ მოვყვები იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი მწერალი მოსულა ლიტერატურაში ჟურნალისტიკის მრავალმხრივი და ურთულესი ლაბირინთებიდან; საზღვარი კი არც ისე შეუმჩნეველია ამ ორ სამყაროს შორის.

„ოსტატი პირველ რიგში თიხას სინჯავსო“, ნათქვამია. წიგნის ავტორი მშვენივრად ფლობს თავის მასალას. მთელი წიგნი დაწერილია გამართული ქართულით და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მასალა, რომელსაც ერთი შეხედვით მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს, მოქცეულია ისეთ ყალიბში, ისეთი სისხლსავსე და ღონიერია, რომ მკითხველი ღრმა ინტერესით მისდევს წიგნს თავიდან ბოლომდე. აქედანვე იწყება სიმპათია ნაშრომის მიმართ „ფიქრიანი გზები“ თავისი ესთეტიკური დანიშნულებით საწადელ მიზანს აღწევს, რადგან მათში მოთხრობილი ამბები გადმოცემულია არტისტიზმით და შემოქმედებითი ტემპერამენტით, ამასთანავე, იგრძნობა ავტორის სწრაფვა ლაკონიურობასა და სისადავისაკენ.

ბრძოლა ადამიანის სულის ამაღლებისათვის — ესაა მწერლობის ურთულესი და უპირველესი დანიშნულება. ყველას თავ-თავისი აგური მიაქვს ამ ტაძრის ასაგებად. შემოქმედებისათვის. ცხადია, ტალანტის შემდეგ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებისეულ გამოცდილებას. რომელიც საკუთარ სულში უნდა იყოს გადახარშული. ბევრი ფრიად განსწავლული კაცი მინახავს, ბევრის განმცდელი და ყოვლისმნახველი, მაგრამ ისინი უფრო მოარულ ენციკლოპედიებს ჰგვანან, რომელთაგანაც შეგიძლიათ მიიღოთ ყოველგვარი ინფორმაცია. მთავარია ცოდნაც და გამოცდილებაც მოქცეული იყოს ამ მარცვალში რომელიც შიგნიდან ანათებს ადამიანს, მის რწმენასა და ყოფას, რის საფუძველზეც მეორესათვის ძვირფასი ხდება პირველის სტრიქონი და სხვაში აგრძელებს ფიქრსა და სიცოცხლეს. ეს წიგნი საკმარისია იმის ნათელ-

---

ვლ. ალფენიძე — ფიქრიანი გზები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. 1978 წ.

საყოფად რომ ვლ. ალფენიძე მრავალმხრივი ერუდიციის კაცია, და როგორც უკვე ვთქვით, მას საკმაოდ ბევრი უვლია მსოფლიოს გზებზე. ვლ. ალფენიძე მწერლის თვალით გადმოგვცემს თუ რით არის ყველაზე მეტად საინტერესო ესა თუ ის გეოგრაფიული წერტილი რუკაზე, გადმოგვცემს ამა თუ იმ კუთხისა და ქვეყნის არა მარტო კოლორიტსა და ელფერს, არა მარტო უბრალო ამბავს, არამედ არსს მოვლენისას, რომელიც არასოდეს არ იფარგლება რაიმე მხოლოდ კონკრეტულით, ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ავტორი, ის ყველაფერს თავისი ქვეყნის, ხალხის, რწმენის, დროისა და თავისი თაობის თვალით ხედავს. მეტად ფართო და მრავალფეროვანია თემატიკა ამ წიგნისა, ვრცელია როგორც ჩვენი პლანეტის გზები და მრავალფეროვანი, როგორც თავათ ცხოვრება. „ფიქრიანი გზები“ შორს სწვდება სივრცესა და დროს და ამაზე მასში მოქცეული უამრავი შეხვედრები მეტყველებენ. ყოველ შეხვედრას აქ თავისი დანიშნულება, თავისი აზრი გააჩნია.

ამ შეხვედრების აღწერისას ავტორისათვის მთავარი ადამიანების დამოკიდებულება ცხოვრების ყველაზე არსებითი, საჭირბოროტო საკითხებისადმი. აქვე ჩანს ავტორის რწმენისა და მსოფლშეგრძნების ამოსავალი წერტილი, აქედან იწყება ამ შეხვედრების ამ კერძო შემთხვევით წამოწყებული საუბრების განზოგადების აუცილებლობაც.

ახლა ბევრი წერს „მგზავრობის შთაბეჭდილებებს“, შეგხვდებათ საკმაოდ ვრცელი მოგონებებიც, რომლებიც ხშირად იმით არიან შემოფარგლულნი, რომ გვაუწყებენ სად და სად იმგზავრა მავანმა და მავანმა პატივცემულმა და ყველაფერი ეს მშრალ დღიურებს უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე ღირებულების ლიტერატურას; ამიტომ ასეთი „ჩანაწერები“ ისევე ჩქარა ავიწყდება მკითხველს, როგორც შემთხვევითი ცნობა, ამოკითხული გაზეთის მეოთხე გვერდზე, ავიწყდება იმიტომ, რომ მათში არ იგრძნობა მასშტაბები, განზოგადება, გამოთქმული არა ხმამაღლა და დეკლარაციულად, არამედ შინაგანად ჩაქსოვილი თვით ამბის არსში; „ფიქრიანი გზები“ სწორედ ამ განზოგადებებით იქცევს ყურადღებას.

ამ თვალსაზრისით მკითხველის ღრმა დაინტერესებას იწვევს „ავრორას“ „თბილისელი მეზღვაური“ და „ლეგენდა სერგო ორჯონიკიძეზე“, „გაგარინის თანავარსკვლავედი“ და „შეხვედრები საბჭოთა მწერლებთან“, ნარკვევები უცხოელ მწერლებსა და მხატვრებზე, მრავალი სხვა ნარკვევი; ყოველი თავი აქ მკითხველს გარკვეულ სულიერ და აზრობრივ განწყობილებას უტოვებს. მკითხველი „ფიქრიან გზებში“ შეხვდება მრავალი ქვეყნის სურათსა და ყოფას, ჩვენი პლანეტის უამრავ გამორჩენილ ადამიანს. ყველა პორტრეტი, რომელიც მოთავსებულია ამბავსა და განწყობას შორის, შესრულებულია ლაკონიური, დამახასიათებელი შტრიხით და ყოველთვის მიგვანიშნებს იმ მთავარსა და საყოველთაოს, რაც აერთიანებს კაცობრიობის პროგრესულ ნაწილს, რაც თვითეულ მათგანში ემსახურება მაღალ და ნათელ იდეალებს.

საყურადღებოა, რომ ჩვენთვის ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ყოველდღიური პრესიდან საკმაოდ ცნობილი პიროვნებები, ისინი, ვის შესახებაც მკითხველმა თითქოს ყველაფერი იცის, ალფენიძისეულ პორტრეტებში, უმრავლეს შემთხვევაში, იძენენ სრულიად ახალ, თვისებებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ახლოდან დავინახოთ ესა თუ ის მოღვაწე, თუ გამორჩენილი ადამიანი.

წიგნში არის ადგილები, სადაც ამა თუ იმ პიროვნებას ცოცხლად აღიქვამ, მასთან თითქოს სულიერ კონტაქტსაც კი ამყარებ და გრჩება შთაბეჭდილება, რომ ცოცხალი მონაწილე იყავი იმ საუბრისა, რომელიც წიგნის ავტორსა და მასთან პირისპირ მყოფ ადამიანს შორის მიმდინარეობდა .

„ფიქრიანი გზები“ ბიოგრაფიაა ჩემი თაობის კაცისა. ეს არა მარტო ერთი ადამიანის ბიოგრაფიაა, ვინაიდან მას გარე სამყაროსთან შეხების მრავალი წერტილი აქვს; ამ მარცვალ-მარცვალ ასხმულ დღეებსა და საათებს შეუნახავთ და აღუბეჭდავთ ბევრი რამ ეპოქისეული, ჩვენი დროისათვის დიდად დამახასიათებელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს წიგნი სავსეა ჩვენი ხალხის, ჩვენი ადამიანების გმირობისა და თავდადების საუკეთესო მაგალითებით.

„ფიქრიან გზებს“ თავიდან ბოლომდე გასდევს მეგობრობის ძმობის ჩვენი ხალხების ერთიანობის თემა. ამ მხრივაც ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენ ეს ნაშრომი. „ფიქრიან გზებში“ პოეტურად აირეკლება ჩვენი დიდი დრო, დაწყებული „ავრორას“ ზალპიდან, ვიდრე კოსმოსში გაფრენამდე. ეს წიგნი უბრალო და ნამდვილი ადამიანების ცხოვრების მატიანეა, სავსე ფიქრით და უშუალო განცდით.

არ ვიცი, შევძელი თუ არა ამ წიგნით მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემა, მაგრამ ერთი კი ვიცი — შემოქმედ ადამიანს სჭირდება თბილი სიტყვა და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამას ის ნამდვილად იმსახურებს. ჩვენს გარშემო არიან „მდუმარე ყოვლისმცოდნენი“, რომლებიც უცდიან დროს, რათა მათი სათქმელი მან თქვას და გაარკვიოს. მე კი მინდა გამოვეხმაურო ჩემს ტოლ კაცს, რომელმაც დიდი სიამე მარგუნა თავისი „ფიქრიანი გზებით“.

რეზო ამაშუკელი

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ